ბორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული

№13

2021

UDC (უაკ) 378 (479.22)(066)
გ-716

წინამდებარე სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული მოიცავს 2018 წლის 06 ივნისს ჩატარებულ სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პროფესიული სტუდენტების სამეცნიერო კონფერენციაზე წარმოდგენილ სამეცნიერო ნაშრომებს.

2018 წლის 06 ივნისს ჩატარებულ სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პროფესიული სტუდენტების სამეცნიერო კონფერენციაზე სექციური კომისიების შემადგენლობა:

სექცია „განათლება“
თავმჯდომარე: პროფ. ნ. ჭამპურიძე
წევრი: ასოც. პროფ. ნ. მირაზანაშვილი

სექცია: „კომპიუტერული ტექნოლოგიები და მათემატიკა“
თავმჯდომარე: პროფ. ზ. ზერაკიძე
წევრი: ასოც. პროფ. მ. მუმლაძე, ასოც. პროფ. ლ. ალექსიძე

სექცია: „საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (ბიოლოგია, გეოგრაფია)
და მიმართულებათშორისი დარგი (სპორტი)“
თავმჯდომარე: პროფ. ნ. გოგინაშვილი
წევრები: პროფ. ა. იაშვილი, ასოც. პროფ. თ. იოსებიძე

სექცია: „ბიზნესი და მართვა“
თავმჯდომარე: პროფ. გ. გიგუაშვილი
წევრები: პროფ. ლ. მამულაშვილი, პროფ. დ. ჭიოტაშვილი, ასოც. პროფ. ხ. ბებნაძე

სექცია: „ტურიზმი“
თავმჯდომარე: ასოც. პროფ. მ. აზმაიფარაშვილი
წევრები: ასოც. პროფ. მ. სოსანიძე

სექცია: „სოციალური მეცნიერებანი“
თავმჯდომარე: პროფ. ნ. აბრამიშვილი
წევრი: ასოც. პროფ. ი. ჭუმბურიძე

სექცია: „სამართალი“
თავმჯდომარე: ასოც. პროფ. გ. გიორგაძე
წევრი: ასისტენტი დ. კვერნაძე, უფ. მასწ. ი. ბალახაშვილი

სექცია: „ქართული ენა“
თავმჯდომარე: პროფ. ვ. ახალაია
წევრები: პროფ. მ. კობერიძე, პროფ. ე. ხოჯევანიშვილი, ასისტ. პროფ. ნ. ოთინაშვილი

სექცია: „ქართული ლიტერატურა“
თავმჯდომარე: ასოც. პროფ. გ. ხორბალაძე
წევრები: პროფ. თ. გოგოლაძე, ასოც. პროფ. ქ. ბარბაქაძე, უფ. მასწ. ზ. ოქროპირიძე

სექცია: „უცხო ენა და ლიტერატურა“
თავმჯდომარე: პროფ. ზ. ჩხიკვაძე
წევრები: ასოც. პროფ. ნ. ბაქრაძე, ასოც. პროფ. ლ. მახვილაძე

სექცია: „ისტორია“
თავმჯდომარე: ასოც. პროფ. მ. ჯოლბორდი
წევრები: პროფ. ე. მამისთვალიშვილი, ასოც. პროფ. ვ. ჩოჩია, ასისტ. პროფ. ლ. თოგოშვილი

ISSN 2233-3320

შ ი ნ ა ა რ ს ი

განათლება

გოგიჩაშვილი მარიამ - *იაკობ გოგებაშვილი ქართველი ქალების აღზრდა-განათლებაზე – 6*
კობალაძე ქეთევან - *პრობლემური სიტუაციები ლიტერატურის სწავლებაში – 8*
კორინთელი ლია - *იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური მემკვიდრეობა ოჯახის აღმზრდელობითი ფუნქციის პრობლემის ჭრილში – 11*
კოჩუაშვილი მარიამ, გელაშვილი თამუნა - *ოჯახის, სკოლის და გარემოს როლი ბავშვის პიროვნებად ფორმირებაში – 13*
მუზაშვილი სალომე, გვიმრაძე გვანცა - *ბედნიერების ცნება და კრიტერიუმები ბავშვის განვითარებაში – 16*
როსტომაშვილი მარიამ - *ეროვნული ცნობიერების ფორმირების იაკობ გოგებაშვილისეული კონცეფცია – 18*

კომპიუტერული ტექნოლოგიები და მათემატიკა

ანიაშვილი ეკა - *პითაგორას სამეულები – 20*
კასრაძე ნათია - *გაუსის ერთგვაროვანი ველების სტატისტიკური სტრუქტურების ძალდებული შეფასებები და ძალდებული კრიტერიუმები – 22*
რაზმაძე ნინო - *სტატისტიკური სტრუქტურების ჰიპოთეზათა შემოწმების ძალდებული კრიტერიუმები – 23*
ხარაზიშვილი ლონდა - *მაგიური კუბი – 24*

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (ბიოლოგია, გეოგრაფია) და მიმართულებათშორისი დარგი (სპორტი)

გიგუაშვილი ქეთევან - *ჰალოგენების შემცველი პრეპარატები მედიცინაში – 25*
გინტური მარიამ - *წყლის მნიშვნელობა სიცოცხლისათვის და მისი შემცველობა სასურსათო მცენარეებში – 28*
გოგიაშვილი მარიამ - *დედამიწის მაგნიტური ველი – 30*
ვახტანგაშვილი ამირან - *ძიუდოს ქართული სკოლის აღზრდილების წარმატებები საერთაშორისო არენაზე – 32*
ზეინკლიშვილი სოფიკო - *გლობალური დათბობა – 35*
კალმახელიძე ანი - *გარემოს გაბინძურების ანთროპოგენური წყაროები – 39*
მერებაშვილი დიანა - *ფიბონაჩის რიცხვთა მწკრივის გამოვლინება ბუნებასა და ცოცხალ სამყაროში – 41*
მერებაშვილი დიანა, გოგიაშვილი მარიამ - *შემაერთებელი ქსოვილი - სისხლი და მისი ლაბორატორიული ანალიზი – 43*
სამხარაძე თამაზ - *სპორტსმენის გულ-სისხლძარღვთა სისტემის ცვლილებები ორთაბრძოლის დროს – 48*
ტარუაშვილი თამაზ - *გამძლეობის განვითარება თავისუფალ ჭიდაობაში – 49*

ბიზნესი და მართვა

გელაშვილი ნინო - *ეილერის რიცხვი და რთული პროცენტი* (ინგლისურ ენაზე) *– 51*
გლოტოვი მარიამ - *ეკონომიკური დემოკრატია – 53*
გონჯილაშვილი მარიამ - *ოპტიმიზაციის ამოცანები* (ინგლისურ ენაზე) *– 55*
კოკაური მაკა, ოქროპირიძე თინა - *ინტერნეტ რეკლამა - თანამედროვე მარკეტინგული კომუნიკაცია – 61*
ლომოური მარიამ - *საქართველოში განხორციელებული მსხვილი ინვესტიციები და საინვესტიციო რეგულირების მნიშვნელოვანი საკითხები – 63*

მარანელი ჭაბუკა, ბიბილაშვილი ნონა - *პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიმოხილვა და მისი მნიშვნელობა საქართველოსთვის – 66*
მთიულიშვილი მარიამ, ნაოჭაშვილი ბექა - *კონკურენციის როლი კეთილდღეობის ეკონომიკაში – 69*
მიდელაშვილი ია, მეთაფლიშვილი მაკა - *მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა საქართველოში – 73*
როსტომოვი ინდირა, თოდაძე ნინო - *ახალგაზრდების დასაქმების პრობლემები საქართველოში – 76*
ყუმბულაშვილი თეონა - *საქართველოს საგადასახადო სისტემაში განხორციელებული ცვლილებები – 78*
ჩაკვეტაძე დავით - *ფისკალური პოლიტიკის საკანონმდებლო უზრუნველყოფა – 81*
ჭაღინაშვილი ლიკა, შევერდაშვილი ეთერ - *საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისთვის საქართველოში – 86*
ჭოველიძე თეონა, ბალიაშვილი გულო - *ბრენდის როლი თანამედროვე ბიზნესში – 89*
ხაჩიძე ლილი, ნადირაშვილი მარიამ - *შრომითი მიგრაცია და ეკონომიკა – 91*
ჯავახიშვილი ნინო - *შრომის ბაზრის ინდიკატორები და უმუშევრობა საქართველოში – 95*
ჯილავდარი სოფიო - *დავით სარაჯიშვილი და XIX საუკუნის პიარი ანუ მომხმარებელთან ურთიერთობა ქართულ ბიზნესში – 98*

ტურიზმი

მერებაშვილი თამარ - *სასტუმრო მეურნეობის როლი ტურისტული ინდუსტრიის განვითარებაში – 101*
მიდელაშვილი ია, მეთაფლიშვილი მაკა - *ტურიზმის განვითარების ზოგიერთი პრობლემა და მათი გადაჭრის გზები საქართველოში – 104*
ღონღაძე ნინო - *გამყვანი და შემომყვანი ტურიზმის განვითარება საქართველოსა და შიდა ქართლში – 109*

სოციალური მეცნიერებანი

გელაშვილი ნინო - *კულტურის ცნების საკითხისათვის – 112*

სამართალი

ბალახაშვილი თამთა - *ფიზიკური პირის ქმედუნარიანობის შედარებით-სამართლებრივი ანალიზი – 114*
ბერიანიძე ქეთევან - *ილია ჭავჭავაძის სამართლებრივი აზროვნება – 117*
გოგიძე უტა - *კანონისმიერი გირავნობა – 119*
კობახიძე ლაშა - *აუცილებელი მოგერიება, როგორც დაცვის უფლებააღმჭურველი მეთოდი და თანმდევი აქტუალური საკითხები – 123*
მასურაშვილი მარინა, გაგნიძე ლიკა - *აფხაზეთში ქართველი მოსახლეობის ეთნიკური წმენდის საერთაშორისო-სამართლებრივი რეგულირების საკითხები – 129*
მეგრელიშვილი ნათია, უთნელიშვილი ეთერ - *რუსეთის ფედერაცია საერთაშორისო სამართლის წინააღმდეგ – 133*
სოღოლაშვილი ლელა, კოპაძე ვასილ - *ბათილი გარიგებები – 138*
ღვინიაშვილი გულნაზი - *პიროვნების თავისუფალი განვითარება და საქართველოში არსებული რეალობა – 140*

ქართული ენა

ამირხანოვი თამარ - *ჩართული ოტია იოსელიანის შემოქმედებაში – 142*
კოჩუაშვილი მარიამ - *ნასახელარი ზმნების წარმოება ვასილ ბარნოვის შემოქმედებაში („არმაზის მსხვრევა“) – 145*
ლალიშვილი ნინო - *გიორგი სოსიაშვილის მოთხრობა „ნათლის გვირაბი” და მისი ენის ზოგიერთი თავისებურება – 147*

მარნაძე ნინო - *სოფელ ბეკამის მეტსახელები სემანტიკური ჯგუფების მიხედვით – 149*
მუზაშვილი სალომე - *სუბსტანტივის ადიექტივაცია გურამ დოჩანაშვილის შემოქმედებაში ("სამოსელი პირველი") – 153*
სადღობელაშვილი ნანა - *ჯემალ ინჯიას პოეზიის ენის ზოგიერთი თავისებურება – 156*
ქარელი ჟანა - *ილია ქართული ენის სადარაჯოზე – 159*
წიქარიძე მარიამ - *კონსტანტინე გამსახურდიას ენის საკითხები – 163*

ქართული ლიტერატურა

მანველიშვილი მარიამ - *მეტაფორა გალაკტიონის შემოქმედებაში, გალაკტიონი და ცისფერყანწელები – 165*
სადღობელაშვილი ნანა - *ფერები ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიაში – 168*
წიქარიძე მარიამ - *ვეზირის სახის მხატვრული ფუნქცია „ვეფხისტყაოსანში“ – 170*
ხანიშვილი ეკა - *ოთარ ჩხეიძის პოლიტიკური ესეისტიკა – 173*

უცხო ენა და ლიტერატურა

მაყაშვილი ანანო - *ბავშვის თვალით დანახული სამყარო რაქელ ჯარამილო პალაციოს „საოცრების“ მიხედვით* (ინგლისურ ენაზე) *– 175*
პავლიაშვილი ნათელა - *ერთი ლექსის ორი თარგმანი (ედგარ პოს „ყორანის“ მაგალითზე) – 177*
ხადური მარიამ, კუმლაძე თამარ - *პირობითი წინადადება ინგლისურსა და ქართულ ენებში – 179*

ისტორია

ბერუაშვილი მარიამ - *ცხინვალის მიმდებარე სოფლები გორის მაზრის 1804 წლის კამერალური აღწერისა და თანამედროვე მდგომარეობის მიხედვით – 182*
კოშორიძე ნინო - *კოშორიძეთა ღვაწლი – 188*
ოქროპირიძე ნინო, სრესელი ნონა - *ქართლის მეფე როსტომი – 192*
ქებაძე მარიამ - *საქორწილო წეს-ჩვეულებები საქართველოსა და ჩრდილო კავკასიაში – 196*

განათლება

იაკობ გოგებაშვილი ქართველი ქალების აღზრდა-განათლებაზე

მარიამ გოგიჩაშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **თამარ სიდამონიძე**, მოწვეული სპეციალისტი, დოქტორი

საუკუნეების მანძილზე ჩვენი ეროვნული ყოფის საფუძველი იყო ქართული ოჯახი, რომელმაც მტკიცედ შემოგვინახა ინდივიდუალური რაობა, ეროვნული სული და ტრადიციები. მაგრამ ,,1801 წლიდან სულ სხვა, უჩვეულო სიომ დაჰბერა საქართველოში; ძველი, ნაცადი გზები ერთბაშად მოიშალა; ის შინაარსი, რასაც ქართული ოჯახი - ეს სოციალური და ეროვნულ-ფსიქოლოგიური ერთეული - ემსახურებოდა, ერთიანად გამოეცალა მას და ოჯახს - ძველ, მადლიან და მტკიცე რჯულის მატარებელ ოჯახს - წყალი შეუდგა“ (1; 62-63).

ამ მადლიანი ორგანიზმის რღვევას მწვავედ განიცდიდნენ ჩვენი მაშინდელი სინამდვილის მოჭირნახულენი. მათი მიდგომა ამ საკითხისადმი წმინდა მამულიშვილური იყო. 60-იანელთა სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისთანავე საზოგადოების მოწინავე ნაწილისათვის ნათელი გახდა, რომ ქალთა განათლება მოწყვეტილი იყო ხალხის ინტერესებს, ჩამოშორებული იყო ცხოვრებას და რეალურ ვითარებას, ამიტომ ისინი მოითხოვდნენ ახალი სასწავლო გეგმების შედგენას და საგანმანათლებლო სკოლების მუშაობის გარდაქმნას.

იაკობი მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე თავგამოდებით იბრძოდა ქართველი ქალის განათლებისთვის, მოითხოვდა და ასაბუთებდა კიდეც ქალების ჩაბმულობას სწავლებაში.

პრესაში დაიბეჭდა არაერთი წერილი იაკობ გოგებაშვილისა, რომლებშიც მოითხოვდა ქალთა სკოლების რიცხვის გაზრდას და სწავლა-აღზრდის სათანადო დონეზე დაყენებას.

იაკობს აღზრდის მთავარ ელემენტად შემოაქვს საყოველთაო სავალდებულო სწავლება. ამ იდეით მან ხაზი გაუსვა განათლების მიღებაში სრულ თანასწორობას განურჩევლად სქესის, ეროვნების, წოდების თუ ქონებრივი მდგომარეობისა.

მისთვის სასიხარულო იყო ყველა ტიპის სასწავლებლის გახსნა, მათ შორის საეპარქიო სასწავლებლისაც. ამით შესაძლებელი იქნებოდა ერთი ისეთი სასწავლებლის დაარსება, რომლის კურსდამთავრებულებს მიეცემოდათ მოწმობა, რომლითაც ქალიშვილები შეძლებდნენ გიმნაზიის პირველ კლასში შესვლას.

XIX ს-ის 60-იანი წლების მიწურულს თბილისში ქალთა პანსიონების რიცხვი შედარებით მცირე იყო, ვიდრე დასაწყისში. მთავარი მიზეზი, რამაც გამოიწვია შემცირება, იყო საზოგადოებრივი აზრის მომწიფება ქალთა საფუძვლიანი და ცხოვრებაში პრაქტიკულად გამოსაყენებელი განათლების აუცილებლობის შესახებ. ამ მოთხოვნებს პანსიონები ვერ აკმაყოფილებდნენ.

ამიტომ პანსიონური განათლების ქართველი ქალი გამოეთიშა საზოგადოებრივ ცხოვრებას. მიზეზი კი ის იყო, რომ პანსიონებში სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა და მასში ანტიქართული გარემო სუფევდა, რის გამოც ქართველი ქალი კარგავდა თავის უწმინდეს დანიშნულებას: ოჯახისა და აღზრდის წინამძღოლის ფუნქციას.

წერილში ,,ჩვენი თავადაზნაურობის განათლების შესახებ“ იაკობ გოგებაშვილი გულისტკივილით საუბრობს დედათა გიმნაზიებში ქართველი ქალების სიმცირეზე და ასკვნის, რომ ქალების განათლების საქმე უფრო რთულ მდგომარეობაშია, ვიდრე ვაჟებისა, რასაც შედეგად მოსდევდა ოჯახის დაკნინება.

გოგებაშვილი ყველა პრობლემას ეროვნულ-განმათავისუფლებელი ასპექტით განიხილავდა. ამ ბრძოლაში კი გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა განათლებას, ცოდნას. სწორედ ეს ფუნქცია უნდა შეესრულებინა ქართულ სკოლას, ხოლო ქართველ ქალს, რომელიც ყოველთვის გონიერი და განათლებული აღმზრდელი იყო, თავისი უძველესი როლი უნდა აღედგინა. მაშინ კი გიმნაზიები ქალებისთვის მხოლოდ ოცნებას წარმოადგენდა. ამ მდგომარეობიდან ხსნა საღმრთო სკოლებში იყო, სადაც ისწავლებოდა საღვთო სჯულიც. ეს არა მარტო ენის დაუფლების საშუალება იყო, არამედ მორალის, რწმენის, განათლების უპირველესი საყრდენი. საღვთო სჯულის ქართულ ენაზე სწავლებით

იაკობი მრავალი პრობლემის მოგვარებას ცდილობდა, რომელთაგან უმთავრესს ოჯახის აღორძინება წარმოადგენდა.

ბატონყმური წყობილების მოშლიდან, XIX ს-ის II ნახევარში, მოსწავლეთა რიცხვმა სწრაფი ტემპით დაიწყო ზრდა. ასობით ქალი და ვაჟი ცდილობდა პანსიონებში სწავლის დაწყებას. სკოლებისადმი ასეთმა ინტერესმა წამოჭრა საკითხი ქალთა მასწავლებლობის შესახებ, თუმცა ქალის მასწავლებლობა მაშინდელ საქართველოში ტრადიციაში არ იყო.

60-იანი წლების პრესაში (ჟურნალებში ,,ცისკარი" და ,,კავკაზი") დაბეჭდილი წერილები კატეგორიულად უჭერდნენ მხარს ქართველი საზოგადოების სამართლიან მოთხოვნას ახალი, ქალთა სამოქალაქო ტიპის სკოლების, გიმნაზიებისა და პედაგოგიური სასწავლებლის გახსნის აუცილებლობის შესახებ. ქალთა სკოლების ქსელის გაშლის საქმეში პირველი ინიციატივა თავად ქალებს ეკუთვნოდათ. სასწავლებლის კურსდამთავრებულებს ეძლეოდათ საშინაო მასწავლებლის წოდება.

პედაგოგიური განათლებისთვის ქართველი ახალგაზრდების სწრაფვა იაკობ გოგებაშვილს ,,ძალიან სანუგეშო და საიმედო მოვლენად" მიაჩნდა. ქართველი ქალიშვილების სწრაფვას ამ მხრივ მხარდაჭერა სჭირდებოდა, რასაც აღნიშნავდა კიდეც: ,,მასწავლებელ ქალთა საზოგადოება უნდა იყოს მესვეური პროგრესულ პედაგოგიკაში, სწორი გზის მაჩვენებელი, კეთილი მაგალითის მიმცემი" (2; 241).

იაკობის კონცეფცია ქალთა განათლების საკითხში განპირობებული არ იყო მასწავლებელთა სიმცირით. მას სურდა აემაღლებინა ქალთა საზოგადოებრივი ფუნქცია. ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაშიც ქართველი ქალის როლი დიდზე დიდი იყო, რადგან სწორედ მას, განათლებულს და ცხოვრებისეული სიბრძნით შეიარაღებულს, უნდა აღეზარდა სამშობლოსთვის თავდადებული შვილები. გავიხსენოთ ილია: ,,ჩემის მამულისათვის მე ჩემს ძუძუს გაწოვებ, მისის სიკეთისათვის გაგწირავ და გაბრძოლებ; მას დედის ძუძუ ტკბილი შხამადაც შერგებია, მამულისთვის სიკვდილი ვისაც დაზარებია."

იაკობის აზრით, სკოლა ერისთვის უნდა არსებობდეს. ამ მოსაზრებას იზიარებდა არჩილ ჯორჯაძეც. იგი მოითხოვდა, რომ სასწავლებლებში, კლასიკურ გიმნაზიებში, კადეტთა კორპუსში, ქალთა ყველა სასწავლებელში სიტყვიერება და ისტორია ქართულ ენაზევე ესწავლებინათ:

1. სამასწავლებლო სემინარიებში, სადაც მასწავლებლებს ამზადებდნენ ქართულისთვის, გაძლიერებულიყო ქართული ენის სწავლება და ქართულად უნდა ესწავლათ ზოგიერთი საგანი;
2. ქალთა სასწავლებლებში სწავლება ქართულ ენაზე უნდა ყოფილიყო;
3. სასულიერო და ქალთა საეპარქიო სასწავლებლებში ყველა საგანი უნდა ისწავლებოდეს ქართულადო.

იაკობ გოგებაშვილი გულისტკივილით აღნიშნავდა: ,,სენივით მოედო სამწუხარო მოვლენა ქართულ საზოგადოებაში - მშობლები სიხარულით ხვდებიან იმ ამბავს, რომ მათი ქალი ქართულად ლაპარაკს აღარ კადრულობს, ათვალისწუნებული აქვს მშობლიური ენა. მას მიაჩნია, რომ განათლებული, ნასწავლი და ნიჭიერი ქალი ადვილად გაიკვლევს გზას" (2;246).

გოგებაშვილი ,,დედა ენას" უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა. მან მშობლიური ენა აღზრდის საფუძვლად გამოაცხადა, რომლის გარეშე შეუძლებელი იყო მომავალი თაობის განათლება.

ქალ მასწავლებლებს, რომლებსაც ცოდნის პირველი საწყისები შეჰქონდათ ხალხში, მძიმე პირობებში უხდებოდათ თავგანწირული მუშაობა სოფლის მოსახლეობაში მწიგნობრობის გასავრცელებლად.

იაკობი მოითხოვდა, რომ მომავალ პედაგოგებს ესწავლებინათ ის საგნები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ზოგად მომზადებას, სპეციალურ პედაგოგიურ განათლებას; მეთოდური დაოსტატებისთვის კი აუცილებელი პირობა იყო ისტორიისა და მშობლიური ენის ძალიან კარგი ცოდნა. მხოლოდ ასეთ პიროვნებას შეეძლო ღირსეული თაობის აღზრდა.

იაკობის აზრით, არც ერთი სხვა ერის ქალების აღზრდაში არ იყო ისე უდიერად და უგუნურად უარყოფილი ყველაფერი მშობლიური, როგორც ქართველი ქალების აღზრდა-სწავლებაში. ქართველი ქალის ასეთი დაკნინება მისთვის ძალიან მტკივნეული იყო. ისტორიიდან არის ცნობილი, რომ XII საუკუნეში წერა-კითხვას დაუფლებული ყოველი ქართველი ქალის ოჯახი პატარა სკოლა იყო, სადაც მთელი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა წერა-კითხვა, მეცადინეობა, ხელსაქმის შესწავლა.

,,დედა ენის" ავტორი მშობლიური ენის დამკვიდრებისათვის დაუღალავ ბრძოლაში, ერთ, თითქოს თავისთავად ცხად, ჭეშმარიტებას წააწყდა, რომელიც შეიძლება არცკი ჰქონდა გაცნობიერებული მის თანამედროვე ქართულ საზოგადოებას: ქართველები ისტორიულად სრულებით არ იყვნენ მომზადებულნი მშობლიური ენის დაცვა-შენარჩუნებისთვის, რადგან ამის საჭიროება არც დამდგარა ჩვენს მრავალგზის დარბეულ ქვეყანაში.

იაკობ გოგებაშვილმა უანგაროდ მოახმარა თავისი ძალ-ღონე ქართველი ერის კეთილდღეობას. მისი მოღვაწეობის კრედო მისივე სიტყვებით ასე შეიძლება გადმოვცეთ: ,,ყველაფერი ხალხმა მომცა და

ხალხსვე უნდა ეკუთვნოდეს“. იაკობის ღვაწლი ქართველ ქალთა აღზრდა-განათლების საქმეში ფასდაუდებელია. მას ეჭვი არ ეპარებოდა, რომ განათლებული ქართველი ქალი ერს მალამოდ დაედებოდა და ყოფას შეუმსუბუქებდა.

ლიტერატურა:

1. პაპავა თამარ, ილია ჭავჭავაძე და ქართველი ქალი, კრებულში ,,ილია ემიგრანტთა თვალით“, ტ. I, თბ., 1996.
2. საიუბილეო კრებული: იაკობ გოგებაშვილი 150, თბ., 1990.

პრობლემური სიტუაციები ლიტერატურის სწავლებაში

ქეთევან კობალაძე
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნელი ჭამპურიძე**, პროფესორი

ლიტერატურული სასწავლო პრობლემის ერთი დამახასიათებელი არსებითი ნიშანი, როგორც ამ საგნის მეცნიერი მეთოდისტები მიუთითებენ, ისაა, რომ ლიტერატურული პრობლემა არა მარტო ამოიხსნება და გადაიჭრება, არამედ განიცდება კიდეც. ამ მომენტს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმის გამო, რომ განცდა ინდივიდუალურია, მოსწავლეთა მიერ პრობლემის გადაწყვეტა შეიძლება არაერთმნიშვნელოვანი იყოს. ლიტერატურის სპეციფიკა, მხატვრული სახის მრავალპლანიანობა, აზრთა და ასოციაციათა განსხვავებულ მიმდინარეობას განაპირობებს. ლიტერატურული ტექსტის სუბიექტური, ინდივიდუალური აღქმის შესაძლებლობა ძალიან ხშირად ხდება მიზეზი პრობლემური სიტუაციის წარმოქმნისა.

ზოგადად ლიტერატურისათვის შეიძლება გამოვყოთ პრობლემურ სიტუაციათა ორი განსახილველი ჯგუფი:

- პრობლემური სიტუაციის წარმოქმნა დაკავშირებულია მასალის სუბიექტურ აღქმასთან;
- პრობლემური სიტუაციის შექმნა განპირობებულია წინააღმდეგობის აღმოჩენით შესასწავლ მოვლენაში.

როდესაც ვითვალისწინებთ ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის მკვლევართა რეკომენდაციებს, ლიტერატურის სწავლებისათვის პრობლემურ სიტუაციათა წარმოქმნის სამ დიდ ჯგუფს გამოვყოფთ:

- პრობლემური სიტუაციები, რომლებიც უკავშირდება სახეებისა და ხასიათების ანალიზს;
- პრობლემური სიტუაციები, რომლებიც ნაწარმოების იდეურ–მხატვრული პრობლემატიკით საზრდოობენ;
- პრობლემური სიტუაციები, რომლებსაც მწერლის გამომსახველობითი არსენალის შეცნობისაკენ მივყავართ.

თითოეულ გამოყოფილ ჯგუფში თავს იყრის კონკრეტული პრობლემური სიტუაციები, რომლებიც წინ წამოსწევენ მხატვრული ნაწარმოების ამა თუ იმ ასპექტს.

პირველი ჯგუფისათვის ყველაზე დამახასიათებელია ისეთი პრობლემური სიტუაციები, რომლებიც იქმნება:

ა) წინააღმდეგობით პერსონაჟის ლოგიკისა და მოქმედებას შორის;
ბ) სახეთა განსხვავებული ინტერპრეტაციით;
გ) ერთი და იმავე პრობლემის განსხვავებული განცდით;
დ) სხვადასხვა ნაწარმოების გმირების შეპირისპირებით.

მეორე ჯგუფისათვის შესაძლებელია რამდენიმე გავრცელებული პრობლემური სიტუაციის გამოყოფა:

- ნაწარმოების იდეურ–მხატვრული კონცეფციის განსხვავებული გააზრება და წარმოქმნილი წინააღმდეგობის დასაბუთებული ამოხსნა;
- ნაწარმოების დაკავშირება ეპოქასთან: მხატვრული ტექსტის პრობლემის შედარება–შეპირისპირება იმ საკითხებთან, რომლებიც აღელვებდათ ადამიანებს კონკრეტულ ისტორიულ დროში;
- მწერლის შემოქმედების დანიშნულების განსაზღვრა, მისი ესთეტიკური პოზიციის გამოკვეთა სხვა შემოქმედთან შეპირისპირებით.

მხატვრულ ნაწარმოებთა ტექსტუალური დამუშავების დიდაქტიკური და მეთოდიკური საკითხების შესწავლისათვის, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავითვალისწინოთ ისტორიულად ის შინაგანი და გარეგანი ფაქტორები, რომელთა საფუძველზე ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და კულტურულ–პოლიტიკური განვითარების კვალდაკვალ თანდათან ვითარდებოდა და სრულყოფილი ხდებოდა საკითხავი ლიტერატურული ტექსტის პედაგოგიკური თვალსაზრისით მოდიფიკაციის საკითხი.

იმ შინაგანი ფაქტორებიდან, რომელთა გავლენითაც, ჩვენი აზრით, თავდაპირველადვე ერთგვარი გეგმაზომიერი შინაარსი უნდა მისცემოდა საკითხავი ლიტერატურული ტექსტის პედაგოგიზაციას, პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ სკოლა. სკოლა – აღნიშნავდა კ. კეკელიძე, – წარმოადგენდა „ისეთ დაწესებულებას, რომელიც მონასტრებ–ეკლესიებთან, სამღველმთავრო კათედრებთან თუ სრულიად განცალკევებით, მუდამ აღვივებდა კულტურის ნაპერწკალს.“ უძველესი წერილობითი ცნობები ქართული სკოლისა და მისი საქმიანობის შესახებ განეკუთვნება ჩვენი წელთაღრიცხვის IV საუკუნეს. ამის გამო ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია ლიტერატურული მასალის, მათ შორის საბავშვო საკითხავი მასალების ტექსტობრივი დამუშავების დიდაქტიკური და მეთოდიკური ცოდნის ჩასახვისა და განვითარების გზა დავიწყოთ ამ საუკუნით. ასეთი სკოლის ჩამოყალიბება უსათუოდ გულისხმობს თვით კოლხეთის ტერიტორიაზე ქართული ტომების ჯეროვან ეკონომიკურსა და კულტურულ განვითარებას, რომლის საფუძველზე უნდა შექმნილიყო პირობები IV საუკუნეში კოლხეთში რიტორიკული სკოლის დაარსებისათვის. კოლხეთში, წერს აკად. ივ. ჯავახიშვილი, – „ელინური სწავლა–განათლებისათვის ნოყიერი ნიადაგი აღმოჩენილა.“

კოლხეთის რიტორიკული სკოლის ისტორიასთან დაკავშირებით, აუცილებელია ვიცოდეთ, თუ რა შინაარსის სასწავლო–საგანმანათლებლო ამოცანები იდგა ამ სკოლის წინაშე, რა საგნები ისწავლებოდა, როგორ იყო აგებული პედაგოგიკური პროცესი ამა თუ იმ საგნის სწავლებასთან დაკავშირებით და სხვა.

ამასთან საყურადღებოა ის, რომ იოანე საბანისძის, გიორგი მერჩულის, იოანე ზოსიმესა და მიქელ მოდრეკილის წერილობით თხზულებებში შემონახული დიდაქტიკური და მეთოდური ხასიათის ზოგადი მითითებანი საკითხავი მასალის გაცნობა–შესწავლის შესახებ უთუოდ შორდება საერთოდ ტექსტზე მუშაობის ვიწრო პრაქტიკულ მიზანდასახულობას. ასე რომ, ქართული მწერლობის განვითარების პირველი პერიოდის მეორე ნახევარში გამოყენებული სწავლების პრაქტიკა მთავარ ყურადღებას აქცევს არა მარტო ამა თუ იმ ტექსტის შინაარსის გაგება–ათვისებას, არამედ ისე წმინდა სასწავლო–საგანმანათლებლო საკითხებსაც, როგორიცაა საკითხავ ლიტერატურულ მასალაში ასახული ძირითადი ამბისადმი მკითხველთა წინასწარ მომზადებული, ერთგვარი ცნობიერი დამოკიდებულება, გასაცნობი მასალის იდეურ–შინაარსობრივი თავისებურებების გარკვეული მსოფლმხედველობრივ–აღმზრდელობითი თვალსაზრისით გამოყენება, დაუცხრომელი ზრუნვა მკითხველთა ლოგიკური აზროვნების განვითარებისათვის და სხვა.

ტექსტზე მუშაობის ასეთი მოთხოვნა უდავოდ ხელს უწყობდა მკითხველთა სათანადო სასწავლო–საგანმანათლებლო ამოცანების გადაწყვეტას, კერძოდ: ქართული ენის სიყვარულის აღზრდას. ლოგიკური აზროვნების სრულყოფას და სხვა.

დღეს ლიტერატურის სწავლების მეთოდიკაში ძირითადად გამოიყენება ინტერაქტიული სწავლება.

ინტერაქტიული სწავლების დროს (ჯგუფებში, წყვილებში, ინდივიდუალურ თუ ჯგუფურ პროექტებზე მუშაობისას) ხშირად, ერთმანეთის გვერდით გამოიყენება სხვადასხვა სტრატეგიები: ბლუმის ტაქსონომია, ვენის დიაგრამა, გონებრივი იერიში, პაუზებით კითხვა, აზრობრივი რუკა, ურთიერთსწავლება, მოთელვა, დისკუსია, კითხვა როლებში, სამსაფეხურიანი ინტერვიუ და სხვა. ლიტერატურის სწავლებისას ეფექტურია ტრადიციული და ინოვაციური მეთოდების თანაარსობა. ზემოთ დასახელებული მეთოდების, ხერხების, სტრატეგიების გამოყენება ქართული ლიტერატურის სწავლებისას იწვევს მოსწავლეთა შემეცნებითი აქტივობის განვითარებას. ინტერაქტიული სწავლების დროს ხდება თითოეული მოსწავლის პიროვნული „მე“-ს განვითარება, ჯგუფური მუშაობის შემეცნებითი და აღმზრდელობითი ფუნქციის დატვირთვა.

<u>სამოდელო გაკვეთილი:</u>

თემა: რევაზ ინანიშვილის ბიოგრაფია

კლასი: VI

გაკვეთილის ხანგრძლივობა: 45 წთ. X 2

გაკვეთილის მიზნები:

- რევაზ ინანიშვილის ბიოგრაფიის შესწავლა;
- მწერლის მოღვაწეობის ეპოქის გაცნობა;
- მოსწავლეებში კვლევითი უნარების განვითარება.

ამოცანები:

- მოსწავლეებმა უნდა იმუშაონ რევაზ ინანიშვილის ბიოგრაფიაზე;
- წაიკითხონ ბიოგრაფია ინდივიდუალურად;
- გავაცნოთ მოსწავლეებს ბიოგრაფიის ცოდნის შეფასების რუბრიკები;
- მოსწავლეებმა თვითონ უნდა დაწერონ საინტერესო ადამიანის ბიოგრაფია;
- ინტერვიუს აღება;
- მოსწავლეთა ცოდნის დემონსტრირება დისკუსიის საშუალებით.

აუცილებელი პირობები:

- მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ, რა არის ბიოგრაფია, ავტობიოგრაფია; როგორ გვეხმარება მწერლის ბიოგრაფიის ცოდნა მისი შემოქმედების შესწავლაში;
- მოსწავლეები უნდა იცნობდნენ ინტერვიუს აღების პრინციპებს.

მასალა: რევაზ ინანიშვილის მოთხრობების კრებული

გაკვეთილის მსვლელობა:

შესავალი: მოსწავლეები იმუშავებენ წყვილებად, აიღებენ ინტერვიუს და დაწერენ ერთმანეთის ბიოგრაფიას ინტერესების, დაბადების ადგილის, ეპოქის გათვალისწინებით.

გავიხსენებთ რევაზ ინანიშვილის ადრე შესწავლილ ნაწარმოებებს. მოსწავლეებს გავაცნობთ ბიოგრაფიის რუბრიკებს.

ძირითადი ნაწილი: გაკვეთილის ძირითადი ღერძია რევაზ ინანიშვილის ავტობიოგრაფიის შესწავლა.

მოსწავლეებს დაწერილი აქვთ მეგობრის ბიოგრაფია. ამდენად, მათ იციან ბიოგრაფიის აგების პრინციპი. ინდივიდუალურად კითხულობენ რევაზ ინანიშვილის ავტობიოგრაფიას და ორმხრივი ჩანაწერების დღიურის გამოყენებით ქმნიან დედის, ბებიის, მამის პორტრეტებს.

შესაძლებელია, მასწავლებელმა საჭიროებისამებრ თვითონ შეარჩიოს ციტატები და კლასთან ერთად ახსნას. მწერლის ბიოგრაფიაზე დაყრდნობით უნდა შეიქმნას ეპოქის სურათი. წინააღმდეგობით აღსავსე ხანა: ერთი მხრივ, უღობო ეზოები და მეორე, ერთ ღამეში გაკაფული ვენახი; რწმენა, ხალასი სული, სოფლის სითბო და ენით აუწერელი ბოროტება.

როგორ ზრუნავდა სოფელი მომავალი თაობის აღზრდაზე?

ორმხრივ ჩანაწერთა დღიური

ორმხრივ ჩანაწერთა დღიური არის სქემა, რომელიც ეხმარება მკითხველს დააკავშიროს ტექსტში მოცემული მასალა საკუთარ შეხედულებებთან, ცოდნასთან, ცნობისმოყვარეობასთან. ტექნიკურად ეს სამუშაო ასე სრულდება: სქემის ერთ მხარეს მოსწავლე ამოიწერს ტექსტიდან რაიმე ციტატას და მეორე მხარეს თავისი სიტყვით ხსნის მას.

დასკვნითი ნაწილი: აზრების შესაჯამებლად გავმართავთ დისკუსიას.

ლიტერატურა:

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ეროვნული სასწავლო გეგმა, თბ., 2008.
2. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, 2008.
3. თერნბული ჯ., პროფესიონალი მასწავლებლის 9 მახასიათებელი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2009.
4. როგორ ვასწავლოთ მასწავლებლებს აზროვნება, ეროვნული სასწავლო გეგმისა და შეფასების ცენტრი, 2007.
5. ვებ გვერდი, http:\\www.ascd.org

იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური მემკვიდრეობა ოჯახის აღმზრდელობითი ფუნქციის პრობლემის ჭრილში

ლია კორინთელი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **თამარ სიდამონიძე**, მოწვეული სპეციალისტი, დოქტორი

იაკობ გოგებაშვილს სწავლა-განათლება მიაჩნდა ყოველმხრივ განვითარებული მომავალი თაობის, ,,ახალი ტიპის ქართველის“ აღზრდის მძლავრ იარაღად. განსაზღვრავდა რა სკოლის როლსა და დანიშნულებას, პედაგოგიკის ქართველ კლასიკოსს სწამდა, რომ ბავშვის პირველი აღმზრდელი იყო ოჯახური გარემო, რომელსაც უდიდესი გავლენა ჰქონდა ბავშვის სულიერ და გონებრივ ფორმირებაზე. ბავშვთა აღზრდის გაუმჯობესება, იაკობის აზრით, ოჯახის საერთო კულტურის ამაღლებით უნდა დავიწყოთ: ,,განათლებული ოჯახი უკეთ ართმევს თავს ბავშვის სწორად აღზრდას, გაუნათლებელი კი ამას მოკლებულია, ამიტომ საჭიროა და აუცილებელი ბავშვთა აღზრდის საქმის გაუმჯობესება დავიწყოთ მშობლების შეგნებაში მათი შვილის კარგად აღზრდის მოვალეობის გაცნობიერებითა და განმტკიცებით“ (1; 11). ეს კი მაშინ გახდებოდა შესაძლებელი, როცა ოჯახს მტკიცე კავშირი ექნებოდა სკოლასა და მასწავლებელთან. ამ მოთხოვნიდან გამომდინარე, იაკობი ცდილობდა, სასწავლო სახელმძღვანელოებსა და საკითხავ წიგნებში ისეთი მოთხრობები და სხვა საინტერესო შინაარსის შემცველი ამბები შეეტანა, რომელიც აამაღლებდა მოსწავლეთა საერთო განვითარების დონეს, ხელს შეუწყობდა აღსაზრდელთა და მშობელთა პედაგოგიური კულტურის ამაღლებას. ასე მაგალითად, სამშობლოსათვის თავდადებული, პატრიოტული გრძნობით გამსჭვალული, დიდ წინაპართა გმირული ტრადიციებით შთაგონებული ახალგაზრდების აღზრდისათვის, იაკობ გოგებაშვილს შეჰქონდა პატრიოტული შინაარსის ნაწარმოებები, რომლებიც ჩვენი ხალხის ღირსეულ შვილთა მამაცობის, გმირობისა და ვაჟკაცობის ცოცხალი მაგალითებით ნორჩ მკითხველთა სულსა და გრძნობებზე უდიდეს ზეგავლენას მოახდენდა და მშობელსაც განაწყობდა ღირსეული შვილების აღსაზრდელად.

იაკობ გოგებაშვილმა ,,ბუნების კარში“ შეიტანა პატრიოტული სულისკვეთებით განმსჭვალული ლექსები და მოთხრობები. ჩვენი ყურადღება მიიპყრო გამოჩენილი მწერლისა და პედაგოგის სილოვან ხუნდაძის ლექსმა ,,დედა და შვილი“, რომელშიც შვილი იგონებს მომაკვდავი დედის დარიგებას: ,,ისწავლე, შვილო, რომ შეიქნე კარგი სწავლული და შენი სწავლით ასარგებლო შენი მამული“... მართლაც, სწავლა-განათლების დედააზრი და მისი უპირველესი დანიშნულება არა მხოლოდ საკუთარი თავის წარმოჩენა, ეგოისტური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაა, არამედ სამშობლოსა და ხალხისადმი ერთგული სამსახური, განათლების დონის ამაღლება, ეროვნული თავისუფლებისათვის ზრუნვა და თავდადებაა.

მშობლისა და წინაპართა მაგალითსაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მოზარდთა აღზრდაში. იაკობ გოგებაშვილის სამართლიანი მტკიცებით: ,,ქართველი ხალხი იხსენიებს და ადიდებს მხოლოდ იმ თავის მეფეებს, რომელნიც დიდ ჭკუასა და მამაცობას იჩენდნენ, მტერზე ბრწყინვალედ იმარჯვებდნენ, კაცთმოყვარეობით იყვნენ შემკულნი, ხალხზე ზრუნავდნენ, მათ თავისუფლებას ნაკლებად ავიწროვებდნენ და განათლებას ჰფენდნენ მათ შორის. ასეთები იყვნენ: პირველი მეფე საქართველოსი ფარნავაზი, ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, დიმიტრი თავდადებული, გიორგი ბრწყინვალე და ერეკლე მეორე“ (1; 18). თითოეული მათგანის ცხოვრებაში დიდი როლი შეასრულეს დედებმა, რომლებიც ყველა გონივრულ საშუალებას იყენებდნენ შვილების განათლებულ, სამშობლოს ერთგულ, მამულისა და ხალხისათვის თავდადებულ, ვაჟკაცური ყოფაქცევისა და გმირული სულისკვეთებით გამსჭვალულ ადამიანებად აღზრდისათვის.

იაკობს ბავშვის აღზრდა-სწავლების საფუძვლად, მის ეროვნულ ბურჯად ,,დედა ენა“ მიაჩნდა და მთელ თავის ცოდნა-გამოცდილოებას მის გაფურჩქვნა-განვითარებას, ეროვნულ ნიადაგზე სახალხო განათლების დაფუძნებას და მოზარდი თაობის ზნეობრივი აღზრდის სისტემის სრულყოფა-დახვეწა-გამდიდრებას ახმარდა. იაკობ გოგებაშვილის აზრით, დედა ენის, ანუ მშობლიური ენის სწავლების უპირველესი ამოცანა იყო ეროვნული ცნობიერების, ეროვნული თვითშეგნების, პატრიოტული გრძნობის ფორმირება. ყოველ ადამიანს დაბადებიდან დაჰყვება ნიჭი დედა ენის შესწავლისა, რაც მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთან, მის ისტორიასთან. ერის ისტორიის ღრმა და საფუძვლიანი შესწავლა სიამაყით ავსებს ადამიანის გულს, უვითარებს ეროვნული ღირსების გრძნობას. როცა ერს ისეთი საშუალება აქვს

მოზარდი თაობის პატრიოტული აღზრდისათვის, როგორიც ,,დედა ენაა“ და მას არ გამოიყენებს, დანაშაულია და მეტი არაფერი. სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში იაკობ გოგებაშვილს, როცა იგი მკაცრად და დაუნდობლად ამხელდა იმ მშობლებს, რომლებიც თავიანთ შვილებს მშობლიურ ენას აშორებდნენ და უცხო ენას ასწავლიდნენ. ასეთი ,,დათვური სამსახური“ დამღუპველად მოქმედებდა მოზარდზე, მის გონებრივ განვითარებაზე.

იაკობ გოგებაშვილი ოჯახისა და სკოლის, მშობლებისა და მასწავლებელთა ერთ-ერთ უპირველეს ამოცანად მიიჩნევდა ბავშვებსა და მოზარდებში დედასამშობლოსადმი თავგანწირვისა და ხალხისადმი ურყევი ერთგულების გრძნობის განვითარებას. ქართველი დედ-მამა, ქართული ოჯახი ყოველთვის ცდილობდა შვილებში პატარაობიდანვე შთაენერგა სამშობლოსადმი ერთგულების, მართლმოყვარეობის, უანგარო მეგობრობის, პატიოსნების, შრომისმოყვარეობის, თავმდაბლობის, კეთილმოსურნეობის, კაცთმოყვარეობის, სათნოების, სიკეთის თესვის, სინდის-ნამუსიანობის, შვილებისადმი თავგანწირვის, ჰუმანიზმისა და სხვა მაღალადამიანური გრძნობები და თვისებები.

იაკობის შეხედულებით ყველა გონიერი ადამიანი უნდა ცდილობდეს, ცოდნა-განათლების გარდა, თავის შვილს მისცეს მაღალზნეობრივი აღზრდა. სწავლა-განათლების აღორძინება, ხალხის ზნეობრივი ამაღლება, მავნე ჩვეულებათა დაძლევა და ხალხის კეთილდღეობის ამაღლება მისთვის სანუკვარ იდეალს წარმოადგენდა. მამისა და დედის ტაქტიან მიდგომას, პირად მაგალითს, სამართლიანობას, გულწრფელობას, მომთხოვნელობას და გულითადობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს შვილის ზნეობრივ აღზრდაში. იაკობ გოგებაშვილმა თავის სახელმძღვანელოებში ქართული მწერლობის არაერთი ნიმუში მოათავსა იმ აზრით, რომ ქართველ ოჯახებს, ნაწარმოებთა მთავარი გმირების მაგალითზე აღეზარდათ თავიანთი შვილები. იაკობი საგულდაგულოდ არჩევდა ისეთ ნაწარმოებებს, რომლებშიც იგი მშობლისა და შვილის ურთიერთობას, აღზრდის დადებით ნიმუშებს წინა პლანზე აყენებდა. ილია ჭავჭავაძის ,,ოთარაანთ ქვრივი“ დედა-შვილობის საუკეთესო ნიმუშად არის მიჩნეული. ქვრივისა და მისი ერთადერთი შვილის - გიორგის დედაშვილური ურთიერთობა, მათი გულთბილი, გულწრფელი, ურთიერთპატივისცემაზე, მოვალეობის შეგნებაზე, ურთიერთმხურვალე სიყვარულზე, სამართლიანობასა და ერთგულებაზე დაფუძნებული ურთიერთგაგება მისაბაძია.

იაკობ გოგებაშვილი იზიარებდა ილიას შეგონებას, რომ შვილის აღზრდაზე უფრო მეტ გავლენას ახდენენ არა სიტყვები, არამედ საქმე და სიყვარულით შთაგონებული პირადი მაგალითი. შვილისადმი ოთარაანთ ქვრივის დამოკიდებულებით დასტურდება, რომ იაკობ გოგებაშვილს სამაგალითოდ მიაჩნდა ისეთი დედა, რომელიც ფარულად გულით ატარებს შვილის სიყვარულს და წარამარა ფერებით არ გამოხატავს ამ გრძნობას. მშობლის მართალ სიტყვას შვილისადმი, სწორ მიდგომას, მისი საქციელის ობიექტურ შეფასებას, დადებითის შექება-წახალისებას, ხარვეზების ტაქტიან მინიშნებას და მშობლის სამართლიანობაში შვილის დარწმუნებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ოჯახის პედაგოგიური ავტორიტეტის ამაღლებისთვის და ბავშვზე მისი გავლენის გაზრდაში.

თითოეული ოჯახი, იაკობის აზრით, შვილის წესიერად აღზრდისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას უნდა ანიჭებდეს ბავშვის საცხოვრებელი გარემოს მოწესრიგებას და შვილის ირგვლივ წესიერი ამხანაგების შემოკრებას. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბავშვებსა და მოზარდებში შრომისმოყვარეობის, გამრჯეობის, ბეჯითობის ჩანერგვა-გამომუშავებას. იაკობი ფიზიკურ შრომას აღიარებდა როგორც გონებრივი და ფიზიკური განათლების ერთ-ერთ საშუალებად. ამიტომ ის ურჩევდა მშობლებს ჩაებათ ბავშვები საოჯახო შრომაში გაკვეთილებისაგან თავისუფალ დროს.

იაკობი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა მშობელთა პედაგოგიზაციას და შვილებში წიგნიერების დონის ამაღლებას, წიგნის კითხვის სიყვარულს, რადგან, მისი აზრით, სწორედ ეს არის სათავე, საფუძველთა საფუძველი მომავალი ,,ღირსეული ქართველის“, ჭეშმარიტი მამულიშვილის აღზრდის საქმეში. ზემოაღნიშნული მიზნიდან გამომდინარე, ,,მშობლები მოვალენი არიან შეუდგინონ ბავშვებს ბიბლიოთეკა საუკეთესო საბავშვო წიგნებისა დედა ენაზე... წიგნების კითხვა გადაუქციონ თავის შვილებს ყოველდღიურ მოთხოვნილებად“ (2; 437).

იაკობ გოგებაშვილს ,,ბუნების კარში“ დამოწმებული აქვს დასავლეთ ევროპის ქვეყნების მოზარდთა აღზრდის მაგალითები, რათა ისინი ქართულ ოჯახებშიც გადაიღონ. ის წარმოაჩენს და ნათლად გვიჩვენებს გერმანელი, ამერიკელი, ნორვეგიელი და სხვა ხალხების სწავლა-განათლების, ადათ-წესების, შრომისმოყვარეობისა და ზნეობის დადებით მხარეს და მოითხოვს ბევრი კარგისა და მისაბაძის ქართულის სინამდვილეში გადმონერგვა-გათვალისწინებას: ,,მცხოვრებლების ზნეობა ამისთანა სახელმწიფოებში სანატრელს მდგომარეობაშია. ნორვეგიაში, მაგალითად, ქურდობა და ერთმანეთის მოტყუება ძალიან იშვიათი საქმეა. ხშირად სახლის პატრონი თავის სახლს, სხვადასხვა დოვლათით სავსეს, არა ჰკეტავს სხვაგან წასვლის დროსა და კარებს ღიასა სტოვებს, რადგან იცის, რომ იმის ქონებას

ხელს არავინ ახლებს... ბავშვების აღზრდა, სწავლა - განათლებულ ქვეყნებში ძლიერ კარგ მდგომარეობაშია“ (3; 436).

საოჯახო აღზრდის ეს მდგომარეობა როგორ გაზვიადებულადაც არ უნდა გვეჩვენოს, იაკობ გოგებაშვილს მისაბაძ მაგალითად მიაჩნდა. ის აღფრთოვანებას გამოხატავდა იმის გამოც, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხე (განსაკუთრებით დასავლეთ საქართველო) მოიფინა სკოლებითა და იზრდებოდა განათლებულთა რიცხვი: ,,მომავალი თაობა ცოდნით ბევრად ემჯობინება ეხლანდელს თაობას. რამდენადაც უფრო გავრცელდება ცოდნა საქართველოში, იმდენად უფრო წინ წავა ჩვენი სამშობლო ყოველი მხრით: ხალხს ჭკუა მოემატება, გონება გაუნათდება, დოვლათი თანდათან იმატებს, ზნეობა და ჩვეულება გაუმჯობესდება და ყოველი ცრუმორწმუნეობა მოისპობა“ (1; 54).

XIX ს-ის მეორე ნახევრის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურთა მთელი პლეადა - ილია, აკაკი და იაკობი - ქართველი ხალხის ხსნის იმედს ძველი წყობილების ახლებურად შეცვლაში, ქვეყნის ეკონომიკურ აღორძინებასა და ჩვენი ხალხის კულტურულ დაწინაურებაში ხედავდა, რაც ტრადიციული ქართული ოჯახებიდან უნდა დაწყებულიყო.

ლიტერატურა:

1. ბლაგიძე ჟანა, ოჯახის აღმზრდელობითი ფუნქციის პრობლემა იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიურ მემკვიდრეობაში, თბ., 1990.
2. გოგებაშვილი იაკობ, საგანძური (კრებული), თბ., 1982.
3. გოგებაშვილი იაკობ, ბუნების კარი, თბ., 1982.

ოჯახის, სკოლის და გარემოს როლი ბავშვის პიროვნებად ფორმირებაში

მარიამ კოჩუაშვილი, თამუნა გელაშვილი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ციური ბაქრაძე**, ასოცირებული პროფესორი

ბავშვის აღზრდა ერთ-ერთი ყველაზე საპასუხისმგებლო საქმეა ოჯახისთვის. აღზრდაზეა დამოკიდებული როგორ პიროვნებად ჩამოყალიბდება ბავშვი, რა თვისებები, რა ინტერესები ექნება მას, ცხოვრების როგორ გზას აირჩევს იგი. მშობელზეა დამოკიდებული ბავშვის ფიზიკური, კოგნიტური და პიროვნული განვითარების თავისებურებები. მნიშვნელოვანია, როგორ გარემოში გაიზრდება ბავშვი, როგორ დამოკიდებულებას გამოიჩენს მშობლის მიმართ, ანუ, აღზრდის როგორს ტილს გამოიყენებს იგი. ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესზე, რასაკვირველია, გენეტიკური ფაქტორიც ახდენს ზეგავლენას, მაგრამ როგორ მოხდება მასში ბუნებისაგან ჩადებული უნარების განვითარება, სწორედ მშობლის მიერ არჩეულ აღზრდის სტილზეა დამოკიდებული. [2]

ოჯახი მხოლოდ სასადილო და საძინებელი როდია, იგი ცხოვრების სკოლაა და ადამიანური არსებობის სარბიელი. ოჯახი ბავშვს უნდა ზრდიდეს არა მარტო ფიზიკურად არამედ, გონებრივად და ზნეობრივად. მშობლები არ უნდა კმაყოფილდებოდნენ ბავშვის ფიზიკური აღზრდა განვითარებით. ბავშვის სწორად აღზრდა გულისხმობს მშობლების მიერ კარგად მოფიქრებული კულტურული ღონისძიებების მთელი სისტემის სწორად წარმართვას. [1: 494, 501]

რა არის აღზრდა და აღზრდის უპირველესი მიზანი?

აღზრდის უპირველესი მიზანი უნდა იყოს ახალგაზრდობის მომზადება ყველა საზოგადოებრივი ფუნქციის პირნათლად შესრულებისთვის. აღზრდა-ყოფაქცევის ჩვევები, რომლებსაც იძლევა სკოლა, ოჯახი, გარემო და გამოვლინდება საზოგადოებრივ ცხოვრებაში - ასეთია ცნების პირდაპირი განმარტება.

- **ოჯახი**

მოდით განვიხილოთ და გავაანალიზოთ თუ რამდენად დიდ როლს თამაშობს ოჯახი ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბებაში. რა თქმა უნდა, ყველა ადამიანი თავდაპირველად ჩვილია, შემდეგ

იზრდება, ვითარდება და ყალიბდება ან მისაბაძ პიროვნებად ან უარყოფით ადამიანად, ეს ყოველივე კი ოჯახის დახმარებით ხდება. ვაჟა-ფშაველა წერდა: "ბოროტი არ იბადება არადროს კაცი, მის გაბოროტებაში გამზდელი, მშობლები, თვითონ ჩვენა ვართ დამნაშავე".

ამ პატარა ორგანიზმში ყვავდება და იფურჩქნება საზოგადოების მომავალი წარმომადგენელი. ზრდილობა, ზნეობა, ეთიკა, კარგი ქცევა ოჯახში ყალიბდება. დიახ, სწორედ, რომ ოჯახში სწავლობენ უფროსებისადმი პატივისცემას, პატარებისადმი გულისხმიერებას, მეგობრებისადმი გულითად და ჰუმანურ მოპყრობას. ბაბუასადმი და ბებიასადმი კეთილგანწყობას, დედისა და მამის პატივისცემას, თანატოლებთან ჰუმანურ მოქცევას. სულგრძელი ადამიანი საზოგადოებაშიც ამ ამამაღლებელი თვისებებით დაიმკვიდრებს თავს. თუ ადამიანი ოჯახში სათნოებას არის მოკლებული და არ იღებს შესაბამის აღზრდას, საზოგადოებას პრობლემას უქმნის. ზრდილობიანი ადამიანი მხოლოდ ორგანიზებულ და ჯანსაღ ოჯახში იზრდება. ამგვარ ოჯახში აღზრდილი თაობები არიან გაწონასწორებული და საზოგადოებისათვის სასარგებლო. არა ჯანსაღი ოჯახი კი ჰგავს იმ ქარხანას, რომელიც ზრდის ქვეყნის მტერს, აკეთებს ოჯახისა და ქვეყნის საწინააღმდეგო საქმეს. [3]

❖ **სკოლა**

ძნელია, თანამედროვე ცივილიზებული საზოგადოება განათლების გარეშე წარმოვიდგინოთ. ვიცით, რომ "ცოდნა-ძალაა" და ამ ძალას მოკლებული ადამიანი უძლური იქნება ორიენტირება იპოვოს წინააღმდეგობებით აღსავსე XXI საუკუნეში. არავისთვის იქნება უცხო თუ ვიტყვით, რომ განათლებას ყველაზე ხშირად სკოლასთან აიგივებენ. სკოლა ისეთ ინსტიტუტად განიხილება, სადაც ხდება პიროვნების ჩამოყალიბება. აქედან გამომდინარე, განათლების სოციოლოგიის საგანი სწავლა და სასწავლო დაწესებულებებია. პიროვნების აქტიური სოციალიზაციის პროცესი მაინც სკოლაში მიმდინარეობს. აღზრდა-განათლება მძლავრი სოციალური მექანიზმია, რომლის საშუალებითაც ხორციელდება ადამიანის სოციალიზაცია. სოციალიზაცია ასწავლის ბავშვს როგორ მოიქცეს, რა გაკეთოს იმისთვის, რომ მიაღწიოს დასახულ მიზნებს. აღზრდისა და განათლების საშუალებით ხდება ადამიანი საზოგადოებრივი არსება. ამიტომ განათლების გარეშე წარმოუდგენელია საზოგადოების არსებობა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სკოლა აძლევს ბავშვს იმ უნარ-ჩვევებს, რასაც ვერცერთი სხვა სოციალური ინსტიტუტი და სასწავლო დაწესებულება ვერ მისცემს, ამიტომ გამართლებულია განათლების სოციოლოგიის საგნად სკოლისა და სასწავლო პროცესის მიჩნევა. სკოლის მერხიდან უკვე განსაზღვრულია ბავშვის ადგილი საზოგადოებაში.

მასწავლებლის ურთიერთობა მოსწავლეებთან ძალიან ფაქიზი და მრავალი მნიშვნელოვანი ნიუანსებისგან შედგება. თუმცა, უპირველესად განისაზღვრება, მასწავლებლის პიროვნებით, ზნეობრივი თვისებებით, ბავშვების სიყვარულით, მდიდარი სულიერი სამყაროთი. მასწავლებელი სანამ მასწავლებელი გახდება, მანამდე ადამიანად უნდა ჩამოყალიბდეს. მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობის ფორმებიდან გვინდა გამოვყოთ „პედაგოგიური ტაქტი". პედაგოგიური ტაქტი არის ზომიერების გრძნობა ზემოქმედების საშუალებათა შერჩევისას, პედაგოგის უნარი, ნებისმიერ შემთხვევაში გამოიყენოს აღმზრდელობითი ზემოქმედების ყველაზე ოპტიმალური საშუალება. პედაგოგიური ტაქტის მქონე მასწავლებელს შესწევს უნარი, აკონტროლოს თავისი ემოციური მდგომარეობა და მიიღოს გააზრებული გადაწყვეტილებები, ამიტომ ადვილად ამყარებს ურთიერთობას მოსწავლესთან. ასეთი მასწავლებელი საზოგადოებაში პატივისცემითა და ავტორიტეტით სარგებლობს.

ბავშვის სულიერ განვითარებასთან ერთად აუცილებელია გონებრივი განვითარებაც, რასაც ხელს უწყობს კლასში მასწავლებლის მიერ სწორად შემუშავებული სწავლის მეთოდები. მნიშვნელოვანია, ეს მეთოდები იყოს მრავალფეროვანი და ინდივიდუალურად მორგებული თითოეულ მოსწავლეზე.

შესაძლოა, განსაკუთრებული საჭიროების მქონე მოსწავლეები იყვნენ გაერთიანებულები ერთ კლასში. ისინი სწავლობენ მათთვის განკუთვნილი სასწავლო გეგმით. მათ სჭირდებათ განსაკუთრებული სასწავლო მეთოდები და მიდგომები. განსაკუთრებული სწავლების მეთოდები უკავშირდება მარია მონტესორის სახელს. 1988 წელს იუნესკომ მე-20 საუკუნის ოთხ უდიდეს პედაგოგს შორის დაასახელა ერთადერთი ქალი - მარია მონტესორი. მან თავისი უნიკალური მეთოდის გამოყენება თავისივე დაფუძნებულ „ბავშვის სახლში“ დაიწყო, რომელიც ითვალისწინებდა ღარიბი და აღზრდა-განათლებას მოკლებული ბავშვისთვის ცოდნის მიცემას.

„დამეხმარე, რომ გავაკეთო თვითონ“ - ეს მონტესორის მეთოდიკის მთავარი დევიზია და კარგად აჩვენებს, რომ მონტესორის პედაგოგიკაში მთავარი ადგილი უჭირავს ბავშვს, მის ინტერესებს, სურვილებს. მასწავლებელი კი წარმოადგენს არა მკაცრ მენტორს, არამედ მეგობარს და პარტნიორს.

❖ **გარემო**

ადამიანის ფიზიკური, მორალური და გონებრივი განვითარება ჯანსაღ გარემოში უნდა მოხდეს, ამიტომ საჭიროა, ყურადღება მივაქციოთ სოციუმს, რომელშიც მოზარდი ცხოვრობს და ვითარდება. გარეგანი ფაქტორები და დამკვიდრებული წესები ხშირად განსაზღვრავს ადამიანის პიროვნულ თვისებებს. საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურობა ხელს უწყობს სამყაროსთან ბავშვის ადაპტაციას და შეგუებას. გარემოს აღქმასა და შეცნობაში მას ეხმარება თანატოლებთან ურთიერთობა, ოჯახი და სკოლა. საზოგადოების თითოეული წევრი ვალდებულია, აქტიური მონაწილეობა მიიღოს ახალი თაობის აღზრდაში.

საზოგადოებაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესები პირდაპირ აისახება მოზარდზე, მის განვითარებაზე, ემოციებზე, ქმედებებზე და ღირებულებათა სისტემაზე. ამ დროს მიღებული გამოცდილება, წარმატებული თუ წარუმატებელი, არის პიროვნების მომავალი ქცევის მოდელის ჩამოყალიბების საფუძველი. მოზარდები ძალიან მგრძნობიარენი არიან. ისინი იმყოფებიან მოვლენათა ეპიცენტრში და მათზე ზეგავლენას ახდენს უამრავი ფაქტორი: ოჯახი, სკოლა, სამეზობლო, თანატოლები, მასმედია, საზოგადოებრივი აზრი, კულტურული კონტექსტი. ბავშვებსა და მოზარდებს შორის ძალადობა, საბოლოო ჯამში, არის რეაქცია იმაზე, რომ მათ ყურადღებას არ აქცევენ და არ აფასებენ.

არაჯანსაღ გარემოში ცხოვრება ხელს უწყობს მოზარდებს შორის ჩაგვრასა და ძალადობას, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ „ბულინგის“ სახელით. ბავშვთა საზოგადოებაში ძალადობის მსხვერპლი შეიძლება გახდეს ნებისმიერი მოზარდი, თუმცა ბულინგის მსხვერპლნი უფრო მეტად ხდებიან რაიმე ნიშნით განსხვავებული ბავშვები, იქნება ეს ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური, ეთნიკური, რელიგიური და ა.შ. ბულინგის მოტივაცია კი სხვადასხვაგვარია - შურისძიება, კონკურენცია, მიუღებლობა, მორჩილება ლიდერისადმი, სამართლიანობის აღდგენა და სხვ. [4]

საქართველოში ბავშვთა მიმართ ძალადობის კვლევა გაეროს ბავშვთა ფონდმა (იუნისეფი) 2007-2008 წლებში ჩაატარა. გამოკვლევის თანახმად, საქართველოში ბავშვთა მიმართ ძალადობის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა. მთლიანობაში, ბავშვთა 80% განიცდიდა ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას. სკოლაში უფრო ხშირია ბავშვთა შორის ძალადობა.

როგორც საგანმანათლებლო დაწესებულებებმა, ისე ოჯახმა ხელი უნდა შეუწყოს ბავშვების საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობას. ერთი მხრივ, უნდა მოხდეს ბავშვებში სოციალური უნარების განვითარება (მაგალითად, კომუნიკაციის უნარები, სოციალური წესები, თანამშრომლობა, ურთიერთპატივისცემა, კონფლიქტების მოგვარება და ა.შ.), მეორე მხრივ, კი უზრუნველყოფილი უნდა იქნას ბავშვების ჩართვა სხვადასხვა გასართობ აქტივობებში, ღონისძიებებში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში (გასართობი პარკები, კინო, თეატრი) და ა.შ.

დასკვნის სახით შეგვიძლია თქვათ, რომ ოჯახი, სკოლა და გარემო არის ერთი დიდი ძალა, რომელსაც უსაზღვრო გავლენა აქვს მოზარდის სულიერ ფორმირებასა და პიროვნებად ჩამოყალიბებაში. მართლაც, უნდა ითქვას, რომ ყველაფრის საწყისი სწავლა და წვრთნაა. ცოდნა და განათლება არის იარაღი, რომელიც ქვეყნის სასიკეთოდ მოქმედებს. როგორც ვაჟა ამბობდა, ქვეყნის ძალა პროგრესულად მოაზროვნე თაობაშია. არასოდეს უნდა შევწყვიტოთ ყველამ ერთად, ერთიანი ძალისხმევით აღვზარდოთ ახალი თაობა.

ლიტერატურა:

1. გ. დ. ბანძელაძე, ეთიკა, 1966.
2. http://www.ambioni.ge
3. www.blogspot.com
4. www.maswavlebeli.ge

ბედნიერების ცნება და კრიტერიუმები ბავშვის განვითარებაში

სალომე მუზაშვილი, გვანცა გვიმრაძე
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ციური ბაქრაძე,** ასოცირებული პროფესორი

რა არის ბედნიერება? ამ კითხვაზე პასუხი ალბათ ყველა ადამიანისთვის ინდივიდუალურია. ძნელია განვსაზღვროთ თუ რა არის ბედნიერება ზოგადად. ყველა ადამიანი სხვადასხვანაირად აღიქვამს ბედნიერებას. ზოგისთვის ეს შეიძლება იყოს მატერიალური კეთილდღეობა ან არამატერიალური ფასეულობები.

უპირველეს ყოვლისა, ბედნიერების ზოგადი ბუნების შესახებ ის უნდა ითქვას, რომ იგი არ შეიძლება იყოს ნეგატიური მოვლენა: ბედნიერება არ შეძლება იყოს ტანჯვის არსებობა, როგორც ეს მიაჩნიათ ბუდისტებს, სტოელებს, შოპენჰაუერს და სხვებს. ბედნიერება უნდა იყოს პოზიტიურად არსებული ფენომენი. არსებობა ორგვარია - მატერიალური, საგნობრივი და იდეალური, სულიერი. ბედნიერება არ შეიძლება იყოს არც მხოლოდ საგნობრივ-მატერიალური და არც მხოლოდ სულიერ-იდეალური. ბედნიერება უნდა იყოს ისეთი რამ, რაც ერთსა და იმავე დროს მატერიალურიც იქნება და იდეალურიც.

მატერიალურისა და იდეალურის, ხორციელისა და სულიერის ასეთი გამაერთიანებელი მოვლენა არის გრძნობა, განცდა. იგი არის სხეულის ცოცხალი ორგანიზმის გარკვეული ფიზიოლოგიური და ფსიქიკური მდგომარეობა.

გრძნობა შეიძლება იყოს მრავალნაირი, იმის მიხედვით, თუ რა იწვევს მას, როგორია ეს მოვლენა, რომლის ზემოქმედებასაც ადამიანი განიცდის. გრძნობათა მთელი მრავალფეროვნება შეიძლება დაყვანილ იქნას ორ ძირითად მარტივ გრძნობაზე - სიამოვნებასა და უსიამოვნებაზე. რა განსხვავებულიც არ უნდა იყოს ადამიანის განცდა, ის მაინც ამ კატეგორიებში თავსდება - ან სიამოვნება-ნეტარებას იწვევს, ან უსიამოვნება-ტანჯვას.

ყოველგვარი განცდა დროში მიმდინარეობს, პროცესია და მეტ-ნაკლები ხანგრძლივობა ახასიათებს. ხანგრძლივობა, თავის მხრივ, დამოკიდებულია განცდის მიზეზის თავისებურებაზე, განცდის რომელობაზე და ინტენსივობის ხარისხზე.

სიამოვნებასა და უსიამოვნებას - ორივეს რეალური შინაარსი გააჩნიათ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც არ აქვთ აბსოლუტური ხასიათი: ის, რაც სიამოვნებას იწვევს ერთში, შეიძლება უსიამოვნებას იწვევდეს მეორეში: ან ის, რაც სიამოვნებას იწვევდა გუშინ, შეიძლება უსიამოვნებას იწვევდეს დღეს. სიამოვნება-უსიამოვნების მიზეზი, მართალია, ყოველთვის გარკვეულია, მაგრამ როგორ განცდას გამოიწვევს ეს მიზეზი ადამიანში ეს თვით იმ ადამიანზეა დამოკიდებული, მის სუბიექტურ მდგომარეობასა და ხასიათზე. ამის გამო სიამოვნება და უსიამოვნება შეფარდებითი ცნებებია.

ასევე შეფარდებითი ცნებებია ბედნიერება და უბედურება: ის, რაც ბედნიერებად მიაჩნია ერთს, შეიძლება ბედნიერებად არ მიიჩნიოს მეორემ, ან უფრო მეტი, უბედურებადაც მიიჩნიოს. ასეთი აბსოლუტური სხვაობა შედარებით იშვიათია.

ერთსა და იმავე მდგომარეობას ზოგი მეტად თვლის ბედნიერად, ზოგი კი ნაკლებად. ბედნიერების ინტენსივობათა უსასრულობა იმას ნიშნავს, რომ ბედნიერებისაკენ სწრაფვას საზღვარი არ აქვს და კაცობრიობის განვითარება არასოდეს არ შეწყდება, ვიდრე საერთოდ იარსებეს სიცოცხლე. ასეთია ბედნიერების, როგორც განცდის ბუნება. ბედნიერება - ამბობდა კანტი - არის იმის პერმანენტული განცდა, რომ არსებობა სასიამოვნოა.

ნამდვილი ბედნიერება არის ჯანმრთელობის, სიუხვისა და ზნეობრივი სიხარულის სისტემატური ერთიანობა. მოთხოვნილებათა ასეთ სისრულეში და გონივრულ შეფარდებაშია ჭეშმარიტი ბედნიერების ობიექტური კრიტერიუმი.

ბედნიერების კრიტერიუმები

სიამოვნებას, როგორც ცნობილია, იწვევს ადამიანის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. მაშასადამე, ბედნიერების განცდის დახასიათებისათვის საჭიროა "მოთხოვნილებისა" და "დაკმაყოფილების" ცნებათა ანალიზი. ადამიანს უამრავი მოთხოვნილება გააჩნია. ყოველი მათგანი შეესაბამება ადამიანის სასიცოცხლო ფუნქციებს და სხვადასხვა უნარს.

1. **შიმშილისა და წყურვილის განცდა** - ადამიანს, როგორც ცოცხალ არსებას, უპირველეს ყოვლისა, ესაჭიროება კვება. არსებობს შიმშილისა და წყურვილის გრძნობა, რომელიც განიცდება როგორც უსიამოვნება. ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების პროცესში უსიამოვნებას ცვლის სიამოვნების განცდა.

2. სითბოსა და სიცივის განცდა - ადამიანს აქვს ზომიერი ტემპერატურის მოთხოვნილება. ეს მოთხოვნილება განპირობებულია უსიამოვნების განცდით, რასაც იწვევს სითბოს მინიმუმიც და მაქსიმუმიც. ზომიერი ტემპერატურის მოთხოვნილებას ადამიანი იკმაყოფილებს ტანსაცმლითა და ბინით.

3. ესთეტიკური სიამოვნების განცდა - ესთეტიკური, ემოციური მოთხოვნილება იმდენად ძლიერია, რომ ადამიანი არ კმაყოფილდება სასმელ-საჭმლის, საპირისპირო სქესის გარემომცველი ბუნების მშვენიერებით და ქმნის ხელოვნურ მშვენიერებას, ხელოვნურ სილამაზეს - მუსიკის, ცეკვის, მხატვრობის, მწერლობის, სანახაობისა და სხვათა სახით.

4. ინტელექტუალური განვითარების განცდა - ადამიანი მოაზროვნე არსებაა. მას ობიექტური სინამდვილის შემეცნების მოთხოვნილება გააჩნია, ჭეშმარიტების ფასი იცის და გონებრივი ინტელექტუალური განვითარების დაუშრეტელი სურვილი აქვს.

5. ზნეობრივი გრძნობა - ადამიანები ისე ვერ იარსებებენ, თუ ერთმანეთს არ დაეხმარნენ. ეს არის სოციალური გაცნობიერებული მოთხოვნილება, რომელსაც ზნეობრივი გრძნობა ეწოდება. ზნეობრივი გრძნობა მჟღავნდება სხვისთვის სასარგებლო მოქმედებაში, სიკეთის ქმედებაში.

ასეთია ადამიანის მოთხოვნილებათა ძირითადი სახეები, რომლებიც შეიძლება დავაჯგუფოდ ორ კლასად: მატერიალურ, დაბალ და სულიერ, უმაღლეს მოთხოვნილებად, შესაბამისად, ბედნიერება შესაძლოა მდგომარეობდეს ადამიანის მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში.

ბედნიერების შეფარდებითი ხასიათი

ბედნიერება, მართალია, მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას გულისხმობს, მაგრამ მოთხოვნილებას ერთნაირი მნიშვნელობა და ძალა არ გააჩნია. შესაბამისად, სხვადასხვა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება სხვადასხვა ხასიათისა და ინტენსივობის სიამოვნებას იძლევა.

სიამოვნების სხვადასხვა სახეობა განაპირობებს ბედნიერების ინტენსივობას. იმისდა მიხედვით, თუ რომელ მოთხოვნილებას იკმაყოფილებს ადამიანი და როგორი ხასიათის სიამოვნება-ნეტარებას განიცდის, იგი ხან მეტად იქნება ბედნიერი, ხან ნაკლებად.

სიამოვნება-ნეტარებისა და ბედნიერების დახასიათებაში განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი შეჩვევის, ადაპტაციის და მობეზრების ფაქტორების მოქმედებას. სიამოვნება-ნეტარება გარკვეული მოთხოვნილების დაკმაყოფილების შედეგია და თუ დაკმაყოფილება მუდამ ერთ დონზეა გაყინული და პროგრესს არ აქვს ადგილი, მაშინ სიამოვნება თანდათან ქრება, უფერულდება, ნეიტრალდება.

ბედნიერი არ ხარ არც მაშინ, როცა გინდა და არ გაქვს, და არც მაშინ, როცა გაქვს და აღარ გინდა. გამოდის, რომ ბედნიერება არ არსებობს, ან ასეთ რაიმედ მიგვაჩნია მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მომენტები, რომლებიც კუნძულებით არიან აქა-იქ გაბნეული ცხოვრების ვრცელ ოკეანეში.

ამასთან ერთად არსებობს რაღაც ნეიტრალური, ინდიფერენტული მდგომარეობა, როცა ადამიანი არც სიამოვნებას განიცდის დ არც უსიამოვნებას. ასეთ ნეიტრალურ მდგომარეობას, ან "უშინაარსო განცდას" ობიექტური მიზეზი არ გააჩნია, მაგრამ იგი განპირობებულია შეჩვევის, ადაპტაციის ფაქტორის მოქმედებით.

გამონათქვამები

ბედნიერებასთან დაკავშირებით ცნობილ მოაზროვნეებს თავიანთი შეხედულებები აქვთ:

- ბედნიერება გაზიარებით არ მცირდება." – **ბუდა**
- ,,თუ არ ფიქრობ, რომ ეს დღე მშვენიერია, უბრალოდ სცადე რომ დაივიწყო იგი." – **ზიგ ზიგლარი**
- „ბედნიერება ადამიანის არსებობის უმთავრესი მიზანი და მნიშვნელობაა." – **არისტოტელე**
- ,,იყო ბედნიერი ნიშნავს, არ შეწყვიტო იმის ფიქრი, რომ ბედნიერი ხარ." – **პალმერ სონდრეალი.**
- ,,არ არსებობს ბედნიერებაზე უკეთესი კოსმეტიკა". – **მარგარეტ ბლესინგტონი**
- ,,გიყვარდეს და უყვარდე – არ არსებობს ამაზე მეტი ბედნიერება ამ ქვეყანაზე." – **ჯორჯ სენდი**
- ,,ბედნიერება კოცნას წააგავს. უნდა გაუზიარო სხვას, რომ შენც ისიამოვნო მისით." – **რობერტ მიულერი**

• „ადამიანები ბედნიერების ძებნის სხვადასხვა გზებს ირჩევენ და ის ფაქტი, რომ ზოგჯერ ბედნიერება ჩვენს არჩეულ გზაზე არ არის, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ გზა შეგეშალა ან დაიკარგე.“ – **ჯექსონ ბრაუნი**

• ,,ამქვეყნად არაფერს არ შეუძლია ბედნიერება მოგიტანოს, შენი თავის გარდა.“ – **რალფ უალდო ემერსონი**

• ,,თუ გინდა იცხოვრო ბედნიერი ცხოვრებით, გახადე ბედნიერება შენი ცხოვრების მთავარი მიზანი.”– **აბრაამ ლინკოლნი**

• „თუ გინდა, რომ ბედნიერი იყო, მთელი არსებით უნდა მიეცე საყვარელ საქმეს, მაშინ დრო არ დაგრჩება იმის განსასჯელად, ხარ თუ არა ბედნიერი“. - **ბერნარდ შოუ**

• „სხვათა ბედნიერების ძიებაში გართულნი საკუთარს ვპოულობთ“. - **პლატონი**

• „ბედნიერების მსუბუქი თრთოლა გვათრობს ხოლმე, როცა წამიერად და მაცდურად უახლოვდება ერთმანეთს ორი სამყარო“ - **თომას მანი**

• „არსებობს სულიერი ბედნიერების ორი სახეობა: სულის სიმშვიდე (სუფთა სინდისი) და ყოველთვის მხიარული გული. პირველი შედეგია უდანაშაულობის შეგრძნებისა, მეორე -ბუნების საჩუქარია“ - **იმანუელ კანტი**

ლიტერატურა:
1. გ. დ. ბანძელაძე, "ეთიკა", თბილისი, 1980.
2. http://www.davidkenchadze.ge/ka/motivation/148

ეროვნული ცნობიერების ფორმირების იაკობ გოგებაშვილისეული კონცეფცია

მარიამ როსტომაშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **თამარ სიდამონიძე,** მოწვეული სპეციალისტი, დოქტორი

1876 წელს იაკობ გოგებაშვილმა გამოსცა “დედაენა’’ - ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი სახალხო სკოლებისთვის. ქართული საზოგადოების ’’გამსინჯველი კომისიის’’ მიერ წიგნი დაჯილდოვდა სტეფანე ზარაფოევის პრემიით. ეს იყო პირველი აღიარება ‘’დედაენისა’’, ეს იყო შედეგი თხუთმეტწლიანი თავდადებული შრომისა. იაკობ გოგებაშვილის აზრით, მშობლიურ ენაზე სწავლების უპირველესი ამოცანა იყო ეროვნული ცნობიერების, ეროვნული თვითშეგნების, პატრიოტიზმის ფორმირება, რადგან ის მთელი სისრულით ირეკლავდა ერის ფიზიოლოგიურ და ფსიქიკურ თავისებურებებს, მის ხასიათსა თუ ტემპერამენტს.

როგორც ვიცით, მშობლიური ენის ადვილად ათვისების ნიჭი ღრმად ძევს ყოველი ადამიანის გენეტიკურ კოდში. ამიტომაცაა, რომ ’’ყოველს ადამიანს დაბადებიდგან მოჰყვა მიდრეკილება და ნიჭი დედაენის ადვილად და ღრმად შესწავლისა. სწორედ იმგვარად, როგორც ბულბულს ყვება დაბადებიდანვე გალობის ნიჭი, იადონს - იადონურის გალობის ნიჭი და სხვა. ბავშვის ყოველ აზრს, წარმოდგენას, გრძნობას და სულის მოძრაობას მხოლოდ დედაენა ხატავს სინამდვილით და სისრულით’’ (4. გვ. 145).

ასეთია დედაენის მიმართება პიროვნებასთან, ინდივიდთან. იგი ამ პიროვნების პოტენციური შესაძლებლობების სინამდვილედ ქცევის, მისი რეალიზაციის ყველაზე ოპტიმალური გზაა. მაგრამ კიდევ უფრო მეტადაა დაკავშირებული დედაენა ერთან, მის ისტორიასთან. იგი ის ძვირფასი სალაროა, რომელშიც დაცულია ’’მთელი სიმდიდრე ხალხის გონებისა, ფანტაზიისა, ნაგრძნობისა და ნამოქმედისა და რომლის შესწავლა ბავშვს აკავშირებს მთელი ერის სულთან და გულთან, მის ხანგრძლივს ისტორიულს ცხოვრებასთან და ავსებს მას სულიერის დონით და მხნეობით’’ (4. გვ. 145).

როცა ერს ასეთი საშუალება აქვს მოზარდი თაობის პატრიოტული აღზრდისთვის, როგორიც ''დედაენაა'' და მას არ იყენებს, უბრალოდ დანაშაულია. ასე მიაჩნდა იაკობ გოგებაშვილს, რომელიც მკაცრად და დაუნდობლად ამხელდა იმ მშობლებს, რომლებიც თავიანთ შვილებს მშობლიურ ენას აშორებდნენ და უცხო ენას ასწავლიდნენ. ასეთი მშობლები, იაკობის აზრით, თავიანთ შვილებს ხელიდან ართმევდნენ ერთადერთ ძლიერ იარაღს გონების გახსნისათვის.

მსგავსად ილია ჭავჭავაძისა, იაკობ გოგებაშვილსაც ენა ერის ერთ-ერთ უარსებითეს ნიშნად მიაჩნია და თვლიდა, რომ თუ არა ენა, ერი არ იარსებებს. თუ ხალხი საკუთარ ენას დაივიწყებს, ერი გადაშენდება, ამიტომ თუ გვინდა, რომ ერი გადაშენებისგან ვიხსნათ, ენა რაც შეიძლება წმინდად და სუფთად უნდა შევინარჩუნოთ, რადგან ენის სიწმინდე ერის სიწმინდესა და შეურყვნელობას ნიშნავს. ეს მარტო იაკობ გოგებაშვილის აზრი არაა, ამ აზრს ავითარებენ ცნობილი მეცნიერები და პედაგოგიკის თვალსაჩინო სპეციალისტები. სანიმუშოდ იაკობ გოგებაშვილს მოჰყავს ბლეიხერის, უშინსკის, ვერსელის, კარლ ფოხტის, პოტებნიას აზრები იმის შესახებ, რომ დედა ენა მჭიდროდაა დაკავშირებული ადამიანის შინაგან ბუნებასთან და რომ დედა ენა არის ლოცვის, პოეზიის, ზნეობრივი და მოქალაქეობრივი მოვალეობის ენა.

როგორც ვრწმუნდებით, ქართული ენა ქართულ თარგზეა მოჭრილი, ქართველ კაცზეა მორგებული, მისი ეროვნული თავისებურებების შემოქმედიცაა და პროდუქტიც.

მშობლიური ენის როლი და მნიშვნელობა ქართველ კაცს ყოველთვის ესმოდა... როგორც აღნიშნავდნენ, იაკობის შედგენილი ,,დედაენა“ არა მხოლოდ პატარების, არამედ მთელი ხალხის სახელმძღვანელო გახდა, რომელმაც შეუტია უწიგნურობას და კუთხურობას: ,,ამიერ-იმიერი ერთიანი სახალხო ენით აამეტყველა, დააკავშირა, მწიგნობრობის გავრცელებასა და ქართველი ხალხის კონსოლიდაციაში ''დედაენის'' როლი ფასდაუდებელია“ (1. გვ. 5).

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ XIX საუკუნეს მეორე ნახევარში, როცა ფართოდ გაიშალა ბრძოლა ერთიანი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებისთვის, როცა არ არსებობდა ერთიანი ენობრივი ნორმები, იაკობის სახელმძღვანელოებმა იტვირთეს ეს მისია. ''დედაენისა'' და ''ბუნების კარის'' ქართული იყო ნორმა, ნიმუში სალიტერატურო ქართულისა... ამას გულისხმობს ზაქარია ჭიჭინაძე, როცა წერს: ''გოგებაშვილმა თავის ,,დედაენაში“ აღადგინა დაცემული ენა ქართველთა... და ამ წიგნის მეოხებით მთელი ქართველობა, ყველა თემისა და ხეობის მონათესავენი ერთის ქართული ენით იწყებდნენ წერა-კითხვის სწავლებას და ლაპარაკს, ყველგან ამ წიგნის მეოხებით ქრთული ენა ეფინება'' (1. გვ. 5).

შესანიშნავად ბრძანა შალვა დადიანმა: ''დედაენა“ ამაფეთქებელი ნაღმოსანით მისრიალდა ჩვენს მიუვალ მთა-კლდეებში, თუშეთსა და სვანეთში, მიდიოდა ბარად, შეუყვებოდა აჭარასა და მცხეთას და ყველგან სძრავდა ენას საქართველოდ, ყველგან აფეთქებდა გრძნობას ეროვნულსა'' (იქვე).

ობიექტურად აფასებდა ,,დედაენის“ როლსა და მნიშვნელობას გრიგოლ აბაშიძეც: ,,შეიძლება თამამად ითქვას, რომ ,,დედაენის“ შექმნა თავისი მნიშვნელობით უტოლდება ყველაზე დიდ წვლილს, რომელიც რომელიმე ჩვენს წინაპარს შეუტანია ჩვენი ერის სულიერ საგანძურში'' (1. გვ. 6).

ქართული ენა მდიდარია ზმნის ფორმათა მრავალფეროვნებით, სინონიმთა სიმდიდრით, ბრუნვათა სიმარტივით, გრამატიკული სქესის არქონით, რაც მჭიდრო კავშირს ამყარებდა ენასა და ეროვნულ ცნობიერებას, ეროვნულ თვითშეგნებას შორის.

ვის ჰქვია პატრიოტი? - სვამს კითხვას იაკობ გოგებაშვილი და თვითონვე პასუხობს: ,,პატრიოტი ჰქვია მას, ვისაც სიცოცხლის უმთავრეს საგნად გაუხდია მშობლიური ქვეყნის ბედნიერება, ვინც თავგამოდებულად და შეუპოვრად ებრძვის დაუღალავად ყოველს დაბრკოლებას, რომელიც მის სამშობლო ქვეყანას წარმატების გზაზე გადაღობებია...'' აი, ასე განმარტავს იაკობი პატრიოტიზმს, რაც მისი გაგებით არის ''ნაზი, როგორც კაკლის ხე, ღრმა როგორც მისი ფესვები, მაღალი, როგორც მისი წვერი, მის ტოტებივით განიერი და მის კოკრებივით ნაყოფიერი'' (2; 134).

თუ ერს სურს იარსებოს ქვეყანაზე, - წერდა იაკობ გოგებაშვილი - ''იგი თვალსაჩინოდ უნდა იცავდეს ეროვნულს გონებას, გულსა და სულსა...'' როცა ეს სიტყვები იწერებოდა, მხედველობაში გვაქვს მე-19 საუკუნის ბოლო პერიოდი, საქართველო მეფის რუსეთის ერთ-ერთ გუბერნიად იყო ქცეული და მისი ენა, კულტურა, ლიტერატურა დიდ შევიწროებას განიცდიდა. ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის მოწინააღმდეგე მოითხოვდა მშობლიურ ენაზე სწავლების განხორციელებას, რადგან: ''ხალხისათვის უცხო ენაზედ სწავლება სრულად მოსპობს ცხოველს კავშირს სკოლასა და ცხოვრებას შორის'' (იქვე).

ყოველი ერი, რომელსაც შეგნებული აქვს თავისი ეროვნული უნიკალურობა და განუმეორებლობა, უფრთხილდება თავის დედა ენას, ისტორიას და ლიტერატურას. ასე იქცევა ყველა ცივილიზებული ხალხი თანამედროვე მსოფლიოში. იაკობ გოგებაშვილს ევროპის, კერძოდ, პოლონეთის მაგალითი მოჰყავს, სადაც დედებს და მამებს წმინდა მოვალეობად მიაჩნიათ შეასწავლონ საკუთარ შვილებს

მშობლიური ენა სკოლაში მისვლამდე, გამართონ პატარები მეტყველებაში და შეათვისებინონ მათ პოლონური ენის ისტორიაც, ლიტერატურაც და მშობლიური ენაც.

რას ნიშნავს ერის გაქრობა, გადაგვარება? იაკობ გოგებაშვილის დაინტერესება აღნიშნული პრობლემით გასაგებია. მან კარგად იცოდა, რომ რუსეთის ცარიზმი მოწოდებული იყო მოეხდინა პატარა ერების ასიმილაცია. პირველ რიგში საჭირო იყო ყოველ ქართველში მამულის სიყვარულის აღმოფხვრა, მათთვის თავისი ქვეყნის გმირული წარსულის დავიწყება, ენის წართმევა და ეროვნული კულტურის მოსპობა. რუსეთი გეგმაზომიერად, ნაბიჯ-ნაბიჯ ახორციელებდა ამას. ისინი, ვინც სიტყვით პატრიოტობდნენ, საქმით კი - ღალატობდნენ ქართულ ენას და რუსულ მეტყველებაზე გადადიოდნენ, იაკობს ცრუპენტელებად და ,,ვაი ქართველებად" მიაჩნდა.

მსჯელობდა რა ქართველი ერის მომავალზე და მისი განვითარების პერსპექტივაზე, იაკობ გოგებაშვილს აუცილებლად მიაჩნდა კუთხური ინტერესების დაძლევა და სრულიად საქართველოს ინტერესების წინა პლანზე წამოწევა. კუთხურ კარჩაკეტილობას საქართველოს ცალკეული მხარეების ურთიერთდაპირისპირებას ზიანის გარდა სხვა არაფრის მოტანა არ შეეძლო. ამიტომ მთავარი ამოცანა იყო კონსოლიდაცია, ერის ყველა ფენის ერთი მიზნით გაერთიანება, კუთხურ კარჩაკეტილობაზე ამაღლება და საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესებით ხელმძღვანელობა. ეს გაერთმთლიანება საქართველოსი კი, უპირველეს ყოვლისა, ქართული ენის დახმარებით უნდა მომხდარიყო. გამომდინარე აქედან, ქართული ენა ქართული ეროვნული მთლიანობის პირობად და გარანტად იყო გამოცხადებული.

ქართული კულტურის ისტორიაში ძნელია დაასახელო უფრო დიდი აღმოჩენა, ვიდრე საანბანე წიგნის პირველი გაკვეთილი - ''აი-ია'' არის. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ეპოქალური მიგნება. ეს არის წიგნიერების ცხრაკლიტურისათვის ყველაზე მარჯვედ მორგებული გასაღები, თითქოს უბრალო და იმდენად მარტივი, ყველასათვის ნაცნობი და ბუნებრივი, რომ, როცა ეს გასაღები ხელთ გიჭირავს, ვერა ვგრძნობთ მის სიდიადეს. ასეთია იაკობ გოგებაშვილის თვალსაზრისი ქართველების ეროვნული ცნობიერების ფორმირებაში.

ლიტერატურა:

1. გიორგი გოგოლაშვილი, ირაკლი ავალიანი, ''დედაენა'' წიგნთა წიგნი, თბილისი, 2001.
2. გოგებაშვილი იაკობ, თხზულებები, ტომი I, 1952.
3. გიორგი გოგოლაშვილი, სიბრძნე იაკობისა, თბილისი, 2014.
4. იაკობ გოგებაშვილი 150, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1992.

კომპიუტერული ტექნოლოგიები და მათემატიკა

პითაგორას სამეულები

ეკა ანიაშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ლელა ალექსიძე**, ასოცირებული პროფესორი

ყოველთვის მაინტერესებდა, შეიძლება თუ არა მართკუთხა სამკუთხედის სამივე გვერდი გამოისახოს ლუწი მთელი რიცხვებით, კენტებით, სამი რიცხვიდან იყოს ორი ლუწი.

როგორც აღვნიშნეთ, მართკუთხა სამკუთხედს, რომლის გვერდებია 3, 4 და 5 ეგვიპტური ეწოდება. მაგრამ, არსებობენ ისეთი მართკუთხა სამკუთხედები, რომლის გვერდებია: 5, 12, 13 და 13, 8, 15 და ა.შ. თუ ამ მართკუთხა სამკუთხედების სიგრძეებს გავამრავლებთ ერთსა და იმავე მთელ რიცხვზე, მივიღებთ ახალი მართკუთხა სამკუთხედის გვერდების სიგრძეებს. ასე რომ, თუ მართკუთხა სამკუთხედის გვერდების სიგრძეებია: 3n, 4n, 5n, მაშინ (3n)2+(4n)2=(5n)2, სადაც $n \in N$. ასევე თუ 5n, 12n, 13n,

მართკუთხა სამკუთხედის გვერდებია, მაშინ $(5n)^2+(12n)^2=(13n)^2$, სადაც $n \in N$, მართლაც ვთქვათ n=4-ს, მაშინ $(5x4)^2+(12xn)^2=(13n)^2$, ე. ი. 400+2304=2704 და ა. შ.

როგორც ვხედავთ, ზემომოყვანილი ფორმულებით შეიძლება უამრავი მსგავსი მართკუთხა სამკუთხედის აგება, მაგრამ მართკუთხა სამკუთხედის გვერდების გამოსათვლელი რიცხვებია: 3, 4, 5. 5, 12, 13 და 13, 8, 15. ურთიერთმარტივი მთელი რიცხვებია, ხოლო მართკუთხა სამკუთხედების გვერდები, რომლის სიგრძეებია 20, 48 და 52 ჯერადია 4-ის.

ძნელი არ არის დამტკიცება, რომ მართკუთხა სამკუთხედის სამივე გვერდი არ შეიძლება იყოს კენტი, თუ დავუშვებთ, რომ სამივე კენტი რიცხვია ე.ი. a=2n+1, b=2m+1 და c=2k+1, მაშინ $a^2+b^2=(2n+1)^2+(2m+1)^2=4n^2+4n+1+4m^2+4m+1=4n^2+4n+4m^2+4m+2=2(2n^2+2n+2m^2+2m+1)$; ამრიგად გამოდის, რომ a^2+b^2არის ლუწი, ამიტომა არ შეიძლება c^2 იყოს კენტი. მაშასადამე, ჩვენი დაშვება, რომ სამივე რიცხვი კენტია, არ არის სწორი.

ასევე ადვილად შეიძლება დავრწმუნდეთ, რომ ორი მათგანი არ შეიძლება იყოს ლუწი. მართლაც, თუ ორი მათგანი იქნება ლუწი რიცხვი ე.ი. a=2n, b=2m, მაშინ $a^2+b^2=(2n)^2+(2m)^2=4n^2+4m^2=4(n^2+m^2)$. როგორც ვხედავთ, ტოლობის მარცხენა მხარე იყოფა 4-ზე, მაშინ ტოლობის მარჯვენა მხარეც, უნდა გაიყოს 4-ზე, ეს კი მაშინ მოხდება, თუ c გაიყოფა 2-ზე. მაგრამ ამ შემთხვევაში სამივე რიცხვი აღმოჩნდება ლუწი, ეს კი როგორც აღვნიშნეთ, შეუძლებელია, ე.ი. რჩება შემთხვევა, როცა ორი რიცხვი კენტია, ხოლო მესამე - ლუწი.

თუ a და b რიცხვები კენტია, მაშინ დამტკიცებულის თანახმად, a^2+b^2 ლუწი რიცხვია, ხოლო c^2 პირობის თანახმად ლუწია. ამიტომ ტოლობა $a^2+b^2=c^2$-იც უნდა არსებობდეს.

ამრიგად, თუ არსებობს სამი ურთიერთმარტივი მთელი რიცხვი a, b, c და სრულდება ტოლობა $a^2+b^2=c^2$. მაშინ, ამ რიცხვებიდან ორი კენტი უნდა იყოს, ხოლო ერთი ლუწი. ზემოთ მოყვანილ მაგალითებში: 3, 4, 5; 5, 12, 13 და 8, 15, 14 ეს პირობა დაცულია. ცხადია, ეს პირობა აუცილებელია, მაგრამ არასაკმარისი. სამი ნებისმიერი რიცხვისთვის, რომელთაგან ერთი ყოველთვის არ უდრის მესამე რიცხვის კვადრატს. მაგალითად $3^2+5^2=34$, მაგრამ არ არსებობს რიცხვი, რომლის კვადრატი უდრის 34-ს ასეთი გამონაკლისის მიუხედავად, პითაგორამ შეძლო ისეთ მეთოდის შემუშავება, რომლის მეშვეობითაც მოიძებნება პითაგორას ტრიადები.

პითაგორას წესის თანახმად, a=2n+1, $b=2n^2+2n$, $c=2n^2+2n+1$. ამრიგად, $(2n+1)^2+(2n^2+2n)^2=(2n^2+2n+1)^2$. ამრიგად, ფორმულები a=2n+1, $b=2n^2+2n$, $c=2n^2+2n+1$, როცა n=1, 2, 3, …. იძლევა პითაგორას ტრიადებს.

პითაგორას ფორმულიდან $b=2n^2+2n$, $c=2n^2+2n+1$ გამოდის, რომ ჰიპოტენუზა ყოველთვის მეტი უნდა იყოს ერთ-ერთ კათეტზე ერთი ერთეულით, მაგრამ ხომ არსებობს მართკუთხა სამკუთხედი, რომელთა გვერდებია: 8, 15 და 17 ეს მაგალითი იმის მაჩვენებელია, რომ პითაგორას ფორმულით შეუძლებელია მოიძებნოს მისი ყველა ტრიადი, ამიტომ პითაგორას მოწაფეები იღწვოდნენ ეპოვათ უფრო ძლიერი და სრულყოფილი ფორმულა, მათ იპოვეს პითაგორას ტრიადას საძებნი ფორმულები, როცა a კენტი რიცხვია. a, $\frac{a^2-1}{2}$ და $\frac{a^2+1}{2}$, რომლისთვისაც $a^2+\left(\frac{a^2-1}{2}\right)^2=\left(\frac{a^2+1}{2}\right)^2$.

პროკლე დიადოხოსის გადმოცემით პითაგორას ტრიადების მოძებნის ერთ-ერთი წესი იპოვა პლატონმა ძვ.წ. 428-348 წლებში. მის ფორმულებს ასეთი სახე აქვს: a=2n, $b=2n^2-1$; $c=n^2+1$. აქედან $(2n)^2+(n^2-1)^2=(n^2+1)^2$, საიდანაც, როცა n=3, 5, 7,… როცა n კენტია, მოიძებნება უსასრულოდ მრავალი მართკუთხა სამკუთხედის გვერდები, რომლებიც რომელიმე ლუწი რიცხვის ჯერადი იქნება, ხოლო როცა n = 2-ს , 4-ს, 6-ს ... მაშინ, მხოლოდ და მხოლოდ პითაგორას ტრიადები მოიძებნება.

პლატონის აკადემიაში მისმა მოწაფეებმა იპოვეს ფორმულები, რომლებითაც პითაგორას ტრიადების მოძებნა შეიძლება, როცა ერთ-ერთი კათეტის სიგრძე ლუწია ამ ფორმულებით. თუ a ლუწია, მაშინ რიცხვები a, $\left(\frac{a}{2}\right)^2-1$ და $\left(\frac{a}{2}\right)^2+1$ იძლევა პითაგორას ტრიადას და ამიტომ ჭეშმარიტია $a^2+\left(\left(\frac{a}{2}\right)^2-1\right)^2=\left(\left(\frac{a}{2}\right)^2+1\right)^2$ ტოლობა. ამრიგად, პითაგორას ტრიადამ საბერძნეთში ასეთი ამოხსნა მიიღო: a, $\frac{a^2-1}{2}$ და $\frac{a^2+1}{2}$, როცა a კენტია, ხოლო a, $\left(\frac{a}{2}\right)^2-1$ და $\left(\frac{a}{2}\right)^2+1$, როცა a ლუწია.

გაუსის ერთგვაროვანი ველების სტატისტიკური სტრუქტურების ძალდებული შეფასებები და ძალდებული კრიტერიუმები

ნათია კასრაძე
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ზურაბ ზერაკიძე,** პროფესორი

ვთქვათ მოცემული გვაქვს $ƶ_i(f,ω)$ გაუსის ერთგვაროვანი ველი $Eƶ_i(f,ω)=0$ $t∈T∈R^n$ ყოველი $i∈N$ b_i (t-s)= $Eƶ_i(f,ω)ƶ_i(s,ω)$ $i∈N$ $t,s∈T$. გაუსის $ƶ_i$ ერთგვაროვანი ველის შესაბამის ზოგიერთ $μ_i i∈N$ შესაბამისი სიმკვრივეებია $f_i(λ)$ $i∈N$.

განსაზღვრება. ჩვენ ვიტყვით, რომ {E, S, $μ_i i∈N$} გაუსის ერთგვაროვანი ველების სტატისტიკური სტრუქტურა უშვებს პარამეტრების ძალდებულ შეფასებას, თუ არსებობს ერთი მაინც ისეთი ზომადი ასახვა f: (E,S)=>(I, B(Iყოველი $i∈I$.

განსაზღვრა 2. ჩვენ ვიტყვით, რომ {E, S, $μ_i i∈N$} გაუსის ერთგვაროვანი ველების სტატისტიკური სტრუქტურების ჰიპოთეზათა შემოწმების ძალდებულ კრიტერიუმს თუ არსებობს ერთი მაინც ისეთი ზომადი ასახვა δ:(E,S)=>(H, B(H)), რომ სრულდებოდეს $μ_i$ (x:δ(x)=Hi)=1$i∈N$.

თეორემა 1. იმისათვის, რომ {E, S, $μ_i i∈N$} გაუსის ერთგვაროვანი ველების სტატისტიკური სტრუქტურა უშვებს პარამეტრების ძალდებულ შეფასებებს აუცილებელი და საკმარისია, რომ $\iint_{Rn} \frac{bij\ (λ,μ)}{fi(λ)fj(μ)} dλdμ=+∞$ ყოველი i,j ∈N, სადაც $\underline{bij\ (λ,μ)}$ არის კურიეს განზოგადებული გარდაქმნა $b_i(t-s)$ - $b_i(t-s)$.

დამტკიცება, აუცილებლობა. რადგან სტატისტიკური სტრუქტურა უშვებს პარამეტრების ძალდებულ შეფასებებს, ამიტომ არსებობს ზომადი ასახვა f:E=>I ისეთი, რომ $μ_i$ (x:f(x)=i)=1$i∈I$. აქედან გამომდინარეობს, რომ {E, S, $μ_i i∈N$} არის გაუსის ორთოგონალური სტატისტიკური სტრუქტურა. ე.ი. ყოველი i განსხვავებულია j-სგან $μ_i$ მართობულია $μ_j$ აქედან ზ. ზერაკიძის თეორემიდან გამომდინარეობს, რომ $\iint_{Rn} \frac{bij\ (λ,μ)}{fi(λ)fj(μ)} dλdμ=+∞$ ყოველი i,j ∈N. ამით აუცილებლად დამტკიცებულია.

საკმარისობა. მოცემულია $\iint_{Rn} \frac{bij\ (λ,μ)}{fi(λ)fj(μ)} dλdμ=+∞$ ყოველი i,j ∈N პირობა აქედან ზ. ზერაკიძის თეორემიდან გამომდინარეობს, რომ ესენი $μ_i$ მართობულია $μ_j$ წყვილ-წყვილად ორთოგონალურია. ე. ი. არსებობს ისეთი S ზომადი X_{ij} (k) სიმრავლეები, რომ ყოველი i განსხვავებულია j-სგან სრულდება $μ_j(X_i)=0$ და $μ_j(E- X_i)=0$ ე.ი. ჩვენი სტატისტიკური სტრუქტურა სუსტად განცალებადია, რაც იმას ნიშნავს, რომ სრულდება შემდეგი პირობები: $μj(Xj) = \begin{cases} 1 & i = j \\ 0 & i \neq j \end{cases}$

ავიღოთ ასეთი სიმრავლეები $\underline{X_i}=X_i-X_i \cap (UX_k)$ მაშინ $\underline{X_i}$ არიან წყვილ-წყვილად თანაუკვეთადი და $μ_i(\underline{X_i})=1$ ყოველი $i∈N$ ე.ი. ჩვენი სტატისტიკური სტრუქტურა განცალებადია. განვსაზღვროთ ასახვა f:E=>I შემდეგნაირად $f(\underline{X_i})=i$ და $μ_i$ (x:f(x)=i)=1$i∈I$. ამით თეორემა დამტკიცებულია.

ლიტერატურა:

1. I. Ibramkhaliov, A. Skhorokhod, Consistent Estimators of parameters of random processes. Naukova Dumka, Kiev, 1980.
2. Z. Zerakidze M. Mumladze, Statistical structures and consistent criteria for checking hypotheses. Lambert Academic Publishing, 2015.

სტატისტიკური სტრუქტურების ჰიპოთეზათა შემოწმების ძალდებული კრიტერიუმები

ნინო რაზმაძე
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელები: **ზურაბ ზერაკიძე,** პროფესორი, **ჯემალ ქირია** პროფესორი

ვთქვათ, მოცემული გვაქვს {E,S,μ_h, h∈H} სტატისტიკური სტრუქტურა, სადაც E,S ზომადი სივრცეა, {μ_h, h∈H} ოჯახი ალბათობებია S-ზე. B(H) ეს არის σ-ალგებრა, რომლებიც შეიცავს ყველა სასრული სიმრავლეებს H-დან.

შემოვიტანოთ განსაზღვრება 1. ჩვენ უნდა ვიპოვოთ, რომ {E,S,μ_h, h∈H} სტატისტიკური სტრუქტურა უშვებს ძალდებულ კრიტერიუმებს ჰიპოთეზათა შემოწმებისათვის, თუ არსებობს ერთი მაინც ისეთი ზომადი გადასახვა δ: (E,S)→(H,B(H)), რომ სრულდებოდეს შემდეგი პირობები: μ_h ({x:δ(x)=h})=1, ∀h∈H.

განსაზღვრება 2. ვთქვათ, S_0 არის σ-ქვეალგებრა S-σ-ალგებრის, S_0 σ-ქვეალგებრას ეწოდება თავისუფალი σ-ქვეალგებრა, თუ μ_h ყველა შევიწროვება S_0-ზე ყველა ერთსა და იმავე მნიშვნელობას იღებს, $\mu_h(S_0)$=const. 0≤const≤1 ∀h∈H. ჩვენ ვამბობთ, რომ სტატისტიკური სტრუქტურა {E,S,μ_h, h∈H} დაშლადია, თუ არსებობს ისეთი σ-ქვეალგებრები S_1, S_2 ⊂S რომ 1).

$S_1 \cup S_2$=S). S_1 არის საკმარისი σ-ალგებრისა და S_2 არის თავისუფალი. განსაზღვრება 3. ამ ქვე σ-ალგებრებს $S_1 \cup S_2$ ⊂S ეწოდებათ დამოუკიდებლები {E,S,μ_h, h∈H} სტატისტიკური სტრუქტურებისათვის, თუ μ_h(B∩C)= μ_h(B)× μ_h(C) ყოველი B∈S_1 C∈S_2 და ∀h∈H. განსაზღვრება 4. ვთქვათ $I^* = \bigcap_{h\in H}$(A∈S: μ_h(A)} σ-ალგებრას S_1 ⊂S ეწოდება მინიმალურად საკმარისი, თუ S_1 საკმარისი სტატისტიკაა და ყოველი სხვა S_1' საკმარისი სტატისტიკებისათვის სრულდება პირობები: S_1 ⊂σ($S_1' \cup I^*$).

ვთქვათ, k არის ქვესიმრავლე რაიმე ნამდვილი ან კომპლექსური წრფივი ვექტორული სივრცის A⊆k A-ს ეწოდება k სიმრავლის კიდურა ქვესიმრავლე, თუ მათი ამოზნექილი კომბინაცია ak_1+(1-a)k_2, 0<a<1 ეკუთვნის k-ს იმ შემთხვევაში, თუ k_1 და k_2 ეკუთვნის A-ს, ხოლო თუ A სიმრავლე შედგება მხოლოდ ერთი წერტილისგან, მას ეწოდება კიდურა წერტილი. განსაზღვრება. ვთქვათ, მოცემული გვაქვს წრფივი სივრცე და k⊂X A ამოზნექილი კომბინაცია ak_1+(1-a)k_2∈A k_1, k_2 ∈A $0 \leq a \leq 1$ რაიმე k წერტილს ეწოდება ექსტრემალური ანუ კიდურა წერტილი, თუ არ მოიძებნება არც ერთი ისეთი მონაკვეთი ამ სიმრავლეში, რომლისთვისაც ეს იქნება შუა წერტილი.

მტკიცდება შემდეგი თეორემები:

თეორემა 1. თუ არსებობს სტატისტიკური სტრუქტურები (E,S,μ_h, h∈H) ძალდებული კრიტერიუმები და ეს სტატისტიკური სტრუქტურა დაშლადია, მაშინ μ_h არის ექსტრემალური წერტილი μ_h∈S_μ^σ(S,S_2) ∀h∈H.

თეორემა 2. თუ სტატისტიკური სტრუქტურის დაშლა არის მინიმალური, მკაცრად სრული, ოპერატორი U გადასახვაა სივრცეზე და არსებობს ექსტრემალური წერტილები μ_h∈exp S_μ^σ(S,S_2) მაშინ არსებობს ასეთი სტატისტიკური სტრუქტურების ძალდებული კრიტერიუმები. მაგალითი: განვიხილოთ C_0 ყველა ნამდვილ მნიშვნელობიანი რიცხვითი მიმდევრობები, რომლებიც კრებადია 0-სკენ. X={X_n} $\lim_{n\to\infty} X_n$=0 ასეთი C_0 სივრცე არის ბანახის სივრცე ნორმით: ||X||=sup|X_n|. მაგალითი: მოცემულია ერთეულოვანი ჩაკეტილი სფერო {:X ||X||≤ 1} ეს სიმრავლე ამოზნექილია, მაგრამ არ გააჩნია კიდურა წერტილები.

ლიტერატურა:

1. I. Ibramkhalilov, A. Skhorokhod, Consistent Estimates of parameters of random processes, Naukova Dumka. Kiev, 1980.
2. Z. Zerakidze M. Mumladze, Statistical structures and consistent criteria for checking hypotheses. Lambert Academic Publishing, 2015.

მაგიური კუბი

ლონდა ხარაზიშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ლელა ალექსიძე,** ასოცირებული პროფესორი

რუბიკის კუბი (თავდაპირველად ცნობილი იყო, როგორც ,,მაგიური კუბი“) მექანიკური თავსატეხი, გამოიგონა უნგრელმა სკულპტორმა ერნო რუბიკმა 1974 წელს და დააპატენტა ერთი წლის შემდეგ.

თავსატეხი პლასტმასის კუბია, რომელიც გარედან უხილავ ღერძებზე მბრუნავი 26 მომცრო კუბისგან შედგება. კუბის ყოველ მხარეს ცხრა კვადრატიდან თითო შეღებილია ექვსი ფერიდან ერთ რომელიმე ფერად და განთავსებულია წყვილად ერთი მეორის საპირისპიროდ: თეთრი-ყვითელი, ლურჯი-მწვანე, წითელი-ნარინჯისფერი. კუბის მხარეების ბრუნებით შეიძლება ფერადი კვადრატების სხვადასხვაგვარად გადაჯგუფება. მოთამაშის ამოცანაა: ყოველი ზღვარი ისე უნდა გადაადგილდეს, რომ მოხდეს მათი სწორად დალაგება.

2009 წლის მონაცემებით, მსოფლიოს მასშტაბით სულ 350 000 000 კუბი გაიყიდა. ამ მაჩვენებლით კი ის ყველაზე გაყიდვადი თავსატეხი იყო.

მასაჩუსეტსის ტექნიკური უნივერსიტეტის მათემატიკოსებმა გიგანტური რუბიკის კუბის ასაწყობად კომბინაციების რაოდენობა განსაზღვრეს. რუბიკის კუბიკის შესწავლა მათემატიკოსებმა ჯერ კიდევ 80-იან წლებში დაიწყეს. როგორც აღმჩნდა, კუბიკის უამრავი კვადრატის გამო რთულია მის ასაწყობად კომბინაციების დამახსოვრება. 2010 წელს მათემატიკოსებმა შეძლეს და გამოიკვლიეს კუბიკის ყველა 43252003274486856000 შესაძლო ცვლილება, აღნიშნული რიცხვი მხოლოდ სტანდარტულ კუბს ეკუთვნის. მკვლევრებმა დაადგინეს, რომ ნებისმიერი საწყისი პოზიციიდან 20 სვლით არის კუბის აწყობა.

ახალ კვლევებში მეცნიერებს აინტერესებდათ აუცილებელი მოძრაობების ასიმეტრიული მაჩვენებელი, რომელიც აუცილებელია კუბიკის ასაწყობად.

მეცნიერებმა შეძლეს და დაადგინეს, რომ სვლების რაოდენობა O(n2) ანუ კუბიკის ასაწყობად აუცილებელი სვლების რაოდენობა n-ის კვადრატჯერ იზრდება. ორი კონკრეტული შემთხვევის საშუალებით, მათემატიკოსებმა აღნიშნული მაჩვენებლის გაუმჯობესება შეძლეს. არასტანდარტული კუბიკებისათვის, ზომით n კუბში და n კვადრატში, ფორმულა ასე გამოიყურება O(n2\$\log n$). საიდუმლო კი ის არის რომ, აღნიშნულ თავსატეხებში, უკანასკნელი მოძრაობით კუბიკის რამდენიმე გვერდის აწყობაა შესაძლებელი. კუბის ასაწყობად ალგორითმები გამოიყენება.

რუბიკის კუბის აწყობის ალგორითმი:

ნაბიჯი N1. პირველ რიგში ავარჩიოთ ერთი რომელიმე ფერი, სადაც შევძლებთ ავაწყოთ ჯვარი, მაგ., თეთრი. იმისთვის, რომ ავაწყოთ ჯვარი, აუცილებელია მის მოპირდაპირე მხარეს ანუ ყვითელ მხარეს ავაწყოთ ჯვარი და უკვე ჩასწორებული გვერდითი კუბიკებით ამოვიტანოთ მაღლა თეთრ მხარეზე.

ნაბიჯი N2. მას შემდეგ, რაც ავაწყობთ ჯვარს, გადავდივართ შემდეგ ეტაპზე, სადაც უნდა ავაწყოთ მთლიანად თეთრი მხარე. რომ ავაწყოთ თეთრი ფენა, საჭიროა მხოლოდ ოთხი კუთხის ელემენტი თავის ადგილას დავაყენოთ. ახლა ვეძებთ ისეთ კუბს, სადაც ერთ-ერთი მაინც იქნება თეთრი. მაგ.: თეთრი, წითელი და ლურჯი. გაფრთხილება! ასეთი კუბის პოვნის შემთხვევაში თეთრი ფერი ქვემოთ არ უნდა იყვეს. ვიყენებთ შემდეგ ფორმულას, რომ თეთრი ფერი მაღლა ამოვიდეს $Y^1 \to Y \to X_1^1$. როდესაც მივიღებთ სწორ წყობას, მაშინ გამოდის, რომ ამ კუბის ადგილი წითელ და ლურჯი ფერის მხარეებს შორის არის, მიგვაქვს ეს ელემენტი იმ ფერებთან, სადაც უნდა აღმოჩნდეს ეს ელემენტი. ამის შემდეგ განვიხილოთ ორი სიტუაცია:

1. თუ თეთრი ფერი მარჯვენა მხარესაა მაშინ, ვიყენებთ ფორმულას $Y_1 \to Y^1 \to Y \to Y_1^1$
2. თუ თეთრი ფერი მარცხენა მხარესაა მაშინ, ვიყენებთ შემდეგ ფორმულას $Y \to X^1 \to Y_1 \to X_1^1$

ნაბიჯი N3. ამის შემდეგ კუბი გვიჭირავს თეთრი მხრით ქვემოთ. ამ ეტაპზე ჩვენ უნდა განვათავსოთ თავის ადგილას 4 გვერდითი ელემენტი, რომ მივხვდეთ, არის თუ არა ესა თუ ის ელემენტი განკუთვნილი მეორე ფენისათვის, ვუყურებთ ამ ელემენტებს. თუ მათზე არ არის ყვითელი ფერი, მაშინ ის არის მეორე ფენისთვის. ვეძებთ არაყვითელ ელემენტებს. დავუშვათ, ჩვენ ვნახეთ ელემენტი ფერებით ლურჯი და წითელი, გამოდის რომ ეს ელემენტი უნდა აღმოჩნდეს წითელ და ლურჯ ცენტრებს შორის.

დავატრიალოთ ყვითელი მხარე ისე, რომ მაგ., წითელი ემთხვეოდეს წითელს და შემდეგ ყვითელი მხარე დავატრიალოთ ერთი სვლით უკან ისე, რომ ლურჯი ფერი ლურჯი მხრის საპირისპიროდ იყოს.

1. თუ წითელი მხარე არის მარცხენა, მაშინ: $X_1^1 \to Z \to X^1$
2. თუ ლურჯი მხარე არის მარჯვენა, მაშინ: $Y_1^1 \to Z \to Y^1$

ამის შემდეგ ამ ფორმულების გამოყენებით ჩავასწოროთ

$Y^1 \to Y^1 \to Y \to Y^1$, $Y \to X^1 \to Y_1 \to X_1^1$

ნაბიჯი N4. აქ სამი შესაძლო ვარიანტია



1. თუ ჯვარი უკვე აიწყო გადავდივართ შემდეგ ეტაპზე.
2. $Y_1^1 \to X \to Z_1 \to X_1 \to Y \to Y^1$
3. $X^1 \to Z^1 \to Y_1 \to Z_1^1 \to Y \to X_1^1$

ნაბიჯი N5. ამ ეტაპზე ჩვენი მიზანია რომ ყვითელი მხარე სულ აგვეწყოს, რა თქმა უნდა უკვე აწყობილის დანგრევის გარეშე: $X \to Y_1 \to Z^1 \to Y \to X_1 \to Y_1 \to Z_1^1$. ამ ფორმულას ვიყენებთ მანამ, სანამ ჩვენს სასურველ პოზიციამდე არ მივალთ, ანუ ერთ მხარეს მაინც არ აიწყობა სწორი კომბინაცია. თუ მივიღეთ სასურველი პოზიცია, მაშინ გადავდივართ შემდეგ ფორმულაზე: $Z_1 \to Y_1 \to Z \to X$. ახლა ზევითა ანუ ყვითელ მხარეს ვატრიალებთ მარცხენა მხარეს და ვიყენებთ ისევ ამ ფორმულას: $Z_1 \to Y_1 \to Z \to X$. რუბიკის კუბიკი აწყობილია.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (ბიოლოგია, გეოგრაფია) და მიმართულებათშორისი დარგი (სპორტი)

ჰალოგენების შემცველი პრეპარატები მედიცინაში

ქეთევან გიგუაშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ესმა წკრიალაშვილი**, მოწვეული სპეციალისტი, დოქტორი

როგორც ცნობილია, ჰალოგენებს უწოდებენ პერიოდული სისტემის VII A ჯგუფის ქიმიურ ელემენტებს - ფტორს, ქლორს, ბრომს, იოდს და ასტატს. მათი ბოლო წარმომადგენელი ასტატი ბუნებაში პრაქტიკულად არ გვხვდება, რადიოაქტიური ელემენტია. ჰალოგენებს ნაერთების სახით შეიცავს ცხოველთა და ადამიანთა ორგანიზმების ქსოვილები. მათი ნაკლებობა ორგანიზმში სხვადასხვა დაავადებას იწვევს.

სამედიცინო მიზნით გამოყენებული ჰალოგენების ნაერთები შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს: 1. ჰალოგენების და 2. ჰალოგენიდების. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება აქტიური ქლორის შემცველი ნივთიერებები (ქლორიანი კირი), იოდის პრეპარატები (იოდი და მისი 5 და 10%-იანი სპირტიანი ხსნარები). ქლორიანი კირი გამოყენებულია, როგორც სადეზინფექციო საშუალება, იოდის პრეპარატებს კი ანტისეფსისური მოქმედება ახასიათებს.

მეორე ჯგუფს მიეკუთვნება ჰალოგენების უჟანგბადო ნაერთები: ქლორწყალბადმჟავა, ნატრიუმის ქლორიდი, კალიუმის ქლორიდი, ნატრიუმის ბრომიდი, კალიუმის ბრომიდი, ნატრიუმის იოდიდი და კალიუმის იოდიდი. მათი თვისებები მოყვანილია №1 ცხრილში.

ნატრიუმის და კალიუმის ქლორიდები, ბრომიდები და იოდიდები აღწერილია სახელმწიფო ფარმაკოპეაში. ამ პრეპარატების ფიზიკური თვისებები, მიღებისა და ანალიზის მეთოდები ერთმანეთის მსგავსია.

ნატრიუმის ქლორიდი მიიღება ტბებისა და ზღვების წყლის აორთქლებით. ამ დროს მასში რჩება საკმაოდ ბევრი მინარევი, რომლებსაც აშორებენ განსაზღვრული თანმიმდევრობით.

კალიუმის ქლორიდს იღებენ მინერალების - სილვინიტის KCl • NaCl ან კარნალიტის KCl • $MgCl_2$ • $6H_2O$ გადაკრისტალებით.

ბრომიდების მიღების ყველაზე გავრცელებული მეთოდია რკინა (II) და (III)-ის ბრომიდებ-ზე ($FeBr_2$ • $2FeBr_3$) ნატრიუმის კარბონატის მოქმედება.



$$FeBr_2 \cdot 2FeBr_3 + 4Na_2CO_3 + 4H_2O \longrightarrow 8NaBr + 2Fe(OH)_3\downarrow + Fe(OH)_2\downarrow + 4CO_2\uparrow$$

ამავე სქემის მიხედვით ახდენენ ნატრიუმის და კალიუმის იოდიდების მიღებას.

იოდის მიღების წყაროა ჭაბურღილის წყალი და ზღვის წყალმცენარეები. ო. მაგიდსონმა, პირველმა მსოფლიოში, დაამუშავა ნავთობის საბადოების მიდამოების წყლებიდან იოდის მიღების ორიგინალური ტექნოლოგია. არსებობს ნავთობის საბადოების წყლიდან იოდის მიღების სხვა მეთოდებიც. მაგ., დაჟანგვა და შემდგომი გამოწვლილვა ორგანული გამხსნელებით.

პრეპარატების იგივეობის დასადგენად მიმართავენ თვისებით რეაქციებს შესაბამის კათიონებსა და ანიონებზე. ეს რეაქციები აღწერილია ფარმაკოპეის ზოგად სტატიაში. მაგ. ნატრიუმის იონი უფერო ალს აფერადებს ყვითლად, კალიუმის იონი კი იისფრად.

ჰალოგენიდ-იონები შეიძლება იდენტიფიცირებული იქნას აზოტმჟავიან არეში ვერცხლის ნიტრატით დალექვის რეაქციით. გამოილექება ვერცხლის ძნელადხსნადი მარილები, რომლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან შეფერილობით:



$$NaCI + AgNO_3 \longrightarrow NaNO_3 + AgCI\downarrow \text{ თეთრი ნალექი}$$
$$KBr + AgNO_3 \longrightarrow KNO_3 + AgBr\downarrow \text{ მოყვითალო ნალექი}$$
$$NaI + AgNO_3 \longrightarrow NaNO_3 + AgI\downarrow \text{ ყვითელი ნალექი}$$

ჰალოგენიდების პრეპარატებს რაოდენობრივად საზღვრავენ არგენტომეტრული ან იონგაცვლითი ქრომატოგრაფიული მეთოდებით.

ქლორიდების, ბრომიდებისა და იოდიდების პრეპარატების თვისებები.

ცხრ. 1.

	პრეპარატის სახელწოდება	ფორმულა	ფიზიკური თვისებების აღწერა	ხსნადობა
	ნატრიუმის ქლორიდი	NaCl	უსუნო, მლაშე გემოს, თეთრი კრისტალები ან ფხვნილი	ადვილად იხსნება წყალში, წყალხსნარს ნეიტრალური რეაქცია აქვს. მცირედ იხსნება ეთანოლში, იხსნება გლიცერინში
	კალიუმის ქლორიდი	KCI	უსუნო, მლაშე გემოს, თეთრი კრისტალები ან ფხვნილი	ადვილად იხსნება წყალში, წყალხსნარს ნეიტრალური რეაქცია აქვს, უხსნადია ეთანოლში
	ნატრიუმის ბრომიდი	NaBr	უსუნო, მლაშე გემოს, თეთრი კრისტალური ფხვნილი, ჰიგროსკოპულია	ადვილად იხსნება წყალში, იხსნება ეთანოლში
	კალიუმის ბრომიდი	KBr	უსუნო, მლაშე გემოს, თეთრი კრისტალები ან წვრილკრისტალური ფხვნილი	ადვილად იხსნება წყალში, მცირედ იხსნება ეთანოლსა და გლიცერინში
	ნატრიუმის იოდიდი	NaI	უსუნო, მლაშე გემოს, თეთრი კრისტალური ფხვნილი, ჰიგროსკოპულია	ძალიან ადვილად იხსნება წყალში, ადვილად იხსნება ეთანოლსა და გლიცერინში
	კალიუმის იოდიდი	KI	უსუნო, მომწარო, მლაშე გემოს, თეთრი კრისტალები ან წვრილკრისტალური ფხვნილი	ძალიან ადვილად იხსნება წყალში, იხსნება ეთანოლში, ადვილად იხსნება გლიცერინში

ჰალოგენიდებს მედიცინაში იყენებენ სხვადასხვა მიზნით:

0,3%-მდე ქლორწყალბადმჟავას (მარილმჟავას) შეიცავს კუჭის წვენი. იგი ააქტიურებს ბიო-კატალიზატორებს - ფერმენტებს, რომლებიც თავის მხრივ ხელს უწყობენ საჭმლის მონელების პროცესს კუჭში. თუ კუჭის წვენში მჟავა ნორმაზე ნაკლებია, საკვები ცუდად გადამუშავდება, სიჭარბე კი იწვევს „გულძმარვის“ შეგრძნებას. ორივე შემთხვევაში საჭიროა მჟავას შემცველობის ნორმირება - ნაკლებობისას, მარილმჟავას ძალიან განზავებული ხსნარის მიღებით - ჭამის წინ 10-15 წვეთს 1/4 -1/2 ჭიქა წყალზე, დღეში 2-4-ჯერ, სიჭარბის შემთხვევაში კი განეიტრალებით, რისთვისაც იყენებენ სათანადო პრეპარატებს. ქლორწყალბადმჟავა ძლიერი მჟავაა და შეუძლია გამოაძევოს სხვა მჟავები მარილებიდან. იგი შეუთავსებელია ზოგ პრეპარატთან: მაგ. გლიკოზიდებთან - ახდენს მათ ჰიდროლიზს; ანტიბიოტიკებთან - იწვევს ინაქტივაციას.

ნატრიუმის ქლორიდს იყენებენ, როგორც პლაზმის შემცველ სითხეს. NaCI-ის 0,9%-იანი ხსნარი (ფიზიოლოგიური ხსნარი) მედიცინაში გამოიყენება ნორმალური წნევის შესანარჩუნებლად ორგანიზმში. გამოყენებულია აგრეთვე ნატრიუმის ქლორიდის ჰიპერტონიული ხსნარები (3, 5 და 10%-იანი) და იზოტონური ხსნარები.

კალიუმის ქლორიდს იყენებენ, როგორც კალიუმის იონების წყაროს ჰიპოკალიემიის დროს.

ნატრიუმისა და კალიუმის ბრომიდები გამოყენებულია, როგორც სედატიური საშუალებები (5, 10 და 20%-იანი ხსნარები 10 მლ-იან ამპულებში).

იოდიდებს იყენებენ იოდის უკმარისობის (ენდემიური ჩიყვი) და ზოგიერთი ანთებითი პროცესის დროს. სახელმწიფო ფარმაკოპეაში იოდის პრეპარატებიდან ცნობილია იოდი, იოდის 5 და 10%-იანი სპირტიანი ხსნარები. იოდს ახასიათებს თვისებები, რითაც განსხვავდება სხვა პრეპარატებისაგან. იოდი აქროლადია ჩვეულებრივ ტემპერატურაზე. იგი სხვადასხვა გამხსნელში გახსნისას განსხვავებული შეფერილობის ხსნარებს წარმოქმნის. ამ თვისებით შესაძლებელია მისი იდენტიფიკაცია. მაგ., ჟანგბადშემცველ გამხსნელებში (წყალი, ეთერი, ეთანოლი) იოდის გახსნისას ხსნარი მურა შეფერილობისაა, უჟანგბადო გამხსნელში (მაგ., ქლოროფორმში) გახსნისას კი - იისფერი. იოდისა და მისი სამკურნალო ფორმების იდენტიფიკაციისათვის გამოყენებულია სპეციფიკური რეაქცია. იოდისა და სახამებლის ბუბკოს ურთიერთქმედებით მიიღება ლურჯი ფერის პროდუქტი. ადუღებისას შეფერვა ქრება, ხოლო გაცივებისას ისევ წარმოიქმნება. რენტგენოსტრუქტურული ანალიზით და სხვა ფიზიკურქიმიური მეთოდებით დადგენილია, რომ ლურჯი ფერის სახამებლის იოდიდი ჩართული ნაერთია. იგი წარმოიქმნება იოდის ატომების ჩართვით სახამებლის მოლეკულის კრისტა-ლური მესრის ღრუში.

იოდი მედიცინაში გამოყენებულია ანტისეფსისურ საშუალებად. იოდის 5 და 10%-იან სპირტიან ხსნარებს ხმარობენ ჭრილობის დასამუშავებლად, საოპერაციო არის მოსამზადებლად. იოდის 10%-იან ხსნარს ამზადებენ 95%-იან სპირტზე, 5%-იან ხსნარს კი განზავებულ სპირტზე და თან უმატებენ კალიუმის იოდიდს 2%-ის რაოდენობით. იოდის 5%-იანი სპირტხსნარი შედარებით მდგრადია, რაც აიხსნება კალიუმის იოდიდის მასტაბილიზებელი თვისებით. იოდის 10%-იანი სპირტხსნარი კი არამდგრადია, მასში ხდება სპირტის დაჟანგვა იოდით ჯერ ალდეჰიდამდე, შემდეგ კი მჟავამდე. ამიტომ იოდის 10%-იანი ხსნარი მზადდება მხოლოდ სპეციალური მოთხოვნის საფუძველზე ერთი თვის ვადით. იოდის ხსნარი კალიუმის იოდიდის წყალხსნარში მედიცინაში ცნობილია ლუგოლის ხსნარის სახელწოდებით. მას იყენებენ ძირითადად სახისა და ხორხის ლორწოვან გარსებზე წასასმელად.

ნატრიუმისა და კალიუმის ბრომიდები და იოდიდები შეუთავსებელია ალკალოიდების და სხვა აზოტშემცველი ორგანული ფუძეების მარილებთან (ხსნარებში) - წარმოიქმნება წყალში ძნელად ხსნადი ნაერთები. ბრომიდები ფარმაკოლოგიურად შეუთავსებელია მორფინის ჰიდროქლორიდთან და სხვა ანალგეტიკებთან - ქვეითდება ანალგეზიური მოქმედება.

ქლორიდების პრეპარატებს ინახავენ მშრალ ადგილას, მჭიდროდ თავდახურულ ქილებში. ბრომიდებისა და იოდიდების პრეპარატებს კი, გარდა ამისა, ინახავენ ბნელ ადგილას და მუქ - ნარინჯისფერ ქილებში. ნატრიუმის მარილები ძლიერ ჰიგროსკოპულია, ბრომიდებისა და იოდიდების კალიუმის მარილები კი ნაკლებ ჰიგროსკოპული.

ჰალოგენიდები „ბ“ სიის პრეპარატებია.

ლიტერატურა:

1. ქ. გიორგაძე, ნ. ლეკიშვილი. ზოგადი და არაორგანული ქიმია, ნაწ. მეორე (ქიმიური ელემენტები), თბილისი, 2010.
2. ბ. ჭუმბურიძე. ფარმაცევტული ქიმია, „განათლება“, თბილისი, 1996.
3. Беликов В. Г., Фармацевтическая химия, Изд. Высшая школа, М., 1985.

წყლის მნიშვნელობა სიცოცხლისთვის და მისი შემცველობა სასურსათო მცენარეებში

მარიამ გინტური
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნელი გოგინაშვილი**, პროფესორი

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „წყალი არს ერთი ოთხთა კავშირთაგანი, კეთილად დაბადებული ღვთისაგან პირველსა დღესა“...

წყალი ჩვენი პლანეტის ევოლუციის პროდუქტი და მიზეზია, უცნაური და უნიკალური ნივთიერება და უნივერსალური გამხსნელია. წყალი სიცოცხლის არსებობის აუცილებელი პირობაა, ქვეყნის სიმდიდრეა, განვითარებისა და კეთილდღეობის საფუძველია. წყალი მონაწილეობს პლანეტარული მასშტაბის რეაქციაში, რომელსაც უნდა უმადლოდეს სიცოცხლე ჩვენს პლანეტაზე.

ცოცხალი მატერია მთლიანად წყალზეა დამოკიდებული. ის შედის ყოველი უჯრედის შემადგენლობაში. აქტიურ ცხოველთა სხეულში მისი რაოდენობაა 70-90%, მაგრამ ზოგიერთი ხოჭოს სხეულის შემადგენლობაში 50%-ს არ აღემატება. წყლის განსაკუთრებით დიდი რაოდენობაა მედუზებში (99%). დადგენილია, რომ ახალგაზრდა ქსოვილში წყალი გაცილებით მეტია, ვიდრე დაბერებულში. ადამიანის ორგანიზმის 10%-ით გაუწყლოება მწვავე ინტოქსიკაციას იწვევს, 20% დანაკარგი - სიკვდილს. რამდენი სასმელი წყალი სჭირდება ადამიანს? მისი აუცილებელი ფიზიოლოგიური ნორმა დღე-ღამეში 2-3 ლიტრია.

ადამიანის ორგანიზმში წყალი 60-65%-ია. ის მონაწილეობს ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიურ თუ ბიოქიმიურ ყველა პროცესში. მას გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია, არის უნივერსალური გამხსნელი, უჯრედს აძლევს სასიცოცხლო ენერგიას.

წყალი ამაღლებს აღდგენითი მექანიზმების ეფექტურობას, იმუნურ სისტემას, ორგანიზმისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი ნივთიერებების შეთვისების და დაშლის პროდუქტების გარეთ გამოდევნის უნარს. ფილტვის უჯრედებში შეღწეული წყალი ამარაგებს მას ჟანგბადით და უჯრედიდან გამოაქვს ნარჩენი გაზები, ტოქსიკური ნარჩენები და მიაქვს ღვიძლსა და თირკმელებში, რადგან ისინი საბოლოოდ გამოდევნიან ორგანიზმიდან. წყალი იცავს ორგანიზმს გადახურებისგან (ოფლის გამოყოფა).

ყველა ცოცხალი ორგანიზმი, მათ შორის მცენარეთა სამყარო წყალთან დაკავშირებით სრულიად განსხვავებულ დამოკიდებულებას ამჟღავნებს. კერძოდ: 1) ჰიდატოფიტები - წყალმცენარეები და წყლის მცენარეები - მთლიანად ან თითქმის მთლიანად წყალში მცხოვრები სახეობებია. თუ მათ წყლიდან ამოვიღებთ, ისინი შრებიან და იღუპებიან. 2) ჰიდროფიტები - წყალხმელეთა მცენარეები, რომლებიც ნაწილობრივ წყალშუა არიან, იზრდებიან წყალსატევების ნაპირებზე, ჭაობებში. 3) ჰიგროფიტები - ხმელეთის მცენარეები, რომლებიც მაღალი ტენიანობის პირობებში ცხოვრობენ, ხშირად გვხვდებიან ტენიან ნიადაგზე. 4) მეზოფიტები - მათ მიეკუთვნება ის მცენარეები, რომელთაც შეუძლიათ გადაიტანონ ხანმოკლე ზომიერი გვალვა, ისინი იზრდებიან საშუალო ტენიანობის პირობებში, ზომიერი სითბოს რეჟიმში, მინერალური კვების კარგი უზრუნველყოფით. 5) ქსეროფიტები - ისეთი მცენარეებია, რომლებიც დაბალი ტენიანობის პირობებში იზრდებიან. ამიტომ აქვთ სპეციალური შეგუებანი წყლის დეფიციტის გადასატანად. ქსეროფიტები იყოფა ორ ჯგუფად: ა) სუკულენტები - ხორციანი მცენარეები, ძლიერ განვითარებული წყლის დამგროვებელი ქსოვილებით ღეროში, ფოთლებში, ფესვებში. ბ) სკლეროფიტები - მცენარეები, რომლებიც გარეგნულად ხმელია, ხშირად ვიწრო, წვრილი ფოთლებით, კარგად აქვთ განვითარებული სკლერენქიმა, ამიტომ მათ შეუძლიათ დაკარგონ ტენის 25% და არ დაჭკნენ.

წყალი ბუნებაში ყველაზე გავრცელებული ნივთიერებაა, დედამიწის 71% წყლითაა დაფარული. მასში შედის პრაქტიკულად ჰიდროსფეროს ყველა ნაწილი: მდინარეების, ტბების, არხების, წყალსაცავების, ზღვებისა და ოკეანეების, მიწისქვეშა, მყინვარების წყალი (ყინული), ნიადაგის ტენი, ატმოსფეროს წყლის ორთქლი.

საქართველო მდიდარია წყლის რესურსებით. მის ტერიტორიაზე მიედინება 26060 მდინარე, რომელთა უდიდესი ნაწილი მცირე სიგრძისაა (25 კმ-ზე ნაკლები). საქართველოში 860-მდე ტბაა, უმეტესობა ძალიან პატარაა, ამიტომაც ტბების საერთო ფართობი 170 კმ^2-ს არ აღემატება (ქვეყნის ტერიტორიის 0,24%), მათი უმეტესობა მტკნარია. საქართველო განსაკუთრებით მდიდარია მინერალური წყლებით, რომლებიც წარმატებით გამოიყენება ამა თუ იმ დაავადების სამკურნალოდ.

როგორც აღვნიშნეთ, სასმელი წყალი სიცოცხლის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. მის გარეშე დედამიწა მკვდარი პლანეტა იქნებოდა. დედამიწაზე სასმელი წყლის საერთო რაოდენობა საკმაოდ შეზღუდულია და შეადგენს მთელი წყლის 2%-ს. ეს იმით აიხსნება, რომ წყლის დეფიციტს განსაზღვრავს არა მხოლოდ გეოგრაფიული მდებარეობა და ლანდშაფტი, არამედ მისი ეკონომიკური განვითარების და ცხოვრების დონეც. ამ მიზეზების გამო დედამიწის მოსახლეობის დაახლოებით ერთი მესამედი სასმელად ვარგისი წყლის მწვავე დეფიციტს განიცდის და იძულებულია ეს დეფიციტი არასასმელი წყლით შეავსოს.

ყოველდღიურად ვუახლოვდებით წყლის რესურსების უკმარისობის გლობალურ და მძაფრ კრიზისს. ღმერთმა ჩვენი სამყარო გასაოცარი რაოდენობის მტკნარი წყლებით დააჯილდოვა, მაგრამ ჩვენი უგუნურების გამო ის სწრაფად ქრება. მთელი მსოფლიოს მასშტაბით მიმდინარეობს მდინარეების, ტბების და დიდი მიწისქვეშა წყალსაცავების დაშრობის პროცესი, ხოლო მტკნარი წყლის ზოგიერთი წყარო იმდენად დაბინძურებულია, რომ გამოსაყენებლად გამოუსადეგარია.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ მცენარეულ ნედლეულში წყლის შემცველობის უდიდეს მნიშვნელობას, რადგან მის გარეშე მცენარე ვერ განახორციელებს სასიცოცხლო ფუნქციებს.

ჩვენი კვლევის მიზანს შეადგენდა ზოგიერთ სასურსათო მცენარეში გამოსაყენებელი ორგანოების მიხედვით წყლისა და მასთან ერთად მშრალი ნივთიერებების შემცველობის დადგენა.

კვლევის ობიექტია ისეთი ძვირფასი სასურსათო მცენარეები, როგორიცაა ბოსტნეული და საკმაზ-სანელებელი მცენარეები, რომლებიც გამოირჩევიან არა მარტო სასიამოვნო გემური თვისებებით და მაღალი კვებითი ღირებულებებით (ვიტამინების, ნახშირწყლები, ცილების, მინერალური მარილების და სხვა), არამედ მათი სამკურნალო თვისებებით ამა თუ იმ დაავადების წინააღმდეგ.

საკვლევ მცენარეში სხვადახვა სახეობის მიხედვით (მოტანილია 1-ელ ცხრილში) განვსაზღვრეთ ე.წ. თავისუფალი წყალი საყოველთაოდ მიღებული მეთოდით - გამოშრობის მეთოდით.

მცენარეთა სინჯები, შესაბამისი ლაბორატორიული დამუშავების შედეგად მოვათავსეთ ალუმინის ბიუქსებში და გამოვაშრეთ თერმოსტატში: I გამოშრობა - 150^{0}C-ზე 4 საათის განმავლობაში, II და III 100^{0}C-ზე 2-2 საათის განმავლობაში. სინჯები მივიყვანეთ მუდმივ წონამდე და გავიანგარიშეთ დაკარგული ტენის რაოდენობა, აგრეთვე მშრალი ნივთიერებების შემცველობა. შედეგი მოტანილია პირველ ცხრილში

ცხრილი 1.

წყლისა და მშრალი ნივთიერებების შემცველობა მცენარეულ პროდუქტებში

№	მცენარის დასახელება	შემცველობა, %		მცენარის ორგანო
		წყალი	მშრალი ნივთიერება	
1	პამიდორი	93,2	6,8	ნაყოფი
2	კიტრი	96,0	4,0	ნაყოფი
3	მწვანე ხახვი	92,5	7,5	მთელი მცენარე
4	ხახვი	87,3	12,7	ბოლქვი
5	წიწაკა ტკბილი	90,1	9,9	ნაყოფი
6	კომბოსტო თავიანი	89,0	11,0	თავი
7	კარტოფილი	73,7	26,3	ტუბერი
8	ბადრიჯანი	90,2	9,8	ნაყოფი
9	სტაფილო	86,5	13,5	ძირხვენა
10	ნიორი	68,9	31,1	ბოლქვი
11	მწვანე ლობიო	93,1	6,9	პარკი
12	სალათა	97,2	2,8	ფოთლები
13	ოხრახუში	85,0	15,0	ფოთლები
14	კამა	92,1	7,9	ფოთლები
15	ქინძი	94,0	6,0	ფოთლები
16	ნიახური	88,4	11,6	ფოთლები
17	ტარხუნა	94,5	5,5	ფოთლები და ყლორტები

როგორც ცხრილი 1-დან ჩანს, მკვეთრი სხვაობაა მცენარეებში მათში წყლის შემცველობასთან დაკავშირებით. კერძოდ, აღნიშნული მაჩვენებლის ცვალებადობა მცენარეთა სახეობის მიხედვით 73,7-97,2%-ს შეადგენს. წყლის დაგროვების მაღალი უნარით გამოირჩევა სალათა - 97,2%, კიტრი - 96,0%, ტარხუნა - 94,5%, ქინძი - 94%, პამიდორი - 93,2%, მწვანე ხახვი - 92,5%, მწვანე ლობიო - 93,1%, შედარებით მცირე რაოდენობის წყალს აგროვებს ნიორი - 68,9%, კარტოფილი - 73,7%, ნიახური - 88,4%, სტაფილო - 86,5%, ოხრახუში - 85,0%.

საკვლევი მცენარეებიდან წყალს მინიმალური რაოდენობით შეიცავს ნიორი 68,9%, მაქსიმალურს - სალათა 97,2%, შესაბამისად ცვალებადობს აგრეთვე მშრალი ნივთიერების მაჩვენებელი რომელიც უკუპროპორციულ დამოკიდებულებაშია წყლის შემცველობასთან.

ჩვენ მიერ ჩატარებული ცდების შედეგები რამდენადმე დაეხმარება მოსახლეობას ორგანიზმში წყლის ბალანსის შენარჩუნებისათვის, აგრეთვე მცენარეებიდან მშრალი ნედლეულის გამოსავლის გამოთვლისათვის, რასაც გარკვეული მნიშვნელობა აქვს სამკურნალო მიზნით გამოსაყენებელი ნედლეულის შეგროვებისა და შენახვისათვის.

ლიტერატურა:

1. ელიავა ი., ნახუცრიშვილი გ., ქაჯაია გ., ეკოლოგიის საფუძვლები, თბილისი, თსუ, 2009.
2. სუპატაშვილი გ., ქაჯაია გ., გარემო და ადამიანი, თსუ, თბილისი, 2001.
3. ქაჯაია გ., ეკოლოგია (გამოყენებითი ეკოლოგიის საკითხები), თბილისი, 1999.
4. მარგველაშვილი გ., ონიანი ო., მცენარის ქიმიური ანალიზი, თბილისი, მეცნიერება, 1987.

დედამიწის მაგნიტური ველი

მარიამ გოგიაშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **პაატა ქურდაძე**, ასოცირებული პროფესორი

დედამიწის ველის 90%-ზე მეტს შეადგენს წყარო, რომელიც არის დედამიწის გულში, ხოლო ბირთვის გარეგანი ნაწილი, ანუ დედამიწის ქერქის გარეშემო იქმნება ველის ის ნაწილი, რომელსაც ეწოდება ძირითადი ნორმალური ველი.

დედამიწის ზედაპირი დედამიწის 3 რადიუსის სიახლოვითაა მაგნიტურ ველთან (დედამიწის ეკვატორული რადიუსი 6378,1 კმ.), გვაძლევ იმ სურათს, თითქოს დედამიწა არის მაგნიტური სარტყელი ღერძით, რომელიც მიემართება ჩრდილოეთიდან სამხრეთით. ამ ველის ცენტრი ეხება დედამიწის ცენტრს, ღერძი კი არის დახრილი დაახლოებით 10°-ით. ასეთია იგივე რადიუსით გეომაგნიტური სარტყელები, გადაკვეთის წერტილები ველს და დედამიწის ზედაპირს შორის. მათი მდებარეობა დროის სხვადასხვა მონაკვეთში გამოიკვეთება ამა თუ იმ კოეფიციენტით გაუსის რიგში. ეს არის გლობალური მოდელები, ასევე საერთაშორისო გეომაგნიტური ანალიტიკური ველი, რომელიც იქმნება სხვადასხვა საერთაშორისო გეოგრაფიული ორგანიზაციების მიერ და ყოველ 5 წელში ერთხელ მტკიცდება გაუსის კოეფიციენტის სიახლე. აღნიშნავს ყველა მონაცემს, მდებარეობას, გეომაგნიტური ველისა და მის პარამეტრებს.

მაგნიტური ველის მსოფლიო ანომალიები.

დედამიწის მაგნიტური ველის რეალური სიძლიერის ხაზები არის ახლოს დიპოლის სიძიერის ხაზებთან, განსხვავდება ადგილობრივი არარეგულირობით, რომელიც დაკავშირებულია ქანების მაგნიტიზაციით ქერქში, რომელიც მდებარეობს ახლოს ზედაპირთან. ამის გამო დედამიწის ზოგიერთ ადგილში არის განსხვავება ველის პარამეტრებში და წარმოიქმნება მაგნიტური ანომალია. ისინი ერთმანეთზე ეწყობა და იწვევს მაგნიტურ სხეულზე სხვადასხვა სიღრმით დალექვას. მაგნიტური ველის

კოეფიციენტები, ითვლება გეომაგნიტური ველის სხვადასხვა მოდელით გაუსის კოეფიციენტის მიხედვით.

მაგნიტური ველის პარამეტრები.

მაგნიტური ისარი ნათლად გვიჩვენებს ველის მაგნიტური ინდუქციის მდგომარეობას. ის მიმაგრებულია ისე, რომ თავისუფლად ბრუნავს ვერტიკალურად და ღერძის ირგვლივ ჰორიზონტალურად. რადგან მაგნიტური და გეოგრაფიული პოლუსები არ ემთხვევა, მაგნიტური ისარი გვიჩვენებს მიმართულებას ჩრდილოეთიდან სამხრეთით, მხოლოდ მიახლოებით. ვერტიკალურ სიბრტყეს, რომელზეც მიმაგრებულია მაგნიტური ისარი, ეწოდება მაგნიტური მერიდიანის სიბრტყე და ხაზს, რომელიც ამ სიბრტყეს კვეთს დედამიწის ზედაპირთან, ეწოდება მაგნიტური მერიდიანი. მაგნიტური მერიდიანი ეს არის სიძლიერის ხაზი მაგნიტური ველისა, რომლებიც ხვდებიან ჩრდილოეთ და სამხრეთ მაგნიტურ პოლუსებზე. კუთხეს, მაგნიტურ და გეოგრაფიულ მერიდიანებს შორის ეწოდება მაგნიტური გადახრები.

დედამიწის მაგნიტური ველის ხაზები არაა პარალელურები, ეს ნიშნავს, რომ დედამიწის ველის მაგნიტური ინდუქცია არ არის სიბრტყის ჰორიზონტში, ის წარმოქმნის კუთხეს და ეწოდება მაგნიტური გადახრა. მას ნულოვანი სიახლოვე აქვს ეკვატორის მაგნიტურ წერტილებში, რომელიც მაგნიტური ღერძის პერპენდიკულარია.

დედამიწის მაგნიტური ველის ცვლილება.

გამოკვლევებმა დაამტკიცეს, რომ ნარჩენი ცხელი მინერალებით მიღებული მაგნიტიზაციის გამოკვლევით, როდესაც ისინი გრილ წერტილში ჩნდება, გვიმტკიცებს დედამიწის მაგნიტური ველის არაერთ ინვერსიას.

ოკეანურ ქერქში ჩაწერილია ყველა ცვლილება დედამიწის მაგნიტურ ველზე, ბოლო 190 მილიონი წლის შედეგები.

დედამიწის მაგნიტური პოლუსების შერევა.

პირველად მაგნიტური პოლუსების შედეგი დედამიწის ჩრდ. ნახევარსფეროში იყო აღნიშნული, პირველად - 1831 წელს, განმეორებით - 1904 წელს, შემდეგ - 1948, 1962, 1973, 1984, 1994 წლებში. სამხრეთის - 1841 წ. განმეორებით 1908 წელს. ბოლო 100 წლეულში სამხრეთ ნახევარსფეროში მაგნიტური პოლუსი გადაადგილდა თითქმის 900 კმ-ით და გადავიდა სამხრეთ ოკეანეში. უახლესი მონაცემებით არქტიკული მაგნიტური პოლუსი მიემართება ჩრდილო-აღმოსავლეთით, მაგნიტური ანომალიით, ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანის გავლით. გვიჩვენა, რომ მისი სიჩქარე 1973-1984 წლებში შეადგენდა 120 კილომეტრზე მეტს. 1984 წლიდან 1994 წლამდე 150 კილომეტრზე მეტს. 2007 წლის დასაწყისისთვის ჩრდილოეთ მაგნიტური პოლუსის დრიფტის სიჩქარე გაძლიერდა 10 კმ-ით.

ლომონოსოვმა 1759 წელს მოხსენებაში ,,საზღვაო გზის დაზუსტება“ მისცა საუკეთესო რჩევები, რომელიც აძლევდა უფლებას გაეუმჯობესებინათ კომპასის ჩვენების სიზუსტე. დედამიწის მაგნიტიზმის შესწავლისათვის ის სთავაზობდა შეექმნათ მუდმივი პუნქტების ქსელი, რომელსაც ერქმევა ობსერვატორია, სადაც ხდებოდა სისტემატური მაგნიტური კვლევები. ასეთი კვლევების ჩატარება აუცილებელი იყო ჩაეტარებინათ ზღვაშიც. ლომონოსოვის ეს აზრი მაგნიტური ობსერვატორიის შექმნის შესახებ მხოლოდ 60 წლის შემდეგ რუსეთში ასრულდა.

გადახრის და მოდელირების კუთხეების მიმართულება სივრცეში აღნიშნავს დედამიწის მაგნიტური ველის დაძაბულობას სივრცეში, მაგრამ ეს არ გვაძლევს რიცხვით მნიშვნელობას. XVIII ს-ის ბოლომდე არ ხერხდებოდა დაძაბულობის სიგრძის გაზომვა იმ მიზეზით, რომ არ იყო ცნობილი მაგნიტური ველის და მაგნიტური სხეულების ურთიერთობის აქტი. 1785-1789 წლებში ფრანგმა ფიზიკოსმა შარლ კუპონმა დაადგინა კანონი, რომელსაც თავისივე სახელი უწოდა. ამის შემდეგ გაჩნდა შესაძლებლობა ასეთი მაგნიტური ველის და მაგნიტური სხეულების სიგრძის გაზომვისა.

XVIII ს-ის ბოლოს გადახრისა და მიდრეკილების ჰორიზონტალური დაკვირვებით დაიწყო ერთობლივი კვლევა-დაკვირვება მაგნიტური ველის დაძაბულობაზე, რომელიც წარმოადგენდა პროექციას, მაგნიტური ველის დაძაბულობის ვექტორს ჰორიზონტალურ სიბრტყეზე.

გადახრის და მიდრეკილების მიხედვით შეიძლება გამოვითვალოთ მაგნიტური ველის დაძაბულობის ვექტორის სრული მოცულობა, პირველი თეორიული ნამუშევარი დედამიწის მაგნიტურ ველზე, თუ როგორია მისი მოცულობა, მიმართულება, დაძაბულობა დედამიწის ნებისმიერ წერტილში, ეკუთვნის გერმანელ მათემატიკოსს - კარლ გაუსს. 1834 წელს მან გამოხატა მათემატიკურად ფუნქციურ კოორდინატებზე სიხშირის და სიშორის გამოკვლევა ადგილზე. გაუსის ამ გამოკვლევებმა, რომელსაც ეწოდა დედამიწის მაგნიტიზმის ელემენტების სახელები, გახდა მისი სტატიის ფუნდამენტი, თანამედროვე მეცნიერების დედამიწის მაგნიტიზმზე. კერძოდ, 1839 წელს მან დაამტკიცა, რომ

მაგნიტური ველის ძირითადი ნაწილი გამოდის დედამიწიდან, პატარა, მოკლე გადახრების მნიშვნელობით, დედამიწის შიდა სფეროში.

1831 წელს ინგლისელმა ჯონ როსმა კანადის არქიპელაგში გახსნა ჩრდილოეთ მაგნიტური პოლუსი, ადგილი, სადაც მაგნიტურ ისარს უკავია ვერტიკალური მდგომარეობა, სადაც გადახრა უდრის 90°-ს და 1841 წელს ჯონ როსმა მიაღწია მეორე მაგნიტურ პოლუსს, რომელიც მდებარეობს ანტარქტიდაზე.

მაგნიტური დღეები.

ძალიან ბევრი ადამიანი თვლის, რომ მასზე მოქმედებს მაგნიტური აქტივობა, თუმცა ამ გავლენის მეცნიერული დასაბუთება არ არსებობს.

მზის აქტივობა მაგნიტური ქარიშხლებს გამოიწვევს. ამ დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამოვიჩინოთ და გეომაგნიტურ დღეებს მომზადებული შევხვდეთ.

ამ პერიოდში თავს იჩენს ჯანმრთელობის გაუარესება, ჩნდება უსიამოვნო სიმპტომები, როგორიცაა წნევის ცვალებადობა, ტაქიკარდია, გულის შეტევა, ჰიპერტონული კრიზები, სისხლძარღვთა სპაზმი, თავბრუსხვევა, თავის ტკივილები, სისუსტე, ხმაური ყურებში, ირღვევა ფსიქიკური მდგომარეობა, მცირდება აქტივობა, თავს იჩენს დაღლილობა, მწვავდება ნევროლოგიური დაავადებები, იმატებს შფოთვა და დეპრესია, უსაფუძვლო შიშები, იზრდება აგზნება, გაღიზიანება და არამოტივირებული აგრესია.

ლიტერატურა:

1. გულნაზი ხუხუა, მეცნიერება და სკოლა, ს.ს.უ. გამომცემლობა, 2013.
2. ლევან მნათობიშვილი, ფიზიკა, თბ., 2013.
3. დევიდ ჰოლიდეი, რობერტ რეზნიკი, ჯერლი უოლკერი, ფიზიკის საფუძვლები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010.
4.https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%92%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98_%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98
5. http://geonews.ge/geo/news/story/78869-gamoichinet-sifrtkhile---geomagnituri-dgheebi-martshi
6. http://www.crystalinks.com/earthsmagneticfield.html
7. http://hyperphysics.phy-astr.gsu.edu/hbase/magnetic/MagEarth.html

ძიუდოს ქართული სკოლის აღზრდილების წარმატებები საერთაშორისო არენაზე

ამირან ვახტანგაშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ალექსანდრე იაშვილი**, პროფესორი

ძიუდო სპორტული ორთაბრძოლის ერთ-ერთი გავრცელებული სახეობაა, რომელშიც გდებების გარდა ნებადართულია მტკივნეული და მახრჩობელა ილეთები.

ძიუდო იაპონური ეროვნული ჭიდაობაა, რომელიც შეიქმნა XIX საუკუნის მიწურულს, მისი ავტორი არის ძიგარო კანო, მან 1882 წელს ტოკიოში გახსნა ძიუდოს სკოლა, რომელიც დღესაც დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. ძიუდო იაპონიაში ყოველმხრივ განვითარებულ-გაწონასწორებული ადამიანის აღზრდის საშუალებად მიაჩნიათ.

XX საუკუნის დამდეგს ძიუდო შეიტანეს იაპონიის სკოლების, სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო პროგრამებში.

ამავე დროს იგი დანერგილია პოლიციისა და არმიის სტრუქტურებში.

ძიუდოს საერთაშორისო ასპარეზზე გამოტანის დროს იაპონელები აცხადებდნენ, რომ ძიუდოს ტექნიკური არსენალი მოიცავდა მსოფლიოში არსებული ორთაბრძოლების ყველა ტექნიკურ მოქმედებას, რაც ყველა ხალხს მისცემდა საშუალებას ძიუდოში ასპარეზობის დროს გამოეყენებინათ საკუთარი ეროვნული ორთაბრძოლების ტექნიკური არსენალი, რაც ამ დროისათვის ყველასათვის მისაღები აღმოჩნდა.

ქართველი ძიუდოისტები შეჯიბრებაზე პირველად გამოვიდნენ 1957 წელს, როცა საბჭოთა კავშირის და უნგრეთის ნაკრები გუნდების შეხვედრა გაიმართა საბჭოთა კავშირში. ამ დროისათვის ძიუდოს ჯგუფები არ არსებობდა და ნაკრებში სამბისტები შეიყვანეს, მათ შორის საქართველოდან იყვნენ: ბიძინა მაზიაშვილი, შალვა დაუშვილი, გურამ სიმონიშვილი და ოთარ შინჯიკაშვილი.

ორი წლის შემდეგ გამართულ ამხანაგურ შეხვედრაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებ გუნდთან მონაწილეობდნენ ანზორ კიკნაძე, დურმიშხან ბერუაშვილი და ოთარ შინჯიკაშვილი.

ქართველმა სპორტსმენებმა ყველა ბრძოლა მოიგეს, სწორედ მაშინ მიაქციეს ყურადღება ქართული ჭიდაობისა და ძიუდოს ილეთების მსგავსებას.

ქართველთა ოსტატობა კიდევ ერთხელ გამოჩნდა 1962 წელს, როცა თბილისში ჩამოვიდა საფრანგეთის ძიუდოისტთა ნაკრები გუნდი.

იმავე წელს საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდიდან ევროპის პირველი ჩემპიონები გახდნენ გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი ანზორ ქიბროწაშვილი და ქართველი ფალავანი ანზორ კიკნაძე. სწორედ აქედან იღებს სათავეს ძიუდოს ქართული სკოლის მიღწევები.

ქართველმა მწვრთნელებმა კარგად აუღეს ალღო ახალ საქმეს და თბილისსა და საქართველოს მრავალ ქალაქში გახსნეს ძიუდოს ჯგუფები.

თბილისში წარმატებით მუშაობდნენ ქრისტეფორე ნინიაშვილი და ბიძინა მაზიაშვილი, ქართლში - გურამ პაპიტაშვილი და გივი ზაუტაშვილი. გურამ პაპიტაშვილმა ძიუდოს სექცია გახსნა გორის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, რომელიც შემდგომში ქართული ძიუდოს ერთ-ერთ ცენტრად იქცა. გორში აღიზარდნენ ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები.

ძიუდომ ფეხი მოიკიდა ახმეტაში, კასპში, ქარელში, მესტიაში, ლენტეხში, ქუთაისში, საგარეჯოში, დუშეთსა და გარდაბანში.

ძიუდოს ქართული სკოლა თავად იაპონელებმა აღიარეს, მათ ჯერ საფუძვლიანად შეისწავლეს ქართული ჭიდაობა და შემდეგ კი ქართველი მწვრთნელები პრაქტიკული მეცადინეობების ჩასატარებლად იაპონიაში მიიწვიეს.

დღემდე ქართულმა ძიუდომ რამდენიმე თაობა გამოიცვალა, თითოეულ თაობას თავის ლიდერები და ჩემპიონები ჰყავდა. პირველი თაობიდან გამოირჩეოდნენ: ანზორ კიკნაძე, ანზორ ქიბროწაშვილი და ფარნაოზ ჩიკვილაძე.

1970 წლიდან ახალი ლიდერები გამოჩნდნენ: შოთა ჩოჩიშვილი, გივი ონაშვილი, გურამ გოგოლაური, შენგელი ფიცხელაური, რამაზ ხარშილაძე, თემურ ხუბულური, ჯიბილო ნიჟარაძე, ამირან მუზაევი, შოთა ხაბარელი, დავით ბოდაველი და ოლეგ ზურაბიანი. ამ ფალავნებმა არაერთი გამარჯვება მოიპოვეს ოლიმპიურ თამაშებში, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში. მიუნხენის 1972 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი გახდა შოთა ჩოჩიშვილი, 1980 წელს კი თამაშების ოლიმპიური ჩემპიონი გახდა შოთა ხაბარელი.

საქართველოში ძიუდოს განვითარებას ხელი შეუწყო თბილისის ტრადიციულმა საერთაშორისო ტურნირმა, რომელიც ტარდება 1970 წლიდან, რომელშიც მსოფლიოს უძლიერესი მოჭიდავეები მონაწილეობდნენ.

სწორედ ამ ტურნირზე აიდგეს ფეხი კობა კურტანიძემ და ამირან ტოტიკაშვილმა, რომლებიც 1989 წელს მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ. მათ ამავე წელს ევროპის ჩემპიონის ტიტულები დაისაკუთრეს.

1989 წელს მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის მედალი მოიპოვა აკაკი კიბორძალიძემ, ხოლო გია თენაძემ ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა.

ამის შემდეგ დიდ სარბიელზე გამოჩნდნენ დავით ხახალეიშვილი, გიორგი ვაზაგაშვილი, სოსო ლიპარტელიანი, გიორგი რევაზიშვილი, ნესტორ ხერგიანი, ალექსი დავითაშვილი, ივერი ჯიქურაული, დავით მარგოშვილი, დავით ქევხიშვილი და ზურაბ ზვიადაური.

დავით ხახალეიშვილი 1992 წლის ბარსელონას ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი გახდა.

სოსო ლიპარტელიანმა 1996 წელს საქართველოს სახელით პირველადი ოლიმპიური ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე.

2004 წელს ზურაბ ზვიადაური ათენის 2004 წლის ოლიმპიურ თამაშებზე პირველი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა დამოუკიდებელი საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები გუნდი ხუთჯერ გახდა (2002, 2003, 2007, 2010 და 2012 წლებში) ევროპის ჩემპიონი გუნდურ შეჯიბრებაში.

2003 წელს მეორე ადგილი მოიპოვა გუნდურ შეჯიბრებაში საქართველოს ნაკრებმა.

2006 და 2008 წლებში საქართველოს ნაკრები გახდა მსოფლიოს ჩემპიონი გუნდურ შეჯიბრებაში.

1979 წელს პიველი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი თემურ ხუბულური, რომელმაც იგივე გაიმეორა 1981 წელს. მან 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებზე ვერცხლის მედალი მოიპოვა.

1980 წლის მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი გახდა შოთა ხაბარელი.

1989 წელს მსოფლიოს ჩემპიონი გახდა კობა კურტანიძე.

2007 წელს მსოფლიოს ჩემპიონი გახდა ირაკლი ცირეკიძე, რომელმაც 2008 წელს პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე ოქროს მედალი მოიპოვა იგი არის ერთადერთი ქართველი ძიუდოისტი, რომელიც ორივე უმაღლეს ტიტულს ფლობს.

2012 წლის ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე ოქროს მედალი მოიპოვა გორის ძიუდოს სკოლის აღზრდილმა 20 წლის ლაშა შავდათუაშვილმა.

საამაყოა რომ ქართველ ძიუდოისტებს მსოფლიო ჩემპიონატებზე მოპოვებული აქვთ 17 ოქროს მედალი.

ზაზა კედელაშვილი - 2006, 2008 წლები
ლაშა გუჯეჯიანი - 2006, 2008 წლები
დავით ქევხიშვილი - 2006, 2008 წლები
ირაკლი ცირეკიძე - 2006, 2007 და 2008 წლები
გრიგოლ მამრიკიშვილი - 2006 წელი
გიორგი ყიზილაშვილი - 2006 წელი
ზვიად ხანჯალიაშვილი - 2006 წელი
მინდია ხომაზური - 2008 წელი
ვარლამ ლიპარტელიანი - 2008 წელი
ნოდარ მეტრეველი - 2008 წელი
ლომერ ჟორჟოლიანი - 2008 წელი

ვერცხლის მედლები მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონატებზე ანზორ ქიბროწაშვილმა 1965 წელს, აკაკი კიბორძალიძემ 1989 წელს, დავით ხახალეიშვილმა 1993 წელს, გორის სახელმწიფო ეკონომიკური ინსტიტუტის სტუდენტმა გიორგი ვაზაგაშვილმა 1995 წელს, გიორგი რევაზიშვილმა 1997 წელს, ზურაბ ზვიადაურმა 2001, 2003 წლებში, ვარლამ ლიპარტელიანმა 2009, 2010 წლებში.

ბრინჯაოს მედლები აქვთ მოპოვებული ანზორ კიკნაძეს 1967 წელს, გივი ონაშვილს 1969 წელს, შენგელი ფიცხელაურს 1973 წელს, დავით ბოდაველს 1981 წელს, თამაზ ნამგალაურს 1979, 1983 წელს, გიორგი თენაძეს 1981 წელს, გიორგი ვაზაგაშვილს 1993, 1997 წლებში, გიორგი რევაზიშვილს 1999 წელს, შოთა ჩოჩიშვილს 1975 წელს, შოთა ხაბარელს 1983 წელს, რამაზ ხარშილაძეს 1975 წელს, დავით ხახალეიშვილს 1991, 1993, 1995 წლებში, ნესტორ ხერგიანს 1999 წელს, ჯიბილო ნიჟარაძეს 1975 წელს, ლაშა გუჯეჯიანს 2005, 2007 წლებში, ირაკლი ცირეკიძეს 2001 წელს.

ქართველ ძიუდოისტებს ევროპის ჩემპიონატებზე მოპოვებული აქვთ 55 ოქროს, 28 ვერცხლისა და 39 ბრინჯაოს მედალი.

ლიტერატურა:

1. ელგუჯა ბერიშვილი, სპორტის ენციკლოპედია, თბილისი, 2006.
2. გ. ძაგანია, ქართული სპორტის მატიანე, თბილისი, 2012.
3. ელგუჯა ბერიშვილი, ქართული სპორტის ოქროს წიგნი, თბილისი, 2013.
4. www.sportanduouth.ge

გლობალური დათბობა

სოფიკო ზეინკლიშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **პაატა ქურდაძე**, ასოცირებული პროფესორი

დღეს ჩვენ უამრავი პრობლემა გვაწუხებს, რომლის მოგვარებასაც ყოველდღიურად ვცდილობთ. სწორედ ეს პატარ-პატარა პრობლემები გვავიწყებს იმ უმთავრეს საკითხს, რომელზე ფიქრი და ზრუნვა აუცილებელია. ესაა გლობალური დათბობა, რომელიც უმნიშვნელოვანესი საკითხი და უმთავრესი პრობლემაა დღევანდელი ადამიანისთვის. მიუხედავად იმისა, რომ გლობალური დათბობის შესახებ ჯერ კიდევ 1895 წელს, ცნობილმა ქიმიკოსმა სვანტე არენიუსმა იწინასწარმეტყველა, ამ საკითხმა აქტუალობა მხოლოდ მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში მოიპოვა. სწორედ მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან გახდა ცნობილი თანამედროვე კლიმატის ცვლილებები, როდესაც შეამჩნიეს მსოფლიო საშუალო წლიური ტემპერატურის მკვეთრი ზრდა და გახშირდა კლიმატური კატასტროფები. თუმცა ამ აღმოჩენების მიუხედავად ბუნების დამცველებს საზოგადოება დასცინოდა და მათ ნათქვამს სერიოზულად არავინ აღიქვამდა.

დღეს უკვე აშკარაა, რომ გლობალური დათბობა რეალური და სერიოზული პრობლემაა, რომელზეც თვალს ვერ დავხუჭავთ. თანამედროვე კლიმატის ცვლილება გამოწვეულია ადამიანის საწარმოო საქმიანობით და პირდაპირ უკავშირდება ინდუსტრიალიზაციას. მეცნიერები ადასტურებენ, რომ გლობალური დათბობის მთავარი მიზეზი ატმოსფეროში არსებული მავნე გაზებია. CO_2, ბუნებრივი საწვავების: ნახშირის, ნავთობისა და ბუნებრივი აირის წვისას გამოიყოფა საკმაოდ დიდი რაოდენობით. მისი კონცენტრაცია კი ატმოსფეროში სულ უფრო იზრდება. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ სულ მალე დედამიწაზე ნახშირორჟანგის ისეთ კონცენტრაციას მივაღწევთ, როგორიც არ ყოფილა 50 მილიონი წლის განმავლობაში. ამ ყველაფერს კი, თავის მხრივ მივყავართ ტემპერატურის ისეთ ცვლილებებთან, რომელიც მომაკვდინებელი იქნება კაცობრიობისთვის. გლობალური დათბობა იმ მოვლენის გაძლიერებაა, რომელსაც მეცნიერები ,,სათბურის ეფექტს'' უწოდებენ. ეს ტერმინი გულისხმობს, რომ დედამიწის ატმოსფეროში გარკვეული ე.წ. ,,სათბურის გაზების'' (CO_2 , CH_4 , N_2O და სხვა.) არსებობა განსაზღვრავს ჩვენი პლანეტის საშუალო ტემპერატურის უფრო მაღალ ნიშნულზე ასვლას, ვიდრე ეს იქნებოდა მათი არსებობის გარეშე, სწორედ ამ გაზების ატმოსფეროში მოჭარბება გამოიწვევს ჰაერის საშუალო ტემპერატურის 2-3^0-ით ზრდას 2100 წლისთვის. მრავალი მეცნიერის აზრით, გლობალური დათბობა უკვე კარგა ხნის დაწყებულია და 1860 წლის შემდეგ ატმოსფეროს საშუალო ტემპერატურამ გრადუსის ორი მესამედით მოიმატა. მზის გამოსხივება დედამიწის ზედაპირისა და ატმოსფეროს სითბოს ძირითადი წყაროა. მზის სრული გამოსხივების ძირითად ნაკადს წარმოადგენს ხილული არის სინათლე ტალღის სიგრძეთა დიაპაზონში 0,40-0,75 მკმ. ამ დიაპაზონის მომდევნო გრძელტალღოვან მხარეს არსებული გამოსხივება (0,80-3,0 მკმ) მიეკუთვნება სპექტრის ინფრაწითელ უბანს, რომელიც სითბურ გამოსხივებას წარმოადგენს. ხილული სინათლის დიაპაზონის ქვედა ზღვრის იქით არსებული უფრო მოკლეტალღოვანი მხარე (0,20-0,40 მკმ) უკავია ულტრაიისფერ გამოსხივებას. დედამიწის ატმოსფეროს ზედა შრეებამდე მოსული მზის გამოსხივების ენერგიის ნახევარზე მეტი მოდის სითბურ გამოსხივებაზე, ხოლო დანარჩენი ენერგიის მთავარ ნაწილს შეადგენს ხილული სინათლე. დედამიწამდე მოსული მზის გამოსხივების სრული სპექტრის დაახლოებით 50% აღწევს ზედაპირამდე და შთაინთქმება. მოსული სინათლის დაახლოებით 20% შთაინთქმება ატმოსფეროში: ულტრაიისფერი სხივები შთაინთქმება ოზონით და მოლეკულური ჟანგბადით, ხოლო ინფრაწითელ სხივებს შთანთქავს CO_2 და ჰაერში გაბნეული წყლის წვეთები. მზის გამოსხივების დარჩენილი 30% აირეკლება ღრუბლების, ყინულის, თოვლის, ქვიშის და სხვა საგნების მიერ. ამავე დროს, დედამიწა, ნებისმიერი სხვა თბილი სხეულის მსგავსად, თვითონაც გამოასხივებს ენერგიას. დედამიწის მიერ გამოსხივებული ენერგია წარმოადგენს ინფრაწითელ გამოსხივებას 4 მკმ-დან 50 მკმ-მდე. ამ უბნის გამოსხივებას უწოდებენ თერმულ ინფრაწითელ სინათლეს. ეს გამოსხივება სითბოს ისეთივე განბნევაა, როგორც ეს ახასიათებს რაიმე გახურებულ საგანს. ჩვენი პლანეტის საშუალო ტემპერატურა მუდმივი რომ იყოს, მის მიერ შთანთქმული და გამოსხივებული ენერგია თანაბარი უნდა იყოს. მაგრამ ატმოსფეროს შედგენილობაში შემავალი ზოგიერთი გაზი შთანთქავს თერმულ ინფრაწითელ სინათლეს და ამიტომ დედამიწის ზედაპირის მიერ გამოსხივებული ენერგიის ნაწილი არ ტოვებს დედამიწას. სწორედ ამ მოვლენას უწოდებენ ,,სათბურის

ეფექტს'' და სწორედ ის განაპირობებს იმას, რომ დედამიწის ზედაპირის საშუალო ტემპერატურა +15 ^{0} C და არა -15 ^{0} C ტოლია, როგორც ეს იქნებოდა ატმოსფეროში რომ არ ყოფილიყო ინფრაწითელი გამოსხივების შთანთქმელი გაზები. ასე რომ, ატმოსფერო თავისებური საბნის როლს ასრულებს დედამიწისთვის. მაგრამ გარემოს მკვლევართა მზარდ შეშფოთებას იწვევს ის, რომ ატმოსფეროში ხდება თერმული ინფრაწითელი სინათლის შთანთქმელ გაზების კონცენტრაციის მატება, რასაც მოყვება მეტი სითბოს შთანთქმა და შესაბამისად, დედამიწის ზედაპირის საშუალო ტემპერატურა +15 ^{0} C -ზე ზემოთ ადის. ამ მოვლენას უწოდებენ ,,გაძლიერებულ სათბურის ეფექტს'', რათა განასხვაონ ის იმ ბუნებრივი პროცესისაგან, რომელიც მილიონობით წლის განმავლობაში მიმდინარეობდა დედამიწაზე.

ატმოსფეროს მთავარი შემადგენელი გაზები, N_2, O_2 და Ar, არ შთანთქავენ ინფრაწითელ სინათლეს. წარსულში ,,სათბურის ეფექტს'' განაპირობებდა ატმოსფერული წყალი (ეფექტის დაახლოებით 2/3) და CO_2 (ეფექტის 1/4). მიუხედავად იმისა, რომ უდაბნოში დღისით ძალიან ცხელა, ღამის საათებში ტემპერატურა საკმაოდ დაბლა ეცემა, რაც აისახება სწორედ წყლის ნაკლებობით უდაბნოს მშრალ ჰაერში. რატომ არ შთანთქავს ინფრაწითელ სინათლეს N_2, O_2 და Ar და რატომ ხდება მისი შთანთქმა წყლისა და ნახშირორჟანგის მიერ? ეს აიხსნება ამ ნაერთების მოლეკულური აღნაგობით. იმისათვის, რომ მოხდეს მოლეკულის მიერ სინათლის კვანტის შთანთქმა, საჭიროა, რომ დაცემული ფოტონის ენერგია (ანუ გამოსხივების სიხშირე) ზუსტად დაემთხვეს შთანთქმელი მოლეკულის ატომგულებს შორის რხევითი მოძრაობის ენერგიას (ანუ რხევის სიხშირეს). გარდა ამისა, ამ ფოტონის ელექტრული ვექტორის პარალელური უნდა იყოს.

ანტარქტიდისა და გრენლანდიის ყინულებიდან ბურღით ამოღებულ ნიმუშებში CO_2 -ის რაოდენობის გაზომვებმა აჩვენა, რომ, 1750 წელთან შედარებით, 1998 წელს CO_2-ის ატმოსფერულმა კონცენტრაციამ მოიმატა 30%-ით. ამჟამად CO_2-ის კონცენტრაცია ატმოსფეროში ყოველწლიურად იზრდება 0,4%-ით. ატმოსფეროში CO_2-ის რაოდენობის მატებაში დიდი წვლილი შეაქვს ანთროპოგენურ ფაქტორებს, რომელთა მთავარი შემადგენელია სხვადასხვა წიაღისეული საწვავი პროდუქტების წვა. ძირითადად ეს არის ქვანახშირი, ნავთობი და ბუნებრივი გაზი. განვითარებული მრეწველობის ქვეყნებში სხვადასხვა საწვავის წვის შედეგად წელიწადში ერთ სულ მოსახლეზე ჰაერში გამოიყოფა 5 ტონა CO_2. განვითარებად ქვეყნებში ანალოგიური პარამეტრი ათჯერ ნაკლებია, მაგრამ შეინიშნება მისი მომატების ტენდენცია. ნახშირორჟანგის რაოდენობის ზრდა ატმოსფეროში ცემენტის წარმოების გაფართოებითაც აიხსნება. ჩვეულებრივ, ატმოსფეროში გამოყოფილი CO_2-ის მოლეკულა რამდენიმე წლის შემდეგ ზღვის ზედაპირულ წყალში გაიხსნება ან შთაინთქმება რომელიმე მცენარის მიერ. ასევე რამდენიმე წელიწადში ასეთ მოლეკულათა უმრავლესობა კვლავ უბრუნდება ატმოსფეროს. ნახშირორჟანგის სამუდამო შებოჭვა ხდება მხოლოდ ოკეანის დიდ სიღრმეზე, სადაც ის ილექება კალციუმის კარბონატის სახით. უნდა ითქვას, რომ ძალზე ნელა ხდება ზღვის ზედა რამდენიმე ასეული მეტრი შრის წყლის შერევა უფრო ღრმად მდებარე წყალთან. ამდენად, ზედაპირულ წყალში გახსნილ CO_2 -ის მოლეკულას შეიძლება რამდენიმე ასეული წელი დასჭირდეს ოკეანის სიღრმეში ჩასაღწევად. ადრე თუ გვიან მსოფლიო ოკეანე შთანთქავს CO_2-ის ნამატის დიდ ნაწილს, მაგრამ ამას ძალზე დიდი დრო დასჭირდება.

წყლისა და CO_2-ის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი ,,სათბური გაზი" მეთანია. როგორც ფიქრობენ, დღეისათვის არსებული დათბობის მოვლენაში მეთანზე მოდის CO_2-ის წვლილის ერთი მესამედი. ჰაერში მეთანის კონცენტრაცია ორჯერ მეტად გაიზარდა მრეწველობის განვითარების წინა პერიოდთან შედარებით. ატმოსფეროში მისი კონცენტრაციის მომატება უშუალოდაა დაკავშირებული ადამიანის მიერ საკვების წარმოების გაზრდასთან, ტყეების გაჩეხვასა და წიაღისეული საწვავების წვასთან. მეთანი წარმოიქმნება ანაერობულ პირობებში მცენარეული მასის ხრწნის პროცესში და შესაბამისად, ბუნებაში მისი გამომუშავების უდიდეს წყაროს წარმოადგენს ჭაობები. ამასთან არსებობს მეთანის გამოყოფის ანთროპოგენური წარმოშობის წყაროები. ამათგან ყველაზე მეტი რაოდენობით მეთანის გამოყოფა ხდება მცოხნელი საქონლის მიერ (ძროხა, ცხვარი) საკვების მონელების პროცესში. ასევე დიდი რაოდენობით მეთანი გამოიყოფა წყლით დატბორილი ბრინჯის პლანტაციებიდან. მეთანის გამოყოფაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ნაგავსაყრელებს. მეთანის საკმაო რაოდენობა ატმოსფეროში ხვდება ასევე ქვანახშირის მაღაროებიდან და ბუნებრივი გაზის საბადოებიდან. კიდევ ერთ მნიშვნელოვან ,,სათბურის გაზს'' წარმოადგენს N_2O, რომელიც ატმოსფეროში კვალური რაოდენობითაა წარმოდგენილი. მისი მოლეკულის კუთხის მოხრის რხევები შთანთქავს ინფრაწითელ სინათლეს 8,6 მკმ-ის უბანში. ერთ მოლეკულაზე გადაანგარიშებით, N_2O 206-ჯერ უფრო აქტიურად იწვევს დათბობას, ვიდრე CO_2. მეთანის მსგავსად, N_2O -ის კონცენტრაცია ჰაერში მეთვრამეტე საუკუნემდე მუდმივი იყო, ხოლო შემდეგ დაიწყო მისი თანდათანობითი ზრდა, თუმცა მისი მატება განვლილ პერიოდში სულ 13%-ს შეადგენს. ყოველივე ზემოთ თქმულიდან სავსებით ცხადია, რომ სხვადასხვა ფაქტორის ზემოქმედების შედეგად გლობალური

დათბობა რეალურად მიმდინარეობს, თუმცა გადაჭრით ვერ ვიტყვით თუ სად, რა ფორმით და როდის გამოვლინდება მისი მოქმედება.



მეცნიერები შეჯამდნენ რამდენიმე ჰიპოთეზაზე. ჩამოვთვალოთ გლობალური დათბობის გამომწვევი ჰიპოთეზები დაწვრილებით:

1. გლობალური დათბობის მიზეზად ითვლება მზის აქტივობის შეცვლა.
2. გლობალური დათბობის მიზეზად დედამიწის ბრუნვის კუთხის შეცვლა ითვლება.
3. გლობალურ კლიმატურ ცვლილებებში დამნაშავე ოკეანეა.
4. ვულკანური აქტივობები.
5. უცნობი ურთიერთქმედება მზესა და მზის პლანეტებს შორის.
6. კლიმატის ცვლილებები ხდება თავისით, ადამიანის და სხვა გარემო ფაქტორების გარეშე.
7. ყველაფერში დამნაშავე ადამიანია.

განვიხილოთ თითოეული დაწვრილებით:

1. მზის აქტივობა დედამიწის კლიმატზეც ახდენს გავლენას. მზის სრული გამოსხივების ცვალებადობა თითქოს არც ისე დიდია, მაგრამ ნაპოვნია მაღალი კორელაცია, რომ დედამიწაზე ტემპერატურა იზრდება და მცირდება მზის აქტივობის ზრდა-შემცირების შესაბამისად.
2. ძირითადი დედამიწის მაგნიტური ველი განიცდის უწყვეტ ნელ ცვლილებას, რომელსაც საუკუნეობრივი სვლა ეწოდება. ძირითადი დედამიწის მაგნიტური ველის სივრცითი განაწილების შესასწავლად მაგნიტური აგეგმვით მიღებული სიდიდეების საფუძველზე დგება მაგნიტური რუკები, სადაც მაგნიტური ელემენტების თანაბარი მნიშვნელობები მრუდეებით არის შეერთებული: დედამიწის ზედაპირის რომელიმე უბნისათვის გეომაგნიტური ველის ელემენტების დაკვირვებით მიღებული მნიშვნელობის გადახრას ნორმალურისაგან მაგნიტური ანომალია ეწოდება. ცვალებადი დედამიწის მაგნიტური ველი განპირობებულია ატმოსფეროს ზედა ფენებში და უფრო მაღლა არსებული ელექტრული დენების სისტემებით.
3. მსოფლიო ოკეანე - დედამიწის ოკეანეებისა და ზღვების ერთობლიობა, რომელთა წყლები ყველა კონტინენტისა და კუნძულების გარემომცველ უწყვეტ ოკეანოსფეროს ქმნიან. ის ადგენს მიმართულებას და სიჩქარეს თბილ ოკეანურ, ასევე ჰაერის მასებს დედამიწაზე, რომლებიც გავლენას ახდენენ დედამიწის კლიმატზე. ოკეანის საშუალო ტემპერატურა შეადგენს 3,5˚C ზედაპირის კი 15˚C, რადგან გათბობის გადაცემის სიჩქარე ოკეანის სისქეს შორის და ატმოსფეროს ფენასთან შეიძლება მიიყვანოს მნიშვნელოვან კლიმატურ ცვლილებებთან. უფრო მეტიც, ოკეანის წყლებში გაზავებულია დიდი რაოდენობით CO_2 და სხვა სათბურის გაზები. შესაძლებელი ბუნებრივი პროცესების გამო ეს გაზები შეიძლება გავრცელდეს ატმოსფეროში, რაც მნიშვნელოვნად მოქმედებს კლიმატის ცვლილებებზე.
4. ბუნებრივი კატასტროფებიდან ვულკანური მოვლენები ყველაზე საშინელი შედეგებით გამოირჩევა. ვულკანური რელიეფი კარგად გამოხატული რამდენიმე ნაწილისგან შედგება. მათგან თვალსაჩინო ვულკანური კონუსი და კრატერია (ზედა ნაწილზე არსებული წრიული ჩაღრმავება), რომლის შიგნით ვულკანის კერა და ყელი მდებარეობს. მისი დიამეტრი რამდენიმე კილომეტრსაც კი შეიძლება აღწევდეს. ვულკანის ყელი, ჩვეულებრივ, ვერტიკალური მიმართულებისაა, თუმცა ძალზე საშიშია, როდესაც იგი მიმართულებას იცვლის და ვულკანი საკუთარი კონუსის ფერდობიდან გამოაფრქვევს ლავას. აფეთქების

სიძლიერის მიხედვით ვულკანი სამი სახისაა: შედარებით მშვიდი, ძლიერი და ძალიან ძლიერი. ვულკანიდან ნივთიერება სამ მდგომარეობაში ამოიფრქვევა: თხევადია - ლავა, მყარია - ვულკანური ფერფლი, მტვერი, ტალახი და ქვები, გაზობრივი - წყლის ორთქლი, ნახშირორჟანგი და სხვა. გავარვარებული ლავა სწრაფად მოძრაობს ვულკანის მთის ფერდობზე, ანადგურებს ყოველივე ცოცხალს, ფარავს და ასწორებს ხმელეთის ზედაპირს.

5. თანამედროვეობის ერთ-ერთი საშიში მოვლენა ტემპერატურის გლობალური მომატებაა, რასაც CO_2 , CH_4 , N_2O და ფრეონები უწყობს ხელს. სათბურის გადახურვის ანალოგიურად, ჩამოთვლილი გაზები თავისუფლად ატარებს მზის მოკლეტალღიან სხივებს, მაგრამ აკავებს დედამიწიდან არეკლილ თბურ გამოსხივებას, რის შედეგადაც ატმოსფეროს ქვედა ფენები თბება. ეს მოვლენა ,,სათბურის ეფექტის'' სახელწოდებითაა ცნობილი.

სითბოს ბუნებრივი შეკავება დედამიწის ზედაპირის სიახლოვეს პლანეტაზე სიცოცხლის შენარჩუნების მნიშვნელოვანი ფაქტორია. ეს რომ არა, აქ ტემპერატურა მეტისმეტად დაბალი იქნებოდა. თუნდაც 2-3 გრადუსით ტემპერატურის აწევის პერსპექტივა დიდ შეშფოთებას იწვევს, რადგან ზუსტად არავინ იცის თუ რა ზემოქმედებას მოახდენს ეს გარემოზე - ნალექებზე, ზღვის დონეზე, თოვლსაფარზე. პლანეტის ატმოსფეროში სათბურის ეფექტის გამომწვევ ნივთიერებათა კოლოსალური რაოდენობა გამოიყოფა.

ოფიციალური მონაცემებით, მხოლოდ 1988 წელს ნახშირბადის ოქსიდების ემისია დაახლოებით 8 მლრდ ტ-ს შეადგენდა; აქედან 5,5 მლრდ ტ- წიაღისეული სათბობის, ხოლო 2,5 მლრდ ტ- ბიომასის წვის ხარჯზე.

ო ზ ო ნ ი ს ხ ვ რ ე ლ ე ბ ი

როგორც ზევით აღინიშნა, სტრატოსფეროს ფარგლებში ოზონოსფეროა, რომელიც O_3 -ის მოლეკულების გაზრდილი კონცენტრაციით ხასიათდება. სტრატოსფერული ოზონის მნიშვნელობა ძალზე დიდია; მისი შემცირება იწვევს ულტრაიისფერ გამოსხივების ზრდას, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ავთვისებიან სიმსივნეთა გაჩენას, მცენარეთა დაავადებებს, ფიტოპლანქტონის დაშლას და ა.შ. ბოლო დრომდე სტრატოსფერული ოზონის შრის გათხელება შედარებით მკვეთრად ანტარქტიდის თავზე იყო გამოხატული. აქ 1975 წლიდან ყოველ გაზაფხულზე წარმოიქმნება ე.წ. ,,ოზონის ხვრელები'', სადაც აირის კონცენტრაცია მნიშვნელოვნადაა დაქვეითებული. დღეს ნაადრევია დასკვნების გამოტანა ოზონის შრის საერთო მდგომარეობის შესახებ, მაგრამ აშკარაა, რომ ბოლო 20 წლის მანძილზე ზამთარში და ადრე გაზაფხულზე ჩრდილო ნახევარსფეროს საშუალო და მაღალ განედებში ოზონის დანაკარგი 2-10%-ს შეადგენს. მეცნიერთა დიდი უმრავლესობა ერთსულოვანია იმაში, რომ სტრატოსფერული ოზონის კონცენტრაციის დაქვეითების ძირითადი მიზეზი ქლორფთოსნახშირბადებია (ფრეონები), მეტადრე ფრეონ-11 ($CFCl_3$) და ფრეონ-12 ($CFCl_2$).

მ ჟ ა ვ ე ნ ა ლ ე ქ ი

მჟავე წვიმები, მჟავე თოვლი, ნისლი, ცვარი ქიმიური გარდაქმნების პროდუქტია NO-ს, NO_2-ის, SO_2-ის და სხვათა მონაწილეობით. ამ აირების ძირითადი წყაროა სათბობის და ბიომასის წვა, მეტალურგია, ავტოტრანსპორტი.

ატმოსფეროში SO_2 იჟანგება SO_3-მდე, რომელიც წყლის ორთქლთან რეაქციაში გოგირდის მჟავას წარმოქმნის:

$$2SO_2 + O_2 \longrightarrow 2SO_3$$

$$SO_3 + H_2O \longrightarrow H_2SO_4$$

აზოტის ოქსიდები ასევე იჟანგება, წარმოქმნილი დიოქსიდები იხსნება წყლის წვეთებში და აზოტის მჟავას წარმოქმნის:

$$2NO + O_2 \longrightarrow 2NO_2$$

$$4NO_2 + 2H_2O + O_2 \longrightarrow 4HNO_3$$

ბოლო 100 წლის მანძილზე ბიოსფეროში ნალექების მჟავიანობამ საგრძნობლად მოიმატა. მაგალითად, აშშ-ის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში 1900 წლიდან იგი თითქმის 4-ჯერ გაიზარდა, თანაც ეს პროცესი აშკარად კავშირშია ამ ტერიტორიაზე CO_2-ის და NO_x-ის გამონაბოლქვის ზრდასთან. მჟავე წვიმები ტროპიკებშიც აღინიშნება, სადაც სამრეწველო ობიექტები პრაქტიკულად არ არის. როგორც ჩანს, ეს დაკავშირებულია ბიომასის გადამეტებულ წვასთან. უკანასკნელი 20-30 წლის მანძილზე ხე-მცენარეებში სერიოზული დაავადება აღინიშნება, რომელიც ფოთლების მასობრივი ცვენით, ფესვთა სისტემის ლპობით, მცენარეთა ზრდის შენელებით გამოიხატება. ამ მაჩვენებლებით მკვეთრად შემცირებულია მწვანე საფარი თითქმის ყველა ქვეყანაში.

22 აპრილი დედამიწის საერთაშორისო დღეა! ის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური გარემოსდაცვითი ღონისძიებაა, რომელშიც ყოველ წელს მსოფლიოს 192 ქვეყნის სხვადასხვა ორგანიზაცია და მილიონობით მოხალისე მონაწილეობს. 1970 წელს სანტა ბარბარას საბადოდან ნავთობის დაღვრას შედეგად ოკეანის დაბინძურება და წყლის ბინადართა განადგურება მოჰყვა. ამერიკელი გარემოსდამცველი სენატორის, გეილორდ ნელსონის მოწოდებას, დაეცვათ დედამიწა, 20 მილიონი ადამიანი შეუერთდა. მას შემდეგ, დედამიწის დღე ყოველწლიურად 22 აპრილს აღინიშნება. საქართველო „დედამიწის დღეს“ 1990 წლიდან სხვადასხვა გარემოსდაცვით ღონისძიებით აღნიშნავს. დავიცვათ და გავუფრთხილდეთ ჩვენს ბუნებას.

ლიტერატურა:

1. ნ. პეპანაშვილი, ლ. კლიმიაშვილი; კ. მაღრაძე, „გარემო და მდგრადი განვითარება“, თბ., 2007.
2. გ. ქაჯაია, „ბიოსფერო დღეს და მომავალში“, თბ., 2011.

გარემოს გაბინძურების ანთროპოგენური წყაროები

ანი კალმახელიძე
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნელი გოგინაშვილი** პროფესორი

გარემოს ცვლილებას ორი მიზეზი განსაზღვრავს - ბუნებრივი, რომელიც დაკავშირებულია ბუნებრივ მოვლენებთან და ანთროპოგენური, ანუ ადამიანის ზეგავლენა გარემოზე.

ბუნებრივს მიეკუთვნება ვულკანების მიერ ამოტყორცნილი ლავა, ნაცარი და გაზები, უდაბნოს მტვერი, მცენარეული მტვრის მარცვალი და სხვა.

ბუნებრივი წყაროები განსაკუთრებულ შემთხვევაში შეიძლება აღმოჩნდეს ატმოსფეროს ძლიერი გაბინძურების მიზეზი.

გარემოს გაბინძურებას მტვრის ქარიშხლებიც იწვევენ. 1934 წ. აშშ ,,დიდი ველიდან" ქარიშხალმა აიტაცა და 30 მლმ-მდე ტ ნიადაგი, გაავრცელა მრავალ ასეულ კილომეტრზე. 1960 – 1961 წლებში მტვრიანმა ქარიშხალმა საქართველოსაც გადაუარა. გარემოს გაბინძურების ძირითადი მიზეზი ბოლო 100-150 წლების მანძილზე მაინც ადამიანის სამეურნეო საქმიანობაა. გარემოს ანთროპოგენური გაბინძურება შეიძლება განიმარტოს, როგორც მისი უარყოფითი ცვლილება ადამიანის სამეურნეო საქმიანობის შედეგად.

გარემოს გაბინძურების ძირითადი ანთროპოგენური წყაროებია: ენერგეტიკა, ტრანსპორტი, მრეწველობა, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი, სოფლისა და კომუნალური მეურნეობა.

ენერგია იყო და რჩება კაცობრიობის არსებობის, კეთილდღეობისა და პროგრესის აუცილებელ წინაპირობად. ენერგიის წყაროების შერჩევისას, ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმი გახდა მისი ეკოლოგიური უსაფრთხოება.

1900 წ. მსოფლიოში გამომუშავებული ენერგია შეფასებულია $2,1 * 10^{19}$ ჯოულით, 1988 წ. კი $3,2 * 10^{20}$ ჯოულით, ე. ი. მისი გამომუშავება ამ პერიოდში 15-ჯერ გაიზარდა. სხვა მონაცემებით კაცობრიობის მიერ გამოყენებული ენერგია ორმაგდება ყოველ 20 წელიწადში.

კაცობრიობის მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილება ენერგიაზე დღემდე, ძირითადად, მისი არსებული სიმძლავრეების ზრდით და ახალი წყაროების ძიებით ხდებოდა.

მიუხედავად ენერგიის წყაროების მრავალფეროვნებისა, დღეისათვის მისი ძირითადი მომწოდებელია თბო - , ჰიდრო - , და ატომური ენერგეტიკა. მათი წილი საერთო ბალანსში შეადგენს 65,23 და 8-10%. ენერგიის სხვა წყაროები (მზე, ქარი) ჯერჯერობით ნაკლებად კონკურენტუნარიანია. ამასთან, ეკოლოგიური, ზოგჯერ კი ეკონომიკური უპირატესობის გამო მათი წილი ენერგეტიკის საერთო ბალანსში თანდათან იზრდება.

დღეისათვის ენერგიის წყარო სათბობია. ცალკეულ ქვეყნებში თბოენერგეტიკაზე მოდის გამომუშავებული ენერგიის 50- 80%.

თბოენერგეტიკაში ძირითადი ნედლეულია ქვანახშირი, ნავთობპროდუქტები და ბუნებრივი საწვავი აირი. ქვანახშირის პროგნოზირებული მარაგი 6,3 * 10^{12} ტ შეადგენს, რაც სათბობის საერთო მარაგის 90%-ია და 350- 400 წელი იქნება საკმარისი.

ეკონომიკური თვალსაზრისით ქვანახშირს, როგორც ნედლეულს, ბევრი ნაკლი აქვს. სხვა სათბობებთან შედარებით მის წვაზე იხარჯება დიდი რაოდენობით ჟანგბადი, ამასთან, ენერგიის ერთეულზე გამოყოფს მეტ CO_2-ს. ქვანახშირის წვის პროდუქტებზე მოდის ატმოსფეროს გლობალური დაბინძურების 29%. დადგენილია, რომ ქვანახშირის წვის შედეგად გარემოში 8700-ჯერ მეტი ვერცხლისწყალი, 125-ჯერ მეტი დარიშხანი და 60-ჯერ მეტი ურანი იფანტება, ვიდრე ბუნებრივ მიმოქცევაში. განვითარებად ქვეყნებში სათბობის ძირითად წყაროდ რჩება მერქანი, რომელიც ადვილად განახლებადი ნედლეულია. ყოველწლიურად ფოტოსინთეზის შედეგად დედამიწაზე 8 * 10^{10} ტ ორგანული მასა წარმოიქმნება, რაც 14-ჯერ აღემატება მოპოვებული სათბობის საერთო რაოდენობას. დაბალი კალორიულობის გამო მერქანი დიდ ენერგეტიკაში არ გამოიყენება, უმჯობესი იქნება მისი გადამუშავება პერსპექტიულ საწვავად - მეთანოლად.

ყოფაცხოვრების მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად სულ უფრო იზრდება ბიოგაზის, როგორც სათბობის როლი. ინდოეთში 4 მლნ ბიოგაზის მისაღები დანადგარი მოქმედებს, ჩინეთში კი მათი რაოდენობა 25 მლნ აღემატება. აშშ უახლოეს მომავალში გეგმავს ბიოგაზის წარმოებით დააკმაყოფილოს საწვავ აირზე ქვეყნის მოთხოვნის 20%. ბიოგაზის გამოყენება ფეხს იკიდებს ჩვენშიც. მდ. ხობის აუზში ჩატარებულმა ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ ფერმერული მეურნეობის ბიოგაზიფიკაციის შედეგად გაუმჯობესდა მოსახლეობის ენერგომომარაგება.

წყლის ენერგიას ადამიანი უძველესი დროიდან იყენებდა. ჰიდროენერგეტიკა დღესაც ერთ-ერთი წამყვანი და პერსპექტიული დარგია. ენერგიის სხვა წყაროებთან შედარებით მას ბევრი უპირატესობა აქვს: განახლებადია, ადვილია გამომუშავებული ენერგიის დარეგულირება, კაშხალების საშუალებით შესაძლებელია წყლის დაგროვება და მისი გეგმაზომიერი ხარჯვა, თავიდან ვიცილებთ დამანგრეველ წყალდიდობებს, ვითარდება ნაოსნობა, იქმნება ახალი დასასვენებელი ზონები და სხვა.

რაც მთავარია, ჰიდროენერგეტიკა ეკოლოგიურად ერთ-ერთი ყველაზე სუფთა დარგია. ამით აიხსნება ჰიდრორესურსების გამოყენების მაღალი ხარისხი.

საფრანგეთსა და შვეიცარიაში ეს სიდიდე შეადგენს 90%, იტალიასა და შვედეთში 75%, საქართველოში ეს სიდიდე საკმაოდ დაბალია - 15-20%. ჰიდროენერგეტიკის განვითარების მოწინააღმდეგეებს მის მთავარ ნაკლად წყალსაცავების მშენებლობა მიაჩნიათ. მართლაც, წყალსაცავებით იფარება სასოფლო-სამეურნეო სავარგულები. დიდი წყალსაცავების ზონაში ძლიერდება სეისმური აქტივობა, გარდა ამისა, კაშხალები აფერხებენ თევზების ბუნებრივ მიგრაციას და ა. შ.

ატომური ენერგეტიკა შედარებით ახალი, ინტენსიურად მზარდი დარგია, რომლის გამოყენებაზე ურთიერთსაწინააღმდეგო აზრია.

ატომური ენერგეტიკის დადებითი მხარეა მისი შეუზღუდავი პოტენციალი. 1 გ ქვანახშირი 7 კალორია ენერგიას იძლევა. პრაქტიკამ დაამტკიცა, რომ ატომური ენერგეტიკა საკმაოდ ეკონომიურია და ბევრ ქვეყანაში ენერგიის ძირითადი წყარო გახდა.

საფრანგეთში ატომურ ენერგოსადგურებზე მოდის გამომუშავებული ენერგიის 87%, ბელგიაში 66%, გერმანიაში 35%.

ბევრ დადებით მახასიათებელთან ერთად ატომური ენერგეტიკის განვითარება მრავალ ეკოლოგიურ პრობლემას ქმნის, რომლებიც მთელი სიმწვავით გამოვლინდა 1986 წ. ჩერნობილის ატომური სადგურის მსხვილმასშტაბიანი ავარიის დროს. ჩერნობილის ავარიამ მოიცვა 100 000 $კმ^2$, დაზარალდა 3 მლნ ადამიანი, პირველად გაჩნდნენ ეკოლტოლვილები, ავარიის შედეგად საკმაოდ აიწია რადიაციის დონემ საქართველოშიც.

ატომური ენერგეტიკის მეორე მწვავე ეკოლოგიური პრობლემაა, ბირთვული სათბობის ნარჩენების უტილიზაცია და დამარხვა. გასათვალისწინებელია, რომ ადამიანის ორგანიზმში მოხვედრილი 1 მკგ პლუტონიუმი იწვევს ავთვისებიან დაავადებებს. თავდაპირველად, საიმედოდ კაფსულირებული ნარჩენების სამარხად გამოყენებული იყო ძველი მაღაროები და ოკეანის ღრმულები. ახლა, ამ მიზნით, ამჯობინებენ ქვამარილის გამომუშავებულ მაღაროებს, სადაც ეკოლოგიური თავისებურების გამო გრუნტის წყლების ცირკულაცია არ ხდება.

ჯერჯერობით კი ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნები ცდილობენ სამარხები მოაწყონ განვითარებადი ქვეყნების ტერიტორიაზე, რასაც ახერხებენ კიდეც სათანადო საფასურის გაღებით. მიუხედავად ყველაფრისა, ატომურ ენერგეტიკას დიდი მომავალი აქვს, მაგრამ აუცილებელია ახალი,

საიმედო კონსტრუქციის რეაქტორები და გაათმაგებული ყურადღება, რადგან ,,მშვიდობიანი ატომი" არ არსებობს.

ყოფა-ცხოვრებაში და პრაქტიკულ საქმიანობაში ადამიანი ხშირად იყენებს მზის, ქარის, თერმული წყლებისა და სხვა სახის ენერგიას. ენერგიის დამხმარე წყაროებიდან მნიშვნელოვანი და ხელმისაწვდომია მზის ენერგია. დედამიწაზე მზის მიერ გამოსხივებული ენერგიის მხოლოდ $2,2 * 10^{-9}$ წილი აღწევს, რაც წლიურად $5,7 * 10^{24}$ ჯოულს შეადგენს და 20 000-ჯერ აღემატება ენერგიის ყველა ანთროპოგენური წყაროს სიმძლავრეს.

ექსპერტების აზრით, მომავალში მზის ენერგიის წილი საერთო ბალანსში თანდათან გაიზრდება. მზის ენერგიის მთავარი ნაკლი - წყვეტილობა - შეიძლება გამოვასწოროთ ენერგიის აკუმულირებით. ერთ-ერთი ვარიანტია წყლის ელექტროლიზით წყალბადის მიღება და მისი გამოყენება საწვავად. შორეულ პერსპექტივაშია ჰიდროსადგურების აგება კოსმოსში, სადაც თანამგზავრის სიჩქარის შერჩევით სადგური უწყვეტად გამოიმუშავებს ენერგიას, რომელიც გადმოიცემა დედამიწაზე.

დედამიწაზე დაცემული მზის გამოსხივების დაახლოებით 20% გარდაიქმნება ქარის ენერგიად. ქარის ენერგიაც წყვეტილია. ჯერჯერობით ქარის ენერგიაზე მომუშავე სადგურების სიმძლავრე და გამოყენების ხარისხი დაბალია. ტექნიკურ სირთულეებთან ერთად ამის მიზეზია სათანადო დანადგარების ხმაური.

ენერგიის პოტენციური წყაროა ზღვის დონის რითმული ცვალებადობა. ენერგიის გამომუშავება ხდება როგორც მოქცევის, ისე უკუქცევის დროს, თუმცა წყვეტილობის სრული აცილება მაინც არ ხერხდება. გარდა ამისა, სათანადო კაშხალების აგება დიდ მატერიალურ დანახარჯებს მოითხოვს. ენერგიის დიდი მარაგია აკუმულირებული მიწისქვეშა წყლებში.

ეკოთერმულ ენერგეტიკასაც თავისი გადასაჭრელი პრობლემები აქვს. თერმული წყლები იწვევენ მილგაყვანილობის ძლიერ კოროზიას და დახშობას ნალექწარმოქმნის გამო. არცთუ იშვიათად, თერმულ წყლებში მაღალია ნორმირებული ნივთიერებების ელემენტები, მძიმე ლითონები, კონსერვანტები, რაც ეკოქიმიური ვითარების გაუარესების მიზეზია. მათი გაწმენდა, ან ჩატუმბვა დედამიწის სიღრმეში საკმაო ხარჯებთანაა დაკავშირებული.

როგორც განხილული მასალებით ირკვევა, ანთროპოგენული ცვლილება გლობალურ ხასიათს იძენს. ეს, თავის მხრივ, მიზეზია ისეთი უარყოფითი მოვლენებისა, როგორიცაა ტემპერატურის გლობალური მომატება, ცვლილებები ოზონურ შრეში, მჟავე წვიმები, ბოლნისლი და სხვა.

ლიტერატურა:

1. ურუშაძე გ., მაჭავარიანი მ., გამოყენებითი ეკოლოგიის საფუძვლები, თბილისი, 2013.
2. სუპატაშვილი გ., გარემოს ქიმია (ეკოქიმია), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2009.
3. ქაჯაია გ., გარემოს დაცვის ეკოლოგიური პრინციპები, თბილისი, ინტელექტი, 2009.
4. ქაჯაია გ., ეკოლოგია (გამოყენებითი ეკოლოგიის საკითხები), თბილისი, 1999.

ფიბონაჩის რიცხვთა მწკრივის გამოვლინება ბუნებასა და ცოცხალ სამყაროში

დიანა მერებაშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **პაატა ქურდაძე**, ასოცირებული პროფესორი

ლეონარდო პიზელი, იტალიელი მათემატიკოსი, დაიბადა ქალაქ პიზაში სავარაუდოდ 1170 წელს. ის ცნობილია სახელით ფიბონაჩი. საკუთარ ხელმოწერას ლეონარდო პიზელი ასახავდა სიტყვით - „ბონაჩი“. მისი მამა იყო პიზელი კომერსანტი და ამის გამო ხშირად ჩადიოდა ალჟირში. წარმატებული კარიერისთვის მამის სურვილით ლეონარდო სწავლობდა მათემატიკას არაბ მასწავლებლებთან. იგი

ბევრს მოგზაურობდა; ეგვიპტეში, სირიაში, ბიზანტიაში, სადაც ეცნობოდა არაბული მათემატიკოსების მიღწევებს. თავისი ტრაქტატით რიცხვთა თანმიმდევრობის შესახებ ფიბონაჩიმ, შეიძლება ითქვას, კაცობრიობას შეახსენა ოქროს შუალედის თეორია, რომელიც კარგად იყო ცნობილი ძველი ეგვიპტელებისა და ბერძნებისათვის. მისი ნაშრომების გამოქვეყნების შედეგად სპეციალისტებმა აღმოაჩინეს მნიშვნელოვანი კანონზომიერებები მათემატიკაში, ფიზიკაში, ასტრონომიაში, ბიოლოგიაში, არქიტექტურაში და სხვა მრავალ სფეროში. ფიბონაჩის ნაშრომმა საფუძველი ჩაუყარა მთელი რიგი მათემატიკური კანონზომიერების გამოვლენას, მათ შორის ისეთს, როგორიცაა ოქროს კვეთა (ოქროს პროპორცია, ოქროს შუალედი). ოქროს კვეთა - ეს არის ჰარმონიული გაყოფა მთელისა ისეთ ორ არატოლ ნაწილად, როდესაც მცირე ნაწილი ისე შეეფარდება დიდს, როგორც დიდი მთელს და პირიქით, მთელი ისე შეეფარდება დიდს, როგორც დიდი მცირეს: a : b= b: c ან c : b = b : a. ფიბონაჩის ერთ-ერთი ამოცანის ფორმულირება გამოიყურებოდა ამგვარად: „რამდენი წყვილი ბოცვერი წარმოიშობა ერთ წელიწადში ერთი წყვილი ბოცვრისგან“. მან ასეთი რიცხვთა რიგი ააგო: რიცხვთა რიგი: 0, 1, 1, 2, 3, 5, 8, 13, 21, 34, 55, 89, 144, ... ამ რიცხვთა თანმიმდევრობის ნაკრები ცნობილია, როგორც ფიბონაჩის რიგი. ამ რიცხვთა თანმიმდევრობის თავისებურება გამოიხატება იმაში, რომ მათგან ყოველი, დაწყებული მესამიდან, ორი წინა ჯამის ტოლია; 2+3=5; 3+5=8; 5+8=13.....ხოლო რიგის მიმდებარე რიცხვების შეფარდება უახლოვდება ოქროს კვეთის თანაფარდობას ასე 21:34=0,617 34:55=0,618 ოქროს კვეთის მნიშვნელობამ დიდი პოპულარობა მოიპოვა იტალიაში. ლეონარდო და ვინჩის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნახატი „მონა ლიზა“ შექმნილია ოქროს კვეთის პროპორციების დაცვით. მხატვარმა გამოიყენა „ოქროს მართკუთხედი“, რომელიც იწყება მარჯვენა მაჯიდან, მარცხენა იდაყვამდე და აღწევს თავს. მართკუთხედები იქმნება ნიკაპთან, თვალთან, ცხვირთან. ცნობილია რომ მონა ლიზას სხეულის ფორმას სამკუთხედი წარმოადგენს. „საიდუმლო სერობა“ - ნახატზე გამოკვეთილია ქრისტიანული რწმენის მთავარი სიმბოლოს, სამების მნიშვნელობა: მოციქულები სამ-სამად სხედან მაგიდასთან, იესოს უკან სამი სარკმელია, ქრისტეს ფიგურის კონტურები სამკუთხედს ქმნიან. ლეონარდო და ვინჩი „ვიტრუვიუსის მამაკაცი“ - ლეონარდო დე ვინჩიმ, ადამიანის ჩონჩხის დეტალური შესწავლის შემდეგ „ღვთაებრივი პროპორცია“ თავის „ვიტრუვიუსის მამაკაცში“ გამოსახა. მანძილი თავის წვეროდან იატაკამდე რომ გავყოთ მანძილზე ჭიპიდან იატაკამდე, ეს ნებისმიერი ადამიანისთვის იქნება 1,618. სწორედ ამის მიხედვით შექმნა ვინჩმა თავისი ცნობილი ნახატი კვადრატსა და წრეში ჩასმული ადამიანი. ჯერ კიდევ ძველი ეგვიპტელები იყენებდნენ ირაციონალურ შეფარდებებს „ოქროს კვეთასთან“ ერთად ტაძრების შეფარდების აგებისას. ათენის აკროპოლისი ყველაზე კარგად ცნობილი დღემდე მოღწეული ძველი ბერძნული ნაგებობაა და საყოველთაოდ ითვლება ბერძნული არქიტექტურის უნატიფეს ნიმუშად. იგი ოქროს კვეთითაა შესრულებული - ძვ.წ. V საუკუნეში. ძეგლის სიმაღლის შეფარდება მის სიგრძესთან 0.618-ის ტოლია. ეგვიპტის ფარაონებისათვის აგებული ძვალთშესალაგებელი, ეგვიპტის პირამიდები, მსოფლიოს პირველი საოცრებაა. ეგვიპტელები პირველები იყვნენ, რომლებმაც მათემატიკა გამოიყენეს ხელოვნებაში... ისინი „ოქროს კვეთის“ პროპორციას იყენებდნენ პირამიდების აგების დროს. პარიზის მეორე საოცრება - ეიფელის კოშკიც „ოქროს კვეთაზე“ დაყრდნობით არის შექმნილი... იგი ლითონის კონსტრუქციაა და კოშკის მცირე ნაწილის შეფარდება დიდ ნაწილთან გვაძლევს „ოქროს კვეთის“ პროპორციას... ატომის სტრუქტურები, დნმ-ის ჯაჭვი, მცენარეთა აგებულება, ტვინის ხვეულები, პლანეტების ორბიტები, გალაქტიკები, ბუნება ყველგან იყენებს ოქროს პროპორციას. ოქროს კვეთა ასევე შეიმჩნევა ხეში, ყვავილში, გირჩში, ფოთლის ფორმაში, ლოკოკინას ნიჟარაში, კვერცხში, თოვლის ფიფქში, ბუნებრივ მოვლენებში, როგორიცაა: ტორნადო და ქარბორბალა... დადგენილ იქნა, რომ ფიბონაჩის რიცხვები ახასიათებს მრავალი ცოცხალი ორგანიზმის სტრუქტურულ აღნაგობას, მაგალითად: ტოტზე ფოთლების ხრახნისებრი განლაგება ქმნის ფიბონაჩის რიცხვების შესაბამის მიმდევრობას. კარგადაა ცნობილი ოქროს პროპორცია ვაშლის, მსხლისა თუ ბევრი სხვა მცენარის ხუთფურცლოვან ყვავილებში. დნმ-სა და რნმ-ს მოლეკულებს გააჩნიათ ორმაგი სპირალი, რომელიც თავისი ზომით თითქმის ემთხვევა ფიბონაჩის რიცხვებს. მზესუმზირის ყვევილის თესლი ერთმანეთის მოპირდაპირე სპირალებშია მოთავსებული. ამ სპირალების დიამეტრთა შეფარდებაც 1.618-ია. საგულისხმოა ბროკოლის მაგალითიც. თითოეული პატარა ყვავილი იდენტურია მთელის, რაც ფიბონაჩის მიმდევრობაზეა დამოკიდებული. საყურადღებოა ვარდკაჭაჭას ზრდის მაგალითიც. ძირითადი ღეროდან ვითარდება გამონაზარდი, რომელიც გამოიღებს პირველ ფოთოლს. გამონაზარდი იზრდება სივრცეში, შემდეგ ჩერდება, ისევ გამოიღებს ფოთოლს, მაგრამ წინაზე მოკლეს და ასე აგრძელებს ზრდას. ფოთლების სიგრძეც ემორჩილება ოქროს კვეთას. ბიოლოგიურ სამყაროში ოქროს სპირალი ფართოდაა გავრცელებული, ცნობილია, რომ ცხოველის რქა იზრდება მხოლოდ ერთი ბოლოდან. ეს ზრდა სრულდება ლოგარითმული სპირალებით. ოქროს კვეთა გამოსახულია თხის, ცხვრის, ჯიხვის, ანტილოპასა და სხვა ცხოველების რქებზე. მრავალ პეპელაში გულ-მკერდის ზომისა და მუცლის ნაწილების თანაფარდობა ექვემდებარება ოქროს კვეთას.

ღამის პეპელა დაკეცილი ფრთებით ქმნის ტოლგვერდა სამკუთხედს, მაგრამ საკმარისია ფრთების გაშლა, რომ ჩვენ დავინახავთ სხეულის დანაწილების იგივე პრინციპს. მზესუმზირას მარცვლები განლაგებულია სპირალისებურ ორ მწკრივად, რომელთაგან ერთნი ჩახვეული არიან საათის ისრის მიმართულებით, მეორენი - საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით. იგივე პრინციპით აგებულია ლოკოკინას ნაჭუჭიც. პატარა 10 სანტიმეტრიან ნაჭუჭს გააჩნია 35 სმ-იანი სპირალი. ოქროს კვეთის პროპორცია კარგად ჩანს კვერცხის მაგალითზეც. ოქროს კვეთის მაგალითს წარმოადგენს ხუთქიმიანი ვარსკვლავი.

ლიტერატურა:

1. https://www.geoforex.info/2-etapi-cat/1373-fibonacis-ricxvebi-koeficentebi-xazebi-rkalebi-drois-sartylebi
2. https://sites.google.com/a/iliauni.edu.ge/okros-kveta/kvlevis-aghtsera/-okros-kveta-bunebashi
3. http://oqroskveta-teona.blogspot.com/
4. http://interesko.info/chisla-i-formuly-v-prirode/
5. http://greenword.ru/2009/06/fibonacci-sequence.html

შემაერთებელი ქსოვილი სისხლი და მისი ლაბორატორიული ანალიზი

დიანა მერებაშვილი, მარიამ გოგიაშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **თინათინ იოსებიძე,** ასოცირებული პროფესორი

სისხლი თხევად, შემაერთებელ ქსოვილს განეკუთვნება და შედგება უფერო გამჭვირვალე სითხისგან – სისხლის პლაზმისგან და სისხლის უჯრედებისგან, რომლებსაც სისხლის ფორმიან ელემენტებს უწოდებენ. პლაზმა სისხლის 50-60%-ს შეადგენს, 40-50% კი ფორმიან ელემენტებზე მოდის. იგი თხევადი ნაწილია შეიცავს 90%–ზე მეტ წყალს, 7% ცილებს, 0.9% მინერალურ მარილებს, 0.8%-ს ცხიმებს, 0.12%–ს ნახშირწყალს – გლუკოზას. პლაზმის ასეთ შემადგენლობას ადამიანის მთელი სიცოცხლის განმავლობაში ინარჩუნებს. მისი ფუნქციაა ნივთიერების გადატანა და სისხლის შედედება. ფორმიანი ელემენტები შეიცავენ ერითროციტებს, ლეიკოციტებს და თრომბოციტებს (სურათი 1).



სურათი1. მარცხნიდან მარჯვნივ: ერითროციტი, გააქტიურებული თრომბოციტი და ლეიკოციტი

როგორც ცნობილია, უჯრედი ცოცხალი ორგანიზმის სტრუქტურული და ფუნქციონალური ერთეულია. მათი ერთობლიობა ქსოვილს ქმნის, ქსოვილები ორგანოებს უდებენ საფუძველს, ხოლო ორგანოთა ერთობლივი მუშაობა კი მთლიან ორგანიზმს აძლევს დასაბამს. აქედან გამომდინარე, ცხადია, თუ თითოეული ორგანიზმის ნორმალური ცხოველქმედებისთვის რა დიდი როლი ენიჭება უჯრედს, როგორც სიცოცხლის წყაროს. ორგანიზმში რაიმე პათოლოგიური პროცესი სწორედ უჯრედიდან იწყება. მის გამოსარკვევად კი სისხლის ლაბორატორიული კვლევაა საჭირო.

სისხლის ლაბორატორიული კვლევის მეთოდები მრავალფეროვანია და მოიცავენ სინათლის, ფაზურ–კონტრასტულ, ელექტრულ და სკანირებულ მიკროსკოპიას, სისხლის გამოკვლევის ციტოქიმიურ მეთოდებს (სპეციფიკური ფერადი რეაქციების ვიზუალურ შეფასებას), ციტოსპექტროფოტომეტრიას (სისხლის უჯრედებში ქიმიური კომპონენტების რაოდენობის და ლოკალიზაციის განსაზღვრა განსაზღვრული სიგრძის ტალღის მეშვეობით სინათლის შთანთქვის სიდიდის ცვლილებების მიხედვით), უჯრედულ ელექტროფორეზს (სისხლის უჯრედების მემბრანის ზედაპირული მუხტის სიდიდის რაოდენობრივი შეფასება), გამოკვლევის რადიოიზოტოპურ მეთოდებს (სისხლის უჯრედების დროში ცირკულაციის შეფასება), ჰოლოგრაფიას (სისხლის უჯრედების ზომის და ფორმის განსაზღვრა), იმუნოლოგიურ მეთოდებს (სისხლის ამ თუ იმ უჯრედის მიმართ ანტისხეულების გამოვლინება). ერთ–ერთ ყველაზე გავრცელებულ მეთოდს წარმოადგენს სისხლის შემადგენლობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი ანალიზი. აღნიშნული გამოკვლევები გამოიყენება დიაგნოსტიკის, პათოლოგიური პროცესის დინამიკის და დაავადების პროგნოზირების მიზნით.

ჩვენი კვლევის მიზანი იყო შპს „ნოვა მედის“ გორის მოზრდილთა პოლიკლინიკის ციტოლოგიურ ლაბორატორიაში ლაბორანტების დახმარებით პრაქტიკულად შეგვესწავლა სისხლის ფორმიანი უჯრედების შემადგენლობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი ანალიზი, ასევე ანალიზის აღება, მიკროსკოპული და ცენტრიფუგირების მეთოდებით სინჯის დამუშავება და შედეგის წაკითხვა.

სისხლის ანალიზი ლაბორატორიული კვლევის ყველაზე მნიშვნელოვანი მეთოდია და მას სხვაგვარად სისხლის კლინიკურ ანალიზს უწოდებენ. ამ ანალიზით განსაზღვრული პარამეტრები ფიზიოლოგიური თუ პათოლოგიური ფაქტორების საპასუხოდ განვითარებულ ორგანიზმის რეაქციას ასახავს.

სისხლის საერთო ანალიზი გვიჩვენებს:

- ერითროციტების რაოდენობას;
- ერითროციტების დალექვის სიჩქარეს (ედს);
- ჰემოგლობინის (Hp) შემცველობას;
- ლეიკოციტების რაოდენობას;
- ლეიკოციტურ ფორმულას.

აღნიშნული გამოკვლევისთვის მასალას (სისხლს) თითიდან ან ვენიდან იღებენ. უტყუარი პასუხის მისაღებად უმჯობესია ანალიზი უზმოზე ჩაბარდეს. განვიხილოთ თითოეული ფორმიანი ელემენტის მნიშვნელობა.

ერითროციტები ანუ სისხლის წითელი უჯრედები ორგანიზმში აირთა ცვლას ემსახურებიან. მის შემადგენლობაში შედის ცილოვანი ნივთიერება ჰემოგლობინი. ჰემოგლობინი არის ცილა გლობინისა და რკინის ატომის შემცველი ჰემის მოლეკულებისაგან შემდგარი რთული ნაერთი და მას ძირითადად ჟანგბადისა და ნახშირბადის სატრანსპორტო ფუნქცია აკისრია, კერძოდ, მიაქვს ყველა ქსოვილამდე ჟანგბადი და გამოაქვს იქიდან ნახშირო‌ჟანგი. მისი ნორმალური მაჩვენებელია: მამაკაცებში - 130-160გ|ლ, ქალებში - 120-140გ| ჯანმრთელ ადამიანს ერითროციტები ჭარბი რაოდენობით შეიძლება ჰქონდეს იმ შემთხვევაში, თუ ის მაღალმთიანეთში იმყოფება. სხვა შემთხვევაში აწეული მაჩვენებელი ბრონქების, ფილტვების, თირკმლების, ღვიძლისა და გულის შესაძლო დაავადებებზე მიუთითებდეს. ერითროციტების რაოდენობა ასევე შესაძლოა გაიზარდოს სტეროიდული ჰორმონების ჭარბი რაოდენობის გამო. ერითროციტების ნაკლებობა მიანიშნებს ანემიაზე, სისხლის მწვავე ნაკლულობაზე, ქრონიკულ ანთებით პროცესებზე, ხოლო თუ ჰემოგლობინი ძალიან მაღალია -ეს გაუწყლოებაზე, სისხლის დაავადებებსა და გულის უკმარისობაზე მეტყველებს.

სისხლის ანალიზში მნიშვნელოვანია ერითროციტების დალექვის სიჩქარე (ედს). ამ მაჩვენებლის მომატება ანთებითი პროცესის არსებობაზე მეტყველებს, თუმცა ანთების დროს ედსი ყოველთვის არ იმატებს. მაღალი ედსი მიანიშნებს:

- მწვავე ან ქრონიკულ ანთებით დაავადებაზე (პნევმონიაზე, ოსტეომიელიტზე, ტუბერკულოზზე, სიფილისზე და სხვა);
- მოწამვლაზე;
- მიოკარდიუმის ინფარქტზე;

- ძვლის მოტეხილობასა და ზოგადად ტრავმაზე;
- ანემიაზე;
- თირკმლის პათოლოგიაზე;
- სიმსივნურ პროცესზე და სხვა.

ედსი იმატებს ოპერაციის შემდგომ პერიოდში, აგრეთვე - ზოგიერთი მედიკამენტის მიღებისას. ერითროციტების დალექვის სიჩქარე იკლებს შიმშილობისა და კუნთოვანი მასის შემცირებისას, კორტიკოსტეროიდების მიღებისას.

სისხლში ერითროციტების რაოდენობის აბსოლუტური დაქვეითება ანემიის ძირითადი კრიტერიუმია. არჩევენ ანემიის შემდეგ სახეებს: დეფიციტური ანემიები - როცა ერითროციტის წარმოქმნისათვის არ ყოფნის ერთ-ერთი ცილა, ვიტამინები ან რკინა მათი საკვების გზით არასაკმარისი რაოდენობით მიწოდების ან ნაწლავებიდან მათი არასრული შეწოვის გამო. პოსტჰემორაგიული ანემიები - ვითარდება ღეროვანი უჯრედების დაღუპვის ან ფუნქციონირების დარღვევის შედეგად. ჰემოლიზური ანემიები - არის თანდაყოლილი და შეძენილი. შეძენილი ანემიები ვითარდება სხვადასხვა ქიმიური ნივთიერებების ან მექანიკური ფაქტორების ზემოქმედების შედეგად. თანდაყოლილი - მუტაციის შედეგია, ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს ერითროციტების მემბრანის დეფექტს ან ნორმალურ ჰემოგლობინს. ერითროციტების რაოდენობის მომატებას ერითროციტოზი ეწოდება.

ლეიკოციტები სისხლის თეთრი ბირთვიანი უჯრედებია, რომლებიც ელენთაში, ლიმფურ კვანძებსა და ძვლის წითელ ტვინში წარმოიქმნება. მათი ფუნქციაა ორგანიზმის ტოქსინებისგან, ვირუსებისგან, ბაქტერიებისა და მომაკვდავი უჯრედებისგან დაცვა. ისინი ასევე მონაწილეობენ სხვადასხვა იმუნოლოგიურ რეაქციაში და გვიცავენ ინფექციებისგან. არჩევენ ლეიკოციტების შემდეგ სახეებს: ნეიტროფილები, ეოზინოფილები, ბაზოფილები, ლიმფოციტები. ლეიკოციტების რაოდენობა მნიშვნელოვნად იმატებს:

- ინფექციური დაავადების დროს;
- დამწვრობისა და ტრავმის დროს;
- მიოკარდიუმის, ფილტვის, თირკმლისა და ელენთის ინფარქტის დროს;
- მწვავე და ქრონიკული ანემიების დროს;
- ავთვისებიანი სიმსივნური პათოლოგიის დროს.

ლეიკოციტების რაოდენობა მცირდება:

- ზოგიერთი ინფექციური პათოლოგიის (მალარია, შიდსი, მუცლის ტიფი, გრიპი, წითელა და სხვა) დროს;
- რევმატოიდული ართრიტის დროს;
- სხივური დაავადების დროს;
- თირკმლის უკმარისობის დროს;
- ზოგიერთი მედიკამენტის (ანთების საწინააღმდეგო და ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატების) მიღების დროს;
- ძვლის ტვინის პათოლოგიის დროს;
- ანაფილაქსიური შოკისა და განლევის დროს.

ლეიკოციტების ძირითად ტიპს შეადგენენ ნეიტროფილები, ლიმფოციტები, მონოციტები, ეოზინოფილები და ბაზოფილები. ლეიკოციტური ფორმულის განსაზღვრისას, ჩვეულებრივ, ითვლიან ახალგაზრდა (მოუმწიფებელ) ჩხირბირთვიან ნეიტროფილებსაც. უჯრედთა თითოეული ტიპი განსხვავებულ ფუნქციას ასრულებს. თითოეული მათგანის პროცენტული შემცველობა მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის იმუნური სისტემის მდგომარეობის შესახებ. სხვადასხვა ტიპის ლეიკოციტის რაოდენობის მომატება ან შემცირება კლინიცისტს ამა თუ იმ ინფექციური დაავადების, ალერგიული რეაქციის დიაგნოსტიკასა და სხვადასხვა პათოლოგიური მდგომარეობის შეფასებაში ეხმარება.

ლეიკოციტების გამოკვლევისთვის ხდება მათი გამოყოფა სისხლიდან ცენტრიფუგირების მეთოდით, ფიტოჰემაგლუტინინების გამოყენებით კულტივირება 72 საათის განმავლობაში, რის შედეგაც უჯრედული კულტურიდან კეთდება ნაცხი, ფიქსირდება მეთანოლში და იღებება. დათვალიერება ხდება სინათლის იმერსიული მიკროსკოპის საშუალებით. ნორმაში სისხლში ლეიკოციტების შემცველობა შეადგენს 3,5-8,8 ათასს 1 მკლ-ში.

ნეიტროფილები ლეიკოციტების საერთო რაოდენობის 70%-ს შეადგენს. ისინი ნეიტრალური ფერის არიან, იღებებიან მორუხო-ნარინჯისფრად. ეს უჯრედები ლორწოვან გარსში ბინადრობენ, უცხო მიკრო ორგანიზმებს შთანთქავენ და ამით ორგანიზმს ინფიცირებისაგან იცავენ. არჩევენ ჩხირბირთვიან და სეგმენტბირთვიან ნეიტროფილებს.

ნეიტროფილების მომატება ჩირქოვანი ანთებითი პროცესების მაჩვენებელია. განსაკუთრებით საშიშია ის შემთხვევა, როდესაც ორგანიზმში ჩირქოვანი ანთება მიმდინარეობს, ნეიტროფილების დონე კი მომატებული არ არის. ნეიტროფილების მაჩვენებლის შემცირებას ნეიტროპენია ეწოდება. ის ვლინდება ზოგიერთი ინფექციური დაავადების, ანემიის დროს, თირეოტოქსიკოზის, სხივური დაავადების და სხვათა შემთხვევაში.

ეოზინოფილები - კარგად იღებებიან მჟავე წითელი ფერის საღებავებით, ხოლო სისხლის ნაცხში მათ აქვთ მოვარდისფრო-ნარინჯისფერი ფერი. ისინი ლეიკოციტების საერთო რაოდენობის 1-5%-ს შეადგენს. ეოზინოფილები მონაწილეობენ პარაზიტების განადგურებაში და ალერგიულ რეაქციებში. მათი რაოდენობა იზრდება ალერგიული დაავადებების, პარაზიტული დაავადებების, ინფექციების დროს.

მონოციტებს გააჩნიათ შეღებვის, ამებოიდური მოძრაობის და ფაგოციტოზის (განსაკუთრებით უჯრედების ნარჩენების და წვრილი ზომის უცხო სხეულების მიმართ) მკვეთრად გამოხატული უნარი.

ლიმფოციტები - ლეიკოციტების ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს. ჯანმრთელი ადამიანის სისხლში ლეიკოციტები 19-30%-ს შეადგენს. მათი დონე იმატებს ზოგიერთი ინფექციის, სისხლის დაავადების დროს. ლიმფოციტების საერთო რაოდენობა ნორმაში: აბსოლიტური შემცველობა - 1200-3000 კლ|მკლ, ანუ 1 მიკროლიტრში უნდა იყოს 1200-3000 ლიმფოციტი. ლიმფოციტების რაოდენობის მომატებას ლიმფოციტოზს უწოდებენ, დაქვეითებას - ლიმფოციტოპენიას, ანუ ლიმფოპენიას.

თრომბოციტები მემბრანით დაფარული პოლიმორფული უბირთვო წარმონაქმნებია. სისხლის ნაკადში მათ გააჩნიათ მრგვალი ან ოვალური ფორმა. სიმწიფის ხარისხის მიხედვით განასხვავებენ თრომბოციტების ზრდასრულ, ახალგაზრდა, დაბერებულ, ე.წ. გაღიზიანების და დეგენერაციულ ფორმებს.

თრომბოციტების ქიმიური შემადგენლობა საკმაოდ რთულია. ასე მაგალითად, მშრალი ნარჩენი შეიცავს 0,24% ნატრიუმს, 0,3% კალიუმს, 0,096% კალციუმს, 0,02% მაგნიუმს, 0,0012% სპილენძს, 0,0065% რკინას და 0,00016% მანგანუმს. თრომბოციტების შემადგენლობაში რკინის და სპილენძის არსებობა სავარაუდოდ მეტყველებს მათ მონაწილეობაზე სუნთქვის პროცესში.

თრომბოციტების კალციუმის უდიდესი რაოდენობა დაკავშირებულია ლიპიდებთან, კალციუმ–ლიპიდური კომპლექსების სახით. მნიშვნელოვან როლს თამაშობს კალიუმი; სისხლის კოლტის წარმოქმნის დროს იგი გადადის სისხლის შრატში, რაც აუცილებელია მისი რეტრაქციის განხორციელებისთვის.

თრომბოციტების ძირითადი ფუნქციაა სისხლდენის შეჩერების ხელშეწყობა; მათ გააჩნიათ გაშლის, აგრეგაციის და შეკუმშვის უნარი, რაც განაპირობებს სისხლის კოლტის წარმოქმნის დაწყებას, ხოლო მისი ფორმირების შემდეგ – რეტრაქციას. თრომბოციტები შეიცავენ ფიბრინოგენს, აგრეთვე კუმშვად ცილა თრომბასტენინს, რომელიც მნიშვნელოვაწილად წააგავს კუნთოვან კუმშვად ცილა აქტომიოზინს.

თრომბოციტების მაღალი რაოდენობა შესაძლოა მიანიშნებდეს: ტუბერკულოზზე, წყლულოვან კოლიტზე ან ღვიძლის ციროზზე. თრომბოციტების რაოდენობა სისხლში იკლებს ალკოჰოლის გამოყენების, მძიმე მეტალებით მოწამვლის, სისხლის დაავადებების, თირკმლის უკმარისობის, ღვიძლის, ელენთის დაავადებებისა და ჰორმონალური დარღვევების ფონზე. ზოგი წამალი (ანტიბიოტიკები, შარდმდენები, დიგოქსინი, ნიტროგლიცერინი) ასევე ამცირებს თრომბოციტების შემცველობას სისხლში.

თუ როგორ უნდა წავიკითხოთ ანალიზის შედეგები მაგალითად მოგვყავს სისხლის კლინიკური ანალიზის ნიმუში. სურათი 2.

დასახელება		შედეგი	ზ/ერთ	ნორმა 4–11 თვე
ლეიკოციტები	WBC	9.5	10^9/l	6 – 15.0
ერითროციტები	RBC	4.14	10^{12}/l	3.9 – 5.2
ჰემოგლობინი	HGB	11.8	g/dl	10.0 –13.3
ჰემატოკრიტი	HCT	33.3	%	32 – 38
ერითროციტების საშუალო მოცულობა	MCV	80.4	fl	73 – 82
ჰემოგლობინის საშუალო შემცველობა	MCH	28.5	pg	24 – 26
ჰემოგლობინის საშუალო კონცენტრაცია საერთო ერითროციტულ მასაში	MCHC	35.4	g/dl	31.3 – 32.6
ერითროციტების განაწილების საზღვრები	RDW	12.9	%	12.0 – 16.8
თრომბოციტები	PLT	238	10^9/l	160 – 400
თრომბოციტების საშუალო მოცულობა	MPV	9.3	fl	7.5 – 10.5
ჩხირი	Bands	1		1-5
სეგმენტბირთვიანი ნეიტროფილი	Neutrophiles	19.8 2.0	% 10^9/l	23 – 45 (1.38 – 6.75)
ლიმფოციტები	Lymphocytes	66.6 6.3	% 10^9/l	52 – 68 (3.12 – 10.2)
მონოციტები	Monocytess	7.0 0.7	% 10^9/l	4.0 – 12.0 (0.24 – 1.8)
ეოზინოფილები	Eosinophils	5.2 0.5	% 10^9/l	1 – 5 (0.06 – 0.75)
ბაზოფილები	Basophils	0.4 0.0	% 10^9/l	0 – 1 (0 – 0.15)
პლაზმური უჯრედები	Plasma cells		%	0-05
ერითროციტების დალექვის სიჩქარე	ESR	2	mm/h	< 13

სურათი 2. სისხლის საერთო ანალიზის მონაცემები

ამრიგად, გორის შპს „ნოვა მედის“ ციტოლოგიურ ლაბორატორიაში ჩატარებული სამუშაოს და მოძიებული ინფორმაციის საშუალებით შევისწავლეთ სისხლის საერთო ანალიზის სრულყოფილი წაკითხვა, სისხლის უჯრედების - ერითროციტების, ლეიკოციტების და თრობოციტების აღმოჩენა, დათვლა და მნიშვნელობა.

ლიტერატურა:

1. ა. შათირიშვილი, ს. ცაგარელი, ი. ლაზრიშვილი, ბიოლოგია, თბილისი, 2011.
2. ადამიანის ფიზიოლოგია, ი. კვაჭაძის რედ., თბილისი, 2008, 441 გვ.
3. ე. ბაბსკი, ა. ზუბკოვი, გ. კოსიცკი, გ. ხოდოროვი. ადამიანის ფიზიოლოგია. თბილისი, 1969.
4. https://sputnik-georgia.com/society/20161220/234253439/sisxlis-analizi.html

სპორტსმენის გულ–სისხლძარღვთა სისტემის ცვლილებები ორთაბრძოლის დროს

თამაზ სამხარაძე
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მარიამი უბირია**, მოწვეული სპეციალისტი, დოქტორი

სისტემატურ წვრთნას, განსაკუთრებით ხანგრძლივი ციკლური მუშაობისას, თან სდევს გულ–სისხლძარღვთა სისტემის ბიოქიმიური, მორფოლოგიური და ფუნქციური ცვლილებები. ამაში მთავარ როლს ასრულებს სისხლის მიმოქცევის სისტემაზე პარასიმპათიკური (ქოლინერგული) გავლენის გაძლიერება და ადრენალინის გავლენის დათრგუნვა (ვ. რაბი და სხვა).

XIX საუკუნეში აღმოაჩინეს, რომ სპორტში მეცადინეობა იწვევს გულის ზომის გადიდებას. მაშინ ამას მიიჩნევდნენ არასასურველ მოვლენად. შემდგომში დადგინდა, რომ სისტემატური კუნთური მოქმედება იწვევს გულის ღრუების გაფართოებას (ტონოგენური დილატაცია) და მიოკარდიუმის ჰიპერტროფიას. ამ დროს გულის კუნთში იზრდება გლუკოგენისა და ცილოვანი ნაერთების, კერძოდ, მიოგლობინის შემცველობა. ეს უკანასკნელი მიოკარდიუმს იცავს ჰიპოქსიის განვითარებისაგან.

მიოკარდის ჰიპერტროფიას თან სდევს კაპილარული ქსელის განვითარება, კაპილართა დიამეტრის ზრდა და მათ შორის ანასტომოზების წარმოქმნა. გულის ჰიპერტროფიის დონე დამოკიდებულია წვრთნის თავისებურებაზე, აგრეთვე იმ ასაკზე, როდესაც იწყებენ სპორტში ვარჯიშს.

ორთაბრძოლის (ერთჭიდის) სახეებისათვის, როგორიცაა კრივი, ჭიდაობა და ფარიკაობა, დამახასიათებელია გულ–სისხლძარღვთა სისტემის ცვლილებები, რომლებიც შემდეგში გამოიხატება.

მოკრივეებს მოსვენებულ მდგომარეობაში აღენიშნებათ არამკვეთრი ბრადიკარდია. მათი გულის მოცულობა საშუალოდ უდრის 948 სმ^3–ს (ინდივიდუალური ცვალებადობა 6,5–დან 1440 სმ^3–მდე). ბრძოლის დროს გულის ცემის სიხშირე წუთში აღწევს 180 – 200–ს. შეჯიბრების დროს ბრძოლის წინ მოკრივეს ძლიერი ემოციური აგზნება ორგანიზმის ყველა სისტემის მკვეთრ ფუნქციურ ცვლილებას იწვევს. სისხლში გლუკოზა მატულობს 0,16–0,19% –მდე და მეტად. ბევრ მოკრივეს შეჯიბრების დაწყებამდე 6–12 საათით ადრე სისხლში უქვეითდება ეოზინოფილების რაოდენობა. ბრძოლის დროს გრძელდება მათი შემცირება, რაც მიუთითებს ორგანიზმის ყველა ფუნქციის გადაძაბვაზე. ეოზინოფილების შემცირებასთან ერთად მუშაობის გავლენით მატულობს ლეიკოციტების სხვა ფორმები. წარმოიქმნება მიოგენური ლეიკოციტოზის ნეიტროფილური ფაზა. ბრძოლის შემდეგ მოკრივის სისხლში მომატებულია რძემჟავას კონცენტრაცია და შემცირებულია ტუტოვანი რეზერვი.

შეჯიბრებაში მონაწილეობის შემდეგ აღინიშნება დიურეზის შემცირება, შარდის ხვედრითი წონის ზრდა, მისი მჟავიანობის და დაუჟანგავი პროდუქტების რაოდენობის მომატება, ხოლო ოფლის გამოყოფის გაძლიერების გამო ქლორიდების შემცველობა მცირდება.

საწვრთნელ მეცადინეობასთან შედარებით საშეჯიბრო ბრძოლის შემდეგ აღდგენითი პროცესები რამდენადმე ნელა მიმდინარეობს იმის გამო, რომ მოკრივე ძლიერ ემოციურ მდგომარეობაშია.

მოჭიდავეების გულისცემის სიხშირე მოსვენებულ მდგომარეობაში წუთში 60-65–ს უდრის. ი. ა. ბორისოვისა და გ. ს. თუმანიანის გამოკვლევებით მაღალკვალიფიცირებულ მოჭიდავეთა გულის მოცულობა შეადგენს საშუალოდ 953 სმ^3–ს. მოჭიდავეთა გულის მოცულობა კორელირებს სხეულის წონასა და სიმაღლესთან. შეჭიდების დროს მოჭიდავეთა გულისცემის სიხშირემ შეიძლება მიაღწიოს წუთში 170 – 200 დარტყმას, რაც დამოკიდებულია დატვირთვის სიმძლავრეზე. არტერიული (სისტოლური) სისხლის წნევა მატულობს 160–180 მმ–მდე.

ჭიდაობისას ჩვეულებრივ ვითარდება შედარებით ხანგრძლივი ჭინთვის მოვლენა, რომელიც ზრდის მოთხოვნას გულის მოქმედების მიმართ და იწვევს მის ჰიპერტროფიას. ვარჯიშისა და შეჯიბრების დროს მოჭიდავეთა სისხლში მატულობს ერითროციტებისა და ჰემოგლობინის რაოდენობა. როგორც სპეციალურმა გამოკვლევებმა ცხადყო, შეჭიდების შემდეგ აღდგენით პერიოდში მათ მომატებული აქვთ ერითროციტების დეოქსიგენაციის ინტენსივობა, რაც დადებით გავლენას ახდენს სისხლის სუნთქვის ფუნქციაზე. თავისუფალი და კლასიკური სტილის მოჭიდავეებში შეჯიბრების შემდეგ ერითროციტების დეოქსიგენაციის სისწრაფე 25% არის მომატებული (ვ.ი. შუბინი და სხვა). შეჭიდების შემდეგ შეიმჩნევა მიოგენური ლეიკოციტოზი (ნეიტროფილური ფაზა). გლუკოზის კონცენტრაცია და რძემჟავას შემცველობაც ხშირად მომატებულია.

ჭიდაობისას მკვეთრად ძლიერდება ოფლის გამოყოფა, რაც ხანგრძლივი შეჭიდების შემთხვევაში იწვევს დიდი რაოდენობის წყლის დაკარგვას და სხეულის წონის დაკლებას. დაძაბული შეჭიდების შემდეგ შარდში მატულობს დაუჟანგავ ნივთიერებათა კონცენტრაცია, ზოგჯერ კი ცილა წარმოიქმნება.

ფიზიოლოგიური დახასიათების მიხედვით ფარიკაობა მკვეთრად განსხვავდება ზემოაღწერილი სხვა არასტანდარტული ფიზიკური ვარჯიშებისაგან. რადიოტელემეტრულმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ **მოფარიკავეთა** საწვრთნო გაკვეთილებზე გულის რიტმის გახშირება არ აღემატება წუთში 150-170 დარტყმას. ცალკეული მოძრაობების შესრულებისას გულისცემის სიხშირე დამოკიდებულია ამ დროს მომუშავე კუნთების რაოდენობაზე. მაგალითად, ცალი ხელით ჩხვლეტის შემთხვევაში გულის შეკუმშვა ხშირდება წუთში 96 დარტყმამდე, ნაბიჯით ჩხვლეტის მიყენებისას და ვარდნით ჩხვლეტისას 120–მდე, ხოლო ნაბიჯით წინ და ვარდნით ჩხვლეტისას 138–მდე (ი. ვ. კარგანოვი). ამგვარად, მოფარიკავეთა საბრძოლო მოქმედება, რომელსაც ახასიათებს ფეხის კუნთების აქტიური მოქმედება, იწვევს გულის რიტმის უფრო გახშირებას, ვიდრე ის მოქმედებები, რომლებიც ხელით სრულდება.

საწვრთნო მეცადინეობის დროს მოფარიკავეებში ხშირად შეიმჩნევა დაახლოებით 10–12 წამის ხანგრძლივობის მიკროპაუზები. ამ მიკროპაუზების შემდეგ, რომლებიც თავისებური დასვენებაა, გულისცემის სიხშირე ქვეითდება, მცირდება აგრეთვე მოძრაობითი რეაქციების ლატენტური პერიოდი. მაგრამ თითქოსდა კეთილსასურველი ძვრები ერწყმის მოძრაობითი რეაქციების დროს ვარიაციულობის მომატებას და ჩხვლეტების სიზუსტის დაკლებას. ეს უკანასკნელი იწვევს სპორტსმენის შემდგომი მოქმედების ეფექტურობის დაქვეითებას.

მოფარიკავის სისწრაფე და მოძრაობის მაღალი ტემპი ბრძოლის მიმდინარეობის დროს, აგრეთვე მისი შეფარდებითი ხანგრძლივობა რამდენადმე არღვევს ჰომეოსტაზს. სტანდარტული დატვირთვის შესრულების შემდეგ სისხლის pH მცირდება საშუალოდ 0,16 მ–ით, ბუფერული თვისება კლებულობს, ნახშირორჟანგის პარციული წნევა იზრდება. გავარჯიშების განვითარებასთან ერთად სტანდარტული დატვირთვები იწვევს შედარებით ნაკლებ ძვრებს ორგანიზმის შიდა გარემოს შემადგენლობაში.

ლიტერატურა:

1. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ფიზიოლოგიური საფუძვლები, თბილისი, „განათლება“, 1982.
2. Waaler B.A., Eriksen M., Janbu T. The effect of meal on cardiac output in man at rest and during moderate exercise. Acta Physiologica Scandinavica, 1990.
3. Turkevich D., Micco A., Reeves J.T. Noninvasive measurement of the decrease in left ventricular filling time during maximal exercise in normal subjects. American Journal of Cardiology, 1988.
4. ვ. ელაშვილი, სპორტული წვრთნის საკითხები, თბილისი, 1964.

გამძლეობის განვითარება თავისუფალ ჭიდაობაში

თამაზ ტარუაშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **გიორგი მძინარაშვილი,** ასისტენტ პროფესორი

თავისუფალი ჭიდაობა მსოფლიოში ერთ-ერთი აღიარებული და პოპულარული სპორტის სახეობაა. ჩვენ ამის შესახებ არაერთხელ აღვნიშნეთ სხვადასხვა ნაშრომებში. სპორტის სახეობებს შორის თავისუფალი ჭიდაობა მოიცავს მრავალმხრივ და მრავალმოცულოვან ტექნიკურ-ტაქტიკურ მოქმედებებს. ამ ჭიდაობის არსენალი მოიცავს დაახლოებით 1000-ზე მეტ ილეთს. ამ ილეთების რაოდენობაში შედის, როგორც საიერიშო ილეთები, ასევე კონტრ-ილეთები და დაცვის ილეთები. მოჭიდავის მომზადების მხარეებს შორის პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება საერთო და სპეციალურ

ფიზიკურ მომზადებას და ამ მომზადებაში შემავალ ფიზიკური თვისებების განვითარებას და კერძოდ გამძლეობას. დაძაბული შეხვედრების ჩატარების პროცესში მოჭიდავეს სჭირდება ძალების მობილიზაცია, მას უნდა ეყოს გამძლეობა როგორც ერთი შეხვედრისათვის, ასევე შეხვედრიდან შეხვედრამდე მთელი ტურნირის ჩასატარებლად. იმისათვის, რომ მოჭიდავემ მიაღწიოს წარმატებას, აუცილებელია ამ ფაქტორის გათვალისწინება. გამძლეობა, მოგეხსენებათ, არის ადამიანის, სპორტსმენის და მოჭიდავის უნარი შეასრულოს ეფექტური მუშაობა გარკვეული ინტენსიურობით წვრთნის პროცესში ან შეჯიბრზე. ყველა ფიზიკური თვისება ყველა სპორტსმენისთვის მეტ-ნაკლებად არის დამოკიდებული ერთმანეთზე და ხშირად არის ჰარმონიულ კავშირში. ამასთან ერთად, ყველა ფიზიკურ თვისებას უნდა სპეციფიკური განვითარება და სრულყოფა. რაც უფრო მაღალია მოჭიდავის შესაძლებლობები გამძლეობაში, მით უფრო მეტად შეუძლია მას განახორციელოს საიერიშო დაცვითი და კონტრ-დაცვითი მოქმედებები.

ამისათვის აუცილებელია ამ ფიზიკური თვისების განვითარება. ყველა სპორტული ჭიდაობის სახეობაში ზოგადად ყველა სპორტულ სფეროში. როგორც მოგეხსენებათ, არსებობს საერთო და სპეციალური ფიზიკური მომზადება, როგორც თავისუფალ ჭიდაობაში, ასევე სპორტის სხვა სახეობებში. კარგად განვითარებული საერთო ფიზიკური მომზადება საწინდარი და საფუძველია იმისა, რომ განვითარდეს სპეციალური ფიზიკური მომზადება. საერთო ფიზიკურ მომზადებას დიდი ყურადღება ენიჭება მოჭიდავის მომზადების საწყის ეტაპს. შემდეგ კი მოსამზადებელ პერიოდში მაქსიმალური ყურადღება უნდა იყოს გადატანილი სპეციალურ ფიზიკურ მომზადებაზე.

საერთო-ფიზიკურ მომზადებაში ჩვენ ვიყენებდით და ვიყენებთ სპეციალურ, ზოგადგანმავითარებელ და მოსამზადებელ ვარჯიშებს (სასწავლო-საწვრთნო შეხვედრებს, რომელთა ხანგრძლივობა შეადგენდა 20-30 წუთს, მოძრავ თამაშებს საჭიდაო ხალიჩაზე ჭიდაობის ილეთების გამოყენებით, რაგბს, კროსს, სპორტულ თამაშებს, რომლის ხანგრძლივობა შეადგენდა 1-1.5 საათს), დავალების ეფექტურობა გამძლეობის განვითარებაზე დამოკიდებულია ვარჯიშის ინტენსიურობაზე, მის ხანგრძლივობასა და დასვენებაზე. დასვენებების ინტერვალების ხანგრძლივობა იყო და არის ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც განაპირობებს ორგანიზმის საპასუხო რეაქციას საწვრთნო დატვირთვაზე.

ვარჯიშები, რომლებსაც ვიყენებდით და ვიყენებთ გამძლეობის განვითარებისათვის

1). ხანგრძლივი სასწავლო-საწვრთნო და საწვრთნო შეხვედრები;

2). შეხვედრები პარტნიორების შენაცვლებით: პირველ შეხვედრაში და პირველ წუთში პარტნიორი, რომელსაც ხვდება მოჭიდავე, ნაკლებია ერთი წონით კატეგორიით, მეორე შეხვედრაში მოჭიდავეები არიან თანაბარი მასის ე.ი თანაბარი წონითი კატეგორიის. მესამეში მოჭიდავე ხვდება უფრო მძიმე წონითი კატეგორიის პარტნიორს, შემდეგში, გვხვდება პარტნიორები, რომლებიც არიან უფრო სწრაფები ან გამძლეები, ან ფიზიკური ძალით ძლიერები;

3). ჭიდაობა ორი ან სამი მოჭიდავის წინააღმდეგ;

4). წახტომები ლახტით 200-300-ჯერ;

5). ბაგირზე ცოცვა 5-7-ჯერ;

6). აზიდვა ღერძზე ბოლომდე 3-7 გამეორება.

7). სპორტული თამაშები (კალათბურთი, ფეხბურთი, ხელბურთი);

8). სირბილი დროში (600-3000 მეტრი).

ლიტერატურა:

1) ლ. პ. მატვეევი, სპორტული წვრთნის საფუძვლები, თბილისი, 1987.

2) Г.С. Туманян, Спортивная борьба, М., ФИС, 1985.

3) А.В. Медведь., Е.И. Кочурко., Совершенствование подготовки мастеров спортивной борьбы, Минск, „Полымя“, 1985.

4) ლ. პ. მატვეევი, ა.დ. ნოვიკოვი. ფიზიკური აღზრდის თეორია და მეთოდიკა, თბილისი, 1979.

5) Л.П. Матвеев., А.Д. Новиков. Теория и методика физического воспитания, М, Фис, 1976.

6) გ. ა. მძინარაშვილი, პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი, თავისუფალი ჭიდაობის ტექნიკური მოქმედებების მოცულობისა და თანამიმდევრობის ექსპერიმენტული დასაბუთება (სწავლების საწყის ეტაპზე), თბილისი, 2006.

EULER NUMBER AND COMPOUND INTEREST

Nino Gelashvili
Social Sciences, Business and Law Faculty
First Year Bachelor Degree Student
Supervisor: **Soso Tsotniashvili,** Professor

Euler number

The number ***e*** is a mathematical constant, approximately equal to **2.71828……**, which appears in many different settings throughout mathematics. The irrational number e is a particularly suitable base for both exponential and logarithmic functions.

e is defined as the following limit:

$$e = \lim_{n\to\infty}\left(1+\frac{1}{n}\right)^n$$

History of the number *e*

The number *e* first comes into mathematics in a very minor way. This was in 1618 when, in an appendix to Napier's work on logarithms, a table appeared giving the natural logarithms of various numbers. However, that these were logarithms to base *e* was not recognized since the base to which logarithms are computed did not arise in the way that logarithms were thought about at this time. Although we now think of logarithms as the exponents to which one must raise the base to get the required number. This is a modern way of thinking. This table in the appendix, although carrying no author's name, was almost certainly written by Oughtred. A few years later, in 1624, again *e* almost made it into the mathematical literature, but not quite. In that year Briggs gave a numerical approximation to the base 10 logarithm of *e* but did not mention *e* itself in his work.

The next possible occurrence of *e* is again dubious. In 1647 Saint-Vincent computed the area under a rectangular hyperbola. Whether he recognized the connection with logarithms is open to debate, and even if he did there was little reason for him to come across the number *e* explicitly.

Certainly by 1661 Huygens understood the relation between the rectangular hyperbola and the logarithm. He examined explicitly the relation between the area under the rectangular hyperbola $yx = 1$ and the logarithm. Of course, the number *e* is such that the area under the rectangular hyperbola from 1 to *e* is equal to 1. This is the property that makes *e* the base of natural logarithms, but this was not understood by mathematicians at this time, although they were slowly approaching such an understanding.

As far as we know the first time the number *e* appears in its own right is in 1690. In that year Leibniz wrote a letter to Huygens and in this he used the notation *b* for what we now call *e*. At last the number *e* had a name (even if not its present one) and it was recognized.

It was discovered by the Swiss mathematician Jacob Bernoulli while studying compound interest. It may have been Jacob Bernoulli who first understood the way that the log function is the inverse of the exponential function.

On the other hand the first person to make the connection between logarithms and exponents may well have been James Gregory. In 1684 he certainly recognized the connection between logarithms and exponents, but he may not have been the first.

In 1683 he looked at the problem of compound interest and, in examining continuous compound interest, he tried to find the limit of $(1 + {}^{1}/n)^n$ as *n* tends to infinity. He used the binomial theorem to show that the limit had to lie between 2 and 3 so we could consider this to be the first approximation found to *e*.

Jacob Bernoulli discovered this constant by studying a question about compound interest: An account starts with $1.00 and pays 100 percent interest per year. If the interest is credited once, at the end of the year, the value of the account at year-end will be $2.00.

What happens if the interest is computed and credited more frequently during the year?

If the interest is credited twice in the year, the interest rate for each 6 months will be 50%, so the initial \$1 is multiplied by 1.5 twice, yielding $\$1.00\times1.5^2 = \$2.25$ at the end of the year.

Compounding quarterly yields $\$1.00\times1.25^4 = \$2.4414...$, and compounding monthly yields $\$1.00\times(1+1/12)^{12} = \$2.613035...$

If there are n compounding intervals, the interest for each interval will be $100\%/n$ and the value at the end of the year will be $\$1.00\times(1 + 1/n)^n$.

Bernoulli noticed that this sequence approaches a limit (the force of interest) with larger n and, thus, smaller compounding intervals. Compounding weekly ($n = 52$) yields \$2.692597...,

While compounding daily ($n = 365$) yields \$2.714567..., just two cents more. The limit as n grows large is the number that came to be known as e;

With *continuous* compounding, the account value will reach \$2.7182818...

Continuous Compound Interest.

Now, with an understanding of limit concepts, We can give precise definitions of e and continuous compound interest. We can see how e appears quite naturally in the important application of compound

Interest. Let us start with simple interest, move on to compound interest, and then proceed on to continuous compound interest.

On one hand, if a principal P is borrowed at an annual rate r, then after t years at simple interest, the borrower will owe the lender an amount A given by

$$A = P + Prt = P(1 + rt) \quad \text{Simple interest}$$

On the other hand, if interest is compounded n times a year, then the borrower will owe the lender an amount A given by

$$A = P\left(1 + \frac{r}{t}\right)^{nt} \qquad \text{Compound interest}$$

Where $r>n$ is the interest rate per compounding period and nt is the number of compounding periods. Suppose that P, r, and t in equation (2) are held fixed and n is increased.

Will the amount A increase without bound, or will it tend to approach some limiting value?

Let us perform a calculator experiment before we attack the general limit problem. If $P = \$100$ $r = 0.06$ and $t = 2$ years then…

$$A = 100\left(1 + \frac{0.06}{n}\right)^{2n}$$

We compute A for several values of n in Table 1.The biggest gain appears in the first step, then the gains slow down as n increases. The amount A appears to approach \$112.75 as n gets larger and larger.

Compounding Frequency	n	$A = 100\left(1 + \frac{0.06}{n}\right)^{2n}$
Annually	1	$112.3600
Semiannually	2	112.5509
Quarterly	4	112.6493
Monthly	12	112.7160
Weekly	52	112.7419
Daily	365	112.7486
Hourly	8,760	112.7496

If a principal P is invested at an annual rate r (expressed as a decimal) compounded continuously, then the amount A in the account at the end of t years is given by

$$A = Pe^{rt}$$

This formula is called the **continuous compound interest formula**, a widely used formula in business and economics.

REFERENCES:

1. C. Arya and R. W. Lardner, "Mathematical Analysis for Business, Economics, and the Life and Social Sciences" (fourth edition). Prentice Hall International, Inc., Englewood Cliffs, New Jersey, 1994.
2. R. Barnett, M. Ziegler, and K. Byleen, "Calculus for Business, Economics, Life Sciences and Social Sciences" (12th edition). Pearson, Prentice Hall, 2011.
3. Goldstein, D. Schneider, D. Lay, and N. Asmar, "Calculus and its Application" (11thedition). International Edition, 2006.
4. http://www-history.mcs.st-and.ac.uk/PrintHT/e.html

ეკონომიკური დემოკრატია

მარიამ გლოტოვი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მანია გოგიძე,** მოწვეული სპეციალისტი, დოქტორი

ეკონომიკური დემოკრატია - ეს არის ეკონომიკური ურთიერთობების სისტემა, რომლის მთავარი მიზანია თითოეული ადამიანისთვის თავისუფალი შრომის პირობების შექმნა, ეკონომიკურ სექტორში გადაწყვეტილებების მიღებასა და განხორციელებაში სამართლიანობის დამკვიდრება, კეთილდღეობის გაუმჯობესება და ცხოვრების დონის მაღალი სტანდარტების უზრუნველყოფა.

ეკონომიკური დემოკრატია არის საფუძველი დემოკრატიის სხვა ფორმების განვითარებისა. ეკონომიკური დემოკრატიის საფუძველს წარმოადგენს ადამიანის უფლება თავისუფალ შრომაზე. ადამიანი თავად ირჩევს სამუშაო ადგილს, სპეციალობას, იღებს გადაწყვეტილებას საკუთარი განათლებისა და კვალიფიკაციის მიღების შესახებ, აქვს უფლება მიიღოს ანაზღაურება გაწეული შრომისთვის. ყველა ადამიანს აქვს უფლება საკუთრებაზე და საკუთარი საქმის წამოწყებაზე, რომელზედაც მას სრული პასუხისმგებლობა ეკისრება. ეკონომიკური თავისუფლების არსებობა

შესაძლებელია მხოლოდ თავისუფალი ბაზრის პირობებში. კონკურენციას სარგებლობა მოაქვს მომხმარებლისთვის, რაც მას ფართო არჩევანს აძლევს პროდუქციის არჩევისას. ბაზარს გააჩნია საკუთარი ნაკლოვანებები. ის აკმაყოფილებს მხოლოდ იმ მოთხოვნებს, რომელიც განსაზღვრულია გადახდისუნარიანი მოთხოვნილებით. ის არ უზრუნველყოფს ინფრასტრუქტურულ მომსახურებას და არ აკმაყოფილებს მოქალაქეთა სოციალურ საჭიროებებს. ბაზარი არ იძლევა სრული დასაქმების, ფულის ბრუნვის სტაბილურობისა ან გარემოს დაცვის გარანტიას. საჯარო კონტროლისგან დამოუკიდებლად, ის იწვევს ეკონომიკურად ძლიერი ჯგუფების დომინირებასა და კონკურენციის აღმოფხვრას.

ეკონომიკური პოლიტიკის ამოცანაა ეკონომიკური სექტორის გადაწყვეტილებების მიღებისა და განხორციელების პროცესში სამართლიანი მონაწილეობის უზრუნველყოფა, სამუშაო ადგილებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას უნდა იღებდნენ საწარმოს თანამშრომლები და მათი წარმომადგენლები. ხელფასებისა და ზოგადი სამუშაო პირობების საკითხები უნდა მოგვარდეს პროფკავშირებსა და საწარმოს ხელმძღვანელობას შორის მოლაპარაკების გზით.

ეკონომიკური დემოკრატია შეუძლებელია თავისუფალი ვაჭრობის გარეშე. პატივი უნდა ვცეთ მათი მოღვაწეობის თავისუფლებას, მათ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას პარტიებისა და სახელმწიფოსგან და გაფიცვის უფლებას. პროფკავშირებმა მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ ეკონომიკისა და საზოგადოების დემოკრატიზაციის პროცესში, აქტიური მონაწილეობა მიიღონ ეკონომიკურ გადაწყვეტილებათა მიღებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ეკონომიკური დემოკრატიის გამოვლინების ფორმებია:

1) თანამშრომლების მონაწილეობა მატერიალური და სულიერი კეთილდღეობის შექმნის პროცესში;

2) საქონლის, მომსახურებისა და შესრულებული სამუშაოს ხარისხის კონტროლი;

3) მონაწილეობის მიღება შექმნილი ეკონომიკური კეთილდღეობის განაწილების პროცესში;

4) ეკონომიკური მოღვაწეობის სუბიექტების ეკონომიკური თავისუფლება, მათ შორის: მწარმოებლისა და მომხმარებლის;

5) ინვესტირებისა და ინვესტიციების მართვასა და სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და მათი ხარჯების ფორმირების კონტროლში მონაწილეობა.

ეკონომიკური დემოკრატია ითვალისწინებს კერძო, კოლექტიური და საზოგადოებრივი საკუთრების, პირადი ინიციატივისა და სახელმწიფო საქმიანობის, კონკურენციისა და საჯარო რეგულირების, კერძო საწარმოთა თავისუფლებისა და მათზე საჯარო კონტროლის, თანამონაწილეობა მართვაში და თვითმმართველობის შეერთებას. ამავდროულად, არცერთი მათგანი არ არის ეკონომიკური დემოკრატიის შემადგენელი ელემენტი.

განვიხილოთ თეორიულად ეკონომიკური დემოკრატია საქართველოს მაგალითზე.

ეკონომიკური დემოკრატიის იდეა მარტივია, მომხმარებელი ამომრჩეველია, ბიზნესმენები კი მთავრობა, თუ ბიზნესი ვერ დააკმაყოფილებს მომხმარებლის მოთხოვნილებებს (ფასი, ხარისხი, სერვისი), ასეთ შემთხვევაში ბიზნესმენი კარგავს „თანამდებობას“ და მას ახლად „არჩეული“ ბიზნესმენი ჩაანაცვლებს. არსებული რეალობიდან გამომდინარე, ერთი შეხედვით იდეა უმარტივესია: ყველა ბიზნესმენმა უნდა შეძლოს მომხმარებლის მოთხოვნებზე ორიენტირება. სხვა ნებისმიერ შემთხვევაში კი ბიზნესმენისათვის ბაზრის დატოვება, წარუმატებლობა გარდაუვალია. თუმცა, აუცილებელია ასევე აღინიშნოს, რომ მსგავსი უმარტივესი იდეა მუშაობს მხოლოდ რეალური კონკურენციის პირობებში, ანუ მაშინ, როდესაც ბაზარზე რამოდენიმე, მინიმუმ ორი ეკონომიკური სუბიექტია. არსებული სიტუაცია აქაც ჰგავს პოლიტიკურ დემოკრატიას, ის მუშაობს მაშინ, როდესაც პოლიტიკურ სივრცეში მინიმუმ ერთზე მეტი ძლიერი, კონკურენტული პარტიაა. თუმცა, არის კიდევ ერთი თემა - ბიზნესის კულტურული გარემო. აქაც ახლოს ვართ პოლიტიკურ შედარებებთან, პოლიტიკაშიც გარემო შეიძლება იყოს ან დემოკრატიის ხელშემწყობი ან დემოკრატიის ხელისშემშლელი, ასევეა ეკონომიკაშიც, ბიზნესში ბიზნესის სოციალურ-კულტურული გარემო ან თავად, ყველას ჩარევის გარეშე, უზრუნველყოფს ეკონომიკურ დემოკრატიას ან პირიქით, საპირისპირო ტენდენციის დამკვიდრებას შეუწყობს ხელს.

საქართველოში ბიზნესის სოციალურ-კულტურული გარემო არ არის ეკონომიკური დემოკრატიის ხელის შემწყობი (პოლიტიკური პარალელების გავლება აქაც შეიძლება), ამის მიზეზი კი უამრავი სხვადასხვა ფაქტორია, რეალურად, ეს თემა სერიოზული კვლევის საგანია. შესაბამისად, საუბრები მონოპოლიებზე, საუბრები მაღალ ფასებზე, საუბრები ცუდ სერვისზე და ამ ყველაფრის საკანონმდებლო კუთხით მოგვარებაზე ოდნავ აცდენილია რეალობას, ვიდრე მომხმარებლის ქცევა არის ისეთი, როგორიც არის, ვიდრე მომხმარებელი, მიუხედავად ცუდი სერვისისა, კვლავ სტუმრობს ცალკეულ ბიზნეს სუბიექტს, ვიდრე მომხმარებელი არაადეკვატური ფასის რეალური მიზეზის ანალიზის ნაცვლად (კონკურენტული გარემოს იდეაზე აქცენტირება) „მხსნელი მთავრობისკენ“ იხედება და აგრძელებს

აღნიშნული ფასის მიღებას „ოდესმე გამოსწორების“ იმედად, ეკონომიკური დემოკრატიის ხელშემწყობი ბიზნესის კულტურული გარემოს ფორმირებაზე საუბარი ძალიან ადრეა.

თუმცა, წარმოდგენილი მსჯელობა რეალურად კვლევის იდეაა, რომელმაც შესაძლოა ძალიან ბევრი ის დეტალი გვაპოვნინოს, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყანაში ეკონომიკურ დემოკრატიაზე ორიენტირებული ბიზნეს გარემოს ფორმირებას.

ლიტერატურა:

http://www.sdpuo.com/rus/about/declaration/3bd7d5a1/

OPTIMIZATION PROBLEMS

Mariam Gonjilashvili
Social Sciences, Business and Law Faculty
First Year Bachelor Degree Student
Supervisor: **Soso Tsotniashvili,** Professor

We can use calculus to solve **optimization problems** problems that involve finding the absolute maximum value or the absolute minimum value of a function. As you work through this section, note that the statement of the problem does not usually include the function to be optimized. Often, it is your responsibility to find the function and then to find its absolute extremum.

Area and Perimeter

The techniques used to solve optimization problems are best illustrated through examples. **Example 1**

Maximizing Area A homeowner has $320 to spend on building a fence around a rectangular garden. Three sides of the fence will be constructed with wire fencing at a cost of $2 per linear foot. The fourth side will be constructed with wood fencing at a cost of $6 per linear foot. Find the dimensions and the area of the largest

garden that can be enclosed with $320 worth of fencing.

SOLUTION to begin, we draw a figure (Fig. 1), introduce variables, and look for relationships among the variables.

Since we don t know the dimensions of the garden, the lengths of fencing are represented by the variables *x* and *y*. The costs of the fencing materials are fixed and are represented by constants. Now we look for relationships among the variables. The area of the garden is:

$$\mathbf{A=xy}$$

while the cost of the fencing is:

$$\mathbf{C = 2y + 2x + 2y + 6x = 8x+4y}$$

The problem states that the homeowner has $320 to spend on fencing. We assume that enclosing the largest area will use all the money available for fencing. The problem has now been reduced to:

Maximize A = xy **subject to** 8x + 4y = 320

Figure 1

Before we can use calculus to find the maximum area *A*, we must express *A* as a function of a single variable. We use the cost equation to eliminate one of the variables in the area expression (we choose to eliminate *y* either will work).

$$8x + 4y = 320$$

$$4y = 320 - 8x$$

$$y = 80 - 2x$$

$$A = xy = x180 - 2x2 = 80x - 2x^2$$

Now we consider the permissible values of *x*. Because *x* is one of the dimensions of a rectangle, *x* must satisfy:

$X \geq 0$ Length is always nonnegative

And because y = 80 - 2x is also a dimension of a rectangle, *y* must satisfy

$y = 80 - 2x \geq 0$ Width is always nonnegative

$80 \geq 2x$

$40 \geq x$ or $x \leq 40$

We summarize the preceding discussion by stating the following model for this optimization problem:

Maximize $A'(x) = 80x - 2x^2$ **for** $0 \leq x \leq 40$

Next, we find any critical values of *A*:

$A'(x) = 80 – 4x = 0$

$80 = 4x$

$X = 80/4 = 20$ Critical value

Since *A*(*x*) is continuous on [0, 40], the absolute maximum value of *A*, if it exists, must occur at a critical value or an endpoint. Evaluating *A* at these values(table 1) we see that the maximum area is 800 when

$x = 20$ **and** $y = 80 – 2(20) = 40$

Table 1

x	$A(x)$
0	0
20	800
40	0

Finally, we must answer the questions posed in the problem. The dimensions of the garden with the maximum area of 800 square feet are 20 feet by 40 feet, with one 20-foot side of wood fencing:

Repeat Example 1 if the wood fencing costs $8 per linear foot and all other information remains the same.

We summarize the steps in the solution of Example 1 in the following box:

Procedure: Strategy for solving Optimization Problems.

Step 1 introduce variables, look for relationships amon the variables, and construct a mathematical model of the form. Maximize(or minimize) f(x) on the interval l

Step 2 Find the critical values of f(x)

Step 3 Use the procedures developed in Section 5-5 to find the absolute maximum(or minimum) value of f(x) on the interval l and the value(s) of x where this occurs.

Step 4 Use the solution to the mathematical model to answer all the questions asked in the problem.

Minimizing Perimeter Refer to Example 1.The homeowner judges that an area of 800 square feet for the garden is too small and decides to increase the area to 1,250 square feet. What is the minimum cost of building a fence that will enclose a garden with an area of 1,250 square feet? What are the dimensions of this garden?

Assume that the cost of fencing remains unchanged.

SOLUTION Refer to Figure 1 and the solution of Example 1. This time we want to minimize the cost of the fencing that will enclose 1,250 square feet. The problem can be expressed as:

Minimize C = 8x + 4y **subject to** xy = 1,250

Since *x* and *y* represent distances, we know that X $\geq$ 0 and Y $\geq$ 0 But neither variable can equal 0 because their product must be 1,250

xy = 1,250 Solve the area equation for y.

y = 1,250
x

C(x) = 8x + 4 1,250 = 8x + 5000 **x > 0** Substitute for y in the cost equation
x **x**

The model for this problem is

Minimize **C**(x) = 8x +5,000 **for** x 7 > 0
X

8x=5000x^{-1}
C(x) = 8 - 5,000x^{-2}
8 - 5,000x^{2}= 0
8= 5000
X^{2} The negative square root is discarded, since *x* > 0.
X$^{2=}$ 5,000/8=625
x = √625 = 25

We use the second derivative to determine the behavior at x=25

***C'*(*x*)=8-5000X^{2}**
C''(x)=0+10000X^{-3}=10000/X^{3}
C''(25)=10000/25^{2}=0,64>0

The second-derivative test shows that *C*(*x*) has a local minimum at X=25 and since X=25 is the only critical value of X>0 then *C*(25) must be the absolute

minimum value of *C*(*x*) for x>0 when x=25 the cost is

C(25) = 8(125) +5,000/25= 200 + 200 = $400

And

y =1,250/25= 50

The minimal cost for enclosing a 1,250-square-foot garden is $400, and the dimensions are 25 feet by 50 feet, with one 25-foot side of wood fencing.

Repeat Example 2 if the homeowner wants to enclose an 1,800-square-foot garden and all other data remain unchanged

Conceptual Insight

The restricions on the variables in solutions of Example 1 and 2 are typical or problems involving areals or perimetres (or the cost of the perometer)

8x+4y=320 **cost of fencing (Example 1)**
xy=1.250 **area of garden (Example 2)**

The equation in Example 1 restricts the values of x to

0≤x≤40 **or** **[0,40]**

the endpoints are included in the interval for our convenience (a closed interval easier to work than an open one). The area function is defined at each endpoint, so it does no harm to include them.

The equation in Example 2 restricts the values of x to

x>0 **or (0,∞)**

Neither endpoint can be included in this interval. We cannot include 0 because the area is not defined when x=0, and we can never include ∞ as an endpoint. Remember,∞ Is not a number, it is a symbol that indicates the interval is unbounded.

Maximizing revenue and profit

Maximizing Revenue An office supply company sells *x* permanent markers per year at $*p* per marker. The price demand equation for these markers is p=10-0.001x What price should the company charge for the markers to maximize revenue? What is the maximum revenue?

Revenue = price x demand

R(x) = (10-0.001x)x=10x-0.001x^{2}

Both price and demand must be nonnegative, so

$x \geq 0$ and $p=10-0.001x \geq 0$

$10 \geq 0.001x$

$10000 \geq x$

The mathematical model for this problem is

maximize $R(x)=10x-0.001x^2$ $0 \leq x \leq 10000$

$R'x=10-0.002x^2$

$10-0.002x=0$

$10=0.002x$

$x=10/0.002$

Use the second-derivative test for absolute extrema:

$R''(x)=-0.002<0$ for all x

Max $R(x)= R(5,000) = \$25,000$

When the demand is the price is

$10 - 0.001(5,000) = \$5$ $p = 10 - 0.001x$

The company will realize a maximum revenue of $25,000 when the price of a marker is $5.

Matched problem 3

An office supply company sells x heavy-duty paper shredders per year at $p per shredder. The price demand equation for these shredders is $p=300-x/30$

What price should the company charge for the shredders to maximize revenue? What is the maximum revenue?

Maximizing Profit The total annual cost of manufacturing x permanent markers for the office supply company in Example 3 is

example 4

$C(x) = 5,000 + 2$

What is the company s maximum profit? What should the company charge for each marker, and how many markers should be produced?

SOLUTION

Using the revenue model in Example 3, we have

Profit = Revenue – Cost

$P(x) =R(x) – C(x)$

$10x - 0.001x^2 - 5,000 - 2x$

$8x - 0.001x^2 - 5,000$

The mathematical model for profit is

Maximize $P(x) = 8x - 0.001x^2 - 5,000$ $0 \leq x \leq 10000$

The restrictions on x come from the revenue model in Example 3.

$P''(x) = 8-0.002x=0$

$8=.002x$

$x= 8/0.002=4000$

$P''(x) = -0.002x<0$ for all x

Since is the only critical value and $P''(x) < 0$

Max $P(x) = P(4,000) = \$11,000$

Using the price demand equation from Example 3 with we find that

$p = 10 - 0.001(4,000) = \$6$ $p = 10 - 0.001x$ $p = 10 - 0.001x$

A maximum profit of $11,000 is realized when 4,000 markers are manufactured annually and sold for $6 each.

The results in Examples 3 and 4 are illustrated in Figure 2



Figure 2

Conceptual Insight

In Figure 2, notice that the maximum revenue and the maximum profit occur at different production levels. The maximum profit occurs when

P'(x)=R'(x)-C'(x)=0

that Is, when the marginal revenue is equal to the marginal cost. Notice that the slopes of the revenue function and the cost function are the same at this production level.

The annual cost of manufacturing x paper shredders for the office supply company in Matched Problem 3 is C(x) = 90000+30x What is the company s maximum profit? What should it charge for each shredder, and how many shredders should it produce?

Maximizing Profit The government decides to tax the company in Example 4 $2 for each marker produced. Taking into account this additional cost, how many markers should the company manufacture each week to maximize its weekly profit? What is the maximum weekly profit? How much should the company charge for the markers to realize the maximum weekly profit?

The tax of $2 per unit changes the company s cost equation:

C(x) = original cost + tax

5,000 + 2x + 2x= 5,000 + 4x

The new profit function is

P(x) = R(x) – C(x)

$10x - 0.001x^2 - 5{,}000 - 4x = 6x - 0.001x^3 - 5{,}000$

So, we must solve the following equation:

maximize $P(x) = 6x - 0.001x^2 - 5{,}000 \qquad 0 \le x \le 10{,}000$

P'(x) = 6-0.002x

6 - 0.002x = 0

x=3000 critical value

P" (x) = -0.002≤ 0 for all x

Max P(x)= P(3,000) = $4,000

Using the price demand equation (Example 3) with we find that

p= 10 - 0.001(3,000) = $7

The company s maximum profit is $4,000 when 3,000 markers are produced and sold weekly at a price of $7. Even though the tax caused the company s cost to increase by $2 per marker, the price that the company should charge to maximize its profit increases by only $1. The company must absorb the other $1, with a resulting decrease of $7,000 in maximum profit.

The government decides to tax the office supply company in Matched Problem 4 $20 for each shredder produced. Taking into account this additional cost, how many shredders should the company manufacture each week to maximize its weekly profit? What is the maximum weekly profit? How much should the company charge for the shredders to realize the maximum weekly profit?

Maximizing Revenue When a management training company prices its seminar on management techniques at $400 per person, 1,000 people will attend the seminar. The company estimates that for each $5 reduction in price, an additional 20 people will attend the seminar. How much should the company charge for the seminar in order to maximize its revenue? What is the maximum revenue?

Let x represent the number of $5 price reductions.

400 - 5x = price per customer

1,000 + 20x = number of customers

Revenue = (price per customer)(number of customers)

$R(x) = (400 - 5x) * (1{,}000 + 20x)$

Since price cannot be negative, we have

$400 - 5x \geq 0$

$400 \geq 5x$

$80 \geq x$ or $x \leq x$

A negative value of x would result in a price increase. Since the problem is stated in terms of price reductions, we must restrict x so that Putting all this together, we have the following model:

Maximize $R(x) = (400 - 5x)(1{,}000 + 20x)$ for $0 \leq x \leq 80$

$R(x) = 400{,}000 + 3{,}000x - 100x^2$

$R'(x) = 3{,}000 - 200x = 0$

$3{,}000 = 200x$

$x=15$ **critical value**

Since R(x) is continuous on the interval [0, 80], we can determine the behavior of the graph by constructing a table. Table 2 shows that R(15) = $422,500is the absolute maximum revenue. The price of attending the seminar at x = 15 is 400 – 5(15) = $325.The company should charge $325 for the seminar in order to receive a maximum revenue of $422,500. 400 – 5(15) = $325. x = 15 R(15) = $422,500

A walnut grower estimates from past records that if 20 trees are planted per acre, then each tree will average 60 pounds of nuts per year. If, for each additional tree planted per acre, the average yield per tree drops 2 pounds, then how many trees should be planted to maximize the yield per acre? What is the maximum yield?

Maximizing Revenue After additional analysis, the management training company in Example 6 decides that its estimate of attendance was too high. Its new estimate is that only 10 additional people will attend the seminar for each $5 decrease in price. All other information remains the same. How much should the company charge for the seminar now in order to maximize revenue? What is the new maximum revenue?

Under the new assumption, the model becomes Maximize $R(x) = (400 - 5x)(1{,}000 + 10x)$ $0 \leq x \leq 80$

$400{,}000 - 1{,}000x - 50x^2$

$R'(x) = -1{,}000 - 100x = 0$

$-1{,}000 = 100x$

$x = -10$ critical value

Note that is not in the interval [0, 80]. Since R(x) is continuous on [0, 80], we can use a table to find the absolute maximum revenue. Table 3 shows that the maximum revenue is R(0) = $400,000 The company should leave the price at $400. Any $5 decreases in price will lower the revenue

Table 3

x	$R(x)$
0	400,000
80	0

.

After further analysis, the walnut grower in Matched Problem 6 determines that each additional tree planted will reduce the average yield by 4 pounds. All other information remains the same. How many additional trees per acre should the grower plant now in order to maximize the yield? What is the new maximum yield?

The solution in Example 7 is called an endpoint solution because the optimal value oc-curs at the endpoint of an interval rather than at a critical value in the interior of the intervar. It is always important to verify that the optimal value has been found.

REFERENCES:

1. C. Arya and R. W. Lardner, “Mathematical Analysis for Business, Economics, and the Life and Social Sciences” (fourth edition). Prentice Hall International, Inc., Englewood Cliffs, New Jersey, 1994.
2. R. Barnett, M. Ziegler, and K. Byleen, “Calculus for Business, Economics, Life Sciences and Social Sciences” (12th edition). Pearson, Prentice Hall, 2011.
3. Goldstein, D. Schneider, D. Lay, and N. Asmar, “Calculus and its Application” (11thedition). International Edition, 2006.

ინტერნეტრეკლამა - თანამედროვე მარკეტინგული კომუნიკაცია

მაკა კოკაური, თინა ოქროპირიძე
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **მაკა სოსანიძე,** ასოცირებული პროფესორი

რეკლამა საზოგადოებისათვის საქონლისა და მომსახურების შესახებ ინფორმაციის მიწოდების ფორმაა, რომლის მიზანიცაა მომხმარებლის მიერ საქონლის ყიდვა. ინტერნეტრეკლამა კი რეკლამის განსაკუთრებული ფორმაა ინტერნეტსაშუალებების გამოყენებით.

ინტერნეტრეკლამა - ესაა რეკლამა, რომელიც ჩნდება კომპიუტერის ეკრანზე, როდესაც მომხმარებელი ვებ-ქსელში გადაადგილდება. მათ შორის გვხვდება სარეკლამო ბანერები, ამომხტომი ფანჯრები, მცოცავი რეკლამები და სხვა. ინტერნეტრეკლამა მეტად საჭირო მიზანს ემსახურება, კერძოდ კი, სხვა მარკეტინგულ ძალისხმევას ავსებს. უკანასკნელმა ტექნოლოგიურმა წინსვლამ, განსაკუთრებით ინტერნეტის ფართოდ გამოყენებამ, შექმნა ე.წ. ახალი ეკონომიკა, სადაც ინტერნეტი და სხვა ახალი ტექნოლოგიები მარკეტოლოგებსა და მყიდველებზე დიდ გავლენას ახდენს.

თუმცა ბევრი მარკეტოლოგი ეჭვის თვალით უყურებს ინტერნეტრეკლემის ეფექტურობას. სხვა სარეკლამო საშუალებისაგან განსხვავებით, მისი ხარჯები მართლაც მცირეა, მაგრამ ვებ-გვერდების მომხმარებლებს ადვილად შეუძლიათ ზოგიერთი ასეთი რეკლამების იგნორირება, რასაც ხშირად აკეთებენ კიდეც.

და მაინც, ინტერნეტრეკლემა მნიშვნელოვან როლს თამაშობს მარკეტინგულ კომპლექსში. ინტერაქტიული სარეკლამო ბიუროს გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ ინტერნეტრეკლამა მთელი მედია-კომპლექსის 15-20% იკავებს.

ინტერნეტის ისტორია 35 წელს ითვლის. თუ გავითვალისწინებთ ამ პერიოდში კომპიუტერული ტექნოლოგიების სფეროში მომხდარ ცვლილებებს, ეს მის მნიშვნელოვან ზრდასა და განვითარებაზე მიუთითებს. ამ ფენომენს საფუძველი ჩაეყარა გასული საუკუნის 60-იან წლებში, როცა პენტაგონმა გამომთვლელი ტექნიკის წამყვან მეცნიერ-თანამშრომლებს შესთავაზა შეემუშავებინათ ალგორითმი შეზღუდული რაოდენობის მომხმარებელთათვის ინფორმაციის გასაცვლელად. ინტერნეტი ახალი ათასწლეულის რევოლუციური ტექნოლოგიაა, რომელიც აძლიერებს მომხმარებლისა და ბიზნესების ურთიერთკავშირს. ახალი ეკონომიკის თითქმის ყველა ინოვაციას შორის, რომელთაც ბოლო ათწლეულში იჩინეს თავი, ინტერნეტმა ყველაზე მნიშვნელოვანი, სხვაგვარად რომ ვთქვათ, „საუკეთესო მხარდაჭერის“ როლი შეასრულა. ინტერნეტი მომხმარებლებსა და კომპანიებს საშუალებას აძლევს, „თაგვის“ ერთი „დაწკაპუნებით“, მოიპოვონ და გაიზიარონ უზარმაზარი ინფორმაცია.

უკანასკნელმა გამოკითხვებმა ცხადყო, რომ მომხმარებლები მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებამდე, ინფორმაციას ინტერნეტის მეშვეობით მოიპოვებენ. ყოველი სამი მომხმარებლიდან ერთი მაქსიმალურად ეყრდნობა ინტერნეტით მოპოვებულ ინფორმაციას ისეთ ქმედებათა განხორციელებისას, როგორიცაა სკოლის შერჩევა, მანქანის ყიდვა, სამსახურის მოძებნა, ავადმყოფობის დადგენა თუ ინვესტიციებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღება. აშშ-ში, ინტერნეტის მომხმარებელი ინტერნეტს სახლიდან თვეში საშუალოდ 30-ჯერ სტუმრობს, ხოლო სამსახურიდან - თვეში 66-ჯერ, თითოეული ასეთი ვიზიტი კი 30 წუთი გრძელდება. ამდენად, დღევანდელ ბაზარზე კონკურენტულობის შესანარჩუნებლად, კომპანიებმა უნდა აითვისონ ინტერნეტ-ტექნოლოგიები; წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი თამაშს გარეთ აღმოჩნდებიან.

რითაა კარგი ინტერნეტი? მარკეტოლოგებს შეუძლიათ გამოიყენონ სხვადასხვა ონლაინური რესურსები თანამშრომლების, კონკურენტების შესახებ და სხვა ინფორმაციის მისაღებად. დასავლეთში უკვე არსებობს პროგრამები, რომლებიც ამოწმებს არალეგალური საქონლის ინტერნეტით გაყიდვას, ასევე ლოგოტიპების და ბრენდების არალეგალურ გამოყენებას. არსებობს ასევე პროგრამული უზრუნველყოფა მარკეტოლოგებისთვის, რომელიც საშუალებას იძლევა სარეკლამო კამპანიის ჩატარებისა, მისი ეფექტურობის ანალიზისა და კამპანიის მსვლელობაში კორექტირების შეტანისა.

კიდევ რითაა კარგი ინტერნეტი? კარგია იმითაც, რომ ის საშუალებას იძლევა მომხმარებელთა შეფასებისთვის გამოვიყენოთ მინიმალური რესურსები. ყველაზე მარტივი მეთოდია მომხმარებელთა ონლაინ გამოკითხვა, სადაც მას აძლევენ სხვადასხვა შეკითხვებს მათი სურვილების, გემოვნების, მოთხოვნების შესასწავლად. ეს საკმაოდ იაფი ჯდება ან ხშირად უფასოა, ჩვეულებრივი გამოკითხვისაგან განსხვავებით.

მსოფლიოში ინტერნეტის მომხმარებელთა რიცხვი ყოველდღიურად მატულობს. მას ჰყავს მომხმარებელთა ისეთი რაოდენობა, რასაც ვერ დაიკვეხნის ვერც ერთი ტელეარხი. აგროვებენ ადამიანებს, აწარმოებენ ქალაქის ქუჩებში გამოკითხვას. ინტერნეტ რეკლამის ძირითადი სახეები კი არის: საკუთარი ვებ-გვერდი, ბანერები, ელექტრონული ფოსტა, კონტექსტური რეკლამა.

მსოფლიოში პოპულარული ინტერნეტრეკლამის ბაზარი დღითიდღე იზრდება. რამდენადაა იგი საქართველოში გავრცელებული და რამდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ქართული კომპანიები ინტერნეტით რეკლამას?

რასაკვირველია, ქართული ინტერნეტრეკლამა ჯერჯერობით ძალიან შორსაა მსოფლიო მასშტაბებისგან, თუმცა სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ საქართველოში მის განვითარებას დიდი პერსპექტივა აქვს და რამდენიმე წელში იგი რეკლამის სხვა სახეების მსგავს პოპულარობას მოიპოვებს, მით უმეტეს, რომ ინტერნეტრეკლემას სხვა მედიასაშუალებებთან შედარებით უნიკალური ეფექტურობა ახასიათებს. ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების ცენტრი თვლის, რომ „ამ მხრივ გამოღვიძება ახლა იწყება და ბუმს უახლოეს მომავალში უნდა ველოდოთ“. ამის წინაპირობა საქართველოში ინტერნეტმომხმარებელთა რაოდენობის ზრდის ტემპია. რატომაა ინტერნეტრეკლამა ასეთი მიმზიდველი და პერსპექტიული? საშუალო სტატისტიკური ინტერნეტმომხმარებელი საქართველოში 25 წლის ასაკის ადამიანია, მისთვის ინფორმაციის მიღების ძირითად წყაროს სწორედ ინტერნეტი წარმოადგენს. ასევე აქ რეკლამის ღირებულება საგრძნობლად დაბალია სხვა მედია საშუალებებთან შედარებით და თანაც ინტერნეტრეკლამა სარეკლამო კამპანიის ეფექტური სურათის აღების საშუალებას იძლევა. ამის დამადასტურებელია ერთ-ერთი პროექტი www.myvideo.ge , სადაც დღეის მდგომარეობით ყოველდღიურად საიტზე 12000 მომხმარებელი შედის და დღეში 20 ვიდეორგოლს უყურებს. აქედან გამომდინარე, თვის განმავლობაში 6 მილიონამდე სარეკლამო ვიდეორგოლის ჩვენება ხდება. მიუხედავად ამისა, ქართული კომპანიები ონლაინ რეკლამის მიმართ არცთუ დიდი დაინტერესებას გამოხატავენ, იგი საქართველოში სარეკლამო კამპანიის არცთუ პოპულარულ სახეობას მიეკუთვნება. ეს გამოწვეულია ქვეყანაში მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით, ინტერნეტის მომხმარებელთა მცირე რაოდენობით. საქართველოში ასევე უნდა დაისვას ინტერნეტის გაუმჯობესების საკითხი, რაც მომხმარებელს კიდევ უფრო გაზრდის. საინტერესოა, მოაქვს თუ არა რეალური შედეგი ფირმებისთვის ინტერნეტ რეკლამას? შედეგის გაზომვა დღეისთვის საქართველოში ძალზე დაბალ დონეზე ხდება, თუმცა ინტერნეტ რეკლამას არაერთგვაროვნად აფასებენ თავად კომპანიები. ზოგიერთი ამას მხოლოდ იმიჯისთვის აკეთებს, ზოგი კონკრეტულ მოგებას იღებს. ის ფირმები, რომლებმაც ინტერნეტრეკლამის უპირატესობას ალღო აუღეს, ინტერნეტში რეკლამის განთავსებას ინტენსიურად ახორციელებენ. ერთ-ერთი მათგანია ფარმაცევტული კომპანია „ავერსი“, რომელიც რეკლამის ინტერნეტში განთავსებას საკმაოდ დიდ ყურადღებას უთმობს. კომპანიის მარკეტინგის სამსახური აცხადებს, რომ ბრენდების რეკლამაზე გამოხმაურება რეიტინგული საიტებიდან საკმაოდ დიდია, თუმცა ჯერჯერობით სატელევიზიო რეკლამას ვერ შეედრება. ინტერნეტრეკლამის დანარჩენ სახეებთან შედარებით არაკონკურენტუნარიანობაზე საუბრობენ სხვა კომპანიებიც, კერძოდ: ჯი-პი-აი, თიბისი.

ფარმაცევტული კომპანია PSP-ს დაინტერესება ინტერნეტრეკლამით ბოლო პერიოდში გაიზარდა. ამჟამად საქართველოში რეკლამის ამ სახეს სარეკლამო ბაზრის 2-3% უკავია. თუმცა „ინფო-თბილისის ჯგუფის“ პროგნოზით, ინტერნეტრეკლამის განვითარებას დიდი პერსპექტივები აქვს.

დასასრულს უნდა აღვნიშნოთ, რომ რეკლამის სხვა საშუალებებთან შედარებით ინტერნეტრეკლამა ლიდერობს ყველა ჩვენს მიერ აღნიშნულ კრიტერიუმების მიხედვით და ყოველდღიურად, ყოველწუთიერადაც კი მატულობს ინტერნეტის ქსელში მისი აუდიტორიის რიცხოვნობა. თუმცა აუდიტორიის რიცხვით სატელევიზიო რეკლამა ჯერ კიდევ რჩება პირველ ადგილზე, ხოლო აუდიტორიის ხარისხით სჯობნის ინტერნეტი.

ეჭვს არ იწვევს ის, რომ სულ მალე ინტერნეტი ყველაზე მძლავრ მედია სარეკლამო გარემოდ ჩამოყალიბდება და სერიოზულ კონკურენციას გაუწევს სატელევიზიო რეკლამას.

ლიტერატურა:

1. ნ. თოდუა, რ. არაბული, ინტერნეტ-მარკეტინგი, 2011.
2. გ. არმსტრონგი, ფ. კოტლერი, მარკეტინგის საფუძვლები, თბ., 2015.
3. ნ. თოდუა, ბ. მღებრიშვილი, მარკეტინგის საფუძვლები, თბ., 2010.

ინტერნეტ-რესურსები:

1. www.marketingpower.com
2. www.adage.com
3. www.businessweek.com

საქართველოში განხორციელებული მსხვილი ინვესტიციები და საინვესტიციო რეგულირების მნიშვნელოვანი საკითხები

მარიამ ლომოური
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, V საფეხური
ხელმძღვანელი: **ლეილა მამულაშვილი,** პროფესორი

ინვესტიციად მიიჩნევა ყველა სახის ქონებრივი და ინტელექტუალური ფასეულობა ან უფლება, რომელიც დაბანდდება და გამოიყენება შესაძლო მოგების მიღების მიზნით საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ სამეწარმეო საქმიანობაში. უცხოური ინვესტიციების მოზიდვის საინვესტიციო გარემოს ფორმირებასთან და ბიზნესის ეფექტიანობის ფაქტორების განსაზღვრასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია საინვესტიციო გარემოს სახელმწიფო რეგულირებისათვის საჭირო შესაბამისი პრინციპებისა და პრიორიტეტების შემუშავება, რაც პირდაპირ კავშირშია სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკის ფორმირებისა და წარმართვის პროცესთან. მსოფლიო ეკონომიკაში ინტერნაციონალიზაციისა და გლობალიზაციის ტენდენციების გაძლიერებასა და ეროვნულ მეურნეობათა განვითარებაში უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობის მატებასთან ერთად მნიშვნელოვანია საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეგულირების ბერკეტების არსებობა.

ინვესტიციები იყოფა ფორმების მიხედვით:

- მატერიალური ინვესტიციები (მიწა, უძრავი ქონება, აღჭურვილობა-ტექნიკა);
- არამატერიალური ინვესტიციები (საავტორო უფლებები, ლიცენზიები);
- ფინანსური ინვესტიციები (ფასიანი ქაღალდები).

არსებობს ინვესტიციის დაცვის გარანტიები:

- ინვესტიცია მთლიანად და უპირობოდ არის დაცული საქართველოში;
- ინვესტიციის ჩამორთმევა შესაძლებელია მხოლოდ კანონით პირდაპირ დადგენილ შემთხვევაში სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას და სათანადო ანაზღაურებით.

საქართველოს ტერიტორიაზე ინვესტიციის განხორციელებისას მოქმედებს შემდეგი აკრძალვები და შეზღუდვები:

- ნარკოტიკული საშუალებების წარმოება;
- ბირთვული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური იარაღის შექმნა, წარმოება და გავრცელება;
- ბირთვული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური იარაღის გამოცდის პოლიგონების მშენებლობა და სხვა.

საინვესტიციო საქმიანობის გასააქტიურებლად სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკა რამდენიმე ეტაპად იყოფა. მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ პირველ ეტაპზე, სახელმწიფო პოლიტიკაში ცენტრალური ადგილი უკავია ინვესტიციების სტიმულირებისათვის უმნიშვნელოვანეს კომპლექსურ ნაბიჯებს, რომლებიც მიმართულია კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბებისა და გააქტიურებისაკენ, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობისა და გაკოტრების შესახებ კანონის განხორციელებისა და მცირე მეწარმეობის მხარდაჭერისაკენ.

ფინანსური რესურსების მოძიება შესაძლებელია მეწარმეთა გადასახადებით დაბეგვრის შემსუბუქებით და მოსახლეობის დანაზოგების მობილიზაციით, რაც მიიღწევა საგადასახადო კანონმდებლობის კარდინალური შეცვლის გზით, კრედიტებსა და ინვესტიციებზე სახელმწიფო გარანტიების სისტემის ჩამოყალიბებით, ეკონომიკის კრიმინალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლით და ა.შ

უცხოელ ინვესტორებს გააჩნიათ ზოგიერთი განსაკუთრებული უფლება:

1. საზღვარგარეთ გაიტანოს მის საკუთრებაში არსებული ქონება;
2. საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ საბანკო დაწესებულებებში ნებისმიერი სახის ვალუტით გახსნას მიმდინარე და სხვა ანგარიშები;
3. აიღოს სესხი საქართველოს ტერიტორიაზე და საზღვარგარეთ არსებული საბანკო და საფინანსო დაწესებულებებიდან, ან ფიზიკური თუ იურიდიული პირებისაგან;

4. შეიძინოს აქციები, ობლიგაციები და სხვა ფასიანი ქაღალდები როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე საზღვარგარეთ და უპირობოდ არის დაცული საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით.

მსოფლიო პრაქტიკაში მიღებულია, რომ უცხოურ ინვესტორს უნდა შეექმნას საქმიანობის ნორმალური პირობები, მიმზიდველი ინვესტიციური გარემო და იგი მუშაობდეს ინვესტიციის მიმღები ქვეყნის სამეურნეო ეკონომიკურ რეჟიმში, მაგრამ ამ წესიდან, რა თქმა უნდა, არის გამონაკლისიც. არის ისეთი ქვეყნები, სადაც ადგილობრივი ინვესტორები უფრო მეტი უფლებებით სარგებლობენ, ვიდრე უცხოელები, მაგრამ არის ისეთი ქვეყნები, სადაც უცხოელ ინვესტორს გარკვეულ უპირატესობას ანიჭებენ და შეღავათს უწესებენ ადგილობრივ ინვესტორთან შედარებით.

ინვესტიციის ჩამორთმევისას განისაზღვრება სხვადასხვა მიდგომები:

• კომპენსაცია, რომელიც მიეცემა ინვესტორს, უნდა შეესაბამებოდეს ჩამორთმეული ინვესტიციის რეალურ საბაზრო ღირებულებას უშუალოდ იმ მომენტისათვის, როდესაც მოხდა ჩამორთმევა;

• კომპენსაცია უნდა გაიცეს ყოველგვარი შეფერხების გარეშე და იგი უნდა მოიცავდეს იმ ზარალსაც, რომელიც ინვესტორმა განიცადა ჩამორთმევის მომენტიდან საკომპენსაციო თანხის გადახდამდე;

• უცხოელ ინვესტორს უფლება აქვს საქართველოს საბანკო დაწესებულებებში მოახდინოს საკომპენსაციო თანხის კონვერსია საბაზრო კურსით და თავისუფლად და შეუფერხებლად გადაიტანოს იგი საზღვარგარეთ.

ინვესტიციების დიდი ნაწილი ინფრასტრუქტურულ პროექტებზე მოდის. გთავაზობთ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოში უცხოელი ინვესტორების მიერ განხორციელებული ყველაზე მსხვილი პროექტების ათეულს:

1. სავაჭრო კომპლექსი „ისთ ფოინთი“;
2. „დირსი'' ჯგუფი;
3. სასტუმრო “მერკური” თბილისში;
4. „ჯინო ფერედაისი'';
5. საცხოვრებელი კომპლექსი „მწვანე ბუდაპეშტი“;
6. „რიქსოს ბორჯომი“;
7. „ტოიოტა ცენტრი თეგეტა;
8. „თბილისი მოლი'';
9. ,,ფოთის პორტი'';
10. თბილისის ზღვის ახალი უბანი - ეს არის „ჰუალინგის საერთაშორისო ეკონომიკური ზონის“ პროექტი.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით 2017 წლის I კვარტალში საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 3.7 %-ით გაიზარდა. საქსტატის წინასწარი მონაცემებით, საანგარიშო პერიოდში ინვესტიციების მოცულობამ 403.3 მილიონი ამერიკული დოლარი შეადგინა. რაც შეეხება ქვეყნებს, 2017 წლის I კვარტალში უმსხვილესი პირდაპირი ინვესტორი ქვეყანა 24.1 %-ით აზერბაიჯანი იყო, თუმცა, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ამ ქვეყნიდან ინვესტიცია 30 %-ით არის შემცირებული. მეორე ადგილზე იყო თურქეთი - 20.2%-ით (და 40 %-ზე მაღალი ზრდით, გასულ წელთან შედარებით), მესამე ადგილზე კი - გაერთიანებული სამეფო 19.8 %-ით (ზრდა, წინა წელთან შედარებით, 3 800 %). ათეულში არიან ოფშორული ზონების მქონე ქვეყნები. მაგალითად, პანამა, მალტა, კვიპროსი, საიდანაც შემოსული ინვესტიციების რეალური წარმოშობის დადგენა საკმაოდ რთულია და შესაძლოა, ქართული ინვესტიციაც იყოს, შესაძლოა, რუსულიც და ა.შ. ყველაზე მსხვილ ინვესტორებს შორის არ გვხვდება არც ჩინეთი, რომელიც საქართველოს მთავარ სავაჭრო პარტნიორთა სამეულში უკვე დამკვიდრდა და არც რუსეთი.

უცხოური ინვესტიციები ქვეყნის ეკონომიკაზე მოქმედებს როგორც დადებითად, ასევე უარყოფითად. დადებითად შეიძლება ჩაითვალოს საგარეო ვაჭრობის განვითარება. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დადებით ეფექტად განიხილება ასევე მისი პოზიტიური გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე, ეკონომიკური ფაქტორების მთლიანი პროდუქტიულობის და რესურსების ეფექტიანი გამოყენების ზრდის ხარჯზე. უცხოური ინვესტიციები ქვეყანაში ზრდის კაპიტალის მოცულობას და ამ გზით ხელს უწყობს გამოშვების ზრდას. იგი ასევე ხელს უწყობს მიმღები ქვეყნის ეკონომიკის ინტეგრაციას გლობალურ ეკონომიკაში საგარეო ვაჭრობის ზრდის ხელშეწყობით. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ზრდის დასაქმებას, რაც მნიშვნელოვანია ადამიანური კაპიტალის განვითარებისთვის.

მაღალი პროდუქტიულობის გამო ხშირად ასეთი ტიპის დასაქმება უფრო მაღალ ხელფასებსა და უკეთეს სამუშაო პირობებს გულისხმობს.

მიუხედავად ბევრი უპირატესობისა, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს მიმღები ქვეყნის ეკონომიკისთვის შესაძლოა უარყოფითი შედეგიც ჰქონდეს. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ზრდის კონკურენციის დონეს ადგილობრივ ბაზარზე და ამ გზით ხელს უწყობს მაღალ პროდუქტიულობას, ინოვაციებს, შედარებით დაბალ ფასებს და რესურსების უფრო ეფექტიან გადანაწილებას. უცხოურ ინვესტიციებს შეიძლება ქონდეს ადგილობრივი ინვესტიციების გამოდევნის ეფექტი. ქვეყნებში, სადაც ადგილობრივი ბაზრის ათვისების მიმართულებით ხორციელდება ინვესტიციები, ადგილობრივი კომპანიები მნიშვნელოვან კონკურენციას ხვდებიან, რადგან უცხოური ინვესტიციებით შექმნილი კომპანიები დაბალი ზღვრული დანახარჯის გამო ზრდიან წარმოების მოცულობას და იზიდავენ მომხმარებელს. შემცირებული მოთხოვნის გამო კი ადგილობრივი მწარმოებლები ამცირებენ წარმოების მოცულობას და მათი ფიქსირებული დანახარჯი ერთ ერთეულ წარმოებაზე იზრდება.

ბოლო წლების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ საქართველოში მოღვაწე არაერთი ინვესტორი ბიზნეს-გეგმით გათვალისწინებული ინვესტიციის მოცულობას ზრდის არამწარმოებლური ხარჯების გადიდების ხარჯზე (თავისი ოჯახის წევრების მივლინებები, ოჯახის დამხმარე პერსონალის შენახვა და სხვა), რაც საინვესტიციო საქმიანობაში კურიოზებად უნდა შეფასდეს. ამასთან, კანონში უნდა მითითებული იქნეს, რომ ინვესტიციების ამ და სხვა გზებით გაზრდის შემთხვევაში მან გავლენა არ უნდა მოახდინოს პროდუქციის ფასის ზრდისა და მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუარესებაზე.

საქართველოში დღეისათვის არსებული საინვესტიციო ვითარება ერთმნიშვნელოვნად არასახარბიელოა. ვფიქრობთ, რომ საქართველოში საინვესტიციო გარემოს გაჯანსაღების აუცილებელ ღონისძიებათა შემუშავების თვალსაზრისით, მიზანშეწონილია ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შერბილება.

ინვესტიციების ხელშეწყობის პირობების გაფართოებისა და მათი დაცვის გაძლიერების ღონისძიებების შემუშავებისას საქართველოს კანონმდებლობა კიდევ უნდა დაუახლოვდეს საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს. ამასთან, გათვალისწინებული უნდა იქნეს საქართველოს, მისი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დღევანდელი დონე და ის ამოცანები, ის ორიენტირები, რომელსაც გვინდა რომ მივაღწიოთ.

საინვესტიციო საქმიანობის სტიმულირება, საინვესტიციო გარემოს გასაუმჯობესებლად გადადგმულ ნაბიჯებთან ერთად, საქართველოში ინვესტიციების მოზიდვისა და განხორციელების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობა უნდა გახდეს და აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად შემადგენელ ნაწილად იქცეს. პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ საქართველოში არსებული ეკონომიკის საერთო დონიდან გამომდინარე, საინვესტიციო პროცესების მთავარი ინიციატორი სწორედ სახელმწიფო უნდა იყოს. თანამედროვე ეტაპზე აშკარაა საქართველოს ეკონომიკაში უცხოური ინვესტიციების გამოყენების აქტუალურობა. ღია ეკონომიკის, ეროვნული წარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლების, მსოფლიო ბაზარზე ნდობის მოპოვების, საერთაშორისო საფინანსო გაცვლაში მონაწილეობის ინტერესები უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის პირობების შექმნის აუცილებლობას განაპირობებს.

ინტერნეტ-რესურსები:

1. gtu.ge/bef/pdf/Doqtorantura/avtoreferatebi_2016/BA_05.07.16/m.diasamiZe.pd
2. https://matsne.gov.ge/ka/document/view/33304
3. www.nplg.gov.ge/.../library.exe?
4. https://bpn.ge/.../15311-10-yvelaze-mskhvili-uckhouri-investicia-saqarthveloshi-foto
5. . https://www.radiotavisupleba.ge/a/ekonomika/28542141.html
6. www.nplg.gov.ge/.../library.exe?

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიმოხილვა და მისი მნიშვნელობა საქართველოსთვის

ჭაბუკა მარანელი, ნონა ბიბილაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ნათია ჟოჟუაშვილი**, ასოცირებული პროფესორი

გლობალიზაციის პროცესი განვითარებად ქვეყნებს სთავაზობს სწრაფი ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობებს საერთაშორისო ვაჭრობასა და კაპიტალზე წვდომის საშუალებით. შესაბამისად, აღნიშნულ პროცესთან ერთად გაზრდილია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობაც. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები უცხოელ ინვესტორებს აქტივების უფრო ეფექტიანი გამოყენების საშუალებას აძლევს, ხოლო ინვესტიციების მიმღებ ქვეყნებს უკეთესი ტექნოლოგიის ათვისების, საერთაშორისო წარმოების და სავაჭრო პროცესში ჩართვის შესაძლებლობას სთავაზობს.

ინვესტიციების პროცესში უმნიშვნელოვანესია საინვესტიციო გარემოც, რომელიც შეიძლება ითქვას, რომ ესაა ფაქტორების ერთობლიობა, რომელიც დამახასიათებელია მოცემული ქვეყნისათვის და განსაზღვრავს შესაძლებლობებს და სტიმულებს, რათა ფირმებმა გააფართოვონ საქმიანობის მასშტაბები, განახორციელონ ინვესტიციები, შექმნან ახალი სამუშაო ადგილები და აქტიური მონაწილეობა მიიღონ გლობალურ კონკურენციაში. რაც შეეხება საქართველოს საინვესტიციო გარემოს, ქვეყანაში პოზიტიური ტენდენცია ნარჩუნდება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თვალსაზრისით. საქართველოში დღეს ერთ-ერთი საუკეთესო საინვესტიციო გარემოა შექმნილი. საინვესტიციო გარემოს განვითარებას ხელს უწყობს ეფექტიანი საჯარო სერვისები, აგრეთვე გაუმჯობესებული პოზიციები საერთაშორისო ინსტიტუტების რეიტინგებში, მაგალითად მსოფლიო ბანკის კვლევის „ბიზნესის კეთების“ რეიტინგში, 2017 წელს საქართველო 190 ქვეყანას შორის მე-16-ე ადგილზეა 80,20 ქულით აგრეთვე ქვეყანას გაფორმებული აქვს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება თურქეთსა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებთან და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შეთანხმება ევროკავშირთან. სულ ახლახან კი ხელი მოვაწერეთ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას ჩინეთთან, რაც ნიშნავს დამატებით 1,4 მილიარდი მომხმარებლის ბაზარს.

საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა იძლევა ვაჭრობის, ტრანსპორტისა და ენერგეტიკის სფეროებში ევროპისა და აზიის დაკავშირების უნიკალურ შესაძლებლობას. სატრანსპორტო პროექტები, როგორიცაა ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა, აღმოსავლეთ-დასავლეთის საავტომობილო მაგისტრალი, სატრანსპორტო დერეფანი Lapis Lazuli, სპარსეთის ყურე - შავი ზღვის დერეფანი და ასევე “აბრეშუმის გზის” ეკონომიკური სარტყელი, ყველას უდიდეს შესაძლებლობებს გვთავაზობს“.

საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას მოწმობს ბოლო 10 წლის სტატისტიკა:



2017 წლის საქართველოში განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა ჯამურად 1 მლრდ 861,9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 4,82 %-ით მეტია.

2017 წლის საქართველოში განხორციელებული უცხოური ინვესტიციების გადანაწილება ეკონომიკური სექტორების მიხედვით შემდეგია:



ჩვენ მიერ ნახსენები 4,82% ზრდა გამოწვეულია საგარეო და საშინაო ფაქტორებით. საშინაო ფაქტორებიდან მნიშვნელოვანია გამოიყოს მთავრობის შეცვლილი პოლიტიკა ბიზნესის განვითარებასა და მისი სტიმულირებისათვის, რაც პირველ რიგში გამოიხატება საკუთრების უფლების მხრივ მნიშვნელოვან წინსვლაში, რამაც ქვეყანაში გააჩინა განცდა, რომ საკუთრების უფლება არის ხელშეუვალი, რაც უცხოელი ინვესტორებისთვის არის პოზიტიური სიგნალი, საქართველოში ინვესტიციების განხორციელებისთვის.

საგარეო ფაქტორების ანალიზისას, გასათვალისწინებელია საქართველოს უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების ეკონომიკების მდგომარეობა, რომლებიც ჩვენი რეგიონის ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები არიან და რომელთაც გასული წლის რეგიონალური კრიზისი მნიშვნელოვნად შეეხოთ. 2016 წლიდან კი როგორც საქართველოში, ისე ჩვენს რეგიონში კრიზისმა გადაიარა და რეგიონის ეკონომიკებმაც გაჯანსაღება დაიწყეს.

ამასთან ერთად, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური გვთავაზობს საქართველოს უმსხვილესი ინვესტორი კომპანიებისა და ქვეყნების ტოპ ათეულს. კომპანიების ტოპ ათეული ასე გამოიყურება (კომპანიები რეიტინგის მიხედვით არ არის დალაგებული):

1. სს ენერგო-პრო ჯორჯია გენერაცია
2. საქართველოს ტურიზმის განვითარების ფონდი
3. შპს მტკვარი ჰოლდინგი
4. ენკა ინშაათ ვე სანაი ანონიმ შირქეთის ფილიალი საქართველოში
5. სს მეტრო ავრასია ჯორჯია
6. სს ენერგო-პრო ჯორჯია
7. ბი-ფი ჯგუფი
8. შპს მაგთიკომი
9. აიდიეს ბორჯომი საქართველო, შპს აიდიეს ბორჯომი ბევერიჯიზ კომპანის საქართველოს ფილიალი
10. შპს რაკიინ აფთაუნ დეველოპმენტი

საქართველოს უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების ათეულია:

1. აზერბაიჯანი - $378 მილიონი, კლება წინა წელთან 12%
2. თურქეთი - $259 მილიონი, ზრდა წინა წელთან 44%
3. გაერთიანებული სამეფო - $175 მილიონი, ზრდა წინა წელთან 30%

4. ნიდერლანდები - $133 მილიონი, ზრდა წინა წელთან 84%
5. აშშ - $52 მილიონი, ზრდა წინა წელთან 15%
6. გაერთიანებული საემიროები - $51 მილიონი, ზრდა წინა წელთან 36%
7. პანამა - $42 მილიონი, ზრდა წინა წელთან 12%
8. ჩინეთი - $35 მილიონი, ზრდა წინა წელთან 30%
9. ჩეხეთი - $34 მილიონი, კლება წინა წელთან 56%
10. მალტა - $29 მილიონი, ზრდა წინა წელთან 12%

მაგალითისთვის განვიხილოთ სს ,,ენერგო-პრო ჯორჯია"-ს მაგალითი, რომელმაც 2017 წელს 89 მლნ ლარის ინვესტიცია განახორციელა, ხოლო იგი მიმდინარე წელს 92 მილიონამდე ლარის ინვესტიციას გეგმავს.

2017 წელს კომპანიამ სხვადასხვა მიმართულებით გააუმჯობესა მაჩვენებლები: აბონენტთა მომსახურების ხარისხის ზრდის მიზნით, განხორციელდა არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება. 2017 წელს წარმატებით დასრულდა აბონენტთა ინდივიდუალური გამრიცხველიანების პროექტი. სს „ენერგო-პრო ჯორჯიას" ყველა აბონენტს დაუმონტაჟდა ევროპული სტანდარტების შესაბამისი ინდივიდუალური მრიცხველები; კომპანიის გაფართოებისა და განვითარების გეგმის ფარგლებში, 2017 წლის აგვისტოში სს „ენერგო-პრო ჯორჯიამ" შეიძინა კახეთის სადისტრიბუციო ენერგოკომპანია, რითაც გაზარდა მომსახურების არეალი და გახდა ერთ-ერთი უმსხვილესი ენერგოკომპანია საქართველოში. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 2017 წლის ოქტომბერში ,,BB Stable" რეიტინგის მიღება, რომელიც კომპანიას Fitch Ratings-მა მიანიჭა. აღნიშნული რეიტინგი ხაზს უსვამს სს „ენერგო-პრო ჯორჯიას" ფინანსურ სტაბილურობას და წარმატებულ ოპერირებას ქვეყნის ენერგეტიკის სექტორში; 2017 წელს წარმატებით დაინერგა კომპანიის რესურსების ეფექტური მართვის სისტემა IFS; კომპანიის კუთვნილი ჰიდროელექტროსადგურების მიერ დაფიქსირდა გენერირებული ელექტროენერგიის მაღალი მაჩვენებელი.

ენერგო–პრო ჯგუფი, თავის მხრივ, აერთიანებს ელექტროენერგიის გენერაციისა და დისტრიბუციის ობიექტებს ჩეხეთის რესპუბლიკაში, ბულგარეთში, საქართველოში და თურქეთში.

მიუხედავად ბევრი უპირატესობისა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს მიმღები ქვეყნის ეკონომიკისთვის შესაძლოა უარყოფითი შედეგიც ჰქონდეს. შევეცდებით, მოკლედ შევაჯამოთ პირდაპირი უცხოურ ინვესტიციების დადებითი და უარყოფითი გავლენა მიმღებ ქვეყანაზე.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დადებით ეფექტად განიხილება მისი პოზიტიური გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე, ეკონომიკური ფაქტორების მთლიანი პროდუქტიულობის და რესურსების ეფექტიანი გამოყენების ზრდის ხარჯზე. უცხოური ინვესტიციები ქვეყანაში ზრდის კაპიტალის მოცულობას და ამ გზით ხელს უწყობს გამოშვების ზრდას. იგი ასევე ხელს უწყობს მიმღები ქვეყნის ეკონომიკის ინტეგრაციას გლობალურ ეკონომიკაში საგარეო ვაჭრობის ზრდის ხელშეწყობით.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ზრდის დასაქმებას და მნიშვნელოვანია ადამიანისეული კაპიტალის განვითარებისთვის. მაღალი პროდუქტიულობის გამო ხშირად ასეთი ტიპის დასაქმება უფრო მაღალ ხელფასებსა და უკეთეს სამუშაო პირობებს გულისხმობს. ტექნოლოგიური ნოუ-ჰაუ და პროგრესული მენეჯმენტი გლობალურ ბაზრებზე ასეთი ტიპის წარმოების თავის დამკვიდრების საშუალებას იძლევა.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ერთ-ერთი უმთავრესი დადებითი ეფექტი მიმღებ ქვეყანაში სხვა სექტორებზე მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური გადადინების ეფექტია. ადგილობრივ კომპანიებს შეუძლიათ პროდუქტიულობის ზრდა თანამედროვე, გაუმჯობესებულ ტექნოლოგიებზე წვდომის საშუალებით.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ზრდის კონკურენციის დონეს ადგილობრივ ბაზარზე და ამ გზით ხელს უწყობს მაღალ პროდუქტიულობას, ინოვაციებს, შედარებით დაბალ ფასებს და რესურსების უფრო ეფექტიან გადანაწილებას.

უცხოურ ინვესტიციებს შეიძლება ჰქონდეს ადგილობრივი ინვესტიციების გამოდევნის ეფექტი. ქვეყნებში, სადაც ადგილობრივი ბაზრის ათვისების მიმართულებით ხორციელდება ინვესტიციები ადგილობრივი კომპანიები მნიშვნელოვან კონკურენციას ხვდებიან, რადგან უცხოური ინვესტიციებით შექმნილი კომპანიები დაბალი ზღვრული დანახარჯის გამო ზრდიან წარმოების მოცულობას და იზიდავენ მომხმარებელს. შემცირებული მოთხოვნის გამო კი ადგილობრივი, მწარმოებლები ამცირებენ წარმოების მოცულობას და მათი ფიქსირებული დანახარჯი ერთ ერთეულ წარმოებაზე იზრდება, მაგრამ თუ ინვესტიცია არის საექსპორტო წარმოებაზე მიმართული, მაშინ ადგილობრივი ინვესტიციების გამოდევნის ეფექტი ნაკლებ პრობლემას წარმოადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის პირდაპირ დაფინანსების წყაროს წარმოადგენს, მას საშუალოვადიან პერიოდში შესაძლოა უარყოფითი გავლენა ჰქონდეს მიმდინარე ანგარიშზე. უცხოელი ინვესტორის მთავარ მიზანს ინვესტიციიდან მაქსიმალური მოგების მიღება წარმოადგენს. ინვესტიციის მიმღები ქვეყნის ზოგიერთი უპირატესობა (იაფი მუშახელი, ბუნებრივი რესურსები და სხვა) საშუალებას აძლევს ინვესტორს წარმატებული ბიზნესი აწარმოოს. მიღებული შედეგი კი ხშირად გადის ქვეყნიდან განაწილებული მოგების სახით, რაც საგადასახადო ბალანსზე უარყოფით გავლენას ახდენს. გარდა ამისა უცხოური ინვესტიციები ხშირად ახალისებს იმპორტს და თუ არ არის მიმართული საექსპორტო პროდუქტის წარმოებაზე მაშინ გააუარესებს მიმდინარე ანგარიშის ბალანსს.

ყველაფრის გათვალისწინებით ქვეყანაში სწორი პოლიტიკა მიმდინარეობს, რათა საინვესტიციო გარემო კიდევ უფრო მიმზიდველი გახდეს უცხოელი ინვესტორებისათვის. მიუხედავად ამისა, ფაქტობრივი მდგომარეობის ანალიზი ცხადყოფს, რომ საინვესტიციო გარემოს გაჯანსაღების მიმართულებით გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. ინვესტიციების შემოსვლას ხელს უშლის ქვეყანაში არსებული კონფლიქტური სიტუაციები და დაკარგული ტერიტორიები, ასევე კორუფციული მდგომარეობა, ჩრდილოვანი ეკონომიკა, ბიზნესის განვითარებისათვის არაჯანსაღი საკანონმდებლო ბაზა და ა.შ.

აღნიშნული პრობლემების გადაჭრა და რეფორმების გაძლიერება ეკონომიკის რეალურ სექტორში ინვესტიციების ზრდას შეუწყობს ხელს, რაც ნიშნავს ახალი ტექნოლოგიების შემოტანას ქვეყანაში, პროდუქტიულობის დონის გაზრდას და პოზიტიურ გავლენას ექსპორტის და დასაქმების მაჩვენებლებზე.

ლიტერატურა და წყაროები:

- ევგენი ბარათაშვილი, დალი მაგრაქველიძე, „საქართველოში საინვესტიციო გარემოს სრულყოფის პრინციპები, 2009.
- www.geostat.ge
- www.doingbusiness.org
- www.eonomic.ge
- http://netgazeti.ge/
- http://www.tabula.ge/ge
- http://forbes.ge/

კონკურენციის როლი კეთილდღეობის ეკონომიკაში

მარიამ მთიულიშვილი, ბექა ნაოჭაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის მაგისტრატურის სწავლების პირველი წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **გიული გიგუაშვილი,** პროფესორი

საბაზრო ეკონომიკაში სოციალური ორიენტაციის გაძლიერებამ წინა პლანზე წამოსწია კეთილდღეობის სოციალურ-ეკონომიკური ასპექტების კვლევის აუცილებლობა. კეთილდღეობის ეკონომიკა პირდაპირ კავშირშია კონკურენციასთან. ბოლო პერიოდში მსოფლიო ეკონომიკურ ლიტერატურაში განსაკუთრებით აქტუალური გახდა კონკურენციის გაძლიერების გლობალური ტენდენციებისა და კონკურენტუნარიანობაზე ორიენტირებული ქვეყნების ახალი პერსპექტივების კვლევა. კონკურენტუნარიანობა, როგორც ქვეყნის განვითარების გარანტი, განსაზღვრავს თითოეული ქვეყნის ადგილსა და როლს მსოფლიო ეკონომიკაში.

XXI საუკუნე აღიარებულია ცოდნისა და ინტელექტუალური კაპიტალის საუკუნედ, რაც მნიშვნელოვნად ცვლის ქვეყნის კონკურენტუნარიანობის საფუძვლებს. დღეს ქვეყნები კონკურენტულ უპირატესობას ინოვაციების, ახალი ტექნოლოგიების გზით აღწევენ, აფუძნებენ ახალ სტანდარტებს, ინვესტიციებს დებენ ცოდნის განახლებაში, ახალი სახეობის პროდუქციის შექმნასა და ა.შ. ყოველივე ეს განაპირობებს ქვეყნის სახელმწიფო სექტორში არსებული რესურსების ეფექტიან გამოყენებას, საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებასა და ჯანსაღი კონკურენციის საფუძველზე საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებას. [1]

სოციალური ეკონომიკა საბაზრო ეკონომიკის განვითარების მახასიათებელი და მისი უმაღლესი ფორმაა. XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში ახალი ტიპის პოსტინდუსტრიული ეკონომიკის - "ახალი ეკონომიკის" ფორმირება დაიწყო. საყოველთაო აღიარებით, იგი სამ მთავარ საყრდენს ეფუძნება: საბაზრო სისტემას, ეკონომიკის სახელმწიფოებრივ რეგულირებას და სოციალურ მდგრადობას. სოციალური ეკონომიკა მსოფლიოს გლობალური პრობლემის - სიღარიბის გამოწვევაა, რამდენადაც იგი გულისხმობს ადამიანების კეთილდღეობის თანმიმდევრულად ამაღლებას. სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების იდეის პრაქტიკული განხორციელება მე-20 საუკუნის 60-იან წლებს უკავშირდება, რომლის ინიციატორი აშშ იყო. შემდეგ იგი ფართოდ გავრცელდა გფრ-ში, შვედეთსა და დასავლეთის სხვა განვითარებულ ქვეყნებში. ამ დროს ჩაეყარა საფუძველი სიღარიბესთან ბრძოლის ფართომასშტაბიანი პროგრამების გატარებას.

1995 წელს კოპენჰაგენში (დანია) გაეროს ეგიდით გამართულმა მსოფლიო ფორუმმა კომპლექსურად განიხილა მსოფლიოს სოციალური და ეკონომიკური განვითარების ახალი სტრატეგია და ადამიანის კეთილდღეობის ამაღლება XXI საუკუნის უმთავრეს ამოცანად მიიჩნია. ფორუმის დეკლარაციაში აღინიშნა, რომ სამართლიანი სოციალური განვითარება ეკონომიკის აყვავებისა და მდგრადი განვითარების აუცილებელი პირობაა. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ფორუმის მოთხოვნით ყველა ქვეყანამ ეკონომიკის განვითარებაში ორიენტაცია უნდა აიღოს ადამიანის მოთხოვნილებათა უფრო ეფექტიანად დაკმაყოფილებაზე, აღიაროს სოციალური განვითარების უნივერსალურობა და შეიმუშაოს მისადმი ახალი, უფრო ეფექტიანი მიდგომა, რათა გაძლიერდეს ამ სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობა და პარტნიორობა. [2]

კონკურენტული გარემოს შექმნა და კონკურენციის განვითარება სოციალური საბაზრო ეკონომიკის განვითარების აუცილებელი პირობაა. მიზნის მისაღწევად საჭიროა ეკონომიკური პოლიტიკის შემდეგი პრინციპების თანმიმდევრული განხორციელება: 1) კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა; 2) მონეტარული სტაბილურობა; 3) ბაზრების გახსნილობა; 4) გარიგებებისა და კონტრაქტების დადების თავისუფლება; 5) მოქნილი ფისკალური და ფულად-საკრედიტო ანტიციკლური პოლიტიკის გატარება და ა.შ. [1]

„კეთილდღეობა ყველასათვის, კეთილდღეობა კონკურენციის გზით". ეს სიტყვები ეკუთვნის ლუდვიგ ერხარდს და მოცემულია მის ცნობილ ნაშრომში - "კეთილდღეობა ყველასათვის" (1956), რომელშიც საყოველთაო კეთილდღეობის მიღწევის მთავარ საშუალებად სწორედ კონკურენციაა აღიარებული. ინტელექტუალური კაპიტალის საუკუნემ მნიშვნელოვნად შეცვალა კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის საფუძვლები. თუ უახლოეს წარსულში ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ყველაზე მძლავრ დეტერმინანტებს წარმოადგენდა ვალუტის კურსის სიმყარე, ბუნებრივი რესურსები, მენეჯმენტის განვითარების დონე, მასშტაბის ეფექტი, ანუ წარმოების გაფართოების ხარჯზე მიღწეული ეკონომია და ა.შ., ამჟამად აქცენტი კონკურენტუნარიანობის სრულიად ახალ წყაროებზე კეთდება. თანამედროვე ეკონომიკაში ახალი სტრატეგიის შექმნა ეყრდნობა ახალ ინოვაციურ სისტემას, რაც მოიცავს უახლეს ტექნოლოგიებს. განვითარებული ქვეყნების წარმოების მატება 75%-დან 100%-მდე სწორედ ინოვაციების გამოყენებით მიიღწევა.

მიზანშეწონილია კონკურენტუნარიანობა განვიხილოთ როგორც მიკრო და მეზოდონეზე, ისე მაკრო- და მეგადონეზე. კონკურენტუნარიანობა მიკრო და მეზოდონეზე არის ეკონომიკური ურთიერთობების სუბიექტთა თვისება, კონკურენცია გაუწიონ ქვეყნის შიდა ბაზარზე ანალოგიური თვისების მატარებელი ეკონომიკური ურთიერთობების სუბიექტებს. ამ თვისების შეფასება იძლევა დაბალი, საშუალო და მაღალი ლოკალური კონკურენტუნარიანობის განსხვავების საშუალებას. კონკურენტუნარიანობა მაკრო და მეგადონეზე არის ქვეყნის თვისება, კონკურენცია გაუწიოს მსოფლიო ბაზარზე სხვა ქვეყნების ანალოგიური თვისებების მქონე ეკონომიკური ურთიერთობების მქონე სუბიექტებს, რაც, საბოლოო ანგარიშით, მოცემული ქვეყნის კონკურენტუნარიანობაში აისახება. აქედან გამომდინარე, გლობალური კონკურენტუნარიანობა განსაზღვრავს ქვეყნის ადგილს მსოფლიო ეკონომიკაში და იგი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია. მასში აისახება ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის დონე. ამიტომაც, შემთხვევითი არ არის, რომ დღეს, კონკურენციის გლობალიზაციის ფონზე, შეიცვალა ქვეყნის კონკურენტული უპირატესობის საფუძვლები.

თანამედროვე საგარეო ვაჭრობაში შეფარდებითი უპირატესობის თეორია თანდათან ადგილს უთმობს კონკურენტული უპირატესობის თეორიას. მსოფლიო ბაზარზე ქვეყნის კონკურენტულ უპირატესობას განაპირობებს მეცნიერებატევადი და მაღალტექნოლოგიური დარგები. მსოფლიო ეკონომიკის განვითარების პრაქტიკა აჩვენებს, რომ დღეს ყველაზე მომგებიანი ის დარგებია, რომლებიც აწარმოებენ საინფორმაციო ტექნოლოგიებს, კავშირგაბმულობის საშუალებებსა და ტელეკომუნიკაციების მთელ სისტემას. მათ წარმატებას მსოფლიო ბაზარზე, უპირველეს ყოვლისა, განაპირობებს ინოვაციების დანერგვა და არა წარმოებრივი შესაძლებლობების ზრდა, ინტენსიური და არა ექსტენსიური წარმოება. ქვეყნის კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ეს შედარებით ახალი თეორია აქცენტს ისეთ ფასეულობებზე აკეთებს, როგორიცაა ხარისხი, „ნოუ-ჰაუ“, ბაზრისადმი ახლებური მიდგომა, ინფორმაციის ყველა დონეზე გაფილტვრა, ახალი დიზაინი, ახალი სახეობის პროდუქციის შექმნა და ა.შ. [1]

ქვეყნის კეთილდღეობის ამაღლების პრობლემა მეტად აქტუალურია თანამედროვე გლობალურ ეკონომიკაში, ფართო მსჯელობის საგანია ის ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ მას. ეს პრობლემა ორგანულად უკავშირდება ეროვნული კონკურენტული უპირატესობის რომბს, რომელიც მაიკლ პორტერის დაიმონდის მოდელის სახელწოდებითაა ცნობილი. [3] იგი დღევანდელ პირობებში ქვეყნის კეთილდღეობის ამაღლების მიმართულებებში გარკვევის საშუალებას იძლევა. ის გარემოება, რომ გლობალიზაცია აჩქარებს ცალკეულ ქვეყნებში ღია საზოგადოების ჩამოყალიბებას და ანგრევს ჩაკეტილ, ტოტალიტარულ რეჟიმებს, ხელს უწყობს მსოფლიო მასშტაბით რესურსების ეფექტიან გამოყენებას, მეცნიერული მიღწევების მოკლე დროში დანერგვას. ეროვნული კონკურენტული უპირატესობის რომბი, როგორც სისტემა, გავლენას ახდენს კომპანიათა კონკურენტუნარიანობის ისეთ კომპონენტებზე, როგორებიცაა: რესურსების ხელმისაწვდომობა, დასაბუთებული უახლესი ინფორმაციის მოპოვება, უნარ-ჩვევების აკუმულირება, ინფორმაციის სწრაფი მოპოვების გზით ბაზრის მდგრადი სეგმენტის მოძიება და ა.შ. როდესაც კომპანიები არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდებიან ნედლეულის სიმცირის, მიწის მაღალი ფასის, მუშახელის დეფიციტის გამო, იმისათვის, რომ გაუძლონ კონკურენციას, ნერგავენ ახალ ტექნოლოგიებს, ამით ქმნიან ახალ ბაზრებს და არაფასისმიერი კონკურენციით აღწევენ წარმატებას. ამრიგად, ქვეყნის კონკურენტუნარიანობა საზოგადოების კეთილდღეობის უმნიშვნელოვანეს ინდიკატორად შეიძლება მივიჩნიოთ.

ქვეყნის კონკურენტული უპირატესობის მისაღწევად XXI საუკუნე მსოფლიოს სთავაზობს ეკონომიკური განვითარების ახალ მოდელს. ეს მოდელი ინოვაციურ ეკონომიკას ეფუძნება, რომელშიც წამყვან როლს ინტელექტუალური კაპიტალი, საინფორმაციო და ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიები ასრულებენ. მათი განვითარების დონეს კი საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ფუნქციონირების ხარისხი განსაზღვრავს.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის, კონკურენტუნარიანი ბაზრის ჩამოსაყალიბებლად მნიშვნელოვანია ბაზარზე სამართლიანი წესების დაცვა. ეკონომიკური თეორია და პრაქტიკა ცხადყოფს, რომ გარკვეულ ბიზნესსექტორებში, სადაც ბაზრის მექანიზმების დამოუკიდებელი მოქმედება არაეფექტურია და ვერ ხდება კონკურენციის უზრუნველყოფა, ძირითად მოთამაშედ გვევლინება სახელმწიფო.

საქართველოში კონკურენციის პოლიტიკის განვითარება დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ დაიწყო. 1992 წელს მიღებულ იქნა პირველი სამართლებრივი დოკუმენტი – ,,მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვის და კონკურენციის განვითარების შესახებ''. მის აღსრულებაზე ზედამხედველობა და კონტროლი დაევალა ეკონომიკის სამინისტროს. 1996 წელს დეკრეტი შეიცვალა ,,მონოპოლიური საქმიანობის და კონკურენციის შესახებ'' საქართველოს კანონით. შეიქმნა ანტიმონოპოლიური სამსახური. 2005 წელს საქართველოში ანტიმონოპოლიური სამსახური საერთოდ გაუქმდა და შეიქმნა ჩარჩო კანონი ,,თავისუფალი ვაჭრობის და კონკურენციის'' შესახებ. [4]

საქართველოს მთავარი საკონკურენციო კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“, სამწუხაროდ, არ არეგულირებს საკონკურენციო სამართლის ისეთ ძირითად საკითხებს, როგორიცაა:

- დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება;
- კონკურენციის შემზღუდავი ჰორიზონტალური (მათ შორის კარტელური) და ვერტიკალური შეთანხმებები;
- ეკონომიკურ აგენტთა შერწყმები;
- განსაკუთრებული საკუთრების მფლობელთა (ბუნებრივი მონოპოლიები) კომპეტენციის სფეროები;

- არაკეთილსინდისიერი კონკურენციის სახეების განსაზღვრა, კონკრეტული ფაქტების გამოვლენა და აღკვეთა.

„თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის სრულყოფა და შესაბამისი ინსტიტუციონალური რეფორმა (ფუნქციონალური დატვირთვის პარალელურად კონკურენციის სააგენტოს უფლებამოსილებათა გაზრდა; კანონით გათვალისწინებული დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა; სტრუქტურული და რაოდენობრივი ოპტიმიზაცია) შექმნის კონკურენციის დაცვისა და რეგულირების ეფექტურ სისტემას, გაუმჯობესებს საინვესტიციო კლიმატს, ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკის რეალურ ინტეგრაციას მსოფლიო ბაზარში. აღნიშნულ კომპლექსურ ცვლილებებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ ქვეყანაში სიღარიბესთან წარმატებული ბრძოლასა და საზოგადოებრივი კეთილდღეობის დაჩქარებულ ზრდაში. [5]

საქართველოში ბაზრის კონკურენციის ხარისხის შეფასებისას მნიშვნელოვან ინდიკატორად გვევლინება მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის კვლევა – გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგი. საქართველო მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2017-2018 წლების გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში 137 ქვეყანას შორის 67-ე ადგილზეა, რაც ნიშნავს რომ წინა წელთან შედარებით 8 ადგილით ჩამოქვეითდა. 2016-2017 წლის ინდექსში საქართველო 59-ე, 2015-2016 წლის ინდექსში კი 66-ე ადგილს იკავებდა. საქმე იმაშია, რომ საქართველოს სარეიტინგო ქულა უცვლელია წელსაც 4.3-ია, თუმცა ადგილების დაკარგვა უკავშირდება იმას, რომ სხვა ქვეყნებმა გატარებული რეფორმების შედეგად ადგილის გაუმჯობესება შეძლეს. საქართველოში კი აღნიშნულ პერიოდში პრაქტიკულად არცერთი მნიშვნელოვანი რეფორმა არ გატარებულა, რიგი მიმართულებით კი პოზიციების გაუარესება შეიმჩნევა. წლების მიხედვით საქართველოს პოზიცია ასე იცვლებოდა:

2016-2017 წწ.	59 ადგილი	4,3 ქულა
2015-2016 წწ.	66 ადგილი	4,3 ქულა
2014-2015 წწ.	69 ადგილი	4,2 ქულა
2013-2014 წწ.	72 ადგილი	4,2 ქულა
2012-2013 წწ.	77 ადგილი	4,1 ქულა

კონკურენციის სფეროს შესახებ საქართველოს მაჩვენებლები საფუძვლიან კვლევას და ანალიზს ითხოვს. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ანგარიშის მიხედვით, კონკურენტუნარიანობის ამაღლების კუთხით საქართველოს მთავარ გამოწვევად ისევ რჩება ინსტიტუტების გაძლიერება, განათლების ხარისხის გაუმჯობესება და შრომითი ბაზრის ეფექტიანობის გაზრდა. [6]

კონკურენციის კანონმდებლობას ქვეყნის ეკონომიკური სისტემის კონსტიტუციას უწოდებენ. არაერთი აკადემიური კვლევის შედეგი ადასტურებს, რომ მომხმარებლის კეთილდღეობის ინდიკატორსა და ეკონომიკური კეთილდღეობის ინდიკატორს შორის პირდაპირპროპორციული დამოკიდებულება არსებობს. აქედან გამომდინარე, კონკურენციის სახელმწიფო პოლიტიკის იმ პრიორიტეტების გათვალისწინება, როგორიცაა ვაჭრობისა და ინდუსტრიული პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა, სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას გარემოს დაცვის ზედამხედველობა, ეკონომიკურ აგენტებს შორის თანასწორობისა და სამართლიანობის დაცვა, ინფლაციის წინააღმდეგ ბრძოლა, ეკონომიკური თავისუფლების დაცვა, ბაზრის ინტეგრაციის მხარდაჭერა, მცირე ეკონომიკური აგენტების დაცვა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კონკურენციაზე. კონკურენციის პოლიტიკის ანალიზის მნიშვნელობა სწორედ ეკონომიკურ რეფორმების წარმატებაში ამ სფეროს წამყვანი როლით არის განპირობებული. [7]

ამრიგად, კონკურენცია მიიჩნევა ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევის საუკეთესო საშუალებად და იმ ძირითად ელემენტად, რომელიც ხელს უწყობს ეკონომიკის გაცილებით სწრაფ ზრდას, სიღარიბის შემცირებას და მეტად კონკურენტუნარიანი, მომხმარებელზე ორიენტირებული ეკონომიკის ფუნქციონირებას.

ლიტერატურა:

1. ასათიანი როზეტა, კეთილდღეობა ყველასათვის, კეთილდღეობა კონკურენციის გზით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის -“ეკონომიკური განვითარების სტრუქტურული და ინოვაციური პრობლემები” (23-24 ივნისი, 2017) მასალების კრებული. გვ. 16-23
2. ნოდარ ჭითანავა, ლარისა თაკალანძე, სოციალური ეკონომიკა, ფორმირება და განვითარება. ნაწილი I, თბილისი, 2008.

3. Портер М. Конкуренция. Перевод с английского. Санкт-Петербург, Москва, Киев. «Вильямс», 2000. http://194.44.152.155/elib/local/sk795663.pdf
4. ლექვინაძე ირაკლი, ეკონომიკური პოლიტიკის და ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების გავლენა კონკურენციაზე საქართველოში, სადისერტაციო ნაშრომი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2015.
5. გოგიაშვილი შალვა, საზოგადოებრივი კეთილდღეობა, თუ სიღარიბე, ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“, 2009, №3.
6. http://www.tabula.ge/ge/story/124595-globaluri-konkurentunarianobis-indeqsshi-saqartvelom-8-adgili-dakarga
7. მაქაცარია ნინო, ნარსია ლაშა, კონკურენციის პოლიტიკა და მისი განვითარების ზოგადი ტენდენციები საქართველოში, http://competition25.ge/public/uploads/media/makatsaria_narsia.pdf

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა საქართველოში

ია მიდელაშვილი, მაკა მეთაფლიშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ლეილა მამულაშვილი**, პროფესორი

საქართველოში საბაზრო ეკონომიკის მნიშვნელობისა და თავისუფალი მეწარმეობის განვითარებისათვის გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯების მიუხედავად, შექმნილი ურთულესი ეკონომიკური და ფინანსური პრობლემებისა და წინააღმდეგობების ფონზე, სერიოზული მსჯელობის საგანს წარმოადგენს მოსახლეობის დაბალშემოსავლიანი ფენებისათვის შემოსავლების გარკვეული დონის მიღწევა.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, დასაქმების პრობლემების მოგვარებაში უდიდესი როლი ენიჭება მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას. განვითარებულ სახელმწიფოებში ამ სფეროში დასაქმებულთა რიცხვი დაახლოებით 60-65% შეადგენს. აღსანიშნავია ისიც, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება ორი მიმართულებით ზემოქმედებს სახელმწიფო ბიუჯეტზე - შემოსავლების და ხარჯების ნაწილში. შემოსავლების მხრივ, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება ქმნის ახალ საგადასახადო ბაზას, რაც ბიუჯეტში აისახება დამატებითი შემოსავლების სახით. ხარჯვით ნაწილში კი მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება ზრდის ამ სფეროში დასაქმებულთა შემოსავლებს, რაც ამცირებს ბიუჯეტიდან შესაბამის სოციალურ ტრანსფერების გამოყოფის შესაძლებლობას.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგი ღონისძიებების გატარებას:

მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის და, უპირველეს ყოვლისა, ფინანსური სტაბილიზაციის უზრუნველყოფა შესაბამისი საინვესტიციო გარემოს შესაქმნელად. სახელმწიფომ მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს მცირე და საშუალო ბიზნესის შესაბამისი ინფრასტრუქტურის ფორმირებაში. მცირე და საშუალო ბიზნესის სტიმულირებისას აქცენტი უნდა გამახვილდეს შიდა ბაზრის გაჯერებაზე ორიენტირებულ მეწარმეობაზე. ამავე დროს პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს მატერიალური წარმოების სფეროს, რაც შეამცირებს ანალოგიური იმპორტის მოცულობას და მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ქვეყნის საგადასახადო ბალანსის მდგომარეობას.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი როლი უნდა მიენიჭოს საბანკო სისტემის მხრიდან საკრედიტო პროცენტის ოპტიმალურ რეგულირებას. ბიზნესის ორგანიზაციის ფორმებს შორის პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს სისტემის განვითარებას.

აღნიშნული ღონისძიებების განხორციელება გამოიწვევს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, რასაც შედეგად მოჰყვება ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და შემოსავლების გადიდება.

ამასთან, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის გარემოება, რომ ძლიერი კონკურენციის პირობებში ადგილობრივი მეწარმეობის აღორძინება შეუძლებელი გახდება წარმოების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის გარეშე.

მცირე და საშუალო საწარმოები განისაზღვრება საწარმოთა ბრუნვის მოცულობის და დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით. საშუალოა საწარმო, რომელშიც წლიურად დასაქმებულია რაოდენობა მერყეობს 20-დან 100 დასაქმებულამდე და რომლის წლიური ბრუნვა არ აღემატება 1,5 მლნ. ლარს. მცირეა საწარმო, რომელშიც წლიურად დასაქმებულთა რაოდენობა არ აღემატება 20-მდე დასაქმებულს და რომლის წლიური ბრუნვა არ აღემატება 500 ათას ლარს.

საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეობის პოლიტიკის გაუმჯობესების ძირითადი პრიორიტეტებია:

1. მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის მიღება 2016-2020 წლებისთვის, რომელიც იქნება საქართველოს მთავარი სტრატეგიული დოკუმენტი მცირე და საშუალო მეწარმეობის შესახებ პოლიტიკის ფორმირების და მხარდაჭერისათვის;
2. მცირე და საშუალო მეწარმეთათვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;
3. სამეწარმეო სწავლების გაუმჯობესება ევროკავშირის პრაქტიკის შესაბამისად;
4. ინოვაციური მეწარმეობის წასახალისებლად კონკრეტული მხარდამჭერი ღონისძიებების გატარება.

განვიხილოთ მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორის SWOT- ანალიზი.

მისი ძლიერი მხარეებია: ხელსაყრელი ბიზნეს-გარემო, გამარტივებული ადმინისტრაციული პროცედურები და განვითარებული სახელმწიფო სერვისები, ბიზნესის დაწყების მარტივი პროცედურები, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის საკონსულტაციო მომსახურება, შეღავათიანი საგადასახადო სისტემა მიკრო და მცირე ბიზნესებისთვის, რეგიონულ და საერთაშორისო ბაზრებზე წვდომის სიმარტივე, კარგად განვითარებული ინფრასტრუქტურა, მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშეწყობის ინსტიტუტები, მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამები და სხვა.

სუსტი მხარეებია: სამეწარმეო უნარებისა და გამოცდილების ნაკლებობა, კონკურენტუნარიანობის დაბალი დონე, დაბალი პროდუქტიულობა, ფინანსებზე/ გრძელვადიან საინვესტიციო რესურსებზე შეზღუდული წვდომა კვლევისა და განვითარების ინსტიტუტებსა და კერძო სექტორის არასაკმარისი თანამშრომლობა, ტექნოლოგიების დანერგვის შეზღუდული შესაძლებლობები, ადამიანური კაპიტალის არასაკმარისი კონკურენტუნარიანობა, მცირე და საშუალო საწარმოების საკონსულტაციო მომსახურების მაღალი ღირებულება და სხვა.

შესაძლებლობებს წარმოადგენს: ფინანსებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობა, კარგად განვითარებული ალტერნატიული დაფინანსება, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (EFTA) წევრ ქვეყნებთან და ჩინეთთან, შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული პროფესიული განათლების სისტემა, კარგად განვითარებული ხარისხის ინფრასტრუქტურა, საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება, ინოვაციების და ტექნოლოგიების დანერგვის პოტენციალის გაძლიერება, თანამედროვე სამეწარმეო კულტურის დანერგვა, მცირე და საშუალო მეწარმეობის ინსტიტუტების გაძლიერების მხარდაჭერა, მეწარმეთა გაზრდილი მონაწილეობა პოლიტიკის შემუშავების პროცესში და სხვა.

საფრთხეებს წარმოადგენს: შესაძლო საგარეო ეკონომიკური ფაქტორები (ფინანსური კრიზისი, საერთაშორისო ბაზრებზე მოთხოვნის შემცირება და ა.შ.), ეკონომიკური ზრდის შესაძლო შენელება, პოლიტიკური არასტაბილურობა, მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორში ინვესტიციების დაბალი დონე, საერთაშორისო კონკურენციის ფონზე მცირე და საშუალო საწარმოთა დაბალი შესაძლებლობები, ბიზნეს-საგანმანათლებლო პროგრამებში მცირე და საშუალო საწარმოების არასაკმარისი მონაწილეობა და სხვა.

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის მიზანს წარმოადგენს: მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, მათი კონკურენტუნარიანობის და ინოვაციების შესაძლებლობების ამაღლება, რის შედეგადაც მოხდება შემოსავლების და სამუშაო ადგილების ზრდა და შესაბამისად მდგრადი ეკონომიკური ზრდის მიღწევა.

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით სტრატეგიული მიმართულებების და შესაბამისი პრიორიტეტული ღონისძიებების განსაზღვრა მოხდა არსებული მდგომარეობის და ინსტიტუციური ჩარჩოს ანალიზის და მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორების იდენტიფიცირების საფუძველზე.

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის მიზნებს წარმოადგენს (საბაზისო - 2013 წელი):

1. 2020 წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოების გამოშვების ზრდა წლიურად საშუალოდ 10%-ით;
2. 2020 წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა ზრდა 15%-ით;
3. 2020 წლისთვის მწარმოებლურობის ზრდა 7%-ით.

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის ძირითადი ამოცანებია: ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლება; სამეწარმეო უნარების ამაღლება და თანამედროვე სამეწარმეო კულტურის დანერგვა; მცირე და საშუალო საწარმოების მოდერნიზაციის და ტექნოლოგიური გაუმჯობესების ხელშეწყობა.

საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეობის გაძლიერებისთვის და ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლებისთვის განსაზღვრულია შემდეგი სტრატეგიული მიმართულებები:

სტრატეგიული მიმართულება 1: საკანონმდებლო, ინსტიტუციური და სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება;

სტრატეგიული მიმართულება 2: ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;

სტრატეგიული მიმართულება 3: მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების განვითარება და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა;

სტრატეგიული მიმართულება 4: ექსპორტის ხელშეწყობა და მცირე და საშუალო საწარმოთა ინტერნაციონალიზაცია;

სტრატეგიული მიმართულება 5: ინოვაციების, კვლევის და განვითარების ხელშეწყობა.

მიუხედავად საკანონმდებლო და, ზოგადად, სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესებისა, მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორი კვლავ აწყდება სიძნელეებს რიგ სფეროებში, რაც ნეგატიურ გავლენას ახდენს მათ კონკურენტუნარიანობაზე. მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი ინსტიტუტები გადამწყვეტ როლს თამაშობენ აღნიშნული სექტორის ზრდის და განვითარების თვალსაზრისით. ბიზნეს-ასოციაციებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს ხშირ შემთხვევაში არ აქვთ სრულყოფილი ინფორმაცია მცირე და საშუალო საწარმოთა საჭიროებებზე. მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის მხარდაჭერის ინსტრუმენტების, მოთხოვნაზე ორიენტირებული სერვისების განვითარების და მათი ეფექტიანობის ზრდისთვის აუცილებელია მეწარმეთა საჭიროებების ანალიზი.

ფინანსებზე ხელმისაწვდომობა ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების და ზრდისთვის. გამოკვლეული საწარმოების 13.6% ბიზნესის წარმოების მთავარ დაბრკოლებად სწორედ ფინანსებზე შეზღუდულ ხელმისაწვდომობას ასახელებს. მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების განვითარების და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა და კონკურენტული ადამიანური კაპიტალის განვითარება მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო საწარმოთა კონკურენტუნარიანობის ზრდისთვის და მოიცავს პროფესიული განათლების და გადამზადების სისტემის განვითარებას. მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარეობს პროფესიული განათლებისა და გადამზადების რეფორმა, სამუშაო ძალის შეუსაბამობაა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

მცირე და საშუალო საწარმოთა კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის უმნიშვნელოვანესია ასევე ექსპორტის, ინოვაციების, კვლევის და განვითარების ხელშეწყობა.

იგი არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი კომპანიების კონკურენტუნარიანობის და პროდუქტიულობის ამაღლებისთვის.

ინტერნეტ-რესურსები:

1. https://matsne.gov.ge/ka/document/download/3206386/0/1
2. www.geostat.ge/index.php?action=wnews&npid=14&lang=geo
3. www.economists.ge/ka/activities/.../41-mtsire-da-sashualo-biznesi-saqartveloshi
4. https://reformeter.iset-pi.ge/system/reform_survey_reports/16/ka

ახალგაზრდების დასაქმების პრობლემები საქართველოში

ინდირა როსტომოვი, ნინო თოდაძე
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **მაკა სოსანიძე,** ასოცირებული პროფესორი

შრომის უფლება ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა, რომელიც უზრუნველყოფს მისი ნიჭისა და შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზებასა და ჰარმონიულ განვითარებას. სახელმწიფოს მხრიდან ამ უფლების რეალიზებისათვის ხელის შეწყობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც საქმე ახალგაზრდების დასაქმებას შეეხება, რადგან, პირველ რიგში, ისინი წარმოადგენენ ქვეყნის სამუშაო ძალის სოლიდურ ნაწილს და, მეორე და მთავარი, ქვეყნის მომავალს, რომელთა სამუშაო პირობებზე დიდწილადაა დამოკიდებული მათი შემდგომი განვითარება და კვალიფიციურ პროფესიონალებად ჩამოყალიბება. დღეს ახალგაზრდები მთელს მსოფლიოში შრომის ბაზარზე ერთ-ერთ ყველაზე დაუცველ სოციალურ ჯგუფად ითვლებიან და ეს განსაკუთრებით თვალშისაცემია საქართველოში.

უკანასკნელ პერიოდში საქართველოში არსებულ ბევრი სოციალური და ეკონომიკური პრობლემიდან ერთ-ერთი ახალგაზრდების დასაქმების პრობლემაა, რომელიც მეტ-ნაკლებად დაკავშირებულია ყველა ახალგაზრდასთან. ეს პრობლემა დღესდღეობით საქართველოში ძალზე აქტუალურია, რადგან ახალგაზრდების უმრავლესობას არ აქვთ დასაქმების შესაძლებლობა. თუმცა მიუხედავად საკითხის აქტუალურობისა, მას ნაკლები ყურადღება ექცევა.

საქართველოში განათლებულ, დიპლომიან და სერტიფიცირებულ ახალგაზრდებს რთულ პირობებში უწევთ ცხოვრება. განსაკუთრებულად შემაშფოთებელია ის შედეგები, რომლებიც დაუსაქმებლობას მოჰყვება. უამრავი ახალგაზრდა ხდება კრიმინალის, წამალდამოკიდებულების, ადრეული ქორწინებისა და სხვა პრობლემების მსხვერპლი. უმუშევრობა ახალგაზრდებში, თავის მხრივ, იწვევს მიგრაციას, მასიურ სიღარიბეს და მოსახლეობის ფართო ფენების სოციალურ დაუცველობას. ამ და სხვა პრობლემებს სახელმწიფო შეძლებისდაგვარად უმკლავდება, კერძოდ, მოქმედებს საზაფხულო დასაქმების პროგრამები, 2014 წელს განხორციელდა სტუდენტთა მასშტაბური დასაქმების პროგრამა საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტიპის და სხვა დასაქმების სისტემები ვერ აღმოფხვრიან ძირეულად ამ პრობლემებს. თუმცა, ახალგაზრდობის დასაქმების პრობლემის მოგვარება შეუძლებელია გადაიჭრას მხოლოდ ერთი სექტორის ძალისხმევით. აუცილებელია მუდმივმოქმედი საკოორდინაციო მექანიზმების ჩამოყალიბება სამინისტროების, ადგილობრივი ხელისუფლების, ახალგაზრდული ორგანიზაციების, კერძო სექტორის, სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობით.

2013 წელს გაეროს ბავშვთა ფონდმა (UNICEF) და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ მტკიცებულებებსა და ცოდნაზე დაფუძნებული მიდგომებით დაიწყეს მთელი ქვეყნის მასშტაბით კვლევის ჩატარება საქართველოში ახალგაზრდების მდგომარეობის შესახებ. კვლევის შედეგად გამოვლინდა შემდეგი:

საქართველოს შრომისუნარიან მოსახლეობაში ყველაზე მაღალი უმუშევრობის დონე ახალგაზრდებში ფიქსირდება. ბუნებრივია, ახალგაზრდები, რომლებმაც დაამთავრეს ფორმალური განათლების მიღება, აქტიურად ეძებენ თავიანთი კვალიფიკაციის შესაბამის სამუშაოს, რათა მიაღწიონ ფინანსურ დამოუკიდებლობას, მაგრამ მათ ხვდებათ კონკურენტუნარიანი შრომის ბაზარი, სადაც სამუშაო ადგილების სიმცირისა და ნაკლები გამოცდილების გამო შედარებით გართულებულია მათი შრომის ბაზარში ჩართვა.

15-29 წლის ახალგაზრდების 30,7% უმუშევარია, მათი დიდი ნაწილი (33,2%) უმაღლესი განათლებითაა. ასაკობრივი ჯგუფებიდან მაღალია უმუშევრობის დონე 20-24 წლის ასაკობრივ ჯგუფშიც. ამ ასაკის აქტიური ახალგაზრდებიდან 36,3% უმუშევარია. 25-29 წლის ახალგაზრდების დასაქმების დონე გაცილებით მაღალია დანარჩენი ასაკობრივ ჯგუფების ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. სამუშაო ძალის თითქმის ¾ დასაქმებულია. დასაქმების დონე 55,6%-ს შეადგენს, რაც 9,4 პროცენტული პუნქტით მაღალია 20-24 წლის ასაკობრივი ჯგუფის ანალოგიურ მაჩვენებელზე, ხოლო 15-19 წლის ასაკობრივი ჯგუფის მაჩვენებელს 31,3 პროცენტული პუნქტით აღემატება. ამ ასაკობრივი ჯგუფის ყოველი 1000 ახალგაზრდიდან 556 დასაქმებულია და 209 უმუშევარი. ახალგაზრდა ქალების უმუშევრობის დონე 12,3 პროცენტული პუნქტით მაღალია ახალგაზრდა კაცების ანალოგიურ მაჩვენებელზე. რაც შეეხება

დასაქმებას, ახალგაზრდა კაცების ნახევარზე მეტი (53,1%) დასაქმებულია, რაც გაცილებით მაღალია ქალების ანალოგიურ მაჩვენებელთან (30,4%) შედარებით.

ქალაქში ახალგაზრდების უმუშევრობის დონე 2,5-ჯერ მაღალია სოფელთან შედარებით, ხოლო კაცების დასაქმების დონე (53,3%) ბევრად აღემატება ქალების დასაქმების დონეს (30,4%).

თბილისში აქტიური ახალგაზრდებიდან 44,2% უმუშევარია, ხოლო დანარჩენ ქალაქებში თბილისთან შედარებით უმუშევრობის დონე ოდნავ დაბალია. რეგიონებიდან ყველაზე მაღალი უმუშევრობის დონე თბილისსა და აჭარაში დაფიქსირდა, შესაბამისად 46,3% და 43,6%. თბილისში დასაქმებულია ახალგაზრდების 30,7%, ხოლო აჭარაში - 33,4%.

15-29 წლის დასაქმებულ ახალგაზრდებს შორის თვითდასაქმებულთა ხვედრითი წილი 54,1%-ს შეადგენს. თვითდასაქმებული ახალგაზრდების დიდი ნაწილი (65,7%) ოჯახურ საწარმოში/მეურნეობაში ან ახლობლისთვის შრომით საქმიანობაში უსასყიდლოდ მუშაობს და მათი უმრავლესობა (83,1%) სოფლის ახალგაზრდებს წარმოადგენს. ქალაქებში ახალგაზრდების უმეტესობა დაქირავებით დასაქმებულია, თბილისში მათი ხვედრითი წილი 81,7%-ს შეადგენს, ხოლო სხვა ქალაქებში 62,7%-ს. საქართველოს ახალგაზრდების 31,2% არც დასაქმებულია და არც სწავლობს, არ დადის არცერთ საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

დასაქმების პრობლემის მიზეზი, სხვა პრობლემებთან ერთად არის მოუწესრიგებელი დასაქმების ბაზარი. კერძოდ, არ არის დათვლილი და დაანგარიშებული სახელმწიფოს ფარგლებში საჭირო პროფესიული კადრის რაოდენობა. თუ რა სახის და სფეროს სპეციალისტებზე არსებობს მოთხოვნილება მოცემულ მომენტში და რა დარგები შეიძლება გახდეს მოთხოვნადი უახლოეს მომავალში. ასევე პრობლემად რჩება უკვე არსებული კვალიფიციური კადრისა და მისი პოტენციური დამქირავებლის ერთმანეთთან დაკავშირება.

აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად საჭიროა უფრო მეტი კერძო და სახელმწიფო სექტორი ჩაერთოს ახალგაზრდების დასაქმებაში. უფრო მაღალი დოზით უნდა არსებობდეს სახელმწიფოს ყურადღება ახალგაზრდების დასაქმებისა და დასაქმების პრობლემების აღმოფხვრისადმი. აუცილებელია, არსებობდეს დასაქმების სახელმწიფო სისტემა, რომელიც შეისწავლის ყველა ადამიანის ეკონომიკურ მდგომარეობას და, შესაბამისად, განახორციელებს დასაქმების პროგრამას.

უნდა აღმოიფხვრას უმთავრესი პრობლემა, ნეპოტიზმი, რომელიც ისეთ ცუდ შედეგებს იწვევს, როგორებიცაა ტვინების გადინება (პროცესი, როცა განათლებული საზოგადოება, რაღაც მიზეზების გამო მიდის ქვეყნიდან და სხვა ქვეყანაში პოულობს მისი ცოდნის შესაბამის სამსახურს), უხარისხო მომსახურება და საბოლოო ჯამში, რაც მეტია ნეპოტიზმის არეალი, მით უფრო ჩამორჩენილია ქვეყანა.

დასკვნის სახით გვინდა გამოვყოთ რამდენიმე რეკომენდაცია, რომელიც შეამცირებს უმუშევრობის პროცენტულ მაჩვენებელს ახალგაზრდებში და გაზრდის დასაქმების რეალურ შესაძლებლობას:

- შრომის ბაზრის საფუძვლიანი და პერიოდული კვლევა – სახელმწიფომ ყოველ ორ წელიწადში ერთხელ მაინც უნდა უზრუნველყოს შრომის ბაზრის კვლევა, რაც ხელს შუწყობს პრობლემის შესწავლასა და მათი გადაჭრის გზების დასახვას;
- ხარისხიანი განათლება;
- აუცილებელია სახელმწიფოს გააჩნდეს სტუდენტებში მეცნიერული კვლევებისა და პროექტების განვითარების ფონდი. რომლისგანაც გრანტის მიღება შეეძლება ქვეყანაში არსებული ყველა აკრედიტებული უნივერსიტეტის სტუდენტს საკუთარი სამეცნიერო კვლევისა თუ პროექტის საკონკურსო პირობების შესაბამისად;
- პროფესიული/საგანმანათლებლო ტრეინინგებისა და პრაქტიკის როლი – აკრედიტაციის ერთიანმა ეროვნულმა ორგანომ უნდა დაავალდებულოს უმაღლესი განათლების დაწესებულებებს, რომ შექმნან პროფესიის მიმართულებით კლინიკები, მაგალითისთვის სამართლის კლინიკა, ბიზნეს ინკუბატორი, მედია ცენტრი, სამედიცინო კლინიკა და სხვა, რათა ახალგაზრდებმა რომლებიც ეუფლებიან კონკრეტულ ხელობას, შეძლონ პრაქტიკაში მათი ცოდნის ეფექტური გამოყენება;
- კარიერული წინსვლის სამსახურები - კარიერული წინსვლის სამსახურები შეადგენს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ბაზას. კურსდამთავრებულების ბაზაში შევა ყველა ის ახალგაზრდა, რომელიც არის უნივერსიტეტის სტუდენტი ან კურსდამთავრებული 26 წლამდე;
- მცირე ბიზნესის განვითარება ბიზნეს-ინკუბატორის სახით და ისეთი მექანიზმის ჩამოყალიბება-ამოქმედება, რომელიც უზრუნველყოფს დევნილთა და მოსახლეობის სხვა მოწყვლადი ნაწილის დასაქმების ხელშეწყობას.

და ბოლოს, პრობლემების აღმოფხვრა ისევ და ისევ დიდადაა დამოკიდებული სახელმწიფოს პოლიტიკაზე, კერძო სექტორის მიერ გადადგმულ ნაბიჯებზე და სხვა ღონისძიებებზე, რომელთა სიმრავლით ჩვენი ქვეყანა არ გამოირჩევა.

ლიტერატურა:
1. საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი - ,,დასაქმების პრობლემები და სახელმწიფო პოლიტიკა დასაქმების სფეროში", 2018.
2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო- ,,საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი'', 2017.
3. UNISEF გაეროს ბავშვთა ფონდი -ახალგაზრდების ეროვნული კვლევა საქართველოში 2014.
ინტერნეტ-რესურსი:
http://dasawmeba.blogspot.com/

საქართველოს საგადასახადო სისტემაში განხორციელებული ცვლილებები

თეონა ყუმბულაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ხალიანა ჩიტაძე,** ასოცირებული პროფესორი

გადასახადები თავისი ფესვებით საუკუნეების სიღრმიდან მოდის, გადასახადები შემოიღეს, როგორც კი მასზე საზოგადოებრივი მოთხოვნილებები გაჩნდა. გადასახადები თავდაპირველად საგანგებო შემთხვევებში იკრიბებოდა, ხოლო შემდგომ აუცილებელი გახდა ფულადი საშუალების სისტემატურად მიღება, სახელმწიფოს ჯარისა და მუდმივად მზარდი ჩინოვნიკური აპარატის შენახვისათვის, ხოლო რაც შეეხება საგადასახადო სისტემას, იგი შედარებით გვიან ჩამოყალიბდა, მაშინ, როდესაც წარმოიშვა სახელმწიფო და ფორმირდება სახელმწიფოს განვითარების პარალელურად.

საქართველოს საგადასახადო სისტემას საფუძველი მისი სახელმწიფოებრივი ჩამოყალიბების პროცესშივე ჩაეყარა, რომლის მთავარი ამოცანა იყო, რომ მას უნდა უზრუნველეყო სახელმწიფოს კუთვნილი შემოსავლების მობილიზება სახელმწიფოს მიერვე განსაზღვრული ხარჯების დასაფარავად. საქართველოს თანამედროვე საგადასახადო სისტემა ძირითადად 1991-1992 წლების მიჯნაზე, ქვეყანაში მიმდინარე კარდინალური ეკონომიკური გარდაქმნებისა და საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პერიოდში ჩამოყალიბდა. რეალური საგადასახადო ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების გამოცდილების უქონლობამ, კანომდებლობის შემუშავებისათვის არსებულმა შემჭიდროებულმა ვადებმა, ეკონომიკურმა და სოციალურმა კრიზისმა ქვეყანაში უშუალო ზეგავლენა მოახდინა მის ჩამოყალიბებაზე.

გადასახადი საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით არის საქართველოს სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივ ბიუჯეტებში სავალდებულო, უპირობო ფულადი შენატანი, რომელსაც გადასახადის გადამხდელი გადასახადს იხდის გადახდის აუცილებელი, არაეკვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე.

საქართველოს საგადასახადო სისტემა წლების განმავლობაში იცვლებოდა. საქართველოში გადასახადები საგრძნობლად შემცირდა. საქართველოში გადასახადების რაოდენობა 21- დან 6-მდე შემცირდა, საიდანაც 5 სახელმწიფო გადასახადია, ხოლო 1 ადგილობრივი. საერთო სახელმწიფოებრივ გადასახადს მიეკუთვნება: საშემოსავლო გადასახადი; მოგების გადასახადი; დამატებული ღირებულების გადასახადი; აქციზი; იმპორტის გადასახადი. ადგილობრივ გადასახადს მიეკუთვნება ქონების გადასახადი.

საქართველო ბიზნესის კეთების თვალსაზრისით მსოფლიოში მეცხრე ადგილზეა, ხოლო გადასახადების სიმცირის მიხედვით კი - მეოთხეზე. ამ მონაცემების მიხედვით საქართველო შეიძლება მივიჩნიოთ ბიზნესის კეთების მხრივ მიმზიდველ ქვეყანად.

2017 წლის 1 იანვრიდან საგადასახადო კოდექსში რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება შევიდა, ზოგი მათგანი უკვე ამოქმედდა, ზოგი კი წლის განმავლობაში ამოქმედდება. ცვლილებები შეეხო შემდეგ გადასახადს:

• გაიზარდა აქციზის გადასახადი თამბაქოს პროდუქციაზე. მაგალითად, ერთი კოლოფი ფილტრიანი სიგარეტის, ასევე, ერთი სიგარის აქციზი გაიზარდა 60 თეთრით, ერთი კოლოფი უფილტრო სიგარეტის აქციზი - 30 თეთრით.

• გაიზარდა აქციზის გადასახადი ნავთობპროდუქტებზე. მაგალითად, 1000 მ3 გათხევადებული ბუნებრივი აირის აქციზი 80 ლარის ნაცვლად 200 ლარი გახდა, ერთი ტონა ბენზინის აქციზი 250 ლარიდან 500 ლარამდე გაიზარდა, ერთი ტონა დიზელის საწვავის - 150 ლარიდან 400 ლარამდე, ხოლო ერთი ტონა ძრავით ზეთი - 400 ლარიდან 800 ლარამდე გაიზარდა.

• აგრეთვე გაიზარდა მოსაკრებლების ოდენობა სათამაშო ბიზნესზე.

• თუ წლის განმავლობაში ოჯახის წლიური შემოსავალი 40 000 ლარიდან 100 000 ლარამდეა და ამავე დროს გექნებათ ავტომობილი, წლის 1 ნოემბრამდე მოგიწევთ მისი დეკლარირება და ავტომობილებზე ქონების გადასახადის გადახდა მისი ღირებულების 0.05-დან 0.2 პროცენტის ოდენობით. თუ თქვენი ოჯახის წლიური შემოსავალი აღემატება 100 000 ლარს, გადასახადი იქნება 0.8-დან 1 პროცენტამდე.

• თუ მეწარმე ნებისმიერი ფორმით იზიდავს ფულად სახსრებს 20-ზე მეტი ფიზიკური პირისგან, მაშინ თითოეული ფიზიკური პირისაგან მოზიდული თანხის ოდენობა არ უნდა იყოს 100 000 ლარზე ნაკლები. აღნიშნული მოქმედება არ ვრცელდება კომერციულ ბანკებზე, საკრედიტო კავშირებზე, საბროკერო კომპანიებზე და ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზებაზე.

არ შეგვიძლია არ ვახსენოთ მოგების გადასახადთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა საგადასახადო კოდექსში, რომელიც გულისხმობს „ესტონური მოდელის“ შემოტანას.

,,ესტონური მოდელი'' არის მოგების გადავადებული გადასახადი, რომელიც იძლევა საშუალებას, გვქონდეს საუკეთესო საინვესტიციო გარემო. ეს საშუალებას იძლევა დამატებითი ნახევარი მილიარდი დოლარი დარჩეს ბიზნესში. შეიძლება ის როგორც შიდა ინვესტრებისთვის იყოს გამოყენებული, ასევე შეიძლება უცხოელმა ინვესტორებმა გამოიყენონ, ვისაც ჩადებული აქვს უცხოური ინვესტიციები.

მართლაც, რომ ეს არის იდეალური მოდელი, რომელსაც რეგიონში პირველად ჩვენ გამოვიყენებთ. ეს ხელს შეუწყობს, როგორც ახალი ინვესტიციების მოზიდვას, ასევე შიდა ინვესტიციების წახალისებას.

მიღებული მოგების რეინვესტირების შემთხვევაში ბიზნესი მოგების გადასახადისგან გათავისუფლდება. ეს შეღავათი არ გავრცელდება ზოგიერთ ბიზნეს საქმიანობაზე. მაგალითად, ტოტალიზატორის მოწყობაზე, ხოლო საფინანსო სექტორი ამ პრივილეგიით მხოლოდ 2019 წლიდან ისარგებლებს.

გასათვალისწინებელია ის ფაქტი, თუ რა სარგებელს მოუტანს ბიზნესს მოგების გადასახადისგან გათავისუფლება, რა ხარვეზები აქვს და რა დაბრკოლებებთან არის დაკავშირებული მისი ამუშავება, ასევე რამდენად მომზადებული შეხვდნენ ამ ცვლილებას ბიზნესის წარმომადგენლები.

მსგავსი რეფორმის გატარება დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკისთვის, იგი დააჩქარებს ეკონომიკურ ზრდას ქვეყანაში, უფრო მეტად იქნება ხელმისაწვდომი კომპანიებისთვის ფინანსური რესურსები, კერძოდ კი მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის, აგრეთვე მოსალოდნელია, რომ გაიზარდოს ეკონომიკაში პროდუქტიულობა, ბიზნესს მიეცემა საშუალება უფრო მეტად განვითარდეს, ჩამოყალიბდება მიმზიდველი კლიმატი ბიზნესის დაწყებისა და წარმოების კუთხით, რომელიც გამოიწვევს ინვესტორების დაინტერესებას, გაიზრდება სამუშაო ადგილები და, რაც მთავარია, საგადასახადო აღრიცხვა და ადმინისტრირება გამარტივდება. გარდა ზემოთ ნახსენები დადებითი ფაქტორებისა მოსალოდნელია გარკვეული რისკფაქტორები, რომელიც გულისხმობს მოკლევადიან პერიოდში, ბიუჯეტში გარკვეული შემოსავლების დაკარგვას, თუმცა უფრო მეტად მნიშვნელოვანია, ის სარგებელი, რომელსაც ეკონომიკა მიიღებს აღნიშნული რეფორმის შედეგად.

ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციამ USAID-ის პროექტის “მმართველობა განვითარებისთვის” (G4G) გრანტის ფარგლებში 2015 წლის შემოდგომაზე განახორციელა ესტონური მოდელის საქართველოში დანერგვის რეგულირების გავლენის შეფასება (RIA), რომლის საბოლოო პრეზენტაცია 2015 წლის დეკემბრის თვეში მოხდა. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, ავტორებმა შეაფასეს ესტონური მოდელის ამოქმედების პოტენციური ეკონომიკური ეფექტები.

მოცემული ანალიზი აჩვენებს ერთჯერად ეფექტს, რომელიც დადგება მოდელის დანერგვიდან 1,5 წლის შემდგომ. შეფასების მიხედვით რეფორმას ექნება დადებითი ეფექტი ინვესტიციებზე. სააქციო კაპიტალი გაიზრდება 3,23%-ით, რაც ნიშნავს, რომ ეკონომიკური აგენტები განახორციელებენ მეტ

ინვესტიციებს. რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი გაიზრდება დაახლოებით 1,44%-ით. მთლიანი კერძო მოხმარება გაიზრდება დაახლოებით 0,85%-ით. რეფორმის შედეგად გაიზრდება ბიუჯეტის დეფიციტი არა უმეტეს 3%-ისა. გარდა მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე დადებითი გავლენისა, მოდელის დანერგვას თან ახლავს საკანონმდებლო თუ სხვა ტიპის რისკები. ეს რისკები ძირითადად დაკავშირებულია ორმაგ დაბეგვრასთან და მოდელის სხვა ხარვეზებთან. შემოთავაზებული მოდელი მხოლოდ ესტონურ გამოცდილებას ეფუძნება და გაამართლებს თუ არა იგი საქართველოში, გარკვეული რისკის ქვეშ დგას, რადგან მოდელის დანერგვასთან დაკავშირებული გამოწვევების და რეფორმის შემდგომი მდგომარეობის შეფასება ხდება მხოლოდ ერთი ქვეყნის გამოცდილების გათვალისწინებით.

ესტონეთში მოგების გადასახადის რეფორმა 2000 წელს განხორციელდა და წლების განმავლობაში გაგრძელდა. მოგების გადასახადის რეფორმის შემდგომ აქტივების ლიკვიდურობა გაიზარდა განსაკუთრებით მცირე ზომის ფირმებისათვის, ინვესტიციებიდან უკუგება გაიზარდა 17%-ით, მთლიანი ფაქტორული პროდუქტიულობა (TFP) გაიზარდა 8%-ით და რეზერვებისა და გაუნაწილებელი მოგების წილი მთლიან კაპიტალში გაიზარდა 8.1%-ით.

როგორც ვხედავთ, ესტონეთში მოგების გადასახადის რეფორმამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ქვეყნის მაკროეკონომიკური მაჩვენებლები და ფირმების მდგომარეობა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს და ესტონეთის შემთხვევაში რეფორმის გავლენის მასშტაბები განსხვავებულია. რეფორმის ეფექტი ესტონეთში იყო უფრო მაღალი, ვიდრე ველოდებით საქართველოში, რაც შესაძლოა აიხსნას 2000 წლამდე ესტონეთში არსებული საგადასახადო წნეხით, რომლის შერბილებამ უდიდესი შესაძლებლობები მისცა ესტონურ კომპანიებს, მოეხდინათ მოგების რეინვესტირება. გარდა ამისა, რეფორმის გაზრდილი ეფექტი დიდწილად განაპირობა ბიუროკრატიული ხარჯების მნიშვნელოვანმა შემცირებამ. ჩვენთან კი საგადასახადო სისტემა უფრო ლიბერალურია დღეს, ვიდრე ეს იყო ესტონეთში 2000 წელს, რაც ნიშნავს იმას, რომ რეფორმის სასტარტო პოზიცია ჩვენთან არის უკეთესი და, შესაბამისად, ესტონეთთან შედარებით ნაკლებ ეფექტს მივიღებთ რეფორმის შედეგად.

აქვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის, თუ რა ტიპის კომპანიებზე ვრცელდება ესტონური მოდელი. ესტონური მოდელი საქართველოში არ შემოდის ისე, რომ უქმდება წინა მოდელი. არიან სუბიექტები, რომლებზეც ძველი მოდელი კვლავ რჩება ძალაში, ესენია ინდ. მეწარმეები, ორგანიზაციები, არაკომერციული იურიდიული პირები და საჯარო სამართლის იურიდიული პირები. ისეთი სუბიექტების მიმართ, როგორიცაა მიკრომეწარმე, მცირემეწრმე, ფიქსირებული გადასახადის მქონე სუბიექტები, ესტონური მოდელი არ იმოქმედებს, რადგან მათ აქვთ გარკვეული შეღავათები, მაგალითად მიკრომეწარმეები საერთოდ არ იხდიან მოგების გადასახადს.

ამ რეფორმის შედეგად აუცილებელი გახდა ყოველთვიური დეკლარაციის ჩაბარება, რაც საკმაოდ შრომატევადი იქნება პატარა კომპანიებისთვის, რადგან ერთი დეკლარაციის ნაცვლად მოუწევთ 12 დეკლარაციის წარდგენა. აქედან გამომდინარე პატარა კომპანიებს მოუწევთ ბუღალტრის დაქირავება, რომელსაც უფრო მეტი საქმე დაეკისრება. ისედაც შეზღუდული ხარჯების პირობებში მათ მეტი თანხის გამოყოფა მოუწევთ კვალიფიციური ბუღალტრისთვის.

საინტერესო საკითხია, რამდენად მომზადებული შეხვდა მოდელს მცირე და საშუალო ბიზნესი და მთავრობას ჰქონდა თუ არა მჭიდრო კომუნიკაცია ბიზნესის წარმომადგენლებთან, ვიდრე განახორციელებდა საკანონმდებლო ცვლილებებს, რაც გამოხატავს მთავრობის ბიზნესთან კომუნიკაციის პრობლემას.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს საგადასახადო სისტემა განავითარა ბოლო წლებში შემუშავებულმა ცვლილებები საგადასახადო სისტემაში, მართალია, ბოლო წლებში განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები საგადასახადო კანონმდებლობაში, კერძოდ, არსებული 22 გადასახადისგან დღესდღეობით მოქმედებს მხოლოდ 6 გადასახადი, მაგრამ იგი არ არის საკმარისი და აუცილებელია მისი კიდევ უფრო დახვეწა. აგრეთვე, ესტონური მოდელის დანერგვა დიდი წინგადადგმული ნაბიჯია ეკონომიკის სტიმულირების მიმართულებით. ფაქტია, რომ მოდელი განსაკუთრებით მიმზიდველი სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესისთვისაა. თუმცა, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ მოგების გადასახადის რეფორმით მიღებული ეფექტები ესტონეთში გაცილებით თვალშისაცემია, ვიდრე ეს იქნება საქართველოში, რაც აიხსნება ქვეყნებს შორის საგადასახადო გარემოს განსხვავებიდან გამომდინარე. ასევე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ესტონური მოდელის დანერგვით მიღებული ეფექტები საქართველოში უამრავ ფაქტორზეა დამოკიდებული და გარკვეულ დაშვებებს ეფუძნება. როგორც ეკონომისტები და ბიზნესის წარმომადგენლები აფასებენ მნიშვნელოვან დადებით შედეგებს მოდელი საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდში გამოიღებს, იქამდე კი მთავრობამ არ უნდა გაზარდოს მნიშვნელოვნად ადმინისტრაციული ხარჯები და ამგვარად იზრუნოს საბიუჯეტო დეფიციტის შევსებაზე და არა გაზრდილი აქციზის გადასახადებით, რომლის ცვლილებაც სპონტანურად, ბიზნესთან კომუნიკაციის

გარეშე განხორციელდა. მეორე უმთავრესი საკითხი არის ხარვეზები მოდელში და ბიზნესის მხრიდან მზაობა. მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს შესაძლოა გაუმარტივდეთ დეკლარაციის შევსების პროცედურები, თუმცა თვისებრივად ახალ მოდელზე გადასვლა მათი მხრიდან დამატებით ხარჯებთან არის დაკავშირებული და სანამ კომპანიის ფინანსური მენეჯერები გაერკვევიან ახალ სისტემაში, გარკვეული ადაპტაციის პერიოდი არის საჭირო. როგორც ირკვევა, მოდელის დანერგვა გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული და მნიშვნელოვანია მთავრობის სწორი კომუნიკაცია ბიზნესის წარმომადგენლებთან. ნებისმიერი საკანონმდებლო ცვლილება, რასაც მთავრობა განახორციელებს, უნდა იყოს თანხვედრაში ბიზნეს სუბიექტების ინტერესებთან და უნდა მიიღებოდეს ბიზნესთან აქტიური თანამშრომლობის შედეგად.

ლიტერატურა:

1. ხალიანა ჩიტაძე, საქართველოში აქციზის გადასახადის რეფორმის როლი ბიუჯეტის ზრდის საკითხებში და პრობლემები, 2018.
2. http://www.doingbusiness.org/rankings
3. http://versia.ge/index.php
4. http://eugeorgia.info/ka/article/545/estonuri-modelis-gamowvevebi---gavlena-mcire-da-sashualo-biznesze/

ფისკალური პოლიტიკის საკანონმდებლო უზრუნველყოფა

დავით ჩაკვეტაძე
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნინო ორჯონიკიძე**, პროფესორი

ქვეყანაში ეფექტური ფისკალური პოლიტიკის წარმართვა შეუძლებელია გამართული საკანონმდებლო ბაზის ფუნქციონირების გარეშე. სახელმწიფოში ფინანსური ურთიერთობების სრულყოფა და განვითარება მოითხოვს ეფექტიანი საგადასახადო სისტემის შემუშავებას.

საქართველოს საგადასახადო სისტემა მოიცავს: გადასახადებს, მათი დაწესების, შემოღების, შეცვლისა და გაუქმების წესებს; გადასახადების გადახდასთან და საგადასახადო კონტროლთან, აგრეთვე საგადასახადო ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ ფორმებს, მეთოდებსა და წესებს; საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული ურთიერთობისას წარმოშობილ დავათა წარმოების და გასაჩივრების წესს.

საგადასახადო სისტემისა და საგადასახადო შემოსავლების გადიდების ღონისძიებათა სრულყოფის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს საკანონმდებლო ბაზის დახვეწას. გარდა ამისა, ხელისუფლებას მხედველობიდან არ უნდა გამორჩეს მათი ზემოქმედება ფასებზე, სტიმულებსა და მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე, არადა მოთხოვნა-მიწოდების ელასტიურობიდან გამომდინარე, გადასახადებს შესწევთ უნარი სხვადასხვა დონით იმოქმედონ ცალკეულ ბაზრებსა და ეკონომიკის სექტორებზე. საგადასახადო კანონმდებლობის დახვეწის პროცესში მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საგადასახადო სისტემის ისეთი მახასიათებლები, როგორიცაა სტაბილურობა და ელასტიურობა, ეფექტიანობა, მართვის სიმარტივე და საგადასახადო ტვირთის გონივრულ ჩარჩოში მოქცევა.

დადასტურებულია, რომ ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირება დიდადაა დამოკიდებული საგადასახადო სისტემის ორგანიზაციაზე. საქართველოს საგადასახადო სისტემა ეყრდნობა მკაცრად განსაზღვრულ ფისკალურ პოლიტიკას, მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მკაცრად ორიენტირებული ფისკალური პოლიტიკა თავდაპირველად ხელს უწყობს საგადასახადო შემოსავლების მოზიდვას სახელმწიფო ბიუჯეტში, მაგრამ თუ მას თან არ სდევს

საგადასახადო სისტემის მარეგულირებელი და მასტიმულირებელი ფუნქციების გამოყენება, ანუ საგადასახადო განაკვეთების ოპტიმუმის განსაზღვრა, ეროვნული მეურნეობის ზოგიერთ დარგში განაკვეთების შემცირება, მაშინ თანდათანობით მცირდება საგადასახადო ბაზა და, შესაბამისად, მცირდება გადასახადების წილი საბიუჯეტო შემოსავლებში.

ამიტომ მიზანშეწონილია საგადასახადო განაკვეთების კორექტირებით შეიქმნას საგადასახადო ბაზის გაფართოების პირობები. საგადასახადო განაკვეთების შემცირება ხელს უწყობს სამეურნეო აქტივობის ამაღლებას, ინვესტიციების მოზიდვასა და დასაქმების ზრდას. საგადასახადო განაკვეთების შეცვლით სახელმწიფო ქმნის დამატებით სტიმულებს ფინანსური რესურსების გადიდებისათვის.

მაშასადამე, ქვეყნის საგადასახადო რეგულირების საკანონმდებლო ბაზამ ხელი უნდა შეუწყოს და შექმნას წარმოების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის და, საბოლოო ჯამში, საგადასახადო ბაზის გაფართოების პირობები, წინააღმდეგ შემთხვევაში დაეცემა წარმოების გაფართოების შესაძლებლობები, შეიზღუდება საგადასახადო ბაზა და ამით შეიქმნება ბიუჯეტის ქრონიკული დეფიციტის ხანგრძლივად შენარჩუნების პირობები.

საკანონმდებლო ბაზის მარეგულირებელი ინსტრუმენტების მოქნილი გამოყენება საგადასახადო სისტემაში ხელსაყრელ პირობებს ქმნის სახელმწიფოს პირდაპირი ჩარევის გარეშე უზრუნველყოფილ იქნეს ეკონომიკური ზრდა. ამასთან, ოპტიმალური საგადასახადო შეღავათების დაწესებით, საწარმოს განკარგულებაში დარჩენილი მოგების ნაწილით, მას შეუძლია გააფართოოს საკუთარი წარმოება, დანერგოს ახალი ტექნოლოგია და გახდეს კონკურენტუნარიანი.

საქართველოში, 2016 წლის მდგომარეობით, მოქმედებს შემდეგი საერთო-სახელმწიფო გადასახადები: საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი, დამატებული ღირებულების გადასახდი, აქციზი, იმპორტის გადასახადი, ხოლო ადგილობრივ გადასახადს მიეკუთვნება ქონების გადასახადი. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინიციატივით 2012 წლის 20 და 28 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულმა ცვლილებებმა (NN118-ს; 189-რს) გარკვეულად დახვეწა მოქმედი საგადასახადო კოდექსით დადგენილი დაბეგვრისა და ანგარიშგების მექანიზმები; აღმოფხვრა სხვა სფეროს ნორმატიულ აქტებთან ტერმინოლოგიური შეუსაბამობები; საგრძნობლად შეარბილა საგადასახადო სამართალდარღვევებისათვის განსაზღვრული მკაცრი ნორმები; გაუქმდა ცალკეული ჯარიმა/სანქცია და, რაც მთავარია, გაიმართა და გასაგები გახდა საგადასახადო კოდექსში არსებული ორაზროვანი და ბუნდოვანი დებულებები, რომელიც მათი არასწორი ინტერპრეტაციისა და არამართლზომიერი კვალიფიკაციის საფუძველს ქმნიდა.

ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 58-ე ნაწილი, რომლითაც რეგულირდებოდა ფიზიკური პირებისათვის და არარეზიდენტი საწარმოებისათვის 2012 წლის ბოლომდე აუნაზღაურებელი პროცენტები, რომლებიც ხარჯის სახით გამოქვითული იყო 2006-2010 წლების საგადასახადო პერიოდში. საგადასახადო მიზნებისათვის ანაზღაურებულად ჩაითვლება და, შესაბამისად, საშემოსავლო გადასახადებით დაიბეგრებოდა 2012 წლის ბოლოსათვის, ისინი წლების მიხედვით 2012 წლიდან 2015 წლის ბოლომდე გადანაწილდა და გადამხდელებს ეს ტვირთი ერთიანად 2012 წლის ბოლოს აღარ დააწვა.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 182-ე მუხლს (აქციზის გადამხდელი) დაემატა მე-5 ნაწილი, რომლის შესაბამისადაც განისაზღვრა, რომ სახელმწიფო საკუთრებაში მოქცეული აქციზური საქონლის რეალიზაციისას აქციზის გადამხდელად ითვლება აქციზური საქონლის შემძენი პირი. აქამდე არსებული წესის შესაბამისად კი, როგორც წესი, ჩამორთმეული აქციზური საქონელი განადგურებას ექვემდებარებოდა. მიგვაჩნია, რომ ჩამორთმეული ისეთი აქციზური საქონელი, რომელიც მომხმარებლისათვის დადგენილ სტანდარტს აკმაყოფილებს, კი არ უნდა განადგურდეს, არამედ სახელმწიფო საკუთრებაში უნდა მოექცეს და მისი რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი სახელმწიფო ბიუჯეტის შესავსებად უნდა იქნეს გამოყენებული.

საგადასახადო სისტემაში წლების მანძილზე დაგროვილი გადაუჭრელი პრობლემები განაპირობებს ქვეყნის საგადასახადო პოლიტიკაში ცვლილებების განხორციელებას, რომელსაც მკვეთრად გამოხატული ფისკალური ხასიათი გააჩნია. ამ მხრივ მეტად აქტუალურია ფიზიკური პირების შემოსავლების დაბეგვრის პრობლემის საკანონმდებლო დონეზე გადაჭრა.

ფიზიკური პირების შემოსავლების დაბეგვრის დონის ანალიზმა დაგვანახა, რომ ბიუჯეტისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი ქვეყნის მოსახლეობის უმეტესი ნაწილის დაბეგვრის ზომისა და შემოსული გადასახადების მოცულობის პარამეტრებზე აგებული საშემოსავლო სისტემაა, რომლის შენარჩუნება მოხდება უმეტესწილად საგადასახადო აგენტების მეშვეობით. დღეისათვის მოქმედი საგადასახადო სისტემა ისე უნდა გარდაიქმნას, რომ თავისი ფისკალური როლის შესრულებისას ფიზიკური პირებისაგან

მიღებული საშემოსავლო გადასახადი საგადასახადო ტვირთად არ დააწვეს საზოგადოების გაჭირვებულ ფენას, რომლის შემოსავლის დონე საარსებო მინიმუმს არ აღემატება.

საგადასახადო სისტემის საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის პროცესში გარკვეული ყურადღება უნდა გამახვილდეს მოგების გადასახადის ფორმირებაზე. ჩვენი აზრით, წარმოებისა და მომსახურების ყველა სფეროს მოგების გადასახადის ერთიანი განაკვეთით დაბეგვრა არაეფექტური და არასამართლიანია. მოგების გადასახადის დიფერენცირებული უფრო დაბალი განაკვეთები ხელს შეუწყობდა ადგილობრივი წარმოების განვითარებას. გარდა ამისა, საგანმანათლებლო დაწესებულებების მოგების გადასახადით დაბეგვრისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ მათ არ აქვთ საშუალება სწრაფი რეაგირება მოახდინონ ბაზარზე მიმდინარე ცვლილებებზე და შეცვალონ თავიანთი სასწავლო პროგრამების ფასები ყოველწლიურად. ასეთი არაელასტიურობისა და პრიორიტეტულობის გამო, სასწავლო დაწესებულებები უნდა დაიბეგრონ დასაშვები მინიმალური ტვირთით (დიფერენცირებული განაკვეთების შემოღების პირობებში).

საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარეობს არაპირდაპირი გადასახადები, რომლებიც საქონლიდან და მომსახურებიდან ამოიღება და დანამატის სახით შედის მათ ფასებსა და ტარიფებში. პირდაპირი გადასახადებისაგან განსხვავებით, ისინი უშუალოდ არ არიან დაკავშირებული გადამხდელის შემოსავალთან, ქონებასთან.

არაპირდაპირი გადასახადის გადამხდელი მომხმარებელია. არაპირდაპირი გადასახადის ელემენტია აქციზი.

საგადასახადო კოდექსის 188-ე მუხლის მიხედვით, აქციზური საქონელი იბეგრება დიფერენცირებული განაკვეთებით; მობილური და საკომუნიკაციო განაკვეთები შეადგენს დასაბეგრი ოპერაციის თანხის 10%-ს. ანგარიშგება წარმოებს მომდევნო თვის 15 რიცხვისათვის. საქართველოში აქციზის გადასახადი წმინდა ფისკალურ ფუნქციას ასრულებს და არანაირ პროტექციონისტულ მიზნებს არ ემსახურება. ისეთ საქონელზე, როგორიცაა ლუდი, სპირტიანი სასმელები აქციზის გადასახადის გაუქმება საშუალებას მისცემდა ადგილობრივ წარმოებას უფრო მეტად გაფართოებულიყო და ხელს შეუწყობდა ექსპორტის ზრდას. გარდა ამისა, შემსუბუქდებოდა საგადასახადო ტვირთის სიმძიმე საქართველოში.

ქვეყნის საგადასახადო სისტემაში თავისი არსით მნიშვნელოვანი გადასახადია დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), რომელიც გადაიხდება საწარმოების ან მიმოქცევის ყველა სტადიაზე დამატებული ღირებულებიდან. საქართველოში დღგ-ს დასაბეგრი ბრუნვა 18%-ს შეადგენს. ევროპის განვითარებულ ქვეყნებში მართალია შედარებით მაღალია დამატებული ღირებულების ტარიფები, მაგრამ საქართველოსაგან განსხვავებით, იგი დიფერენცირებულია საქონლის ასორტიმენტის მიხედვით. ამდენად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანა და დღგ-ზე დიფერენცირებული ტარიფების შემოტანა. მაგალითად, საქართველოსათვის გამართლებული იქნება სურსათზე და პირველადი მოხმარების საქონელზე დღგ-ს 8%-იანი განაკვეთის შემოღება, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებდა სურსათ-სანოვაგეზე ფასებს.

ქვეყნის საგადასახადო სისტემის გაცნობისას ნათლად იკვეთება, რომ საქართველოში ბიზნესის წამოწყება და დაფუძნება ნამდვილად გამარტივებულია, მაგრამ გადასახადების შესახებ ცოტა რთული წარმოდგენა გვაქვს. გადასახადები სინამდვილეში არ შემცირებულა, თუ ოფიციალურ სტატისტიკას გადავხედავთ, ვნახავთ, რომ 2003 წლამდე საგადასახადო ტვირთი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში იყო 13-14%-ის ფარგლებში, დღეისათვის არის 24-25%-ის ფარგლებში, ანუ საგადასახადო ტვირთი საგრძნობლად გაიზარდა, სატარიფო გადასახადების ნაწილი მოსაკრებლების სფეროში გადავიდა, თუმცა იგი ტვირთად მაინც გადამხდელებს აწევს.

საგადასახადო კანონმდებლობის ერთ-ერთი სერიოზული პრობლემა მისი არასტაბილურობაა. 1997 წლის 13 ივნისს მიღებულ საგადასახადო კოდექსში 2004 წლის 22 დეკემბრამდე შევიდა 81 ცვლილება (7 წელიწადში). 2004 წლის 22 დეკემბერს მიღებულ კოდექსში 2010 წლის 17 ოქტომბრამდე - 67 ცვლილება (6 წელიწადში). უკვე ახალ კოდექსში, რომელიც ძალაში შევიდა 2011 წლის 1 იანვრიდან 56 ცვლილებაა შეტანილი. ერთი მხრივ, კოდექსი უნდა შეესაბამებოდეს რეალობას, მასში ადეკვატურად უნდა აისახოს დაბეგვრის პრინციპები და ხელისუფლების საფინანსო-ეკონომიკური პოლიტიკის მიზნები, თუმცა, მეორე მხრივ, ხშირი ცვლილებები იწვევს არასტაბილურობის განცდას გადასახადის გადამხდელებში და ამცირებს მათი საქმიანობის მოტივაციას.

ზემოაღნიშნულის გამოსასწორებლად, პირველ რიგში, ბაზარი მაქსიმალურად უნდა გათავისუფლდეს ზედმეტი რეგლამენტაციებისაგან, მთავრობა უბრალოდ მიუკერძოებელი არბიტრის როლს უნდა ასრულებდეს. საკანონმდებლო ცვლილებები აუცილებლად უნდა შეეხოს იმპორტის გადასახადსაც, რადგან ამ გადასახადის ასეთი ფორმითა და ტარიფებით შენარჩუნება აფერხებს ბიზნესის

განვითარებას. ბევრი მცირე ბიზნესი ქვეყანაში შეძლებდა გაფართოებას, რომ არა ის ფინანსური დანახარჯები, რომელსაც საქონლის იმპორტირების პროცესში აწყდებიან.

საქართველოს საგადასახადო სისტემაში კანონმდებლობით უნდა დარეგულირდეს და მკაფიოდ გამოიხატოს პროგნოზირებაზე პასუხისმგებელი ორგანოები და პირები, რის გამოც ჯერჯერობით ვერ მოხერხდა საიმედო, მეცნიერულად არგუმენტირებული საგადასახადო პროგნოზების შემუშავება. ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს საპროგნოზო ინფორმაციის მოუწესრიგებლობა და მისი დაბალი ხარისხი. საგადასახადო პროგნოზირებას ართულებს ის გარემოებაც, რომ საერთოდ ჩაშლილია პროგნოზირება გადასახადის გადამხდელთა მხრიდან, რასაც იწვევს საგადასახადო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების ხშირი შეტანა, რაც ეწინააღმდეგება გადასახადების სტაბილურობის პრინციპს და ამცირებს საგადასახადო პროგნოზირების საიმედობას.

ქვეყანაში ეფექტური საგადასახადო პოლიტიკის განხორციელება მრავალ სირთულესთან არის დაკავშირებული, რომელთაგან ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესს გადასახადების ტარიფების დადგენა წარმოადგენს. საგადასახადო კანონმდებლობის ფორმირებისას უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმი უნდა გახდეს ის, რომ გადასახადი უნდა იყოს მარტივი, გასაგები და საზოგადოების უმეტესი ნაწილისათვის მისაღები. აღნიშნულის გათვალისწინებით, საექსპორტო შესაძლებლობების გაზრდის მიზნით საბაჟო ტარიფების დადგენისას საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობამ უნდა შეძლოს ადგილობრივი მეწარმეების ინტერესების მაქსიმალური დაცვა. საკანონმდებლო ბაზის დახვეწით თუ ამის განხორციელების შესაძლებლობა მოხერხდა, მივიღებთ ლოგიკურ შედეგს: ერთი მხრივ, შეიქმნება ადგილობრივი წარმოების განვითარების ხელშემწყობი პირობები მისი მასშტაბების ზრდისთვის, ხოლო მეორე მხრივ, გაიზრდება საგადასახადო სახით ბიუჯეტში მიღებული თანხები.

საქართველოს ფისკალური პოლიტიკის ფორმირებაში უკანასკნელ პერიოდში დიდი მნიშვნელობა შეიძინა არაპირდაპირმა გადასახადებმა. ამიტომ, მიგვაჩნია რომ სამომავლოდ უფრო დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს სწორედ არაპირდაპირი გადასახადების ადმინისტრირების გაუმჯობესებას და მოწესრიგებას, რადგან საჭიროა მოხდეს ამ მიმართულებით ჯერ კიდევ არსებული პრობლემების გასწორება, რომელთა არსებობის უმთავრეს საფუძველს წარმოადგენს შემოსავლების სამსახურში შემავალი საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტებში დასაქმებულთა მხრიდან დაშვებული შეცდომები და დარღვევები.

პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების ერთმანეთთან თანაფარდობა განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას იძენს საგადასახადო შემოსავლების განხილვისას. პირდაპირი გადასახადების მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევიან ისეთი განვითარებული ქვეყნები, როგორიცაა დიდი ბრიტანეთი, იაპონია, კანადა და აშშ. რაც შეეხება არაპირდაპირ გადასახადებს, ამ მხრივ მაღალი მაჩვენებლები ფიქსირდება საფრანგეთში.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისათვის საშემოსავლო ნაწილში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დამახასიათებელია არაპირდაპირი გადასახადების სიჭარბე, რაც არაა მისასალმებელი, რადგანაც ცნობილ ფაქტს წარმოადგენს ის, რომ არაპირდაპირი გადასახადების მაღალი ხვედრითი წილი საგადასახადო შემოსავლებში, უმეტესწილად, განვითარებადი ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი. მართალია, არაპირდაპირი გადასახადები, არასამართლიანია სოციალური თვალსაზრისით, რადგან შემოსავლების მატება მოსახლეობის ხარჯზე ხდება, მაგრამ, სამაგიეროდ, მას დიდი ფისკალური ეფექტი გააჩნია. რაც შეეხება პირდაპირ გადასახადებს, პირველ რიგში, ის არის საგადასახადო ტვირთის რაც შეიძლება სამართლიანი გადანაწილების საშუალება, რომლის როლის ამაღლებისათვის, საკანონმდებლო ბაზის დახვეწასთან ერთად, აუცილებელია გადამხდელთა საგადასახადო კულტურის ამაღლებაც.

საქართველოს საგადასახადო პოლიტიკის გასაუმჯობესებლად მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდეგი ღონისძიებების გატარება:

- საგადასახადო პროგნოზირებაში არსებული ხარვეზების დაძლევის მიზნით, აუცილებელია შემუშავდეს მისი მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდიკა და განხორციელდეს ზუსტი ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და გამოქვეყნება, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს საგადასახადო კოდექსის სრულყოფასა და განვითარებას;
- საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის ლიბერალიზაცია არ გამორიცხავს მათი სრულყოფის ღონისძიებების შემდგომი განხორციელების აუცილებლობას. აღნიშნულს ადასტურებს სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტების მოსაზრებანი მოქმედ კანონმდებლობასთან დაკავშირებით. აღნიშნული მეტყველებს იმაზე, რომ უნდა მოხდეს მოქმედი ფისკალური მექანიზმების ფარგლებში, რაციონალური საგადასახადო განაკვეთების განსაზღვრა, რაც, მართალია, დღევანდელ პირობებში ვერ შეცვლის მოქმედ საგადასახადო სისტემას, მაგრამ მიკრო და მაკროეკონომიკური მეთოდების საფუძველზე ფისკალურ პრიორიტეტებში გარკვეულ კორექტივებს შეიტანს;

- აუცილებელია საექსპორტო საქმიანობის მოწესრიგება, კერძოდ, ექსპორტის წახალისებაში საქართველოს არ აქვს არჩევანი საგარეო ბალანსის დეფიციტისა და საგარეო ვალების დაბრუნების პერსპექტივიდან გამომდინარე.

ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის გაზრდის თვალსაზრისით, ასევე მიზანშეწონილად მიგვაჩნია: 1. შენარჩუნდეს ხელშემწყობი საგადასახადო პირობები (მ.შ. დღგ-სგან გათავისუფლება); 2. განხორციელდეს ღონისძიებები პარტნიორი ქვეყნებისაგან ხელსაყრელი სატარიფო და არასატარიფო პირობების მისაღებად, რომელი მიმართულებითაც მუშაობა ფაქტიურად არ წარმოებს; 3. დაკრედიტებისა და დაზღვევის გზით გაფართოვდეს ექსპორტის ფინანსური ხელშეწყობა. ამასთან, სტრატეგიული მაგრამ დაქვეითებული პროდუქტების მიმართ, დროებით ფორმად აგრეთვე უნდა გამოვიყენოთ სუბსიდიები, რაც სახელმწიფო ბიუჯეტში ამ მიზნებისათვის მნიშვნელოვანი თანხის გამოყოფას გულისხმობს.

ახალი საგადასახადო კონსტიტუციური დებულებები მნიშვნელოვანია იმითაც, რომ საქართველოს კონსტიტუცია უკეთ გამიჯნავს ქვეყნის უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების შესაბამის კომპეტენციას საგადასახადო საკითხებზე. ახალი რედაქციით, კონსტიტუციიდან ამოღებულია არსებითი დებულებები, რომელიც ეხებოდა საგადასახადო კანონმდებლობას. მაგალითად, კონსტიტუციის ძველი რედაქციით, პრეზიდენტს, განსაკუთრებულ შემთხვევებში - პარლამენტის დათხოვნის პერიოდში, ახლად არჩეული პარლამენტის პირველ შეკრებამდე - საგადასახადო სფეროს რეგულირების მიზნით, გააჩნდა კანონის ძალის მქონე დეკრეტის გამოცემის უფლება. იგი იურიდიულ ძალას ინარჩუნებდა, თუ ერთი თვის განმავლობაში ახლად არჩეული პარლამენტი პირველი შეკრებიდან ერთი თვის განმავლობაში დაამტკიცებდა მას. გარდა ამისა, 2013 წლის 17 ნოემბრამდე მოქმედი კონსტიტუციით, საგადასახადო კოდექსის შესახებ კანონპროექტს შეიძლება გამოეწვია მნიშვნელოვანი სახელისუფლებო ცვლილებები პრეზიდენტის მიერ: მთავრობის გადაყენება ან პარლამენტის დათხოვნა და რიგგარეშე არჩევნების დანიშვნა. ეს შეიძლება მომხდარიყო მაშინ, თუ პარლამენტში განსახილველ საგადასახადო კოდექსის შესახებ კანონპროექტზე პრემიერ-მინისტრი დასვამდა მთავრობის ნდობის საკითხს და თუ პარლამენტი სრული შემადგენლობის უმრავლესობით ნდობას არ გამოუცხადებდა მთავრობას.

ახალი კონსტიტუციური ნორმებით, უპირველეს ყოვლისა, განმტკიცდა ეკონომიკური თავისუფლების საკანონმდებლო დაცვის უმაღლესი სტანდარტი - კონსტიტუციური გარანტია. 2013 წლის 17 ნოემბრიდან ნებისმიერი კანონი გადასახადების შესახებ უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციურ საგადასახადო მოთხოვნებს. საქართველოს მთავრობას ახალი საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადების შემოღებისას ან ზღვრული განაკვეთის გაზრდისას რეფერენდუმის ინიცირების უფლებამოსილება დაემატა. ამასთან, 2013 წლის 31 დეკემბრიდან ამოქმედდა ორგანული კანონი „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“. თუმცა, ეკონომიკური თვალსაზრისით, ეკონომიკური თავისუფლება ხელისუფლების ვალდებულებებისა და ძალაუფლების შემცირებით მიიღწევა.

ძალაუფლების შემცირება კი ნიშნავს სავაჭრო ბარიერების შემცირება/გაუქმებას, ასევე საგადასახადო ადმინისტრირების გამარტივებას და, პირველ რიგში, საგადასახადო ტვირთის შემცირებას. ახალი კანონმდებლობით გადასახადები არ მცირდება, თუმცა მათი გაზრდა მნიშვნელოვნად რთულდება, რადგან საერთო სახელმწიფოებრივი გადასახადის გაზრდას რეფერენდუმზე, ფაქტობრივად, წარმოუდგენელია ხალხმა მხარი დაუჭიროს. ამასთან, არსებობს აშშ-ში ილინოისის შტატის მაგალითი, სადაც 1963 წლიდან 21 საგადასახადო რეფერენდუმი ჩატარდა და გადასახადის ცვლილება მოსახლეობამ მხოლოდ 11 შემთხვევაში მიიღო (მათ შორის მხარი არ დაუჭირა ზოგიერთი გადასახადის შემცირებას). თუმცა, საქართველოს კონსტიტუცია უშვებს გამონაკლისებს, რომ გაიზარდოს გადასახადები და, შესაბამისად, საგადასახადო ტვირთიც.

მნიშვნელოვანია, რომ „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ 2011 წლის 14 ივლისს ინიცირებული კანონის ფუძემდებლური დებულებები ამოქმედდა საქართველოში ხელისუფლების ცვლილების შემდეგ და კონსტიტუციური ვალდებულებების სახე მიიღო მომავლი ხელისუფლებისათვის. ამით განხორციელდა კონსტიტუციური რევოლუცია, რომელიც, ეკონომიკური თავისუფლების გარდა, ხალხს ანიჭებს საბაზრო-ეკონომიკურ მოტივაციას და ძალაუფლებასაც, რათა გრძელვადიან პერსპექტივაში ქვეყანაში შეიქმნას ეკონომიკური სტაბილურობის განცდა.

ამრიგად, საქართველოს ახალი კონსტიტუციის და ეკონომიკური თავისუფლების შესახებ ორგანული კანონის უმთავრესი მიზანია, უზრუნველყოს საქართველოს ლიბერალური ეკონომიკური განვითარების მდგრადი საფუძველი, რომელიც განაპირობებს ეკონომიკურ სტაბილურობას როგორც ადგილობრივი წარმოების, ასევე უცხოელი ინვესტორებისათვის.

ლიტერატურა:
1. გურამ ჩარგაზია, სახელმწიფო ფისკალური პოლიტიკა-სახეობები და მიმართულებები, ეკონომიკა - ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი. - თბილისი, 2014. N5-6. გვ. 6-12.
2. რევაზ კაკულია, ფისკალური პოლიტიკა და საფინანსო სისტემის განვითარების მიმართულებები, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, თბილისი, 2013. - ტომი 11, ეძღვნება აკადემიის პრეზიდენტის პროფესორ ლეო ჩიქავას დაბადების 85-ე წლისთავს. გვ. 283-307.
3. გელა სვირავა, გათანაბრებითი ფინანსური პოლიტიკა საქართველოსა და განვითარებულ ქვეყნებში, შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი: შრომების კრებული. - თბილისი, 2010. ტ. 3. გვ. 147-173.
4. სავალუტო ფონდმა საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა მოიწონა, აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები - ყოველთვიური ჟურნალი მეწარმეებისა და ფინანსისტებისათვის. - თბილისი, 2010. N1(121). გვ. 274.

საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისთვის საქართველოში

ლიკა ჭაღინაშვილი, ეთერ შევერდაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ნათია ჟოჟუაშვილი**, ასოცირებული პროფესორი

საინვესტიციო გარემო (კლიმატი), როგორც ეკონომიკური კატეგორია, წარმოადგენს სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკურ-სამართლებრივი, ეკონომიკურ-გეოგრაფიული, გეოპოლიტიკურ-ეკოლოგიური და სხვა ურთიერთობების ფართო სისტემას. იგი ფორმირდება ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული პროცესების და მოვლენების ზეგავლენით მართვის მაკრო, მეზო და მიკროდონეზე და ხელს უწყობს (ან ხელს უშლის) მყარი ინვესტიციური მოტივების წარმოშობას.

საინვესტიციო გარემოზე მოქმედ ფაქტორთა შორის ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობა ერთადერთია, რომელზედაც სახელმწიფო გავლენას ვერ მოახდენს. იგი ყალიბდება გეოგრაფიული და მსოფლიოში მიმდინარე გლობალური პროცესების ზეგავლენით, მაგრამ ხელისუფლებას შეუძლია შესაბამისი პირობების შექმნა, რათა უცხოელმა ინვესტორმა ყველა პოტენციური ვარიანტიდან მოცემული ქვეყანა აირჩიოს კაპიტალდაბანდებების განსახორციელებლად. საინვესტიციო გარემო გულისხმობს ქვეყანაში რეალურად არსებულ პირობებს, რომლებიც განსაზღვრავენ გრძელვადიანი დაბანდებებისათვის უცხოური კაპიტალის სულ უფრო მზარდი ოდენობით ინტენსიურ მოზიდვას ან განრიდებას (თავშეკავებას). ე.ი. კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე, საინვესტიციო გარემო შეიძლება იყოს ხელსაყრელი (ხელშემწყობი), ისე არახელსაყრელი (ხელშემშლელი), რომელსაც კონკრეტული ნაბიჯების გადადგმამდე ყველა ინვესტორი ითვალისწინებს. ქვეყანაში არსებული საინვესტიციო გარემოს საფუძვლიანი გაანალიზება და რისკფაქტორების გათვალისწინება ყველა ინვესტორის პირველადი ამოცანაა.

საქართველოში, საინვესტიციო გარემოს გაჯანსაღების აუცილებელ ღონისძიებათა შემუშავების თვალსაზრისით, მიზანშეწონილია ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შერბილება. ზედმეტად მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ამუხრუჭებს საინვესტიციო აქტივობას. ინვესტიციური გარემო თანამედროვე პირობებში საქართველოში სხვადასხვა მიზეზის გამო ერთმნიშვნელოვნად ძნელი შესაფასებელია. როგორც წესი, უცხოელი ინვესტორები პოზიტიურად აფასებენ ბუნებრივი რესურსების მრავალფეროვნებას, საერთოდ ბუნებრივი რესურსების მოპოვებასა და დამუშავებაში მზად არიან დააბანდონ მნიშვნელოვანი თანხები.

საქართველო, რომელიც დასავლეთისა და აღმოსავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის ბაზრების შემაერთებელი დერეფანია, თავისი პატარა ტერიტორიის, მოსახლეობის რიცხოვნობის სიმცირის და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაბალი დონის მიუხედავად ამ კაპიტალის მიღების ერთ-ერთ მიმზიდველ ობიექტად აღიქმება. უფრო მეტიც: ეკონომიკურ-გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური მდებარეობის წყალობით საქართველო დასავლეთიდან მოდინებული კაპიტალის რეექსპორტის შესანიშნავ სატრანზიტო ქვეყნად წარმოჩინდება დსთ-ს სივრცის ქვეყნებისათვის და უფრო შორს: აზია-ინდოეთი-ჩინეთი-იაპონიის მიმართულებით და პირიქით - აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. აღნიშნული, ბუნებრივია, საქართველოს საინვესტიციო გარემოზე კეთილსასურველ გავლენას მოახდენს.

საინვესტიციო საქმიანობის სფეროში ჩამოყალიბებული ტენდენციები გვიჩვენებენ, რომ დასავლეთის ინვესტორებისათვის ხშირად ინვესტიციის მიმღებ ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობა უფრო მიმზიდველ გარემოდ აღიქმება, ვიდრე სხვა პირობები.

საქართველო აქტიურად ებმება საერთაშორისო და რეგიონულ გაერთიანებებში. იგი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის, გაეროს და ევროსაბჭოს წევრი ქვეყანაა, ემზადება ევროკავშირში და ნატოში გაწევრიანებისათვის, იგი სრულუფლებიანი წევრია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობისა, თვითონ არის ინიციატორი სუამის ქვეყნების რეგიონული გაერთიანებისა, ფართოდ მონაწილეობს ტრასეკას და ბისეკას ქვეყნების მიერ განხორციელებულ პროექტებში და სხვა. გაეროსთან შექმნილია საქართველოს მეგობარი ქვეყნების ჯგუფი.

საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების და ამის შედეგად საინვესტიციო საქმიანობის დაჩქარების უმნიშვნელოვანეს შინაგან ფაქტორს წარმოადგენს სამეურნეო-ეკონომიკური და სამართლებრივი რეჟიმის (ეკონომიკური „თამაშის წესების“) ლიბერალიზაცია, მისი ისეთნაირად მოწყობა, რომელიც მიმართული იქნება ინვესტიციურ დაბანდებათა დაჩქარებისაკენ, საინვესტიციო მოტივაციების ზრდისაკენ, რაც საბოლოო ჯამში აისახება ეკონომიკური დემოკრატიის პრინციპების გამოვლინებაში.

საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის სრულყოფა, საგადასახადო და საბაჟო ტვირთების შემსუბუქება მწარმოებლისათვის, მათთვის ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც ეკონომიკურ საფუძვლებს განუმტკიცებს მათ მაღალ სამეცნიერო-ტექნიკურ ბაზაზე განავითარონ წარმოება.

საქართველოში ზოგადად იქმნება საინვესტიციო პროექტების მასშტაბური რეალიზაციის ხელსაყრელი პირობები, მაგრამ მათი რეალიზაციის და დაფინანსების რისკების უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება. აუცილებელია ეფექტურად ვმართოთ ეს რისკები ადეკვატური სისტემების შექმნით, მაგრამ არანაკლები როლი უნდა ეკუთვნოდეს საინვესტიციო დაზღვევას. რაც უფრო სწრაფად და ხარისხიანად დაფუძნდება საქართველოს სადაზღვევო ბაზრის მოცემული სეგმენტი, ქვეყნისათვის მით უფრო დიდ სასარგებლო აქტიურობას განავითარებენ ქართველი და უცხოელი ინვესტორები. რაც შეეხება საინვესტიციო პროექტების რეალიზაციის და დაფინანსების რისკების მართვას, ამის ათვისება მოუწევს პროექტის დაფინანსების ყველა მონაწილეს, სადაზღვევო კომპანიების ჩათვლით.

საინვესტიციო გარემო ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობით განისაზღვრება.

გასული წლის აგვისტოში საქართველოს მთავრობა ვარაუდობდა, რომ 2017 წელს საქართველოს ეკონომიკა 4%-ით გაიზრდებოდა. წინა ორი წლის მონაცემების გათვალისწინებით, ეს უკვე გაუმჯობესება იქნებოდა, თუმცა არასაკმარისი. ამის მიუხედავად, წინა წელს არსებული საგარეო ფაქტორები უკეთესი პროგნოზის საშუალებას რთულად თუ იძლეოდა. ამჯერად 2017 წლის პირველი ნახევრის შედეგები გვიჩვენებს, რომ საქართველომ შესაძლოა, დაგეგმილზე მეტი ეკონომიკური ზრდა მიიღოს. ამ მოსაზრებას ამყარებს სხვა საგარეო პროცესებიც, რომლებიც დადებითად აისახება საქართველოს ეკონომიკაზე, თუმცა რეგიონალური გეოპოლიტიკური რისკების კომპლექსი მაინც რჩება ერთ-ერთ მთავარ დამაბრკოლებელ ფაქტორად.

მთლიანობაში საქართველოს ეკონომიკაზე ამ ეტაპზე განსაკუთრებულ გავლენას საგარეო ეკონომიკური და გეოპოლიტიკური ფაქტორები ახდენს.

საქართველოში ფართო მასშტაბები უნდა მიეცეს საინვესტიციო საქმიანობის ისეთი სფეროს განვითარებას, როგორიცაა ლიზინგი. ეკონომიკურად დაბალი განვითარების დონის მქონე ჩვენი ქვეყნისათვის, რომელსაც არ ჰყოფნის საკუთარი ფინანსური საშუალებები, ლიზინგი მანქანების, მოწყობილობების, დანადგარების, მექანიზაციის, ავტომატიზაციისა და საერთოდ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვის ყველაზე ეფექტური საშუალებაა.

ქვეყანაში ინვესტიციური საქმიანობის გააქტიურებისა და შემდგომი სრულყოფის მიზნით ინვესტიციების ზუსტი აღრიცხვისა და ეფექტიანი გამოყენების თვალსაზრისით მიზანშეწონილია საქართველოში შეიქმნას ინვესტიციების ერთიანი მაკოორდინირებელი ორგანო.

საინვესტიციო გარემოს ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია სამართლებრივი უზრუნველყოფა. საქართველოს ტერიტორიაზე როგორც უცხოური, ასევე ადგილობრივი ინვესტიციების განხორციელების სამართლებრივ საფუძვლებსა და მათი დაცვის გარანტიებს განსაზღვრავს საქართველოს კანონი საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ, რომლის მიხედვითაც უცხოელი და ადგილობრივი ინვესტორები ერთნაირი უფლებებით სარგებლობენ.

საქართველოს კანონი საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ ითვალისწინებს როგორც აკრძალვებსა და შეზღუდვებს ინვესტიციის განხორციელების სფეროში, ასევე ინვესტიციების დაცვის გარანტიებს, რაც აღნიშნული კანონის ფარგლებში გულისხმობს ინვესტიციის ხელშეუხებლობასა და კომპენსაციას ინვესტიციის ჩამორთმევისას. აღნიშნული ნიშნავს, რომ საქართველოში ინვესტიცია მთლიანად და უპირობოდ არის დაცული.

1. ინვესტორს უფლება აქვს:

ა) მოითხოვოს ნებისმიერი ლიცენზიის/ნებართვის (მათ შორის, წინასწარი ლიცენზიის/ნებართვის) გაცემა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „აწარმოე საქართველოში“ მეშვეობით;

ბ) მოითხოვოს ქონების შეძენა და მასთან დაკავშირებული ყველა პროცედურის განხორციელება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „აწარმოე საქართველოში“ მეშვეობით;

გ) მოითხოვოს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება მისთვის ლიცენზიის/ნებართვის (მათ შორის, წინასწარი ლიცენზიის/ნებართვის) გაცემას და ქონების შეძენას, ინვესტიციების განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებს;

დ) ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გარანტიებით.

2. ამ კანონით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობის მიზნით ადმინისტრაციული ორგანოები ვალდებული არიან, ითანამშრომლონ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – „აწარმოე საქართველოში“ და ინვესტორთან.

საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად ფრიად პოზიტიურ გარემოს ქმნის ტერიტორიული გავრცელების არეალშეზღუდული დარგების განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების არსებობა.

საქსტატის 12 მარტს გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2017 წელს 1861.9 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 16.2 პროცენტით აღემატება 2016 წლის შესაბამის მაჩვენებელს.

ექსპერტების ნაწილი აცხადებს, რომ მსგავსი ზრდა ინვესტიციების კომპონენტში საქართველოს დიდი ხანია არ ჰქონია და ეს შედეგი აუცილებლად დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე.

არიან კრიტიკულად განწყობილი ეკონომისტებიც, რომლებიც აღნიშნულ ციფრებს საქსტატის "მანიპულაციას" უკავშირებენ, რომლის შედეგადაც გასული წლების ინვესტიციების მოცულობის მაჩვენებლის კორექტირება მოხდა. საქსტატმა 2002 წლიდან დღემდე ქვეყანაში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) მაჩვენებლები დაარედაქტირა. აქამდე ყველაზე წარმატებულ საინვესტიციო პერიოდად 2007 წელი ითვლებოდა, როდესაც ქვეყანაში 2 მილიარდ 15 მილიონი დოლარის ოდენობის ინვესტიცია განხორციელდა. მაჩვენებლების შეცვლის შემდეგ კი 2007 წელს საქსტატის სტატისტიკა 270 მილიონი დოლარით ნაკლებს აჩვენებს და, შესაბამისად, ყველაზე წარმატებულ საინვესტიციო პერიოდად 2017 წელი იქცა.

ამ ფონზე უცხოელი ექსპერტები და ეკონომისტები საქართველოში ამჟამად არსებულ საინვესტიციო პოლიტიკას და გარემოს საკმაოდ დადებითად აფასებენ.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ინფორმაციით სამხრეთ კავკასიაში საქართველო არის ქვეყანა, რომლითაც ინვესტორთა დაინტერესება მაღალია.

როგორც ეკონომისტები მიიჩნევენ საქართველოს ისტორიაში საინვესტიციო კლიმატი ამაზე უკეთესი არასდროს ყოფილა: "საქართველოში დღეს გაზრდილია ინვესტიციები, მაგრამ საჭიროა მეტი ინვესტიციების მოზიდვა ევროპიდან, მათ შორის ევროკავშირთან თავისუფალი სავაჭრო რეჟიმის დახმარებით.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღეს რეალური პირობებია შექმნილი საქართველოს ეკონომიკურ-გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური მდებარეობის საქართველოსავე სასიკეთოდ გამოსაყენებლად, იგი ფართო ასპარეზს ქმნის ინვესტიციების მოზიდვისათვის საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში.

ლიტერატურა:
- ლორენს გიტმანი, მაიკლ ჯონკი, ჰაროლდ ბირმანი, სეიმორ შმიდტი, კორნელი, „ინვესტირების საფუძვლები“, თარგ. ლ. ქოქიაური, თბ., 2007, 764 გვ.
- გ. ცაავა, თ. აბრამია, დ. ცაავა, „რისკოლოგია“ - ფინანსური და საბანკო-საკრედიტო რისკების მენეჯმენტი", თბ., 2007.
- https://agora.ge
- http://forbes.ge
- http://www.nplg.gov.ge

ბრენდის როლი თანამედროვე ბიზნესში

თეონა ჭოველიძე, გულო ბალიაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **მაკა სოსანიძე,** ასოცირებული პროფესორი

ბევრ ახალ ტერმინთან ერთად, სიტყვა ბრენდიც ფართოდ დამკვიდრდა ქართულ ეკონომიკურ ტერმინოლოგიაში. ხშირად გვესმის ტერმინი "ძლიერი ბრენდი", "ბრენდის ქვეშ", "ბრენდად გადაქცევა". საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამდე ეს სიტყვა უმეტესობისათვის მხოლოდ ალკოჰოლურ სასმელთან ასოცირდებოდა.

ბრენდი არის სახელი, სიტყვა, სიმბოლო ან დიზაინი, ან მათი კომბინაცია, რომელიც გარკვეულ პროდუქტს ახასიათებს და მას კონკურენტებისაგან განასხვავებს, მომხმარებელი ბრენდს მიიჩნევს პროდუქტის მნიშვნელოვან ნაწილად, რომელიც მის თვალში პროდუქტის ფასეულობას ზრდის.

რაში გამოიხატება ბრენდის მნიშვნელობა ბიზნესში? უპირველეს ყოვლისა იგი მომხმარებელს აძლევს საშუალებას კონკურენტ კომპანიების მიერ წარმოებულ მრავალ, ერთნაირი სახეობის პროდუქციას შორის აირჩიოს მისთვის სასურველი წარმოებული ბრენდირებული საქონელი. ბრენდი მყიდველს პროდუქტის ხარისხზეც მიუთითებს, მყიდველმა, რომელიც ყოველთვის ერთსა და იმავე ბრენდის პროდუქციას ყიდულობს, იცის, რომ ყოველი შეძენისას ერთსა და იმავე ნიშან-თვისებებს, სარგებელსა და ხარისხს იღებს. ბრენდი მწარმოებელსაც დიდ დახმარებას უწევს და ამიტომაა, რომ ყველა მსხვილი კომპანია თავისი პროდუქციის ბრენდირებაზე ბევრს მუშაობს და ფულს არ ინანებს, რადგან იცის, რომ ბრენდირებული პროდუქტი ბევრად მეტ მოგებას მოუტანს. მწარმოებლისათვის ბრენდის სახელი და სავაჭრო ნიშანი პროდუქციის ლეგალიზაციის მთავარი საშუალებაა, რომელიც იცავს მას კონკურენტების მიერ პროდუქტის კოპირებისაგან. ბრენდი გამყიდველს ბაზრის სეგმენტაციაშიც ეხმარება.

ბრენდმა ისე გაიდგა ფესვები, რომ დღეს მის გარეშე არაფერს აწარმოებენ. მარილი შეფუთულია ბრენდირებულ პაკეტებში, ავტომობილის ნაწილები, საბურავები, საწვავი -სხვადასხვა ბრენდის სახელებს ატარებენ. თვით ხილი, ბოსტნეული და შინაური ფრინველებიც ბრენდირებულია.

მომხმარებელი ბრენდში იხდის საქონლის ფასს დამატებული ამ საქონლის ხარისხის გარანტია, ინოვაციურობა, რისკის შემცირებისა და მაღალი ხარისხისათვის, ერთი სიტყვით ყველა იმ სარგებლიანობის გარანტიისათვის, რითაც ის განსხვავდება მისი კონკურენტი კომპანიის საქონლისაგან. ბრენდის ეფექტიანობა განსაკუთრებით მაღალია “ბიზნესი ბიზნესისათვის” სფეროში. წარმოების სფეროში ბრენდი უნდა ხასიათდებოდეს განსაკუთრებული გამძლეობით, საიმედოობით, მაღალი ხარისხის შენარჩუნების უნარით ექსპლუატაციის მთელ პერიოდში და მაღალი ინოვაციურობით. ფირმის ბრენდის საფუძველია პროდუქციის მაღალი ხარისხი და მისი სტაბილურობა.

ზოგიერთი ანალიტიკოსი ბრენდს განიხილავს როგორც კომპანიის მთავარ აქტივს, რომელიც სპეციფიკური პროდუქტებისა და საშუალებების არსებობას ახანგრძლივებს. Quaker Oats-ის დამფუძნებელმა ჯონ სტიუარტმა ერთხელ განაცხადა: "იმ შემთხვევაში, თუ ეს ბიზნესი ჩაიშლებოდა, თქვენ მოგცემდით მიწას, აგურებსა და კირქვას, მე კი დავიტოვებდი ბრენდსა და სავაჭრო ნიშანს და ამით მე უფრო მოვიგებდი, ვიდრე თქვენ.''

ბრენდები ერთმანეთისაგან განსხვავდება ძალისა და ფასეულობების მიხედვით, რომელიც მათ საბაზრო სივრცეში გააჩნიათ. ზოგიერთი ბრენდი, როგორებიცაა Coca-Cola, Tide, Nike, Harley-Davidson, Volkswagen და ა.შ. ბაზარზე უკვე გამოცდილია, რადგან ათეულობით წლის განმავლობაში არსებობენ და ძალაუფლებას მუდმივად ინარჩუნებენ. ძლიერ ბრენდს გააჩნია დიდი კაპიტალი, რომელიც წარმოადგენს პოზიტიურ, განმასხვავებელ ეფექტს. ბრენდის კაპიტალი განისაზღვრება მომხმარებლის მზადყოფნით, გადაიხადოს უფრო მეტი სასურველი ბრენდისათვის. ერთ-ერთი კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ მომხმარებლის 72% მზადაა, გადაიხადოს 20%-ით მეტი ფასი თავის მიერ არჩეული ბრენდისათვის, რომელიც ჰგავს ან ახლოსაა სხვა კონკურენტ ბრენდებთან; 28%-მა განაცხადა, რომ მზადაა გადაიხადოს 50%-ით მეტი;

ამავდროულად, ბრენდი კომპანიისთვის ძლიერი ბრენდი კონკურენტებისაგან ერთგვარი თავდაცვაა. ამ ყველაფერთან ერთად, ძლიერი ბრენდი ქმნის ბაზას მომხმარებელთან ძლიერი და მომგებიანი ურთიერთობის შესაქმნელად.

ბრენდინგი ერთგვარი ვაქცინაა კომპანიის წარუმატებლობის წინააღმდეგ.

ჩვეულებრივ, ბრენდს ახასიათებს შემდეგი ნიშანი:

– პროდუქციის პოზიციონირებულობა;

– მისი არსებობის პერიოდში რეკლამაში ჩადებული არანაკლებ 1 მლრდ $;

– ბრენდ-პროდუქტის სტაბილური ხარისხი;

– პროდუქტის ინტენსიური ინოვაციური განახლება;

– ბაზარზე არსებობის არანაკლებ 2-3 სასიცოცხლო ციკლი.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა პროდუქტის სახელი კარგად უნდა იყოს ცნობილი მსოფლიო ბაზრის 80-90%-ისთვის, 10-15 წლის მანძილზე ბაზრის წილი მყარად უნდა შეადგენდეს 15-30%-ს მაინც და მომხმარებლები თავისთვის ხელსაყრელად სწორედ მას თვლიდნენ.

გლობალური ბრენდის ღირებულება დაახლოებით მის რეკლამაში ჩადებული სახსრების ტოლია. შეიძლება იყოს მეტიც და ნაკლებიც. ეს რიგ ფაქტორებზეა დამოკიდებული, მაგრამ ეს მაინც მეორადია. პირველადია _ მილიარდი. მსოფლიო რეიტინგში საშვი სწორედ ეს მილიარდი დოლარია. 1 მილიარდამდე ბრენდი არ არსებობს. მილიარდი ნიშნავს შემდეგს:

– მარკა გლობალურია;

– მარკისა და რეკლამის შექმნაზე მონაწილეობდნენ მსოფლიოს საუკეთესო სპეციალისტები;

– რეკლამა მიდიოდა დიდხანს და მასირებულად;

– პროდუქტი ბაზარზე დიდი ხანია არსებობს, მომხმარებელი ძალიან კმაყოფილია და კარგად იცის მოცემული პროდუქტი.

პროდუქტის ინტენსიური ინოვაციური განახლება მისი პოზიციის და ხარისხის შენარჩუნებით ბრენდის არსებობის აუცილებელი პირობაა.

ხშირად მედია საშუალებებში საუბარია ქართულ ბრენდებზე, არსებობს თუ არა მსოფლიო ბრენდი საქართველოში? (თუ არ ჩავთვლით „კოკა-კოლას“, „პეპსი-კოლას“, „მაკდონალდს“, „მარიოტს“) იმ კრიტერიუმების მიხედვით, რაც ზემოთ ჩამოვთვალეთ, არა.

ჯერ ერთი, გლობალური ბრენდის შესაქმნელად საჭიროა მსოფლიო დონის მარკეტოლოგები, ბრენდის შექმნის ოსტატები მუშაობის გამოცდილებით და ხელფასით – 1 მლნ დოლარი;

მეორე, ბრენდი, უწინარეს ყოვლისა, ტექნოლოგიაა. უნდა შეიქმნას უნიკალური ტექნოლოგია და მიეცეს მას მასიური ხასიათი;

მესამე, ქართული ბიზნესი, ისევე როგორც თითქმის ყველა ყოფილი საბჭოური ქვეყნის ბიზნესი, განიცდის უმკაცრეს საკადრო შიმშილს. ბრენდინგის ტექნოლოგია, უწინარეს ყოვლისა, ხალხია. მოითხოვება პრინციპულად ახალი მოტივაცია, რომელიც გადაარჩენს ბრენდინგს და ბიზნესს.

სამწუხაროდ, ჩვენ შეგნებაში დამკვიდრებულია მცდარი აზრი იმის შესახებ, რომ ჭეშმარიტი ბრენდები შეიძლება შეიქმნას და დამკვიდრდეს უპირველესად დასავლეთის წამყვან ქვეყნებში. სინამდვილეში კი პირიქით, ძალიან ხშირად უნიკალური თვისებების და ღირსებების მქონე ბუნებრივი, ბიოლოგიური რესურსები და უახლესი ტექნოლოგიური იდეები წარმოდგენილია სუსტი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში. მაგრამ სამწუხაროდ მათი ეროვნული ბრენდების დამკვიდრება ან ვერ ხერხდება ან,

უფრო ხშირად, ასეთი ბრენდების პოტენციალი ხდება მითვისებული სხვა წარმატებული ქვეყნების მიერ.

ისტორიულად საქართველოს და ქართველ ხალხს გააჩნია დასაბუთებული უფლება გამოაცხადოს ქართულ ბრენდებად ისეთი საყოველთაოდ აღიარებული საწარმოო შედევრები, როგორც თრიალეთის და ვანის ოქრომჭედელთა ნაკეთობები, მესხეთის ტერასული მიწათმოქმედება და მაჭახელას თოფი. ყველა ამ ბრენდმა თავის დროზე გადამწყვეტი როლი ითამაშა შესაბამისი დარგების განვითარებაში. მეოცე საუკუნეში საყოველთაო აღიარება ბრენდის სახით მოიპოვა ქართულმა ღვინომ და მინერალურმა წყლებმა. სამწუხაროდ, უკანასკნელ ოცწლეულში მთელმა რიგმა აღიარებულმა ეროვნულმა ბრენდებმა თითქმის უბრძოლველად დათმეს წინა წლებში მოპოვებული საბაზრო პოზიციები. ამ მიმართებით 80–იანი წლებიდან მოყოლებული ხდებოდა ქართული ჩაის დისკრედიტაცია, ბოლო წლებში კი ქართული ციტრუსის პოზიციები იქნა ჩანაცვლებული თურქი და ჩინელი სუბტროპიკული ხილის მწარმოებელთა მიერ, ხოლო უნიკალური ქართული მეტალიზებული მანგანუმი დღეს საერთოდ არ იწარმოება ჩვენ ქვეყანაში. სამაგიეროდ მისი მიღების ტექნოლოგიას წარმატებით დაეუფლეს ნორვეგიაში, რის შედეგადაც ეს ქვეყანა გახდა ამ პროდუქციის მთავარი მწარმოებელი.

ვინაიდან ჩვენს ქვეყანას არ გააჩნია უხვი და იაფი ბუნებრივი რესურსები, მას არ შეუძლია წარმართოს ქმედითუნარიანი აღმშენებლობითი საქმიანობა ან საინვესტიციო პროგრამები ბრენდების შექმნის გარეშე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნებისმიერი ეკონომიკური საქმიანობა იქნება არარენტაბელური და არაკონკურენტუნარიანი და ამიტომ ვერ მოახერხებს ბაზარზე დამკვიდრებას. ახალი სიცოცხლისუნარიანი ბრენდის შექმნა ყოველთვის არის მოვლენა საერთაშორისო ბაზრის ფარგლებში. ამ თვალსაზრისით უკანასკნელ ოცწლეულში ჩვენმა ქვეყანამ შესთავაზა საერთაშორისო მომხმარებელს მხოლოდ ერთი პერსპექტიული ბრენდი ქვევრის ღვინის სახით.

ლიტერატურა:

1. ფ. კოტლერი, გ. არმსტრონგი, მარკეტინგის საფუძვლები, თბ., 2015.
2. ნ. თოდუა, ბ. მღებრიშვილი, მარკეტინგის საფუძვლები, თბ., 2010.
3. http://.jolo.ge/msoplioshi-5-kvelaze-dzviradgirebuli-brendi/
4. http://forbes.ge/45/profile-lists/

შრომითი მიგრაცია და ეკონომიკა

ლილი ხაჩიძე, მარიამ ნადირაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ია თეთრუაშვილი,** მოწვეული სპეციალისტი, დოქტორი

გლობალიზაციამ შრომითი მიგრაციის, შრომითი მიგრანტების უდიდესი ნაკადები წარმოშვა.

ბოლო პერიოდის განმავლობაში მთელ მსოფლიოში საგრძნობლად გაიზარდა მიგრაცია. წლებთან ერთად საზღვრები ქვეყნებს შორის უფრო და უფრო უხილავი ხდება. ადამიანებს საშუალება ეძლევათ ისწავლონ და იმუშაონ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. დასაქმების ბაზარი, ისევე როგორც განათლების ბაზარი გლობალური გახდა და ადამიანებს აღარ უწევთ არჩევანის გაკეთება მხოლოდ საკუთარ სამშობლოში არსებული შრომის ან განათლების ბაზრის პირობების გათვალისწინებით. სამამულო განათლების სისტემას და დამსაქმებლებს კი უწევთ კონკურენცია გაუწიონ დანარჩენ მსოფლიოს, რათა მოიპოვონ საუკეთესო კადრები და მიაღწიონ მწარმოებლურობის უფრო მაღალ დონეს. თუმცა ერთი საკითხია დამსაქმებლების და დასაქმებულების ბენეფიტები და მეორეა, რამდენად სასარგებლოა მიგრაცია ქვეყნის განვითარებისთვის.

მსოფლიოში განვითარებული პროცესები აჩვენებს, რომ 2016 წლის ბოლოსთვის ქვეყნის გარეთ ლეგალურად დასაქმებულ მოქალაქეთა რიცხვმა 150 მილიონს მიაღწია. შრომითი მიგრანტების მიერ თავისი მოქალაქეობის ქვეყნებში გადაგზავნილმა ფულადი თანხის მოცულობამ კი 500 მილიარდ ამერიკულ დოლარს გადააჭარბა.

შრომითი მიგრაცია უკავშირდება ისეთ ფაქტორებს, როგორიც არის სოციალური დაცვა და ეკონომიკური განვითარების დინამიკა, შრომითი სტანდარტები და დასაქმების პოლიტიკა, დემოგრაფიული ვითარება, ტრეფიკინგი და შრომითი ექსპლოატაცია. შრომითი მიგრაცია წარმგზავნი და მიმღები ქვეყნების მიერ სამართლიან და სამართლებრივ საფუძველზე უნდა წარიმართებოდეს, რათა ხელი შეეწყოს ღირსეულ დასაქმებას, უმუშევართა რიცხვის შემცირებასა და კვალიფიციური სამუშაო ძალის დეფიციტის დაძლევას.

მიგრაციის ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალად მიჩნეულია უფრო მაღალი ანაზღაურების მიღების სურვილი. ანაზღაურება კი არის ფასი, რომელსაც ადამიანის უნარებში იხდიან და რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია. ადამიანები კი ამჯობინებენ წასვლას იმ ქვეყნებში, სადაც უნარებზე ფასი მაღალია. განვიხილოთ უნარების ბაზარი, სადაც ფასი მოთხოვნა-მიწოდებით რეგულირდება, განსხვავებულ ქვეყნებში კი განსხვავებული წონასწორული ფასი გვაქვს. ახლა დავუშვათ, რომ წარმოშობის ქვეყანაში წონასწორული ფასი დაბალია, რის გამოც მაღალი უნარების მქონე პიროვნებები ისეთ ქვეყანაში წასვლას ამჯობინებენ, სადაც მათი უნარების შესაბამისი ფასი უფრო მაღალია. შესაბამისად, წარმოშობის ქვეყანაში წარმოიქმნება უნარების დეფიციტი (მცირდება მაღალი უნარების მიწოდება), რაც ფასს უფრო დაბალი უნარების მქონე პიროვნებებისთვის მაღლა წევს.

დაბალი უნარების მქონე პიროვნებების მწარმოებლურობა კი დაბალია, რის გამოც ფერხდება ეკონომიკური ზრდა. შესაბამისად, ქვეყნისთვის სავალალოა, როდესაც მას მაღალ უნარიანი მოქალაქეები ტოვებენ.

გარდა მაღალ უნარიანი მოსახლეობის მიგრაციისა, მნიშვნელოვანია ასევე სტუდენტების მიგრაციაც, რომლებიც სწორედ უნარების ასამაღლებლად ტოვებენ ქვეყანას. ერთი მხრივ, განვითარებადი ქვეყნისთვის დადებითი მოვლენაა ის, რომ მის მოქალაქეებს ეძლევათ საშუალება ეზიარონ განვითარებული ქვეყნების ტექნოლოგიას, მიიღონ ცოდნა, რის დანერგვას და გაზიარებასაც საკუთარ ქვეყანაში შეძლებენ, მაგრამ, მეორე მხრივ, არის კი ეს ყოველივე ასე? სამწუხაროდ, უმეტეს შემთხვევაში, პასუხი უარყოფითია. მიუხედავად იმისა, რომ მიგრაციულ საკითხებთან მიმართებაში ძალიან მწირია სტატისტიკური მონაცემები, პრაქტიკიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ საზღვარგარეთ კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილი იშვიათად ბრუნდება განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებიდან განვითარებად ქვეყნებში, რისი მიზეზიც კვლავაც უნარების ფასთა სხვაობა და ამ უნარების გამოყენების შესაძლებლობაა. ხშირ შემთხვევაში განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნები ნაკლებ რესურსს უთმობენ კვლევასა და განვითარებას, რაც პირიქით, საკმაოდ პრიორიტეტულია მაღალ განვითარებულ ქვეყნებში, რაც მაღალი უნარების მქონე პირებს საკუთარი უნარების ეფექტიანად გამოყენების საშუალებას აძლევთ.

დავუბრუნდეთ ჩვენს სამშობლოს და დავუკავშიროთ მას აღნიშნული თეორია. თუ ჩვენი ქვეყნის ოფიციალურ სტატისტიკას გადავხედავთ, 2014 წლისათვის ქვეყანას 88704 ემიგრანტი ჰყავდა, ხოლო მხოლოდ 2014-2015 სასწავლო წელს ქვეყნიდან უცხოეთში სასწავლებლად 434 სტუდენტი წავიდა (არაოფიციალური სტატისტიკით ეს ციფრი კიდევ უფრო მაღალია). საზღვარგარეთ წასული მოსახლეობის 63%-ის ასაკი 35 წელზე ნაკლებია, ხოლო 2008 წელს CRRC-ისა და ISET-ის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, ქართველ მიგრანტთა 35%-ს მიღებული აქვს უმაღლესი განათლება. ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქვეყნიდან ხდება ე.წ. ტვინების გადინება, რაც ქვეყნის ეკონომიკური ზრდისთვის დადებითი მოვლენა ნამდვილად არაა. აღნიშნულის ნაწილობრივ მაინც თავიდან ასაცილებლად ჩამოყალიბდა ინიციატივა, რომლის თანახმადაც სახელმწიფო უზრუნველყოფს სტუდენტების საზღვარგარეთ გაგზავნას მხოლოდ იმ პირობით, რომ ისინი უკან დაბრუნდებიან.

სახელმწიფო კი თავის მხრივ ვალდებული იქნება მათ 6 თვის განმავლობაში შესთავაზოს ოპტიმალური სამუშაო ადგილი, სადაც სულ ცოტა, 3 წლის განმავლობაში იმუშავებენ. თუმცა, სტუდენტთა დიდი ნაწილის საზღვარგარეთ სწავლას მასპინძელი ქვეყნები/უნივერსიტეტები აფინანსებენ და არა მათივე სახელმწიფო. შესაბამისად ისინი არც ვალდებულნი არიან, რომ ქვეყანაში დაბრუნდნენ და აღნიშნული ინიციატივაც ბოლომდე ამ პრობლემას ვერ გადაწყვეტს, მანამ, სანამ ქვეყანაში არ შეიქმნება მიმზიდველი სამუშაო გარემო, რაც თავად გაუჩენს ემიგრანტებს უკან დაბრუნების სურვილს.

გარდა ჩამოთვლილი ფაქტორებისა, რომელსაც ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე უარყოფითი გავლენა აქვს, მიგრაციას ქვეყნის ეკონომიკისთვის სიკეთის მოტანაც შეუძლია, ეს სიკეთე კი საერთაშორისო ფულად გზავნილებში მდგომარეობს. საერთაშორისო გზავნილები არცთუ ისე იშვიათად ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინების ერთ-ერთ მთავარ წყაროს წარმოადგენს და ხელს უწყობს ადგილობრივი ვალუტის გამყარებას. ფულადი გზავნილები ქვეყანაში არსებული ეკონომიკური კრიზისების დროს ახდენს რისკების დივერსიფიკაციას და განსაკუთრებით ეხმარება ქვეყნის ეკონომიკას. ფულადი გზავნილები კი სწორედ იმ მიგრანტებისგან მომდინარეობს, რომლებიც უცხო ქვეყნიდან ცდილობენ ოჯახის წევრების დახმარებას.

ბოლო 15 წლის განმავლობაში სტაბილურად იზრდებოდა საზღვარგარეთ მყოფ ემიგრანტთა მიერ საქართველოში ფორმალური არხების მეშვეობით გადმორიცხული ფულადი გზავნილების მოცულობა. გამონაკლისს წარმოადგენდა 2009 წელი, როდესაც ფულადი გზავნილების მოცულობა შემცირდა 2007-2008 წლების მსოფლიო ფინანსური კრიზისის გამო და 2014 წელს, როდესაც რუსეთის ფედერაციიდან ფულადი გზავნილების შემოდინებამ იკლო ფულადი გზავნილების მოცულობა იზრდება, როგორც აბსოლუტური თვალსაზრისით, ისე საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში, რომელიც ხუთზე მეტჯერ გაიზარდა 2001-დან 2014 წლამდე პერიოდში და 2014 წელს 16,5 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა.

2009 წლიდან 2014 წლამდე, ფულადი გზავნილების ყოველწლიური ოდენობა ქვეყანაში განხორციელებულ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყოველწლიურ რაოდენობას აჭარბებდა. 2013 წელს განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 941.9 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო ოფიციალური არხებით განხორციელებულმა ფულადი გზავნილების ოდენობამ - 1,477 მილიონი აშშ დოლარი. ეს ტენდენცია 2014 წელს შეიცვალა, როდესაც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რაოდენობამ 1,758.4 მილიონ აშშ დოლარს (86,7% წლიური ზრდა), ხოლო საქართველოში გადმორიცხული ფულადი გზავნილების რაოდენობამ კი - 1,440.8 მილიონი აშშ დოლარს მიაღწია.

2002 წლიდან 2006 წლამდე ფულადი გზავნილების მკვეთრი ზრდის ერთ-ერთი მიზეზი ქვეყანაში ფულადი გზავნილების ოფიციალურ არხებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობა და საბანკო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება იყო, განსაკუთრებით სოფლად.

ფულადი გზავნილების ყველაზე დიდი რაოდენობა იმ ქვეყნებიდან შემოედინება, სადაც უფრო შესამჩნევია ქართული დიასპორისა და ემიგრანტთა ყოფნა - რუსეთი, საბერძნეთი, იტალია, აშშ, უკრაინა და თურქეთი. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი კვლავ პირველ ადგილზეა ფულადი გზავნილების გამომგზავნი ქვეყნების სიაში, 2013 წელთან შედარებით, 2014 წელს რუსეთიდან ფულადი გზავნილების რაოდენობა თითქმის 100 მილიონი აშშ დოლარით შემცირდა. 2015 წლის პირველი ოთხი თვის მონაცემები ფულადი გზავნილების შემცირების ტენდენციას ადასტურებს. საინტერესოა, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში, კრიზისის მიუხედავად, ფულადი გზავნილები სტაბილურად იზრდება საბერძნეთიდან. იტალიიდან შემოსული ფულადი გზავნილების შემთხვევაში, ბოლო 5 წლის განმავლობაში, შეინიშნება საკმაოდ სტაბილური ზრდა. საქართველოდან სხვა ქვეყნებში გადარიცხული ფულადი გზავნილების წლიური მოცულობა ბოლო ათწლეულის განმავლობაში სტაბილურად იზრდება: ეს მაჩვენებელი 46.4 მილიონი აშშ დოლარიდან (2004 წ.), 178 მილიონ აშშ დოლარამდე (2014 წ.) გაიზარდა. ბოლო ხუთი წლის მანძილზე, ყველაზე დიდი ზრდა 2013 წელს დაფიქსირდა, როდესაც ქვეყნის ფარგლებს გარეთ გაკეთებული ფულადი გადარიცხვები 43%-ით, 108 მილიონი აშშ დოლარიდან (2012 წ.) 155 მილიონ აშშ დოლარამდე (2013 წ.) გაიზარდა.

ბოლო 5 წლის განმავლობაში, საქართველოდან გადარიცხული ფულადი გზავნილების ძირითად მიმღებ ქვეყნებს შორის ისევ ის ქვეყნები დომინირებს, სადაც დიდი რაოდენობით ქართველი ემიგრანტი და დიასპორული ჯგუფია; ეს ქვეყნებია რუსეთი, უკრაინა და თურქეთი. ევროკავშირის ქვეყნებს შორის აღსანიშნავია საბერძნეთი, გერმანია და საფრანგეთი, სადაც ყოველწლიურად 2-3 მილიონი აშშ დოლარის გადარიცხვა ხდება. როგორც მოსალოდნელი იყო, ქვეყანაში ნიგერიიდან ჩამოსულ იმიგრანტთა რაოდენობის ზრდასთან ერთად, შეიმჩნევა ნიგერიაში ფულადი გზავნილების გადინების ზრდის ტენდენციაც - აღნიშნულმა მაქსიმალურ ოდენობას 2013 წელს მიაღწია.

არსებულ მონაცემებსა და კვლევებზე დაყრდნობით, საქართველოში ფულადი გზავნილების ზეგავლენა შემდეგ სფეროებში შეინიშნება: სიღარიბის დონის შემცირება, უცხოური ვალუტის შემოდინების სტაბილიზაცია, ადგილობრივი მოხმარების სტიმულირება და მოსახლეობის მიერ განათლებასა და ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯების ზრდა.

CRRC-ის 2013 წლის კავკასიის ბარომეტრის შედეგების თანახმად, საველე სამუშაოების ჩატარების პერიოდში, საქართველოს მოსახლეობის საშუალოდ 11% იღებდა ფულად გზავნილებს საზღვარგარეთ მცხოვრები ნათესავებისგან. გზავნილების მიმღებთა სქესსა ან დასახლების ტიპს შორის დიდი სხვაობა არ

შეინიშნება. თუმცა, ქალაქში მცხოვრები ახალგაზრდა და შედარებით უკეთესი განათლების მქონე მოსახლეობა უფრო ხშირად იღებს ფულად გზავნილებს, ვიდრე ხანში შესული მოსახლეობა, რომელიც ქვეყანაში ყველაზე დაუცველ ჯგუფად ითვლება. არაერთი კვლევა აჩვენებს, რომ ფულად გზავნილთა დიდი ნაწილი ძირითადად პირველადი მოხმარების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად იხარჯება. ფულად გზავნილთა შედარებით მცირე წილი ხმარდება ჯანდაცვასა და განათლებასთან დაკავშირებულ ხარჯებს და უძრავ ქონებაში ინვესტირებას.

ზემოთ აღნიშნული კვლევების შედეგები აჩვენებს, რომ ფულადი გზავნილების გავლენა შეინიშნება სიღარიბის დონის შემცირებაზე, როგორც ფულადი გზავნილების მიმღებ ოჯახებში, ისე ზოგადად იმ რეგიონებში, სადაც მაღალია ფულადი გზავნილების მიმღები შინამეურნეობების წილი, რაც, თავის მხრივ, ქვეყანაში ცხოვრების ხარისხს აუმჯობესებს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ფულადი გზავნილების მიმღებთა შორის ნაკლებად არის წარმოდგენილი ყველაზე ღარიბი მოსახლეობა; ამიტომ გზავნილების ერთ-ერთი გვერდითი ეფექტი შესაძლოა იყოს ქვეყანაში შემოსავლების უთანაბრობის ზრდის ხელშეწყობა.

ფულად გზავნილთა კიდევ ერთ უარყოფით მხარეს მათი მოკლევადიანი ეფექტი წარმოადგენს. ვინაიდან შინამეურნეობების მიერ მიღებულ ფულად გზავნილთა უმეტესი ნაწილი ყოველდღიურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად იხარჯება, მას ძალიან მოკლე დროში შეუძლია იქონიოს საგრძნობი გავლენა ცხოვრების ხარისხზე, მაგრამ ეს პროცესი არ არის მდგრადი. თუ საზღვარგარეთ მცხოვრები ადამიანი დაკარგავს სამსახურს, ან სხვა მიზეზის გამო შეაჩერებს ფულადი გზავნილების გადმორიცხვას, მიმღები ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა შესაძლებელია საკმაოდ მალევე დაუბრუნდეს ემიგრაციამდელ დონეს. როგორც არსებული კვლევებიდან ჩანს, საქართველოში ფულადი გზავნილების პროდუქტიულ საქმიანობაში დაბანდება ძალიან იშვიათად ხდება. ეს შესაძლოა განპირობებული იყოს ერთი მხრივ, დაბრუნებული მიგრანტების და ფულადი გზავნილების მიმღები პირების მიერ ბიზნესისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების ნაკლებობით, ხოლო, მეორე მხრივ - ემიგრანტთა მშობლიურ თემებში ინვესტირების შეზღუდული შესაძლებლობებით.

მაკროეკონომიკურ დონეზე გავლენის თვალსაზრისით, ფულადი გზავნილები უცხოური ვალუტის შემოდინების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს - განსაკუთრებით სავაჭრო დეფიციტის მქონე ქვეყნებში. საქართველოსთვის ფულადი გზავნილების, როგორც უცხოური ვალუტის შემოდინების რეგულარული წყაროს, მნიშვნელობა 2014 წელს კიდევ უფრო ცხადი გახდა. 2014 წელს რუსეთიდან და უკრაინიდან განხორციელებული გადმორიცხვები წინა წელთან შედარებთ შესაბამისად 12% და 32%-ით შემცირდა. ამ გარემოებამ, საგარეო ვაჭრობის დაღმავალ ტენდენციასთან ერთად, განსაკუთრებით კი, რუსეთსა და უკრაინაში ექსპორტის შემცირების ფონზე, მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია ლარის მცურავ გაცვლით კურსზე: 2014 წლის ნოემბრიდან 2015 წლის მარტამდე ლარი 30%-მდე გაუფასურდა.

ფულადი გზავნილების თვალსაჩინო დადებით ეფექტს წარმოადგენს ადგილობრივი მოხმარების დონის შენარჩუნება, საცალო ვაჭრობის, უძრავი ქონებისა და სამშენებლო სექტორების ზრდის ხელშეწყობა. ფულადი გზავნილების მიმღები შინამეურნეობების წევრების განათლების დონისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების შედეგად, ფულად გზავნილებს გააჩნია საქართველოს მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის მნიშვნელოვანი პოტენციალი. ზოგადად, კვალიფიციური და ჯანმრთელი მოსახლეობა, კერძოდ კი, მუშახელი ეკონომიკური ზრდის არსებით ფაქტორს წარმოადგენს.

ფულადი გზავნილების ზეგავლენა ემიგრანტების მშობლიურ საზოგადოებებში შესაძლებელია ე.წ. დამოკიდებულების კულტურის ჩამოყალიბებაშიც გამოვლინდეს. ასეთ დროს გზავნილების მიმღები ოჯახების წევრები თავს არიდებენ ნაკლებად მიმზიდველი ან/და დაბალანაზღაურებადი სამუშაოს შესრულებას და მათთვის სასურველი სამუშაოს მოძიებამდე ხანგრძლივი პერიოდებით უმუშევრობას ამჯობინებენ. ამდენად, ფულადმა გზავნილებმა შესაძლებელია ხელი შეუწყოს გზავნილების მიმღები ოჯახების წევრთა შრომით ბაზარზე პასიურობის ზრდას. თუმცა, კვლევების მიხედვით, საქართველოში მნიშვნელოვანი სტატისტიკური განსხვავება არ შეიმჩნევა იმ ოჯახების წევრების დასაქმების დონეებს შორის, ვინც იღებს და არ იღებს ფულად გზავნილებს.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ იმიგრაცია გარკვეულ წილად საჭიროა, რათა არსებობდეს საერთაშორისო გზავნილები, ადგილობრივმა მოსახლეობამ შეძლოს მაღალგანვითარებადი ტექნოლოგიების შესწავლა და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება, მაგრამ ეს ყოველივე მანამ, სანამ ადგილი ექნება ქვეყნიდან მაღალ უნარებიანი კადრების გასვლას, ე.წ. ტვინების გადინებას. ვინაიდან სწორედ მაღალ უნარებიანი კადრები არიან ის მაღალი მწარმოებლურურობის მქონე ადამიანური კაპიტალი, რომელიც ნებისმიერი ქვეყნის განვითარებისა და ეკონომიკური წინსვლის საწინდარია.

ლიტერატურა:
1. მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია – საქართველოს 2015 წლის მიგრაციის პროფილე, თბ., 2015.
2. http://migration.commission.ge/files/migration_profile_geo_may.pdf
3. http://www.ttimes.ge/archives/11845

შრომის ბაზრის ინდიკატორები და უმუშევრობა საქართველოში

ნინო ჯავახიშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ხალიანა ჩიტაძე,** ასოცირებული პროფესორი

დასავლეთის ექსპერტები ეკონომიკის საკითხებში თანხმდებიან, რომ უმუშევრობა ნებისმიერი ქვეყნის მოსახლეობას მძიმე ტვირთად აწვება და ეკონომიკურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ ხარჯებამდე მივყავართ. უმუშევარი ადამიანი, ეს არის სამუშაო ძალა, რომლის გამოყენების შემთხვევაშიც დამატებითი პროდუქციის წარმოება იქნებოდა შესაძლებელი. განვითარებულ ქვეყნებში და ზოგ განვითარებად ქვეყანაშიც, ხელისუფლებას უწევს უმუშევრებისთვის კომპენსაციის გადახდა, რაც კიდევ უფრო მძიმე ტვირთად აწვება სახელმწიფოს. ეს ასე არ არის საქართველოში, უმუშევრები არანაირ კომპენსაციას არ იღებენ ხელისუფლების მხრიდან, ასე რომ უმუშევრობის ტვირთი მხოლოდ უმუშევრებს აწვებათ. მათი უნარ-ჩვევები კი უმუშევრობის პირობებში რეგრესს განიცდის და მათ სამუშაოსადმი მოტივაციას უკარგავს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) თანახმად, 2015 წელს საქართველოში უმუშევრობის დონე 12% იყო. ამ მონაცემებით ბოლო 12 წლის მანძილზე ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა. უნდა ითქვას, რომ აღნიშნული მაჩვენებელი მკვეთრად განსხვავდება იმისგან, თუ როგორ აღიქვამს ამ პრობლემას საზოგადოება, რაც კარგად იკვეთება სოციოლოგიურ კვლევებში. კერძოდ, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) საზოგადოებრივი აზრის კვლევის მიხედვით, მოსახლეობას ყველაზე მეტად აწუხებს სამუშაო ადგილების პრობლემა (66%) ფასების ზრდა და ინფლაცია (43%) და სიღარიბე (39%). პრობლემების ტოპ-სმეული მთლიანად ეკონომიკური ხასიათისაა და უკან იტოვებს ისეთ უმნიშვნელოვანეს ეროვნულ პრობლემას, როგორიცაა ტერიტორიული მთლიანობა.

საქსტატი დასაქმება/უმუშევრობის სტატისტიკის შემუშავებისას ხელმძღვანელობს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მეთოდოლოგიით, რომლითაც ასევე ხელმძღვანელობს მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს ქვეყნებს შორის ოფიციალური სტატისტიკის ურთიერთშესადარისობას. საქსტატი სამუშაო ძალის სტატისტიკას აქვეყნებს წელიწადში ერთხელ. ასახავს თუ არა უმუშევრობის სტატისტიკა შრომის ბაზარზე არსებულ რეალურ ვითარებას? საქართველოში დასაქმება/უმუშევრობის სტატისტიკის კვლევის მიღება რჩება ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა. ამ კატეგორიას მიეკუთვნება უმუშევარი, რომელიც არის 15 წლის და უფროსი ასაკის ადამიანი, არ მუშაობდა გამოკითხვის მომენტში გასული 7 დღის მანძილზე, ეძებდა სამუშაოს ბოლო 4 კვირის განმავლობაში და მზად იყო მუშაობის დასაწყებად მომავალი 2 კვირის ვადაში. საქართველოში ამ კატეგორიის ადამიანთა წილი შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის 32%-ს შეადგენს და ის თითქმის 1 მილიონ ადამიანს მოიცავს. საქართველოში დასაქმებულთა რაოდენობაში თვითდასაქმებულები (სოფლის მეურნეობაში, საცალო ვაჭრობასა და სხვა) ჭარბობს. სულ დასაქმებულია დაახლოებით 1,7 მილიონი ადამიანი, აქედან დაახლოებით 1 მილიონი (60%) თვითდასაქმებულია. სწორედ ამ ფორმით დასაქმებული მოსახლეობის დიდი ნაწილი არ თვლის თავს დასაქმებულად და სოციოლოგიურ გამოკითხვაში პასუხობს, რომ უმუშევარია. 692 ათას ადამიანი არის დაქირავებით დასაქმებული და,

შესაბამისად, მათ არა აქვთ აღქმა, რომ უმუშევრები არიან. აქედან დაახლოებით 150 ათასი ადამიანი საჯარო სექტორშია დასაქმებული. ბუნებრივია, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის კატეგორიაში ხვდებიან ადამიანები, რომლებსაც არ აქვთ სურვილი ან ვერ ახერხებენ მუშაობას, მაგრამ კვლევები ადასტურებს, რომ მათ შორის უმრავლესობა არის ადამიანი, რომელმაც ხანგრძლივი მცდელობის შემდეგ დაკარგა სამსახურის პოვნის იმედი ან ადამიანი, რომელსაც არსებულ დაბალ ხელფასზე მუშაობას ურჩევნია სოციალური პროგრამის შემწეობით იარსებოს. განვითარებული ქვეყნების სტატისტიკის მეთოდოლოგიური ჩარჩოს მიხედვით, ასეთი ტიპის უმუშევარ პირს უწოდებენ იმედგაცრუებულ მუშაკს, ხოლო უმუშევრობის ამ კატეგორიას კვალიფიცირებას უკეთებენ, როგორც ფარულ უმუშევრობას. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ საქართველოში წარმოებული ოფიციალური სტატისტიკა ასევე ვერ ასახავს არასრულ დასაქმებას, რაც მოიცავს დასაქმებულთა იმ კატეგორიას, რომელსაც აქვს სამუშაო, მაგრამ არასაკმარისი ხელფასი. ჰიპოთეტურად წარმოვიდგინოთ ადამიანი, რომელმაც კვლევის მომენტში, გასული 7 დღის მანძილზე იმუშავა 1 საათით და ჩაითვალა დასაქმებულად. სინამდვილეში ასეთი ადამიანი თავს დაუსაქმებლად ან არასაკმარისად დასაქმებულად მიიჩნევს. ამ კატეგორიის ძირითად სეგმენტს წარმოადგენენ სოფლის მეურნეობით და მცირე მეწარმეობით თვითდასაქმებული პირები, ასევე სეზონურად დასაქმებულები. უმუშევრობა რომ ჩვენს ქვეყანაში ყველაზე მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემაა, საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიაშიაც დასტურდება, რომ უმუშევრობა მაღალია როგორც ქალაქში, ასევე სოფლებში. ყველაზე დიდ სოციალურ რისკებს კი ის ზრდის, რომ უმუშევარ მოსახლეობას შორის ახალგაზრდობაა დომინანტი, რაც ქვეყნის მომავალს საფრთხეს უქმნის. საქართველოს დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობა და შესაბამისად დასაქმების სფეროში შექმნილი პრობლემები მნიშვნელოვანწილად განპირობებულია იმით, რომ საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პროცესის დაწყებას მეოცე საუკუნის 90-იანი წლების პირველ ნახევარში, თან დაერთო სამხედრო კონფლიქტი და სამოქალაქო დაპირისპირება. ამით გამოწვეული ეკონომიკური ვარდნა, შეიძლება ითქვას, კატასტროფული იყო. ეჭვგარეშეა, ეს იქცა ერთ-ერთ მთავარ მიზეზად იმისა, რომ დღესაც კი ერთ სულზე წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობით კრიზისამდელი დონე მიღწეული არ არის (ამჟამად იგი 1989 წლის დონის 3/4-ს შეადგენს). აშკარაა, რომ საქართველოს მოსახლეობა დღეს ტოტალური სიღატაკის ზღვარზე იმყოფება და მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმე იქნებოდა, ქვეყანაში არაფორმალური (არარეგისტრირებული) ეკონომიკა რომ არ არსებობდეს. ცხადია, ჩვენ არ ვგულისხმობთ მის კრიმინალურ ფორმებს (მაგ. ნარკოტიკების ბიზნესი, იარაღით უკანონო ვაჭრობა) საქართველოში, ისევე როგორც სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ძირითადად გავრცელებულია არაფორმალური ეკონომიკის ე.წ. „ნახევრადსამართლებრივი“ ფორმა, ანუ საქმიანობა, რომელიც თავისი მიზნებით არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას, მაგრამ გამოყენებული საშუალებებით ხშირად სცდება კანონის ფარგლებს (მაგ. გადასახადების თავიდან აცილების სხვადასხვა გზები – შემოსავლების დაფარვა, ბარტერული გაცვლები, მუშაობა პატენტისა და ლიცენზიის გარეშე, გაუფორმებლად თანამშრომლის დაქირავება და სხვ.). არ არსებობს სტატისტიკა იმისა, თუ რამდენი ადამიანია დასაქმებული არაფორმალურ სექტორში, მაგრამ ყველა ჩვენგანი იცნობს მაგ. „ტაქსისტს“, რომელსაც ულიცენზიოდ გადაჰყავს მგზავრები, სკოლის მასწავლებელს, რომელიც შეთავსებით „რეპეტიტორიც“ არის, მცირე მეწარმეს, რომელიც გამოშვებული პროდუქციისა თუ მომსახურების ნაწილს საგადასახადოს არ უჩვენებს და ა.შ. შეუძლებელია ამ გზით მიღებული შემოსავლების თუნდაც მიახლოებითი სიზუსტით დათვლა, მაგრამ განუვითარებელი სამოქალაქო ეკონომიკის პირობებში, არაფორმალური დასაქმება ხშირად არის ერთადერთი საშუალება ადამიანებისათვის, რომ როგორმე თავი გაიტანონ. ცხადია, რომ საქმიანობის ოფიციალური რეგისტრაციისგან თავის არიდება, მათ სრულიად უუფლებო მდგომარეობაში აყენებთ, მათი შრომის პირობები და ანაზღაურება მთლიანად დამკვეთის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. მაგრამ, ეს დამატებითი (და ხშირად ერთადერთი) შემოსავლის წყარო იმდენად მნიშვნელოვანია მათი სასიცოცხლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის, რომ ისინი იძულებულნი არიან ასე იმოქმედონ. მით უმეტეს, რომ არც ფორმალურ სექტორში დასაქმებული ადამიანების უფლებები არის დღეს დაცული, ვინაიდან საქართველოს შრომითი კანონმდებლობა ამას ვერ უზრუნველყოფს.

2017 წელს საქართველოში უმუშევრობის დონე 2016 წელთან შედარებით 0.1 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 13.9 პროცენტი შეადგინა. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო რვა წლის განმავლობაში უმუშევრობის დონის შემცირების ტენდენცია ფიქსირდება.

2017 წელს ეკონომიკურად აქტიურმა მოსახლეობამ, შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის (15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა) 65.8 პროცენტი შეადგინა. 2016 წელთან შედარებით შემცირებულია როგორც მოსახლეობის აქტიურობის დონე, ისე დასაქმების დონე, შესაბამისად 0.5 და 0.4 პროცენტული პუნქტით. ქალაქის ტიპის დასახლებებში დასაქმების დონე წინა წელთან შედარებით

შემცირებულია 1.5 პროცენტული პუნქტით, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში აღნიშნული მაჩვენებელი გაზრდილია 0.8 პროცენტული პუნქტით. ანალოგიურად, აქტიურობის დონე წინა წელთან შედარებით ქალაქის ტიპის დასახლებებში შემცირებულია 1.6 პროცენტული პუნქტით, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში 0.8 პროცენტული პუნქტით არის გაზრდილი.ტრადიციულად, დასაქმებულთა უმრავლესობას თვითდასაქმებულები წარმოადგენენ, თუმცა ბოლო ოთხი წლის განმავლობაში კლების ტენდენცია ფიქსირდება. 2017 წელს თვითდასაქმებულთა წილი დასაქმებულებში 51.7 პროცენტს შეადგენდა, რაც 1.5 პროცენტული პუნქტით არის შემცირებული წინა წელთან შედარებით.

წინა წელთან შედარებით უმუშევრობის დონე რეგიონულ ჭრილში გაზრდილია ქ. თბილისის, შიდა ქართლის, ქვემო ქართლისა და იმერეთის რეგიონებში. ქ. თბილისში, სადაც უმუშევრობის დონე ყველაზე მაღალია, აღნიშნული მაჩვენებელი 1.2 პროცენტული პუნქტით გაიზარდა, იმერეთის რეგიონში - 1.6 პროცენტული პუნქტით, ხოლო შიდა ქართლის და ქვემო ქართლის რეგიონებში - შესაბამისად 2.0 და 3.5 პროცენტული პუნქტით. უმუშევრობის დონე ყველაზე მეტად შემცირებულია აჭარის ა.რ-ში და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, შესაბამისად 5.8 და 3.4 პროცენტული პუნქტით. უმუშევრობის დონე ტრადიციულად მაღალია კაცებში, ქალებთან შედარებით. 2017 წელს აღნიშნული მაჩვენებელი კაცებში 2.3 პროცენტული პუნქტით აღემატებოდა ქალების შესაბამის მაჩვენებელს. ამასთან, აღნიშნული მაჩვენებელი 2017 წელს 2016 წელთან შედარებით ქალებში გაიზარდა 1.8 პროცენტული პუნქტით, ხოლო კაცებში შემცირდა 1.6 პროცენტული პუნქტით.

გამოკვლევის შედეგების ანალიზი ასაკობრივ ჭრილში გვიჩვენებს, რომ 2017 წელს უმუშევრობის ყველაზე მაღალი დონე კვლავ 20-24 წლის ასაკობრივ ჯგუფში ფიქსირდება (29.6 პროცენტი). ამასთან აღნიშნული მაჩვენებელი 3.2 პროცენტული პუნქტით შემცირდა 2016 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით. უმუშევრობის დონე ტრადიციულად ყველაზე დაბალია 65+ ასაკობრივ ჯგუფში, რომლის უმთავრეს მიზეზს წარმოადგენს აღნიშნულ ასაკობრივ ჯგუფში არააქტიურობის დონის შედარებით მაღალი მაჩვენებელი.

ზოგადი დასკვნები

ქვეყანაში დაიწყო განვითარება ნელნელა შრომის ბაზარმა რაც უკეთესად აისახება მოსახლეობაზე დღეისათვის გაეროს ყველა წევრ ქვეყანაში, და მათ შორის საქართველოშიც, უმუშევრობის სტატისტიკის საერთაშორისო მეთოლოგია გამოიყენება, რომელიც შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO – გაეროს შვილობილი ორგანიზაცია) მიერ არის შემუშავებული. საერთაშორისო მეთოლოგიებს პირველ რიგში ის დანიშნულება აქვს, რომ სხვადასხვა ქვეყნის მონაცემები შესადარისი იყოს. მაგალითად, თუ საქართველოსა და სომხეთში უმუშევრობის დონის დათვლის მეთოდოლოგია განსხვავებული იქნება, მიღებული შედეგების შედარება არ მოგვცემს საშუალებას, ვთქვათ, რომელ ქვეყანაში უფრო მაღალია უმუშევრობის დონე. გარდა ამ მიზნისა, უმუშევრობის დათვლის მეთოდოლოგიის მთავარი ამოცანაა, სწორად განაწილდეს უმუშევრობის დახმარება, არ მიიღოს დახმარება მან, ვინც რეალურად უმუშევარი არ არის და საკუთარი შრომითი შემოსავალი აქვს. აქედან გამომდინარე, უმუშევარი ადამიანის დასადგენად საკმაოდ მკაცრი კრიტერიუმებია შემუშავებული. საქართველოში უმუშევრობის დახმარება არ არის, მაგრამ, რადგან გაეროს წევრი ვართ, ვალდებულება გვაქვს, რომ ჩვენც მათი მეთოდოლოგია გამოვიყენოთ. ამასთან, უმუშევრობაზე დაკვირვება გვეხმარება, განვსაზღვროთ ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ტენდენციები და თუ რამდენად უმჯობესდება/უარესდება სოციალური ფონი ქვეყანაში. შედარებისთვის – ბალტიის პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ეს ციფრი, სულ ცოტა, სამჯერ უფრო მაღალია. ყოველივე ეს აიძულებს ძალზე ბევრ ჩვენს თანამემამულეს ქვეყნიდან წავიდეს და სამუშაო უცხოეთში ეძიოს. შრომითი მიგრანტების ზუსტი რაოდენობა უცნობია, მიახლოებითი ექსპერტული გათვლებით იგი ნახევარ მილიონზე გაცილებით მეტია. ის კი დანამდვილებით არის ცნობილი, რომ ყოველთვიურად ეს ადამიანები სამშობლოში 150 მილიონ ლარზე მეტის ექვივალენტურ თანხას აგზავნიან, ამ ტრანსაქციების რაოდენობა უკვე საგრძნობლად სჭარბობს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს და 250–260 ათასი დაქირავებით მომუშავის საშუალო თვიური ხელფასის ტოლია. ყოველივე ზემოთქმული გვაფიქრებინებს, რომ თუ არ შეიცვალა დასაქმების საკითხისადმი ხელისუფლების დამოკიდებულება, უახლოეს მომავალში მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდება. ეს შეუწყობს ხელს სოციალური დაძაბულობის ზრდას და უარყოფითად იმოქმედებს საზოგადოების განვითარებაზე. რადიკალურ–ლიბერალური მიდგომები, განსაკუთრებით კი ამ მიდგომების ჩვენეული (ქართული) მოდელი, ვერ უზრუნველყოფს მდგრად ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას და, შესაბამისად, ძირეულად ვერ გადაწყვეტს დასაქმების პრობლემას. მხოლოდ სოციალური სამართლიანობის სახელმწიფოს მშენებლობის პრინციპები შეიძლება გახდეს საფუძველი დასაქმების სფეროსათვის ისეთი პოლიტიკის შემუშავებისა, რომელიც უარს იტყვის ზედაპირულ, სარეკლამო ღონისძიებებზე და მთავარ ყურადღებას პრობლემის მიზეზების წამლობაზე გადაიტანს. ამ საქმისთვის აუცილებელია იმ ევროპული ქვეყნების

გამოცდილების გათვალისწინება, რომლებმაც მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს სოციალური საბაზრო ეკონომიკისა და სამართლიანი საზოგადოების მშენებლობის საქმეში. პრობლემის გადაწყვეტის ჩვენეული ხედვა შემდეგ აუცილებელ ნაბიჯებს გულისხმობს:

– უნდა შემუშავდეს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პერსპექტიული, ინდიკატური გეგმა და მასში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს წარმოებისა და მომსახურების ისეთ დარგებს, რომლებიც დასაქმების ფართო შესაძლებლობებს შეიცავენ;

– სტრატეგიული დაგეგმარების შესაბამისად, უნდა მოეწყოს ქვეყანაში პროფესიული განათლების სისტემა, რომელიც მოიცავს როგორც დაწყებით ასევე მეორად (კვალიფიკაციის ამაღლების, შეცვლის, ზრდასრულთა მიერ ახალი პროფესიების შეძენის) საფეხურებს;

– სტრატეგიული განვითარების მოთხოვნებისა და საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებების გათვალისწინებით, სერიოზული ცვლილებები უნდა შევიდეს ეკონომიკური საქმიანობის მარეგულირებელ კანონმდებლობაში („საგადასახადო კოდექსი“, „კანონი სამეწარმეო საქმიანობის შესახებ“, „საბაჟო კოდექსი“ და სხვა);

– შემუშავდა ახალი შრომითი კოდექსი ,რომელიც თანაბრად დაიცავს დამსაქმებლისა და დასაქმებულთა ინტერესებს, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განსაზღვრავს დაქირავებულ მუშაკთა სოციალურ გარანტიებს. - უნდა შემუშადეს სამეწარმეო საქმიანობის განვითარების, ბიზნესის სფეროში მონოპოლიზაციის აღკვეთის სპეციალური პროგრამები. მთავრობის სტუქტურაში უნდა შეიქმნას შესაბამისი სამსახურები;

– უნდა შემუშავდეს ღონისძიებათა გეგმა, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოში ეკონომიკის დასაქმებატევად დარგებში ინვესტიციების მოზიდვას;

– უნდა აღდგეს და განვითარდეს უმუშევართა დასაქმების ინსტიტუტები. სამუშაოს გარეშე მყოფ ადამიანებს კანონმდებლობით უნდა განესაზღვროთ მათი არსებობისა და შემდგომი რეაბილიტაციისათვის საკმარისი სოციალური გარანტიები. დასაქმების საკითხი ქართული საზოგადოების ყველაზე მტკივნეული პრობლემაა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ თუ იგი არ გადაწყდება, ჩვენ ქვეყანას განვითარების პერსპექტივა არ ექნება.

ლიტერატურა:

http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/labour/dasaqmeba-umushevroba%202018.21.05_pres-relizi_GEO.pdf

http://forbes.ge/news/2661/umuSevrobis-maCveneblebi

დავით სარაჯიშვილი და XIX საუკუნის პიარი ანუ მომხმარებელთან ურთიერთობა ქართულ ბიზნესში

სოფიო ჯილავდარი

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი

ხელმძღვანელები: **კლარა ელჩიბეგაშვილი**, პროფესორი,

ნანა ნადირაძე, მოწვეული სპეციალისტი

საზოგადოებასთან ურთიერთობის თეორიასა და პრაქტიკას მთელს მსოფლიოში თითქმის ასი წლის ისტორია აქვს. არსებობს ათასობით კომპანია, მრავალი სახელმწიფო მოღვაწე, ბიზნესმენი და სხვადასხვა პროფესიის გამოჩენილი ადამიანი, ვისთვისაც PR პროექტებმა მოიტანა აბსოლუტურად რეალური და მნიშვნელოვანი შედეგი. საზოგადოებასთან ურთიერთობის ტრადიცია საქართველოშიც ფეხს იკიდებს და ყოველდღიურად საგრძნობი ხდება პიარის როლი და მნიშვნელობა პოლიტიკურ, კულტურულ საგანმანათლებლო, სოციალურ თუ ბიზნეს სფეროში.

საქართველოში PR-ს, როგორც პროფესიას საკმაოდ მოკლე ისტორია აქვს. საბჭოთა კავშირის პერიოდში არსებული იდეოლოგიის პირობებში, შეუძლებელი იყო ისეთი ამოცანის არსებობა, როგორიცაა საზოგადოებასთან ორმხრივი ურთიერთობის წარმართვა. ამიტომაც ამ პერიოდში მასმედია და სახელმწიფო პრესსამსახურები მხოლოდ იდეოლოგიური, უწყებრივი და კონტროლირებადი ინფორმაციის გაცემით შემოიფარგლებოდა. საბაზრო ეკონომიკის არსებობის პირობებში ასევე შეუძლებელი იყო PR-ის გამოყენება სამრეწველო-სავაჭრო ურთიერთობების დროსაც, რადგან მაშინ არ არსებობდა კერძო კომპანიები და ბაზარზე კონკურენციის აუცილებლობა. აქედან გამომდინარე ეს ტერმინი უცხო იყო ჩვენი ქვეყნისთვის 1990 წლამდე. ქვეყანაში მიმდინარე პროცესებმა და კონკურენციის გაჩენამ თითქმის ყველა სფეროში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ამ დარგის განვითარების საქმეში. ამ ეტაპზე PR განვითარების ბუნებრივ გზაზეა და მიმდინარეობს საზოგადოებასთან ურთიერთობის პროცესი.

საზოგადოებასთან ურთიერთობის როგორც სახელის, ასევე მისი არსის შემოტანა 1993 წელს უკავშირდება, როდესაც თბილისში პირველად შეიქმნა ,,საზოგადოებასთან ურთიერთობის ცენტრი". ამ პერიოდიდან გაჩნდა სტატიები გაზეთებში, რაც ამ დარგის საზოგადოებისთვის გაცნობას ემსახურებოდა.

1995 წელს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა საზოგადოებასთან ურთიერთობის პირველი ფაკულტეტი, რომელმაც პირველი სპეციალისტები ბაკალავრის ხარისხით 2000 წელს, ხოლო მაგისტრის ხარისხით 2001 წელს გამოუშვა. PR-ის თეორია და პრაქტიკა ამაჟამად რამდენიმე უმაღლეს სასწავლებელში ისწავლება.

როგორც აღვნიშნეთ, PR, როგორც მეცნიერება, საქართველოში შემოვიდა XX საუკუნის დასასრულს, თუმცა საზოგადოებასთან ურთიერთობა უძველესი დროიდან არსებობდა. საქართველოს ისტორიიდან შეიძლება ბევრი მაგალითის მოყვანა, როდესაც ქართველი ხალხი თავის მეფეებთან ერთად ბევრ გამარჯვებას ზეიმობდა და ეს ყველაფერი თანამედროვე ენით სწორი PR-ის წარმართვის შედეგი იყო.

PR-ის განვითარებასთან ერთად, როგორც სხვა მოწინავე ქვეყნებში, ასევე საქართველოშიც ვითარდებოდა ფანდრაიზინგი, ფილანტროპია. XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში გამოჩნდნენ ადამიანები - ფილანტროპები, რომლებიც მეცენატობას ეწეოდნენ. ერთ-ერთი ასეთი იყო დავით სარაჯიშვილი, რომელსაც შორსმხედველი, განვითარებული გონება ჰქონდა და სიმდიდრეს მხოლოდ თავის მსახურად მიიჩნევდა და არა ბატონად.

დავით სარაჯიშვილი დაიბადა თბილისში 1848 წლის 28 ოქტომბერს. პირველდაწყებითი განათლების ოჯახში მიღების შემდეგ დ. სარაჯიშვილი ჯერ ჰაკეს პანსიონში სწავლობდა, შემდეგ კი 1866 წელს დაამთავრა თბილისის კლასიკური გიმნაზია და იმავე წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. ერთი წლის შემდეგ მან სწავლა განაგრძო გერმანიაში, 1871 წელს დაამთავრა ჰაიდელბერგის უნივერსიტეტი, დაიცვა დისერტაცია ფილოსოფიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად და მიენიჭა ქიმიურ და ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. იგი მიღწეულით არ კმაყოფილდება და 1878 წლამდე აგრძელებს სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებების შესწავლას და საფუძვლიანად ეუფლება მეღვინეობა-მევენახეობის დარგებს. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ კი შეუდგა არყის, ლიქიორისა და კონიაკის წარმოების დაფუძნება-განვითარებას.

მამის და ბიძის გარდაცვალების შემდეგ, დამწყებმა მრეწველმა მიღებული მემკვიდრეობის საფუძველზე, შეიძინა სპირტიანი სასმელების ქარხნები, რომლებიც აღჭურვილი იყო ყველა საჭირო აპარატ-დანადგარებით. წლიდან წლამდე იზრდებოდა გამოშვებული კონიაკის რაოდენობა, რასაც ნათლად მოწმობს შემდეგი სტატისტიკური მონაცემები:

1891 წლს ფირმა გასაყიდად უშვებს 167 100 ბოთლ კონიაკს.

1892 წელს.....174710 ბოთლ კონიაკს

1893 წელს.....160560 ბოთლ კონიაკს
1894 წელს.....181250 ბოთლ კონიაკს
1895 წელს.....190460 ბოთლ კონიაკს
1896 წელს.....211510 ბოთლ კონიაკს
1900 წელს.....218200 ბოთლ კონიაკს
1910 წელს.....600000 ბოთლ კონიაკს.

წარმოების ამ დარგში მიღწეული წარმატებები შთამბეჭდავი იყო და საქართველო სწრაფად გადაიქცა კონიაკის წარმოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრად. ქართული კონიაკი ძვირფას საექსპორტო პროდუქციას წარმოადგენდა და ამშვენებდა მოსკოვის, პეტერბურგის და რუსეთის ბევრი სხვა ქალაქის პრესტიჟულ მაღაზიებს.

სარაჯიშვილის ფირმის საქმიანობა XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში მეტად მრავალმხრივი იყო და დიდ წარმატებასაც მიაღწია. სარაჯიშვილამდე რუსეთის იმპერიის მასშტაბებით არავის უცდია საკონიაკე სპირტის ფრანგული ტექნოლოგიებით გამოხდა და მუხის კასრებში დაძველება. მალე მისმა ნაწარმმა საერთაშორისო აღიარება პოვა არა მარტო საქართველოსა და კავკასიაში, არამედ რუსეთის მთელ იმპერიაში. 1899-1913 წლებში სარაჯიშვილმა მიიღო 14 მედალი, რომელთაგან 8 ოქროსი იყო.

დავით სარაჯიშვილი მდიდარი, წარმატებული და დიდი ქველმოქმედი მეწარმე იყო. მას დიდი წვლილი შეჰქონდა საქვეყნო საქმეებში, მატერიალურ დახმარებას უწევდა ჟურნალ-გაზეთებს, წიგნების გამოცემას, ეხმარებოდა ქართულ თეატრს სცენის მოყვარულთა, მომღერალთა, მუსიკოსთა და მეცნიერთა გამოზრდაში, ეხმარებოდა ეკლესიებისა და სკოლების დამშვენებას, აფინანსებდა სხვადასხვა ექსპედიციებს, ღარიბ მოსწავლეებს, სტიპენდიებს უნიშნავდა სტუდენტებს და ა.შ. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობის მშენებლობაში.

დავით სარაჯიშვილმა, თავისი ანდერძის თანახმად, პირადი ქონების უდიდესი ნაწილი, უძრავი და მოძრავი ქონება საქართველოს დაუტოვა. ასევე მოიქცა მისი მეუღლეც. სარაჯიშვილის უდიდესი ოცნება იყო ქვეყანაში დამკვიდრებულიყო და გაემარჯვა სამოქალაქო ცნობიერებას, ცხოვრების პატიოსან წესს და ფასეულობებს, რომლებსაც ამკვიდრებდნენ დიდი ილია, დიდი დავით სარაჯიშვილი და ყველა მათი თანამოაზრე.

ისევე როგორც ყველა სფეროში, ბიზნესშიც პიარის როლი ძალზე მნიშვნელოვანია. მომხმარებლის კეთილგანწყობა ბიზნესის განვითარების სტიმულატორია, სადაც დიდი პასუხისმგებლობა მეწარმეს ენიჭება. მენეჯმენტის აღიარებული თეორიტიკოსისა და პრაქტიკოსის პ. დრუკერის აზრით, ბიზნესი მომხმარებლის შექმნაა. წარმატებული ბიზნესი მჭიდროდ არის დაკავშირებული არა მარტო მომხმარებელთან, არამედ მთელ საზოგადოებასთან. სარაჯიშვილი და დიდი ბიზნესის მესვეურნი მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ კორპორაციას შეძლება ჰქონდეს ყველაფერი: კაპიტალი, მომუშავე პერსონალი, ნედლეული და მასალები, მაგრამ წარმატება შეუძლებელი იქნება, თუ საზოგადოება იგნორირებას მოახდენს და არ იქნებიან დადებითად განწყობილნი მათ მიმართ.

აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჭკვიანური PR მენეჯმენტის სისტემა სწორედ საზოგადოების აზრის ზეგავლენის სფეროში, ცხოვრების პატიოსან წესში, ფასეულობებში, ქველმოქმედებაში უნდა იყოს, როგორც ამას დიდი დავით სარაჯიშვილი აკეთებდა ჯერ კიდევ XIX საუკუნეში.

ლიტერატურა:

1. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამაგიდო ენციკლოპედია, თბილისი, 2006, გვ. 3-15.
2. საზოგადოებასთან ურთიერთობა, თბილისი, 2007, გვ. 221-230; 609-613.

3. ლიპარტელიანი ნ., ჯოლბორდი მ., ქართველი და უცხოელი მეწარმეები და მათი საქმიანობა საქართველოში, თბილისი, 2009, გვ. 52-65.
4. ქირთბაია მ., ბიზნეს ეთიკა, თბილისი, 2008, გვ. 114-135.

ტურიზმი

სასტუმრო მეურნეობის როლი ტურისტული ინდუსტრიის განვითარებაში

თამარ მერებაშვილი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მაია აზმაიფარაშვილი**, ასოცირებული პროფესორი

სასტუმრო ინდუსტრია, როგორც ეკონომიკის სექტორი, რომელიც მოიცავს თანამედროვე სასტუმრო პროდუქტის წარმოებას, წინ წაწევასა და რეალიზაციას, ჩამოყალიბდა XX ს. მეორე ნახევარში. ამრიგად, გასული საუკუნის 60-70-იან წლებში დაიწყო კარდინალური ცვლილებები სასტუმრო ბიზნესში. თუ XIX-XX ს. დასაწყისში, სასტუმრო ჯერ კიდევ ინდივიდუალური საოჯახო საწარმოა, თანამედროვე სასტუმრო სოციალურ-ეკონომიკური კომპლექსია, რომელიც რთულ სამეურნეო და მმართველობით ფუნქციებს ასრულებს. სასტუმრო მომსახურების სფეროს ინდუსტრიალიზაციის შედეგად შეიქმნა მსხვილი, ტექნიკურად და ტექნოლოგიურად კარგად აღჭურვილი სასტუმრო კომპლექსები, კორპორაციები, ქსელები, რომლებიც აერთიანებენ ათასობით სასტუმროს მთელ მსოფლიოში. ისინი უზრუნველყოფენ წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის მაღალ დონეს, ტურისტული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრებასა და გავრცელებას. მცირე, ე.წ. საოჯახო სასტუმროებმა, ტურისტული ბაზრის „მეორე პლანზე“ გადაინაცვლა. სერიოზული ევოლუციური ცვლილებები განიცადა არა მხოლოდ სასტუმროთა მართვის პრინციპებმა და მეთოდებმა, არამედ თვით სასტუმრო პროდუქტმაც. იგი გახდა მაღალტექნოლოგიური და მომხმარებელზე სრულად ორიენტირებული. თანამედროვე სასტუმრო საწარმოები მკაცრი კონკურენციის პირობებში ფუნქციონირებენ. კონკურენციას კიდევ უფრო ამწვავებს მათი შთანთქვისა და კონსოლიდაციის სტრატეგიის განვითარება, ახალი კომპანიების გამოჩენა, ბაზრის სეგმენტაციის პროგრესული მარკეტინგული სტრატეგიების გამოყენება. კომპანიების გაერთიანება აძლევთ მათ მთელ რიგ უპირატესობებს - საბაზრო წილის გაზრდის, ახალი სეგმენტების მოპოვების, მარკეტინგული დანახარჯების შემცირების, კორპორაციული პროგრამების შემუშავების, სასტუმრო პროდუქტების წინ წაწევისა და კადრების მომზადების საშუალებას. თანამედროვე სასტუმრო ტურისტთა განთავსების კოლექტიური საშუალებაა ერთიანი ხელმძღვანელობით, ნომრების განსაზღვრული რაოდენობით, დაჯგუფებული კატეგორიებად მომსახურების სპექტრის, დონისა და სასტუმროს მოწყობილობის შესაბამისად.

სასტუმრო ინდუსტრიას აქვს დიდი მემკვიდრეობა, რომელიც სხვადასხვა დროს, სხვადასხვა გარემო პირობებში აკმაყოფილებდა რა მომხმარებელთა მოთხოვნებს, განიცდიდა სახეცვლილებას. დღესდღეობით ტურიზმი იღებს უფრო მეტად გლობალურ ხასიათს.

მსოფლიო ტურისტული ბაზრის განვითარების თანმხლებია ძლიერი ტრანსნაციონალიზაციის პროცესები, რომლებიც გამოიხატება კერძო კაპიტალის საერთაშორისო გადაჯაჭვა-გაერთიანებაში, სხვადასხვა ქვეყნების მონოპოლიებს შორის კავშირში და ტურისტული ბიზნესის სფეროში ტრანს ნაციონალური კომპანიების ფართო განვითარებაში. სასტუმრო ინდუსტრიის ბევრი საწარმო ერთიანდება მსხვილ სამეურნეო კომპლექსში, სცილდებიან გარკვეულწილად სახელმწიფოს ფარგლებს და ასე ვთქვათ ამსხვრევენ ნაციონალურ ბარიერებს. საკმაოდ მოკლე პერიოდის განმავლობაში ისინი იქცნენ შესამჩნევ მოვლენად საერთაშორისო ცხოვრებაში და ძაფებივით დაქსელეს მსოფლიო სივრცე. ეს

ახალი ეკონომიკური წარმონაქმნები, რომლებიც შეესაბამებიან წარმოების და კაპიტალის კონცენტრაციის და ცენტრალიზაციის საკმაოდ მაღალ დონეს, საწინდარია ტურისტული მომსახურების სერვისში საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრების და გავრცელების.

ტურიზმის ინდუსტრიის წარმოშობა XIX ს. უკავშირდება. თუმცა, ეს მოვლენა მთელი რიგი ისტორიული წინამძღვრებით იყო შემზადებული. ადრეული ცნობები მგზავრობის ორგანიზაციისა და საშუამავლო ოპერაციების შესახებ, ჯერ კიდევ, ძველი რომის დროიდან შემორჩა. იმპერატორების პერიოდში ამ საქმეში ჩართულნი იყვნენ სახელმწიფო სამსახურები, ხალხთა პროფესიული გაერთიანებები და კერძო პირები, რომლებიც მოგზაურობის მომზადებაში დახმარებას უწევდნენ მოქალაქეებს.

განსაკუთრებულ როლს ასრულებდა რომის სახელმწიფო ფოსტა. მისი სპეციალიზებული ქვედანაყოფები გზაზე სატარებლად გასცემდნენ სასამსახურო "პასპორტებს" და სხვა ნებისდამრთველ დოკუმენტებს, რომლებიც საგზაო ინფორმაციას და საფოსტო სადგურებს და ფუნდუკების მომსახურების სარგებლობის წესებსაც შეიცავდნენ. მოგზაურობის სფეროში საორგანიზაციო და საშუამავლო საქმიანობის საწყისები ე.წ. კოლეგიების საქმიანობაშიც ჩანს. კოლეგიები ადამიანებს საქმიანობის სახეებით აერთიანებდნენ და სხვა საქმიანობასთან ერთად, საკუთარ წევრებს მოგზაურობისას დახმარებას უწევდნენ. XIX საუკუნის სამრეწველო გადატრიალებების, ეკონომიკის რადიკალური სტრუქტურული გარდაქმნებისა და ინდუსტრიული საზოგადოების ფორმირების პროცესმა მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია ეკონომიკურ სისტემასა და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში, კერძოდ: 1. საფაბრიკო სისტემის გაბატონების შედეგად საზოგადოდ დაინერგა უკიდურესად ორგანიზებული და დისციპლინირებული შრომა; 2. დადგინდა ნორმირებული სამუშაო დღე; 3. პროფკავშირებსა და დამსაქმებლებს შორის მოლაპარაკების საფუძველზე შემოღებულ იქნა ყოველწლიური შვებულება; 4. დროთა განმავლობაში დაქირავებულმა მუშაკებმა მიაღწიეს რეალური ხელფასის ზრდას. ამ ეპოქალური ცვლილებების შედეგად, ჯერ ერთი, მოსახლეობის საშუალო და ქვედა ფენებს გაეზარდა შემოსავალი, ადამიანების დიდ რაოდენობას გაუჩნდა თავისუფალი დრო, ანუ შეიქმნა ტურიზმის სამომხმარებლო ბაზარი; მეორე მხრივ, კი წარმოების საფაბრიკო ორგანიზაციის ზრდას, ტურისტული მომსახურების მასობრივი სამომხმარებლო ბაზრის ჩამოყალიბებას და ბოლო ჯამში, ტურიზმის ინდუსტრიად გადაქცევას ნიშნავდა. ისტორიული შინაარსის მქონე ტურისტული ბიზნესის ისტორია საქმიანობას თომას კუკის საქმიანობიდან იწყებს. XX ს. ტურიზმის არნახული ზრდა და ტერიტორიული გავრცელება ერთ-ერთი შემადგენელია გლობალიზაციის საერთო პროცესისა, რომლის ძირითადი განმსაზღვრელი პირობებია: საზღვრების გახსნილობა, ქვეყნების ეკონომიკური სისტემების კონვერგენცია (დაახლოება, შერწყმა), გლობალური საინფორმაციო, საფინანსო, სატრანსპორტო სისტემის ჩამოყალიბება, ინტერესის ზრდა სხვა ხალხების, ადგილობრივი კულტურების, მცირე ეთნოსების მიმართ. ამ პერიოდში ტურიზმმა ბევრ ქვეყანასა და რეგიონში ერთობ დადებითი როლი შეასრულა, როგორც სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კატალიზატორმა. კერძოდ, ტურისტული საქმიანობის ზრდამ გამოიწვია სხვა, მასთან დაკავშირებული დარგების (მშენებლობა, ვაჭრობა, ადგილობრივი წარმოება, სოფლის მეურნეობა, ენერგეტიკა, ტრანსპორტი, საზკვეთა და სხვა) გააქტიურება, რამაც, საბოლოო ჯამში, ეკონომიკის საერთო განვითარებას შეუწყო ხელი. XX საუკუნის 70-იან წლების ტექნოლოგიურმა რევოლუციამ საფუძველი დაუდო კაცობრიობის გადასვლას ახალ ეპოქაში. ინდუსტრიული ერის საინფორმაციო ეპოქაზე გადასვლის გლობალური პროცესი უკვე განსაზღვრავს ტურიზმის მსოფლიო ინდუსტრიის თანამედროვე მდგომარეობას და უფრო მეტად – მის მომავალს. დღეს ტურიზმი ელექტრონული ვაჭრობის ერთ-ერთი წამყვანი დარგია. ძალიან სწრაფად იზრდება ელექტრონული ტურისტული ბიზნესის სუბიექტების (ფირმების, საწარმოების) რაოდენობა. ასევე, სწრაფად ფართოვდება მსოფლიო ელექტრონულ ქსელში განთავსებული ტურისტული მომსახურების მომხმარებელთა რაოდენობა. სწრაფად იზრდება ტურისტული პროდუქტის გასაღება ელექტრონული არხების მეშვეობით. სიტყვა „ოტელი", რომლითაც მთელს მსოფლიოში აღნიშნავდნენ იმას, რასაც ჩვენ სასტუმროს ვუწოდებთ, წარმოიქმნა XVIII საუკუნეში პრაქტიკულად სიტყვა „რესტორანთან" ერთდროულად. ამ უკანასკნელი ტერმინის წარმოშობა უკავშირდება ბულანჟერის – გამოჩენილი ფრანგი რესტორატორის სახელს, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე სარესტორნო საქმეს და დასაწყისი მისცა ფრანგული სამზარეულოს წარმატებით გავრცელებას მთელს მსოფლიოში. XX საუკუნის 50-იან წლებში დაიწყო მართვის თანამედროვე მეთოდების დანერგვა სასტუმრო ბიზნესში. აქამდე ითვლებოდა, რომ ოტელის მართვა იმდენად სპეციფიკურია, რომ ჯერ კიდევ 20-იან წლებში შემუშავებული მართვის მეცნიერული მეთოდები სასტუმროების მიმართ გამოუსადეგარია. გლობალური კომპიუტერიზაცია სასტუმრო ბიზნესსაც შეეხო: ყველა რამდენადმე მოზრდილი სასტუმრო აღჭურვილია კომპიუტერებით, რომლებიც აკონტროლებენ

და ითვალისწინებენ ოტელის მრავალრიცხოვანი ქვედანაყოფების საქმიანობის ყველა მხარეს (ნომრების დაჯავშნა, ანგარიშსწორება კლიენტებთან, საბუღალტრო აღრიცხვა, პროდუქტების შეძენა და ა.შ.). ტურიზმი ადამიანის მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დროებით შეცვლასთანაა დაკავშირებული, აქედან გამომდინარე, განთავსების მომსახურება მისი აუცილებელი კომპონენტია. თანამედროვე სასტუმროების ისტორია ღამის გასათევი თავშესაფრებისა და ტავერნებისგან იწყება, რომლებსაც დღევანდელ სრულსერვისიან სასტუმროებთან საერთო ბევრი არაფერი აქვთ. ზოგადად, საკმაოდ საინტერესო თემაა სასტუმროების ბიზნესის განვითარების ისტორია, განსაკუთრებულად ფინანსური თვალთახედვით. სასტუმროს ბიზნესის განვითარებასთან ერთად სასტუმროებმა ღამის გასათევი და შეხვედრის ადგილების გარდა, დასასვენებელი ადგილის სტატუსიც შეითავსა. იმატა სასტუმროებმა დიდ ქალაქებში, ღირსშესანიშნაობებთან ახლოს და კურორტებზე კარგი ხედითა და სხვადასხვა ტიპის მომსახურებით. სასტუმროს განუწყვეტელი განვითარების მართვა გულისხმობს ახალი ელემენტების შემოღებას, ძველების დახურვას, არსებულების მოდერნიზაციას. სხვა სიტყვებით, განახლებას, მაგრამ სასტუმროს განახლებისას (ანუ მისი განვითარებისას), აუცილებლად უნდა გვახსოვდეს, რომ თითოეული სასტუმრო თვითმყოფადია და შენარჩუნებული უნდა იქნეს ამ თვითმყოფადობის ყველაზე მიმზიდველი ელემენტები. დღეს ოფიციალური სტანდარტი განსაზღვრავს სასტუმროს, როგორც განთავსების კოლექტიურ საშუალებას. ამასთან სასტუმრო ვალდებულია აღმოუჩინოს სტუმრებს რიგი დამატებითი მომსახურებისა, რომელთა ნაკრები მის კატეგორიაზეა დამოკიდებული. თუ სასტუმროს მენეჯმენტი არ მოახდენს რეაგირებას სინამდვილის ფაქტებზე და შემოსავლების მიღებას ძირითადად განთავსების ხარჯზე განაგრძობს, სასტუმროს შეიძლება დაემუქროს კრიზისი. სასტუმრომ, გამომდინარე იქიდან, რომ ნომრების ფონდს ყველაზე დიდი შემოსავალი უნდა მოჰქონდეს მისთვის კლიენტების მუდმივი მოთხოვნის გამო მასზე, შეუძლია გადაწყვიტოს გამოუყენებელი ნომრების ფონდის დანიშნულების შეცვლა და იქ მოაწყოს სატრენაჟორო და სპორტული დარბაზები, საბილიარდო, დისკოთეკა, სურათების გალერეა, გამაჯანსაღებული ცენტრი და სხვ. არჩევანი უნდა გაკეთდეს არა იმის მიხედვით, თუ როგორი გადაწყვეტილება მიიღო მისმა კონკურენტმა სასტუმრომ, არამედ იმის გათვალისწინებით, თუ რა მომსახურებას მოითხოვენ მისი საკუთარი კლიენტები, როგორც ისინი, ვინც სასტუმროში ცხოვრობს, ისე ქუჩიდან შემოსულები. ასე რომ, დღეს სასტუმროებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია დამატებითი მომსახურების, ანუ ახალი პროდუქტის ფაქტორი, რომელიც სასტუმროს განვითარების პროგრესული ხასიათის დემონსტრირებას ახდენს. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ახალი პროდუქტის შექმნა უამრავი ფაქტორის ანალიზთან დაკავშირებული შემოქმედებითი პროცესია, რომლის რეალიზაციაც საკმაო სახსრებს მოითხოვს. მასპინძლობისა და ტურიზმის ინდუსტრია მსოფლიოს უმსხვილესი და უსწრაფესად მზარდი ინდუსტრიაა და იგი ბევრ, ერთმანეთისგან განსხვავებულ პროფესიას მოიცავს. მოგზაურობისა და ტურიზმის სფეროს უმნიშვნელოვანესი ნაწილია სარესტორნო საქმე. მიუხედავად იმისა, რომ შიმშილის გრძნობის დაკმაყოფილება ადამიანის ერთ-ერთი უმთავრესი და პირველადი ბიოლოგიური მოთხოვნილებაა, რესტორნის პერსონალს კლიენტების სხვა სურვილებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაც უწევს: სოციალიზაციიდან დაწყებული და გართობით დამთავრებული, რაც, თავის მხრივ, მრავალფეროვან სამუშაო ადგილებსა და პერსონალს მოითხოვს: საკვების მომწოდებლებს, ბარმენებს, მეტრო დოტელებს, მიმტანებს, მენეჯერებს, შეფ-მზარეულებსა და ა.შ.

მასპინძლობის ბიზნესი წელიწადში 365 დღე და დღე-ღამეში 24 საათი მუშაობს. მართალია, არავინ შრომობს შეუსვენებლად, მაგრამ ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრიაში სხვა ინდუსტრიებთან შედარებით უფრო გრძელი სამუშაო დღეა. მასპინძლობის ინდუსტრიის ხელმძღვანელი პირები, დანარჩენი პერსონალის მსგავსად, ხშირად დადგენილი რვის ნაცვლად, დღეში ათი-თორმეტი საათი მუშაობენ, შაბათ-კვირა და დასვენების დღეებიც კი სამუშაო დღეების რიცხვში შედის. აქედან გამომდინარე, მასპინძლობის ინდუსტრია ერთიანად ცვლების მუშაობაზეა აწყობილი და დამოკიდებული. ძირითადად ოთხი ცვლა მუშაობს: დილის, რომელიც 7 საათიდან იწყება, შუადღის - 10 საათიდან, საღამოსი - 15 საათიდან და ღამის ცვლა, რომელიც 23 საათზე იწყება და დილის 7:30-ზე მთავრდება.

კორპორაციული კულტურა კომპანიის ზოგად სტილსა და იერსახეს გამოხატავს და იგი გვიჩვენებს პერსონალის დამოკიდებულებას ერთმანეთთან და სამუშაოსთან. კორპორაციული კულტურა შეგვიძლია შემდეგი სიტყვებით გამოვხატოთ: „ჩვენ აი, ასე ვაკეთებთ საქმეს“. ყველა დიდ კორპორაციას თავისი გამოკვეთილი კულტურა აქვს.

მისიის განსაზღვრა -ეს არის განაცხადი კომპანიის ძირითადი მიზნის, ფასეულობებისა და სტრატეგიის შესახებ. სწორად განსაზღვრული მისია შემდეგ შეკითხვას პაუხობს: „რომელი ბიზნესის ნაწილი ვართ?“.

კიდევ უფრო მარტივია სასტუმროს მისიის განსაზღვრა: „გააოცე სტუმარი“

მიზანი - მიზანი გვიჩვენებს, რისი მიღწევა სურს კომპანიის თითოეულ დეპარტამენტს. მაგალითად, სასტუმროს მიზანი შეიძლება იყოს გახდეს ინდუსტრიის ლიდერი საშუალო დღიური ტარიფის მიხედვით.

ამოცანა - ამოცანა მიზანს თვლად ერთეულებში გამოხატავს. მაგალითად, სასტუმროს ერთ-ერთი მიზანი შეიძლება იყოს დატვირთვის 80%-დან 85%-მდე გაზრდა. ამოცანა თითოეული დეპარტამენტისთვის ცალ-ცალკე იწერება და ის მთელ რიგ საკითხებს მოიცავს: ალკოჰოლის ჭარბმოხმარებასთან დაკავშირებული ტრენინგებიდან დაწყებული პერსონალბრუნვის შემცირებით დამთავრებული.

სტრატეგია/ტაქტიკა - სტრატეგია და ტაქტიკა მიზნის მიღწევისთვის აუცილებელი მოქმედებებია. სტრატეგია განსაზღვრავს სასურველი მიზნის მისაღწევად აუცილებელ მოქმედებებს.

ორგანიზაციის კორპორაციული ფილოსოფიის, კულტურის, მისიის, მიზნის, ამოცანებისა და სტრატეგიის განსაზღვრის შემდეგ ორგანიზაცია მზადაა წარმატების მისაღწევად.

ლიტერატურა:

1. კ. აბულაძე, სასტუმრო ინდუსტრია და ტექნოლოგიები, თბილისი, 2008.
2. კ. ბაროუსი, ტ. პოვერსი, დ. რეინოლდსი. შესავალი მასპინძლობის მენეჯმენტში, (თარგმანი ინგლისურიდან), თბილისი, 2012.
3. მ. მეტრეველი, ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის საფუძვლები, თბილისი, 2008.
4. ა. სოხაძე, ს. ცაგარეიშვილი, ტურიზმის ინდუსტრია, ქუთაისი, 2015.
5. ,,Industry Analysis & Industry Trends”

http://www.ibisworld.com/industry/global/global- hotelsresorts.html

6. Introduction to Hotel Management.

http://catalogimages.wiley.com/images/db/pdf/0471687103.excerpt.pdf

ტურიზმის განვითარების ზოგიერთი პრობლემა და მათი გადაჭრის გზები საქართველოში

ია მიდელაშვილი, მაკა მეთაფლიშვილი

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტები

ხელმძღვანელი: **ნანული ქოქაშვილი**, ასოცირებული პროფესორი

საქართველოს, როგორც ტურიზმისათვის საუკეთესო დანიშნულების ქვეყანას, ბევრი რამის შეთავაზება შეუძლია მნახველთათვის. თვალწარმტაცი ბუნება, მრავალფეროვანი ლანდშაფტი, კავკასიონის ქედი, შავი ზღვის სუბტროპიკული ზონა, მდინარეები და ჩანჩქერები, კლდეში ნაკვეთი ქალაქები, კურორტები და მინერალური წყლები, ისტორიული ძეგლები, ქალაქები და დასახლებები, ტრადიციული ქართული სტუმართმოყვარეობა და განთქმული ქართული სამზარეულო – ქმნის საქართველოს ტურისტულ ქვეყნად.

დღეისათვის ტურიზმი საქართველოში განვითარების ახალ, ასე ვთქვათ საწყის ეტაპზე იმყოფება და მიმდინარე რეფორმების ფონზე, ეს პროცესი საკმაოდ მძიმედ და ნელა მიმდინარეობს. საქართველოს, თავისი ბუნებრივი რესურსებით, შეუძლია კონკურენცია გაუწიოს საფრანგეთს, ჩინეთს ესპანეთს, იტალიას, მრავალ სხვა განვითარებულ ქვეყანას და გახდეს კავკასიაში ყველაზე მიმზიდველი ტურისტებისათვის.

2018 წლის იანვარი-მარტის თვის მონაცემებით საქართველოს 1,463,561 საერთაშორისო მოგზაური ეწვია, ზრდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით +15.5%-ია.

	ქვეყანა	2017 იანვარი – მარტი	2018 იანვარი – მარტი	ცვლილება	ცვლილება %
1	აზერბაიჯანი	368,107	353,932	-14,175	-3.9%
2	სომხეთი	264,070	305,789	41,719	15.8%
3	თურქეთი	236,473	287,914	51,441	21.8%
4	რუსეთი	185,723	233,100	47,377	25.5%
5	ირანი	55,564	91,094	35,530	63.9%
6	უკრაინა	33,744	34,308	564	1.7%
7	ინდოეთი	11,860	16,924	5,064	42.7%
8	ისრაელი	8,232	14,561	6,329	76.9%
9	ყაზახეთი	7,534	8,674	1,140	15.%
10	გერმანია	5,854	7,442	1,588	27.1%

მთლიანი რაოდენობიდან ტურისტების რიცხვმა, რომლებმაც 24 საათი და მეტი დაჰყვეს საქართველოში 659,338 შეადგინა, (ზრდა +28 . 2%). ყველაზე მეტი ვიზიტი აზერბაიჯანიდან (-3.9%), სომხეთიდან (+15.8%), თურქეთიდან (+21.8%), რუსეთიდან (+25.5%) და ირანიდან (+63.9%) განხორციელდა.

პოზიტიური ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებიდან, საიდანაც საქართველოში ჩამოსვლების რაოდენობის ზრდის კუთხით, იანვარი-მარტის თვეში გამოირჩნენ: ესპანეთი +79%, გაერთიანებული სამეფო +53%, ნიდერლანდები +46%, გერმანია +27%, საფრანგეთი +24% და სხვა. განსაკუთრებული ზრდა დაფიქსირდა შემდეგი ქვეყნებიდან: ქუვეითი +127%, საუდის არაბეთი + 82%, ისრაელი +77%, ირანი +64%, ჩინეთი +56% და სხვა.

ტურიზმის განვითარებასთან ერთად, ნათლად იკვეთება **პრობლემები**, რაც სახელმწიფო სტრუქტურების პირდაპირი მოვალეობაა. სახელმწიფო დონორებისაგან იღებს უზარმაზარ დაფინანსებას, მაგრამ პრობლემები კვლავ მოუგვარებელად რჩება. ჩამოვთვალოთ რამდენიმე პრობლემა:

- **ტურიზმის კანონის არარსებობა;**
- **ტურიზმის სააღრიცხვო სისტემის არარსებობა;**
- **უსაფრთხოების არადამაკმაყოფილებელი დონე ქვეყანაში;**
- **მძიმე სანიტრულ–ჰიგიენური მდგომარეობა განთავსების ობიექტებში, ტურისტულ ადგილებსა და კურორტებზე;**
- **მოშლილი საგზაო და სატრანსპორტო სისტემა;**
- **სასტუმროთა და სააგენტოთა ქსელის განუვითარებლობა;**
- **ტურიზმის დარგში კომპეტენტური პერსონალის არარსებობა;**
- **კვების ობიექტების არასათანადო აღჭურვილობა;**
- **არასაკმარისი ტურისტული საინფორმაციო დაფები და მანიშნებლები;**
- **ტურისტული პროდუქტის მრავალფეროვნების პრობლემა;**
- **ხარისხის მონიტორინგი.**

განვიხილოთ ტურიზმის სააღრიცხვო სისტემის არარსებობა.

ტურიზმის სააღრიცხვო სისტემის არარსებობა ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს საქართველოში, რადგანაც დღესდღეობით საქართველოში ვერ ხერხდება ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვა.

საჭირო ინფრასტრუქტურისა და სააღრიცხვო სისტემის არარსებობის გამო არ ხდება საკურორტო ადგილებში საკუთარი სახლების გამქირავებელთა შემოსავლების აღრიცხვა. ყოველივე აღნიშნული კი განაპირობებს იმას, რომ რეალურად ქვეყნის ბიუჯეტში ტურიზმიდან შესული თანხები ძალიან მწირია. ამასთან ერთად, ის მაღალი გადასახადები, როგორც კომუნალური გადასახადების თვალსაზრისით, ასევე დღგ და საშემოსავლო გადასახადი, ხოლო წლის ბოლოს მოგების გადასახადი, საკმაოდ რთულ მდგომარეობაში აყენებს სასტუმრო ბიზნესს, ესაა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, თუ რატომ ღირს საქართველოში ძვირი სასტუმროს ნომრები.

საჭიროა განხორციელდეს საგადასახადო რეფორმა და შემოვიღოთ სეზონური დაბეგვრის დროებითი მექანიზმი, რაც მისცემს სასტუმროს არასეზონზე არ ჰქონდეს ისეთივე გადასახადი, როგორიც მაღალი სეზონის დროს და ასეთი ნაბიჯებით შესაძლებელი გახდება რეგიონებში, ამ ბიზნესით განვითარება და ამავდროულად ზუსტი შემოსავლების აღრიცხვა.

საქართველოში სასტუმროთა მომსახურება რომ არასათანადო დონეზეა, ამაზე მეტყველებს შემდეგი მონაცემები: დამსვენებელთა უმრავლესობა - 72% ცხოვრობდა ნაქირავებში, 16% საკუთარ სახლში და მხოლოდ 12% ცხოვრობდა სასტუმროში, ეს შეიძლება გამოწვეული იყოს, როგორც მაღალი ფასებით, ასევე მომსახურების საჭირო დონის არ არსებობით ანუ ფასსა და მომსახურებას შორის შეუსაბამობით, ან უბრალოდ სასტუმროთა სიმცირით საკურორტო ადგილებში და ა.შ.

მოცემული პრობლემა შესაძლებელია მოგვარდეს საქართველოში მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მიერ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად შემუშავებული **ტურიზმის სატელიტური აღრიცხვის** სისტემის შესწავლით.

ტურიზმის სატელიტური აღრიცხვის სისტემა (Tourism Satellite Account - TSA)

ტურიზმის სატელიტური აღრიცხვის სისტემა (Tourism Satellite Account) წარმოადგენს ტურიზმის სფეროში სტრატეგიული დაგეგმვის ინსტრუმენტს და უზრუნველყოფს მონაცემების საერთაშორისო შესადარისობის მიღწევას.

სატელიტური აღრიცხვის მექანიზმის შემუშავების მიზანია ეკონომიკაზე იმ დარგების გავლენის შესწავლა, რომლებიც ეროვნულ სააღრიცხვო სისტემაში არ განიხილებიან, როგორც წარმოება. ტურიზმი არის სხვადასხვა დარგების ერთობლიობა, ესენია ტრანსპორტი, მომსახურება, საკვებით უზრუნველყოფა, რეკრეაცია, გართობა. ტურიზმი ერთადერთი ფენომენია, რომელიც ვიზიტორით ან მომხმარებლით განისაზღვრება. ვიზიტორები ყიდულობენ ყველანაირი სახის პროდუქტსა და მომსახურებას. აღრიცხვის თვალსაზრისით უმთავრესია მათი ნავაჭრი დაკავშირებული (ასოცირებული) იქნას მთლიანად ქვეყნის წარმოებასთან, მომსახურებისა და საქონლის ერთობლივ მიწოდებასთან.

TSA მიზნად ისახავს განისაზღვროს სწორედ ტურიზმის გავლენა ეკონომიკაზე, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აღრიცხულ იქნას ზემოთ ხსენებული პროდუქცია და მომსახურება, რაც საშუალებას მოგვცემს შევადაროთ ისინი წარმოების სხვა სფეროებს, ან თუნდაც სხვა ქვეყნების მაჩვენებლებს.

რაში გვჭირდება TSA?

TSA საშუალებას მოგვცემს აღვრიცხოთ:

- ტურიზმის წილი ერთობლივ შიდა პროდუქტში;
- ტურიზმის რანჟირება ეკონომიკის სხვა დარგებთან შედარებით;
- ტურიზმის მიერ ეკონომიკაში შექმნილი სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- ტურიზმში ჩადებული ინვესტიციების მოცულობა;
- ტურისტული ინდუსტრიის გადასახადებიდან მიღებული ამონაგები;
- ტურიზმის მოხმარება;
- ტურიზმის გავლენა ეროვნულ საგადამხდელო ბალანსზე.

ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით გასულ წელს, საქართველოს 3 მილიონ-ნახევარზე მეტი ტურისტი ეწვია, ხოლო ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავალმა 2.8 მილიარდი დოლარი შეადგინა. საქართველოს ტურიზმის სექტორის ზრდის ტემპი ბოლო წლებში უსწრებს მსოფლიო ტურიზმის ზრდის მაჩვენებელს. ეს ფაქტი დასტურდება მსოფლიო მოგზაურთა შორის საქართველოში ჩამოსულთა წილის შეფასებით. რაც შეეხება სასტუმროების ბაზარს, აჭარის ზღვისპირა რეგიონი და თბილისი დომინირებს.



მოსახლეობის უმრავლესობა ზღვის სანაპიროზე, კერძოდ კი აჭარაში ისვენებს. ძალიან ცოტა, ერთი პროცენტია აფხაზეთში დამსვენებელთა წილი და უნდა ითქვას, რომ შეიძლება მოცემული ერთი პროცენტის განზოგადება საქართველოს მოსახლეობაზე არც იყოს მიზანშეწონილი აფხაზეთში არსებული, ყველასთვის კარგად ცნობილი გარემოებების გამო.

გამოკითხულთა მხოლოდ ერთმა პროცენტმა დაისვენა სვანეთის რეგიონში, რაც საკმაოდ დაბალ მაჩვენებელს წარმოადგენს თუკი გავითვალისწინებთ სვანეთის პოტენციალს ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით. რესპონდენტებში ხვედრითი წილები მეტ-ნაკლები პროპორციულობით გადანაწილდა. შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელი მდგომარეობით დატვირთულობის მაჩვენებლით აჭარას სამცხე-ჯავახეთი და მცხეთა-მთიანეთი არ ჩამოუვარდება:

რეგიონების დატვირთულობასა და მოთხოვნას შორის თანაფარდობა



საკმაოდ საინტერესოა ის, რომ რესპონდენტთა 15%-მა გამოთქვა აფხაზეთში დასვენების სურვილი. ყველასთვის კარგად არის ცნობილი, რამდენად დიდი პოტენციალი გააჩნია აფხაზეთს ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით (38 ძეგლი, 19 კურორტი და 72 სამკურნალო გამაჯანსაღებელი წყალი), გარდა ამისა საქართველოს სხვა ზღვისპირა რეგიონებისგან განსხვავებით აქ საზღვაო სეზონი უფრო დიდხანს - 5 თვეს გრძელდება, მაგრამ გარკვეული ცნობილი გარემოებების გამო აღნიშნული პოტენციალის გამოყენება ვერ ხერხდება. რაც შეეხება დანარჩენ რეგიონებს, განსაკუთრებული ინტერესი რომელიმე კუთხის მიმართ არ დაფიქსირებულა, თუმცა პირიქით, ნულოვანი მაჩვენებელი დაფიქსირდა ქვემო ქართლის რეგიონში დასვენებასთან დაკავშირებით. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს საქართველოს მოსახლეობის არაინფორმირებულობით ქვემო ქართლის პოტენციალთან დაკავშირებით, კერძოდ ამ რეგიონში არის 7 კურორტი, 59 სამკურნალო წყალი და თბილისის შემდეგ ყველაზე მეტი რაოდენობის - 289 კულტურული ძეგლი.

კვლევის შედეგები საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ, რამდენად არის საქართველოს რეგიონები უზრუნველყოფილი გასართობი საშუალებებით და რამდენად არიან ინფორმირებულნი ამის შესახებ

დამსვენებლები. ქვემოთ წარმოდგენილ სქემაზე მოცემულია რესპონდენტთა გამოკითხვის შედეგად დაფიქსირებული მაჩვენებლები:



აღმოჩნდა, რომ რეგიონებში ყველაზე მეტად გვხვდება პარკები, კაფე-ბარი, დისკოთეკა და რესტორანი, ასევე მრავლადაა კომპიუტერული თამაშები და კულტურული ძეგლები. ყველაზე მეტი მომხმარებელი ჰყავს კაფე-ბარებს, სადაც გამოკითხულთა - 46% დადის, პარკებს - 42% და რესტორნებს - 41%. ასევე საინტერესო მაჩვენებელია კულტურულ ძეგლებთან დაკავშირებით, გამოკითხულთა მესამედზე მეტმა (37%) აღნიშნა, რომ სტუმრობდა რეგიონში არსებულ კულტურულ ძეგლებს.

კვლევის საფუძველზე შეგვიძლია სხვადასხვა მაჩვენებლების მიხედვით დავახასიათოთ საქართველოს კურორტებზე არსებული სურათი. განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა კურორტების უსაფრთხოების თვალსაზრისით. გამოკითხულთა მხოლოდ 37% თვლის, რომ უსაფრთხოების დონე კურორტებზე კარგია, მაშველების საქმიანობას დადებითად მხოლოდ 15% აფასებს, 64%-ის აზრი კი საპირისპიროა. 34% კმაყოფილია კურორტებზე მომსახურების დონით.



გამოკითხულთა უმრავლესობა (78%) თვლის, რომ მის მიერ გადახდილი თანხა შეესაბამება მისთვის გაწეულ მომსახურებას და 88% კმაყოფილია საკუთარი დასვენებით, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამათგან 86% მზად არის გადაიხადოს მეტი უკეთესი მომსახურების პირობებში. რაც შეეხებათ დასვენებით უკმაყოფილო 12%-ს, მათგან უმრავლესობა თანახმაა გადაიხადოს მეტი, თუკი კურორტზე გაუმჯობესდება მომსახურების დონე, 9% კი მაინც უარს აცხადებს მეტის გადახდაზე.

ამრიგად ტურიზმი ის სფეროა, სადაც წარმატება სწორედ იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად შეძლებს ქვეყანა ტურისტის მოთხოვნების დაკმაყოფილებას და მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფას. ამდენად, ქვეყანაში არსებული სხვადასხვა ექსტრემალური, არასასურველი პირობები პირდაპირ აისახება იმ სფეროში, რომელიც ადამიანის გაჯანსაღებას, დასვენებას, რეკრეაციას ემსახურება.

დღეისათვის ტურიზმი საქართველოში განვითარების ახალ, ასე ვთქვათ საწყის ეტაპზე იმყოფება და მიმდინარე რეფორმების ფონზე, ეს პროცესი საკმაოდ მძიმედ და ნელა მიმდინარეობს. საქართველოს, თავისი ბუნებრივი რესურსებით, შეუძლია კონკურენცია გაუწიოს საფრანგეთს, ჩინეთს, ესპანეთს, იტალიას ტურიზმის ისეთი სახეობებით, როგორიცაა:

- ეკო ტური;
- ფოტო ტური;

- რეკრეაციული ტური;
- ექსტრემალური ტური;
- სალაშქრო ტური;
- მთის ველო ტური;
- კულტურული ტური.

ზემოთ ჩამოთვლილი უფრო მრავალფეროვანს გახდის საქართველოს მიერ შეთავაზებულ ტურისტულ პროდუქტს.

ლიტერატურა:

1. დევაძე ანზორ, გრძელიშვილი ნოდარ, ,,ტურიზმი საქართველოში, არსებული მდგომარეობა, პრობლემები და პერსპექტივები", მონოგრაფია, თბილისი, 2012.
2. გოგელია მამუკა, ,,ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში" საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კოპნფერენცია ,,ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი", შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ტურიზმის ფაკულტეტი, აჭარის ა.რ. ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, შავი ზღვის ტექნიკური უნივერსიტეტი, 5-6 ივნისი, ბათუმი, 2010.
3. კორძაია ი. ,,ეროვნულ ეკონომიკებში ტირიზმის წვლილის სტრუქტურა და მისი თავისებურებები საქართველოში", საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ტურიზმის განვითარების სტრატეგიები 21-ე საუკუნეში მდგრადი განვითარების კონტექსტში", ლვოვის ეკონომიკისა და ტურიზმის ინსტიტუტი, უკრაინა, 2016.

გამყვანი და შემომყვანი ტურიზმის განვითარება საქართველოსა და შიდა ქართლში

ნინო ღონღაძე
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის მაგისტრატურის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მაია აზმაიფარაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

ტურიზმი საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სექტორია. ტურიზმის ადმინისტრაციის ბაზაში რეგისტრირებულია 552 ტურისტული კომპანია. მათგან საკუთარი ვებ-გვერდი 164 ტურისტულ კომპანიას აქვს, ტურისტულ კომპანიებში დასაქმებული ქალები 836-ს (56%), ხოლო მამაკაცები 668 (44%) შეადგენს. სააგენტოების უმეტესობა შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოდ (შპს) არის დარეგისტრირებული. ტურიზმის ინდუსტრიაში გამყვანი ტურიზმი განიმარტება, როგორც რეზიდენტის მოგზაურობა თავისი ქვეყნიდან საერთაშორისო დესტინაციისკენ, ხოლო შემომყვანი ტურიზმი - საერთაშორისო ტურისტული ნაკადების შემოსვლა ქვეყანაში.

შემომყვანი ტურიზმი მოიცავს ქვეყანაში განხორციელებულ ყველა საერთაშორისო მოგზაურობას. ის საექსპორტო დარგია, მიუხედავად იმისა, რომ ტურისტი ქვეყნის ფარგლებში მოგზაურობს, ამ სერვისის მისაღებად უცხოურ ვალუტას იყენებს. შემომყვანი ტურიზმი ბაზრების დიფერენცირების და ახალი ბაზრების ათვისების შესაძლებლობას იძლევა, რაც შიდა უარყოფითი ეფექტების დარეგულირებას უწყობს ხელს. მაგალითად, ვალუტის გაცვლითი კურსის გაუფასურება შეიძლება უარყოფითად აისახოს შიდა ვიზიტორებზე, ხოლო საერთაშორისო მოგზაურებზე დადებითი ან ნეიტრალური გავლენა იქონიოს. ამას შედეგად ტურისტული ნაკადის დარეგულირება მოჰყვება. შემომყვანი ტურიზმისგან ბევრი სარგებელია, მათ შორის: საერთაშორისო მოგზაურობის ნაკადი არ არის კონცენტრირებული უქმე დღეების გარშემო და სეზონურობის დაძლევის კარგი საშუალებაა; სხვადასხვა საერთაშორისო ბაზრებზე რისკების გადანაწილების საშუალებით შესაძლებელია უარყოფითი შედეგების შემცირება; შემომყვანი დისტრიბუციის ქსელში ჩართვა საშუალებას იძლევა ათვისებულ იქნას ახალი დისტრიბუციის ფორმები და შესაძლებელია პროდუქტი მსოფლიოს გარშემო მილიონობით პოტენციური მოგზაურისთვის ხელმისაწვდომი გახდეს.

2017 წელს საქართველომ 7 554 936 საერთაშორისო მოგზაურს უმასპინძლა, რაც 1 194 433 -ით მეტია 2016 წელთან შედარებით. ზრდამ 18.8 % შეადგინა. 2017 წელს ტურიზმიდან ეკონომიკაში 2 მილიარდ 75 მილიონ აშშ დოლარზე მეტი შემოვიდა, რაც 27%-ით მეტია 2016 წლის მონაცემებთან შედარებით. 2018 წლის იანვარი-მარტის თვის მონაცემებით საქართველოს 1,463,561 საერთაშორისო მოგზაური ეწვია. ყველაზე მეტი ვიზიტი აზერბაიჯანიდან (3.9 %), სომხეთიდან (15,8%), თურქეთიდან (21.8%), რუსეთიდან (25,5%) და ირანიდან (63.9 %) განხორციელდა. ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოში იანვარი-მარტის თვეში გამოირჩევიან შემდეგი ქვეყნები: ესპანეთი, ინგლისი, ნიდერლანდები, გერმანია, საფრანგეთი და სხვა. განსაკუთრებული ზრდა დაფიქსირდა შემდეგი ქვეყნებიდანაც: ქუვეითი, საუდის არაბთი, ისრაელი, ირანი, ჩინეთი და სხვა.

საქართველოში შემომყვანი ტურიზმით დაკავებულია 152 ტურისტული კომპანია, რომელთა შორის ლიდერობენ : 1) Georgian Travel Group; 2) Visit Georgia; 3) Caucasus Travel; 4) Voyager; 5) Travelco Georgia. რაც შეეხება გამყვანი ტურიზმით დაკავებულ კომპანიებს, აქ ლიდერობენ შემდეგი კომპანიები: 1) Global Travel; 2) Good Travel; 3) Capitan +. საინტერესოა, რომ ამ ბაზარზე ერთი წელია, რაც ფუნქციონირება დაიწყო გორში ტურისტულმა კომპანიამ- „Pink Travel"-მა, სააგენტო მუშაობს გამყვან ტურებზე. სთავაზობს სტუდენტებს სტაჟირებას და იმ პროგრამების შესწავლას, რომელიც დაჯავშნას ემსახურება.

შემომყვანი ტურიზმის ძირითადი ბაზარია შემდეგი ქვეყნები: 1) რუსეთი, 2) უკრაინა, 3) ყაზახეთი, 4) ისრაელი, 5) გერმანია, 6) პოლონეთი, 7) არაბთა გაერთიანებული საამიროები, 8) ამერიკა, 9) ჩინეთი , 10) აზერბაიჯანი. გამყვანი ტურიზმის ძირითადი ბაზარია: 1) თურქეთი, 2) ეგვიპტე, 3) იტალია, 4) საბერძნეთი, 5) ესპანეთი, 6) უნგრეთი, 7) დუბაი, 8) გერმანია, 9) არაბთა გაერთიანებული საამიროები.

შემომყვანი ტურისტული კომპანიების სასურველი ფრენები: 1) მადრიდი, 2) შანხაი, 3) ტოკიო, 4) საუდის არაბეთი, 5) ნიუ-იორკი, 6) ტაშკენტი, 7) რომი, 8) ინდოეთი, 9) სეული. გამყვანი ტურისტული კომპანიების სასურველი ფრენები: 1) პარიზი, 2) რომი, 3) ბარსელობა, 4) მადრიდი, 5) ბრიუსელი, 6)ინდოეთი, 7) ბანკოკი.

შემომყვან ტურიზმში ყველაზე დიდი მოთხოვნა ფიქსირდება კულტურულ და ღვინის ტურებზე, ხოლო გამყვან ტურიზმში ყველაზე დიდი მოთხოვნა ფიქსირდება საზღვაო და საექსკურსიო ტურებზე. შემომყვან ტურიზმში ყველაზე აქტიური თვეებია: ივლისი, აგვისტო სექტემბერი, ხოლო პასიურია: იანვარი, თებერვალი, ნოემბერი. გამყვან ტურიზმში კი აქტიურია: ივნისი, ივლისი, აგვისტო, ხოლო პასიურია: იანვარი, თებერვალი, ნოემბერი.

საქართველოს მასშტაბით შემომყვან ტურიზმში ყველაზე მონახულებადი ადგილები კატეგორიების მიხედვით ასე გამოიყურება: ქალაქი/დაბა - თბილისი, ბათუმი, სიღნაღი, მცხეთა, ქუთაისი, ყაზბეგი, თელავი, მესტია. მუზეუმი: თბილისის ეთნოგრაფიული მუზეუმი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ი.ბ სტალინის სახელმწიფო მუზეუმი, წინანდლის სახლ-მუზეუმი, მესტიის მუზეუმი, სიღნაღის მუზეუმი. კულტურული მემკვიდრეობა: სვეტიცხოველი, ჯვრის მონასტერი, უფლისციხე, გერგეტის სამება, ვარძია. დაცული ტერიტორიები: ბორჯომის დაცული ტერიტორია, პრომეთე, მარტვილის კანიონი, ლაგოდეხის დაცული ტერიტორია, სათაფლია.

შიდა ქართლის რეგიონი იყოფა გორის, ქარელის, ხაშურისა და კასპის მუნიციპალიტეტებად. იგი ვიზიტორებს სთავაზობს შემდეგი მიმართულების ტურებს: კულტურულ-შემეცნებითი, პილიგრიმული და არქეოლოგიური. ასევე ერთ-ერთი წამყვანი რეგიონია სოფლის მეურნეობის დარგში, რაც ხელს უწყობს აგრო-ტურიზმის განვითარებას. უნდა ითქვას, რომ ბოლო დროს, განსაკუთრებით კი გორის მუნიციპალიტეტში, აქტიურად იკიდებს ფეხს ე.წ ღვინის ტურები. ამ მხრივ გამორჩეულია გორის მუნიციპალიტეტის სოფელი ატენი. ღვინის ტურის ორგანიზებისას შესაძლებელია ისტორიული ძეგლების: უფლისციხისა და ატენის სიონის მონახულებაც. ღვინო დაყენებულია როგორც ქართული ტრადიციული, ისე ევროპული წესით. ტურისტებს უმასპინძლდებიან თაფლით, ფიჭითა და თაფლის არაყით. წინასწარი შეთანხმების შემთხვევაში შეუძლიათ, მსურველს შესთავაზონ ქართული ტრადიციული კერძები.

ბოლო 2 წლის დინამიკის მიხედვით შიდა ქართლის რეგიონში ტურისტებისა და ვიზიტორების ნაკადები საგრძნობლად არის გაზრდილი, რაც დადებითი ტენდენციაა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ტურისტული ობიექტების დამთვალიერებელთა დიდი ნაწილი სხვადასხვა სახის ვიზიტორია და არა ტურისტი. თვალსაჩინოა შიდა ქართლის რეგიონში ტურიზმის განვითარების ხელის შემშლელი ფაქტორების არსებობაც, კერძოდ:

- შიდა ქართლის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მხოლოდ ერთი კერძო ტურისტული სააგენტო (Pink Travel);
- დაბალია კოორდინაციის ხარისხი დედაქალაქში მოქმედ ტურისტულ სააგენტოებსა და შიდა ქართლის მუნიციპალიტეტებში არსებული ტურისტული ობიექტების წარმომადგენლებს შორის;

- არ არსებობს ტურისტული ინფრასტრუქტურა;
- ობიექტების დათვალიერებაზე დაწესებული ტარიფები;
- ტურისტული ობიექტების არასათანადო დასუფთავება.

განთავსების საშუალებების რაოდენობით შიდა ქართლის რეგიონი ჩამორჩება ყველა სხვა რეგიონს, აქ საწოლი ადგილების რაოდენობა 485-ს შეადგენს. გორის მასშტაბით სულ ფუნქციონირებს 25 საოჯახო ტიპის სასტუმრო და 4 სასტუმრო. სასტუმრო ბიზნესის განვითარებაში დიდი როლი ენიჭება საოჯახო სასტუმროებს. სასტუმრო სახლი ,,Nitsa'' გორის ტურისტულ ბაზარზე ფუნქციონირებს უკვე 2013 წლიდან. იგი გამოირჩევა თავისი ადგილმდებარეობით (230 მეტრი სტალინის მუზეუმიდან) და შეფასებით უცხოელი ტურისტების მიერ (9.6 Booking.com). საოჯახო სასტუმროს აქვს 4 ოთახი, რომელშიც თავსდება 12 კაცი. როდესაც სასტუმროს სტუმრობს ჯგუფი, შესაძლებელია 16 კაცის დატევაც. სასტუმრო სტუმრებს სთავაზობს: უფასო ინტერნეტს, მანქანების საპარკინგე ადგილს, ასევე ველოსიპედებს ქალაქში გადასაადგილებლად. დილით სტუმრებს უმასპინძლდება საუზმით, რომლის ფასიც 5 ლარია. ფასი დაბალია, ვინაიდან პროდუქტების შეძენა არ ხდება ადგილობრივ ბაზარზე, ოჯახს აქვს ნაკვეთი სადაც მოჰყავს სოფლის მეურნეობის პროდუქტები. სხვა საოჯახო სასტუმროები, რომლებიც ყიდულობენ პროდუქტს ბაზარზე, სტუმრებს საუზმეს 7-10 ლარის ფარგლებში სთავაზობენ. სასტუმრო ტურისტების მოზიდვას ახდენს სოციალური ქსელის მეშვეობით, ასევე დარეგისტრირებულია ისეთ საიტებზე, როგორიცაა: Booking.com, Tripadvisor.com და სხვა. ასევე სხვადასხვა ტურისტული სააგენტოები უგზავნიან მას მომხმარებლებს, ასეთ სააგენტოებს შორისაა Milky Way Travel. სასტუმრო ასევე შეტანილია Lonely Planet- ის ერთ-ერთ გამოცემაში გორში არსებულ სხვა ორ საოჯახო სასტუმროსთან (სასტუმრო ,,Sveta'' და სასტუმრო ,,Levani'') ერთად. სასტუმრომ 2018 წლის მარტში მიიღო 15 ტურისტი. აპრილში - 25, ხოლო მაისის პირველ ნახევარში სეზონის გახსნის შედეგად - 70 ტურისტი. ,,Nitsa'' სტუმრებს სურვილისამებრ სთავაზობს ტურებს: გორიჯვარზე, უფლისციხეში და ატენში. საღამოს კი სტუმრებს საშუალება აქვთ თავიანთი ხელით გააკეთონ ქართული კერძები და მოუსმინოს ცოცხალ შესრულებას პიანინოს ან გიტარის თანხლებით. სტუმრებს ასევე ასაჩუქრებენ სახლში დამზადებული ნატურალური ღვინით.

ამრიგად, საქართველოში ტუროპერეიტინგული გარემოს შესაქმნელად საჭიროა ფუნქციონირების წესების ცოდნა და პროგრამული ტურიზმის პრინციპებით ხელმძღვანელობა, რომელიც გულისხმობს სათანადო ინფრასტრუქტურის, შესაბამისი მატერიალური ბაზის, საინფორმაციო ქსელისა და ტურისტთა ნაკადების არსებობას. პროგრამირების საფუძველი კეთილმოწყობილი რეკრეაციული გარემოა და რომ კარგი პროგრამა მდიდარი ტურისტული რესურსების შემთხვევაში იქმნება. ტუროპერეიტინგში არსებობს აგრეთვე თავისი ტრადიციები. მიმზიდველი ტურისტული პროდუქტის (ტურის) შექმნა, რომელიც გაჯერებული იქნება მრავალფეროვანი პროგრამებითა და მომსახურებით, ტუროპერატორის მოღვაწეობის მთავარი ამოცანაა. ტუროპერატორის საქმიანობა, თავისი შინაარსით, მომხმარებელთა მომსახურებაა; ეს რთული და მრავალასპექტიანი საქმიანობაა, რაც შესაბამის ცოდნას მოითხოვს.

ლიტერატურა და წყაროები:

1. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია - https://gnta.ge
2. სახელმძღვანელო შემომყვანი ტურიზმის ბიზნესის დასაგეგმად, მეორე გამოცემა, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია. თბილისი, 2016.
3. კ. არაბული, ტუროპერეიტინგი, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2015.

სოციალური მეცნიერებანი

კულტურის ცნების საკითხისათვის

ნინო გელაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელები: **კლარა ელჩიბეგაშვილი,** პროფესორი
ნანა ნადირაძე, მოწვეული სპეციალისტი

საინტერესოა თვითონ სიტყვის ,,კულტურა" ისტორია. იგი წარმოდგება ლათინური სიტყვიდან culture, რომელიც, თავის მხრივ, მომდინარეობს colere-დან. იგი ნიშნავს დასახლებას, კულტივირებას, მფარველობას, თაყვანისცემას და მოწიწებას. შემდეგ თითოეულმა მნიშვნელობამ საკუთარი სიტყვა შეიძინა. მაგ., დასახლება - colonus, თაყვანისცემა, მოწიწება - cultus, კულტი. შუა საუკუნეების ევროპულ ენებში კულტურა აღნიშნავდა მცენარეთა და ცხოველთა ჯიშის გამოყვანას და კულტივირების პროცესს.

კულტურის ცნებამ თანამედროვე მეცნიერული მნიშვნელობა შეიძინა 18 სს. (ჯ. ვიკო, ი.გ. ჰერდერი, შ. მონტესკიე). ახალმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა ევროპელებს მრავალი ერი და კულტურა გააცნო. ამან გაზარდა ინტერესი საკუთარი კულტურის, კულტურის ღირებულებების, იდეალების, ნორმებისა და ცხოვრების წესის მიმართ. კულტურა შესწავლის საგანი ხდება. ამ დროს კულტურულობა პროგრესულობას, დადებით შეფასებას გულისხმობს. მე-19 საუკუნეში კულტურის ცნება კარგავს შეფასებით ნიშანს, აღარ აღნიშნავს საზოგადოებრივი ყოფიერების მაღალ დონეს. შემდეგ მისგან ქრება რომანტიკული მინიშნებები, რაც კულტურას აძლევდა უნიკალურობის, შემოქმედებითი აღმაფრენის, სულიერებისა და ყოველდღიური უფერული ცხოვრებიდან გაქცევის ნიშნებს. კულტურა აღარ არის არც მხსნელი და არც არავის არსებობის გამართლების საფუძველი. კულტურა არის ადამიანის ნახელავი. ადამიანი მასში ეძებს საკუთარ თავს, მხოლოდ ამ სარკეში შეუძლია მას დაინახოს თავისი თავი.

კულტურის უზოგადესი ნიშანია ხელოვნურობა. იგი რეალობის განსაკუთრებული სახეა, რომელიც შექმნილია ადამიანის მიერ. ბუნებისა და მეტაფიზიკური სინამდვილის გვერდით იგი არის რეალობის თავისებური სახე. იგი არც ბუნებრივია და არც ზებუნებრივი, არამედ ადამიანის მიერ შექმნილი რეალობა. იგი ადამიანის თავისუფლებისა და მეტაფიზიკურობის გამოვლინებაა. კულტურა არის არსისა და ჯერარსის სინთეზი ადამიანური შესაძლებლობების ფარგლებში. კულტურის ბირთვს ქმნის იდეალების, ღირებულებების, ნორმების, ნიშნების, ტრადიციის და წეს-ჩვეულებების ერთობლიობა, რაც ადამიანური მოქმედების საწყისი და საფუძველია, რომელიც რეალიზდება ცხოვრების წესში. კულტურის არსებობის თავისებურება ისაა, რომ იგი არ გადაეცემა გენეტიკურად, არამედ აღზრდა-განათლების გზით. კულტურა თავის დასრულებას ნახულობს სამყაროს კულტურულ სურათში, მსოფლმხედველობაში, რომელიც ყალიბდება ერის კულტურის არსებობის მანძილზე, ამიტომ განსხვავებული კულტურის ადამიანები განსხვავებულად აღიქვამენ, განიცდიან, გრძნობენ სამყაროს.

კულტურა, როგორც სოციალური და კულტურული გამოცდილების კვლავწარმოების მექანიზმი, არის წარსული-აწმყო-მომავლის კავშირის ფორმა და შესაძლებლობა. იგი ადამიანებს ეხმარება იცხოვრონ და განვითარდნენ გარკვეულ სოციო-კულტურულ გარემოში და შეინარჩუნონ საზოგადოების ერთიანობა და მთლიანობა.

კულტურა არის ადამიანის, ერის ინდივიდუალურობის, თვითმყოფადობის, თვითგამოვლენის, თვითგამოხატვის ფორმა, რომელიც რეალიზდება ცხოვრების წესში. კულტურა ერის კულტურული და ფიზიკური თვითშენახვის სტრატეგიის გამოხატულებაა. რამდენადაც კარგად ასრულებს კულტურა ამ ამოცანას, მით უკეთ პასუხობს კულტურა იტორიული ეპოქის მოთხოვნებს. სწორედ ეს არის კულტურული ცვლილების მიზეზი და კულტურის შეფასების კრიტერიუმიც.

მას შემდეგ, რაც განისაზღვრა კულტურის ზოგადი ცნება, ახლა უნდა გამოიკვეთოს მისი ინდივიდუალობის დამახასიათებელი ნიშანი, რითაც ერთი კულტურა განსხვავდება მეორისაგან. კულტურის დასახასიათებლად უნდა მონახული იქნეს ის ღირებულებები, ნიშნები, ნომრები, იდეალები და ცხოვრების წესი, რომელიც ამ კულტურისთვისაა დამახასიათებელი. რა არის ამ კულტურის ღირებულებათა სისტემა, როგორია მისი იერარქიული წესრიგი და რა არის ამ იერარქიის დადგენის პრინციპი. კულტურის განუმეორებლობას მისი ელემენტების კონფიგურაციის თავისებურება ქმნის. იგი ეფუძნება საკრალურის გაგებას. საკრალურის გაგება ქმნის კულტურის უნიკალურობის ბირთვს.

კულტურა გაიგებს და გამოთქვამს (გააცხადებს) ადამიანი -- ღვთაებრივის მიმართების ბუნებას, რაც აფუძნებს კულტურას, როგორც ადამიანის ყოფიერების წესს. ესაა მშვენიერების, ჭეშმარიტების, სიკეთის, წმინდანისა და გმირობის იდეალების, მორალური და იურიდიული ნორმების, დაწერილი და დაუწერელი ნორმების იერარქიული წესრიგი, რომლებიც წარმართავენ ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებას. კულტურა არის ერის ისტორიით, მენტალობითა და გეოგრაფიული არეალის თავისებურებით განპირობებული დიალოგი და ჰერმენევტიკული გაგება საკრალურისა, სიწმინდისა. სიწმინდის გაგება არის უღრმესი საფუძველი კულტურის თვითმყოფადობისა, რომელიც საფუძვლად უდევს ამ კულტურის ღირებულებათა სისტემას.

ფილოსოფიას აინტერესებს კულტურა, როგორც ადამიანის შემოქმედების შედეგი. ადამიანი არსებობს სამყაროში, ბუნებაში, მაგრამ ადამიანი ქმნის მეორე ბუნებას - კულტურას. ეს არის ობიექტივირებული გონი. კულტურა ადამიანის გარდამქმნელი აქტივობის და ასევე რეალობის პრინციპული უკმარისობის გამოხატულებაა. კულტურა წარმოადგენს ადამიანის თავისუფლების გამოხატულებას. ადამიანმა შექმნა ახალი რეალობა. უნდა გაირკვეს, თუ რატომ შექმნა ადამიანმა კულტურა და შეიძლება თუ არა კულტურის შემეცნებით შევიმეცნოთ ადამიანი და როგორია კულტურის, როგორც არსებობის განსაკუთრებული წესის, არსებობის ფორმა, მისი განვითარების წესრიგი. რა გაჩნდა კულტურასთან ერთად სამყაროში, სიკეთე თუ ბოროტება? რამდენად გამოხატავს კულტურა გონების ან ადამიანის არსებას? აქვს თუ არა მიზანი ან წესრიგი ადამიანური კულტურის განვითარებას. მას მივყავართ პროგრესისაკენ თუ ეკოლოგიური კატასტროფისაკენ. ფილოსოფიას სურს გაარკვიოს კულტურის ფენომენის არსი ადამიანის ისტორიულ და გონით განვითარებაში, თუ რა არის კულტურა.

რაც შეეხება სამეცნიერო მიმოქცევაში კულტურის ცნების შემოტანას, ის დაკავშირებულია რომაელი ორატორისა და მოაზროვნის ციცერონის სახელთან. იგი ლაპარაკობს გონების კულტურაზე, მისი აზრით ფილოსოფია არის გონების კულტურა. კულტურის ცნებაში ის მოიაზრებდა ტრადიციების და ინსტიტუტების ერთობლიობას. ციცერონისათვის კულტურა წარმოადენს პიროვნებისა და საზოგადოების სრულყოფილ ერთიანობას, მისი აზრით ამის მაგალითია რომის იმპერია. რომაელები, გერმანელებისგან განსხვავებით, არიან კულტურულები, ხოლო გერმანელები იმის გამო, რომ მათ არ აქვთ სახელმწიფო, არიან, ციცერონის და მისი მოწაფის ტაციტუსის მიხედვით, ველურები ანუ ბარბაროსები.

შუა საუკუნეებსა და რენესანსში მრავალი მოაზროვნე ეხება ადამიანისა და მისი საქმიანობის ფორმებს, თუმცა მათ ნააზრევში ტერმინი კულტურა არ გვხვდება.

ახალ დროში კი კულტურის ცნების კვლავ, ოღონდაც გარკვეული განსხვავებული შინაარსით მოხმარება დაკავშირებულია ინგლისელი მოაზროვნის ფრენსის ბეკონის სახელთან. მისი კულტურის კონცეფციაში არსებითია ადამიანისა და ბუნების მიმართების საკითხი. მისი აზრით კულტურა აღმოცენდება ადამიანისა და ბუნების ურთიერთმოქმედების შედეგად. ბეკონს კულტურის ძირითად ელემენტებად მიაჩნია მეცნიერება და ხელოვნება, რომლებიც, მისი აზრით, ის ძირითადი საშუალებებია ადამიანის ხელში, რითაც ხდება ადამიანის ბუნებაზე გაბატონება. ხელოვნება ბეკონთან გაიგება არა მხოლოდ როგორც ადამიანის მხატვრული საქმიანობის რეზულტატი, არამედ ხელოვნება მას ესმის, როგორც ყოველგვარი პრაქტიკული ცოდნა, რომელიც აუცილებელია ბუნების ძალების დასაუფლებლად.

თ. ჰობსი კულტურის ძირითად ფენომენად სახელმწიფოს თვლის. მისი აზრით კულტურის პრობლემა არსებითადაა დაკავშირებული საზოგადოებრიობის პრობლემასთან. თვით კულტურის ცნების გაგებაში ჰობსი ციცერონის მემკვიდრედ გვევლინება. კულტურის ცნებაში ჰობსთან მოაზრებულია ისეთი კატეგორიები, როგორიცაა შრომა, გარდაქმნა, აღზრდა.

ჰერდერი კულტურის ცნებას უკავშირებს ჰუმანურობას. კულტურის განვითარება, ჰერდერის აზრით, ისტორიის კანონია.

კანტის კულტურის ცნებაში აუცილებელ ელემენტად შეაქვს ზნეობა. კულტურული ანუ ზნეობრივი ადამიანი კანტის აზრით სხვა ადამიანს უნდა განიხილავდეს, როგორც მიზანს და არა როგორც საშუალებას თავისი საკუთარი მიზნის მისაღწევად.

კულტურა არის განხორციელებული ღირებულებები, რომელსაც აქვს საზრისი. კულტურის ამგვარი გაგება გვამცნობს ღირებულების ცნების მნიშვნელობას კულტუროლოგიისათვის, ღირებულება კი, თავის მხრივ, დაკავშირებულია ადამიანის თავისუფლებისა და შემოქმედების ცნებებთან.

ლიტერატურა:

1. ვალერიან რამიშვილი, ,,ფილოსოფია", გამომცემლობა ,,მერიდიანი", თბილისი, 2010, ,,კულტურის ცნება" გვ. 255, 256, 257.
2. აკაკი ყულიჯანაშვილი, ,,კულტურის თეორია", გამომცემლობა ,,უნივერსალი", თბილისი, 2009.

სამართალი

ფიზიკური პირის ქმედუნარიანობის შედარებით-სამართლებრივი ანალიზი

თამთა ბალახაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ლაშა ხომასურიძე,** მოწვეული სპეციალისტი

სამოქალაქო სამართლის როლი და მნიშვნელობა საზოგადოების სოციალური და ეკონომიკური არსებობა-განვითარებისათვის უმნიშვნელოვანესია, რადგან მასზეა დამოკიდებული სამოქალაქო ბრუნვის არსებობა და კომერციული ურთიერთობების სტაბილურობა. მართალია მსოფლიო გლობალიზაციის პროცესმა ძალიან მნიშვნელოვანი გარდატეხა შეიტანა მეცნიერების განვითარებაში, განსაკუთრებით კი ეკონომიკის დარგში, თუმცა, მიუხედავად ამისა, დღეს იქნება ეს ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებს შორის, ან თუნდაც სახელმწიფოებს შორის, იურიდიული და სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მათი სტაბილურად ურთიერთობა პრაქტიკულად წარმოუდგენელია.

მოქმედი სამოქალაქო კოდექსი 1997 წლის 25 ნოემბრიდან ამოქმედდა. ახალი სამოქალაქო კოდექსის მიღება უმნიშვნელოვანესი ნიშანსვეტია ქვეყნის კანონშემოქმედების განვითარებაში. სამოქალაქო სამართალი ყოველდღიურობის მომწესრიგებელ ურთიერთობებს, ყველასა და თითოეულს ეხება, ვინაიდან სამოქალაქო სამართლის ფუძემდებლური პრინციპია პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ქონებრივი, საოჯახო და პირადი ხასიათის ურთიერთობები, რაც იმას ნიშნავს, რომ სამოქალაქო სამართალი აღჭურავს მოქალაქეებს პირადი თავისუფლებითა და ძალდატანების გარეშე მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებით, განსაზღვრავს მოქალაქეთა საოჯახო ურთიერთობებს, მათ უფლებებს ქონებაზე, მოქალაქეთა შორის მუდმივად მიმდინარე სამსახურისა და ღირებულებათა ურთიერთგაცვლას.

სამოქალაქო სამართლის სუბიექტები შეიძლება იყვნენ ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებსაც გააჩნიათ სამოქალაქო უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა. უფლებაუნარიანობა ანუ ჰქონდეს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები, ქმედუნარიანობა - თავისი ნებითა და მოქმედებით სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები.

აღნიშნულ თემაში ვისაუბრებთ ფიზიკური პირის ქმედუნარიანობაზე, განსაკუთრებულ აქცენტს გავაკეთებთ ქმედუნარიანობის შეზღუდვის საფუძვლებზე და მხარდამჭერის მიმღების ინსტიტუტზე.

„ქმედუნარიანობა არის პირის უნარი, თავისი ნებითა და მოქმედებით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები. უფლებაუნარიანობისგან განსხვავებით ქმედუნარიანობას ადამიანი დაბადებისთანავე არ იძენს. კონკრეტული ქვეყნის სამართალი აღჭურავს ამ უნარით იმ პირებს, რომლებმაც განსაზღვრულ ასაკს მიაღწიეს ან აქვთ ნორმალური განსჯის უნარი და შეუძლიათ ანგარიში გაუწიონ თავიანთ მოქმედებებებს.“[1] ამიტომ ქმედუნარიანობა ყოველთვის დაკავშირებულია ამა თუ იმ გარემოებასთან. ასაკობრივი საფეხურების მიხედვით ფიზიკურ პირთა ქმედუნარიანობას განსაზღვრავს თითქმის ყველა ქვეყნის სამართალი.

სამოქალაქო კოდექსის თანახმად სრულწლოვნად ითვლება პირი, რომელმაც მიაღწია თვრამეტი წლის ასაკს და, შესაბამისად, იგი არის სრული ქმედუნარიანი, რომელსაც დამოუკიდებლად შეუძლია განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები, სამოქალაქო კოდექსი უშვებს გამონაკლისს, როდესაც ფიზიკური პირი შესაძლებელია გახდეს ქმედუნარიანი, როდესაც პირს, მართალია, ჯერ კიდევ არ მიუღწევია სრულწლოვანების ასაკამდე, მაგრამ განსაზღვრული პირობების არსებობისას სამართალი მას უთანაბრებს სრულწლოვან პირებს, კერძოდ, თექვსმეტი წლის ასაკს მიღწეული არასრულწლოვანი შეიძლება მიჩნეულ იქნეს შეუზღუდავ ქმედუნარიანად, თუკი კანონიერი წარმომადგენელი მას მიანიჭებს საწარმოს დამოუკიდებლად გაძღოლის უფლებას.

სამოქალაქო კოდექსის თანახმად, შვიდ წლამდე ასაკის არასრულწლოვანი ქმედუუნაროა, და მის მაგივრად სამოქალაქო-სამართლებრივ უფლება მოვალეობებს მისი კანონიერი წარმომადგენლები ახორციელებენ.

[1] ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, გვ. 179

ქმედუნარიანობის და ქმედუუნარობის ინსტიტუტის პარალელურად სამოქალაქო კოდექსი იცნობს შეზღუდული ქმედუნარიანის ინსტიტუტსაც. ეს აიხსნება იმით, რომ კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობის შესაძლებლობა იმ პირებსაც უნდა ჰქონდეთ, რომლებიც მართალია ჯერ კიდევ არ არიან სრულწლოვანნი, მაგრამ „მათი გონება და განსჯის უნარი არ გამორიცხავს სამოქალაქო უფლებების შეძენის შესაძლებლობას.“[1] აღსანიშნავია, რომ ქმედუნარიანობის შეზღუდვა შესაძლებელია კანონით მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევებში. პირველი შემთხვევაა, შვიდიდან თვრამეტი წლის ასაკამდე არასრულწლოვანი შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონეა. მეორე შემთხვევაა, ადამიანი შეიძლება იყოს სრულწლოვანი, მაგრამ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა არ აძლევდეს მას ნორმალური განსჯის უნარს, კერძოდ მისი გონებრივი შესაძლებლობები უტოლდება არასრულწლოვანის გონებრივ შესაძლებლობებს და მესამე, „ქმედუნარიანობის შეზღუდვის საფუძველს წარმოადგენს ალკოჰოლის ან ნარკოტიკული ნივთიერებების ბოროტად გამოყენება, რის გამოც პირი თავის ოჯახს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს.“[2] თავისთავად ალკოჰოლის ან ნარკოტიკული ნივთიერებების გამოყენება არ არის ქმედუნარიანობის შეზღუდვის საფუძველი. აუცილებელია, რომ ამით პირი ოჯახს აყენებდეს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში.

ქმედუნარიანობის შეზღუდვა დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე შეუძლია მხოლოდ საქართველოს საერთო სასამართლოებს, სამედიცინო დასკვნის საფუძველზე და ქმედუნარიანობის შეზღუდვის მოხსნაც ისევ საერთო სასამართლოების პრეროგატივაა, მას შემდეგ, რაც მოისპობა ქმედუნარიანობის შეზღუდვის საფუძველი.

საინტერესოა, როგორ უნდა განახორციელოს შეზღუდულმა ქმედუნარიანმა პირმა სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები, ამასთან დაკავშირებით სამოქალაქო კოდექსი ორ შემთხვევას ითვალისწინებს, ესენია თანხმობა და მოწონება გარიგებაში, ანუ ეს ის შემთხვევებია, როდესაც შეზღუდულ ქმედუნარიანს სჭირდება წინასწარი თანხმობა, თავის კანონიერი წარმომადგენლისგან გარიგების დასადებად ან გარიგების დადება წინ უსწრებს ასეთ თანხმობას, რომელსაც სამოქალაქო კოდექსი გარიგების შემდგომ „მოწონებას“ უწოდებს. თუ გარიგებას არ ახლავს შეზღუდული ქმედუნარიანის კანონიერი წარმოადგენლის „თანხმობა“ ან „მოწონება“, ასეთი გარიგება ბათილად მიიჩნევა, თუმცა ისე არ უნდა გავიგოთ, რომ შეზღუდულ ქმედუნარიანს ყოველთვის სჭირდება კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა/მოწონება, ცალკეულ შემთხვევებში იგი უფლებამოსილია დამოუკიდებლადაც დადოს გარიგება, კერძოდ ყოველდღიური წვრილმანი, საყოფაცხოვრებო გარიგებები, კერძოდ, მაღაზიაში ყოველდღიური მოხმარების ნივთების შეძენა და მეორე შემთხვევაა, როდესაც არასრულწლოვანი გარიგებით იღებს სარგებელს და მას არანაირი მოვალეობა არ ეკისრება, კონკრეტულად, სარგებლის ცნების დეფინიციას მოქმედი სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა, და გარიგებამ შეზღუდულ ქმედუნარიანს სარგებელი მოუტანა თუ არა, უნდა გადაწყვიტოს მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა, შეფასებისას მხედველობაში მიიღება არა მხოლოდ ეკონომიკური მხარე, არამედ პედაგოგიური ასპექტიც.

2015 წალმდე სამოქალაქო კოდექსის თანახმად, გარდა 7 წლამდე მცირეწლოვნებისა, ქმედუუნაროდ მიიჩნეოდა სრულწლოვანი პირი, რომელიც, ჭკუასუსტობის ან სულით ავადმყოფობის გამო, სასამართლომ ქმედუუნაროდ მიიჩნია, განსხვავებით შეზღუდული ქმედუნარიანი პირებისგან, რომელთაც წარმომადგენლის თანხმობით შეუძლიათ დადონ გარიგებანი, ქმედუუნარო პირები ამ შესაძლებლობას მოკლებულნი იყვნენ და გარიგებებს მათი სახელით მათი წარმომადგენლები დებდნენ. ქმედუუნაროდ მიჩნეულ პირებს ეკრძალებოდათ ისეთი მარტივი, წვრილმანი გარიგებების დადებაც კი, როგორიცაა საკვების, საყოფაცხოვრებო ნივთებისა თუ სამგზავრო ბილეთების შეძენა. 2014 წლის 8 ოქტომბრის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, აღნიშნული მიდგომა მოისპო და ქმედუუნარო პირი გახდა მხარდამჭერის მიმღები, შეიცვალა არა მხოლოდ ტერმინი, არამედ სამართლებრივი მიდგომაც.

„მხარდამჭერის მიმღები არის პირი, რომელსაც აქვს მყარი ფსიქიკური, გონებრივი/ინტელექტუალური დარღვევები; ამ დარღვევათა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ პირის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში.“[3] ამ ტერმინის შემოღებამდე პირი რომ ქმედუუნაროდ მიგვეჩნია, მხოლოდ და მხოლოდ სამედიცინო დასკვნის წარდგენა იყო საჭირო სასამართლოში, რომ პირს აქვს მყარი ფსიქიკური დარღვევები, „რაც პრინციპულ წინააღმდეგობაში მოდის საერთაშორისო მიდგომასთან, რადგან კონვენცია „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა

[1] დ. კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., 2009.
[2] ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, გვ. 183.
[3] www.gccc.ge მე-12 მუხლის კომენტარი

უფლებების დაცვის „მსგავს მიდგომას მიიჩნევს ადამიანის ფუნდამენტური უფლებების შეზღუდვად“[1] საერთაშორისო მიდგომის გათვალისწინებით სამედიცინო დასკვნა არ არის საკმარისი ფაქტობრივი გარემოება იმისთვის, რომ დღის წესრიგში დადგეს პირის სამოქალაქო ქმედუნარიანობის განხილვის საკითხი, ამისთვის საჭიროა მყარი ფსიქიკური დარღვევები ხელს უშლიდეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მის სრულ ეფექტიან მონაწილეობას, მხარდამჭერის ინსტიტუტის შემოღებით, უპირველესად, კანონმდებელმა უარი თქვა წარსულში არსებულ მიდგომაზე, რომლის თანახმად, „პირს სრულიად წართმეული ჰქონდა სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში, არათუ დამოუკიდებლად, არამედ მეურვის დახმარებით მონაწილეობის უფლება, მისი ნება მხარდაჭერილი კი არ იყო, არამედ ჩანაცვლებული იყო მეურვის ნებით, კანონმდებელი მიიჩნევს, რომ ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირს (მხარდამჭერის მიმღებს) გააჩნია სამოქალაქო ქმედუნარიანობა, თუმცა შესაძლოა, მისი ფსიქიკური, გონებრივი მდგომარეობისა და სოციალური უნარ-ჩვევების გამო მას სამოქალაქო-სამრთლებრივი უფლებებისა და მოვალეობების განხორციელების პროცესში დამოუკიდებლად არ შეეძლოს სრული და ეფექტიანი მონაწილეობა და ამისათვის საჭიროებდეს მხარდამჭერის დახმარებას“[2], მხარდამჭერი კი შესაძლებელია იყოს როგორც მხარდამჭერის მიმღების ოჯახის წევრი, ასევე მისი ახლობელი, ამას სასამართლო გადაწყვეტს მხარეთა მოთხოვნით და მხარდამჭერის მიმღების ინტერესებიდან გამომდინარე.

მხარდამჭერის მიმღები შეიძლება იყოს როგორც სრულწლოვანი, ისე არასრულწლოვანი. არასრულწლოვანს მხარდამჭერი აძლევს თანხმობას ამა თუ იმ სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობის და სრულწლოვანს მხოლოდ რჩევებს. ასევე მხარდამჭერი ყველა საკითხში როდი ეხმარება მხარდამჭერის მიმღებს გადაწყვეტილების მიღებაში, არამედ მხოლოდ სასამართლოს მიერ განსაზღვრულ შემთხვევებში.

2014 წლის 8 ოქტომბრის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამ დაუდო საფუძველი სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის მე-5 ნაწილში (არა მხოლოდ) ცვლილებას და „ქმედუუნარო“ შეცვალა „მხარდამჭერის მიმღებმა“. ნორმის შინაარსი ასეთი ფორმით ჩამოყალიბდა სამოქალაქო კოდექსში 2015 წლის 1 აპრილისათვის, ეს ცვლილება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ორმა მნიშვნელოვანმა გარემოებამ განაპირობა: ა) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება; ბ) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დაცვის კონვენციით აღებული ვალდებულებებით.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ნორმის ის შინაარსი, რომლის თანახმად ჭკუასუსტობის ან სულით ავადმყოფობის გამო პირი მიიჩნეოდა ქმედუუნაროდ, ცნობილ იქნა არაკონსტიტუციურად კონსტიტუციის მე-14 და მე-16 მუხლებთან მიმართებაში. გადაწყვეტილების მიხედვით, დაუშვებელია პირს სრულად წაერთვას ქმედუნარიანობა მისი ინდივიდუალური გონებრივი შესაძლებლობების გათვალისწინების გარეშე. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების გაეროს კონვენცია საქართველოს მიერ რატიფიცირებულ იქნა 2013 წლის 26 დეკემბერს, რითაც საქართველომ აიღო ვალდებულება სამართლებრივად უზრუნველყოს კონვენციით აღიარებული უფლებების დაცვა. კონვენციის თანახმად: „წევრი-სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას ა) მიიღონ ყველა საჭირო საკანონმდებლო, ადმინისტრაციული ან სხვა ზომა ამ კონვენციით აღიარებული ყველა უფლების უზრუნველსაყოფად; ბ) მიიღონ ყველა საჭირო ზომა, საკანონმდებლოს ჩათვლით, რათა შეცვალონ, ან გააუქმონ კანონები, დადგენილებები, ადათები და პრაქტიკები, რომლებიც დისკრიმინაციულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიმართ“. ნორმის ამ სახით ჩამოყალიბების მიზანი ფსიქიკური ან გონებრივი/ინტელექტუალური დარღვევების მქონე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის მიმართ წარსულში არსებული უთანასწორო, დისკრიმინაციული მიდგომის აღმოფხვრაა. ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირი სხვებთან თანასწორ პირობებში თავისი ნებით განახორციელებს საკუთარ სამოქალაქო უფლებებსა და მოვალეობებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ფიზიკური პირისათვის, რომ მან დაუბრკოლებლად განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები, ამისათვის ქმედუნარიანობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, თუმცა როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, ფიზიკურ პირს შეეზღუდოს ქმედუნარიანობა და გარიგებების დადებისას სამოქალაქო სამართლის სუბიექტი გახდეს მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით/მოწონებით, ან თუ ფიზიკურ პირს აქვს მყარი ფსიქიკური დარღვევები სამოქალაქო უფლება-მოვალეობების განხორციელებისათვის დაენიშნოს მხარდამჭერის დახმარება, ორივე შემთხვევაში მეურვეს ან მხარდამჭერს ფიზიკურ პირს უნიშნავს სასამართლო, ისევ და ისევ ამ ფიზიკური პირის

[1] სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, 2017, მუხლი მე-12, გვ. 72.

[2] იქვე

კეთილდღეობისათვის, რომ მას სამოქალაქო ურთიერთობებში, იმის გამო, რომ მან ვერ გააცნობიეროს გარიგების არსი, დაეკისროს იმაზე მეტი პასუხისმგებლობა/ვალდებულება, ვიდრე მისი ვალდებულებაა.

არ შეიძლება, რომ 2015 წელს განხორციელებული ცვლილებები სამოქალაქო კოდექსში დადებითად არ მივიჩნიოთ, რადგან ტერმინი „ქმედუუნარო" და ამასთანავე ის სამართლებრივი შედეგები, რაც მას მოჰყვებოდა ნამდვილად დისკრიმინაციის ქვეშ ამყოფებდა შშმ პირებს. წინგადადგმულ ნაბიჯთან ერთად, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ დღევანდელ რეალობაში მხარდამჭერის მიმღები და მხარდამჭერი, თითქმის ყველა შემთხვევაში, მხოლოდ კოდექსის ფურცელზე რჩება და რეალობაში, სამწუხაროდ, ისევ ქმედუუნაროს და მეურვეს ვხედავთ, რაც ჩემი აზრით, განპირობებულია ქვეყნის მენტალიტეტით და იმით, რომ „ქმედუუნაროს" ინსტიტუტი იმდენად დიდხანს არსებობდა, რომ საზოგადოებამ დიდად ვერ განასხვავა „მხარდამჭერის მიმღები" „ქმედუუნაროსგან", თუმცა, ვფიქრობ, რომ ეს სიტუაცია რამდენიმე წელში გამოსწორდება, მანამდე კი კანონმდებლის ეს ნაბიჯი შეგვიძლია შევაფასოთ მხოლოდ დადებითად.

ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია, თბ., 1995.
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997.
3. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენცია
4. ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011.
5. დ. კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები. თბ., 2009.
6. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბ., 2001.
7. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბ., 2017.
8. 2014 წლის 8 ოქტომბრის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, №2/4/532,533
9. www.gccc.ge
10. http://court.ge/
11. www.constcourt.ge
12. http://www.library.court.ge

ილია ჭავჭავაძის სამართლებრივი აზროვნება

ქეთევან ბერიანიძე
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მალხაზ ლომსაძე,** ასოცირებული პროფესორი

ილია ჭავჭავაძემ, სხვა დიდ ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან ერთად, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი დაცემული ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას, იგი ყველაფერს აკეთებდა ქართული ენისა და ზოგადად ქართული კულტურის გათელილ ტრადიციათა ასაღორძინებლად და უწინარეს ყოვლისა, თავგანწირვით იბრძოდა ყოველივე ამის სამართლებრივი განმტკიცებისათვის.

თქვენი ყურადღება მინდა მივაპყრო ილიას სამართლებრივ აზროვნებაზე, ამ მიმართულებით ილიას ფენომენის მკვლევრებს არაფერი დაუწერიათ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ პროფესორ ოთარ გამყრელიძის ნაშრომს „ილია სამართლებრივი ნიჰილიზმის წინააღმდეგ". ილიას სამართლებრივი შეხედულებები ჩამოყალიბებული რომ ექნებოდა, ეს გასაკვირიც არ უნდა იყოს, რადგან ილია ჭავჭავაძე პეტერბურგის უნივერსიტეტში ოთხი წლის განმავლობაში სწავლობდა იურიდიულ ფაკულტეტზე , ეუფლებოდა ევროპის სამართლებრივი აზროვნების ფილოსოფიას და აყალიბებდა საკუთარ შეხედულებებს სამართლის საკითხებთან დაკავშირებით .

როგორც ცნობილია, ი. ჭავჭავაძე, გრძნობდა რა იმჟამად არსებულ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მიუწვდომლობას, გადაჭრით მოითხოვდა

საქართველოსთვის ფართო ავტონომიური უფლებების მიკუთვნებას, მათ შორის საკუთარი პარლამენტის შექმნას, ჩრდილოეთ ირლანდიის სამართლებრივ სისტემაზე მითითებით. „ნუთუ ჩვენ არ შეგვიძლიან, – შენიშნავდა ილია, – თამამად მოვითხოვოთ უბრალო, ბუნებრივი რამე, რომ ქართველის მიწა ქართველისათვის იყოს, ნუთუ ჩვენ არ შეგვიძლია მოვითხოვოთ, რომ კანონები, რომელიც ახლა პეტერბურგში იწერება, აქვე ადგილობრივ იწერებოდეს, რადგან რაც რუსისათვის სასარგებლოა, ის შეიძლება ქართველისათვის მავნე იყოს“. ეს კანონები კი უნდა იწერებოდეს „ჩვენის ქვეყნის მიერ არჩეულ წარმომადგენელთა კრებულისაგან“.

საყოველთაო საარჩევნო უფლება მე-19 საუკუნის მსოფლიოში ჯერ კიდევ დაუხვეწავი იყო, განვიხილოთ რამდენიმე ქვეყნის საარჩევნო სისტემები.

ნიდერლანდებში არჩევნებში მონაწილეობის უფლება ყველა მამაკაცს 1917 წლიდან მიეცა, ხოლო ქალებს 1919 წლიდან.

აშშ-ში ქალებმა არჩევნებში მონაწილეობის უფლება - 1918 წელს მიიღეს, საფრანგეთში - 1956 წლიდან, შვეიცარიაში - 1971 წლიდან, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შავკნიანმა მოსახლეობამ აშშ-ში არჩევნებში მონაწილეობის უფლება მოიპოვა 1960 წლიდან, ხოლო ზოგიერთ შტატში 1970 წლიდან.

ილია ამომრჩეველთა სფეროს გაფართოებისა და დემოკრატიული საარჩევნო სისტემების სამკვიდრების აქტიური მხარდამჭერი იყო.

ილია ამბობდა: „ხმა და არჩევანის უფლება მინიჭებული უნდა ჰქონდეს ყოველს ადგილობრივს მცხოვრებსა, რაკი სრულწლოვანია. მაშასადამე ყოველ მცხოვრებს , ყოველს მოღვაწეობაშიც ხვედრი წილი უნდა მიუძღვოდეს“.

ილია, წინააღმდეგი იყო რა უცხოეთისათვის ყოველგვარი ბრმა მიბაძვისა, არასოდეს ყოფილა ვიწრონაციონალური იდეების მქადაგებელი, არამედ ასევე ცდილობდა დანარჩენი მსოფლიოს სულიერი მონაპოვარიც ეროვნულში დაენერგა; ის ერთმნიშვნელოვნად უთანაგრძნობდა დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ სხვა ერებსაც. ამასთანავე, მიზნად დაისახა „პროგრამის“ – კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის ჩამოყალიბება. პირველსავე მუხლში ის მოითხოვს: „გაუქმდეს კავკასიის მხარის მმართველობისათვის შემოღებული ყველა განსაკუთრებული კანონი, ბრძანებულება და განკარგულება, რაც კი მიმართულია, საერთოდ, ადგილობრივი და კერძოდ, ქართველი მოსახლეობის კანონიერი და ადამიანური უფლებების შეზღუდვისაკენ“.

განსახილველი პროგრამის მომდევნო მუხლებში ი. ჭავჭავაძე ასევე ცალსახად მოითხოვს: „დაკანონდეს სინდისის, სიტყვის, ბეჭდვითი სიტყვის, კრებების, ორგანიზაციების, კავშირებისა და გაფიცვების თავისუფლება და უზრუნველყოფილ იქნეს იგი... უზრუნველყოფილ იქნეს პიროვნებისა და საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობა“ და სხვა უდავოა, რომ ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებებისათვის ბრძოლა ილიასდროინდელ საქართველოში, უწინარეს ყოვლისა, სწორედ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მნიშვნელოვან ბერკეტს წარმოადგენდა.

არ შეიძლება ყურადღება არ მივაპყროთ ილიას შეხედულებებს, რომელიც ადამიანთა უფლება-მოვალეობებს შეეხება: “რაც უნდა მდიდარი ქვეყანა იყოს ბუნებით, წერდა ილია, თუ იქ ჩემი და შენი, ე.ი კაცთა უფლება და მოვალეობა ძნელად გასარჩევია და არ არის საყოველთაოდ განსაზღვრული ცხადად და უცილოდ, იმ ხალხის წარმატება და კეთილდღეობა, თუ ყოველდღე უკან არ იწევს, შეფერხებული ხომ არის და არის!“

ქვეყნის მდიდარი რესურსები ქვეყნის განვითარებას ხელს ვერ შეუწყობს, თუ არ იქნება სამართალი საზოგადოებრივი ცხოვრების ავანგარდი. სამართლებრივი აზროვნება, რომელიც ილიას ჩამოუყალიბდა, სათავეს შუა საუკუნეებიდან იღებს.

ი. ჭავჭავაძე საუკუნოვანი ანექსიის პირობებში მყოფ საქართველოს არა მხოლოდ როგორც უბადლო მწერალი, სწორუპოვარი საზოგადო მოღვაწე უბიძგებდა თავისუფლებისაკენ, არამედ, აგრეთვე, როგორც ჩინებული სამართალმცოდნე.

მოცემული ლინეარულობისაგან განსხვავებით, ი. ჭავჭავაძესთან ადამიანი, როგორც სოციალური არსება, თავადვე ილტვის სამართლებრივი წესრიგისაკენ: „ადამიანი, – აღნიშნავს ილია, – ცალკედ ერთი სუსტი და უღონო დანაბადია: მისი სულიერი და ხორციელი ბუნება ისეა აგებული, რომ ცალკე ყოფნით, ვერანაირად მიაღწევს ბედნიერებასა. ამიტომაც იძულებული იქნა თავის მსგავს დანაბადთან ერთად ემოქმედნა. ამ მიზეზმა იმოქმედა, რომ ბოლოს ადამიანთაგან შესდგა საზოგადოება და საზოგადოებისაგან სახელმწიფო“. ამდენად, ი. ჭავჭავაძე ოდნავაც არ უკავშირებს განსახილველ პროცესს კლასობრივ განცალკევებას, ის სახელმწიფოს წარმოშობის ქვაკუთხედს ხედავს არა ინტერესთა ჭიდილში ზოგადად, არამედ მათ თანხვედრასა და ერთობაში. უფრო ზუსტად კი, აქ, სახელმწიფოს ფენომენის ამოხსნის თვალსაზრისით, „კლასობრივ დიფერენცირებულობას“ ადამიანის ბუნება, „ეკონომიკურ ბატონობას“ საერთო კეთილდღეობა, „უმცირესობის ნებასურვილს“ საერთო ნება და „სტიქიურობას“ კანონზომიერება

უპირისპირდება. ილიას ღრმა იურიდიულ განსწავლულობაზე თვალნათლივ მეტყველებს სწორედ ის გარემოებაც, რომ მან ღირსსაცნობად გამოიკვლია თვითმმართველობის პრობლემა. „ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, – წერს ამასთან დაკავშირებით ვ. აბაშმაძე, – რომ სახელმწიფო წყობილების ტრადიციული მოძღვრება ი. ჭავჭავაძემ სრულყო თავისი დროის ამოცანების შესაბამისად და მასში შეიტანა სრულიად ახალი მომენტი, კერძოდ, სახელმწიფო წყობილების ფორმა დაუკავშირა მრავალეროვან სახელმწიფოში მცხოვრებ ერთა პოლიტიკური გაერთიანებისა და მოწყობის ამოცანებს.

ლიტერატურა:
ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, წოდებათა თანასწორობა, ტ. 5, თბილისი, 1987, გვ. 19
ილია ჭავჭავაძე, ათტომეული, ტ. 5, 1955, გვ. 72
ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ცხოვრება და კანონი, ტ. 4, თბილისი, 1987, გვ. 300
ვ. აბაშიძე, ილია ჭავჭავაძე სახელმწიფოთა და სამართლის პრობლემები, თბილისი, 1987, გვ. 195
ო. გამყრელიძე, ბრძოლა სამართლიანი სახელმწიფოსთვის, თბილისი, 1998, გვ. 3
გურამ თევზაძე, „ილია ჭავჭავაძე და ახალი აზროვნება“, 2010.

კანონისმიერი გირავნობა

უტა გოგიძე
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ივანე ბალახაშვილი,** უფროსი მასწავლებელი

მოთხოვნის (კრედიტის) უზრუნველყოფის სამართალზე საუბრისას, პირველ რიგში, უნდა განვმარტოთ სიტყვა „კრედიტი“-ის მნიშვნელობა, იგი ლათინური სიტყვაა და „ნდობას“ ნიშნავს.[1] როდესაც ხელშეკრულების ერთი მონაწილე, კრედიტორი ასესხებს მოვალეს ფულს, გაუწევს რაიმე მომსახურებას ან საქონელს მიაწვდის საპასუხო შესრულების დაუყოვნებლივ მიღების გარეშე, ის ენდობა მოვალეს და დარწმუნებულია, რომ იგი დააბრუნებს ნასესხებ ფულს, ან გადაიხდის მომსახურებისა თუ საქონლის საფასურს. ამ ნდობას საფუძვლად უდევს პიროვნული ფაქტორი, ან მოვალის გადახდისუნარიანობა, მაგრამ სამართალი პიროვნული ნდობის იმედზე ვერ დარჩება, საჭიროა, რომ ვალის დაბრუნების საკითხი დამყარებული იყოს არა მოვალის კეთილსინდისიერებაზე, არამედ უფრო მყარ ფაქტორზე, კერძოდ, კრედიტის უზრუნველყოფაზე, როდესაც კრედიტი უზრუნველყოფილია მოვალის რაიმე ქონებით, მნიშვნელობა აღარ აქვს, მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის მიზეზს: არ სურს თუ არ შეუძლია ვალდებულების შესრულება, ვინაიდან კრედიტორს ხელი მიუწვდება მოვალის ქონებაზე, რომელიც კრედიტის უზრუნველსაყოფადაა გამოყენებული.

კრედიტის უზრუნველსაყოფად ვხვდებით ორი სახის გარიგებას, ესენია: გირავნობა და იპოთეკა.

გირავნობის ინსტიტუტი, ქართული სამართლის ძეგლების მიხედვით, რადგან სრულიად დაუმუშავებელია, ჩვენთვის უცნობია ის ნორმები, რომლითაც წესრიგდებოდა სანივთო სამართლებრივი ურთიერთობები ძველ საქართველოში, ვიდრე XIV საუკუნემდე. უფრო ადრინდელმა ქართული სამართლის ძეგლებმა გირავნობის შესახებ ჩვენამდე ვერ მოაღწია. ამ ინსტიტუტის შესახებ იურიდიული საბუთების უმრავლესობა განადგურდა. გადარჩა მხოლოდ ის საბუთები, რომლებიც გვიან შუა საუკუნეებს ეკუთვნის, მაგრამ არც ისინია სათანადოდ შესწავლილი და გამოკვლეული. შემორჩენილი მასალების საფუძველზე, ძველს საქართველოში „გირავნობა“-ს, „წინდ“-ს უწოდებდნენ, რაც კიდევ ართულებს გირავნობის ინსტიტუტის შესწავლას, ვინაიდან ძველ საქართველოში „დწინდვა“ ყიდვის

[1] ლ. ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბილისი, 2012, გვ. 13

მნიშვნელობითაც იხმარებოდა, ამიტომ ამ მასალების საფუძველზე ძნელია გავარკვიოთ ადგილ-მამული გაყიდულია თუ დაგირავებული.

გირავნობაზე საუბარი ჯერ კიდევ რომის სამართალში იყო, იგი უძველესი დროიდან წარმოადგენდა კრედიტის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას. ქართული სამართლის ძეგლების მიხედვით მას „წინდს“ უწოდებდნენ,

გირავნობის ინსტიტუტის განვითარებაზე გარკვეული გავლენა მოახდინა საქართველოს და მისი ცალკეული მხარეების მჭიდრო კულტურულურ-ეკონომიკურმა ურთიერთობამ ძველ საბერძნეთთან და ელინისტურ სამყაროსთან. ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საფიქრებელია, რომ გირავნობის ინსტიტუტი ადათობრივ სამართალზე იყო დაფუძნებული.

საინტერესოა მცირედ მიმოვიხილოთ გირავნობის ისტორია, სხვა ქვეყნების მაგალითზე: ძველ ირანში იგი ვალდებულების შესრულების ერთ-ერთ გარანტად ითვლებოდა. სესხის ხელშეკრულებას ხშირად თან ახლდა შეთანხმება გირავნობის შესახებ.

„სირიულ-რომაული სამართალი“-ც შეიცავდა დებულებას გირავნობის სამართლის შესახებ.

ძველ რომში კი, ისევე როგორც ძველ საბერძნეთში, ცნობილი იყო გირავნობის უძველესი ფორმულა, რომელიც გარკვეულწილად იჭრებოდა დღევანდელი იპოთეკის ფარგლებში, რომლის მიხედვითაც მოვალე თავის ადგილ-მამულს, ბაღ-ვენახს და საერთოდ უძრავ ქონებას მიჰყიდდა კრედიტორს უკან გამოსყიდვის უფლებით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შუა საუკუნეებში დასავლეთ ევროპასა და ბიზანტიაში, საქართველოსა და სომხეთში და ა.შ. ფარულად თუ აშკარად არსებობდა საკმაოდ მაღალი სასესხო პროცენტები.

ასეთი იყო საერთო გზა გირავნობის ინსტიტუტის წარმოშობა-განვითარებისა. არც საქართველო ყოფილა გამონაკლისი და ჩვენმა ქვეყანამაც დაახლოებით იგივე გზა განვლო, რაც სხვა ქვეყნებმა.

გირავნობის მომწესრიგებელი ნორმები თავმოყრილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 254-285 მუხლებში, სამოქალაქო კოდექსის მეორე წიგნში - სანივთო სამართალში, რაც განპირობებულია კანონმდებლობის ნებით, რომ დამგირავებლის საკუთრების უფლება განსაკუთრებული დაცვის ქვეშ იყოს. გირავნობის საგნის დაგირავებისას მესაკუთრე განკარგვის განსაკუთრებულ ფორმას მიმართავს, რა დროსაც ქონება მის მიერ გამოხატული ნების, მაგრამ არა პირდაპირი სარგებლის მიღების მიზნით შეიძლება გავიდეს მისი მფლობელობიდან. სწორედ ამიტომაა, რომ გირავნობა მხარეთა ორმხრივი გარიგებაა, რომელიც ვალდებულებითი ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნის არსებობაზეა დამოკიდებული. საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა კრედიტის უზრუნველყოფის ამ ფორმის ერთ-ერთ მიზნად გირავნობის საგნის მესაკუთრის დაცვის განსაკუთრებული რეჟიმის შექმნას ისახავს მიზნად, თუმცა რამდენად სრულყოფილია სამოქალაქო კოდექსის ნორმები ამ მიზნის განსახორციელებლად, სადავო საკითხია პრაქტიკაში. გირავნობა ყოველთვის წარმოადგენდა კრედიტორის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას, ანუ გირავნობის უფლება აქცესორული, დამატებითი ხასიათის უფლებაა და არ არსებობს ძირითადი უფლების გარეშე. აქცესორული ურთიერთობა მხოლოდ უფლებათა შორის ურთიერთობაა, რომელშიც ერთი ურთიერთობა ემსახურება მეორის მიზნებს, გირავნობის უფლება როგორც სანივთო უფლება, ვალდებულებითი ურთიერთობის უზრუნველყოფას ემსახურება.

გირავნობის უმთავრესი მიზანი არა მარტო კრედიტორის დაცვაა მოვალის თვითნებობისგან, არამედ იგი მოვალესაც იცავს, რადგან გაუთვალისწინებელი რისკებისგან იგი, ფაქტიურად, მოვალის დაზღვევის საშუალებაცაა, თუმცა გირავნობა, არსებითად, მოგირავნისთვის გამოგონილი ფასეულობაა.

გირავნობის საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ მოძრავი ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე. სწორედ საგანთა ეს გამიჯნულობა უდევს საფუძვლად მოთხოვნის უზრუნველყოფის მოცემულ საშუალებათა ინდივიდუალიზაციას. დღევანდელ რელობაში გირავნობის და იპოთეკის ცნებას ურევენ ერთმანეთში, რაც არასწორია. მათ შორის დიდი განსხვავებაა. იპოთეკა, გირავნობისგან განსხვავებით, იდება უძრავ ნივთებზე.

შესაძლებელია თუ არა, რომ ყველა მოძრავი ნივთი იყოს გირავნობის საგანი? ამაზე პასუხის გასაცემად უნდა მოვიშველიოთ სსკ-ს 147-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც გირაოს საგნად შეიძლება გამოყენებულ იქნას ისეთი სიკეთე, „რომელთა ფლობა სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომელთა შეძენაც შეიძლება შეუზღუდავად.“ რაც შეეხება არა მატერიალურ ქონებრივ სიკეთეს, მოვიშველიებ 152-ე მუხლს: „... ის მოთხოვნები და უფლებები, რომლებიც შეიძლება გადაეცეს სხვა პირებს, ან გამიზნულია საამისოდ, რომ მათ მფლობელებს შეექმნათ მატერიალური სარგებელი ან და მიენიჭოს უფლება, მოსთხოვოს სხვა პირებს რაიმე“.

მოქმედი ქართული კანონმდებლობა ერთმანეთისგან განასხვავებს გირავნობის სამ სახეს: სახელშეკრულებო, კანონისმიერი და ყადაღისმიერი. პირველი ორი სამოქალაქო კოდექსის რეგულირების

საგანია, მესამე კი საპროცესო სამართლის. ამ სამიდან ყველაზე გავრცელებულია სახელშეკრულებო გირავნობა. იგი წარმოადგენს მხარეთა შეთანხმების რეზულტატს და იგი მოვალის დაუკითხავად, მისი თავისუფალი გადაწყვეტილების გარეშე, არც წარმოიშობა.

კანონისმიერი გირავნობა, სახელშეკრულებო გირავნობისგან განსხვავებით წარმოიშობა კანონის ძალით, იგი ყოველთვის დაკავშირებულია კონკრეტული მოთხოვნის უზრუნველყოფასთან. მისი თვისება ისაა, რომ აქ არ გვყავს დამგირავებელი. გირავნობის უფლება მოვალისგან დაუკითხავად ჩნდება, იგი კანონის ნორმატიული ნების შედეგია.

იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი და იგივე ნივთი რამდენიმეჯერ არის დაგირავებული, კანონისმიერ მოგირავნეებს აქვთ მოთხოვნის დაკმაყოფილების უპირატესი უფლება.

ქართული კანონმდებლობის მსგავსად, გერმანული კანონმდებლობაშიც ვხვდებით სახელშეკრულებო და კანონისმიერ გირავნობას. გერმანული სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, მფლობელობითი გირავნობის დროს, ნივთის მფლობელობის გადაცემა შეიძლება შეიცვალოს, ნივთზე თანამფლობელობის გადაცემით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კანონისმიერი გირავნობის შემთხვევები და მათი წარმოშობის წინაპირობები კანონით არის დადგენილი. კრედიტორს კანონი ანიჭებს უფლებას მოვალის მიმართ არსებული თავისი მოთხოვნის უზრუნველსაყოფად ამ უკანასკნელის დაუკითხავად გამოიყენოს მისი ნივთი გირავნობის საგნად. მოვალემ, როგორც სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილემ, იცის ამ უფლების შესახებ. მოთხოვნის სუბიექტის როლში კი შეიძლება აღმოჩნდეს როგორც კრედიტორი, ისე მოვალე.

კანონისმიერი გირავნობის მიმართ გამოიყენება სახელშეკრულებო გირავნობის მარეგულირებელი ნორმები, მაგრამ ამაზე პირდაპირ არაა მითითებული სამოქალაქო კოდექსში, როგორც ეს გერმანულ სამართალშია.

კანონისმიერი გირავნობა, თავისი არსით, წარმოადგენს მფლობელობით გირავნობას, ვინაიდან მისი წარმოშობისთვის აუცილებელია გირავნობის საგნის ყოფნა მოგირავნის მფლობელობაში.

კანონისმიერი გირავნობის შემთხვევების დიდი ნაწილი სამოქალაქო კოდექსშია განაწილებული, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მას ვხვდებით საგადასახადო ურთიერთობებში, თუმცა მათ დასარეგულირებლად კვლავ სამოქალაქო კოდექსი გამოიყენება.

იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი და იგივე ნივთი რამდენიმეჯერ არის დაგირავებული, როგორც ზემოთ აღვნიშნე, კანონისმიერ მოგირავნეებს აქვთ მოთხოვნის დაკმაყოფილების უპირატესი უფლება.

განვიხილოთ კანონისმიერი გირავნობის შემთხვევები სამოქალაქო კოდექსის მიხედვით:

გირავნობის უფლება დამგირავებლის ნივთებზე (სსკ-ს 568-ე მუხლი), ქირავნობის ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნის უზრუნველსაყოფად მიწის ნაკვეთის, სახლის ან ბინის გამქირავებელს აქვს გირავნობის უფლება, დამქირავებლის მიერ იქ შეტანილ ნივთებზე. გირავნობის უფლება ძალას კარგავს დაქირავებული ფართობიდან ნივთების გატანასთან ერთად. ნორმის მიზანია დამქირავებლის მიმართ გამქირავებლის მოთხოვნის უზრუნველყოფა იმ მოძრავი ნივთებით, რომლებიც დამქირავებელმა შეიტანა დაქირავებულ სახლში, ან მიწის ნაკვეთზე. თავისი სამართლებრივი ბუნებით ნორმები იმპერატიული ხასიათისაა, მაგრამ მხარეებს მაინც შეუძლიათ შეთანხმდნენ საწინააღმდეგო წესზე.

ამ შემთხვევაში გირავნობის წარმოშობის საფუძვლებია: ძალმოსილი ხელშეკრულების არსებობა, ქირავნობის საგანი უნდა იყოს მიწის ნაკვეთი, სახლი ან ბინა, დამქირავებლის მიერ, გადამცემუნარიანი მოძრავი ნივთების ქირავნობის საგანში ნებაყოფლობით შეტანა, მ.შ. გირავნობის უფლების საგანი ვერ იქნება არამატერიალური ქონებრივი სიკეთე; აუცილებლად უნდა არსებობდეს ქირავნობის ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნების არსებობა, რომელსაც მიეკუთვნება არა მარტო ქირის გადასახადი, არამედ ქირავნობის საგნით სარგებლობიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების, დამატებითი ხარჯების, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევით მიღებული ზიანის, პირგასამტეხლოს და სხვა ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლებები.

ზემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში გამქირავებელს უფლება აქვს ეს ნივთები გირაოდ დაიტოვოს და თუ მოვალე არ შეასრულებს ვალდებულებას, მოახდინოს მათი რეალიზაცია, თუ ეს ნივთები დამქირავებელმა არ გაიტანა დაქირავებული მიწის ნაკვეთიდან, სახლიდან ან ბინიდან.

გირავნობის უფლება ინვენტარზე (586-ე მუხლი) აქვს მიწის ნაკვეთის მოიჯარეს მის მფლობელობაში არსებულ ინვენტარზე მეიჯარის მიმართ, წაყენებული იმ მოთხოვნისათვის, რომელიც შეეხება იჯარით მიღებულ ინვენტარს, მაგალითად ამ ინვენტარის შეკეთების ხარჯების ანაზღაურება, თუ კი ეს შეკეთება მეიჯარეს უნდა უზრუნველყო. ნორმის მიზანი მოიჯარის ინტერესების დაცვაა.

კანონი მეიჯარეს აძლევს ინვენტარზე გირავნობის უფლების თავიდან აცილების შესაძლებლობას ალტერნატიული უზრუნველყოფის წარდგენის უფლების მინიჭებით.

მუხლის ნორმის საფუძველზე მოიჯარეს შეუძლია ინვენტარი გირაოდ დაიტოვოს და თუ მეიჯარე არ შეასრულებს, მოიჯარის მოთხოვნებს მოახდინოს ინვენტარის რეალიზაცია და ამ გზით დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნები.

გირავნობის უფლება ნაყოფზე (596-მუხლი) აქვს სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის მეიჯარეს საიჯარო ურთიერთობიდან გამომდინარე თავისი მოთხოვნების საფუძველზე, მაგალითად: თუკი მოიჯარე არ იხდის საიჯარო ქირას, მეიჯარეს შეუძლია მოახდინოს ნაყოფის რეალიზაცია.

თუკი 586-ე მუხლი იცავდა მოიჯარის ინტერესებს და იქ მოიჯარე კრედიტორად გვევლინებოდა, ამ შემთხვევაში კრედიტორი მეიჯარეა, ხოლო მოვალე - მოიჯარე.

გირავნობის უფლების ნაყოფი კი აუცილებლად უნდა იყოს მეიჯარის მიერ შემატებული ნივთები და საიჯარო ქონებიდან მიღებული ნაყოფი, ამასთან, შემატებული ნივთები უნდა იყოს მოიჯარის საკუთრება, ხოლო ნაყოფი უნდა იყოს მოცილებული იჯარის საგნიდან.

გირავნობის უფლება მენარდის მიერ დამზადებულ ან შეკეთებულ ნივთზე (634-ე მუხლი). თუკი შემკვეთი არ შეასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, მენარდეს შეუძლია გამოიყენოს გირავნობის უფლება მის მიერ დამზადებულ ან შეკეთებულ ნივთზე, ამასთან ეს ნივთი აუცილებლად უნდა იყოს მოძრავი ნივთი და იმყოფებოდეს მენარდის მფლობელობაში.

გირავნობის უფლება ტვირთზე (685-ე მუხლი) აქვს გადამზიდველს გადაზიდვის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ხარჯების გამო, თუ შემკვეთი გადამზიდველს არ აუნაზღაურებს ამ ხარჯებს, გადამზიდველს უფლება აქვს ტვირთი დაიტოვოს გირაოდ და შემდეგ მოახდინოს მისი რეალიზაცია.

გირავნობის უფლების სასაქონლო საწყობში შენახულ ნივთზე (796-ე მუხლი). სასაქონლო საწყობში შემნახველს აქვს კანონის საფუძველზე საქონლის გირავნობის უფლება, გირავნობის უფლება წარმოიშობა სასაქონლო საწყობში, მხოლოდ მიბარების ნამდვილი ხელშეკრულების საფუძველზე. შემნახველს შენახვის ხარჯების გამო წარმოეშობა საქონლის გირავნობის უფლება მანამდე, სანამ იგი მის მფლობელობაშია.

კანონისმიერი გირავნობის ეს ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და კანონმდებლობა შეიძლება ითვალისწინებდეს ამგვარი გირავნობის სხვა შემთხვევებსაც.

საინტერესოა კანონისმიერი გირავნობის აღსრულების საკითხი პრაქტიკაში და პროცესუალურად, ჩნდება უამრავი კითხვა: როგორ უნდა მოიქცეს კანონისმიერი მოგირავნე, თუ მოვალე არ აძლევს ნივთების გირაოდ დატოვების და რეალიზაციის უფლებას?, ან მოვალემ დატოვა დროებით საცხოვრებელი სახლი (ქირავნობის შემთხვევაში) და გამქირავებელი ვერ შედის სახლში ნივთების ასაღებად?, ან შედის და გამოაქვს ეს ნივთები, ამ შემთხვევაში ჰქონდა კი გამქირავებელს, კანონისმიერ მოგირავნეს, დამქირავებლის დაუკითხავად სახლში შესვლის უფლება? ხომ არ არის ეს სისხლის სამართლის დანაშაული? ან იმ დროს მივიდა კანონისმიერი მოგირავნე ნივთების წასაღებად, გირავნობის საგნის ადგილსამყოფელის ადგილას, როდესაც ეს ნივთები გააქვს? ამ შეკითხვებზე პასუხს მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობა არ გვაძლევს. ამ კითხვებზე პასუხის გაცემა შეიძლება შევძლოთ საპროცესო სამართლის და სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე. იმ შემთხვევაში თუ მოვალე, კანონისმიერ მოგირავნეს არ გადასცემს ნივთებს, კანონისმიერ მოგირავნეს შეუძლია საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით მოითხოვოს ნივთების გადაცემა სასამართლოს გზით, აღიძრას სარჩელი და მოითხოვოს სარჩელის უზრუნველყოფა როგორც სარჩელის აღძვრიდან, ისე სარჩელის აღძვრამდე, რომ მოვალემ ვერ შეძლოს ნივთების გამოტანა, დამქირავებლის დაუკითხავად ბინიდან ნივთების გამოტანა, რა თქმა უნდა, სისხლის სამართლის დანაშაულია და ამ შემთხვევაშიც უნდა იქნეს გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფა; იმ შემთხვევაში კი, თუ კანონისმიერი მოგირავნე ისეთ დროს მივა ნივთების გამოსატანად გირავნობის საგნის ადგილსამყოფელის ადგილას, როდესაც მოვალეს ნივთები გააქვს, საცხოვრებელი სახლიდან, სადგომიდან და ა.შ. ამაზე პასუხს არც მატერიალური და არც საპროცესო სამართალი არ გვაძლევს, უნდა ვიფიქროთ, რომ თუ ნივთმა დატოვა გირავნობის ადგილსამყოფელი, მაშინ მოგირავნეს ნივთზე პრეტენზია აღარ უნდა ჰქონდეს, მაგრამ ნივთები თუ ისევ კანონისმიერ მოგირავნის გაქირავებულ სახლში, იჯარით გაცემულ მიწის ნაკვეთზეა და ა.შ მაგრამ მოვალე წინააღმდეგობას გვიწევს, ამ შემთხვევაში კანონისმიერი მოგირავნის უფლებებს ვერ იცავს, მას არანაირი ბერკეტი რჩება დაიცვას თავის ინტერესები. ასევე ხარვეზი გვაქვს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა შემთხვევაში. იმ დროს, როდესაც კანონისმიერი მოგირავნე ვერ ასწრებს სარჩელის უზრუნველყოფას, ამ შემთხვევაშიც მოგირავნის ინტერესები დაუცველია. მართალია მოქმედი კანონმდებლობა გვეუბნება, რომ თუ ჩვეულებრივი ცხოვრებისეული ურთიერთობის გარეშე მოხდა ამ ნივთების გატანა თავიანთი

ადგილსამყოფლის გარეთ, მაშინ ამ ნივთებზე არ შეიძლება შეწყდეს კანონისმიერი გირავნობის უფლება, მაგრამ პრაქტიკაში, ფაქტიურად, შეუძლებელია დავამტკიცოთ ეს.

კანონისმიერ გირავნობის დროს, ისევე როგორც სახელშეკრულებო გირავნობის დროს, გირავნობის საგნის მესაკუთრე გარიგების ის მხარეა, რომლის საკუთრება გირავნობის განმავლობაში ისევე უნდა იყოს გარანტირებული, როგორც სხვა დროს. ამ უფლების გარანტირებულობას შესაბამისი საკანონმდებლო რეგულირება განაპირობებს, მაგრამ საკუთრების გარანტირებულობა არ ნიშნავს იმგვარ აბსოლუტურობას, რომ მესაკუთრეს შეეძლოს იმოქმედოს ყოველი შემთხვევისათვის მხოლოდ საკუთარი სურვილის შესაბამისად, წინააღმდეგ შემთხვევაში აბსოლუტური საკუთრება ქაოსს გამოიწვევდა და დააზარალებდა მეორე მხარეს.

კანონისმიერი გირავნობის მიზანი ემსახურება ვალდებულებით სამართლებრივ ურთიერთობის იმ მხარის ინტერესებს, რომელთაც თავიანთი მოთხოვნის უზრუნველსაყოფად, ხელშეკრულებით არ დაუდიათ გირავნობის ხელშეკრულება, რომ არა კანონისმიერი გირავნობის არსებობა, ისინი არა მარტო მოვალის კეთილსინდისიერებაზე იქნებოდნენ დამოკიდებული, არამედ კანონიც უსამართლო იქნებოდა მათ წინაშე, მათ არანაირი ბერკეტი დარჩებოდათ თავიანთი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, თუ მოვალე ვერ შეასრულებდა ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, სწორედ ამიტომ არის კანონისმიერი გირავნობის არსებობა სამოქალაქო სამართლის უდიდესი მიღწევა და წინგადადგმული ნაბიჯი.

ლიტერატურა:

1) საქართველოს კონსტიტუცია.
2) საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
3) გერმანიის სამოქალაქო კოდექსი.
4) ლადო ჭანტურია, „კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი“, თბილისი, 2012.
5) ბესარიონ ზოიძე, „სანივთო სამართალი“, თბილისი, 2003.
6) ზურაბ ახვლედიანი, „ვალდებულებითი სამართალი“, თბილისი, 1999.
7) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი.
8) ჟურნალი „ალმანახი“, ოქტომბერი, 2010.
9) საქართველოს კანონი „საჯარო რეესტრის შესახებ“.

აუცილებელი მოგერიება, როგორც დაცვის უფლებააღმჭურველი მეთოდი და თანმდევი აქტუალური საკითხები

ლაშა კობახიძე
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **იოსებ გაბარაევი,** მოწვეული სპეციალისტი

შესავალი

სამართლის მეცნიერებაში და ზოგადად სისხლის სამართალში საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია, რომ სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა წარმოშობს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს, თუმცა კონკრეტულ შემთხვევებში, მიუხედავად იმისა, რომ პირმა შეიძლება ხელყოს რაიმე სახის სამართლებრივი სიკეთე და ეს, ერთი შეხედვით, მართლსაწინააღმდეგოც კი იყოს, მაგრამ მაინც არ დაეკისროს პასუხისმგებლობა და პირიქით, მისი მოქმედება მართლზომიერების პირობებში ჩადენილად შეფასდეს.

1. მართლწინააღმდეგობა (ზოგადი მიმოხილვა)

თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ დანაშაულის სამსაფეხურიანი სისტემიდან გამომდინარე მართლწინააღმდეგობა არის დანაშაულის ერთ-ერთი ელემენტი, რაც გულისხმობს ამსრულებლის მიერ ჩადენილ ისეთ ქმედებას, რომელიც მიუღებელია მოქმედი სისხლის სამართლისათვის და მიმართულია საზოგადოების, ცივილიზებული სამყაროს და რა თქმა უნდა პოზიტიური სამართლის წინააღმდეგ. [1]

ზოგადად, სისხლის სამართალი არის სამართლის დარგი, რომელიც მუდმივად ტრიალებს ორი ძირითადი ცნების: დანაშაულის და სასჯელის გარშემო. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი მკაფიოდ ადგენს, რა ქმედებები ითვლება დანაშაულად და აწესებს შესაბამის სასჯელს ამ ქმედების ჩამდენთათვის. [2] თუმცა ისიც ცხადია, რომ სისხლის სამართლის ნორმათა არსი ამით არ ამოიწურება. სისხლის სამართლის კოდექსი ასევე აერთიანებს მთელ რიგ ზოგად პრინციპებს, რომელთა საფუძველზე ხდება სისხლის სამართლის ერთიანი მექანიზმის გამოყენება. სწორედ ასეთი ნორმა -პრინციპების ჯგუფს მიეკუთვნება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ის დებულებები, რომლებიც ადგენენ მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებებს,[3] კერძოდ: აუცილებელი მოგერიება, დამნაშავის შეპყრობა, უკიდურესი აუცილებლობა, მართლზომიერი რისკი და მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი ზეკანონიერი გარემოებანი.

2. აუცილებელი მოგერიება

დანაშაულთან ბრძოლა სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, რასაც სახელმწიფო უზრუნველყოფს შესაბამისი ნორმატიული აქტების, უპირველეს ყოვლისა კი ქვეყნის უზენაესი კანონის - საქართველოს კონსტიტუციის საფუძველზე, რომელიც აცხადებს რომ: სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ღირებულებებს“[4], ამასთან ერთად ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში განსაკუთრებული როლი აკისრია სისხლის სამართლის კანონმდებლობას, ამიტომაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1-ლი მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად:[5] „სისხლის სამართლის კოდექსის მიზანია დანაშაულებრივი ხელყოფის თავიდან აცილება და მართლწესრიგის დაცვა“. ბუნებრივია, რომ სამართალდამცავ ორგანოებს აღნიშნულის განხორციელება მარტო არ ძალუძთ, ამიტომაც ამ დანაშაულთა თავიდან აცილების სფეროში სისხლის სამართლის მეთოდებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს უფლება აღმჭურველ მეთოდს[6], რომელიც ადამიანებს უფლებას ანიჭებს, რომ აქტიურად ჩაერთონ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში და მისი ერთ-ერთი გამოვლინებაა სსკ-ის 28-ე მუხლი, რომელიც მოიცავს აუცილებელ მოგერიებას. ზოგადად, აუცილებელი მოგერიება ერთ-ერთი უძველესი სისხლისსამართლებრივი დაცვის მეთოდია, რომლის ფესვებიც ბუნებით სამართალში უნდა ვეძიოთ. [7] ყველა ადამიანი, რომელიც აღმოჩნდება ისეთი საზარელი არჩევანის წინაშე, როგორიცაა არჩევანი სხვისი ინტერესების ხელყოფასა და საკუთარი ინტერესების ხელყოფას შორის, იგი სრულიად ლეგიტიმურად უნდა სარგებლობდეს უფლებით, [8] რომ დაიცვას თავისი სიცოცხლე, ჯანმრთელობა, ქონება და ა.შ.

2.1 აუცილებელი მოგერიების ცნება და მართლზომიერების პირობები.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლის თანახმად:„მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც ამ კოდექსით გათვალისწინებულ ქმედებას ჩაიდენს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, ე.ი. ის ვინც მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისას დააზიანებს ხელმყოფს თავისი ან სხვისი სამართლებრივი სიკეთის დასაცავად. [9]

როგორც ვხედავთ, აუცილებელი მოგერიების მთავარი მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ ნებისმიერ პირს უფლება აქვს ექსტრემალურ, ანდა საგანგებო სიტუაციაში, როცა მის ან სხვის

---

[1] ტურავა მ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2013.

[2] ნაჭყებია გ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2007, გვ. 244.

[3] ნაჭყებია გ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2007, გვ. 5-13.

[4] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 7

[5] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი < https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426 > , მუხლი 1

[6] ნაჭყებია გ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2007, გვ. 244

[7] დოლიძე თ., ,,სამართალი და მსოფლიო“ - აუცილებელი მოგერიების ზოგად სამართლებრივი დახასიათება - < http://www.library.court.ge/upload/S&M_N6_SUL4.pdf > გვ. 121

[8] Merriam, John J., 2010. Natural law and self-defense, Military law Review, pp 43-87.

[9] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი < https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426 > მუხლი 28

სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ანდა სოციალურად მნიშვნელოვან სამართლებრივ ფასეულობას ემუქრება რეალური საფრთხე, ამ ყველაფრის დასაცავად დააზიანოს თავდამსხმელი.[1] თავის მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ რაკი მართლსაწინააღმდეგო შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური პირის ქმედება, შესაბამისად, თავდამსხმელიც შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი. თუმცა, აქვე ერთი გამონაკლისი შემთხვევაც გვაქვს სახეზე, როცა ადამიანს თავს ესხმის ცხოველი, რომელიც დაგეშილია კონკრეტული პირის მიერ.[2] აქ უნდა ითქვას, რომ მართალია ცხოველთა თავდასხმა ყოველთვის უკიდურესი აუცილებლობით კვალიფიცირდება, მაგრამ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, რაკი ადამიანი დანაშაულის ჩადენის საშუალებად (იარაღად) იყენებს ცხოველს, ამიტომაც აქ იგულისხმება, რომ ხელმყოფი არის არა ცხოველი, არამედ უშუალოდ ის პირი, რომელმაც დაგეშა თავდამსხმელი ცხოველი. აუცილებელი მოგერიება არის ნებისმიერი პირის უფლება და არა მოვალეობა. თუ მოქალაქე არ ისარგებლებს ამ უფლებით, მაშინ იგი კანონის წინაშე პასუხს არ აგებს.

აუცილებელი მოგერიების ცნებიდან გამომდინარე, ვადგენთ, რომ მასში ორი სხვადასხვა მოვლენაა გაერთიანებული: აუცილებელი თვითდაცვა და აუცილებელი დახმარება.[3] გავმიჯნოთ თითოეული მათგანი. აუცილებელი თვითდაცვის დროს, როცა ადამიანი იცავს საკუთარ სამართლებრივ სიკეთეს, მისი უფლებაა დააზიანებს ხელმყოფს თუ არა, ანუ მას შეუძლია გამოიყენოს ან არ გამოიყენოს ეს უფლება. რაც შეეხება აუცილებელ დახმარებას, ასეთი ვითარება გვაქვს სახეზე: მაშინ, როდესაც საფრთხეშია სხვისი სამართლებრივი სიკეთე, აქედან გამომდინარე პირს შეიძლება წარმოეშვას არა მხოლოდ დახმარების უფლება, არამედ ვალდებულებაც კი, მაგ.: პოლიციის თანამშრომელი მოვალეა, რომ კომპეტენციის ფარგლებში აღმოუჩინოს დახმარება მოქალაქეს, ხოლო უკიდურესი ღონისძიების სახით გამოიყენოს ცეცხლსასროლი იარაღი.[4]

2.1.1. აუცილებელი მოგერიების დამაფუძნებელი გარემოებანი.

სისხლისსამართლებრივად დადგენილია ის კრიტერიუმები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია ზუსტად შეფასება, არის თუ არა სახეზე აუცილებელი მოგერიება. აღნიშნულ კრიტერიუმებს მართლწინააღმდეგობის დამაფუძნებელი გარემოებანი ეწოდება.

უნდა ითქვას, რომ აუცილებელ მოგერიებას არ წარმოშობს ყველა სახის ხელყოფა, არამედ ამ უფლებით სარგებლობა პირს შეუძლია მხოლოდ მაშინ, თუ მის მიმართ განხორციელებულია მართლსაწინააღმდეგო ხელყოფა და არ აქვს მნიშვნელობა მოქმედებს თუ არა პირი ბრალეულად, მაგ: 14 წელს მიუღწეველი თავს ესხმის სხვას. აქვე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ თუ ქმედებას სისხლისსამართლებრივი მართლწინააღმდეგობა არ ახასიათებს, მაშინ იგი აუცილებელი მოგერიების ვითარებას არ წარმოშობს.[5] საპირისპიროდ, როდესაც მართლზომიერი ხელყოფაა სახეზე, მაშინ აუცილებელი მოგერიების უფლება არ წარმოიშობა მაგ: პოლიციელის მოქმედება დანაშაულის აღკვეთის მიზნით.

აუცილებელი მოგერიების კიდევ ერთ დამაფუძნებელ გარემოებას წარმოადგენს ხელყოფის რეალურობა, რომლის თანახმადაც პირის მიმართ განხორციელებული თავდასხმა უნდა იყოს ობიექტური და არა სუბიექტური ანუ მომგერიებლის წარმოდგენაში, რადგანაც ასეთ შემთხვევაში გვექნება მოჩვენებითი მოგერიება, რომელიც ნამდვილად ვერ ჩაითვლება, ხოლო მოქმედი პირის პასუხისმგებლობის საკითხი გადაწყდება ბრალის ეტაპზე.

შემდეგი დამაფუძნებელი გარემოებაა ხელყოფის რელევანტურობა[6] ანუ იგი უნდა იყოს სოციალურად მნიშვნელოვანი სამართლებრივი სიკეთის დასაზიანებლად. ამ შემთხვევაში შეიძლება მოვიშველიოთ სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლი, რომლის მე-2 ნაწ. თანახმადაც[7] „დანაშაულს არ წარმოადგენს ისეთი ქმედება, რომელიც თუმცა ფორმალურად შეიცავს ამ კოდექსით გათვალისწინებული რომელიმე ქმედების ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო არ გამოუწვევია ზიანი, რომელიც აუცილებელს გახდიდა მისი ჩამდენის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას,

---

[1] ნაჭყებია გ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2007.

[2] დოლიძე თ., ,,სამართალი და მსოფლიო“ - აუცილებელი მოგერიების ზოგად სამართლებრივი დახასიათება - < http://www.library.court.ge/upload/S&M_N6_SUL4.pdf > გვ. 121

[3] გაყრელიძე ო., სისხლის სამართლის პრობლემები III ტომი, გამომცემლობა ,,მერიდიანი'', თბილისი, 2013, 295.

[4] პოლიციის შესახებ 1993 წლის 27 ივლისის საქართველოს კანონი
< http://police.ge/files/sajaro_informacia/policiis%20shesaxeb.pdf >

[5] ნაჭყებია გ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2007, გვ. 246.

[6] შუბითიძე გ. ,,აუცილებელი მოგერიების მართლზომიერების პირობები“, თბილისი, 2016, გვ. 9

[7] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი < < https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426 > მუხლი 7

შესაბამისად აუცილებელი მოგერიების უფლებით დაცვის ობიექტი შეიძლება გახდეს მხოლოდ და მხოლოდ ის სამართლებრივი სიკეთე, რომელსაც საზოგადოებისათვის მნიშვნელობა აქვს.

აუცილებელი მოგერიების დამაფუძნებელ მომდევნო და ერთ-ერთ მთავარ გარემოებას წარმოადგენს ხელყოფის იმწუთიერება. აღნიშნულის განსაკუთრებული მნიშვნელობა გამოიხატება იმით, რომ ხელყოფა პირს უქმნის საფრთხეს დროის უმცირეს მონაკვეთში და არა მომავალში. „ხელყოფა უნდა იყოს იმწუთიერი ანუ დაწყების პროცესში, უკვე დაწყებული ან ჯერ კიდევ მიმდინარე. აქედან გამომდინარე არ დაიშვება არც პრევენციული და არც დამთავრებული ხელყოფა.[1]

განსაკუთრებით ყურადსაღებია აუცილებელი მოგერიების მიმდინარეობისას პირის შინაგანი სუბიექტური ანუ ფსიქიკური დამოკიდებულება, რაც ქმნის აუცილებელი მოგერიების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დამაფუძნებელ გარემოებას. ასეთ ვითარებაში მოქმედ პირს უნდა ამოძრავებდეს სამართლებრივი სიკეთის დაცვის მიზანი. ხშირია შემთხვევები, როდესაც პირს საკუთარ წარმოდგენაში ჰგონია, რომ მოქმედების თავდაცვის მიზნით, მაგრამ სინამდვილეში მის მიმართ განხორციელებული თავდასხმა არ არის რეალური. მსგავსი სიტუაცია ვერ ჩაითვლება აუცილებელ მოგერიებად, ამიტომაც სახეზე გვექნება მოჩვენებითი (პუტატიური) მოგერიება, რომლის დროსაც პირის პასუხისმგებლობის საკითხი გადაწყდება ბრალის ეტაპზე.

3. აუცილებელი მოგერიების აქტუალური საკითხები

როგორც აღინიშნა აუცილებელი მოგერიება ადამიანისათვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი უფლებაა, რომლითაც ადამიანს შესაძლებლობა აქვს დაიცვას არა მხოლოდ საკუთარი, არამედ სხვისი სამართლებრივი სიკეთეც. ზოგადად, სისხლის სამართლის მეცნიერებაში აუცილებელ მოგერიებასთან მიმართებით არსებობს უამრავი აქტუალური საკითხი, რომლებთან დაკავშირებითაც ჩატარებულია მრავალი კვლევა, შემუშავებულია ძალიან ბევრი სამეცნიერო ნაშრომი, ამასთან ერთად მხედველობაშია მისაღები სასამართლო პრაქტიკა მითითებულ საკითხთან მიმართებითაც.

3.1 საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლები და აუცილებელი მოგერიება

სისხლის სამართალში საკამათოა საკითხი იმის შესახებ, შეუძლია თუ არა საჯარო ხელისუფლების წარმომადგენელს, მაგ.: პოლიციელს საკუთარი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ისარგებლოს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობით, თუ მისი ქმედება სამართლებრივად უნდა შეფასდეს პოლიციის შესახებ არსებულ კანონმდებლობაში მოცემული ნორმებით, რომლებიც თანაზომიერების პრინციპს ეფუძნებიან. [2]

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ აშშ-ის, კერძოდ ფლორიდის სასამართლოში განხილული ერთ-ერთი ყველაზე რეზონანსული საქმე, რომელიც საზოგადოებამ რასისტულ ნიადაგზე ჩადენილ მკვლელობად ჩათვალა და ამას კიდეც მოჰყვა ამერიკის სხვადასხვა ქალაქში მასობრივი დემონსტრაციები. ხალხი აპროტესტებდა ფლორიდის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილ ვერდიქტს, რომელიც შეეხებოდა ამერიკელი მოხალისე პოლიციელის ჯორჯ ზიმერმანის საქმეს, რომელსაც ბრალი ედებოდა 17 წლის ფერადკანიანი ტრეივონ მარტინის განზრახ მკვლელობაში.

მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე პროკურორები ამტკიცებდნენ,[3] რომ 2012 წლის 26 თებერვალს ზიმერმანმა მხოლოდ იმიტომ გაუხსნა მოზარდს ცეცხლი, რომ მას კაპიშონიანი ქურთუკი ეცვა და წვიმაში მარტო მიმავალი ყმაწვილი პოლიციელს საეჭვოდ მოეჩვენა, ხოლო ადვოკატების აზრით პოლიციელმა ტრეივონ მარტინს თავდაცვის მიზნით მხოლოდ მას შემდეგ ესროლა, როდესაც მოზარდმა მას დაარტყა, გზაზე დააგდო და მისი იარაღისკენ გაიწია.[4]

საბოლოოდ ნაფიცმა მსაჯულებმა სრულად გაამართლეს ჯორჯ ზიმერმანი სასჯელისაგან. ამ ინციდენტის შემდეგ ფლორიდაში დაიწყო კანონის განხილვა, რომელიც ფლორიდელებს თავდაცვის მიზნით იარაღის გამოყენების უფლებას აძლევს, თუნდაც იმ შემთხვევაში, ინციდენტი მისი სახლის გარეთ რომ ხდებოდეს.[5]

---

[1] ტურავა მ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2013.

[2] ტურავა მ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2013, 187.

[3] ინტერნეტ-წყარო < http://www.ghn.ge/com/news/view/92238 >

[4] ინტერნეტ-წყარო < http://www.ghn.ge/com/news/view/92238 >

[5] ინტერნეტ-წყარო < https://www.amerikiskhma.com/a/us-shooting-casegun-laws-147613785/1208512.html >

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია გავაკეთოთ ერთი დასკვნა, რომ დაუშვებელია პოლიციელი იყოს შეზღუდული იმ საკითხში, გამოიყენებს თუ არა კანონით მინიჭებულ აუცილებელი მოგერიების უფლებას სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, ვინაიდან მას სრულიად ლეგიტიმურად შეუძლია, რომ დაიცვას თავისი ან სხვისი სამართლებრივი სიკეთე მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან, თუმცა, ბუნებრივია, თანაზომიერების გათვალისწინებით.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ სამართლებრივი დაცვის ობიექტი შეიძლება იყოს ქონებრივი სამართლებრივი სიკეთეც. ამ შემთხვევაში ჩვენთვის მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, შეუძლია თუ არა საჯარო ხელისუფლების წარმომადგენელს სხვისი ან საკუთარი ქონებრივი სამართლებრივი სიკეთის დაცვის მიზნით ისარგებლოს აუცილებელი მოგერიების უფლებით. რა თქმა უნდა ეს ყველაფერი დასაშვებია, მაგრამ ერთი იმპერატიული დათქმით, რომელიც კეთდება 1950 წლის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციაში[1]. მოცემული კონვენცია მიუთითებს, რომ მატერიალური სამართლებრივი სიკეთის გადარჩენის მიზნით საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლებს ეკრძალებათ გამიზნული მკვლელობა, მიუხედავად იმისა, რა სახის, ფასის და მნიშვნელობის ქონებაც არ უნდა იყოს იგი.

3.2 აუცილებელი მოგერიება უმოქმედობით გამოწვეული მართლწინააღმდეგობისას

სისხლის სამართლის მეცნიერებაში მოღვაწე მეცნიერთა და კომპეტენტურ პირთა შორს წამოჭრილია საკითხი, არის თუ არა შესაძლებელი აუცილებელი მოგერიების გამოყენება ისეთ დანაშაულებთან მიმართებით, რომელთა ჩადენაც უმოქმედობით ხორციელდება. მოცემულ საკითხთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა. მეცნიერთა ის ნაწილი, რომლებიც უარყოფენ აღნიშნულ საკითხს, საკუთარ პოზიციას ასაბუთებენ იმ გარემოებებით, რომ თავდასხმა, რომელიც აუცილებელი მოგერიების უფლებას წარმოშობს, აქტიური უნდა იყოს, აგრეთვე ერთ-ერთ არგუმენტად ასახელებენ იმ ფაქტსაც, რომ სასამართლო პრაქტიკაში არ არსებობს პრეცენდენტი აუცილებელი მოგერიებისა, რომელიც ჩადენილია უმოქმედობით. რაც შეეხება ამ მოსაზრების მოწინააღმდეგე მხარის პოზიციას, ისინი მიუთითებენ რომ აუცილებელი მოგერიებისას დანაშაულებრივი თავდასხმა შეიძლება გამოიხატოს არა მარტო მოქმედებით, არამედ უმოქმედობითაც, ამიტომაც მოგერიება დანაშაულებრივი უმოქმედობის შემთხვევაში დასაშვებია არა მარტო თეორიულად, არამედ პრაქტიკულადაც.[2]

3.2.1 აუცილებელი მოგერიება უმოქმედობით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გამოჩენილი ქართველი პროფესორის ოთარ გამყრელიძის აზრით აუცილებელი მოგერიება იშვიათი გამონაკლისის სახით შესაძლებელია უმოქმედობითაც, მაგ.: მოქალაქეს თავს დაესხნენ და დაუწყეს ცემა, რა დროსაც პატრონის დასაცავად თავდამსხმელებს ეცა გაწვრთნილი ძაღლი და ერთ-ერთი მათგანი დააზიანა. პატრონმა ზომები არ მიიღო ძაღლის შესაჩერებლად. ამიტომაც აქ იგულისხმება, რომ მან უმოქმედობით დაიცვა თავი.[3]

3.3 აუცილებელი მოგერიების პროვოკაცია

თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ პროვოკაციასთან დაკავშირებულ ნორმას სისხლის სამართლის კოდექსი არ ითვალისწინებს, აქედან გამომდინარე იგი დაუწერელი კანონის სახით გვევლინება. სამართლებრივი შედეგებიდან გამომდინარე გამოყოფენ პროვოკაციის ორ სახეს: გამიზნულ და სოციალურ-ეთიკურად სხვაგვარად დასაძრახ პროვოკაციას.

გამიზნული პროვოკაციის დროს ამსრულებელი მიზნად ისახავს, რომ მისი ქმედებით პროვოცირებულმა პირმა განახორციელოს მასზე თავდასხმა, ხოლო თავად ისარგებლოს აუცილებელი მოგერიების უფლებამოსილებით და ამით მიაყენოს დაზიანება „თავდამსხმელს“ ანდა მოკლას იგი. აქვე უნდა ითქვას, რომ ამსრულებელმა შეიძლება დარწმუნებით არც იცოდეს გამოიწვევს თუ არა მისი ქმედება თავდამსხმელის პროვოცირებას, თუმცა ვინაიდან მას სურს აღნიშნული, ეს ყველაფერი ვერ ცვლის პროვოკაციის ხასიათს.[4]

რაც შეეხება პროვოკაციის მომდევნო სახეს, სოციალურ-ეთიკურად სხვაგვარად დასაძრახ პროვოკაციას, ის თავისი შინაარსით თითქმის ანალოგიურია. ამ თეორიის მიმდევართა აზრით აუცილებელი მოგერიება არ არსებობს, ვინაიდან სამსაფეხურიანი თეორიის თანახმად იგი წარმოიშობა

---

[1] ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კონვენცია < https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370 >

[2] შუბითიძე გ. ,, აუცილებელი მოგერიების მართლზომიერების პირობები“, თბილისი, 2016, გვ. 6.

[3] გაყრელიძე ო., სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, გამომცემლობა ,,მერიდიანი'', თბილისი, 2013, 301.

[4] ტურავა მ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2013, 191.

მხოლოდ შემდეგი ეტაპების გავლისას: 1) უნდა გაეცალო იქაურობას და თავი აარიდო კონფლიქტს; 2) თუ პირველი შეუძლებელია, მაშინ მოგერიება უნდა მოხდეს მხოლოდ თავდაცვითი მოქმედების განხორციელებით; 3) მხოლოდ დეფენზიური თავდაცვის არაეფექტურობის შემთხვევაში შეუძლია პროვოკატორს აგრესიული თავდაცვის გამოყენება ხელმყოფის დაზიანებით.[1]

3.4 ფარგლები აუცილებელ მოგერიებასა და ინტენსიურ ექსცესს შორის.

იურიდიულ ლიტერატურაში დამკვიდრებული ცნების თანახმად აუცილებელი მოგერიება მართლზომიერ პირობებში ჩადენილად რომ შეფასდეს, უნდა დადგინდეს მოქმედებდა თუ არა მომგერიებელი ფარგლების გადაცილებით. აღნიშნული საკითხი ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ საკითხს წარმოადგენს, რაზედაც მეტყველებს ის მდიდარი სასამართლო პრაქტიკა, რომელიც საქართველოს უზენაეს სასამართლოს გააჩნია, თუმცა ვიდრე აღნიშნულ საკითხს შევეხებოდეთ, მხედველობაშია მისაღები თუ რას გულისხმობს საერთოდ ფარგლებს გადაცილება ანუ ე.წ. ინტენსიური ექსცესი. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად: ,,აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება ნიშნავს მომგერიებლის მიერ თავდაცვის აშკარა შეუსაბამობას მასზე თავდასხმის ხასიათთან და საშიშროებასთან."[2] ერთი სიტყვით არ უნდა იყოს დარღვეული თავდაცვისა და თავდასხმის თანაფარდობა. მოცემული ცნებიდან გამომდინარეა ის ფაქტი, რომ მართალია აუცილებელი მოგერიებისას შეიძლება დაზიანდეს უფრო მნიშვნელოვანი ღირებულების მქონე სიკეთე, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ გამოყენებულ უნდა იქნას მოგერიების შეუსაბამო საშუალება ანუ მომგერიებელმა შედარებით დანდობადი საშუალება უნდა გამოიყენოს ე.ი. კონკრეტულმა პიროვნებამ სავალდებულოა ამოარჩიოს ის საშუალება, რომელსაც იგივე შედეგის გამოწვევა შეუძლია შედარებით ნაკლები ზიანის მიყენებით.[3]

მართალია, მომგერიებელმა უნდა გამოიყენოს თავდაცვის ყველაზე რბილი საშუალება, თუმცა იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე საშუალების გამოყენება კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს მის მიერ შერჩეული დაცვის ობიექტის გადარჩენას, მაშინ იგი არაა ვალდებული, რომ ეს არასაიმედო საშუალება გამოიყენოს და შეეგუოს თავისი სამართლებრივი სიკეთის დაზიანების რისკს.[4]

როგორც ზემოთ ითქვა, საქართველოს უზენაეს სასამართლოს საკმაოდ დიდი პრაქტიკა აქვს მოცემულ საკითხთან მიმართებით, ვინაიდან არაერთი გადაწყვეტილებაა მიღებული. ამ გადაწყვეტილებებზე ჩემ მიერ ჩატარებულ იქნა კვლევა, რათა დამედგინა, თუ რას ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლო და რის საფუძველზე აკვალიფიცირებენ ქმედებებს ფარგლებს გადაცილებად. ხშირ შემთხვევაში უზენაესი სასამართლო საკუთარ გადაწყვეტილებას ასაბუთებს იმ ზოგადი პრინციპებით, რომელიც დადგენილია იურიდიულ ლიტერატურაში, კერძოდ: ხელმყოფის და მომგერიებლის ასაკს, ფიზიკურ სიძლიერეს, სქესს, მათ რაოდენობას, მაგრამ მიუხედავად აღნიშნულისა მაინც ხშირად ძალიან საკამათო გადაწყვეტილებები გვაქვს სახეზე, ვინაიდან ბრალეული პირის ქმედება ერთი შეხედვით შეიძლება აუცილებელ მოგერიებად შეფასდეს, თუმცა უზენაესი სასამართლო მაინც ფარგლებს გადაცილებად აკვალიფიცირებს.

ზემოთ ხსენებულის დასტურად შეგვიძლია მოვიყვანოთ ერთ-ერთი მაგალითი უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებიდან, სადაც, ბუნებრივია, რომ შეცვლილი იქნება იდენტიფიცირების საშუალებანი. ეს შემთხვევა ქ. ქუთაისში მოხდა 2014 წლის 15 მარტს. ერთ-ერთ კაზინოში გარკვეული ოდენობის თანხის მოგების შემდეგ „ა"-სთან თხოვნით მიდიან „ბ", „გ" და „დ", რომლებიც დაჟინებით სთხოვენ თანხის მათთვის განაწილებას. ა უარს ამბობს, ამიტომაც ამ პირებს გაჰყავთ იგი გარეთ და ცდილობენ ძალადობის გზით მოიპოვონ სასურველი თანხა, რისთვისაც ისინი წააქცევენ მას და დაუწყებენ ცემას სიცოცხლისათვის საშიშ ადგილებში. თავის მხრივ ა ჯიბიდან იღებს დანას და აყენებს ჭრილობას სამივე თავდამსხმელს, ხოლო შემდეგში შემთხვევის ადგილიდან მიიმალება.

ქუთაისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლომ „ა" მსჯავრი დასდო ორი ან მეტი პირის მკვლელობის მცდელობასა და ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებაში. ეს გადაწყვეტილება გასაჩივრდა კასაციაში, სადაც სასამართლომ იმსჯელა და მიუხედავად იმისა, რომ იყო

---

[1] შეად. ჯიშკარიანი ბ., კაზუსები სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში, გამომცემლობა „იურისტების სამყარო" თბილისი, 2015 , 67-68.

[2] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი < < https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426 > მუხლი 28

[3] ნაჭყებია გ., ,,მართლმსაჯულება და კანონი" - აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებისათვის პასუხისმგებლობის აქსიოლოგიური დასაბუთება < http://www.library.court.ge/upload/1413190262__-372833252%20(1).pdf > , თბილისი, 2014წ

[4] შუბითიძე გ., „აუცილებელი მოგერიების მართლზომიერების პირობები", თბილისი, 2016.

ამ პირის აუცილებელი მოგერიების მდგომარეობით გამართლების პირობები, მაინც ქმედება ფარგლებს გადაცილებით დააკვალიფიცირა.

ზემოთ აღნიშნული შემთხვევის არაერთი მაგალითი გვაქვს, მაგრამ ეს ყველაფერი კვლავ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, თუ რატომ არ აფასებს სასამართლო ქმედებებს აუცილებელი მოგერიებით, როცა ამის ყველა პირობა არსებობს? ამ კითხვაზე ვეცადე პასუხი მომეძებნა და ამიტომ ერთ-ერთ ფაქტორად მიმაჩნია ისიც, რომ სასამართლო ერიდება ამ შემთხვევაში „დაზარალებულ" პირებთან დაპირისპირებასაც, ვინაიდან რთულია არაიურისტ ადამიანს აუხსნა, რომ მან ან მისმა ოჯახის წევრმა დაზიანება მიიღო მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ თავდასხმა თავად მან განახორციელა, ანუ ის იყო ხელმყოფი და არა ის პირი, ვინც რეალურად იმყოფებოდა მომგერიებლის როლში. კიდევ ერთ მიზეზად შეიძლება დასახელდეს ის ფაქტიც, რომ სასამართლო ალბათ ერიდება იმ პირთა სრულად გამართლებას, რომლებმაც მოგერიების მდგომარეობაში დააზიანეს თავდამსხმელი ან მოკლეს, ამის მიზეზი კი ის გავრცელებული სტერეოტიპია, რომლის თანხმადაც: როდესაც ადამიანი იარაღის მეშვეობით ერთხელ დააზიანებს სხვას, ამის შემდეგ ამ პირისათვის სხვა შემთხვევაში იარაღის გამოყენება დაბრკოლებას არ წარმოადგენს, ამიტომაც სასამართლოც თავის მხრივ ცდილობს „ჭკუა ასწავლოს" ასეთ პირებს და მიუთითებს, რომ ყველა შემთხვევაში იარაღის გამოყენება დაუშვებელია.

დაბოლოს შეიძლება ითქვას, რომ აუცილებელი მოგერიება არის ადამიანის უფლებების დაცვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მეთოდი, რომელიც მართლზომიერად ჩაითვლება მხოლოდ იმ პირობების არსებობისას, რომლებიც ზემოთ დაწვრილებით იქნა განხილული.

ლიტერატურა:

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი < https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426 >
2. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია < https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370 >
3. მერაბ ტურავა, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, 2001.
4. ოთარ გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, 2013.
5. ინტერნეტ-წყარო < http://www.ghn.ge/com/news/view/92238 >
6. ინტერნეტ-წყარო < https://www.amerikiskhma.com/a/us-shooting-casegun-laws-147613785/1208512.html >
7. გურამ ნაჭყებია, აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებისათვის პასუხისმგებლობის აქსიოლოგიური დასაბუთება, 2014.
8. ბაჩანა ჯიშკარიანი, კაზუსები სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში, 2015.
9. გიორგი შუბითიძე, აუცილებელი მოგერიების მართლზომიერების პირობები, 2016.
10. პოლიციის შესახებ საქართველოს კანონი < http://police.ge/files/sajaro_informacia/policiis%20shesaxeb.pdf >
11. აუცილებელი მოგერიების ზოგად სამართლებრივი დახასიათება - < http://www.library.court.ge/upload/S&M_N6_SUL4.pdf
12. საქართველოს კონსტიტუცია

აფხაზეთში ქართველი მოსახლეობის ეთნიკური წმენდის საერთაშორისო-სამართლებრივი რეგულირების საკითხები

მარინა მასურაშვილი, ლიკა გაგნიძე

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტები

ხელმძღვანელი: **დავით გეფერიძე**, მოწვეული სპეციალისტი, დოქტორი

ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობამ, ქვეყნის სათავეში ეროვნული ხელისუფლების მოსვლამ უაღრესად დაძაბა ვითარება აფხაზეთში. აგონიაში მყოფი საბჭოთა კავშირად წოდებული რუსეთის იმპერია ინტერფრონტების, ხსნის კომიტეტების, სხვა შავრაზმული

ორგანიზაციების მეშვეობით დაუფარავად აწყობდა ეთნოკონფლიქტებს, რათა გაეხანგრძლივებინა თავისი არსებობა და, რაც მთავარია, ჩაეხშო რესპუბლიკების ლტოლვა დამოუკიდებლობისაკენ. სანამ უშუალოდ საკითხზე გადავიდოდეთ, გავიხსენოთ, თუ რა არის ეთნიკური წმენდა? რაში გამოხატება იგი, როგორია მისი საერთაშორისო-სამართლებრივი განმარტება და რა კავშირშია კონფლიქტთან აფხაზეთში?

ეთნიკური წმენდა ეს არის ეროვნული, ეთნიკური, ენობრივი თუ რელიგიური ჯგუფის მიერ შემუშავებული პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს, ამა თუ იმ გეოგრაფიული რაიონიდან განდევნოს სხვა ასეთი ჯგუფების სამოქალაქო მოსახლეობა ძალადობისა და ტერორის მეთოდების გამოყენებით (მკვლელობა, წამება, თვითნებური დაპატიმრება და დაკავება, გაუპატიურება და სხვა; სექსუალური ხელყოფა, სამოქალაქო მოსახლეობის ძალმომრეობით განდევნა, გადაადგილება და დეპორტაცია, სამოქალაქო მოსახლეობისა და რაიონებზე მიზანმიმართული სამხედრო თავდასხმები თუ ამ თავდასხმების მუქარა, საკუთრების განადგურება). ეთნიკური წმენდის პრაქტიკა აგრესიული სეპარატიზმის ძირითადი იარაღია და იგი გენოციდის სახეს იღებს, როგორც ეს მოხდა, მაგალითად ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში, სადაც 1992 წელს სერბმა სეპარატისტებმა მუსლიმანების მიმართ, გაეროს გენერალური ასამბლეის შეფასებით, სწორედ ამ გზით განახორციელეს გენოციდი. ეთნიკური წმენდა ერთ-ერთი ყველაზე საშიში სახეობაა დანაშაულისა ადამიანურობის წინააღმდეგ, რომელიც საერთაშორისო მართლმსაჯულების იურისდიქციას განეკუთვნება: იგი იუგოსლავიის ჰააგის საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალის გადაწყვეტილებებში ერთ-ერთ მთავარ ბრალდებად ფიგურირებს, რომლის გამოც მრავალი სერბი სეპარატისტი მიეცა პასუხისგებაში. ბოლო დროს იმავე ბრალდებით პასუხისგებაში მიეცა რამდენიმე ხორვატი და ბოსნიელი პირი. ეთნიკური წმენდის სასტიკი გამოვლინებაა აფხაზ სეპარატისტთა ბარბაროსული ქმედებები, რომელთა შედეგად მოკლულია 10000-მდე სამოქალაქო პირი, ხოლო 250000-მდე ადამიანი განდევნილია მშობლიური კერიდან. ეს ქმედებები დაგმობილია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. ეუთოს ლისაბონის სამიტმა დაგმო ეთნიკური წმენდა, რომელსაც შედეგად მოჰყვა ძირითადად ქართველი მოსახლეობის მასობრივი მოსპობა და განდევნა აფხაზეთიდან. ასეთ პოზიციაზე დგანან დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა, ევროპის საბჭო, ევროკავშირი. რაც შეეხება გაეროს უშიშროების საბჭოს, იგი დღემდე თავს არიდებს ამ ფაქტის პირდაპირ დაფიქსირებას და ჯერჯერობით კმაყოფილდება მხოლოდ იმით, რომ ,,შეახსენებს“ საერთაშორისო თანამეგობრობას ბუდაპეშტისა და ლისაბონის სამიტების გადაწყვეტილებებს. უშიშროების საბჭოს ასეთი პოზიცია აიხსნება მასში წარმოდგენილ ძალთა პოზიციების განსხვავებით, რაც აფერხებს აფხაზ სეპარატისტთა მიმართ გაეროს წესდების VII თავის ამოქმედებას (მოქმედება მშვიდობისადმი საფრთხის, მშვიდობის დარღვევისა და აგრესიის აქტების მიმართ) და მხოლოდ VI თავის ფარგლებში (დავათა მშვიდობიანი გადაწყვეტა) აღწევს საბჭო ჯერჯერობით საერთო შეთანხმებას კონსენსუსის წესით.

რაც შეეხება უშუალოდ აფხაზეთში შეიარაღებულ კონფლიქტს, აფხაზეთის ომი, 1992-1993 წლებში იყო ომი საქართველოს სამთავრობო ჯარებსა და სეპარატისტულად განწყობილ ეთნიკურ აფხაზთა ერთ ნაწილს შორის, რომელიც 13 თვეს გაგრძელდა. სეპარატისტთა მხარეს ასევე იბრძოდნენ ადგილობრივი სომხები (ბაგრამიანის სახელობის ბატალიონი), დაქირავებული მებრძოლები ჩრდილოეთ კავკასიიდან, კაზაკთა შეიარაღებული მილიციის მეომრები, რომელთაც არაოფიციალურად მხარს უჭერდა რუსეთის სამხედრო ბაზის გარნიზონი გუდაუთაში.

კონფლიქტის მოგვარების ხელის შემშლელი ფაქტორები იყო სამოქალაქო ომი ე. წ. „ზვიადისტებთან“ (ექს-პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მომხრეებთან), რომელიც მიახლოებით იმავე პერიოდში განვითარდა დასავლეთ საქართველოში — სამეგრელოსა და აფხაზეთში და ქართულ-ოსური კონფლიქტი. პოსტსაბჭოური საქართველოსთვის კონფლიქტის შედეგები ძალიან მძიმე აღმოჩნდა. ქვეყანამ მიიღო უდიდესი მსხვერპლი, უმძიმესი ფინანსური და ფსიქოლოგიური ზიანი. ომმა და ომის შემდგომმა უწესრიგო შეტაკებებმა აფხაზეთის ტერიტორია მთლიანად გააპარტახა. დღესაც, აფხაზეთის რეგიონი, რომელიც საქართველოსგან დე ფაქტო დამოუკიდებლობით სარგებლობს, მძიმე სოციალური და ეკონომიკური პრობლემების წინაშე დგას. მიუხედავად თვითგამოცხადებული დამოუკიდებლობისა, აფხაზეთის რეგიონი მთლიანად დამოკიდებულია რუსეთის ფედერაციაზე. როგორც თვით აფხაზები აცხადებენ, რეგიონი რუსეთის ფედერაციის „დე ფაქტო პროტექტორატია“.

აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის შედეგები კატასტროფული აღმოჩნდა რეგიონის მოსახლეობისთვის, მთლიანად სახელმწიფოსთვის. ორივე მხრიდან ათეულ ათასობით დაღუპულის გარდა, ავტონომიური რესპუბლიკა დატოვა მისი კანონიერი მოსახლეობის სამმა მეოთხედმა. დევნილებად იქცა თითქმის 300 ათასი ქართველი, 40 ათასამდე აფხაზი, ათასობით ბერძენი, ესტონელი, უკრაინელი, ებრაელი, რუსების ნაწილი და ა.შ. ომამდელი 535 ათასი მოსახლიდან (მიმდინარე აღრიცხვის მონაცემები 1992 წლის იანვრისთვის) 1997 წლისთვის აფხაზეთში 145 986 ადამიანი დარჩა.

ამრიგად, ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობა 388 075 კაცით – 72,7 პროცენტით, ანუ 3,7-ჯერ შემცირდა. სხვა ეთნიკურ ჯგუფებზე მეტად ქართული მოსახლეობა დაზარალდა.

ოკუპანტები და სეპარატისტები განსაკუთრებული სისასტიკით უსწორდებოდნენ ქალებს, მათ შორის ორსულებს. გაუპატიურება (მათ შორის კოლექტიური), აუცილებლად მკერდისა და სხეულის სხვა ნაწილის მოჭრა, თვალების დათხრა, ორსულებისთვის მუცლის გამოფატვრა, ბოლოს კი ცოცხლად დაწვა ან დახვრეტა იყო მოძალადეთა ხელში ჩავარდნილი ქალების დიდი ნაწილის ხვედრი. არც ბავშვებს ჰქონდათ რაიმე შეღავათი. მათ მშობლებთან ერთად ხოცავდნენ. აფხაზეთის ტრაგედიის თვითმხილველი რუსი ჟურნალისტი მიხეილ აიდიონოვი ერთ-ერთ თავის წერილში გვამცნობს ასეთი შემზარავი ფაქტების შესახებ: "ახალდაბაში (ოჩამჩირეს რ-ნი) ბავშვებს ხელები და ფეხები გადაუმტვრიეს, სარებზე დასვეს, ერთ ბავშვს ტანკით გადაუარეს. სტადიონზე გაუპატიურებული ქალები ცოცხლად დაწვეს. ბავშვი გაატყავეს, ხორცზე წააწერეს: ,,ქართული ძაღლი იყიდება კუპონზე" (დროებითი ფულის ერთეული მაშინდელ საქართველოში). კომენტარები ზედმეტია.

ოკუპანტები და სეპარატისტები არ ინდობდნენ ლოგინს მიჯაჭვულ ინვალიდებსა და სხვა მძიმე ავადმყოფებს, რომლებსაც პირდაპირ საწოლში კლავდნენ. გაუგონარ აგრესიას იჩენდნენ მოხუცების მიმართაც. მაგალითად, საკუთარ სახლებში ცოცხლად დაწვეს 103 წლის დურუ ტაბაღუა (სოფ. ოტობაია, გალის რ-ნი), 96 წლის მარინე გოგუა (სოფ. ლინდავა, სოხუმის რ-ნი), 90 წლის ლუშა ცაავა (სოფ. შრომა, სოხუმის რ-ნი) და მრავალი სხვა.

აფხაზეთში განხორციელებული ეთნიკური წმენდისა და გენოციდის მსხვერპლნი უპირატესად ქართველები გახდნენ, მაგრამ სეპარატისტებმა და ოკუპანტებმა მათთან ერთად ასობით სხვა ეროვნების წარმომადგენელიც დახოცეს. მათ ბრალად ედებოდათ ქართველთა გადარჩენის მცდელობა. ასე მაგალითად, 1993 წლის ნოემბერში სოფ. ოდიშში (სოხუმის რ-ნი) ჯერ დახვრიტეს და მერე მის სახლში შეფარებულ 13 მეზობელ ქართველთან ერთად დაწვეს ბერძენი მერი ანასტასიადი. მსგავსი "დანაშაულისთვის" დახვრეტილთა შორის, გარდა ბერძნებისა, არიან აფხაზები, რუსები, სომხები, ებრაელები, უკრაინელები და სხვა ეროვნების წარმომადგენლები. მათგან დავასახელებთ ოჩამჩირელ ბრანისლავა იგუმენოვას, რომელიც 1993 წ. დეკემბერში დახვრიტეს იმისთვის, რომ სეპარატისტთა ბოევიკებს განუცხადა: "ასეთს ფაშისტებიც კი არ აკეთებდნენ".

სეპარატისტებმა ოკუპანტებთან ერთად ტყვედ აიყვანეს და დახვრიტეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ჟიული შარტავა, მისი მთავრობის წევრები რაულ ეშბა, სუმბატ სააკიანი, ქ. სოხუმის მერი გურამ გაბესქირია და მათი თანმხლები პირები. არ ინდობდნენ სასულიერო პირებსაც. მათ შეიპყრეს და სიცოცხლეს გამოასალმეს კომანის მონასტრის წინამძღვარი ახალგაზრდა მღვდელმონაზონი ანდრია (ყურაშვილი).

1994 წლის 24 მაისს გამოქვეყნდა გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ შექმნილ ექსპერტთა კომისიის მოხსენება, რომელშიც მოცემული იყო „ეთნიკური წმენდის" ცნება: ეს არის წინასწარ განსაზღვრული პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს ერთი ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფის, სასტიკი მოპყრობით ან ტერორის გზით, განდევნას სხვა ეთნიკური ან რელიგიური ჯგუფის მიერ გარკვეული გეოგრაფიული არიდან. ძირითადად, ეს ხდება ცრუ ნაციონალიზმის, ისტორიული წყენისა და შურისძიების მძლავრი მამოძრავებელი გრძნობის სახელით. ამ ქმედების ნამდვილი მიზანი ტერიტორიის ოკუპაცია და მისი გარკვეული ჯგუფებისაგან გაწმენდაა. სხვა მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ ეს პოლიტიკა ხორციელდება შემდეგი საშუალებებით: მკვლელობები, წამება, უკანონო დაკავება და დაპატიმრება, უკანონო დახვრეტები, გაუპატიურება და სექსუალური ძალადობა, სამოქალაქო მოსახლეობის გეტოებში მოთავსება, იძულებითი გადაადგილება, დეპორტაცია, სამოქალაქო პირებსა და ობიექტებზე განზრახ სამხედრო თავდასხმა, ან ასეთი თავდასხმის გამოყენების მუქარა. პრაქტიკულად ასეთი განსაზღვრება სავსებით თავსდება გენოციდის დანაშაულის ჩარჩოებში, მაგრამ მაინც აქცენტი გადატანილი იყო „ეთნიკურ წმენდაზე", რადგანაც მუსლიმები სერბეთში ბოსნია და ჰერცეგოვინის მრავალმილიონიანი მოსახლეობის მცირე ნაწილს შეადგენდნენ. ფორმალურად, იურისტები განსაზღვრავენ, რომ გენოციდად აღიარებისათვის მსხვერპლი უნდა იყოს კონკრეტული უმცირესობის ჯგუფი, რომელიც არ წარმოადგენს მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრები უმრავლესობის ნაწილს. 1994 წელს საქართველოში შეიქმნა სახელმწიფო კომისია, აფხაზეთში ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ „ეთნიკური წმენდის/გენოციდის" ფაქტების დადგენისა და მასალების საერთაშორისო ტრიბუნალებისათვის გადაცემის მიზნით. ამ კომისიის თავმჯდომარე გახლდათ ბატონი ლევან ალექსიძე. კომისიამ, საქართველოს პროკურატურის დახმარებით, აფხაზეთიდან გამოძევებულებთან შეხვედრებზე, ჟურნალისტთა მიერ მოპოვებულ ფოტო და ვიდეომასალებზე დაყრდნობით, დაიწყო აფხაზეთში დატრიალებული საშინელი ტრაგედიის შესწავლა. ყოველწლიურად გაეროს უშიშროების საბჭოსა და ადამიანის უფლებათა კომისიაში ვრცელდებოდა ზემოხსენებული კომისიის მოხსენებები, რომლებშიც

აღნუსხული და შეჯამებული იყო იმ დროისათვის მოპოვებული ფაქტები. პირველი დოკუმენტი განცხადების სახეს ატარებდა.

დაწყებული 1995 წლიდან ვრცელდებოდა დოკუმენტები, რომლებიც, უფრო ვრცელი და კონკრეტული ფაქტების მოყვანის გარდა, შეიცავდა პრაქტიკის მეცნიერულ შეფასებას. მაგალითად, გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიაში გავრცელებული დოკუმენტი დასახელებული იყო: „ეთნიკური წმენდის/გენოციდის პოლიტიკა აფხაზეთში აგრესიული სეპარატიზმის ძირითადი იარაღია“. მასში განხილული იყო ისეთი საკითხები, როგორებიცაა:

1. გენოციდი/ეთნიკური წმენდა – ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული საერთაშორისო დანაშაული;
2. სეპარატისტთა ფაშისტური იდეოლოგია და მისი ცხოვრებაში გატარება;
3. ფაქტები, რომლებიც ამხელენ აფხაზეთში ქართველი მოსახლეობის მიმართ გენოციდის/ეთნიკური წმენდის პოლიტიკას.

ასეთივე სახეს ატარებდა შემდეგი მოხსენებაც. ამ მოხსენებებში აფხაზეთში მომხდარი ტრაგედია შედარებული იყო ეთნიკური წმენდის მსოფლიოს სხვა რეგიონებში არსებულ პრაქტიკასთან. ცნობილია, რომ ამ ბარბაროსული პოლიტიკის შედეგად დაიღუპა 6 000 მშვიდობიანი მოსახლე, ხოლო 200 000-ზე მეტი გააძევეს ტერორითა და არაადამიანური მოპყრობით, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ქართველები იყვნენ, რაც სავსებით თავსდებოდა „ეთნიკური წმენდის“ იმ განსაზღვრებაში, რომელიც საერთაშორისო ექსპერტებისა და ტრიბუნალების დასკვნებში აისახა.

პირველი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც იმთავითვე გამოეხმაურა აფხაზეთში მიმდინარე ტრაგიკულ ამბებს, იყო ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო). 1994 წელს ბუდაპეშტის სამიტზე მონაწილე სახელმწიფოებმა გამოთქვეს ღრმა შეშფოთება აფხაზეთში ეთნიკური წმენდის, მოსახლეობის, განსაკუთრებით ქართველთა, თავიანთი საცხოვრებელი ადგილებიდან მასობრივი განდევნისა და უდანაშაულო მოქალაქეთა დიდი რაოდენობით დაღუპვის გამო. მაგრამ ყველაზე ამომწურავ, თუმცა ლაკონიურ განსაზღვრებას იმ პოლიტიკისას, რომელსაც ატარებენ სეპარატისტები აფხაზეთში, შეიცავს ლისაბონის სამიტის დეკლარაცია (1996 წლის 3 დეკემბერი): „ჩვენ (ეუთოს მონაწილე სახელმწიფოები – ლ.ა.) ვგმობთ „ეთნიკურ წმენდას“, რომელიც გამოიხატება აფხაზეთში ძირითადად ქართველი მოსახლეობის მასობრივი განადგურებითა და იძულებითი გაძევებით.

1999 წლის ნოემბერში სტამბოლში მოწვეულ ეუთოს სამიტზე მიღებულ დეკლარაციაში სახელმწიფოებმა ,,კვლავ განაცხადეს'', რომ ,,გადაჭრით გმობენ ,,ეთნიკურ წმენდას'', როგორც ეს ფორმულირებულია ბუდაპეშტისა და ლისაბონის უმაღლესი დონის შეხვედრებზე, რამაც გამოიწვია აფხაზეთში, საქართველო, ძირითადად ქართული მოსახლეობის განადგურება და იძულებითი გაძევება, და ძალადობის აქტებს, რომლებიც აღინიშნა გალის რაიონში 1998 წლის მაისში იქ დაბრუნებულ პირებთან დაკავშირებით, რაც მიზნად ისახავდა დაბრუნების სურვილის მქონე ადამიანებში შიშის დანერგვას. დეკლარაციით, იძლეოდნენ რეკომენდაციას, რათა მომდევნო წლის დასაწყისში გალის რაიონში გაეგზავნათ ფაქტების დამდგენი მისია, ეუთოსა და გაეროს მონაწილეობით, მათ შორის მიმდინარე ,,ეთნიკური წმენდის'' შემთხვევების შესახებ ცნობების შესაფასებლად. სამწუხაროდ, აღნიშნული კომისია არ შექმნილა, მაგრამ ეუთოს დეკლარაციაში აფხაზეთში არსებული კონფლიქტისათვის ასეთი დიდი ყურადღების დათმობა, და ,,ეთნიკური წმენდის'', სეპარატისტების საშინელ დანაშაულთა კიდევ ერთხელ დაგმობას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღების მობილიზაციისათვის. საგულისხმოა, რომ ლისაბონში დეკლარაციის აღნიშნული ფორმულის განხილვისას რუსეთის დელეგაციამ კატეგორიული უარი განაცხადა მის მიღებაზე, რადგანაც მასში ნახსენები ტერმინი ,,გამოიხატება'' აწმყო დროში იყო გამოყენებული. რუსეთის მტკიცებით, 1994 წლიდან ენგურზე მათი სამშვიდობო ძალები იდგა და არანაირი ეთნიკური წმენდა იქ აღარ ყოფილა. ამიტომ, მათი აზრით, ტერმინი ,,გამოიხატება'' უნდა შეცვლილიყო ტერმინით ,,გამოიხატა''.

2008 წლის 29 მაისს გაეროს გენერალური ასამბლეის 62-ე სესიამ მიიღო ისტორიული მნიშვნელობის რეზოლუცია – ,,აფხაზეთიდან, საქართველო, ქვეყნის შიგნით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ'', რომელშიც გაეროს პრაქტიკაში პირველად დაფიქსირდა აფხაზეთში ქართველების ეთნიკური წმენდის ფაქტი. რეზოლუციაში ნათქვამია: ,,იმოწმებს რა უშიშროების საბჭოს ყველა სათანადო რეზოლუციას, იღებს რა მხედველობაში ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) ბუდაპეშტის (1994), ლისაბონისა (1996) და სტამბოლის (1999) სამიტების დასკვნებს, კერძოდ მოხსენებებს აფხაზეთში, საქართველო, ,,ეთნიკური წმენდისა'' და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სხვა სერიოზული დარღვევების შესახებ... ხაზს უსვამს იმ მნიშვნელობას, რომელიც აქვს აფხაზეთიდან, საქართველო, ლტოლვილთა და ქვეყნის შიგნით გადაადგილებულ პირთა

საკუთრების დაცვას, „ეთნიკური წმენდის'' მსხვერპლთა ჩათვლით, და მოუწოდებს ყველა წევრ სახელმწიფოს, არ დაუშვან მათს იურისდიქციაში მყოფი პირების მიერ აფხაზეთის, საქართველო, ტერიტორიაზე საკუთრების შეძენა, რეპატრიანტების უფლებათა დარღვევით...

აღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია, რომელიც მიღებულ იქნა რუსეთის მედგარი წინააღმდეგობის მიუხედავად, სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობისათვის კიდევ ერთი შეხსენებაა, რომ, როდესაც ნებისმიერ რეგიონში (როგორი პატარა და მცირერიცხოვანიც არ უნდა იყოს იგი) სეპარატისტების ზრახვებს ეწირება ასიათასობით უდანაშაულო ადამიანი, ამჟამადაც საერთაშორისო ორგანიზაციები არ შეიძლება პასიურობდნენ, საჭიროა ენერგიული ბრძოლა თანამედროვე კაცობრიობისათვის ადამიანის ესოდენ ღირებულ უფლებათა დაცვისათვის. გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამ კეთილშობილურ საქმეში უდიდესი წვლილი მიუძღვის ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციას.

ლიტერატურა:

1. ლევან ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბილისი, 2015.
2. საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, თბილისი, 2008.
https://iuristebi.files.wordpress.com/2011/07/e183a1e18390e1
3. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=3912
4. UN RESOLUTIONS ON GEORGIA, Report of the Secretary-General on the situation in Abkhazia, Georgia. https://documents-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N08/526/58/PDF/N08
5. ჯემალ გამახარია, ზვიად გამსახურდიას პოლიტიკა აფხაზეთში (1990-1993 წწ.), თბილისი, 2004.

რუსეთის ფედერაცია საერთაშორისო სამართლის წინააღმდეგ

ნათია მეგრელიშვილი, ეთერ უთნელიშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **დავით გეფერიძე**, პროფესორი

შეიარაღებული დაპირისპირების შედეგი ყოველთვის არის ადამიანური ტრაგედია. ბრძოლების დასრულების შემდეგ, ბევრია მკვლელობებისა და სხვა დანაკარგების, დიდი ტანჯვის, ოცნებებისა და იმედების, ხშირ შემთხვევაში, სამუდამო მსხვრევის სამწუხარო ფაქტები.

2008 წლის 7-8 აგვისტოს ღამეს, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მზარდი დაძაბულობისა და ინციდენტების შემდეგ, მძიმე ბრძოლები დაიწყო ე.წ. სამხრეთ ოსეთის ქალაქ ცხინვალში და მის შემოგარენში. ბრძოლები, რომლებიც მალე საქართველოს სხვა კუთხეებსაც მოედო, 5 დღის განმავლობაში გრძელდებოდა. მან მთელი ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა ადგილას დიდი ნგრევა და მთელი რიგი ქალაქებისა და სოფლების სრული განადგურება გამოიწვია. დაიღუპა საკმაოდ ბევრი ადამიანი. საბოლოო ჯამში, საქართველოს მხარემ განაცხადა 170 სამხედრო მოსამსახურის, 14 პოლიციელის და 228 სამოქალაქო პირის დაღუპვისა და 1 747 პირის დაჭრის თაობაზე. რუსეთის მხარემ განაცხადა 67 სამხედრო მოსამსახურისა და 283 დაჭრილის თაობაზე, ხოლო სამხრეთ ოსეთმა - 365 პირის დაღუპვის შესახებ, რაც, სავარაუდოდ, როგორც სამხედრო მოსამსახურეებს, ასევე სამოქალაქო პირებსაც მოიცავდა. მთლიანობაში დაიღუპა 850 ადამიანი, რომ არაფერი ვთქვათ დაჭრილებზე, დაკარგულებზე, ან იმ 100 000-ზე მეტ სამოქალაქო პირზე, რომლებმაც თავიანთი საცხოვრებელი მიატოვეს. დაახლოებით 35 000 მათგანმა ჯერ კიდევ ვერ შეძლო საკუთარ სახლებში დაბრუნება. ომით ვერც პოლიტიკური კონფლიქტი დასრულდა და ვერც ის საკითხები გადაიჭრა, რომლებიც მის მიზეზს წარმოადგენდნენ. დაძაბულობა კვლავაც გრძელდება. პოლიტიკური ვითარება ომის დასრულების შემდეგ არ განმუხტულა და, გარკვეული თვალსაზრისით, გართულდა კიდეც.

საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის ფედერაციამ ფართო მასშტაბიანი საომარი მოქმედებები დაასრულა. ახლა იგი ცდილობს „მოგებული ომის“ შედეგების იურიდიულად გაფორმებას. 2008 წლის 26 აგვისტოს რუსეთის პრეზიდენტმა, დიმიტრი მედვედევმა, ხელი მოაწერა ბრძანებულებას, რომლის მიხედვით, რუსეთი საქართველოს სეპარატისტული რეგიონების აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას ცნობს. ამასთანავე, რუსეთის პრეზიდენტმა გააკეთა საგანგებო მიმართვა და საზოგადოებას აუწყა მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძვლიანობისა და აუცილებლობის შესახებ. რუსეთის პრეზიდენტის, დიმიტრი მედვედევის, აზრით, ბრძანებულების გამოცემისათვის არსებობდა რამდენიმე საფუძველი, კერძოდ:

1. საქართველოს ხელისუფლებამ დაარღვია გაეროს წესდება, საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილი მოვალეობები და განაახლა შეიარაღებული კონფლიქტი ცხინვალის რეგიონში, რომლის მსხვერპლიც გახდა მშვიდობიანი მოსახლეობა, რუსეთის მშვიდობიანი მოქალაქეები. ასეთივე ბედი ელოდა აფხაზეთს. 8 აგვისტოს თბილისმა გააკეთა არჩევანი საკუთარი პოლიტიკური ამოცანების გადასაწყვეტად. მან აირჩია გენოციდი, რითაც გადაწურა ყველა იმედი ოსების, აფხაზებისა და ქართველების ერთ სახელმწიფოში მშვიდობიანი თანაარსებობისა.

2. აფხაზებისა და ე.წ სამხრეთ ოსეთის ხალხებმა არაერთხელ გამოავლინეს თავისუფალი ნება და მხარი დაუჭირეს თავიანთი რესპუბლიკების დამოუკიდებლობას რეფერენდუმების მეშვეობით. მათ უფლება აქვთ თავად გადაწყვიტონ საკუთარი ბედი.

3. რუსეთის ფედერაციას თხოვნით მიმართეს აფხაზეთისა და ე.წ სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტებმა ამ რეგიონების სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის ცნობის თაობაზე.

4. გაეროს წესდება, ,,საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ'' გაერო-ს 1970 წლის დეკლარაცია, ეუთო-ს 1975 წლის დასკვნითი აქტი და სხვა საერთაშორისო დოკუმენტები უფლებას აძლევს რუსეთს, ცნოს სხვა სახელმწიფოს სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობა.

ასეთია ის საფუძვლები, რომლებმაც გადააწყვეტინა რუსეთის პრეზიდენტს გამოეცა ბრძანებულება საქართველოს ორი სეპარატისტული რეგიონის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ. რუსეთის პრეზიდენტი, როგორც ჩანს, დარწმუნებულია მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების სამართლიანობასა და კანონიერებაში და თავის მიმართვაში მოუწოდებს სხვა სახელმწიფოებს რუსეთის მსგავსად იმოქმედონ.

ახლა კი ვნახოთ, რამდენად შეესაბამება რუსეთის პრეზიდენტის 2008 წლის 26 აგვისტოს ბრძანებულება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს.

- რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებულება, უწინარეს ყოვლისა, ეწინააღმდეგება სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობის პრინციპს. ისტორიულად და სამართლებრივად აფხაზეთი და ე.წ სამხრეთ ოსეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილებია. საქართველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლის თანახმად, საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია განსაზღვრულია 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით, აფხაზეთის და ე.წ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიების ჩათვლით. საქართველომ გასულ საუკუნეში რუსეთის აგრესიის, ოკუპაციისა და ანექსიის შედეგად დაკარგული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღიდგინა რეფერენდუმის საფუძველზე, რომელიც 1991 წლის 31 მარტს ჩატარდა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში. საარჩევნო უფლების მქონე მოსახლეობის, მათ შორის, ამ რეგიონებში მცხოვრებთა უმრავლესობამ, რეფერენდუმში მხარი დაუჭირა საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას. ამის შედეგად, საქართველო გაეროს წევრად მიიღეს იმ საზღვრებში, იმ ტერიტორიული მდგომარეობით, რომელიც მას ჰქონდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისას, ე.ი აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიების ჩათვლით. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღიარებულია სახელმწიფოთა მსოფლიო თანამეგობრობის, მათ შორის, რუსეთისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ.
- რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებულება ეწინააღმდეგება სახელმწიფო საზღვრების ურღვეობის პრინციპს.

ამ პრინციპის მიხედვით, სახელმწიფოებს ურღვევად მიაჩნიათ ერთმანეთის საზღვრები და ამიტომ ისინი თავს შეიკავებენ ამ საზღვრების ყოველგვარი ხელყოფისაგან, არ შეეცდებიან მათ გადასინჯვას და არ ექნებათ ტერიტორიული პრეტენზიები. აღნიშნული პრინციპი დასაშვებად მიიჩნევს საზღვრების მხოლოდ ნებაყოფლობით შეცვლას, დაინტერესებული სახელმწიფოების თანასწორუფლებიანი შეთანხმების დადებას. რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებულებით, ზემოაღნიშნული პრინციპის დარღვევა გამოიხატა იმაში, რომ საქართველოს სეპარატისტული რეგიონების სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ცნობით, რუსეთმა ცალმხრივად, საქართველოსთან შეუთანხმებლად, შეცვალა

საქართველოს სახელმწიფო საზღვრები. თანამედროვე საერთაშორისო სამართლით, ამ პრინციპის დარღვევის ნებისმიერი მცდელობა დანაშაულადაა მიჩნეული.

• რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებულება ეწინააღმდეგება სხვა სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპს.

ამ პრინციპის მიხედვით, არც ერთ სახელმწიფოს, ან სახელმწიფოთა ჯგუფს არა აქვს უფლება, ჩაერიოს პირდაპირ თუ არაპირდაპირ, სხვა სახელმწიფოს საგარეო და საშინაო საქმეებში. დაუშვებელია შეიარაღებული ჩარევა და ჩარევის ყველა სხვა ფორმა, ან მუქარა, რომელიც მიმართულია სახელმწიფოს სამართალსუბიექტობის ან მისი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული საფუძვლების წინააღმდეგ. აღნიშნული პრინციპის დარღვევა მდგომარეობს იმაში, რომ საქართველოს ორი სეპარატისტული რეგიონის დამოუკიდებლობის ცნობით რუსეთმა თვითნებურად გადაწყვიტა სხვა სახელმწიფოს - საქართველოს რეგიონების სტატუსის საკითხი, რომელიც მხოლოდ საქართველოს საშინაო საქმეა. რუსეთის პრეზიდენტის განცხადება, რომ რუსეთის მიერ საქართველოს ორი სეპარატისტული რეგიონის დამოუკიდებლობის ცნობა იმიტომ მოხდა, რომ საქართველომ თავისი მოქმედებით ,,გადაწურა ყველა იმედი ოსების, აფხაზების და ქართველების ერთ სახელმწიფოში მშვიდობიანი თანაარსებობისა'', არ შეიძლება რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძვლად იქნეს განხილული, რადგანაც სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობის პირის ასეთი განცხადებაც კი წარმოადგენს სხვა სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპის უხეშ დარღვევას. არცერთ სახელმწიფოს და მათ შორის რუსეთს არა აქვს არანაირი უფლება გადაწყვიტოს სხვა სახელმწიფოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხი და განსაზღვროს ესა თუ ის ერები ერთ სახელმწიფოში იცხოვრებენ თუ ცალ-ცალკე. ამ პრინციპის დარღვევას თანამედროვე საერთაშორისო სამართალი ინტერვენციად მიიჩნევს.

• რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებულება ეწინააღმდეგება სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის პრინციპს.

ამ პრინციპის მიხედვით, ყველა სახელმწიფო, მიუხედავად მისი ტერიტორიის სიდიდისა და მოსახლეობის რაოდენობისა, პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სამხედრო ძლიერებისა თანასწორუფლებიანია საერთაშორისო სამართლის წინაშე. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოებმა პატივი უნდა სცენ ერთმანეთის სუვერენულ თანასწორობას, აგრეთვე ყველა უფლებას, რომელიც დამახასიათებელია მათი სუვერენიტეტისათვის, მათ შორის, თითოეული სახელმწიფოს იურიდიული თანასწორობის, ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის უფლებას. არცერთ სახელმწიფოს არა აქვს უფლება თავს მოახვიოს სხვა სახელმწიფოს თავისი ბატონობა ან პრივილეგიურ მდგომარეობაში ჩააყენოს თავისი თავი. ამ პრინციპის დარღვევა გამოიხატა იმაში, რომ საქართველოს ორი სეპარატისტული რეგიონის დამოუკიდებლობის ცნობით, ე.ი. ცალმხრივი აქტის გამოცემით, რუსეთმა დაადასტურა, რომ იგი საქართველოს არ განიხილავს როგორც იურიდიულად თანასწორ სუბიექტს და და პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებს თავის თავს საქართველოს სუვერენიტეტის საზიანოდ.

• რუსეთის ბრძანებულება ეწინააღმდეგება საერთაშორისო დავების მშვიდობიანი მოწესრიგების პრინციპს.

ამ პრინციპის მიხედვით, ყოველი სახელმწიფო თავის საერთაშორისო დავებს სხვა სახელმწიფოებთან უნდა წყვეტდეს მშვიდობიანი საშუალებებით ისე, რომ საფრთხე არ შეუქმნას საერთაშორისო მშვიდობას, უშიშროებასა და სამართლიანობას. აღნიშნული ბრძანებულებით, საქართველოს ორი სეპარატისტული რეგიონის დამოუკიდებლად ცნობა არათუ ხელს შეუწყობს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების მშვიდობიან მოწესრიგებას, არამედ პირიქით, იგი იმდენად გააუარესებს ამ ორ სახელმწიფოს შორის ამჟამად არსებულ ისედაც უაღრესად დაძაბულ ურთიერთობას, რომ რეალური საფრთხე შეექმნება საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროების დაცვას.

• რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებულება ეწინააღმდეგება ხალხთა თანასწორობისა და თვითგამორკვევის პრინციპს.

ყველა ხალხს აქვს თვითგამორკვევის უფლება, რომლის ძალითაც ისინი თავისუფლად აწესებენ თავიანთ პოლიტიკურ სტატუსს და თავისუფლად უზრუნველყოფენ თავიანთ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებას. ყოველმა სახელმწიფომ თავი უნდა შეიკავოს ყოველგვარი მოქმედებისაგან, რომელიც მიმართულია სხვა რომელიმე სახელმწიფოს ეროვნული ერთიანობისა და ტერიტორიული მთლიანობის ნაწილობრივ თუ მთლიანი დარღვევისაკენ. ამ სეპარატისტულ რეგიონებში რეფერენდუმები გაიმართა მას შემდეგ, რაც იქ ეთნიკური წმენდა განხორციელდა, რომლის შედეგადაც, მაგალითად, აფხაზეთიდან განდევნილი იქნა 250 ათასამდე ქართველი, 100 ათასამდე სხვა ეროვნების წარმომადგენელი და თვით აფხაზი მოსახლეობის ნახევარი. ამიტომ ეთნიკური წმენდის

შემდეგ დარჩენილ მოსახლეობაში ჩატარებული რეფერენდუმი ვერანაირად ვერ გამოხატავს აფხაზეთში და ე.წ. სამხრეთ ოსეთში მცხოვრები ხალხების და თვით აფხაზებისა და ოსების ნებას. არც ეთნიკური წმენდის შემდეგ დარჩენილ მოსახლეობაში სეპარატისტთა მიერ ჩატარებული ე.წ. საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებია ლეგიტიმური. გამომდინარე აქედან, ამ დე-ფაქტო ლიდერების მიერ გამოცემულ აქტებსა და მიმართვებს არანაირი იურიდიული ძალა არ გააჩნიათ. ამის ნათელი დადასტურებაა ეუთოს-სტამბოლის (1999 წ-ის) დეკლარაცია, რომელშიც აღნიშნულია: “მიუღებლად და უკანონოდ ვთვლით ამ წელს აფხაზეთში, ეგრეთ წოდებული საპრეზიდენტო არჩევნებისა და რეფერენდუმის ჩატარებას“. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს დეკლარაცია მიღებულია თვით რუსეთის მონაწილეობითა და დასტურით. ხალხების თვითგამორკვევა უნდა ხორციელდებოდეს მოცემული სახელმწიფოს კონსტიტუციურ სისტემაში მონაწილეობის გზით, მისი ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის საფუძველზე. ამიტომაც არის, რომ სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობა უარს ამბობს სეპარატისტთა მიერ ეთნიკური წმენდის საფუძველზე შექმნილი თვითმარქვია დამოუკიდებელი სახელმწიფოების ცნობაზე და მოითხოვს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის, როგორც საქართველოს სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილების, სტატუსის განსაზღვრას მხოლოდ საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. გავიხსენოთ, 2008 წლის პირველ სექტემბერს საქართველოს შესახებ ევროკავშირის მიერ მიღებული დოკუმენტი, რომლის თანახმად, ევროკავშირი გმობს რუსეთის ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას აფხაზეთისა და ოსეთის დამოუკიდებლად ცნობის შესახებ და მოუწოდებს სხვა ქვეყნებს, არ ცნონ გამოცხადებული დამოუკიდებლობა.

რუსეთმა მის საომარ ქმედებას საქართველოში "მშვიდობის იძულებით დამყარების ოპერაცია" უწოდა, მაშინ, როცა საქართველო ამას აგრესიას უწოდებს. საერთაშორისო საზოგადოებამ, ისეთი ძირითადი მოთამაშეების ჩათვლით, როგორიც არის ევროკავშირი, თავი შეიკავა რაიმე ფორმის ოფიციალური კვალიფიკაციის მიცემისგან, მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა საერთო მოთხოვნა საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტის შესახებ. 12 აგვისტოს ნიკოლა სარკოზი, ევროპის საბჭოს თავმჯდომარის რანგში ჩავიდა მოსკოვსა და თბილისში, რათა სამხედრო დაპირისპირება შეეჩერებინა. შეთანხმდა ცეცხლის შეწყვეტის ექვსპუნქტიანი გეგმა, რომელიც მათ შორის ითვალისწინებდა სამხედრო ოპერაციების დაუყოვნებლივ შეჩერებასა და საჯარისო ნაწილების იმ პოზიციებზე დაბრუნებას, რომელიც მათ კონფლიქტის წინ ეკავათ. მიუხედავად იმისა, რომ ცეცხლის შეწყვეტა გამოცხადდა, რუსეთისა და სამხრეთ ოსეთის სამხედრო ნაწილები, მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, აგრძელებდნენ დამატებითი ტერიტორიების ოკუპაციას, მათ შორის ახალგორის რაიონში, რომელიც 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტამდე საქართველოს ადმინისტრაციულ ერთეულში შედიოდა და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ამ კონფლიქტში გამარჯვებული არ არსებობს. ყველამ წააგო, თუ სიცოცხლისა და ქონებრივი დანაკარგის მხრივ არა, იმედებისა და სამომავლო პერსპექტივების თვალსაზრისით მაინც. ადგილზე მიღებული ზარალის გარდა, პოლიტიკური სიტუაციაც უფრო რთულია, ვიდრე ოდესმე. ეს ეხება არა მარტო ურთიერთობებს თბილისსა და სოხუმს, არამედ თბილისსა და ცხინვალს შორისაც, სადაც 2008 წლის კონფლიქტმა ვერ მოაგვარა ვერცერთი წინააღმდეგობრივი საკითხი. სიტუაცია კონფლიქტის რეგიონში ისევ დაძაბულია. ნებისმიერ ინციდენტს შეუძლია გამოიწვიოს მძიმე შედეგები. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები გაუარესებულია, როგორც არასდროს, რაც ხშირ შემთხვევაში სამხედრო დაპირისპირების ზღვარს უახლოვდება. მხარეებს შორის პოლიტიკური შეთანხმებები მწირია და არსობრივად ძალზე შეზღუდული. 2008 წლის აგვისტოს შემდეგ საფრთხის შემცველი ინციდენტების მნიშვნელოვანი რაოდენობა მოხდა. ზოგი მათგანი შესაძლოა გადაზრდილიყო უფრო ფართო დაპირისპირებაში. მიუხედავად იმისა, რომ ორივე მხარე ხაზს უსვამს მშვიდობიანი მომავლისათვის საკუთარ მხარდაჭერას, ახალი დაპირისპირების რისკი ჯერ კიდევ მაღალია.

- რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებულება ეწინააღმდეგება ადამნიანის უფლებათა და თავისუფლებათა პატივისცემის პრინციპს. ამ პრინციპის მიხედვით, სახელმწიფოები აღიარებენ ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების საყოველთაო მნიშვნელობას, რომელთა პატივისცემა მშვიდობის, სამართლიანობისა და კეთილდღეობის არსებითი ფაქტორია და აუცილებელია სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურთიერთობისა და თანამშრომლობის განვითარების უზრუნველყოფისათვის. რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებულებით, ამ პრინციპის დარღვევა გამოიხატება იმაში, რომ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ცნობის შემდეგ, შეუძლებელი იქნება ამ რეგიონებში ქართველი მოსახლეობის მიმართ ჩადენილი ეთნიკური წმენდის შედეგების ლიკვიდაცია, ასიათასობით დევნილ საქართველოს მოქალაქეს წაერთმევა თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნების, საკუთრების, არჩევნებში მონაწილეობისა და ადამიანის სხვა ძირითადი უფლებების განხორციელების შესაძლებლობა.

რუსეთის პრეზიდენტის მტკიცებას, აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში საქართველოს ხელისუფლების მიერ ჩადენილი გენოციდის შესახებ, მხოლოდ შიშველი ბრალდებაა, მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასამართლებლად და არ არის დადასტურებული არცერთი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ. სამაგიეროდ, რუსეთის სამხედრო მხარდაჭერით აფხაზი სეპარატისტების მიერ ჩადენილმა ადამიანის უფლებათა მასობრივმა დარღვევებმა, ქართველი მოსახლეობის ფართომასშტაბიანმა დეპორტაციამ და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულმა დანაშაულებმა საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღება მიიპყრო.

როგორც ვხედავთ, საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით, საქართველო არათუ უფლებამოსილია, არამედ ვალდებულიცაა, ყველა საშუალებით, მათ შორის, იძულებითი ზომებით, აღკვეთოს თავის ტერიტორიაზე ეთნიკური წმენდისა და გენოციდის ნებისმიერი გამოვლინება, მით უმეტეს, როდესაც ეთნიკური წმენდის ფაქტები დადასტურებულია კომპეტენტური საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ.

რაც შეეხება „საერთაშორისო ურთიერთობებში ძალის გამოყენებისა და ძალით დამუქრების „პრინციპს - არცერთ სახელმწიფოს არ აქვს უფლება, თავს დაესხას მეორე სახელმწიფოს, რაგინდ სამართლიანიც უნდა იყოს ის მოტივები, რომელთა ძალითაც ასეთი პრევენციული ზომების აუცილებლობა იქნება ნაკარნახევი. მხოლოდ გაეროს აქვს უფლება, მიიღოს სათანადო ზომები, შეიარაღებული ძალების გამოყენების ჩათვლით, როდესაც ამას უშიშროების საბჭო დაადგენს. როგორც ჩანს, საერთაშორისოსამართლებრივ ამკრძალავ ნორმებს რუსეთისთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. რუსეთის პრეზიდენტის აზრით, რუსეთს უფლება აქვს თავისი შეხედულებისამებრ, მსოფლიოს ნებისმიერ სახელმწიფოში, რუსეთის მოქალაქეების ან საერთოდ ადამიანის უფლებების დაცვის საბაბით, შეიყვანოს სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო შეიარაღებული ძალები, დაბომბოს დასახლებული პუნქტები და მოახდინოს ამ სახელმწიფოს ტერიტორიების დაპყრობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რადგანაც რუსეთის პრეზიდენტის 2008 წლის 26 აგვისტოს ბრძანებულება ეწინააღმდეგება საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლებრივ ყველა ნორმასა და პრინციპს, რომელიც რუსეთის კონსტიტუციით რუსეთის რაციონალური სამართლის შემადგენელი ნაწილია, ის არა მარტო საერთაშორისო კანონიერებას, არამედ თვით რუსეთის კონსტიტუციურ კანონიერებას არღვევს. ამის გამო, მას არა აქვს იურიდიული ძალა და არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს. ახლა, რაც შეეხება ამ ბრძანებულების ხელმოწერისას რუსეთის პრეზიდენტის მოწოდებას, რომ სხვა სახელმწიფოებმაც მიბაძონ რუსეთის მაგალითს, ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, სხვა სახელმწიფოებმა რომ მიბაძონ რუსეთის მაგალითს, მსოფლიოში რა მოხდება. მოხდება ის, რაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა ილია მეორემ ბრძანა 2008 წლის 25 აგვისტოს რუსეთის პრეზიდენტისადმი მიმართვაში: „რუსეთის მხრიდან აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობის ცნობით მსოფლიოში ხელი ეწყობა სეპარატიზმს და ამიტომაც საერთაშორისო საზოგადოება ვალდებულია ხმა აღიმაღლოს ამის წინააღმდეგ“.

სეპარატიზმი გადამდები ცენტრიდანული საშინელი ძალაა, რომელიც ანგრევს სახელმწიფოს საფუძვლებს და თუ მას სერიოზული გასაქანი მიეცა, დედამიწას ქაოსი მოიცავს. მცირე ერები ყველა სახელმწიფოშია და მათ რომ პოლიტიკური დამოუკიდებლობა მოინდომონ, ბუნებრივია, დაიწყება დაუსრულებელი ომები. ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ მსოფლიოს ცივილიზებული ქვეყნები არათუ არ მიბაძავენ რუსეთის მაგალითს, არამედ დაგმობენ მას, რადგან რუსეთის მაგალითი არის გზა არსაით.

ლიტერატურა:

1) საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისია, ანგარიში, 2019 წელი, <http://smr.gov.ge/Uploads/66c4e7.pdf>

2) „2008 წლის აგვისტოს კონფლიქტი საქართველოში“ - დასკვნა <https://www.kvirispalitra.ge/politic/878-daskvna.html>

3) „ტალიავინის ანგარიში“ ქართულ ენაზე < http://smr.gov.ge/FileList.aspx?ID=8>

4) ჯონი ხეცურიანი, სამართალი რუსულად, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, N4,2008

5) ლევან ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ., 2015.

6) კრემლი საერთაშორისო სამართლის წინააღმდეგ <http://www.parliament.ge/uploads/other/18/18507.pdf>

ბათილი გარიგებები

ვასილ კოპაძე, ლელა სოღოლაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ივანე ბალახაშვილი,** უფროსი მასწავებელი

სამოქალაქო სამართალი აწესრიგებს პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობებს. სამოქალაქო სამართალი კერძო სამართლის ნაწილია. სამოქალაქო სამართალი კერძო სამართლის ბირთვია. იგი განსაზღვრავს ისეთ ფუძემდებლურ დებულებებს, რომლებიც ყველა სხვა კერძოსამართლებრივ დარგში გამოიყენება. მათ რიგს განეკუთვნება პირები, გარიგებები, ხელშეკრულების თავისუფლება, საკუთრების უფლება, საკუთრების შეძენა, უფლებები მიწის ნაკვეთზე და სხვა.

სამოქალაქო სამართალში კერძო ავტონომიის განხორციელების ყველაზე გავრცელებულ საშუალებას წარმოადგენს გარიგება. სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის მიხედვით გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისკენ. პოსტსაბჭოთა სამოქალაქო სამართალი გარიგებას განმარტავს, როგორც მოქმედებას. თუმცა, ამავე დროს, ყველგან არის აღიარებული, რომ მოქმედება ნების გამოვლენის სინონიმია. ნების გამოვლენა გარიგების განსაზღვრის ფუნდამენტია. იგი გარიგების დეფინიციის აუცილებელი ელემენტია ამ გაგებით ნების გამოვლენა არის სამართლებრივი შედეგის დადგომის სურვილის გარეგნული გამოხატვა კანონის დადგენილი ფორმით. ამით სამოქალაქო კოდექსი გარიგების რეგულირებისას ნების თეორიას ეყრდნობა. შინაგანი ნების გამოხატულებით გარიგების მონაწილენი აფიქსირებენ იმ მიზანს, რომლის მიღწევაც სურთ და ამისთვის კანონით განსაზღვრულ სამართლებრივ საშუალებებს იყენებენ. სამართლებრივ შედეგს იწვევს მხოლოდ ნამდვილი ნების გამოვლენა, რაც გულისხმობს ნების შესაბამისობას კანონმდებლობის მოთხოვნებთან. ნამდვილია ნების გამოვლენა, თუ დაცულია მისი გამოხატვის სამართლებრივი წინაპირობები - მატერიალური თუ ფორმალური. მატერიალურ წინაპირობებს განეკუთვნება ნების გამომვლენი პირის გონებრივი შესაძლებლობები (ასაკი, ჯანმრთელობა), ხოლო ფორმალურს ნების გამოვლენის დადგენილი ფორმის დაცვა. მაგალითად, 63-ე მუხლის მიხედვით არასრულწლოვნის მიერ ავტომანქანის ყიდვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე ბათილია. სამართლებრივი შედეგის მისაღწევად ყოველთვის არ არის საკმარისი მხოლოდ გარიგების მონაწილეთა გამოვლენა და აუცილებელი ხდება მესამე პირების ნების გამოვლენაც, მაგალითად, უძრავი ნივთის შეძენა მხოლოდ მაშინაა ნამდვილი თუკი დარეგისტრირდება საჯარო რეესტრში. გარიგების ნამდვილობისთვის მესამე პირთა ნების გამოვლენის მაგალითებია ასევე წარმომადგენლის მონაწილეობით გარიგების დადება (103-114) ანდა თანხმობა გარიგებებში (99-102). ყოველგვარი ნების გამოვლენა არ წარმოადგენს გარიგებას. ნების გამოვლენის მიზანი უნდა იყოს სამართლებრივი შედეგის დადგომა.

გარიგება შეიძლება შედგებოდეს ერთი ან რამდენიმე ნების გამოვლენისგან. აქედან გამომდინარე, რელევენტურია გარიგებების კლასიფიკაცია და დახასიათება ნების გამოვლენათა რაოდენობის მიხედვით ცალმხრივ, ორმხრივ და მრავალმხრივ გარიგებებად. ცალმხრივია გარიგება, რომლის ნამდვილობისათვის საკმარისია ერთი ნების გამოვლინების არსებობა, მაგალითად ანდერძი ან ხელშეკრულების შეწყვეტა. რადგან სამართლებრივი შედეგის დადგენა მხოლოდ ერთი პირის ნებაზეა დამოკიდებული, რამაც სამართლებრივ სტაბილურობას შეიძლება საფრთხე შეუქმნას, კანონი დეტალურად აწესრიგებს ცალმხრივ გარიგებებსა და მათი გამოყენების წინაპირობებს. ორმხრივია გარიგება, რომლით გათვალისწინებული შედეგის დადგომისთვის აუცილებელია, სულ ცოტა, ორი შინაარსობრივად ერთმანეთის თანამთხვევადი ნების გამოვლენა. ორმხრივი გარიგების კლასიკური მაგალითია ხელშეკრულება. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულება ორმხრივი გარიგებაა, თავის მხრივ, ხელშეკრულება შეიძლება იყოს ცალმხრივი და ორმხრივი. ცალმხრივია ხელშეკრულება, როცა ის მხოლოდ ერთ მხარეს აკისრებს მოვალეობას, ან ანიჭებს უფლებას. ორმხრივი ხელშეკრულების დროს მხარეებს ერთმანეთის მიმართ აქვთ როგორც უფლებები, ისევე მოვალეობებიც, მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულების შემთხვევა. მრავალმხრივი გარიგების გავრცელებული ფორმაა გადაწყვეტილება, რომელიც მიიღება არა გამოვლენილ ნებათა კონსესუსის საფუძველზე, არამედ გამოვლენილ ნებათა უმრავლესობის მიერ. ასევე არსებობს მავალდებულებელი და განკარგვითი გარიგებები, კაუზალური და აბსტრაქტული, სასყიდლიანი და უსასყიდლო. გარიგებების კლასიფიკაცია შეიძლება სხვა

კრიტერიუმებითაც: ქონებრივი ან პირადი, საოჯახო-სამართლებრივი, ვალდებულებით-სამართლებრივი, ან სანივთო სამართლებრივი გარიგებები. თუ გარიგება არ არსებობს იმის გამო, რომ შეუძლებელია მისი შინაარსის დადგენა, ცხადია, მხარეთა ნების გამოვლენას დასახული სამართლებრივი შედეგი არ მოჰყვება.

გარიგება ყოველთვის კონკრეტული სამართლებრივი შედეგის მიღწევას ისახავს მიზნად, მაგრამ გარიგების მონაწილეების მიერ არჩეული საშუალებები, ან მათ მიერ განხორციელებული მოქმედებები ხშირად არ არის სამართლით შემოთავაზებული შესაძლებლობების ადეკვატური და ეკვივალენტური. პრაქტიკულად ეს იმას ნიშნავს, რომ ზოგი ნების გამოვლენა (გარიგება) იწვევს დასახული სამართლებრივი შედეგის დადგომას, ზოგი კი - არა. ამ განსხვავებათა აღსანიშნავად სამოქალაქო სამართალი განამტკიცებს ნამდვილი გარიგებისა და ბათილი გარიგების ცნებებს. ნამდვილად ითვლება ისეთი გარიგება, რომელიც იწვევს გარიგების მონაწილეების მიერ დასახული სამართლებრივი შედეგის დადგომას. გარიგება მიიჩნევა ბათილად, თუკი მას შედეგად არ მოჰყვება დასახული მიზანი იმის გამო, რომ მოქმედი სამართალი განხორციელებულ ქმედობას სამართლებრივად უვარგისად მიიჩნევს. მაგალითად, თუ სახლის ნასყიდობის ხელშეკრულება არ არის წერილობით გაფორმებული, ხოლო შემძენი - საჯარო რეესტრში რეგისტრირებული, ასეთი ნასყიდობა მიიჩნევა ბათილად და საკუთრების უფლება არ წარმოიშობა. გარიგება მთლიანობაში შეიძლება იყოს ნამდვილი, მაგრამ მისი ესა თუ ის ნაწილი იყოს სამართლებრივად უვარგისი. ასეთ გარიგებებს სამოქალაქო სამართალი ნაწილობრივად ბათილი გარიგებების კატეგორიას განაკუთვნებს (მუხლი 62-ე).

სამოქალაქო კოდექსი ასევე იცნობს გარიგებებს, რომლებიც დადების მომენტში ბათილია (მაგალითად, 63-ე მუხლის პირველი ნაწილი), მაგრამ შეიძლება გახდნენ ნამდვილი, თუკი უფლებამოსილი პირი მოიწონებს მათ. მსგავს გარიგებებს შეიძლება მერყევად ბათილი გარიგებები ვუწოდოთ. ასეთი გარიგებების კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს არასრულწლოვანის მიერ მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე დადებული გარიგებების ზოგი შემთხვევა. ბათილი გარიგებების სახეების ეს ჩამონათვალი, მართალია, მთლიანობაში ასახავს იურიდიული ძალის არმქონე გარიგებათა სამართლებრივ ბუნებას, მაგრამ არ იძლევა პასუხს ყველა იმ კითხვაზე, რომლებიც ბათილი გარიგების განხილვისას წამოიჭრება. ამის შესაძლებლობას მოგვცემს ბათილი გარიგების კონკრეტული სახეების განხილვა.

ბათილი და უცილოდ ბათილი (არარა) გარიგება პრაქტიკულად სინონიმებს წარმოადგენს. არარა გარიგებები ბათილი გარიგების ყველაზე მკაცრი და კატეგორიული ფორმაა. ამ გარიგებით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი არ დადგება არც გარიგების უშუალო მონაწილეების მიმართ და არც მესამე პირთათვის. ასეთი გარიგება დადებისთანავე ბათილია და მას ნამდვილად ვერ აქცევს ვერც გარიგების მონაწილეთა შემდგომი მოქმედება, ვერც სასამართლოს გადაწყვეტილება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კანონი არ ითვალისწინებს ბათილი გარიგების გამოსწორების შესაძლებლობას. ამავე დროს, ისეთი გარიგების აღიარებისთვის ბათილად არ არის საჭირო არც შეცილება, არც ამ გარიგების ბათილობის მოთხოვნა, ანდა სასამართლოს მიერ მისი მიჩნევა ბათილად. ამით განსხვავდება იგი მერყევად ბათილი გარიგებისაგან, რომელიც, მართალია, დადებისთანავე ბათილია. მაგრამ დამატებითი მოქმედებით (მაგალითად, კანონისმიერი წარმომადგენლის თანხმობა) შეიძლება იქცეს ნამდვილ გარიგებად. როცა გარიგების ბათილობაზე და კერძოდ, არარა გარიგებაზეა საუბარი, ისინი არ უნდა იქნეს გაგებული ე.წ. „ნულად“, „განუხორციელებელ მოქმედებად“. მართალია, გარიგება ბათილია, არარა, მაგრამ რეალურად იგი განხორციელებული აქტია. მართალია არარა გარიგება დადებისთანავე ბათილია და მისი გასწორება მხარეებს არ შეუძლიათ, მაგრამ კანონი მაინც ითვალისწინებს შესაძლებლობას, რომ გარიგების მხარეებმა სამართლით შემოთავაზებული შესაძლებლობის ფარგლებში მიაღწიონ დასახულ მიზნებს. სამოქალაქო კოდექსი გარიგების მონაწილეთა ამ შესაძლებლობას „დადასტურებას“ უწოდებს (მუხლი 61-ე).

გარიგებათა ერთი ჯგუფი შეიძლება დადებისთანავე იყოს ბათილი, ვინაიდან ასეთ გარიგებებს ნამდვილობისთვის აკლიათ კანონით გათვალისწინებული ერთ-ერთი წინაპირობა. არარა გარიგებისაგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში გარიგების მონაწილეებს შეუძლიათ გარიგების დადებისას დაშვებული შეცდომა ან ნაკლი გამოასწორონ და ამით გარიგებას ვარგისიანობა მიანიჭონ. ასეთ შესაძლებლობას მათ კანონი ანიჭებს. ამის გამო შეგვიძლია ჩვენ ამ ტიპის გარიგებებს მერყევად ბათილი გარიგებები ვუწოდოთ. მერყევად ბათილ გარიგებებს მიეკუთვნება არასრულწლოვნის მიერ დადებული თითქმის ყველა გარიგება (63-ე მუხლის პირველი ნაწილი, 64-ე მუხლის პირველი ნაწილი, 66-ე და 67-ე მუხლები), ასევე გარიგებები, რომლებიც ნამდვილობისთვის საჭიროებენ მესამე პირის ან რომელიმე სახელმწიფო ორგანოს თანხმობას (99-ე მუხლის მე-3 ნაწილი, 102-ე მუხლი) და შესაძლებელია ამ თანხმობათა მიღება. მართალია, მერყევად ბათილი გარიგება დადებისთანავე ბათილია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მხარეებს არ

შეიძლება წარმოეშვათ უფლებები და მოვალეობები. მაგალითად, როცა ნასყიდობის ხელშეკრულება იდება მხარეებს შორის საქართველოდან ისეთი საქონლის გატანაზე, რომელიც მოითხოვს სახელმწიფო ორგანოს თანხმობას ექსპორტზე, მართალია, ამ თანხმობის მიღებამდე ხელშეკრულებას იურიდიული ძალა არ აქვს, მაგრამ იგი შეიძლება მხარეებს აკისრებდეს, რომ მოიპოვონ ასეთი თანხმობა.

სამოქალაქო სამართალი იცნობს ასევე გარიგებათა ერთ კატეგორიას, რომელიც მთლიანობაში კი არის ნამდვილი, მაგრამ კონკრეტული პირის ან პირების მიმართ მათ იურიდიული ძალა არა აქვთ. ასეთ გარიგებებს შეიძლება ვუწოდოთ ფარდობითად ბათილი გარიგებები. მაგალითად, სპს-ის პარტნიორების ურთიერთშეთანხმება, რომ ისინი გამორიცხავენ ერთ-ერთი თანაპარტნიორის პასუხისმგებლობას, შეიძლება მათთვის იურიდიული ძალის მქონე იყოს, მაგრამ მესამე პირების ე.ი. საზოგადოების კრედიტორების მიმართ მას იურიდიული ძალა არ აქვს.

მე-60 მუხლის შესაბამისად, თუ ბათილი გარიგება შეესაბამება სხვა გარიგებისათვის გათვალისწინებულ მოთხოვნებს, გამოიყენება ეს უკანასკნელი, თუკი გარიგების ბათილობის გაგებისას მხარეებს სურთ მისი ნამდვილობა. სამოქალაქო სამართლის მიერ გარიგების მონაწილეებისთვის მინიჭებულ ამ შესაძლებლობას ბათილი გარიგების კონვერსია ეწოდება. კონვერსიის მიზანია დაიცვას მხარეები იმ უარყოფითი შედეგებისაგან, რომლებიც შეიძლება გარიგების მთლიანად ბათილობას მოჰყვეს. მაგრამ იმისთვის, რომ კონვერსია განხორციელდეს, უნდა არსებობდეს განსაზღვრული წინაპირობები. წინააღმდეგ შემთხვევაში გარიგების მონაწილეები მოითხოვდნენ ყველა ბათილი გარიგების კონვერსიას, რაც პრაქტიკულად შეუძლებელია. ამავე დროს, კონვერსია არ უნდა ავურიოთ უცილოდ ბათილი (არარა) გარიგების დადასტურების შედეგად დადებული ახალი გარიგებისაგან, რომელსაც 61-ე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს. ამიტომაც აუცილებელია გარიგების მნიშვნელობის შეცვლის ამ შესაძლებლობის უფრო კონკრეტული დახასიათება. კონვერსიის მიზანი ბათილი გარიგების შენარჩუნებაა. „არსებითად ესაა ბათილი გარიგების ნამდვილ გარიგებად განმარტება“. უფრო ზუსტად კი, მისი ამ ნაწილის შენარჩუნება, რომელიც შეესაბამება სამართლის ნორმებს და ასევე გარიგების მონაწილეების ინტერესებს. ამიტომ ჯერ უნდა დაზუსტდეს, არსებობს თუ არა ბათილი გარიგება სინამდვილეში, შეიცავს თუ არა იგი სხვა ნამდვილ გარიგებას და სურთ თუ არა მხარეებს ამ გარიგებით გათვალისწინებული შედეგის დადგომა, როცა მათ გაიგეს, რომ გარიგება ბათილია.

ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია
2. სამოქალაქო კოდექსი
3. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი
4. ლადო ჭანტურია, ნუნუ კვანტალიანი .... სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, 2001.

პიროვნების თავისუფალი განვითარება და საქართველოში არსებული რეალობა

გულნაზი ღვინიაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **დავით კვერნაძე**, ასისტენტი

ყველა ადამიანს აქვს თავისუფალი განვითარების უფლება. ადამიანი, როგორც დამოუკიდებელი, თავისუფალი პიროვნება და მისი ღირსება საქართველოს კონსტიტუციის უზენაესი ღირებულებაა. ადამიანის თვითგანვითარება თითოეული ძირითადი უფლების მიზანია. ღირსებისა და პიროვნების თავისუფალი განვითარების ძირითადი უფლებები უზრუნველყოფენ ადამიანში, როგორც დამოუკიდებელ ინდივიდში არსებული პიროვნული უნარისა და ძალების თავისუფალ განვითარებას.

პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება იცავს ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობის

სხვადასხვა ერთმანეთისგან გარკვეულ ნიშნებით გამოყოფილ სფეროებს, უპირველეს ყოვლისა, იგი მოიცავს ყოველი ინდივიდის პირადი ცხოვრების სფეროს, რომელსაც იცავს ზოგადი პიროვნული უფლება, აგრეთვე, ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა ფორმებს, რომლებიც დაცულია საქმიანობის საყოველთაო უფლებით. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების მფლობელია ყველა ფიზიკური პირი, ეს ეხება არასრულწლოვნებს, ქმედუუნაროებს და სულით ავადმყოფებს.

ადამიანის პირად ცხოვრებაში წარმოიშობა სერიოზული ხარვეზები, ვულგარულ-სოციოლოგიურ ინერციისგან გაუთავისუფლებობის გამო. განსაკუთრებით საჭირო ხდება სოციალური და ცხოვრებისეული მტკივნეული წერტილებისათვის თვალის გასწორება და კანონების ამოქმედება. კანონი კი ყველაზე და ყველაფერზე მაღლა დგას. კანონისათვის აუცილებელია და წინ დგას ფაქტი - მძიმე რეალობა და ჭეშმარიტება. არცერთი ადამიანური პრობლემა არ უნდა იყოს მთავრობის მიერ მიფუჩეჩებული და შენიღბული, პირიქით, სახელმწიფო ვალდებულია ჩაუღრმავდეს კანონდარღვევის პირველ მიზეზებს და თვალი გაუსწოროს სიმართლეს. როცა ადამიანები უსამართლობას ხედავენ, სიტუაცია იძაბება. ამ დროს დგება საზოგადოებრივი ცნობიერების დამუხტვისა და აბობოქრების ჟამი, ამის გამო დღის წესრიგში დგება რადიკალურ ცვლილებათა გარდაუვალობის საკითხი. ადამიანი ყოველთვის ელოდება მთავრობისაგან მეტ ჰუმანურობას.

პიროვნების თავისუფალი განვითარება უნდა იყოს ხელშეუვალი და მასში არ უნდა ერეოდეს სახელმწიფო, მაგრამ როდესაც მას უპირისპირდება მეორე უფლება, როგორიცაა სიცოცხლის უფლება, უნდა გამოიკვეთოს პრიორიტეტი და იმისთვის, რომ იქნას სიცოცხლე დაცული, სახელმწიფომ უნდა მიიღოს ყველა ზომა მის დასაცავად, თუნდაც ის ლახავდეს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას.

სიცოცხლის უფლება იცავს ადამიანის ფიზიკურ არსებობას. კანონი სახელმწიფოსაც კი უკრძალავს ადამიანის სიცოცხლის ხელყოფას. კანონი სახელმწიფოს ავალდებულებს დაიცვას ადამიანი სხვა პირთა ხელყოფისაგან: "სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს და თავისუფლებებს, როგორც უზენაეს ადამიანურ უფლებებს". აქედან გამომდინარე, სახელმწიფოში ადამიანის უფლებების დაცვა უნდა ხორციელდებოდეს კონსტიტუციური და საერთაშორისო სტანდარტებისა და ნორმების საფუძველზე. ხელისუფლების ვალდებულებაა: 1) ადამიანის უფლებების სახელმწიფოს მიერ დაურღვევლობა; 2) ადამიანის უფლებების სხვა პირთა მიერ დარღვევებისაგან დაცვა; 3) ისეთი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც ადამიანებს საკუთარი უფლებების რეალიზების საშუალებას მისცემს; 4) ადამიანის სათანადო ინფორმირება მათი უფლებების შესახებ. ყველა ადამიანს აქვს უფლება ისარგებლოს თავისი უფლებით ისე, რომ სხვისი უფლება არ შელახოს.

კანონის თანახმად, ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია, ეს მუხლი კონსტიტუციით გარანტირებული ერთადერთი აბსოლუტურად დაცული ძირითადი თავისუფლებაა.

ღირსების უფლება ირღვევა მაშინ, როდესაც ადამიანი საჯარო ხელისუფლების მიერ არა სუბიექტად, არამედ ობიექტად განიხილება. ადამიანის ღირსების დარღვევის გამოვლინებებია: მონობა, ადამიანით ვაჭრობა, წამება, ადამიანების განსაკუთრებით უხეში დისკრიმინაცია.

ღირსება, თავისი არსით, სოციალური, საზოგადოებრივი პიროვნებისა და ხალხის თვალში გამოკვეთილი პრესტიჟია.

ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე, დღეის მდგომარეობით, უნდა ითქვას ისიც, რომ პიროვნების თავისუფალი განვითარება უკანა პლანზე იწევს. როდესაც საქმე გვაქვს პიროვნების ღირსებასთან და სიცოცხლესთან.

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის შესაბამისად ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანაბარია. დღესდღეობით არსებობს კიდევ ერთი უკიდურესობა, როგორ ილახება დედის ღირსება და ბავშვის სიცოცხლის ხელყოფის უფლება (ნაყოფის მოშორების შემთხვევაში).

დედის ღირსება ილახება იმ შემთხვევაში, როცა მისი სოციალური მდგომარეობის გამო იძულებულია მუცლად მყოფი ბავშვი (ეს ეხება ოჯახის დანგრევას, სიღარიბეს და სხვა) მოიშოროს. კანონით, მუცლად მყოფ ბავშვს აქვს უფლება დაიბადოს, განვითარდეს და გაიზარდოს სრულფასოვან ადამიანად. ამრიგად, მუცლად მყოფი ნაყოფის უპირატესობის აღიარება უნდა მოხდეს და აბორტი განვიხილოთ, როგორც ადამიანის მკვლელობის ტოლფასი... აქედან გამომდინარე, გამოსავალი შეიძლება ვეძიოთ შემდეგში: 1) შეწყდეს მუცლად მყოფი ბავშვის დისკრიმინაცია; 2) არ შეილახოს ბავშვის სიცოცხლის ხელყოფის უფლება; 3) მიეცეს ყველა მუცლადმყოფ ბავშვს დაბადების უფლება განვითარდეს და ჩამოყალიბდეს სრულფასოვან ადამიანად; 4) აბორტის გაკეთება მოხდეს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში (მაგალითად დედის ავადმყოფობის შემთხვევაში); 5) შენარჩუნებული იქნას დედის ღირსება და პრესტიჟი საზოგადოების თვალში; 6) დახმარება გაეწიოს ყველა ფეხმძიმე დედას სამედიცინო

სფეროში; 7) ყველა სამედიცინო მომსახურება გახდეს უფასო; 8) მშობიარობის შემდგომ (ბავშვის 14 წლის ასაკის შესრულებამდე) ყველა დედას მიეცეს იმდენი ფულადი დახმარება ყოველთვიურად, რაც ეყოფა ბავშვის აღზრდა-განვითარებას.

ყოველივე ზემოთ ხსენებულის დამტკიცება და საბოლოოდ დაკანონება ხელს შეუწყობს ადამიანის უფლებების განმტკიცებას, კერძოდ, დედისა და ჯერ არ დაბადებული ბავშვის უფლებების განვითარებას.

რაც შეეხება დღევანდელ რეალობას, უნდა აღვნიშნო 2018 წლის მაისის მოვლენები, იბადება კითხვა: იყო თუ არა ადამიანის უფლებები დარღვეული, მაშინ, როცა ნარკორეალიზატორები აიყვანა პოლიციამ? ამ ფაქტთან დაკავშირებით თუ ვიმსჯელებთ, არ იყო დარღვეული ადამიანის უფლებები, რადგან პოლიციამ ნარკორეალიზატორების დაკავებით და მათი იზოლაციით, დაიცვა ნარკომომხმარებლის უფლებები და ბევრი ადამიანი მოსალოდნელი სიკვდილისაგან იხსნა და აქ უკვე ორი უფლება უპირისპირდება ერთმანეთს, როგორიცაა ღირსება და სიცოცხლე. უნდა აღინიშნოს, რომ როცა აქცია ჩატარდა და უამრავი ადამიანი ქუჩაში გამოვიდა, მაშინაც ჰუმანურად მოიქცა პოლიცია. მათ არ გამოუყენებიათ ხალხის წინააღმდეგ ძალა. რაც შეეხება ნეოფაშისტების გამოსვლას, პოლიციამ ისიც გააუვნებელყო. ამიტომ მათი ჰუმანურობის გამო საკმაოდ აგრესიული აქცია მშვიდობიანად დასრულდა. ამ მომენტში ყველა ადამიანის ინტერესი იქნა გათვალისწინებული და დაცული იქნა კანონის უზენაესობა, რაც მისასალმებელია.

ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია
2. ავთანდილ დემეტრაშვილი, კონსტიტუციური სამართალი, მეორე გამოცემა, 2014.
3. კონსტანტინე კუბლაშვილი, ადამიანის ძირითადი უფლებები, 2015.

ქართული ენა

ჩართული ოტია იოსელიანის შემოქმედებაში

თამარ ამირხანოვი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურის
სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მარიამ კობერიძე**, პროფესორი

ოტია იოსელიანი მკითხველს ხიბლავს თავის რომანებსა თუ ნოველებში არსებული საინტერესო სიუჟეტებით, ენობრივი საშუალებებით, ლექსიკური მრავალფეროვნებით, გრამატიკული ფორმების მომარჯვებით, სიტყვათა შერჩევითა და ერთმანეთთან შეწყობა-შეხამებით. საინტერესოა წინადადების მიმართვა, აზრთა გარკვეული თანამიმდევრობით დალაგება და მათი მხატვრულ სახეებში გადმოცემა. ავტორი აქტიურად იყენებს ჩართულ სიტყვათა მრავალფეროვნებას.

როგორც ვიცით, „ჩართული ჰქვია წინადადების წევრებთან გრამატიკულად დაუკავშირებელ სიტყვასა თუ სიტყვათა შეკავშირებას, რომელიც გადმოგვცემს, როგორ უყურებს მთქმელი წინადადებაში გამოხატულ აზრს ან თვით გამოთქმის ფორმას, ან კიდევ მიუთითებს წყაროს და სხვ.“ (კვაჭაძე, 1988, გვ. 295).

ჩართული სიტყვა და სიტყვათა შეკავშირება მნიშვნელობის მიხედვით მრავალგვარია:

1. „ჩართული სიტყვა და გამოთქმა გამოხატავს მოდალობას, ე.ი. იმას, თუ როგორ აღიქვამს მთქმელი თქმულის შინაარსს, როგორც ფაქტს თუ როგორც შესაძლებელ-სავარაუდოს. ამის შესაბამისად ამ ჯგუფში ჩართულ სიტყვა-გამოთქმათა ორი ქვეჯგუფი გამოიყოფა:

ა) ჩართული გამოხატავს, რომ მთქმელი დარწმუნებულია თქმულის უეჭველობა-უტყუარობაში: **ცხადია, თავისთავად ცხადია, რა თქმა უნდა, უეჭველია, რასაკვირველია, უთუოდ, აშკარაა, მართლაც და სხვ.**

ბ) გამოხატავს მთქმელის ვარაუდს, წინადადებაში გამოთქმული აზრის საეგებიოდ თუ საეჭვოდ მიჩნევას: **მგონია, ვგონებ, შესაძლებელია, ალბათ, როგორც ეტყობოდა, ვიმედოვნებ და სხვ“** (კვაჭაძე, 1988, გვ. 295).

2) „ჩართული გამოხატავს მთქმელის გრძნობას, რომელსაც იწვევს თქმულის შინაარსი და იძლევა ფაქტის შეფასებას: **საბედნიეროდ, ჩვენდა სასიხარულოდ, სამწუხაროდ, საუბედუროდ და სხვ.**

3) ჩართული გამოხატავს წინადადებაში გამოთქმული აზრის წყაროს, ე.ი იმას, თუ ვის ეკუთვნის ის: **როგორც იტყვიან, ამბობენ, როგორც გადმოგვცემენ, ჩემი აზრით, გაზეთების ცნობით და მისთ.**

4) ჩართული სიტყვა და სიტყვათ შეკავშირება გვიჩვენებს, თუ როგორ აფასებს მთქმელი მეტყველების სტილს, აზრის გამოხატვის ფორმას. ეს ჯგუფი მრავალფეროვანია: **უკეთ რომ ვთქვათ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოკლედ რომ ვთქვათ, თუ შეიძლება ასე ითქვას და სხვ“** (კვაჭაძე, 1988, გვ. 296).

5) „ ჩართული გამოხატავს ამა თუ იმ სახის მიმართვას თანამოსაუბრისადმი. ასეთი გამოთქმა ჩვეულებრივ შეიცავს ზმნის მე-2 პირის ფორმას, რომელიც კილოს მიხედვით ბრძანებითია ან თხრობითი: **წარმოიდგინეთ, ნუ გაგიკვირდებათ, მერწმუნეთ და სხვ.**

6) „ჩართული გვიჩვენებს აზრების თანამიმდევრობას, ან კიდევ ერთგვარ დამოკიდებულებას წინ გამოთქმულ აზრთან თუ აზრებთან (დასკვნას, შედეგს, დაპირისპირებას...): **ჯერ ერთი, კიდევ, მაშასადამე, პირიქით, სხვათა შორის, მაგალითად და სხვ.**

7) ჩართულია აგრეთვე საალერსო სიტყვა-გამოთქმები და ზოგიერთი ფიცილის ფორმულა, რომელთაც შორისდებულის მნიშვნელობა აქვთ: **გეთაყვა, შენი ჭირიმე, შენი კვნესამე, ძმობამ და სხვ“** (კვაჭაძე, 1988, გვ. 297).

ჩართული სიტყვა-გამოთქმები მრავალფეროვანია გადმოცემის საშუალებათა მიხედვითაც. როგორც ეს ზემოთ წარმოდგენილი მასალიდანაც ჩანს, ჩართულის გადმოსაცემად გამოყენებულია სახელები (არსებითი, რიცხვითი), ზმნიზედები, ზმნები და სრულმნიშვნელოვან სიტყვათა შეკავშირება, ხშირად მთელი წინადადებაც. ოტია იოსელიანი ჩართულის გადმოსაცემად იყენებს ზმნებს (ჩანს), ზმნიზედებს (ბოლოს და ბოლოს, ჩვეულებრივ, ჩვეულებისამებრ..) და სხვ.

„ჩართული წინადადება მნიშვნელობის მიხედვით ჩართულ სიტყვა-გამოთქმათა ამა თუ იმ ჯგუფს განეკუთვნება. იგი წინადადების შემადგენლობაში შედის უკავშიროდ ან საკავშირებელი სიტყვის საშუალებით (როგორც, თუ, რომ...), მაგრამ ორივე შემთხვევაში წინადადებისაგან გამოყოფილია ინტონაციურად და განკერძოებით დგას“ (კვაჭაძე, 1988, გვ. 298).

„ჩართულ წინადადებაში ისეთებიც გამოიყოფა, რომლებიც იძლევიან დამატებით ცნობას ან შენიშვნას ძირითადი წინადადებისა და მისი ნაწილების შესახებ: ამ ტიპის ჩართული მოთავსებულია ძირითად წინადადებაში ან წინადადების ბოლოს (თავში შეუძლებელია); იგი შეიძლება იყოს კავშირიანიც და უკავშიროც“ (კვაჭაძე, 1988, გვ. 299).

ჩართულ სიტყვებსა და გამოთქმებს ოტია იოსელიანი აქტიურად იყენებს წინადადებების აგების დროს თავის შემოქმედებაში. ასეთ სიტყვებსა და სიტყვათა შეკავშირებას მრავალფეროვანი ფუნქცია და დატვირთვა აქვთ. „ჩართული წინადადებები და სიტყვები ცოცხლად წარმოგვიდგენს მოსაუბრის (ავტორისა თუ პერსონაჟის) სულიერ განწყობილებას, მის დამოკიდებულებას ნათქვამისადმი. ამავე დროს ისინი მოლაპარაკე პირს საშუალებას აძლევენ მეტყველების პროცესში ერთგვარად „შეისვენოს“, მცირე პაუზა გააკეთოს და მერმე კვლავ განაგრძოს თხრობა, ამბის მოყოლა...“ (ცქიტიშვილი , 1989, გვ. 70).

ოტია იოსელიანის შემოქმედებაში ჩართულ სიტყვათა მრავალფეროვნება მწერლის კონკრეტულ მიზნებს ემსახურება:

ჩართული სიტყვები **„ალბათ“, „მგონია“, „ვფიქრობდი“** წინადადებებში გამოხატავს მთქმელის ვარაუდს, წინადადებაში გამოთქმული აზრის საეგებიოდ თუ საეჭვოდ მიჩნევას. მაგალითად:

1. „ეს **ალბათ** შენც იცოდი, მაგრამ ისე დინჯი და გულადიც არ მეგონე, თოფის ქუხილი თუ ვერ დაგაფრთხობდა და ღობე-ყორეს არ მიაწყდებოდი“ (იოსელიანი, 1981, გვ. 8).

2. „თუ მეც გადამირჩი და ვერაფერი გავნე, **ალბათ** შენს ჯილაგში ისევე თავაწეული ივლი, როგორც შენი წინაპარი დადიოდა, როცა ბიძაჩემი უფსკრულში გადაჩეხა“ (იოსელიანი, 1981, გვ. 9).

3. „**ალბათ** ამაღამდელი ღამე არც გათენდება, მაგრამ ჩვენ რომ ორივე გადავრჩეთ, ღმერთმა ნუ ჰქნას“ (იოსელიანი, 1981, გვ. 17).

4. „ამ ტანჯვას რომ დილამდე გავუძლო, **ალბათ** მეც დავეჭვდები, რაიმე ზებუნებრივი ხომ არ მეხმარებოდა, რომ ქვად და ყინვად არ ვიქეცი-მეთქი“ (იოსელიანი, 1981, გვ. 21).

5. „**ალბათ** ასეთი სასწაულები ქმნიდნენ აქაურ ღმერთებს და ქალღმერთებს, -ესღა გაიფიქრა ლაპარაკის ასე მოყვარულმა, ხმის ამოღების თავი რომ აღარ ჰქონდა.“ (იოსელიანი, 1981, გვ. 36).

6. „ტირილი ახლა ქვეყანას მერჩივნა, მაგრამ ვერ ვტიროდი, ვერ ვტიროდი ვერაფრით, **ალბათ** იმიტომ, რომ მეგონა კლიმენტია დამინახავდა“(იოსელიანი, 1965, გვ. 339).

7. „მე **მგონია**, მან არ იცოდა თუ მის ღიმილს რაიმე ძალა ჰქონდა, მაგრამ მაინც იღიმებოდა“ (იოსელიანი, 1965, გვ. 191).

8. „**მგონი**, აქეთაც იხედება, იმწამსვე გადმოეშველება და ...“ (იოსელიანი, 1965, გვ.87).

9. „იმაზე მეტი ხნისა ყოფილხარ, ვინემ ვფიქრობდი და იმაზე მეტი გიწვალია სიცოცხლისათვის, ვინემ მეგონა“ (იოსელიანი, 1981, გვ. 9).

აზრი მიჩნეულია საეჭვოდ, გადმოსცემს მთქმელის ვარაუდს, მაგალითად:

1. „ისე **ჩანს**, მთვარე, ვარსკვლავები და ირმის ნახტომიც კი ისუსხება“ (იოსელიანი, 1981, გვ. 17).

2. „კარგად **ჩანს**, როგორ ლაპლაპებენ მზეზე ტალღები, როგორ ადის ღრუბლები ზღვიდან და საღამოს როგორ იძირება გავარვარებული მზე ამ უძირო უსასრულობაში“ (იოსელიანი, 1965, გვ. 82).

3. „ნიჩბები არ **ჩანს**, ძლივს გაარჩევ მხოლოდ მენავეს.“ (იოსელიანი, 1965, გვ. 83).

4. „ამაღამაც **ვინ იცის,** რა ტანჯვით მოგვიწევს გათენება, მაგრამ ეს რომ არა, შენ ამ ცატეხია მწვერვალს ვერასოდეს ნახავდი და არც მე მომიწევდა ცის უბეში ღამის გათენება“ (იოსელიანი, 1981, გვ. 10).

ავტორი, ქვემოთ ჩამოთვლილ წინადადებებში, ჩართული სიტყვების საშუალებით, აფასებსა და აზოგადებს ფაქტებს. მაგალითად:

1. „გოჩა, **ჩვეულებრივ,** უსტვენდა რომელიღაც მოტივზე და თავს იქნევდა“ (იოსელიანი, 1965, გვ. 320).

2. „**ჩვეულებისამებრ**, დავჯექით სავახშმოდ, მაგრამ ბებიამ ახლოს არაფერი არ წაიკარა“ (იოსელიანი, 1965, გვ. 327).

3. „ეს **ჩვეულებრივ** ამბადაც მიაჩნდათ, მაგრამ საკვირველი იყო, ეს მარტოხელა კაცი როგორ ასწრებდა ამდენს“ (იოსელიანი, 1965, გვ. 35).

ჩართული სიტყვები ავტორს გამოყენებული აქვს წინამავალი და მომდევნო აზრების ლოგიკური თანამიმდევრობით დასალაგებლად. მაგალითად:

1. „**პირიქით,** ეს იმოდენა სიყვარულია, კაცის თვალი რომ ვერ შეწვდება და რასაც ვერ წვდება და ვერ ხედავს იგი, შეიძლება მას ნამდვილი სახელიც ვერ დაარქვას“ (იოსელიანი, 1981, გვ. 17).

2. „**კიდევ კარგი,** რომ ზღვის მხრიდან საავდრო ღრუბელი არა ჩანს, მაგრამ მთების ამინდი რა სანდოა, მწვერვალებისა რა იყოს!“ (იოსელიანი, 1981, გვ. 10).

ჩართული გამოხატავს წინადადებაში გამოთქმული აზრის წყაროს, ე.ი იმას, თუ ვის ეკუთვნის ის. მაგალითად:

1. „**მართლა** ღმერთი თუ იყო ცაზე, როგორც ბებია ამბობდა, რატომ დაიწყეს ომი და რატომ გაჩნდა ქვეყანაზე კლიმენტია ცეტერაძე?“ (იოსელიანი, 1965, გვ. 359).

2. „ისევ მინდოდა რაღაც მეთქვა, რადგან ასე ცოტა მოკითხვა, **ჩემი აზრით,** არ კმაროდა...“ (იოსელიანი, 1965, გვ. 371).

გამოხატავს მთქმელის მიერ გამოთქმული აზრის შეფასებას. მაგალითად:

1. „ასე, რომ ნებიერამ ზაფხული უზრუნველ-უდარდელად და **სვებედნიერად** გაატარა“ (იოსელიანი, 1981, გვ. 68).

ჩართული გვიჩვენებს, რომ მთქმელი დარწმუნებულია გამოთქმული აზრის სიმართლეში. მაგალითად:

1. „ონკანის ქვეშ დიდხანს დარჩენას არ ვაპირებდი, მაგრამ წყალზე მოსულმა მეზობლის ქალებმა რომ გაიკვირვეს, მე **რასაკვირველია,** ჩვეულებრივზე მეტ ხანს დავჭირდი საქმეს“ (იოსელიანი, 1965, გვ. 189).

2. „და **ბოლოს და ბოლოს,** შენ ხომ ჩემთვის გაჩნდი ქვეყნად...“ (იოსელიანი, 1981, გვ. 18).

3. „**მართალია**, უკან დასახევ გზას მე გიკეტავ, მაგრამ შენც ასევე არ მაძლევ მე საშველს, ქვევით ჩამოვხოხდე და უკან ხელცარიელი გავბრუნდე“ (იოსელიანი, 1981, გვ. 8).

ქვემოთ ჩამოთვლილ წინადადებებში ჩართული გამოხატავს ამა თუ იმ სახის მიმართვას თანამოსაუბრისადმი. ასეთი გამოთქმა ჩვეულებრივ შეიცავს ზმნის მე-2 პირის ფორმას, რომელიც კილოს მიხედვით ბრძანებითია ან თხრობითი. მაგალითად:

1. „შენ ახლა არ **გაგიკვირდეს**, ასე ახლობელივით რომ გემუსაიფები, თითქოს მხარზე ხელი მქონდეს გადახვეული და შუაცეცხლთან ვიჯდეთ“ (იოსელიანი, 1981, გვ. 12).

2. „**ხომ გითხარი,** არ ვიცი მე მოგწყვიტე შენს ჯოგს, როგორც რჩეული და მშვენიერი, თუ შენ შენი მოდგმის ერთგულმა რაინდმა გამომიტყუე, რომ მოძმენი გეხსნა და ხიფათი თავზე შენი ნებით დაიტეხე“ (იოსელიანი, 1981, გვ. 8).

3. **„ხომ გითხარი,** შენ სხვა ხარ, მთელ ქვეყანაზე ერთადერთი, ბუნაგს რომ არ იკეთებ და სადაც გიღამდება, იქ გითენდება, დღევანდელით რომ ხარობ და ხვალინდელზე ზრუნვით და მოხვეჭით არ იმწარებ წუთისოფელს“ (იოსელიანი, 1981, გვ. 22).

ჩართული სიტყვები ოტია იოსელიანს გამოყენებული აქვს საალერსო და ფიცილის მნიშვნელობის გამოსახატავად. მაგალითად:

1. „აბა მიწვევა, მოწვევა, მობოდიშება, **შენი ჭირიმე,** შენ გენაცვალე და გაიმართა მილოცვა“ (იოსელიანი, 1965, გვ. 37).

2. „-დეიდა, **გენაცვალე**, დეიდა, შემოგევლე...“ (იოსელიანი, 1965, გვ. 188).

ქვემოთ ჩამოთვლილ წინადადებებში, ჩართული სიტყვა **„ალბათ“** გამოხატავს მთქმელის ვარაუდს, წინადადებაში გამოთქმული აზრის საეგებიოდ თუ საეჭვოდ მიჩნევას. ასევე, ჩართული სიტყვა **„ბოლოს და ბოლოს“** გვიჩვენებს, რომ მთქმელი დარწმუნებულია გამოთქმული აზრის სიმართლეში. მაგალითად:

1. „**ალბათ**, დედას ჩაეძინა **ბოლოს და ბოლოს“** (იოსელიანი, 1965, გვ. 360).

როგორც ვიცით, ჩართული გამოიყოფა მძიმით ან მძიმეებით, მაგრამ როგორც აღნიშნული მაგალითებიდან ჩანს, ოტია იოსელიანი ზოგ შემთხვევაში ჩართულ სიტყვებთან მძიმეს არ იყენებს.

ამდენად, ჩვენ მიერ განხილული ჩართულის ხმარების შემთხვევებს გარკვეული მნიშვნელობა აქვს ოტია იოსელიანის შემოქმედებითი სტილის დასახასიათებლად.

„ამა თუ იმ ჩართული სტილური ფუნქციების გამოყოფა და დახასიათება ხშირ შემთხვევაში მაინც სუბიექტურია. ჩართულთა ხმარების თვალსაზრისით დაკვირვება ქართული სალიტერატურო ენის ძეგლებზე, განსაკუთრებით კი - კლასიკოსთა ენაზე, იმით არის ფასეული, რომ ხელს შეუწყობს „გონების ვარჯიშს“ საიმისოდ, რომ ჩართული კონტექსტის შესატყვისად გამოვიყენოთ, - ისე, რომ იგი უხდებოდეს ფრაზას და ნამდვილად იყოს წინადადების აქტუალიზების ერთ-ერთი საშუალება; მეორე მხრივ, ხელს შეგვიწყობს იმაშიც, რომ წერისას თუ მეტყველებისას არ მოვექცეთ „უფორმო სიტყვების რკალში“ (კიკნაძე, 1957, გვ. 165). ილია ჭავჭავაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მეტყველების ნიჭს ისეთი ვარჯიშობა უნდა, როგორც ყველაფერს სხვას. მეტყველების წყარო აზრია და აზრის წყარო გონებითი ცხოვრებაა.“

ლიტერატურა:

1. იოსელიანი ო., ახალი ნოველები, გამომც.“მერანი“, თბ., 1981.
2. იოსელიანი ო., ნოველები, ვარსკვლავთცვენა, თბ., 1965.
3. კვაჭაძე ლ., თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1988.
4. კიკნაძე მ., მეტყველების სტილის საკითხები, თბ., 1957.
5. ცქიტიშვილი ნ., ჩართულის ხმარება ილიას პუბლიცისტურ ნაწერებში: ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნ. IX, თბ., 1989.

ნასახელარი ზმნების წარმოება ვასილ ბარნოვის შემოქმედებაში („არმაზის მსხვრევა")

მარიამ კოჩუაშვილი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მარიამ კობერიძე**, პროფესორი

სალიტერატურო ენა და მწერლობა ერთმანეთთან უაღრესად მჭიდროდ არის დაკავშირებული. ორივეს ჩასახვისა და ჩამოყალიბების პროცესი ერთდროულად იწყება. მწერლობა და საერთოდ, ლიტერატურა წარმოუდგენელია ენის გარეშე, ისევე როგორც მუსიკა ბგერის გარეშე, ან მხატვრობა ფერის გარეშე. ნაწარმოების თემა, იდეა, ამბავი, გმირები, ხასიათები თუ სხვა რამ მხოლოდ სიტყვის მეშვეობით

ისხამენ ხორცს და ახდენენ ზემოქმედებას მკითხველზე. მაქსიმ გორკიმ, როგორც ცნობილია, ენას ლიტერატურის პირველი ელემენტი უწოდა და ამით კარგად გამოხატა მისი განსაკუთრებული მნიშვნელობა ლიტერატურისათვის, კერძოდ კი სიტყვაკაზმული მწერლობისათვის. ვიქტორ ჰიუგო ამბობდა: „ენა ტორტმანებს დიდი მწერლების მედიდური სვლის მეოხებით“. ეს ხატოვანი თქმა იმას გულისხმობს, რომ დიდი მწერლების ენა ახალ-ახალ ნაკადებად ერთვის სალიტერატურო ენის დედა მდინარეს, ზავთსა და ძალას ჰმატებს მას, დიდ მწერალთა სახელებთან არის დაკავშირებული ახალი ეტაპები სალიტერატურო ენის განვითარებაში (ზ. ჭუმბურიძე, 1956, გვ. 5).

კ. გამსახურდია ქართულ სალიტერატურო ენაზე წერდა, რომ ჩვენს საუკუნეს ყველაზე მეტად ახასიათებს: „გამოთქმის სიზუსტე და მატერიის ეკონომია“, ხოლო ამის მოგვარება ე. ი. „გამოთქმის სიზუტე და მატერიის ეკონომია“, მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა ხალხის ენას ყალიბში მოაქცევს ოსტატი“. „... ენის განვითარებას მწერალი აძლევს გეზს. მწერალი ქმნის ახალსა და ახალ კომპოზიციებს. დიდი მწერალი რეფორმატორია ნაციონალური ენისა. ---- ენათმეცნიერი სწავლობს და ახარისხებს მწერლის მიერ მოპოვებულ მიღწევებს“ (ნ. ლემონჯავა, 1981, გვ. 7)

იმ არაერთ დიდებულ მწერალს შორის, რომლებმაც ისედაც უაღრესად მდიდარი ქართული ლიტერატურის საგანძური დიდებული ლიტერატურული ძეგლებით გაამდიდრეს და თავისი შემოქმედება დღემდე კვლევისა და განხილვის საგნად აქციეს და თავიანთი შემოქმედებით საკუთარი მდიდარი ენობრივ-სტილისტიკური მხარე დაგვანახეს, ღირსეულად იკავებს ადგილს ისტორიული რომანის ფუძემდებელი ვასილ ბარნოვი.

ვასილ ბარნოვის (ბარნაველის) მემკვიდრეობა მოიცავს ორმოცზე მეტ მოთხრობასა და ნოველას, რომლებშიც XIX ს.-ის დამლევსა და XX ს.-ის პირველ ათწლეულში წამოჭრილი საზოგადოებრივი პრობლემებია დასმული. ვასილ ბარნოვის კალამს ეკუთვნის ისტორიული რომანები „სახიფათო სიყვარული“, „მიმქრალი შარავანდედი“, „ტრფობა წამებული“, „არმაზის მსხვრევა“... ბარნოვის ენობრივი თავისებურება განისაზღვრება მისი შემოქმედებითი სტილით, კერძოდ, რიტმული პროზით. ფრაზის გასამართავად ჭარბად იყენებს არქაულ ლექსიკას და სინტაქსურ ნორმებს. უხვად ვხდებით სიტყვა წარმოების მაგალითებსაც (ქართველ მწერალთა ცხოვრების გზა, 2011, გვ. 247)

სიტყვათწარმოება ენის ლექსიკური მარაგის გამდიდრების საშუალებაა. იგი ისეთი ენობრივი პროცესია, რომელიც გრამატიკულ კანონებს არ ექვემდებარება. ლინგვისტიკაში ტერმინს „სიტყვაწარმოება“ ორი მნიშვნელობით იყენებენ. არსებობს სიტყვათწარმოების განმარტება ამ ცნების ვიწრო გაგებით: „სიტყვათწარმოება არის სიტყვების წარმოქმნა არსებული ენობრივი მასალის საფუძველზე და მისი დახმარებით“. ამ შემთხვევაში იგი განიხილება, როგორც რომელიმე სამეცნიერო დისციპლინის - ლექსიკოლოგიის ან გრამატიკის (მორფოლოგიის, სინტაქსის) შემადგენელი ნაწილი, რომელიც „შეისწავლის სიტყვების აგების ტექნიკას“. ქართველი ლინგვისტები, მაგალითად ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე სიტყვაწარმოებას ძირითადად მორფოლოგიაში აერთიანებენ, თუმცა მათი მეორე ნაწილი, მაგალითად: არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, თ. ზურაბიშვილი, რ. გაბეჩავა და სხვანი, მას ლექსიკოლოგიის შემადგენლობაში მოიაზრებენ (ალ. ღლონტი, 1971, გვ. 45).

სიტყვათწარმოების ერთადერთი საშუალება ქართულში დერივაციაა. დერივატად გამოიყენება, როგორც შესაბამისი დანიშნულების აფიქსები, ისე თანდებულები და ბრუნვათა ნიშნები. წარმოქმნა ქართულში სამი სახისაა: პრეფიქსული, სუფიქსური და პრეფიქს-სუფიქსური. წარმოქმნილი ფუძე შინაარსით სხვადასხვაგვარია. ის გადადის ერთი თანრიგიდან მეორე თანრიგში. წარმოქმნილი სიტყვებიდან გამოიყოფა: თანდებულებითა და ბრუნვის ნიშნებით ნაწარმოები, ხარისხის, ნამყოფობის, აბსტრაქტული, დანიშნულების, ქონების, უქონლობის, წარმომავლობის, მოსაქმეობის, კნინობითი სახელები, ზმნები და სახელზმნები. ენაში მიმდინარეობს, როგორც სახელთა ვერბალიზაციის პროცესი, ასევე ზმნის სუბსტანტივაცია. შესაბამისი ზმნის პირის აფიქსების დართვით შესაძლოა მოხდეს: სუბსტანტივის ადიექტივაცია, სუბსტანტივის ზმნის თანრიგში გადასვლა, ადიექტივის სუბსტანტივაცია, ზმნის სუბსტანტივაცია (ალ. ღლონტი, 1971, გვ. 45).

ვასილ ბარნოვის რომანში „არმაზის მსხვრევა“ ვხვდებით ნასახელარ ზმნათა წარმოების მაგალითებს.

ცნობილია, რომ ზმნები საზოგადოდ ორგვარია: ძირეული და ნასახელარი (პირველადი და წარმოქმნილი). წარმოქმნილი ზმნები ნაწარმოებია სხვა მეტყველების ნაწილისაგან. ეს შეიძლება იყოს: არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, ნაცვალსახელი და რიცხვითი სახელი.

ვასილ ბარნოვთან განსაკუთრებით ხშირად ვხვდებით ზმნათა წარმოებას არსებითი სახელისგან:

„შენის პირით ჭეშმარიტება უბნობს, ჰაზრი ნათელს ღმერთს **შთაუგონებია**“ (გვ. 20); „ჯვარცმულისაგან **მომმადლებია** ძალა სასწაულებრივ კურნებისა“ (გვ. 36). ორივე ზმნა არსებითი სახელისგან არის ნაწარმოები **-ებ** თემისა და **-ა** მესამე სუბიექტური პირის ნიშნის დართვით.

„სიყვარულით **გაათბ-გაანათებს** მშვენიერის გაციებულ-ჩაბნელებულ გულს“ (გვ. 150). მსგავსი ხერხით ავტორი ცდილობს ემოციის გამძაფრებას.

ვასილ ბარნოვთან ზმნები ხშირად პირდაპირ არის ნაწარმოები შესაბამისი აფიქსით. მაგალითად: „შეკვეცილი ფრთები ნაბდად **მოსხმულია“.** ნაწარმოებია ზმნა პირის ნიშნის დართვით. ნაწარმოებში გვხვდება ზედსართავისაგან ზმნის წარმოების მაგალითებიც. **„შეწითლდა** ჭაბუკი, დახარა თავი გულთმისანის წინ“. (გვ. 4) წითელისაგან ნაწარმოებია ზმნა შეწითლდა.

განსაკუთრებით ხშირია ზმნათა წარმოება არსებითი სახელებისაგან. „სუფთად გამოწყობილი, ეშხით სავსე ამზაილ, სახე **უღიმოდა“.** ზმნა უღიმოდა ნაწარმოებია არსებითი სახელისაგან - **ღიმილი.** „ახლა ის **ანაღვლებდა,** შეუძლებელი იყო ჭენებით წასვლა“. ზმნა ნაწარმოებია არსებითი სახელისგან - **ნაღველი**. „ესწრაფოდა დაეკრა თვალი ქალაქ არმაზისათვის“ ზმნა ნაწარმოებია არსებითი სახელისაგან **- სწრაფვა.** „უნდა **გაფართოვდეს** ციხე, **განმტკიცდეს** დიდი გალავანით“. ზმნები ნაწარმოებია ზედსართავი სახელებისგან **ფართო** და **მტკიცე** (გვ. 5).

მიხეილ ჯავახიშვილი წერდა: „ენა მწერლის ბალავარია, მისი უმთავრესი იარაღიო“. ეს დამოკიდებულება მწერლის სალიტერატურო ენისადმი მკვეთრად იყო გამოხატული ქართული სალიტერატურო ენის განვითარების მთელს მანძილზე. ამის დასტურად უამრავი მაგალითი შეგვიძლია მოვიყვანოთ. (გ. გოგოლაშვილი, 2013, გვ. 62). აუცილებელია მწერალმა დაიცვას საკუთარი ენის სიწმინდე, დაიცვას ენის გრამატიკული ნორმები, შექმნას თუნდაც საკუთარი, ინდივიდუალური სტილი და ამით უფრო გაამდიდროს ქართული ლიტერატურა. არ დაკარგოს კავშირი ჩვენი ენის უტეხ ხერხემალთან - ეს არის ქართული ენის გრამატიკა.

ლიტერატურა:

1. ალ. ღლონტი, ქართული ლექსიკის საფუძვლები, თბილისი, 1971.
2. გ. გოგოლაშვილი, ქართული სალიტერატურო ენის ნარკვევები, თბილისი, 2013.
3. ნ. ლემონჯავა, კონსტანტინე გამსახურდიას ენისა და სტილის საკითხები, თბილისი, 1981.
4. ქართველ მწერალთა ცხოვრების გზა, ნარკვევი I, თბილისი, 2011.
5. ზ. ჭუმბურიძე, ქართული სალიტერატურო ენისა და სტილის საკითხები, თბილისი, 1956.

გიორგი სოსიაშვილის მოთხრობა „ნათლის გვირაბი“ და მისი ენის ზოგიერთი თავისებურება

ნინო ლალიშვილი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ელენე ხოჯევანიშვილი,** პროფესორი

ყოველი ჭეშმარიტი მწერალი შემოქმედებითი მიზანდასახულობით უდგება სიტყვას. ლიტერატურული სამყაროს ესთეტიკურ ველს მეტაფორები, შედარებები, სიმბოლოები, ხატები და სურათები ქმნიან.

მეტაფორის მოხდენილად გამოყენებითაა შექმნილი მხატვრული ფონი გიორგი სოსიაშვილის მოთხრობისა „ნათლის გვირაბი.'' აქ მრავალ მეტაფორას შეხვდებით, რომლებიც მწერლის ენის ორიგინალურობაზე მეტყველებს. მეტაფორათა მოშველიებით მწერალს არაერთი შთამბეჭდავი სურათი აქვს შექმნილი:

„გამხმარ, დაბეხრეკებულ ხეთა საიქიოს ბინადარი მუხის ყლორტივით შესცქერის შთამომავალს“. ასე გადმოსცემს მწერალი მოხუცი ადამიანის სასოებას და განცდას საკუთარი შთამომავლისადმი.

თანამედროვე მწერლობა წარმოუდგენელია ფილოსოფიური განსჯის და რეფლექსიის გარეშე. სწორედ ცხოვრების, წუთისოფლის წარმავლობაა გამოხატული სევდით სავსე ამ სტრიქონებში: „მიწას გამოეთხარა, შეესანსლა და ის გული ერთ დროს რომ ბაგა-ბუგი გაუდიოდა ეხლა საფლავის მიწად იყო ქცეული.“

ძლიერი ემოციური დატვირთვის გამო მკითხველს გულგრილს არ დატოვებს მწერლის მიერ გადმოცემული გარდაცვალების სურათი: „გრძნობდა, როგორ აწყდებოდა ასაფრენად გამზადებული სული ბებერ სხეულს. ახალი რაღაც იბადება - იქ ჩვილი, აქ სული-ზეცის. „ტკივილი გაძლიერდა, ზეციური ჩვილის დაბადების ტკივილი."

„თურმე გულს კიარა, ერთ მუჭა მიწას დავატარებთ ადამიანები საფლავის სალუკმეს."

„მზე ისე გაშავებულიყო, თითქო დიდი ხნის დამარხული მნათობი სამარიდან ამოეღოთ."

მოთხრობაში „დახატული" მეტაფორულად ქცეული პორტრეტები, ფერწერულ ტილოებს გვაგონებენ და საოცარი სიცხადით წარმოგვიდგენენ სხვადასხვა სურათს.

მწერალი სასაფლაოზე შემოპარულ შემოდგომას ასე აღგვიწერს: „ოქროში ლივლივებს ყველაფერი, მზემ სხივები დაგვიტოვა დაღვინდა უკვე, უსმენდა ბავშვობის მეგობარს და თითქო ოქროდდაღვრილ ფოთლებზე მიაბიჯებდა. გალოპრილ ხეებში გახლართულიყო შემოდგომის მზე და ვერ ახერხებდა თავის დაძვრენას."

თვალხილულად წარმოგვიდგება დღისა და ღამის გაყრის შთამბეჭდავი სცენა შემდეგი სტრიქონებით:

„ხრინწიანი ხმით შეუტია ღამენათევ მთვარეს სოფლის განაპირა სახლის წინ მსხლის კენწეროზე მოფხიზლებულმა მამალმა, კიდევ უფრო მოიკუნტა მამლის ნისკარტით დაკენკილ ცაზე დაკიდებული ძალადაკარგული მთვარე".

ღამის ულამაზესი პეიზაჟი იხატება, როცა მწერლის თვალით უყურებ „ბნელ სივრცეში" როგორ „ირწევიან ღრუბლები," მერე კი ვარსკვლავებსაც დაინახავ. „ღრუბლებგაფლეთილი ციდან დედიშობილები რომ გამოიჭვრიტებიან."

„მზე" და „ვაზი" სიმბოლოებად უქცევია მწერლის კალამს, მის საყვარელ სიტყვებად ქცეულან და არაერთი მშვენიერი მეტაფორული სტრიქონია მათი მეშვეობით შექმნილი. ნაწარმოების მთავარი მოქმედი პირის მეშვეობით მწერალი გვეუბნება, რომ იგი ყველგან მზეს ხედავს: ქვევრშიც, მარანშიც, ამბარშიც, ყურძნის მტევნებშიც...

აღმერთებს ვაზს, მისდამი ტრფიალი იგრძნობა ყველა სტრიქონში: „მზე მყავდა ქვევრში დამწყვდეული, მიწის წვენით და შემოდგომის მზით ივსებოდა ჩემი მარანი. ამბარი მზის მარცვლით მქონდა სავსე." „ღმერთმა ცაშიც კი მომცა ვენახი."

მწერლის განუზომელი ძალის სიყვარული იგრძნობა მზეჩაღვრილი ვაზისადმი, ეს სიყვარული იმ წინაპართაგან მოდის „მიწის გულიდან გამოსულ წვენს რომ მიირთმევდნენ."

მზეჩამდგარ მტევნებში ჭვრეტს იგი უფლის თვალებს. „მზე ჩამდგარ მტევანზე დიდი სასწაული რა უნდა ნახო. მზეც აქ არი, მიწაც აქ არი, სიყვარულიც იქ არი, უფლის თვალებიც იქ არი."

მწერალს თითქოს ეცოტავება საგანთა ტრადიციული აღქმა და ამიტომაც საოცარ ხერხს მიმართავს: განსხვავებული ემოციური შინაარსით მუხტავს მათ აღმნიშვნელ სიტყვებს, რის გამოც განსაკუთრებული ექსპრესიით მოქმედებს მკითხველზე:

„ეხლა იმ ყლორტების შეხება ვიგრძენი, ულვაშებაპრეხილი, საბედოსავით რომ დაეძებს სატრფოს. ვიგრძენი მისი შეხება და ის წამები მომენატრა ვაზს რომ ვესაუბრებოდი ხოლმე, ჩამოვუჯდებოდი და ვესაუბრებოდი. უთქმელად მაგებინებდა სათქმელს. ასე მეგონა, სამყაროს გაჩენისას დედამიწაში მზე ჩაეღვარა გამჩენს და ის ჩაღვრილი მზე ვაზად გადაქცეული ამოდის. ვაზი მზეა. გინახავს სარზე ულვაშებამოხვეული ვაზი? ვნებიანად რო შემოეჭდობა, აი, ყმაწვილ გოგოს რო მოეხვევა ვნებაამღვრეული ბიჭი, ვაზიც ეგრე ჩაიცხრობს ხოლმე ვნებებს, გადაეჭდობა თავის ნაპოვნ საბედოს."

განსაკუთრებულად მხედველი თვალი, გამორჩეულად ფაქიზი სული უნდა გქონდეს, რომ „გოგოს მზერაში დაუსაბამო და უსასრულო ცა დაინახო," მის „შემოდგომის მზით დაფერილ ღაწვებზე კი ბრილიანტებად ჩამოღვენთილი ცრემლები ბაგეებით აცენცო" და ეს ენობრივი ქსოვილის სახით მკითხველსაც დაანახვო.

„ბახუსის ვარსკვლავებივით აციალებული თვალები,"

„მზეჩამდგარი მაჭარივით ადუღებული სისხლი,"

„ვაზის მოფერებით მოღლილი მზე," „სასაფლაოზე დაბადებული აპრილის დილა," „შემოდგომის მზით სავსე მარანი," „უცხო მათხოვრის პირდაღრენილი ტუფლები," „ვეება წვერზე წამოგორებული ღიმილი," „ცხოვრებანათრევი სხეული," „ენაზე ფიფქებივით უკვალოდ გამქრალი ბაგეები" - ეს ,,ნათლის გვირაბში" განმბნეული სტრიქონებია. მსგავს ფრაზებს მრავლად შევხვდებით გიორგი სოსიაშვილის მოთხრობაში. ვიღაცისათვის ეს შეიძლება დეტალებია, ანდა კონკრეტული ამბის მშვენიერი სამკაული, ჩემთვის კი ის სიტყვებია, ცხოვრებას და სამყაროს რომ სხვა თვალით მაჩვენებს.

უთუოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ მწერალი მეტაფორებთან ერთად ნაწარმოებში მრავლად იყენებს სხვა მხატვრულ ფორმებს.

გაბედულად შეიძლება ვთქვათ, რომ ყოველი ლიტერატურული ნაწარმოები ენობრივი მოვლენაა, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ენობრივ-სტილისტურმა ანალიზმა უნდა გამოავლინოს მხატვრული ნაწარმოების ენის თავისებურებანი, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ ისე, როგორც ორკესტრის მთლიანობას ქმნის ცალკეულ ინსტრუმენტთა ჟღერადობა, მწერლის სიტყვის მთლიანობაც მის მიერ გამოყენებულ მხატვრულ ენობრივ საშუალებათა ერთიანობაში ვლინდება, მათ შორის კი მეტაფორა ტექსტის მხატვრულობის დონის ერთ-ერთი ძირითადი საზომია.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გიორგი სოსიაშვილის მეტაფორული აზროვნება წარმოსახვის ორიგინალურობით, ხედვათა და განცდათა სიღრმის თვალსაზრისით გამორჩეულ ადგილს იკავებს ქართულ ლიტერატურულ აზროვნებაში.

ლიტერატურა:
1. ლიტერატურათმცოდნეობის შეასავალი, თბ., 2012.
2. რობაქიძე გრ., „საქართველოს სათავენი," „ლიტერატურა და ხელოვნება", თბ., 1991.
3. სოსიაშვილი გ., „ნათლის გვირაბი." თბ., 2017.
4. ჯორბენაძე ბ., ენა და კულტურა, თბ., 1997.

სოფელ ბეკამის მეტსახელები სემანტიკური ჯგუფების მიხედვით

ნინო მარნაძე
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
მაგისტრატურის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ვიანორ ახალაია,** პროფესორი

ონომასტიკა ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს სახელის შერქმევის ხელოვნებას. იგი ენათმეცნიერების დარგია, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა რიგის საკუთარ სახელთა შემსწავლელ ქვედარგებს:

- ტოპონიმიკას (ადგილთა სახელების შემსწავლელ მეცნიერებას)
- ჰიდრონიმიკას (მდინარეთა, წყაროების, ტბების...)
- კოსმონიმიკას (ციურ სხეულთა)
- ზოონიმიკას (ცხოველთა სახელებს)
- ანთროპონიმიკას (ადამიანთა გვარ–სახელების, მეტსახელების და ა.შ) [3. 8]

ქრონოლოგიური თვალსაზრისით, მეტსახელი, როგორც ანთროპონიმული სისტემის უძველესი სახეობა, წინ უსწრებს საკუთრივ ანთროპონიმს. მის არსებობას ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის შორეულ საუკუნეებში ვხვდებით, რასაც ადასტურებს ბერძნული მითოლოგიაც: მითური პერსონაჟები სწორედ მეტსახელებით არიან ცნობილი.

მეტსახელთა ქმედითუნარიანობა განაპირობა სემანტიკადაბინდულმა კალენდარულმა სახელებმა. კალენდარულ სახელებში, მით უფრო, ქართულ სახელებში, ონიმურმა ფუნქციამ უკანა პლანზე გადასწია მათი დაჩრდილული თუ ხელშესახები შინაარსობრივი მხარე და სემანტიკური დატვირთვის მქონე ეს ლექსიკური ერთეულები ჩამოყალიბდა საკუთრივ ანთროპონიმების მზა ფორმულად. ადამიანთა ურთიერთობა კი უფრო მეტ სიცხოველეს მოითხოვდა, რამაც გზა გაუხსნა მეტყველ სახელებს – მეტსახელებს. [1. 227]

დამატებით არაოფიციალურ სახელს, რომელსაც არქმევენ ადამიანს დამახასიათებელი ნიშან–თვისების, ქცევა–მანერის, მისწრაფების, საქმიანობის, გარეგნობის, ანალოგიის, წარმომავლობის ან თავს გადამხდარი შემთხვევის მიხედვით ეწოდება **მეტსახელი**. [2. 150] მეტსახელი ზოგჯერ არა მარტო სხვებს ავიწყებს დენოტატის საკუთრივ ანთროპონიმს, არამედ თვით დენოტატსაც, ანუ ადამიანის ცნობიერებაში ხდება სახელდების ერთი, წინა ეტაპის ჩაძირვა და მისი ჩანაცვლება ახალი ნომინაციით. ეს რეალურად მიმდინარე პროცესია, რაც ვლინდება შემდეგი მომენტით — ადამიანი აღარ რეაგირებს წინა

სახელით ხმობისას. სამაგიეროდ, მის ყურს სწვდება პრაქტიკულად მოქმედი ანთროპონიმი — ეს იქნება მისი მეტსახელი თუ სხვა ტიპის მეორე სახელი. ფსიქოლოგიური ფაქტორი მაშინაც მოქმედებს, როცა დენოტატს ორი სახელი აქვს და ორივე მოქმედია, მაგრამ ერთი შინაურობაში, მეორე –ოფიციალურ გარემოში. ოფიციალურ გარემოში მის რეაგირებას არ გამოიწვევს ვინმეს მიერ წარმოთქმული ის სიტყვა – სახელი, რომელიც მის შინაურ მეტსახელს ემთხვევა.[1. 228]

მეტსახელის გამორჩეულ ინდივიდუალურობას განსაზღვრავს და ქმნის ობიექტურად არსებული ინდივიდუალურ–კერძოობითი მიზეზები. მეტსახელთა შესახებ დაწერილ სტატიებში ხშირად ავტორთა მიერ ჩამოთვლილია ეს მიზეზები და ისინი თითქმის ყველა ერთმანეთს ემთხვევა. სხვადასხვა სემანტიკურ ჯგუფს შორის ზოგჯერ მკვეთრი მიჯნის გავლება ჭირს. განსაკუთრებით ეს ითქმის, ერთი მხრივ, ქცევისა და მოქმედების აღმნიშვნელ და, მეორე მხრივ, შინაგანი ბუნების, თვისებისა და ხასიათის გამომხატველ მეტსახელებზე. მიზეზი ისაა, რომ ადამიანის ხასიათი და ბუნება მის ქცევასა და მოქმედებაში ვლინდება. მაგრამ ხასიათი და მოქმედება მაინც სხვადასხვა სემანტიკური ოდენობაა. [1.238]

სოფელ ბეკამში გავრცელებული შერქმეული სახელები სხვადასხვა შინაარსისაა. ისინი გამოხატავენ ადამიანის თვისებებს, წარმომავლობას, ქცევა-მანერებს, გარეგნობას, ალერსს, მოფერებას, ვხვდებით კნინობით-ალერსობით სახელებსაც.

მეტსახელთა სემანტიკურ ჯგუფებს წარმოვადგენთ სოფელ ბეკამში, ჩემ მიერ მოძიებული მაგალითებით. სოფელში გამოიყო მეტსახელთა 13 სემანტიკური ჯგუფი:

1. გარეგნობის გამომხატველი მეტსახელები:

დომფალო – დიდი ტანის მქონე კაცს შეარქვეს თანასოფლელებმა და დღესაც ამ მეტსახელით იცნობენ სოფელში.

კაკლიხალა – კაკლის დასაბერტყი ჯოხივით გრძელი და წვრილია, ამიტომაც დააქვეს ეს სახელი.

მოკლე – ასე ეძახიან ბიჭს, რომელიც დაბალია და ფეხებიც მოკლე აქვს.

ბოჭკა – სიმსუქნის გამო შეარქვეს ეს მეტსახელი.

რუჯა – გარეგნულად შავი ფერის გამო შეერქვა კაცს.

მწვანე – დაარქვეს კაცს, რომელსაც კანის ფერი მომწვანო აქვს.

ფერადო – ჰქვია ბიჭს, რომელიც გარეგნულად ქერა და წითურია.

ობამა – შეარქვეს ბიჭს, რომელიც შავი ფერის და სიმაღლის გამო ჰგავს ამერიკის ყოფილ პრეზიდენტს ბარაკ ობამას.

ჩინურა – გარეგნულად ჩინელს ჰგავს და ამიტომ დაარქვეს თანასოფლელებმა ეს მეტსახელი.

სკილეტა – სუსტი აღნაგობის გამო დაარქვეს თანასოფლელებმა, თავის ნამდვილ სახელს იშვიათად ეძახიან, ყველა ამ მეტსახელით მოიხსენიებს.

ბაკა – ახალგაზრდობაში დიდი ბაკები ქონია, ამიტომაც შეურქმეევიათ ეს სახელი თანასოფლელებს.

კოჭლი კახა – კოჭლია და ამის გამო ეძახიან ამ მეტსახელს თანასოფლელები.

ჭიტა – დაარქვეს კაცს თვალების გამომეტყველების გამო.

ჩაქუჩა – შეარქვეს კლასელებმა ჩაქუჩის მსგავსი თავის გამო.

პაწო - ბავშვობაში ეძახდნენ მოფერებით, მაგრამ დღეს უკვე ყველა ამ მეტსახელით მოიხსენიებს და ნამდვილ სახელს აღარავინ ეძახის.

2. ქცევისა და მოქმედების აღმნიშვნელი მეტსახელები:

მარიფათა – მარჯვე ქცევისა და მოხერხებულობის გამო შეარქვეს.

ფანტომასი – დაარქვეს კაცს, რომელიც ძალიან მოხერხებულია.

კიკინა – ქვია ქალს, რომელიც სიცილის დროს თხასავით კიკინებს.

ჩიკორა – ეს მეტსახელი დაარქვეს ბავშვობაში იმის გამო, რომ ერთ ადგილზე არ ჩერდებოდა, სულ საქმეს აკეთებდა და ჩიკორივით ტრიალებდა, დღესაც ამ მეტსახელით მიმართავენ სოფელში.

პაკო – ბავშვობაში პაკუნით დადიოდა და მეგობრებმა პაკო შეარქვეს.

ფანდალა – ჰქვია კაცს, რომელსაც სიარულის დროს ფანდალი გაუდის.

ხიფათა - ბავშვობაში შეურქმევიათ, რადგან ხან რას იტკენდა, ხან რას.

რეზინა – ჩხუბის დროს რეზინივით იწელებოდა, ამიტომაც შეარქვეს თანასოფლელებმა ეს მეტსახელი და დღესაც ამ სახელით იცნობენ სოფელში.

ლაფეტა – ლაფეტით სიარულის გამო დაარქვეს ეს მეტსახელი თანასოფლელებმა.

დაროგა – ბაზარში მუშაობდა ტვირთის გადამტანად, ხალხს რომ გზა დაეთმო იძახდა დაროგას, ამის გამო თანასოფლელებმა დაროგა შეარქვეს, ამ მეტსახელით არის ცნობილი დღეს სოფელში, თავის ნამდვილ სახელს კი აღარავინ ეძახის ოჯახის წევრების გარდა.

ბახაბახა – ბავშვობაში ძალიან უყვარდა სათამაშო თოფით სროლა, თამაშის დროს იძახდა

ბაბაბახას, ამის გამო დაარქვეს ეს მეტსახელი თანასოფლელებმა.

წიწა – თვალებს ჭუტავდა და ამის გამო შეარქვეს ეს მეტსახელი თანასოფლელებმა.

3. შინაგანი ბუნების, თვისების, ხასიათის, გამომხატველი მეტსახელები:

ჭყიპინა – დაარქვეს კაცს, რომელიც ბავშვობაში ჭყიპინით ლაპარაკობდა, ამ სახელს დღესაც ეძახიან.

ბუღლურა – ბიჭის მეტსახელია, რომელიც გამუდმებით უკმაყოფილოა და ბუღლურებს.

ბაქია – ტრაბახა და ბაქია ლაპარაკის გამო დაარქვეს ეს მეტსახელი თანასოფლელებმა.

მუდო – ხასიათის გამო შეარქვეს ეს მეტსახელი თანასოფლელებმა და დღესაც ამ სახელით იცნობენ სოფელში.

ლავაშა – ეს მეტსახელი თანასოფლელებმა შეარქვეს კაცს, რომელიც მძღოლია და შესვენების დროს ყოველთვის ლავაშს ჭამს.

ხარჩო – კაცის მეტსახელია, რომელსაც საჭმელებიდან ყველაზე მეტად ხარჩოს ჭამა უყვარს.

ბურიჭამა – მეგობრებთან ხშირი ქეიფის გამო დაარქვეს ეს მეტსახელი.

4. ამოჩემებული სიტყვის, ბგერისა თუ საგნის მიხედვით შერქმეული მეტსახელები:

ბულკა – ქვია ბიჭს, რომელიც ბავშვობაში ბულკის მაგივრად იძახდა ბულკას. ამ მეტსახელით იცნობენ სოფელში, თავისი ნამდვილი სახელს იშვიათად ეძახიან.

ბიდო – ბავშვობაში შეარქვეს, ბიჯოს მაგივრად იძახდა ბიდოს.

გენაცვალე – დაარქვეს თანასოფლელებმა კაცს, რომელიც საუბრისას ხშირად ამბობს სიტყვას გენაცვალე.

ქაჯანა – ქვია კაცს, ამ სიტყვის ხშირად ხმარების გამო.

დედა – ქალი, რომელიც ხშირად ამბობს სიყვას ,,დედა''.

ჯუჯულა – ბავშვობაში ქათამს ეძახდა ჯუჯულას.

ისი ბიჯო – საუბრის დროს ხშირად ამბობს სიტყვას ისი ბიჯო, ამის გამო დაარქვეს ეს მეტსახელი.

მაგი ოთარა – კაცის მეტსახელია, რომელიც საუბრისას ხშირად ამბობს ,,მაგი''.

კოკო – გოგოს მაგივრად იძახდა კოკოს.

ნებალა – კაკლის ლებანის ნაცვლად იძახდა ნებალს, დღესაც ამ მეტსახელით მოიხსენიებენ.

ბათურა – ბავშვობაში ბაბუას მაგივრად იძახდა ბათურას და ოჯახის წევრებმა მეტსახელად ბათურა შეარქვეს, ამ სახელით იცნობენ დღეს სოფელში.

5. ერთხელ (ერთჯერადად) ნათქვამი ან განსხვავებულად, დამახინჯებულად წარმოთქმული სიტყვა მეტსახელად:

ძიო – შეარქვეს ბიჭს, იმის გამო, რომ ბავშვობაში ბიძამის გიოს მაგივრად დაუძახა ძიო, ამ მეტსახელით იცნობენ დღეს სოფელში, თავის ნამდვილ სახელს კი იშვიათად ეძახიან.

კვერთხო – ბავშვობაში კვერცხის მაგივრად თქვა კვერთხი, ამის შემდეგ თანასოფლელებმა მეტსახელად კვერთხო დაარქვეს.

თახრე – სახრეს მაგივრად თქვა თახრე, ამის შემდეგ დაარქვეს ეს მეტსახელი თანასოფლელებმა.

6. გონიერება–უგუნურობის, განათლება–გაუნათლებლობის მაჩვენებელი მეტსახელები:

ჭუკია – გაუნათლებლობის გამო დაარქვეს თანასოფლელებმა.

ლენჩერა – სკოლაში ვერ სწავლობდა და ამის გამო შეარქვეს თანაკლასელებმა.

ჰაკერა – დაარქვეს ბიჭს მეგობრებმა, კომპიუტერის კარგად ცოდნის გამო.

დიპლომატა – ასეთი მეტსახელით მოიხსენიებენ ბიჭს, რომელიც ყველანაირ სადავო საკითხებს ჩხუბის გარეშე აგვარებს.

7. წარმომავლობის მიხედვით შერქმეული მეტსახელები:

სომხურა ელენე – სომეხია და ამის გამო დაარქვეს ეს მეტსახელი.

ოსი მზია – ოსია და ამიტომ შეარქვეს.

რუსი გალია – რუსია და ამის გამო დაარქვეს.

8. ცხოველების მსგავსებით შერქმეული მეტსახელები:

ტურა – დაარქვეს ქალს, რომელიც გარეგნულად გავს ტურას.

მელა – ჰქვია კაცს, რომელიც მელას გავს.

ვირთხა – შეარქვეს კაცს, რომელსაც ცუდი შეხედულება აქვს და ჰგავს ვირთხას.

ბაჭია – პატარა ცხვირის გამო დაარქვეს თანასოფლელებმა ეს მეტსახელი და დღეს ყველა ამ მეტსახელით იცნობს სოფელში.

ღლავი – ეს მეტსახელი მეგობრებმა შეარქვეს იმის გამო, რომ ჰგავს თევზის ერთ–ერთ ჯიშს ღლავს.

ფისო – კატის სახის მსგავსი მოყვანილობის გამო დაარქვეს თანაკლასელებმა და დღესაც ამ მეტსახელით მიმართავენ.

9. კნინობით-მოფერებითი, ალერსის გამომხატველი მეტსახელები:

კნინობით-მოფერებითია ისეთი მეტსახელი, რომლებიც თავიანთი ძირეული ფორმით გადმოცემულ საგანს შემცირებულად ან მოფერებით აღნიშნავენ. მათ საწარმოებლად იხმარება **- ილ, - იკ|| - იკო, - უკ - ა, - უნ - ა, - ა.** სოფელში მრავლად გვხვდება ასეთი ტიპის მეტსახელები.

-იკ-ო, მკაფიოდ გამოკვეთილი დერივაციული მაწარმოებელია საალერსო ფორმისა, საკუთარ სახელთა ფუძეებისაგან: **მიშა–მიშიკო, ლაშა–ლაშიკო, ვანო–ვანიკო, ილია - ილიკო, ზურა–ზურიკო, ოთარი - ოთიკო, სოფო–სოფიკო, ნათია - ნათიკო, მარი–მარიკო, მზია - მზიკო, ნანო–ნანიკო....**

- უნ - ა მოფერებით ფორმებს აწარმოებს სახელის გარკვეული ფუძისაგან. **ქეთევანი - ქეთუნა, თამარი - თამუნა, ეთერი - ეთუნა...**

ა დერივატი (კნინობით) ფორმებს აწარმოებს. **ა** დერივატით ნაწარმოები მეტსახელები მრავლადაა სოფელ ბეკამში. **თამაზი–თამაზა, არჩილი–არჩილა, ნუგზარი - ნუგზარა, რამაზი-რამაზა, გიორგი - გიორგა, ომარი - ომარა, მერაბი–მერაბა...**

10. გვარიდან ან სახელიდან წარმოქმნილი მეტსახელები:

გვარის აპოკოპირებული (შემოკლების ერთ–ერთი სახეობა) ფორმა, ხშირად ემთხვევა საკუთარ ანთროპონიმს, რასაც განაპირობებს ის ფაქტიც, რომ გვართა უმეტესობა ეპონიმიურია. [1.249] **ეპონიმიური** ტიპის გვარსახელია ყველა ის, რომელთაც საფუძვლად ინდივიდუალური (პიროვნული) სახელი უდევს. [4] სწორედ ამ ტიპის გვარებიდან მიღებული ფორმები ემთხვევიან საკუთრივ ანთროპონიმებს, კერძოდ, იმ ომონიმებს, რომელთაგანაც მომდინარეობენ ეს გვარები. მაგრამ ხელახალი გზით წარმოქმნილი ეს საკუთრივ ანთროპონიმები მეტსახელთა ფუნქციით იტვირთებიან. ამ ტიპისაა: გელა ⟵ გელაშვილი [1. 250]

სქემატურად ამას ასე გამოვსახავთ:



11. მამის სახელები (отчество) მეტსახელთა სტატუსით;

,,ქართულ სინამდვილეში პიროვნების მოხსენიება მხოლოდ მამის სახელით უფრო მეტსახელის ფუნქციას სძენს მიმართვის ამ მოდელს, რადგან ის გარკვეულ სოციალური ელფერით იტვირთება. სახელდების ამ ტიპის ფორმები თითქმის წესად იყო ქცეული საბჭოთა პერიოდში და ეს იქცა დენოტატის პატივისცემისა და დაფასების გამომხატველ ფორმად, რაც პარალელურად, მეტსახელის თვისებასაც იძენდა''. [1. 255]

ამის გადმონაშთი სოფელ ბეკამშიც საკმაოდ შეინიშნება. მაგალითად, ამ ტიპისაა:

ზახარიჩი – ამ სახელით მიმართავენ ზაქარიას შვილებს დღესაც.

ზაალიჩი – მამის სახელით მიმართავენ ზალიკოს შვილს.

მათევიჩი – მათეს შვილს მიმართავენ ამ სახელით თანასოფლელები.

ლევანიჩი – ასე მიმართავენ დღეს ლევანის შვილებს სოფელში.

ბაგრატიჩი – ბაგრატიჩით იცნობენ ბაგრატის შვილს სოფელში.

დიმიტრიჩი – თანასოფლელები ამ სახელს ეძახიან დიმიტრის შვილებს.

იურიჩი – იურის შვილს მიმართავენ იურიჩით.

სოლომონოვიჩი – სოლომონის შვილს მიმართავენ ამ სახელით თანასოფლელები.

ჩიბოვიჩი – ჩიბას ეძახდნენ თანასოფლელები კაცს, რომელიც ტანადად პატარა იყო, ახლა კი მის შვილს ეძახიან ჩიბოვიჩის.

ჩაშკინიჩი – მეტსახელად ჩაშკინა ერქვა კაცს, ახლა კი მის შვილს მიმართავენ ჩაშკინიჩით.

კუზმოვიჩი – მამას ეძახდნენ კუზმას ახლა კი ბიჭს ეძახიან კუზმოვიჩს.

კუკურიჩი – თანასოფლელებმა კუკურა შეარქვეს კაცს, მისი გარდაცვალების შემდეგ კი შვილს ეძახიან კუკურიჩს.

ბელეზნიჩი – მეტსახელად ბელეზნა ერქვა კაცს, დღეს კი მის შვილს ეძახიან ბელეზნიჩს თანასოფლელები.

ბაკოვიჩი – ბაკა ქვია მამას, მის შვილს კი ბაკოვიჩს ეძახიან.

დაროგიჩი – მეტსახელად დაროგა შეარქვეს კაცს, მის შვილებს კი დაროგიჩებს ეძახიან თანასოფლელები.

12. სხვისი (მამის, დედის, ნათესავის, ცნობილი თუ ნაკლებად ცნობილი პირის ან პერსონაჟის) სახელები მეტსახელებად;

ჯაყო – გარეგნულად ამსგავსებენ მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნების'' ერთ–ერთ პერსონაჟს ჯაყოს და ამის გამო შეარქვეს ეს მეტსახელი თანასოფლელებმა.

პელე – ბავშვობაში ფეხბურთის სიყვარულის გამო შეარქვეს მეზობლებმა ეს მეტსახელი და დღესაც ამ მეტსახელით იცნობენ თანასოფლელები.

ბაწრო – შეარქვეს ბიჭს, ქართული ფილმის ,,სიყვარული ყველას უნდა'' ერთ–ერთი პერსონაჟის ბაწროსთან გარეგნული მსგავსების გამო. თავის ნამდვილ სახელს დღეს აღარავინ ეძახის სოფელში, ოჯახის წევრების გარდა.

ბაუტისტა – სერიალის ერთ–ერთ გმირთან გარეგნული მსგავსების გამო დაარქვეს ეს მეტსახელი თანასოფლელებმა.

ფიორელა – სერიალის ერთ–ერთი მთავარ გმირთან გარეგნული მსგავსების გამო შეარქვეს ეს მეტსახელი.

13. სემანტიკადაბინდული მეტსახელები:

ეს ჯგუფი უპირისპირდება მეტსახელთა წინა ჯგუფებს იმით, რომ მათში არ ჩანს სიტყვის სემანტიკა. არავინ იცის, რატომ დაერქვა დენოტატს ეს სახელი. ამ ტიპის სახელები სოფელ ბეკამშიც საკმოდ ბევრია, ასეთებია:

ყიყვა, პიკია, ბოკონა, კოტრა, ცუყო, ბათათო, შაშკა, კვიტო, წბიულა, კარჩხალა, ტრიკინა, ძაღლიძვალა, უჩუჩუნე, იკარუსა, ჭიჭიკია, სიტო, კურიელა, პენზულა, დოღლაურა, კიტრა, ათალა, პუტა, კიკილო, ბუთო, კვირწლა, ბუგუზანა, სიმხა, ბაყაჭა, ფეზია.

,,მეტსახელთა დიდი უმრავლესობა სემანტიზებულია. მათი ძირითადი თვისება ლექსიკურ-სემანტიკური გამჭვირვალობაა. ამიტომ მეტსახელთა ძირითადი ნაწილი მოლაპარაკე სიტყვაა, თვითონვე მიგვითითებს დენოტატის იმ კონკრეტულ ნიშან-თვისებაზე, რამაც გამოიწვია გარკვეული შინაარსის აპელტივისა თუ მეტყველების სხვა ლექსიკური ნაწილის გასაკუთარსახელება. მეტსახელთა ამ თვისებამ თავად შექმნა ზემოთ წარმოდგენილი სემანტიკური ჯგუფები. [1. 258]

ამრიგად, მეტსახელების მოძიება საინტერესო სურათს ქმნის ქართულ ონომასტიკაში. თითოეული ახალი მეტსახელი ახალი ლექსიკური ერთეულია. ხალხის ფანტაზიის დაუშრეტელობა განაპირობებს იმას, რომ აუცილებლად გამოიკვეთება შინაარსობრივად ახალი ჯგუფები მომავალში.

ლიტერატურა:

1. გოდერძიშვილი ქ., ქართველური ანთროპონიმიკის ძირითადი საკითხები, ,,უნივერსალი'', თბ., 2012.
2. ცხადაია პ., ონომასტიკის შესავალი, ,,უნივერსალი'', თბ., 2005.
3. ხორნაული გ., ქართული ონომასტიკა ,,თბილისის უნივერსიტეტი'', თბ., 2003.
4. http://www.ambebi.ge/article/218644-ratom-akvs-kartuli-gvarebis-umetesobas-ze-da-shvili-daboloeba-saintereso-paktebi-gvarebis-carmoshobaze/

სუბსტანტივის ადიექტივაცია გურამ დოჩანაშვილის შემოქმედებაში („სამოსელი პირველი“)

სალომე მუზაშვილი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის

სწავლების მესამე წლის სტუდენტი

ხელმძღვანელი: **მარიამ კობერიძე**, პროფესორი

სალიტერატურო ენა და მწერლობა ერთმანეთთან უაღრესად მჭიდროდ არის დაკავშირებული. ორივეს ჩასახვისა და ჩამოყალიბების პროცესი ერთდროულად იწყება. მწერლობა და საერთოდ ლიტერატურა წარმოუდგენელია ენის გარეშე, ისევე როგორც მუსიკა ბგერის გარეშე ან მხატვრობა ფერის

გარეშე. თავის მხრივ მწერლობა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს სალიტერატურო ენის განვითარებაში. ვიქტორ ჰიუგო ამბობდა: "*ენა ტორტმანებს დიდ მწერლების მედიდურ სვლის მეოხებით"* [8.5].

მხატვრული ლიტერატურის ენას შეუძლია მიმართოს ენის ყოველ კუნჭულს და გამოიყენოს ყოველგვარი ფორმა, რითაც იგი სცილდება ლიტერატურული ენის ფარგლებს, მაგრამ არალიტერატურულ ფორმათა რაოდენობა სამწერლობო ენაში შეზღუდულია იმ მხატვრულ-ესთეტიკური ფუნქციით, რაც მათ მხატვრულ ნაწარმოებებს აკისრიათ. მწერლის ინდივიდუალური ენისა და სტილის შესწავლისას მნიშვნელოვანია, თვითონ მწერლის შეხედულებანი ენის, როგორც ზოგადად თეორიული, ისე კონკრეტულ საკითხებზე. ეს შეხედულებები ზოგჯერ საგანგებო წერილებშია გამოქვეყნებული, ზოგჯერ კი მხატვრულ ნაწარმოებშივეა ასახული.

სალიტერატურო ენა გაცილებით უფრო რთული მექანიზმია, რომელიც თავად შეიცავს სხვადასხვა სტილისტურ შრეებს. მწიგნობრულ სალიტერატურო თუ ხალხურ სასაუბრო მეტყველების ყველა ნაირსახეობაში, ცნობილია, რომ ბევრი მწერალი არ ერიდება მხატვრულ ნაწარმოებებში შეიტანოს პუბლიცისტური პათოსი ან წმინდა მეცნიერული მსჯელობა. მწერლის ენა მოიცავს სალიტერატურო ენის ფარგლებს გარეთ მდებარე ისეთ ენობრივ ერთეულებსაც, როგორებიცაა დიალექტები, არქაიზმები, ბარბარიზმები და სხვ. უფრო მეტიც, მხატვრულ ნაწარმოებში შეიძლება შეგვხვდეს სიტყვის ფორმისა თუ გრამატიკული ნორმების აშკარა დამახინჯების მაგალითებიც [7,6].

გურამ დოჩანაშვილი თანამედროვე ქართველი კლასიკოსი მწერალი, თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი ქართველი შემოქმედია. გურამ დოჩანაშვილის შემოქმედებაში სიყვარული, სიკეთე შეუპოვარი ბრძოლა ბოროტების წინააღმდეგ და თავისუფლებისაკენ ბრძოლა არის მთავარი თემები. მისი შემოქმედება თარგმნილია მრავალ ენაზე. მისი ნაწარმოებები საფუძვლად დაედო ცნობილ კინოფილმებსა და ტელესპექტაკლებს.

გურამ დოჩანაშვილის შემოქმედება მეტად დიდი საგანძურია ქართული ლიტერატურისათვის. მისი ნაწარმოებები ზეგავლენას ახდენს მკითხველის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე, გვიბიძგებს ფიქრისა და აზროვნებისაკენ, მისი ნაწარმოებების წაკითხვის შემდეგ სულ სხვა თვალით ვუყურებთ სამყაროს. მის ნაწარმოებებში იგრძნობა ქართული ენის სიყვარული. მას ახასიათებს ენისადმი მეტად თავისებური მიდგომა. იგი უპირველეს ყოვლისა ენის შემოქმედია, იგი მართლაც შესანიშნავად იცნობს ქართული ენის წიაღს და ოსტატურად იყენებს მის ამოუწურავ ენობრივ შესაძლებლობას. სწორედ ეს არის მისი სტილის მთავარი მახასიათებელი. საოცარია მწერლის დამოკიდებულება ქართული სიტყვებისადმი. იგი თითქოს აცოცხლებს ყოველ სიტყვას და ამბობს ისე, რომ არსსა და სიტყვას შორის ძირეულ კავშირს გვაგრძნობინებს. მისი სიტყვები: "ყოველი ნორმალური მოთხრობის წაკითხვის შემდეგ ხდები ოდნავ უკეთესი, ვიდრე ხარ, უფრო ჭკვიანი, ვიდრე იყავი" ნამდვილად ითქმის მისი მოთხრობების წაკითხვის შემდეგ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მწერალმა შესაძლოა თავის შემოქმედებაში გამოიყენოს ისეთი ენობრივი ერთეულები, რომლებიც არ შეესაბამება სალიტერატურო ენის ნორმებს, თუმცა დასაშვებია გარკვეული რაოდენობით. ამასთან დაკავშირებით პროფესორი გიორგი გოგოლაშვილი გამოყოფს ორ გურამ დოჩანაშვილს. ერთი არის ავტორი მოთხრობისა "კაცი რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა", რომანისა " სამოსელი პირველი" და მრავალი სხვა. ის უაღრესად პატივს სცემს ამ ავტორს და ყურადღებას ამახვილებს მის მაღალმხატვრულობასა, ხოლო მეორე გურამ დოჩანაშვილი არის ავტორი წიგნისა "რაც ურო მახსოვს და მეტად მაგონდება", ნაწარმოებისა "კაცი სახელად ნოე" პირველხსენებულზე აღნიშნავს, რომ ის კარგი მექართულეა, მისი ფრაზები, ენობრივი მიდგომები, იმპროვიზაციები თაობებმა ზეპირად იციან, ხოლო მეორე დოჩანაშვილის ენას სალიტერატურო ენისაგან დაშორებულად მიიჩნევს [1,311].

ქართული ენის მრავალფეროვანი ბუნებით გამოწვეულია ის, რომ ხშირად ვაწყდებით პარადოქსულ მოვლენებს, რომელიც თითქოს მიუღებელია ენისთვის. ერთ-ერთი ასეთი არის **ტრანსლაცია**. ტრანსლაცია ლუსიენ ტენიერის განმარტებით არის მოვლენა, რომლის დროსაც "სრულმნიშვნელოვანი სიტყვა ერთი გრამატიკული კლასიდან გადადის მეორეში" [9, 378]. სიტყვის კლასი და ფუნქცია იმდენად მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან, რომ კლასის ცვლილება იწვევს სიტყვის ფუნქციის ცვლილებას და პირიქით.

ერთ-ერთი ასეთი მოვლენა არის ქართულში სუბსტანტივის ადიექტივაცია. არსებითი სახლის გადასვლა ზედსართავ სახელთა თანრიგში. ეს საკმაოდ გავრცელებული და მიმდინარე პროცესია, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა ენის ლექსიკური ერთეულების გამდიდრებისა და გამრავალფეროვნებისა. არნ. ჩიქობავა აღნიშნავს: „ქართველური ენების გარდა არც ერთ სხვა იბერიულ-კავკასიურ ენას არ შეუძლია სახელის ფუძისაგან ნაირ-ნაირი ახალი ფუძეების წარმოება, როგორც

ქართულში გვაქვს“ [7,20]. მართლაც, აფიქსით ახალი სიტყვების შექმნა ენის ლექსიკური მარაგის შევსების ერთ-ერთი ყველაზე პროდუქტიული საშუალებაა სახელებისაგან სახელთა მისაღებად.

ტრანსლაციაზე საუბარი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, როდესაც სიტყვა იცვლის კლასს, გამოიყენება არაძირითადი ფუნქციით და ტრანსლირდება სწორედ იმ კლასის სიტყვად, კონკრეტულად, რომლის როლსაც ასრულებს წინადადებაში. ტრანსლაციას ქართულ ენაში იყენებს როგორც მორფოლოგია, ისე სინტაქსი [4,10].

მკვლევარი ტერმინ ტრანსლაციას იმიტომ ანიჭებს უპირატესობას, რომ იგი არ გვხვდება სხვა გრამატიკული მოვლენის გამოსახატავად, თანამედროვე ქართულში ტრანსლაციის სინონიმად გვხვდება „ტრანსპოზიციაც“, რომელიც ენციკლოპედიაში განმარტებულია, როგორც „სიტყვის გადასვლა ერთი თანრიგიდან მეორეში - სრული ანუ მოროლოგიური ტრანსპოზიცია. ან სიტყვის გამოყენება სხვა მეტყველების ნაწილის ფუნქციით - უსრული ანუ სინტაქსული ტრანპოზიცია“ [5, 460].

ტრანსლაციის შედეგად მიიღება სხვადასხვა სახის სიტყვა, იმის მიხედვით, თუ რომელ კლასს განეკუთვნება ტრანსლირებული ერთეული, განირჩევა ტრანსლაციის სახეები: სუბსტანტივაცია, ადიექტივაცია, ადვერბალიზაცია, ვერბალიზაცია და სხვ. ამ ეტაპისათვის ჩვენი კვლევის სფეროში ჩამოთვლილთაგან შედის სუბსტანტივის ადიექტივაცია, რომელსაც განვიხილავთ მხატვრულ ლიტერატურაში, კერძოდ, გურამ დოჩანაშვილის შემოქმედებიდან - „სამოსელი პირველი“.

სუბსტანტივი (არსებითი სახელი) არის მეტყველების ნაწილი, რომელიც აღნიშნავს საგანს, რომელიც პასუხობს კითხვაზე ვინ? - ბავშვი, დედა, ბებია, მეუღლე... და რა? - სახლი, ავტომობილი, ყვავილი, სიხარული... ხოლო ადიექტივი (ზედსართავი სახელი) აღნიშნავს ისეთ სიტყვას, რომელიც ახლავს არსებით სახელს და ახასიათებს მას რაიმე ნიშან-თვისების მიხედვით. [3.112,162]

ტენიერის მიხედვით სიტყვას, რომელმაც უნდა განიცადოს ტრანსლაცია ეწოდება „სატრანსლირებელი“ სიტყვა, რომელმაც განიცადა ტრანსლაცია „ტრანსლირებული“, ხოლო ელემენტებს, რომლებიც აწარმოებენ ტრანსლაციას, “ტრანსლატივები“.

ტრანსლაციის გრაფიკულად გამოსახატავად ტენიერი იყენებს სიმბოლო T-ს, რომლის თავზეც იწერება ტრანსლაციის შედეგად მიღებული სიტყვა, ხოლო ქვემოთ სატრანსლირებელი ელემენტი და ტრანსლატივი. თუ ტრანსლატივი პრეფიქსია, მაშინ ჯერ ტრანსლატივი იწერება, ხოლო შემდეგ სატრანსლირებელი სიტყვა, თუ მატრანსლირებელი ელემენტი სუფიქსია, იგი მოსდევს სატრანსლირებელ სიტყვას. მნიშვნელოვანია, რომ ტენიერი T-ს ფეხთან სვამს პატარა ხაზს, რომელიც ყოველთვის ტრანსლატივის მხარეს კვეთს. მაგალითად:



მსგავსი მაგალითების დასახელება ასევე შეგვიძლია გურამ დოჩანაშვილის შემოქმედებიდანაც:

1. ,,დიდი სევდა რჩებოდა დაცარიელებულ **უადამიანო** სოფელში" [2.35].
2. ,,ლტოლვილმა ცივი **ყინულოვანი** წყალი ორივე ხელით შეისხა" [2.17].
3. **,,ნაზამთრალ** მიწას სახნისივით გადაუსერეს მკერდი" [2.47].
4. ,,ლეღვის **ხაოიანი** ფოთლების მიღმა ალაგ-ალაგ შეიმჩნეოდა ნაყოფი" [2.47].
5. ,,მძიმედ გადიოდა შავად **დაგუბებული** ღამე" [2.36].
6. **,,წვნიანი, ბუსუსიანი** ატმები... ხომ მიწა იყო! " [2.64].
7. ,,მხოლოდ დიდი ამეთვისტო გრძნობდა **დაკოჟრილი** ხელისგულის სითბოს" [2.55].
8. ,,ნამდვილ ჯამბაზს თვალებში **ნაღვლიანი** საიდუმლო უნდა ჰქონდეს " [2.64].
9. ,,დაღლილ დღეს **ჰაეროვანი** სხეული მსუბუქად დაუმძიმდა თითქოს" [2.64].

ამრიგად, გაანალიზებულ მაგალითებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გურამ დოჩანაშვილი თავის შემოქმედებაში ხშირად იყენებს ტრანსლაციის ხერხს და სუბსტანტივის ადიქტივაციის საშუალებით ამდიდრებს და ამრავალფეროვნებს ენას.

ლიტერატურა:

1. გ. გოგოლაშვილი, ქართული სალიტერატურო ენა-ნარკვევები, თბილისი, 2013.
2. გ. დოჩანაშვილი, სამოსელი პირველი, თბილისი, 1990.
3. ლ. კვაჭაძე, ქართული ენის სინტაქსი, თბილისი, 1969.

4. თ. ტეტელოშვილი, ტრანსლაცია/ტრანსპოზიცია ქართულში (სუბსტანტივაცია და ადიექტივაცია), სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2015.
5. ქართული ენა (ენციკლოპედია), თბილისი, 2008.
6. ა. ღლონტი, ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, თბილისი, 1971.
7. არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, თბილისი, 1998.
8. ზ. ჭუმბურიძე, სალიტერატურო ენა და მწერლობა, თბილისი, 1962.
9. Теньер Л., Основы структурного синтаксиса, Москва, «Прогресс», 1988.

ჯემალ ინჯიას პოეზიის ენის ზოგიერთი თავისებურება

ნანა სადღობელაშვილი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ელენე ხოჯევანიშვილი,** პროფესორი

ქართული ლიტერატურის ისტორიას, ჩვენდა საამაყოდ, არაერთი ღირსეული პროზაიკოსი თუ პოეტი ამშვენებს. საბედნიეროდ თანამედროვეობაშიც, ჩვენთან სულ ახლოს არსებობენ ადამიანები, რომელთა შემოქმედება ასევე იმსახურებს ინტერესს. ამჯერად ჩვენ ყურადღება შევაჩერეთ ჩვენს თანამოქალაქე, ბატონ ჯემალ ინჯიას შემოქმედებაზე, რომელსაც 2017 წელს 80 წელი შეუსრულდა. ინჯიას პირველი პოეტური სტრიქონები 1956 წელს ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის გორის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტის ლიტერატურულ-შემოქმედებითი წრის ჟურნალ „ცისკარში“ გამოჩნდა:

“როდესაც ფიქრებს ლექსებად ვწვავ,
გულით ვატარებ საყვარელ სურათს,
ეს არის ჩემი სამშობლოს ცა,
როცა ზედ ნისლი არა ჩანს სულაც.“

ჩვენს ნაშრომში განხილული გვაქვს მისი პოეზიის ნიმუშები ორი კრებულიდან: 60 ლექსი (1996 წ.) და ასი ლექსი სიყვარულზე (1993 წ.). ჯემალ ინჯიას პოეზიის ზოგად თავისებურებებზე საუბრისას, პირველ რიგში აუცილებლად უნდა გავამახვილოთ ყურადღება, როგორც ზაურ წაქაძე ბრძანებს „ჯადოქრის ძალით მოძებნილ რითმებზე“. მისეული რითმების ლექსიკონი კი მართლაც ძალიან მდიდარია, ორიგინალურია მისი ბგერწერა:

„შორდებიანო-ფორტეპიანო“;
„ძველ ელსინორში - ძლევენ სინორჩით“;
„ოგინსკზე - მოკისკისე“;
„მინდა მოერთვას - მიდამოებთან“;
„საყვარელ სურათს - არა ჩანს სულაც“;
„ზუზუნებს ფუტკარი - გაიგებს უთხარი“...

აქ აუცილებლად უნდა აღინიშნოს ჯ. ინჯიას როლი რითმისთვის განსაკუთრებული ადგილის დაბრუნებაში, რადგან, როგორც როსტომ ჩხეიძე წერს, შემოქმედთა ერთა ჯგუფმა გალაკტიონის შემდგომ რითმა ძნელად აღსადგენად მიიჩნია და იყო მცდელობა იგი რიტმსა და მუსიკალურობასთან ერთად პოეზიიდან განედევნათ, რაც, რა თქმა უნდა, უარყოფითად აისახებოდა ქართულ პოეზიაზე. პოეტი ხშირად იყენებს შთამბეჭდავ და ინდივიდუალურობით აღბეჭდილ მეტაფორებს. პოეტის ოპტიმისტური განწყობა იკვეთება მის სტრიქონებში:

„დიდი იმედი წევს იმ აკვნებზე
იმერხევს იქით რომ ირხევიან“;

ჯ. ინჯიას პოეზიაში უხვად შევხვდებით შთამბეჭდავ და ემოციებით დატვირთულ სტრიქონებს:

„დამასვენეთ,ხელი არავინ მახლოს სიკვდილისგან დაგესლილს“;

„ცამ ჩამომართვა ცისარტყელათი ხელი“;
„ქვეყნად ვერავინ გიყავარჯნა“;
„ჩვენი ივლისი, რომელიც ალბათ უწყლობით გახმა“;
„რომ შენი სულის მაღალ ამბიონს ზედ ჩემი ლოცვა შემოვაბნიო“;
„მკვდრის მზე მისწვდება შიომღვიმის როდესაც საყდარს“ ...

სწორედ მეტაფორებით დატვირთული ფრაზებით უპირისპირდება პოეტი ადამიანთა გაღარიბებულ სულიერ ყოფას და ენის დაკნინების სავალალო პროცესს. მწერლის ფანტაზია, მოულოდნელობა, მასალის შერჩევისას განსაზღვრავს პოეტის მიერ მოხმობილი შედარებების შემეცნებით, ემოციურ სიძლიერესა და შთამბეჭდაობას:

„ზე აღმართული, ვითარცა ნათლის სვეტი“;
„ოქროპირობდი ღვთის ნათლულივით“;
„ვით ჩემი სულის ბუნდოვანი ნეგატივები“
„ვნების სურაში გახვეული არის ჯინივით“;
„სკამზე ზიხარ მოწყენილი ლორანესის დიაცივით“;
„გწყდება ცრემლები და შორს ასფალტზე გეკარგებიან, როგორც ღილები“;
„გელოდი, როგორც საიქიოდან დაბრუნებული მიცვლებული“;
„მთვარე, როგორც მედალი ცას ისე დააბნიე ბნელ მუნდირზე“...

პოეტის ლექსებში ხშირად ვხვდებით საინტერესო გაპიროვნებებსა და ულამაზესი ეპითეტების წყებას:

„აზვავებული სიყვარული მხრებზე ტვირთივით“;
„ხელის მტევნები ჩამაწურე ფერგაცლილ თმაში“;
„დამსკდარ ტუჩებზე შემიხორცე ნაჭრილობევი“;
„თაკარა მზეში გამიკეთე მზისფერი თავშლით
ოქროს ჩარდახის დასადარი საჩრდილობელი“;

მართლაც ორიგინალურია მეტაფორის კერძო სახის გაპიროვნებების მაგალითები ჯ. ინჯიას პოეზიაში:

„დაუკვნესია ამ ეკლესიას“;
„თავისი ბედით კმაყოფილი მთელი ექვსი ცა“;
„დახტუნაობს სეტყვა დაბნეული“...

მწერალი ხშირად იყენებს სიტყვათაგამეორებას, როგორც მოვლენის ექსპრესიულობის ემოციურ-ლოგიკური ხაზგასმის ერთ-ერთ საშუალებას;

„ეშმაკები ეხვევიან მთვარეს
აიშალეთ ღრუბლებო,
ჩემი კარგი მთვარე გააპარეთ,
გააპარეთ ისე,რომ
სხივი მისი აქ სულივით დარჩეს“;

ჯ. ინჯიას ლექსის ალიტერაციის და ასონანსის შემთხვევები, რაც სარითმო სიტყვის ახმიანებასთან ერთად თითქოს ტაეპში განმეორებად ბგერებსაც აცოცხლებ:

„ღუღუნებს ღუმელი, ჩუხჩუხებს ჩაიდანი“,
„გავრბივარ იშლება თმის ღამე და გიშრები“;
„ღიმს თუ არ მაღირსებ“;
„თიკანი ნეკნებს ბეკნიდა“;
„როგორც ნამწერი მოდის ლანქერი“;
„წერწერტი და წვივმაღალი
წვიმა წვიმდა წინა ღამით“;
„მაშინ მშვიდობით შარავანდედო“;
„რამდენჯერ დაუკვნესია ამ ეკლესიას ნეკრესის“...

ჯემალ ინჯიას პოეტური ენის ერთ-ერთი სტილური ნიშანია სიტყვათა საყოველთაოდ ცნობილი სემანტიკური კავშირის მოშლა და მეტაფორული გააზრების საფუძველზე განსაკუთრებული ემოციური მუხტით დატვირთული ფრაზების შექმნა, რაც მკითხველზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს:

„წისქვილივით ლამაზო ქალო“;
„მკვდრის მზე მისწვდება შიომღვიმის როდესაც საყდარს“;
„დუღს ორატორი და თრთის ტრიბუნა“;
„წუთისთვალება საათი მძივად შემომჭერია, როგორც მარყუჟი“...

ინჯიას შემოქმედებაში უხვადაა მიმობნეული ხალხური შემოქმედებიდან და მწერლობიდან ცნობილი ფრაზები, ისინი ბუნებრივადაა სტქირონებში ჩაქსოვილი და ლექსს მეტად გამომხატველობითს ქმნის:

„დავიწყების ქარს გავატანოთ იწილ-ბიწილო“;

„სადაც ძაღლი ვერა სხნობს პატრონს";

„ვისი სული გსურს? ნიშხა-ნიშხა და „მარხვა“ ჩემს ხსოვნას ყრმობიდან შერჩენია“;

ასევე, ვხვდებით ფრაზებს „ვეფხისტყაოსნიდანაც“:

„ჩემს ვნებას ვეღარ აუდიოდა
მთელი ქალაქი მულღაზანზარი“;

„ბანგს მიირთმევდი ჩემთან ფატმანი
და აწყდებოდა ქარი დარაბებს“;

პოეტის შემოქმედება ყურადღებას იქცევს დიალექტური ფორმების თავისებურების გამოყენებითაც, მაგალითად:

„შენს თავს მიკანთიელებდა
წინწანაქრის წმინდა ბრუჟი“...

მწერლის ენას განსაკუთრებულ ელფერს ანიჭებს არქაიზმების ხმარება, რაც მას ისტორიულ წარსულის დამაჯერებლად გაცოცხლებაში ეხმარება“

„ძვირფასო ამის პასუხი მარქვი?“;

„თუ მოგეჩენოთ ტვინარეულს მზის სიკვდილივით
და მწუხრი ტანზე იგრძნოთ სისხლიან კვართად“;

„მე გეაჯები ამ ღვთის მონასავით“;

„შენ დაგშთენია მხოლოდღა ფიქრი“;

„მე მაინც ძვირფასო არ ვკარგავ იმედს,
სამსალას რომ ერთად შევსვამთ“;

„ოკეანეში ჩალბობილო მიწის ნაფლეთო“;

„ცას ვუსახსოვრეთ, ვით არმაღანი“...

„მაჯამა“ უწოდებია პოეტს ლექსისთვის, რომელშიც რითმად მთლიანად ომონიმებია გამოყენებული:

„სიყვარულისთვის ხელი ჩამივლია
და სახლის წინ ლხენით ჩამივლია.
მყვირალობის ხმა რომ გამიგია,
გაზაფხული ფეხქვეშ გამიგია“;

სამშობლოზე, მის ყველა კუთხეზე, მის წარსულზე უზომოდ შეყვარებული პოეტის სახე იკვეთება მისი სალექსო სტრიქონებიდან, რომლებშიც ენის მრავალფეროვანი ენობრივი შესაძლებლობები იკვეთება:

„გმინავს ქართველის ნაოსტატარი
ჩვენი წინაპრის ნახელავს რთავენ.
შემოსწყობია ტაოს თათარი,
ტაძარს ადგამენ ნახევარ მთვარეს.“;

„თურქო, ქართველი არ გათეთრდება,
არ გათეთრდება, როგორც ყორანი“;

„მე ქება მითქვამს მეგრულ მაყრულის
ძველი არმაზის მწუხრი ვიწამე
მაგრამ გორი მყავს მე გულნაკლული
და ამ ცოდვილ თავს ვუხრი მიწამდე“;

ინჯიას ლექსებში დიდი ადგილი უჭირავს სასიყვარულო თემატიკას. პოეტის „ასი ლექსი სიყვარულზე“, მართლაც ამ გრძნობის საგალობელია, რომელიც გაჟღენთილია უშრეტი და დაუოკებელი რომანტიზმით:

„ერთმანეთს ეჩვევით ეჭვებით.
ერთმანეთს ეხებით ფეხებით.
ერთმანეთს ედებით მკერდებით.
ერთმანეთს ახელებთ ხელებით.
ერთმანეთს ამთვრალებთ თვალებით.
ერთმანეთს ეკვრებით ეკლებით.

ერთმანეთს თუთქავენ სუნთქვანი.
მუსიკა ზუზუნებს -ფუტკარი.
ვერავინ გაიგებს - უთხარი.!“.

დასკვნის სახით კი უნდა ითქვას, რომ ჯემალ ინჯია თავისი შემოქმედებით წარმოგვიდგება, როგორც ჩვენი დროის თვითმყოფადი, ინდივიდუალური მხატვრული ენის მქონე პოეტი, თავისი სამშობლოსა და ქალაქის სიყვარულზე მომღერალი მგოსანი!

ლიტერატურა:
1. ჟურნალ „ჩვენი უნივერსიტეტის“ საიუბილეო დამატება, 2017.
2. ჯემალ ინჯიას, “ასი ლექსი სიყვარულზე“, გორი, გამომცემლობა „ქართლი“, 1993.
3. ჯემალ ინჯია, “60 ლექსი“, გამომცემლობა „ქართლი“, 1996.
4. დ. ჟღენტი,“ქართველ მწერალთა ენის საკითხები“, თბ., 2004.
5. ა. არაბული, “ენა ჩვენი არსობისა“, თბ., 2013.
6. გ. გოგოლაშვილი, “ქართული სალიტერატურო ენა“, თბ., 2013.

ილია ქართული ენის სადარაჯოზე

ჟანა ქარელი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **თამარ სიდამონიძე,** მოწვეული სპეციალისტი, დოქტორი

განუზომლად დიდია ილია ჭავჭავაძის მამულიშვილური ღვაწლი. ბრძოლა ახალი ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრებისთვის კი ამ ღვაწლის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. როგორც აკაკი შანიძე აღნიშნავდა ”ილია ჭავჭავაძის მრავალმხრივ მოღვაწეობაში ბრძოლა ქართული ენისთვის ერთ-ერთი ძირითადი ხაზთაგანია“ (1;7).

ილია ჭავჭავაძის ენა და მისი ადგილი ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში არაერთხელ ყოფილა მკვლევართა საგანგებო დაკვირვებისა და შესწავლის საგანი. ჩვენ მოგვეპოვება აკაკი შანიძის, არნოლდ ჩიქობავას, შოთა ძიძიგურის და სხვათა მეტად საყურადღებო გამოკვლევები, არსებობს სპეციალური მონოგრაფიაც გ. შალამბერიძისა, მაგრამ საკითხი იმდენად რთული და აქტუალურია, რომ იგი საბოლოოდ ამოწურულად ვერ ჩაითვლება.

ილია ჭავჭავაძეს იონა მეუნარგიამ ჩვენი ენის კანონმდებელი უწოდა. ეს შეფასება, შეიძლება ითქვას, კარგი გამოხატულებაა ილიას დროინდელი საზოგადოებრივი აზრისა, დამადასტურებელი ფასდაუდებელი ამაგისა, რომელიც დასდო ქართული მწერლობის დიდმა მოჭირნახულემ სალიტერატურო ენის განვითარებას. ენის კანონმდებელია ილია ჭავჭავაძე არა იმ გაგებით, რომ მან შეიმუშავა რაიმე თეორიული გრამატიკული სისტემა ანდა თავისებური სალიტერატურო ნორმები, არამედ ილია ჭავჭავაძემ სათავე დაუდო სალიტერატურო ენის ხალხურობას.

ცნობილია, რომ სალიტერატურო ენის სიცოცხლისუნარიანობა ხალხის მეტყველებასთან მჭიდრო კავშირით განისაზღვრება. სალიტერატურო ენა ხალხურია თავისი წარმოშობითაც, აგებულებითაც, განვითარების კანონებითაც, რომელიც განუწყვეტლივ ვითარდება და მდიდრდება სასაუბრო ენასთან მჭიდრო კავშირში.

ილიამ თავიდანვე განსაზღვრა, რომ ანტონ კათალიკოსის ”სამი შტილის” თეორიის ჯებირებში მომწყვდეული სამწერლო ენა ვერ გაუწევდა საჭირო სამსახურს ხალხს, ამ თეორიაზე დაფუძნებული მწერლობა ვერ გამოდგებოდა ხალხის ფართო მასების აღმზრდელად და წინამძღოლად. ამიტომ ილიამ ხმა აიმაღლა და სალიტერატურო ენაში გზა გაუხსნა ცოცხალი მეტყველების მძლავრ ნაკადს.

ქართული ანბანის გამარტივება, არქაული და ხელოვნური ლიტერატურული ნორმების განდევნა, ხალხურ მეტყველებასთან დამოკიდებულება, უცხოური (საერთაშორისო) სიტყვების დამკვიდრება, ტერმინოლოგიის მოწესრიგება - ეს არის წრე ძირითადი საკითხებისა, რომლებიც დაისვა ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძის წინაშე.

ილია ჭავჭავაძის ენა თავისებურია. ამ ენას აქვს თავისი კონსტრუქცია, თავისი სინტაქსი და თავისი მხატვრული სურნელიც. მან თავის შემოქმედებაში ხალხური ენა, ცოცხალი ენა გააბატონა და როგორც საღი სათავე, დაუპირისპირა იმ ენას, რომელიც მაშინდელ წიგნებში იყო ფეხმოკიდებული, სხვადასხვა "თეორიტიკებით" დამძიმებული და უსიცოცხლო. "ხალხია ენის კანონმდებელი და არა ანბანთ თეორიტიკა"-ო (2; 28), - წერდა ილია და სალიტერატურო ენის სიცოცხლისუნარიანობა ხალხის მეტყველებასთან მჭიდრო კავშირით განსაზღვრა.

პირველი ნაბიჯი, რომელიც გადადგა ილიამ სალიტერატურო ენის გადახალისება-გახალხურების გზაზე, იყო ორთოგრაფიის გამარტივება და ხელის აღება პრაქტიკული ღირებულების არმქონე რამდენიმე ასოზე. მან გადაჭრით უკუაგდო ასეთი ასოები და საკმაო დამაჯერებლობით დაასაბუთა კიდეც მათი უსარგებლობა: "ეს ასოები, რომლების ხმაც გამოითქმის სხვა ასოებითაც, სულ ტყუილად არიან ჩვენს ანბანში. ტყუილად აგრძელებენ ანბანსა, აძნელებენ მართლწერას და სხვა არაფერს არ შეგვძინებენ" (3;41).

როგორც ცნობილია, ილიას ამ შეხედულებამ დიდი მღელვარება გამოიწვია "ცისკრის" ფურცლებზე. უფროსი თაობის ლიტერატორთა შორის მას ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა, მაგრამ მისმა თვალსაზრისმა გაიმარჯვა და შემოთავაზებული ორთოგრაფიული რეფორმა გატარდა სალიტერატურო ენაში.

თავის პირველსავე კრიტიკულ წერილში „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კოზლოვის მიერ "შეშლილის" თარგმანზედა", ილიამ არა მარტო ორთოგრაფია გაამარტივა, არამედ გადაახალისა და ხალხის მეტყველებას დაუახლოვა მორფოლოგიური ინვენტარი, სინტაქსური წყობა, ლექსიკა, მხატვრული საშუალებანი.

"ცისკრის" ფურცლებზე დაბეჭდილი ილიას ლექსები და წერილები მთელ ჟურნალში გამოირჩევა როგორც აზრის სიღრმით, ისე მსუბუქი ფორმით და ლაღი, გამართული ენით. თუ შევადარებთ ერთმანეთს ილიას ქართულს და უფროსი თაობის ენას, თვალნათლივ დავინახავთ უზარმაზარ ენობრივ სხვაობას.

ილიას წინადროინდელი ქართული მხატვრული ლიტერატურა ასე თუ ისე მაინც ანგარიშს უწევდა ცოცხალ სასაუბრო მეტყველებას, მაგრამ სალიტერატურო ენის სხვა მხარეები მეტისმეტად ნირწამხდარი იყო. ეს ითქმის სამეცნიერო და პუბლიცისტურ თხზულებათა ენაზე, რომელთაც ყველაზე მეტად მორეოდა "მაღალი შტილის" სენი.

ილიას გენიამ სწორად განსაზღვრა, რომ პუბლიცისტურ ენას სჭირდებოდა განსაკუთრებული განახლება, განედლება ხალხის წიაღში დაცული ენის მადლით. მან გაბედულად თავს იდო ეს დიდი ამოცანა და წარმატებითაც გადაჭრა იგი. ხალხურ ლექსიკასთან და გრამატიკულ ფორმებთან ერთად, ილიამ პუბლიცისტურ ენაში უხვად გამოიყენა ხალხური ანდაზები და ფრთიანი გამონათქვამები, ხალხის ცხოვრებიდან აღებული შედარებები, ყოფითი დეტალები.

ილიას ენის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია ხალხური იდიომებისა და ანდაზების ხშირი და მოხდენილი ხმარება. იგი უხვად მიმართავდა ხალხის ხატოვანი აზროვნების სალაროს, როგორც მხატვრულ ნაწარმოებებში, ისე კრიტიკულ-პუბლიცისტურ წერილებში.

ზემოთქმული სრულიადაც არ ნიშნავს, თითქოს ილია უარყოფდა ძველ ქართულ ენას და უპირისპირდებოდა მას. პირიქით, იგი ღირსეული მემკვიდრე და გამგრძელებელია გამოჩენილ ძველ ქართველ მწერალთა ტრადიციებისა. მას სურდა, რომ ახალი ქართული ლიტერატურის ნიმუშები ყოფილიყო სასაუბრო მეტყველებასთან ახლო მდგომი ენით დაწერილი. ძველი ენობრივი ნორმებიდან ილია უარყოფდა მხოლოდ იმას, რაც დიდი ხნის წინათ უკუაგდო ცოცხალმა სასაუბრო ენამ, მაგრამ მტკიცედ იცავდა ყოველივე აუცილებელს ქართული სალიტერატურო ენის მრავალსაუკუნოვანი ისტორიიდან.

ილიასთვის ძველი ქართული იყო საიმედო დასაყრდენი. ის დიდად იყო განსწავლული ძველ ქართულში. ძველი თუ ახალი აღთქმის, აგიოგრაფიული თხზულებების, ქართლის ცხოვრების, "ვეფხისტყაოსნის", "სიბრძნე-სიცრუის", ვისრამიანის", დავითიანის ენა ილიას აზროვნების და მეტყველების მყარი კომპონენტი იყო.

ილიასთვის ჩვეულია ძველი და ახალი აღთქმიდან, სახარებიდან ციტატების პერიფრაზირება. მაგ. "მიეტევოს მათ, რამეთუ არ იციან, რას იქმან", "პური არსობისა" და ა.შ.

“ვეფხისტყაოსანი” როგორც ცნობილია, მეორე სახარებაა ქართველი კაცისათვის და ილია ხშირად მიმართავს მას.

განსაკუთრებულ ყურადღებას აპყრობს დ. გურამიშვილის „ქართლის ჭირს“ და აფორისტული ნააზრევის ნიმუშად მოიაზრებს მას.

ილიას ენის დამახასიათებელ კომპონენტად ასევე მიგვაჩნია ის წმინდა გრამატიკული მოვლენები, რომლებიც მას ძველ ქართულთან აკავშირებს. ასეთია ი გ ი ნაცვალსახელი, რომელიც ნაწევრის (არტიკლის) როლსაც ასრულებდა. დღევანდელ ქართულში თანაბრად იხმარება ის და იგი ნაცვალსახელები, მაგრამ ილია იგი ნაცვალსახელს ანიჭებდა უპირატესობას.

ნიშანდობლივია ძველი ქართულის ისეთი სპეციფიკური მოვლენის გამოყენება ილიას ენაში, როგორიცაა წრფელობითი ბრუნვა. ამ ფორმას ილია საკუთარ სახელებში არაიშვიათად იყენებს (მაგ. ”მე და გაბრიელ მოვრიგდებითო”). ილიას ენაში შედარებით ხშირად გვხვდება ნარ-თანიანი ფორმებიც (“მისნი გულის თქმანი, მისნი გრძნობანი, მისნი ჭირნი და მწუხარებანი”).

ილიას ენაში დამკვიდრებულია მსაზღვრელ-საზღვრულის ახლებური წყობა, განსხვავებული ძველი ქართულისაგან, სადაც ჯერ საზღვრული დგას და შემდეგ მსაზღვრელი, მაგრამ მწერალი არაიშვიათად მიმართავს ძველ წყობასაც და ამ გზით გარკვეულ სტილისტურ ელფერს ანიჭებს თავის ენას.

ილიას წვლილი ქართული ლექსიკის გამდიდრების საქმეშიც განსაკუთრებულია. არ გვეგულება მეორე ქართველი მწერალი, რომელსაც იმდენი სიტყვა შემოეტანოს ქართულ სალიტერატურო ენაში, რამდენიც ილიამ. აქ იგულისხმება როგორც ძველის გაცოცხლება, ასევე დიალექტებიდან შემოტანა, სხვა ენებიდან სესხება, უმთავრესად კი - ახალ სიტყვათა წარმოება ქართულისათვის ბუნებრივი ყალიბის მიხედვით.

ილიას ქართულზე მრავალი თაობაა აღზრდილი. დღეს ჩვენ მიერ ხმარებული მრავალი სიტყვა და გამოთქმა ილიასეულია.

ყურადსაღებია აგრეთვე ილიას როლი სიტყვის მნიშვნელობის დაზუსტებისა და მის ტერმინად ქცევის საქმეში. მან მრავალი ახალი ტერმინი შემოიტანა ქართულ ლიტერატურაში. ბევრი მათგანი საბოლოოდ დამკვიდრდა და მათ დღესაც ვხმარობთ. აქ ორი რამ არის აღსანიშნავი: ერთი მხრივ, უცხო სიტყვების შემოტანა და, მეორე მხრივ, ქართული ენის წიაღში დაძებნა ისეთი სიტყვებისა და გამოთქმებისა, რომლებიც საჭირონი იყვნენ მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგისთვის.

დიდად საყურადღებოა ილია ჭავჭავაძის მსჯელობა იმ სიტყვების თაობაზე, რომლებიც შინაარსობრივად გამოიფიტნენ, გაღარიბდნენ და ვეღარ გამოხატავდნენ მათში ჩაქსოვილ ცნებას. “დადნა საგანი, დადნა სახელიცა” - ამ ფორმულით მონათლა ილია ჭავჭავაძემ ცნებაგაღარიბებული სიტყვები, რომლებიც მჭევრმეტყველური დადასტურებაა იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების დაკნინებისა და გადაგვარებისა.

ავიღოთ თუნდაც ისეთი საყოველთაოდ ცნობილის სიტყვა, როგორიცაა მ ა მ უ ლ ი. ამ სიტყვის მნიშვნელობა (1) სამშობლო და 2) მიწა-წყალი) ძველი ქართულიდან მოდის, მაგრამ მისი ფართო მნიშვნელობა მეოცე საუკუნისთვის უკვე დაჩრდილული იყო.

სწორედ დიდმა ილიამ აღადგინა თავის მხატვრულ ენაში სიტყვა “მამულის” ადრინდელი გაგება და საბოლოოდ დააკანონა იგი ქართულ ენაში, როგორც “სამშობლოს” სინონიმი.

ილიამ შესანიშნავად იცოდა, რომ, ერთი მხრივ, საჭირო იყო ბრძოლა უცხო სიტყვებთან ენის დანაგვიანების წინააღმდეგ, მეორე მხრივ, კი - ნიადაგის გაწმენდა ისეთი სიტყვებისათვის, რომლებსაც ყველა ცივილიზებული ხალხის ენაში გზა ხსნილი ჰქონდათ. ილია ჭავჭავაძე დიდი ყურადღებით ეკიდებოდა საერთაშორისო სიტყვების დანერგვას ჩვენი ენის ლექსიკურ შემადგენლობაში. ილიას მიერ ევროპული ენებიდან ნასესხები სიტყვებისა და ტერმინების ხმარებაში ჩვენ გვშველის თვითონ ილია, რომელიც ამგვარ ლექსიკურ ერთეულებს იქვე ფრჩხილებში ან სქოლიოში ურთავს ახსნა-განმარტებას, უკეთებს კომენტარებს.

ილია ჭავჭავაძე დაუღალავად ზრუნავდა ქართული ენის სიწმინდისათვის: ”რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს” - ხშირად იმეორებდა ილია. მან იცოდა, რომ მწერლობას, სიტყვაკაზმულ ხელოვნებას დიდი როლი შეუძლია შეასრულოს საერთო ეროვნული ენის შექმნაში. ამიტომ იყო, რომ იგი სწორედ მწერლობისგან მოითხოვდა ენის სიწმინდის დაცვას, ენის ფენომენის ღრმად შესისხლხორცებას, სიტყვისადმი განსაკუთრებული პასუხისმგებლობით მოკიდებას.

ასევე ჩვენი ყურადღება მიიპყრო ილიასეულმა სინონიმიკამ. თამამად შეიძლება ითქვას რომ ილიასაგან ასე ხშირად და უხვად ხმარება სინონიმებისა, იქნება ეს რელატიური თუ აბსოლუტური სინონიმები, მისი სტილის ერთი არსებითი თავისებურებათაგანია.

მის ნაწერებში ჩვეულებრივია: ქება და დიდება, ღონე და ძლიერება, თავგანწირულობა და თავდადება და მრავალი სხვა.

სალიტერატურო ენის ექსპრესიულ ქსოვილში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ილიასთან ანტონიმებსაც. აზრის გამოთქმის ანტონიმურ ფორმას, როგორც ცნობილია, ახლავს უდიდესი ლოგიკური და მხატვრული ძალა. ილიამ კარგად იცოდა ანტონიმების მადლი და ხშირად მიმართავდა მათ. ამავე დროს ახლებურად აწარმოებდა და იყენებდა ანტონიმებს. ჩვენი დაკვირვებით, ილიამდე ქართულ მწერლობაში არ გვხვდება ანტონიმთა ასეთი უხვი და მარჯვე გამოყენება: მართალი და ტყუილი, ბერი და ერი, ჭირი და ლხინი, ჭაბუკი და მხცოვანი, სწავლული და უსწავლელი.

განსაკუთრებით პროდუქტიულია ილიას ენაში არ(არა) უარყოფითი ნაწილაკით წარმოქმნილი ანტონიმური დაპირისპირებანი: ”ქვეყანა ბატონებო, სავსეა ხილულითა და არა-ხილულითა”, “მამულისა გაყიდვის თუ არ-გაყიდვის გამო”….

საერთოდ, ილია არ ნაწილაკით ნაწარმოებ ფორმებს მიმართავს არა მარტო ანტონიმური დაპირისპირებისას, არამედ საწყისებთან და მიმღეობის ფორმებთანაც: ”არ-გაკეთება საქმისა”, “არ გაგება დროის საჭიროებისა”…

ილია მაძიებელია და ძველის განმაახლებელიც. არ ნაწილაკის ფუნქცია მას ქართული მრავალსაუკუნოვანი მარაგიდან აქვს ამოღებული და მტვერგადაცლილი.

ილიას ენა განსაკუთრებული ექსპრესიულობით ხასიათდება. მისი უხვი სახეობრივი სისტემა, განსაკუთრებით ეპითეტების მრავალფეროვნება გვიდასტურებს ამას. სპეციალურ ლიტერატურაში საგანგებო ყურადღება არაერთხელ მიექცა ილიას ენის ამ მხარეს. შესწავლილია ექსპრესიის გამაძლიერებელი ზედსართავი სახელები და ზმნიზედები მწერლის მოთხრობებსა თუ პუბლიცისტურ წერილებში, რაზედაც ჩვენ აღარ ვკონკრეტდებით.

განსაკუთრებულია ილია მაშინაც, როცა სრულიად მოულოდნელ წყვილებს გვთავაზობს და ამით არა მარტო ახალი კუთხით წარმოგვიდგენს საზღვრულ სიტყვას, არამედ აფართოებს მსაზღვრელის სემანტიკასაც: ,,უმანკო აზრი”, “აწმყო მიზეზიანი”, ,,ფეხმოკლე თვალთმაქცობა”…

ჩვენი დაკვირვებით, ილიას განსაკუთრებული ყურადღების საგანი გახლდათ ფრაზის აღნაგობა, სინტაქსური წყობის მოწესრიგება. მან დაუბრუნა რთულ წინადადებას დაკარგული სილაღე და მოაწესრიგა მისი რითმი. ილიასეულ წინადადებაში აზრი არსად არ მძიმდება და არ იფანტება. ამასთანავე ილიასთვის დამახასიათებელია სხვადასხვა ტიპის წინადადებების მონაცვლეობა, ამიტომაც მისი სტილი ყოველთვის ნათელი და გამჭვირვალეა, ფრაზა ნატიფი.

ყოველივე ზემოთქმული ერთხელ კიდევ ადასტურებს, თუ რა ღრმა კვალი დაამჩნია ილიამ ქართულ სალიტერატურო ენას. მან თითქმის ამოავსო სალიტერატურო ქართულსა და ხალხის სასაუბრო ენას შორის არსებული უფსკრული, მოშალა ”სამი შტილის” ჯეგირები.

როგორც ნაშრომში მიმოვიხილეთ, ილიამ გაამარტივა ქართული ორთოგრაფია, საუკუნეთა წიაღიდან აღადგინა ენობრივი მარგალიტები, გაამდიდრა ლექსიკური მარაგი, საყოველთაოდ დამკვიდრებულ სიტყვებს ახალი სიცოცხლე შესძინა. თანამოკალმეებთან და თანამოაზრეებთან ერთად სალიტერატურო ქართული აქცია ისეთ ფენომენად, რომელიც ქართველთა გაღვიძებულ ეროვნულ ცნობიერებას მიესადაგებოდა.

ილია ჭავჭავაძე იყო ნამდვილი მებაირახტრე ქართული სალიტერატურო ენის სადარაჯოზე, რომლის ღვაწლს ყავლი არ გაუვა საუკუნეთა მანძილზე.

ლიტერატურა:

1. შანიძე აკაკი, ილია ჭავჭავაძე როგორც მებრძოლი ახალი სალიტერატურო ქართულის დამკვიდრებისათვის, ილია ჭავჭავაძე (საიუბილეო კრებული), თსუ, 1940, გვ. 7.
2. ჭამპურიძე ზურაბ, მადლი დედაენისა, თბ, 1982, გვ. 28.
3. ჭავჭავაძე ილია, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, პ. ინგოროყვას რედაქტორობით, ტომი 3, 1953, გვ. 41.
4. შოთა ძიძიგური, ქართველ კლასიკოსთა ენობრივი მემკვიდრეობა, თბ., 1971, გვ. 71-81.

კონსტანტინე გამსახურდიას ენის საკითხები

მარიამ წიქარიძე
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნიკოლოზ ოთინაშვილი**, ასისტენტ პროფესორი

ენა ადამიანთა ურთიერთობის ყველაზე სრულყოფილი იარაღია, რომელიც ისტორიის ყოველ ეტაპზე განიცდის ცვლილებას. მწერალს, რომლის შემოქმედებაშიც სრულად გამოვლინდება ენის პოტენციალი, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ქართული სალიტერატურო ენის გაფორმებაში მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი კონსტანტინე გამსახურდიას. მის შემოქმედებაზე გამოკვლევები აქვთ შექმნილი შ. რადიანს, ს. ჭილაიას, გ. ჯიბლაძეს, შ. ძიძიგურს, თ. ინჯიას, ნ. საბაშვილსა და სხვებს.

აღნიშნული ავტორები სხვადასხვა თვალთახედვით განიხილავენ კ. გამსახურდიას ენისა და სტილის საკითხებს. მწერალს ყველასგან თავისებური სტილი გამოარჩევს, რაც ზოგჯერ საკამათოც გამხდარა, მაგრამ სწორედ თავისებური ლექსიკით გამორჩეული მისი შემოქმედება ხიბლავს მკითხველს და ბუნებრივად ამყარებს კონტაქტს ისტორიულ სინამდვილესთან.

მწერლის პერსონაჟების ენა ცოცხალი მეტყველების ანარეკლია, მას საზოგადოების სხვადასხვა ფენის ენაში შეაქვს სპეციფიკური სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც დღესაც თანამედროვეობას ემყარება. ხალხში გავრცელებული მრავალი სიტყვა-გამოთქმა, იდიომატური გამოთქმის ბევრი ნიმუში მწერლის ენას ხალხურ კოლორიტს ანიჭებს და ზრდის მხატვრულ ზემოქმედების ძალას.

მწერლის შემოქმედების სალაროდან ამოვირჩიეთ ,,დიდოსტატი კონსტანტინეს მარჯვენა“, რომელიც გამოცემულია 1958 წელს და ვცადეთ მისი, როგორც შემოქმედის მიდრეკილება არქაიზმებისაკენ, უმთავრესად ლექსიკა-ფრაზეოლოგიის სფეროში წარმოგვეჩინა.

ძველი გრაფემებიდან მწერლის რომანში რელიეფურად დასტურდება ,,იოტა'' ნახევარხმოვანი. ძირითადად ა, ე, ო, ხმოვნების შემდეგ სიტყვის ბოლოს ასევე სიტყვის შუაში: ა(იოტა): შეჭირვებაი, გზაი, მამაი, მთვარისხელთაი, მახვილის აღებაი, სამეფოი, ღალღაი, ყურშაი, კუდაი.

-ო (იოტა): სანათლოი, სასანთლოი

-ე (იოტა): საყორნეი, ხეი, ჰალუცინაციები

მეტათეზისი ანუ ბგერათა გადანაცვლება სიტყვაში საკმაოდ გავრცელებული პროცესია ქართულში: მემრე - ეს ფორმა გამოყენებულია რამდენჯერმე , ,,მერმე ოშხივარი ადიოდა''

თხზულებაში ხშირად არის გამოყენებული ორი ბგერა: მესიის მახვილი, მეჯინიბეთუხუცესს მიმართა, კათალიკოსს დაელოდა, შენნი საქმენი, ღიმმა მოყარა, სახლთუხცესს, ანგელოსს ჰგავდა.

ასიმილაცია:

- ცხენი შემოაბრუნა ცცაოიმ...
- ათორმეტი...
- აღარ სჩანდნენ ქვითკირები...

ფუძეკუმშვადი სახელები:

- ლაშქრით მოვიდა
- ხმლით იბრძოდა
- ნეკერჩხლის ტყეები
- ძელიცხოვლის ჯვარი
- მსტოვრებს მიმართა
- ჯვრის ძალით

ფუძეკვეცადი სახელები:

- მეფის ამალა
- ყურძნის აკიდოები
- თორაბჯრის
- ჯვრის მონასტრის
- ძელიცხოვლის ჯვარი

უკუმშველობა: შეუკუმშვადი სახელები წარმოდგენილია საკმაო რაოდენობით

- გადაღმა გორმახები იყო
- ნატრობდა ვაჟკაცობას ხარ-ირემისას

• თრიაქსა სწევდა დაუცხრომლად
• არსად გაუმარჯვია მშიშრებსა და მშტოვრებს

ასევე დასტურდება შეკუმშული და შეუკუმშავი ფორმები, ნართანიანი მრავლობითი

რომანში საკმაოდ ხშირად არის წარმოდგენილი ნართანიანი მრავლობითი, რომელიც გრამატიკული არქაიზმის ერთგვარი გამოვლინებაა. აღნიშნული ფორმა ძირითადად პერსონაჟების მეტყველების თავისებურების გამოსახატავად არის გამოყენებული, კოლორიტის შექმნისთვის:

• ბიზანტიელნი აზნაურნი და უაზნონი მოითხოვენ
• მეფეთმეფემან გიორგიმ მიბრძანა, ერისთავთ ერისთავო ჭიაბერ...
• დარბაზისწევრნი იქ იყვნენ
• ფხოველნი და დიდონი, ძურძკნი
• ზრახვანი, უბედურნი
• კირითხურონი და მემაშხლენი
• ციხენი, გოდოლნი
• ვითარცა უხორცონი
• თოროსანი მეაბჯრენი
• ქვისმთლელთა და კირითხუროთა
• ბერძენთა წესისამებრ
• კახთა და რანთა თვისება
• რკინათა და ძვალთა მკვეთი

თხზულებაში წრფელობითი ბრუნვის ფორმები გამოყენებულია ადამიანის საკუთარი სახელების სახელობით ბრუნვაში:

• მეფე გიორგი გიბრძანებს
• ზვიად სპასალარი სამცხეშია წასული
• მელქისედეკ კათალიკოსი მობრძანდება
• შორენა აღიკვეცოს

არქაიზმები ვლინდება თანდებულების გამოყენებისას, რომლებიც გვხვდება ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებთან:

• მისგან მოდიოდა
• ელვარებისგან
• დიდებისგან იყო
• ყველისციხიდან მოდიოდა
• უფლისციხიდან
• ჯიქთაგან
• კრძალვისგან
• სარკინოზთაგან
• ქუშისგან

ნათესაობით ბრუნვაში დაესმის კითხვა: ვისგან? რისგან?

მოქმედებითში: საიდან? რა დროიდან?

ასევე გამოყენებულია სხვა თანდებულები ძირითადად მიმართულების აღმნიშვნელნი:

• მხარმარჯვნისკენ
• ქართლისკენ
• აღმოსავლეთისკენ
• სერკსა და უფლისციხეს შორის
• საერისთავოსკენ
• გურიისაკენ
• მხედრისაკენ
• კილასკენ და სხვა.

ემფატიკურობა დასტურდება თხზულებაში, როგორც აკ. შანიძე აღნიშნავს, ოთხ ბრუნვაში: მიცემით, ნათესაობით, მოქმედებით და ვითარებით ბრუნვებში.

მხოლობითში და იმავე ბრუნვის პირველ მრავლობითში ნაშთია განსაზღვრების ნაწილაკისა სახელთან შეზრდილი. ეს ელემენტივე შეიძლება დაერთოს აგრეთვე მრავლობითის თანიან ფორმებს, ეს სავრცობია ანუ ნართულია, ა ბრუნვის ნიშანს არ ეკუთვნის (აკ. შანიძე, გვ. 384)

მაგალითები:

• ფხოელთა მიიღეს

- ბერძენთა წესითა
- წინაპართა შორის
- ძუალთა მკვეთელი
- მთავართა შორის
- ორგულთათვისა
- რანთა და კახთა წესითა
- სასახლემდის

კ. გამსახურდია, თავისებური სტილის მწერალია, რომელიც ყველასაგან გამორჩეულია, ამის თაობაზე მიზანშეწონილად მიგვაჩნია არნოლდ ჩიქობავას შეხედულება სტილის ენათმეცნიერული გაგების შესახებ. იგი წერს: „ობიექტური სტილი სტილისტიკური მინიმუმის არ სცილდება, სუბიექტური სტილი პირველ ყოვლისა სიტყვის ემოციურ მხარეს შეისწავლის, ობიექტური სტილის ნორმათა ფარგლებში სუბიექტური სტილი ააშკარავებს იმ ამოუწურავ შესაძლებლობებს, რომლის საფუძველიცაა გადმოსაცემი შინაარსისადმი მეტყველის დამოკიდებულება, გადმოსაცემი შინაარსის სხვადასხვა თვალსაზრისით დახასიათება, არა თუ ორი მწერლის სტილი არ არის ერთი და იგივე, ორი მათემატიკოსისგანაც განსხვავებულია ხოლმე“. (ა. ჩიქობავა გვ. 317)

მწერალი ხშირად იყენებს სტილიზაციის თვალსაზრისით ო და მეთქი ნაწილაკებს.

ლიტერატურა:

1. კ. გამსახურდია, „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“, თბ., 1958.
2. შ. ძიძიგური, „მწერლის ენა“, თბ., 1967.
3. თ. ინჯია, კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენის“ ენა და სტილი, თბ., 1974.
4. ს. სიგუა, კ. გამსახურდიას პროზის სტრუქტურა, თბ., 1980.
5. ზ. ჭუმბურიძე, ქართული სალიტერატურო ენისა და სტილის საკითხები, თბ., 1958.
6. ელ. მაღრაძე, კ. გამსახურდია (გულით მართლით), თბ., 1977.
7. არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952.
8. ნ. ლემონჯავა, მწერლის ენის საკითხები, თბ., 1993.

ქართული ლიტერატურა

მეტაფორა გალაკტიონის შემოქმედებაში, გალაკტიონი და ცისფერყანწელები

მარიამ მანველიშვილი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ვახტანგ ინაური**, მოწვეული სპეციალისტი, დოქტორი

მეტაფორა ისეთი ტროპია, რომელიც ერთ მოვლენას გვიხატავს მასზე მეორე მოვლენის თვისებების გადატანის საშუალებით, იგი მსგავსების ნიადაგზე წარმოშობილი ტროპია. თვით სიტყვა „მეტაფორა“ ბერძნულად გადატანას ნიშნავს, განურჩევლად იმისა, თუ რა საგნიდან რა საგანზე გადაგვაქვს ეს თვისება. მაგალითად, ჩვენ შეგვიძლია მეტაფორის საშუალებით სულიერი საგნის თვისება გადავიტანოთ უსულოზე მაგ: „ცეცხლის ხეტიალი,“ (ლურჯა ცხენები) (გ. ტაბიძე, რჩეული, 1982, გვ. 32) „შეშლილი სახით კიოდა ქუჩა,“ (ია) (გ. ტაბიძე, რჩეული, 1982, გვ. 35) აგრეთვე პირიქით, უსულო საგნის თვისება

გადავიტანოთ სულიერზე, „ოჰ, ეს ქალი, ალბათ, დარდით ყვავილივით ჭკნება, ჭკნება“ (მესაფლავე) (გ.ტაბიძე, რჩეული, 1982, გვ. 15)

როგორც ვხედავთ, მეტაფორის საზღვარი ვრცელია, ამიტომ იგი ტროპის ყველაზე უფრო გავრცელებული სახეობაა. გალაკტიონის პოეზიაშიც ტროპული მეტყველებიდან ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია მეტაფორას. ძნელია მოიძებნოს ლექსი მის შემოქმედებაში, რომელშიც მეტაფორული აზროვნება არ ფიქსირდებოდეს.

გალაკტიონის ადრინდელ ლექსებში მეტაფორული მეტყველება ძალზე თვალსაჩინო და რელიეფურია. ეს გამოვლინდა მის ცნობილ ლექსებშიც: „მთაწმინდის მთვარე,“ „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“ „ლურჯა ცხენები“ და სხვა, რომლებიც 1916 წელს გაზეთ „ამირანსა“ და ჟურნალ „ჩვენს კვალში“ დაიბეჭდა და გალაკტიონის შემოქმედების სათავედ არის მიჩნეული.

ამ ლექსებში განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს მეტაფორული აზროვნება, ლექსს „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“ პოეტი ღვთისმშობლისადმი მიმართვით, ვედრებით იწყებს, „დედაო ღვთისავ, მზეო მარიამ!“ (გ. ტაბიძე, რჩეული, 1982, გვ. 92) იგი ღვთისმშობელს მზეს ადარებს, მზეს როგორც ნათელს, მფარველს და ბრწყინვალეს. ამქვეყნიურ ყოფას პოეტი სიზმარისავით ხანმოკლეს წარმოაჩენს, „ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია და შორეული ცის სილაჟვარდე.“ (გ. ტაბიძე, რჩეული, 1982, გვ. 92) თითქოს ამ სტროფში პოეტი გულისხმობს, რომ წუთია ეს სოფელი და ისევე მალე გაქრება, ისეთივე შეუცნობელი და იდუმალია ეს ცხოვრება, როგორც სიზმარი.

„და მაშინ ვიტყვი: აჰა! მოვედი გედი დაჭრილი ოცნების ბაღით!“ (გ. ტაბიძე, რჩეული, 1982 გვ. 92) ეს სტრიქონები წარმოჩინდება, როგორც აღსარება, აქ უკვე პოეტი წარმოადგენს როგორ დაღვრის ცრემლებს, როგორ გაფანტავს ამ ნაღველს, სწორედ გედს წარმოაჩენს მწერალი თავისი სულის სიმბოლოდ, ის არის დაჭრილი გედი და თანაც გამოდევნილი ოცნებების ბაღიდან. პოეტი მეტაფორულად წარმოაჩენს განვლილ ბედნიერ დღეებს, „შეხედე! დასტკბი! ჩემი თვალები, წინათ რომ ფეთქდნენ ცვრებით, იებით“ (გ. ტაბიძე, რჩეული, 1982, გვ. 92) დაცვარული იები ფეთქავდნენ თვალებში, ეს სიცოცხლით ტკბობაზე, სიხარულზე მიანიშნებს, მაგრამ შემდეგ მოდის მეტაფორა, „სავსეა ცრემლთა შურისძიებით!“ (გ. ტაბიძე, რჩეული, 1982, გვ. 92) ცრემლებმა თითქოს შური იძიეს და ერთბაშად მოზღვავდნენ პოეტის თვალებში და მათ, რა თქმა უნდა, ჩაკლეს ის იები და ცვრები, ეს გამოხატავს იმას, რომ ლირიკულ გმირს დაემსხვრა ოცნებები, იგი თავს წარმოიდგენს დაწყევლილად, რომელსაც ვერ იფარავს ანგელოზი და წერს: „და როცა ბედით დაწყევლილ გზაზე სიკვდილის ლანდი მომეჩვენება, განსასვენებელ ზიარებაზე ჩემთან არ მოვა შენი ხსენება“. (გ. ტაბიძე, რჩეული, 1982, გვ. 92) ამ სტროფში მართლაც ჩანს პოეტის სასოწარკვეთილება, მაგრამ ბოლოს კვლავ ღვთისმშობლისადმი მიმართვით ამთავრებს, თითქოს ერთადერთ იმედადღა და მფარველად შემორჩა, გალაკტიონს კი იმედი აქვს, რომ ღვთისმშობლისადმი ლოცვა უშველის და გადაარჩენს მას.

ასევე მდიდარია მეტაფორებით გალაკტიონის ერთ-ერთი გამორჩეული ლექსი „მთაწმინდის მთვარე“. ნებისმიერი მკითხველი, როდესაც ამ ლექსს წაიკითხავს, აუცილებლად მოექცევა მისი ჯადოსნური ხიბლის ტყვეობაში და ბოლომდე ვერც ახსნის რა არის წყარო ამ ხიბლის, რა არის ის საიდუმლო, რაც ამ ლექსს თან სდევს და საოცარ შთაბეჭდილებებს ტოვებს მკითხველში. თვითონ გალაკტიონი ამ ლექსს თავისი „პოეზიის გასაღებს“ უწოდებდა და აღიარებდა საპროგრამო ლექსადაც.

გალაკტიონი პირველივე სტრიქონიდან გვიქმნის საოცარ განწყობილებას. მეტაფორას ლექსის სათაურშივე ვხვდებით, „მთაწმინდის მთვარე“, რატომ მთაწმინდის? ზოგადად, მთაწმინდა ასოცირებულია ამაღლებულთან ზიარებასთა, ღვთისკენ სწრაფვასთან, „ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი! მდუმარებით შემოსილი შეღამების ქნარი“, (გ. ტაბიძე, რჩეული, 1982, გვ. 5) ამ სტრიქონში თითქოს მთვარე არის „შეღამების ქნარი“, რა თქმა უნდა, ეს მეტაფორულად არის ნათქვამი, ქნარი აქ თითქოს გამოყენებულია, როგორც „კოსმიური მუსიკა“, სწორედ ამიტომ ამ ლექსის კითხვისას შემოიჭრება საოცარი მუსიკის განცდა, თითქოს გარშემო ყველაფერი სიზმარეული ბურუსით არის შემოსილი, მთვარიდან თითქოს ცისფერი ლანდები მოდიან და ხეებში ექსოვიბიან და მუსიკასთან ერთად საოცარი ფერწერული სურათი წარმოიქმნება, რაღაც იდუმალ გარემოში ხვდება მკითხველი.

აქ ყურადღებას იქცევს სტროფი, „აქ მწუხარე სასაფლაოს ვარდით და გვირილით ეფინება ვარსკვლავების კრთობა მხიარული“, (გ. ტაბიძე, რჩეული, 1982, გვ. 5) „მწუხარე სასაფლაო“, რა თქმა უნდა, ამით ავტორი მიუთითებს სასაფლაოს მდუმარებაზე, ამავე დროს ამით მინიშნება შეიძლება იყოს აკაკის საფლავზე, რადგან გალაკტიონისთვის აკაკი გამორჩეული პიროვნება იყო. პოეტს ამაღლებული განწყობა ეუფლება ამ გარემოცვაში და ის ამბობს, რომ მზადაა სიკვდილისათვის, რომ არ ეშინია სიკვდილისა და ამას ასე გამოთქვამს, „და მეც მოვკვდე სიმღერებში ტბის სევდიან გედად“ . (გ. ტაბიძე, რჩეული, 1982, გვ. 5) გედი ზოგადად სიმბოლოა ხელოვნებისა, პოეზიისა, გალაკტიონს უყვარდა ამ

სიმბოლოს გამოყენება, რადგან სწორედ მისით აღწერდა თავის სულიერ მდგომარეობას სხვადასხვა ლექსში.

„თუ სიზმარმა ვით შეისხა ციდან ცამდე ფრთები და გაშალა ოცნებათა ლურჯი იალქნები“. (გ. ტაბიძე, რჩეული, 1982, გვ. 5) ამ სტრიქონში, რა თქმა უნდა, წარმოჩენილია პოეზიის უსაზღვროობა, რომლისთვისაც არ არსებობს ჩარჩოები, სული პოეზიაში გამჟღავნებული მოიცავს მთელ სამყაროს და შეიძლება ითქვას, რომ ამ სიტყვებით პოეტი განეფინება მთელს სამყაროში და არა მარტო რეალურ სამყაროში, არამედ გალაკტიონიც ამ შედევრით ქმნის საკუთარ სამყაროსაც.

მაინც ვისთან, რომელი პოეტური თაობის პერსონალურად რომელი პოეტის სახელთან არის დაკავშირებული ქართული ლექსის უახლესი რეფორმა? ამის შესახებ ლიტერატურულ წრეებში დროდადრო განსხვავებული თვალსაზრისიც გაიელვებს ხოლმე.

ქართული ლექსის ფერისცვალებას იმ დროს გრძნობდნენ და განიცდიდნენ მწერალთა ძველი და ახალი თაობის წარმომადგენლები. კიდევ უფრო ნათელი გახდა ვითარება ოციან წლებში, როცა ქართული ლექსი ახალ ტალღაში სწრაფი დინებით ჩაერთო. ამ დროს არავისთვის იყო საეჭვო, რომ ქართულ ლექსში მოხდა გარდატეხა, რამაც საფუძვლიანად შეცვალა ძველი პოლიტიკა.

მაშასადამე, ქართული ლექსის რეფორმაცია დაიწყო 1915 წლის მეორე ნახევარში, რეფორმა გატარდა საუკუნის დასაწყისში და ერთ-ერთი რეფორმატორთაგანი გალაკტიონ ტაბიძეა.

როგორია სალექსო რეფორმაში გალაკტიონ ტაბიძის როლი? გალაკტიონ ტაბიძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით დაწერილ წერილში გ. ასათიანს აღნიშნული აქვს, რომ გალაკტიონმა „ჩვენს პოეზიაში პირველმა დაიწყო ახალი ფერებისა და ნახევარტონების ძიება ..., პირველმა დაიწყო ჩვენი პოეზიის განახლება,“ მაგრამ „შენიშვნებში“ სადაც სწორედ ჩვენი პოეზიის განახლების საკითხია დასმული, გ. ტაბიძის დამსახურებაზე არაფერია ნათქვამი. ამ საგანგებო დანიშნულების სტილში, რომლის მიზანს წარმოადგენს თანამედროვე ქართული გენეზისის საკითხების გარკვევა, ავტორს გალაკტიონის გვერდის ავლით აქცენტი ცისფერყანწელთა შემოქმედებაზე აქვს გადატანილი. რეალურად კი, გალაკტიონი უკვე ათიოდე ნოვატორული ლირიკული შედევრის ავტორი იყო, როდესაც ცისფერყანწელები თავიანთ ჯგუფს აყალიბებდნენ და აშკარაა, რომ ქართულ ლექსში გარდატეხა მანამდე მოხდა, ვიდრე „ცისფერყანწელთა“ ლიტერატურული გაერთიანება რეფორმდებოდა.

მთავარი მაინც ის არის, რომ გალაკტიონის ლირიკულ შედევრებს, რომლებიც 1915 წელს არის შექმნილი, პოეტის თანამოკალმენი მათ ტოლფასოვანს ვერაფერს უპირისპირებდნენ. მართალია ი. გრიშაშვილის „ხელთათმანის ღილი“ და „რა კარგი ხარ, რა კარგი“, ა. აბაშელის „მწუხრის ფსალმუნი“ და „ზამბახის ფოთლებში“, პ. იაშვილის სონეტები ამ თარიღის მხატვრულ საგანძურშია შემონახული, მაგრამ ამ პოეტთა შემოქმედებითი ყვავილობის ხანა სხვა ლექსებსა და თარიღებშია საძიებელი, ხოლო როცა იწერება „ლურჯა ცხენები“, „შერიგება“ და „ატმის ყვავილები“ გარდატეხა ეჭვის გარეშეა და ქართული ლექსი თავის განახლებას დღესასწაულობს, რომელშიც უდიდესი წვლილი მიუძღვის დიდ ქართველ პოეტს, პოეზიის მეფეს, გალაკტიონ ტაბიძეს.

ლიტერატურა:

1. აკაკი ხინთიბიძე, „გალაკტიონი თუ ცისფერყანწელები“, გამომცემლობა „გულანი“, თბილისი, 1992.
2. აკაკი ხინთიბიძე, „გალაკტიონის პოეტიკა“, გამომცემლობა „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, თბილისი, 1987.
3. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, შემდგენელი ჯ. ღვინჯილია, გამომცემლობა „მერანი“, თბილისი, 1982.
4. სიმონ გაჩეჩილაძე, „ლიტერატურადმცოდნეობის შესავალი“ გამ: „სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტი“, თბილისი, 1957.

ფერები ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიაში

ნანა სადღობელაშვილი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ზურაბ ოქროპირიძე**, უფროსი მასწავლებელი

ნიკოლოზ ბარათაშვილი ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი ქართველი პოეტია, ის არის ქართული ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენელი. 2017 წელს "იუნესკომ" ნიკოლოზ ბარათაშვილის 200 წლის თავი საერთაშორისო მოვლენების ნუსხაში შეიტანა. ნიკოლოზ ბარათაშვილი ქართველ რომანტიკოსთა შორის ყველაზე განსხვავებული და საიდუმლოებით მოცული პიროვნებაა. ის არაჩვეულებრივად ახერხებს საკუთარი განცდებისა და ემოციების მკითხველამდე მიტანას და დიდი შთაბეჭდილების მოხდენას. ილია ჭავჭავაძე ამბობს: „ბარათაშვილმა ჩვენს აზრს, ჩვენ გულთა თქმას, ჩვენს ჭკუა-გონებას დიდი განი და სიღრმე მისცა, კაცობრიობის წყურვილს ქართველიც თანამოზიარედ გაუხადა და კაცობრიულ წყურვილის მოსაკლავ წყაროს ქართველიც დააწაფა. ამ მიმართულებას ჩვენის აზროვნობისას ბარათაშვილის შემდეგ არც ერთი მწერალი აღარა ჰყოლია ჩვენში და, სწორედაც რომ ვსთქვათ, ბაირონები, ლერმონტოვებიც, მარტონი არიან და იშვიათად მემკვიდრეებს სტოვებენ, რადგანაც ტვირთი მათებრ კაცების მემკვიდრეობისა „არ არის სუბუქ", მართლაც, შემთხვევით არ აწყვილებს ილია ჭავჭავაძე ბაირონთან ნიკოლოზ ბარათაშვილს, ბაირონთან, რომელმაც ბარათაშვილის მსგავსად ევროპული კულტურის სულისკვეთება გამოხატა და ჰამლეტთან, რომლის სახეშიც სიმბოლურად წარმოჩნდა ადამიანური ყოფის ტრაგიზმი.

ჩვეულებრივ, ყოველი მწერალი მიმართავს საგანთა ფერითი დახასიათების ხერხს. ზოგიერთი შემოქმედის ენა მდიდარია ფერის აღმნიშვნელი სახელებით. ხდება ისეც, რომ ფერთა პალიტრის სიძუნწე, მათი შერჩევითი გამოყენება მეტყველებს ამა თუ იმ ფერის საგანგებო ღირებულებაზე კონკრეტული მხატვრული სისტემის ფარგლებში. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია. თამარ ნუცუბიძის დაკვირვებით, „ნ. ბარათაშვილის ლექსებში საგანთა ფერითი მომენტის განსაზღვრება მინიმუმამდეა დაყვანილი... ნ. ბარათაშვილს არა აქვს გამოყენებული არც ერთი სპექტრული ფერი, გარდა ცისფრისა, და მხოლოდ „ზედი ქართლისას" ცნობილ ლირიკულ გადახვევაში „მორბის არაგვი, არაგვიანი" პოეტი მიმართავს მწვანე ფერს.

აშკარაა, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში ცისფრის, უფრო ზუსტად კი ლურჯი ფერის ფუნქცია განსაკუთრებით არსებითია, ხოლო ლექსში „ცისა ფერს" ვლინდება პოეტის მსოფლაღქმის საგულისხმო ნიშან-თვისებები. ცნობილია, რომ რომანტიკოსები (ნოვალისი, ლერმონტოვი და სხვ.) საგანთა დახასიათებისას „ცისფერს" (ან „ლურჯს") უპირატესობას ანიჭებდნენ სხვა ფერებთან შედარებით.

ამასთან, ლურჯი ფერი ბარათაშვილთან არ უკავშირდება კონკრეტულ საგნებს, არ გამოიყენება ეპითეტის ჩვეულებრივი ფუნქციით. თუმცა ნაწარმოების ტექსტში გვხვდება ორი სინტაგმა – „ლურჯსა ცას" და „ცა ლურჯი", მაგრამ მათ სემანტიკაზე გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს პირველ სტროფში ლურჯი ფერისა და ცის ცნებების განსაზღვრა. კერძოდ, „ლურჯი" აქ დახასიათებულია, როგორც პირველად ქმნილი, ანუ სხვა ფერებზე უფრო ადრე შექმნილი ფერი. ამ კონტექსტში „ლურჯი" აღიქმება, როგორც გვარეობრივი ფერი სხვა ფერების მიმართ. შემდგომ, „პირველად ქმნილი" ფერი უნდა მივიჩნიოთ ასევე „პირველად ქმნილი" ცის ატრიბუტად. ბიბლიის მიხედვით, ამგვარი „ცა" – ესაა უხილავი ზეციური სამყარო, ღმერთის სამყოფელი. შესაბამისად, ზემოთ დასახელებულ სინტაგმებში ფერის სახელი და ცის ცნება საგანგებო მნიშვნელობით აღიჭურვება. ნიკოლოზ ბარათაშვილი ეპითეტის ფუნქციით იყენებს მხოლოდ ფერის სახელს „ლაჟვარდი" ხილული ფერის აღსანიშნავად (ლექსებში „შემოღამება მთაწმინდაზედ" და „ფიქრნი მტკვრის პირას"). მაშასადამე, ხილული და უხილავი ცა აქ განსხვავებულია ფერის მიხედვით: პირველი მათგანი „ლაჟვარდია", მეორე „ლურჯი". ხილული და უხილავი ცის გამიჯვნა თავს იჩენს „შემოღამებაშიც":

„ჰე, ცაო, ცაო, ხატება შენი ჯერ კიდევ გულზედმაქვს დაჩნეული!
გულისთქმა ჩემი შენს იქითა ეძიებს სადგურს
ზენაართ სამყოფთ, რომ დაშთოს აქ ამაოება..."

ბუნებრივია, ლურჯის, როგორც პირველად ქმნილი ფერის დახასიათება განაპირობებს ამ გამოთქმის უშუალო კორელაციას ბიბლიასთან. „დაბადებაში" ვკითხულობთ:

„დასაბამად შექმნნა ღმერთმან ცაი და ქუეყანაი.

ხოლო ქუეყანაი იყო უხილავ და განუმზადებელ
და ბნელი ზედა უფსკრულთა“.

„ლურჯი“, რომელიც ბარათაშვილის მხატვრულ სისტემაში გვევლინება არასოდეს აღნიშნავს და არ შეიძლება აღნიშნავდეს კონკრეტული საგნის ფერს. ბნელი სამყარო, ბიბლიის მიხედვით, თვისებრივად განუსაზღვრელი იყო. ამგვარი სიბნელე, ბნელი წარმოგვიდგება როგორც ერთგვარი სუბსტანცია, რომლისგანაც ღმერთმა შემდგომ შექმნა კერძო საგნები. ლურჯის (როგორც „ბნელი“ ფერის) სუბსტანციურობას ნიკოლოზ ბარათაშვილთან ადასტურებს გამოთქმა: „შევერთო ლურჯსა ფერს“. მაშასადამე, ლურჯი ფერი სიმბოლურად აღნიშნავს სამყაროს პირვანდელ, თვისებრივად განუსაზღვრელ მდგომარეობას, როგორც მხატვრული სახე, სიმბოლო მეტონიმიური ბუნებისა. ლურჯისა და ბნელის (როგორც სინონიმების) ამგვარი კონცეპტუალიზაცია თავს იჩენს ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსში – „შემოღამება მთაწმინდაზედ“. ამ ნაწარმოებში ვლინდება ის სტილური თავისებურება, რომელიც, ერთი შეხედვით, დამახასიათებელი არაა რომანტიკული სტილისთვის – ბუნების მოვლენებს პოეტი მოიხსენიებს მრავლობით რიცხვში: „ცვარნი“, „ციაგნი“, „ადგილნი“, „ყვავილნი“, „ნაპრალთ“, „ნიავნი“, „ღელეთა“, „შემოგარენი“ და ამ გზით განზოგადებულად წარმოგვიდგენს მათ, კონკრეტული ნიშან-თვისებების მითითების გარეშე, როგორც ერთგვაროვანი საგნების სიმრავლეს. შეუძლებელია მსჯელობა მათი მსგავსების ან განსხვავების შესახებ. ზოგჯერ პოეტი იყენებს მხოლობით რიცხვსაც: „კლდევ ბუნდოვანო“, „მთავ ღრუბლიანო“. ეს ეპითეტები ფუნქციურად მრავლობითი რიცხვის ტოლფასია მათი დანიშნულებაა ბუნების ობიექტების კონკრეტული აბრისის გამქრქალება. სინტაგმებში „ლამაზს ველსა“ და „ტურფას სერზედ“ შემფასებლური ეპითეტები ვერ წარმოაჩენს „ველისა“ და „სერის“ დამახასიათებელ კერძოობით ნიშნებს. ამიტომ სამყარო, ამ ლექსის მიხედვით, წარმოგვიდგება როგორც ერთგვაროვანი და თვისებრივად განუსაზღვრელი რეალობა. ამ ნაწარმოების ანალიზისას გ. ასათიანი მსჯელობს „შეგნებულად გაბუნდოვანებული ფონის“ შესახებ, მაგრამ აქ გაბუნდოვანებულია არა ფონი, არამედ საგნები, რომლებიც ერწყმიან საერთო ბნელ ფონს. ბნელი (ან ლურჯი) ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში სამგვარი მნიშვნელობისაა:. ფერების პირველსახე, მათი გვარი, როდესაც არ არსებობდნენ საგნები, მაგრამ არსებობდა ბნელი, როგორც ფერების არსი; გარკვეული სუბსტანცია, რომელიც სამყაროს წარმოქმნის საფუძველია; „შემოღამებაში“ ასახული სამყარო სწორედ დაუნაწევრებელია, ე.ი. გარკვეულად, „არააღქმადია“. პოეტი თითქოს ვერ ხედავს გარესამყაროს. მისი მზერა არ ჩერდება ცალკეულ საგნებზე და თუ ჩერდება, ვერ აღიქვამს მათ. როგორც სინამდვილის ფრაგმენტებს.

ამგვარად, ფერის ფუნქციების პრობლემა ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში გარკვეული სირთულით გამოირჩევა და უკავშირდება სხვა, მეტად არსებით საკითხებს. ფერი აქ არ წარმოადგენს მხოლოდ მხატვრული ენის გარკვეულ კომპონენტს, არამედ განსაზღვრავს სამყაროს სურათის იმ სპეციფიკას, რომელიც დამახასიათებელია ნიკოლოზ ბარათაშვილის, როგორც განუმეორებელი შემოქმედებითი ხელწერის მქონე პოეტისთვის. თემის დასასრულს აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ, მართალია არაერთი ავტორი შეხებია ნიკოლოზ ბარათაშვილს და ძალიან რთულია იპოვო რაიმე ახალი კლასიკოსი მწერლის შთამბეჭდავ შემოქმედებაში, მაგრამ, ჩემი მოკრძალებული აზრით, წარმოუდგენელია, როდისმე შეწყდეს ბარათაშვილის შემოქმედების განხილვა, რადგან მისი პოეზია ამოუწურავი და ჯერ კიდევ იდუმალებით მოცულია.

ლიტერატურა:

1. თამარ ლომიძე, ქართული რომანტიზმის პოეტიკა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2014.
2. wikipedia.org
3. სერგის ცაიშვილი, „წინამორბედნი და თანამედროვენი“, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1986.

ვეზირის სახის მხატვრული ფუნქცია „ვეფხისტყაოსანში“

მარიამ წიქარიძე
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ვახტანგ ინაური,** მოწვეული სპეციალისტი, დოქტორი

ვეზირის თანამდებობრივი სტატუსი არაბეთში როსტევან მეფის კარზე ფიქსირდება. ინდოეთში ფარსადან მეფის კარზე მაღალი რანგის ოფიციალური პირები ხასებად მოიხსენიებიან, შესაძლოა მათ ვეზირის მოვალეობა ჰქონდათ, რადგან ხასი დიდებულს, სამეფო კარის მაღალჩინოსანს გულისხმობს, ისინი მეფის ახლობელი ადამიანები არიან, სავარაუდოდ ნათესავებიც კი, ამას გვაფიქრებინებს ის ფაქტი, რომ ნესტანის გათხოვების გამო თათბირზე მეფე-დედოფალი ისხდნენ ,,ხასითა ოდენ სამითა'', ე.ი. სხვა დიდებულებიც არიან, მაგრამ მეფემ ეს სამი დაისწრო სახელმწიფოებრივ და ოჯახურ საკითხზე მსჯელობისას. ცხადია, იგივე სამი ხასი მიუგზავნა ფარსადანმა ხვარაზმშაჰს ძის მოკვლის შემდეგ თავის ქალაქში გამაგრებულ ტარიელს. ,,ვნახენ სამნი დიდებულნი მეფისაგან მოგზავნილად'' - უამბობს იგი ავთანდილს.

ინდოეთში მულღაზანზარსა, ზღვათა სამეფოსა და ქაჯეთში ვეზირის სახე და მისი ფუნქცია გამოკვეთილი არ არის, ხოლო არაბეთში ორი ვეზირი ფიგურირებს ,,სოგრატი, მოახლე მეფისა დასთა დასისა'', რომელიც ავთანდილთან ერთად ტახტს უდგამს მეფედ საკურთხებლად გამზადებულ თინათინს. ამ ფაქტით იკვეთება სოგრატის მნიშვნელოვანი თანამდებობრივი მოვალეობა სახელმწიფოში, ახალი მეფისთვის ტახტის დადგმა უდიდესი სიმბოლური რიტუალია ქვეყანაში, რომელსაც განსაკუთრებულად საპატიო ადამიანი უნდა ასრულებდეს, მისი უფლებები ვლინდება ნადიმზე, როდესაც იგი მოწყენილი მეფესთან მიდის და თავისუფლად და თამამად აძლევს შენიშვნას:

,,მოგიღრეჯია მეფეო აღარ გიცინის პირიო,
მართალ ხარ წახდა საჭურჭლე თქვენი მძიმე და ძვირიო,
ყველასა გასცემს ასული თქვენი საბოძვარ-ხშირიო,
ყოლამცა მეფედ რად დასვი! თავსა რად უგდე ჭირიო''

ასეთი საყვედური მხოლოდ მეფესთან ძალიან ახლობელ ადამიანს შეუძლია, სხვა შემთხვევაში ძნელია ვინმე მეფის რისხვას გადარჩენოდა.

სოგრატის სახე წარმოაჩენს ოფიციალურ პირს, რომელიც ვიზუალურად ავლენს თავის მოვალეობას, მისი შინაგანი სამყარო, სულიერი მდგომარეობა გახსნილი არ არის. ვეზირის ხასიათის, თვისებებსა და უნარს შოთა რუსთაველი გვიჩვენებს როსტევანის მეორე ვეზირის სახით, რომელთანაც საუბრობს ავთანდილი გაპარვის წინა დღეს.

ეს ეპიზოდი ასახავს რუსთაველის დროინდელ საქართველოს სტუმარ-მასპინძლობას, აჩვენებს მაღალი რანგის ადამიანთა ურთიერთობას პირადულ ასპექტში, რითაც ვლინდება გმირების შინაგანი კულტურა, დიპლომატიაც და უშუალობაც. ავთანდილი ვეზირთან გულახდილი, პირდაპირი და გულუხვია. ვეზირი კი დახვეწილი საქმიანი და გულთბილია. მან კარგად იცის ხელსაყრელი მომენტი, როგორ გამოიყენოს სათავისოდ. ამას აკეთებს ელეგანტურად და ისე, რომ ავთანდილი მადლიერი და კმაყოფილი დატოვოს.

ავთანდილის სტუმრობის დროს ერთდროულად ჩანს ვეზირის ეთიკა, სტუმართმოყვარეობა და გამჭრიახობა. იგი ავთანდილს დიდი პატივისცემითა და სიყვარულით მიეგება. რუსთაველი თავისი დიდებული აფორიზმით ,,ხამს სტუმარი სასურველი, მასპინძელი მხიარული'' წარმოაჩენს ყოფითი კულტურის მაღალ დონეს.

ავთანდილს თავისი მიზანი აქვს ვეზირთან სტუმრობისას, მან კარგად იცის მისი უფლება-მოვალეობანი და დარწმუნებულია, მისი თხოვნის შესრულება მას შეუძლია. ნათელია, რომ საკითხი, რომელიც აწუხებს, ვეზირის ფუნქციებში შედის, ცხადია სამეფო კარის მენეჯმენტი მოწესრიგებულია და მეფე ამ ვეზირთან ერთად წყვეტს გარკვეულ საკითხებს, მათ შორის სამეფო კარზე თანამდებობის პირის წასვლა ანუ დათხოვნა მისი საქმეა. ავთანდილი ეუბნება ვეზირს: ,,შენი დამალული დარბაზს არა არ იქნების, როცა გწადდეს საურავი მეფე იქმს და შენ გეთნევის'', ავთანდილის სიტყვებში ჩანს, რომ ვეზირს აქვს იმის უნარი და შესაძლებლობა, მოხერხება და ავტორიტეტი, თავისი შეხედულებების შესაბამისად გადააწყვეტინოს მეფეს ნებისმიერი პრობლემა.

ვეზირის გამოცდილება და საქმიანი თვისება ავთანდილის თხოვნის მოსმენისთანავე ვლინდება, იგი მაშინ სცემს პასუხს ავთანდილს, როდესაც სპასპეტი ქრთამს უხსენებს ,,ასი ათასი წითელი შენ ქრთამად მიითვალეო'', მან სწრაფად და კარგად გაიაზრა საკითხის არსი და მისი შესრულების სიძნელე. ვეზირმა იცის, რომ მეფე ავთანდილს არ გაუშვებს და მასაც დასჯის, ამიტომ იგი იუმორით ეუბნება ავთანდილს: ,,ქრთამი შენ გქონდეს შენია!

შენგან კმა ჩუმად წყალობად, რომე გზა გაგიჩენია

მაგას რას ვკადრებ მეფესა, როცა აწ თქვენგან მსმენია''

ვეზირი ერთ-ერთი პირველი პერსონაჟია, რომელიც თვითნებობით მიმართავს თანამოსაუბრეს, აგიოგრაფიულ და არა მხოლოდ აგიოგრაფიულ ნაწარმოებებში მიმართვა მხოლობითი ფორმით არის გამოხატული, ამ პასუხებშიც ნათლად ჩანს ,,ვეფხისტყაოსანში'' ასახული ცხოვრებისეული სინამდვილე, რაც მისაღები და სარწმუნოა. პოემის ავტორის თანამედროვე რეალობაშიც შებრუნებული აზრი, ან პირუკუ ნათქვამი, უფრო მკვეთრად გამოხატავს მთქმელის დამოკიდებულებას, გადასაჭრელი საკითხისადმი. ამ შემთხვევაში ვეზირი უკუთქმით მიანიშნებს ავთანდილს, რომ მისი მოთხოვნის შესრულება შეუძლებელია, ამიტომ ეუბნება მას, თქვენს ნათქვამს რომ ვკადრებ მეფეს, ვიცი აუცილებლად ამავსებს, იგულისხმება საჩუქრებით, ქონებით ავსება, სინამდვილეში კი ამით იმის თქმა უნდა, რომ მეფე შერისხავს, ხოლო შემდეგი ფრაზა ,,შოება არ საწყენია'' გვაუწყებს რომ ვეზირი მდიდარი პიროვნებაა, მაგრამ თუ მეტს იშოვნის, ზედმეტი არ იქნება.

ამ იუმორს და ზედმეტ ირონიას ვეზირი მოაყოლებს რეალურად მოსალოდნელ შედეგს, რომ მეფის მწვავე რეაგირება გარდაუვალია, თუ კი ის ჰკადრებს მეფეს და სთხოვს ავთანდილის გაშვების ნებართვას. ,,თავადმან მისმან მუნვე მომკლას ვეჭვ, წამიცა არ წამაროს!

შენი ოქრო შენვე დაგრჩეს მე გლახ მიწა მესამაროს''

გარდა ამისა აქვე, ამ კერძო საუბარშიც კი ვეზირის ქვეყნის ერთგული და პასუხისმგებლობით აღსავსე პირად გვევლინება. მეფემაც რომ გაგიშვას, ჯარი რატომ უნდა მოტყუვდეს ,,შენ წახვიდე მტერნი ჩვენნი დაგვთამამდნენ

გაგვისწორდნენ, ეგე ასრე არ ეგების, ვითა ჩიტნი არ გაქორდენ ''

ასე რთულ საკითხად მიაჩნია ვეზირს ავთანდილის გაშვება, მაგრამ ავთანდილის მიერ თავისი გულისტკივილის წარმოჩენისა და ჩუმად გაპარვის ქადილისა და ვაზირზე ზნეობრივი ზემოქმედების შემდეგ პოეტი გვიჩვენებს მის მგრძნობიარეობას და სიბრძნეს. მან უმალ გაიაზრა, რომ ავთანდილის გაპარვაზე გარკვეული პასუხი მას უნდა გაეცა მეფისათვის ამასთან ავთანდილი არწმუნებს, რომ მის გამო მეფე ,,არას უზამს'', მან მხოლოდ ინფორმაცია უნდა მიაწოდოს მეფეს და არ იღებს თავის თავზე ავთანდილის გაშვების ნებართვას. ამდენად ვეზირი მეფესთან ავთანდილის წასვლის შესახებ ამბის მიტანისთვის სამ საქმეს ერთდროულად აგვარებს, პირველი თავის მოვალეობას ასრულებს მეფის საქმის კურსში ჩაყენების შემთხვევაში მეორე, მოიმადლიერებს ავთანდილს და მესამე, დიდ ქრთამს აიღებს. რა თქმა უნდა, მან ეს უმალვე გაიაზრა და სწორი გადაწყვეტილება მიიღო, რასაც გამოხატავს აფორიზმით:

„ზოგჯერ თქმა ჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების

ვეტყვი, მოვკვდე, არა მგამა, ჩემი მზეცა თქვენ მოგხვდების.“

ამ სიტყვებით იგი გადაუდებლად გაეშურა მეფესთან, რაც მის საქმიან და ოპერატიულ ბუნებაზე მიგვანიშნებს.

ვეზირისა და მეფე როსტევანიშ შეხვედრა ერთ-ერთი საინტერესო ეპიზოდია პოემაში. აქ ასახულია მეფის სამუშაო პროცესი, მისი ურთიერთდამოკიდებულება ვეზირთან, მისი ადამიანური ხასიათი, ემოცია და უშუალობა. ვეზირმა კი, რომელმაც კარგად იცის მეფის თვისებები, თვითონ კი არ იწყებს მასთან საუბარს ,,შეკაზმულ მეფეს'' ვერ შეჰკადრა საწყენი სიტყვა. ამით შექმნა პრეცედენტი მეფე თავად შეჰკითხვოდა, რადგან პასუხის გაცემა გამართლების ერთგვარი გარანტია, მან თავისი თავდახრილი და გაოგნებული დგომით დააინტერესა როსტევანი ეკითხა ,,დაღრეჯისა და ,,დაყმუვნების'' მიზეზი. მის საპასუხო სიტყვებში ვლინდება გონიერება, დაძაბულობიდან გამსვლის უნარი და სიბრძნე:

,,ჩემი ჭმუნვა ჭირსა ჩემსა არცა ჰმატს და არცა სდიდობს

მეშინიან თუმცა შიშსა მოციქული არ დაჰრიდობს

აწ ავთანდილ მეთხოვების, მოაჯეობს არ წამკიდებს

უმის ყმისოდ სოფელსა და საწუთროსა მისთვის ფლიდობს.'' მიზეზიც უთხრა ვეზირმა მეფეს და თავის თავი ჭირისუფლად წარუდგინა, რომლის რისხვასაც თვითონ იღებს თავის თავზე:

,,აგრე შმაგი არ ვაზირად, არ ვარგიხარ არცა სხვა რად

აწ უკუდექ ავი, შმაგი, უმეცარი, შლეგი, ბილწი

შაბაშ სიტყვა, შაბაშ კაცი, შაბაშ საქმე მისგან ქმნილი''

ვეზირის სახე უფრო მკვეთრად ჩანს მეფისგან გამოსვლისას ,, ვაზირმან გლახ გამოჰრიდნა ... გამოძრწა და გამომელდა.''

საინტერესო წარმოსადგენია ქვეყნის მეორე, მესამე პირი მელასავით, როგორ პარვით გამოდის მეფის დარბაზიდან. აქ ირონიაც არის და რეალური ცხოვრების სინამდვილეც, მეფე განრისხების დროს, სულ ერთია, მონას შერისხავს თუ ვეზირს. პატრონყმულ საზოგადოებაში ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს.

ვეზირის შემდგომი განცდები უფრო ნათლად წარმოაჩენს მის სულიერ მდგომარეობას ,,შეიხს ხასობს, გაის ქუშობს, ენა ასე მოაყივნებს

მტერი მტერსა ვერას ავნებს, რომე კაცი თავსა ივნებს.''

ამ სტრიქონებშიც გამოსჭვივის ვეზირის სიბრძნე და ცოდნა.

მეფესთან ასეთი კოშმარის გადატანის შემდეგ ვეზირი, რა თქმა უნდა, ქრთამს მოითხოვს, მაგრამ მანამდე ავთანდილი უნდა დაარწმუნოს, რომ მან თავისი ავტორიტეტი გაწირა ავთანდილისთვის.

,,მადლი რა გკადრო, აწ თქვენთან გავხდი მე მაშავითა,

ვა კარგი თავი უებრო დავკარგე დავაშავითა.''

ამ პასუხში აისახება ვეზირის მიერ ავთანდილისგან ქრთამის მიღების უნარი, ამიტომ უფრო ამძიმებს მეფისაგან მის თავს დატეხილ რისხვას.

,,ვით გიამბო რა მიბრძანა არ ეგების ჩემგან თხრობა,

რა სიავე რა სირეგვნე, რა შლეობა, რა შმაგობა.

მე ვით კაცად აღარ ვარგვარ, აღარა მიც თავსა ცნობა

ესე მიკვირს რად არ მომკლა, მისცა თურე ღმერთმან თმობა.''

ამას ეუბნება ავთანდილს თუმცა, კარგად იცის, ავთანდილის გაგზავნილს მეფე არ მოკლავდა, ეს ავთანდილმაც უთხრა მას დარბაზს შეგზავნამდე და მეფემაც უთხრა, მოგკლავდი მისი მოგზავნილი რომ არ იყოვო.

ვეზირი აზუსტებს მის მეფესთან ასეთ კოშმარული ვიზიტის შემდეგ წავა თუ არა ავთანდილი უცხო მოყმის დასახმარებლად. ცხადია თუ არ წავა ის ქრთამს ვერ მიიღებს, ამიტომ ამხნევებს ავთანდილს და ამსუბუქებს მეფესთან საუბარში მის მიერ გადატანილ საფრთხეს და იმედს გამოთქვამს , რომ მეფე ,,მოიწყრომებს შე ცა-მინდობს'' ანუ აპატიებს და შეივრდომებს.

ავთანდილი არ გადაიფიქრებს და არც გადადებს უცხო მოყმესთან გამგზავრებას, რაც იმის გარანტაა, რომ ვეზირი დიდ თანხას მიიღებს ქრთამად, ამ საკითხის დაზუსტების შემდეგ ვეზირი კვლავ ავლენს თავის სტუმართმოყვარეობას:

,,ვაზირმან ქმნა ჭამა - სმანი მათნი ფერნი უმასპინძლა

ძღვენნი უძღვნა მშვენიერსა მშვენიერნი.''

ამ ქმედებით მან კიდევ უფრო მოიგო ავთანდილის გული და ავთანდილმა კი, თავის მხრივ, ასი ათას წითეს სამასი თავი სტავრა ატლასი და სამოცი თვალი ლალ-იაგუნდი დაუმატა და ისიც გაუგზავნა ვეზირს.

ისტორიის ნებისმიერ პერიოდში ავთანდილის მიერ ვაზირისადმი მირთმეული ფულით გამოხატული ქრთამი დიდი თანხაა, რაც იმას მოწმობს, რომ სამეფოში სარდლები ძალიან მდიდრულად ცხოვრობენ, აურაცხელ ქონებას ფლობენ, ისინი ომებში მოიპოვებენ სიმდიდრეს, ხოლო სამეფო კარის მსახურნი მოხერხებულობითა და გონივრული მოქმედებით შოულობენ დამატებით ქონებას.

ლიტერატურა:

ვახტანგ ინაური, „ლიტერატურული პარალელები“, 2017.

ოთარ ჩხეიძის პოლიტიკური ესეისტიკა

ეკა ხანიშვილი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურის
სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მარინე ცერცვაძე,** პროფესორი

ქართულ მწერლობას განგებამ მნიშვნელოვანი მისია დააკისრა - ქართველი ერის ჭირისუფლობა. მშობლიური ლიტერატურა ქართველი მკითხველისათვის მხოლოდ ესთეტიკური ტკბობის წყარო არ ყოფილა. მწერლობა ყოველთვის ზნეობრივ დარაჯად ედგა ერს. ქართული კულტურის გაცნობისას უცხოელი მკვლევრებიც უმალ ამჩნევენ იმ გარემოებას, რომ „საქართველოში ღირებულებები... ზნეობრივ-მხატვრულ მახსოვრობაში ძევს“.

მე-19 საუკუნეში, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვისა და საეკლესიო ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ, ერის სულიერი წინამძღოლობის მისია ქართულმა ლიტერატურამ იტვირთა. საქართველოში არსებულმა მდგომარეობამ ქართველ მწერალს გამორჩეული პასუხისმგებლობა დააკისრა, ასეთია აკაკი ბაქრაძის აზრი. იაკობ გოგებაშვილი წერდა: „თუ ქართველი მწერალი მგოსანია, საკმარისი არ არის იგი გენიალური პოეტი იყოს, - უკიდურესად საჭიროა, რომ ეს გენიალური პოეტი იყოს აგრეთვე გენიალური მოძღვარი, გენიალური პედაგოგი თავისი ერისთვის“. იგი მკაფიოდ განმარტავდა ქართველი მწერლის ასეთი საპატიო და საპასუხისმგებლო მისიის ობიექტურ საფუძვლებს: „ჩვენს ახლანდელ მდგომარეობაში, როდესაც კავკასიის ერთა შორის გაცხარებული ბრძოლა არსებობისათვის ემუქრება ქართველობის საბოლოოდ დაცემას, მიწასთან გასწორებას, სრულიად უგულო ეგოისტი უნდა იყოს ქართველი მწერალი, რომ მისდევდეს პრინციპსა: კაცია და გუნებაო, ხელოვნება ხელოვნებისთვისაო. ამ პრინციპს ადგილი შეიძლება მიეცეს მხოლოდ მაშინ, როდესაც მშვიდობით გავაღწევთ აწინდელს, მეტად საშიშარს ხანას ჩვენის ცხოვრებისას. იქამდინ კი ყოველი პოეტი და ლიტერატორი უნდა სწერდეს მას, რაც ქართველს გონებას უნათლებს და უმდიდრებს ცხოველი ცოდნით, სულს უმაგრებს, უსპეტაკესებს, უმხნევებს და ... ჰხდის კარგად შეიარაღებულ და მარჯვე მეომრად სასტიკ საარსებო ბრძოლაში.

ილია ჭავჭავაძის აზრით, „ადამიანთაგან შესდგა საზოგადოება და საზოგადოებისაგან სახელმწიფო. დროთა მიმავლობაში ზოგან საქმე ისე წარემართა, რომ სახელმწიფომ იმძლავრა და სრულიად დაიმორჩილა საზოგადოება საერთოდ და ადამიანი ცალკედ“.

ამ მოქალაქეობრივი სულისკვეთებით სუნთქავენ მე-20 საუკუნის ქართულ ლიტერატურის კლასიკოსებიც. „ქართული კალამი ორეულია გოლგოთის ჯვრისა, ხოლო მისი პატრონი ყოველთვის ჰგავდა იმ მთაზე აღმავალ მაცხოვარს“, - ამბობდა მიხეილ ჯავახიშვილი.

მიხეილ ჯავახიშვილი ასე განიხილავს ყველაფერ იმას, რაც საქართველოს გასაბჭოებას მოჰყვა: „25 თებერვალს მე ვიგრძენი, თუ როგორ შემოვიდა ტანში მჭრელი მახვილი, რომელიც მას აქეთ დღითიდღე უფრო ღრმად მერჭობა. გაფითრებული ვარ და ტანში მუდმივი ჟრჟოლა მივლის. ეხლა სატევრის წვერი ზედ გულზე მაქვს დაბჯენილი და ვგრძნობ, ოდნავ რომ შევინძრე, ჩამესობა და ისე გამათავებს, რომ გმინვის ამოღებასაც ვეღარ მოვასწრებ“. საქართველოში დამყარდა მმართველობა, რომელსაც, მწერლის აზრით: „სახელმწიფო მანქანას ყალიბი არა აქვს. იგი ხალხს ამსხვრევს და ნაგლეჯებს აქეთ-იქით ჰყრის“. ყოველივე ამის შედეგად ხდება ის, რომ, როგორც მიხეილ ჯავახიშვილი იტყვის: „ქართველი ხალხისა და ჩვენი სამშობლოს წინაშე არავითარი დანაშაული არ მიმიძღვის, მაგრამ თუ თქვენთვის ზვარაკია საჭირო, მე მზად ვარ საქართველოს თავი შევწირო. თქვენ მე მომსპობთ, მაგრამ იმას ვერასოდეს ვერ მოსპობთ, რაც მე დავტოვე. საქართველოს მიწა-წყალზე მე ისეთი მუხა დავრგე, რომლის ფესვებს თქვენ ვერასდროს აღმოფხვრით. მე გამანადგურებთ, იმას კი ვერ მოსპობთ“. შეეწირა კიდეც ამ ამბავს და არა მარტო ის.

მიხეილ ჯავახიშვილი ახალ ისტორიულ ვითარებას ასე ახასიათებდა: „დღევანდელი ქართული მწერლობა, ხელოვნება და მეცნიერებაც, მეტად მცირე გამონაკლისის გარდა, მოსკოვის ნაბუშარია. საკუთარი ქართული სული იშვიათად მოსჩანს სადმე და მხოლოდ სრულ თავისუფლებას შეუძლიან ეს უცხო სისხლი მოგვაშოროს. მხოლოდ ქართულის ფოლადურ რომანტიკას შეუძლიან სავსებით განგვკურნოს, მაგრამ ამისთვის საჭიროა, რომ ჩვენს ირგვლივ და ჩვენს სულიერ-ფიზიკურ ცხოვრებაშიც ნამდვილი გამაჯანსაღებელი კატაკლიზმი მოხდეს. ჩვენ კი - „ჩვენ ჩვენს თავს არ ვეყუდნით“ და ამიტომ მოლოდინის მეტი აღარა დაგვრჩენია“.

ამ პერიოდში მწერალთა კავშირი, ფაქტობრივად, სახელმწიფოს ერთ-ერთ დეპარტამენტს წარმოადგენდა და როდესაც ამ ორგანიზაციის იმჟამინდელი ხელმძღვანელი მთელი კავშირის სახელით ქვეშევრდომულ ერთგულებას ეფიცებოდა პოლიტიკურად გაკოტრებულ, საკუთარ ქვეყანაში წარუმატებელ „მსოფლიო დონის პოლიტიკოსს“ (იგულისხმება ედუარდ შევარდნაძე), უფროსი თაობის მწერალთაგან, უიშვიათესი გამონაკლისების გარდა, არავის შეუწუხებია თავი, რომ გამიჯვნოდა საკუთარი თავჯდომარი პოზიციას. ეპოქის პარადოქსია ის, რომ დამოუკიდებელი ქვეყანა ვერ ახერხებს ეროვნულ საფუძველზე წარმართოს საშიანაო პოლიტიკა. ყოველივე ამის შემხედვარე გულისტკივილს ვერ ფარავდა ოთარ ჩხეიძე, რომელმაც კარგად იცის, რომ ასეთ ვითარებაში ქართველ მწერალს ვერ ექნება იმის ფუფუნება, რომ არ აღელვებდეს ერისა და სამშობლოს ბედი: „ვით დაიძინოს... მშვიდი ძილი არ უწერია... იმას საფლავში, ვისი ერიც მცირე ერია!“.

ქვეყანას მწერლის მხრიდან თანადგომა სჭირდება მაშინაც, როდესაც იგი დამოუკიდებელია. სავსებით შესაძლებელია, მწერალი არ ერეოდეს პოლიტიკურ პროცესებში, მაგრამ იყოს ნამდვილი მოქალაქე და ზნეობრივი ავტორიტეტი. ასეთი მწერლის ერთ-ერთი მაგალითი იყო ოთარ ჩხეიძე. მწერლისთვის ეროვნული მნიშვნელობის მინიჭება არ ნიშნავს იმას, რომ მას ვინმე ავალდებულებდეს შემოქმედება მხოლოდ პოლიტიკურ თემებს მიუძღვნას. საქართველოში ესეისტური ფორმის ნაწარმოებებს ვხვდებით, როგორც მე-19 საუკუნის მწერლებთან, ასევე მე 20 საუკუნის მწერალთა შემოქმედებაშიც. მწერლები ამით ქვეყნის სატკივარს გამოხატავენ უფრო მძაფრად. ოთარ ჩხეიძეც, მათი ღირსეული მემკვიდრეა, რადგან იგი იზიარებდა ილია ჭავჭავაძის სულიერ მემკვიდრეობას. იგი ვერ გაექცა მართალ სიტყვას მაშინ, როცა სოციალისტური იდეოლოგია სულიერ უბედურებას ამკვიდრებდა ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოში.

სახელმწიფოს მოწყობის შესახებ ქართულ საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა და დღესაც არსებობს. განსაკუთრებით საინტერესოა ოთარ ჩხეიძის აზრი, რომელიც მწერალმა 17 წლის წინ გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე გამოაქვეყნა, ეს არის პოლიტიკური ესე - „პარლამენტური სამეფო ხელისუფლებისათვის“. ამ წერილში ჩანს, რომ მწერალი კარგად იცნობს სამ სახელმწიფოებრივ სისტემას, რომელიც მარქსისტ-თეორეტიკოსებმა თავდაყირა დააყენეს და შექმნეს სახელმწიფოს მოწყობის ისეთი ფორმა, რომელთა მსგავსი კლასიკურმა თეორიამ არ იცის.

მწერალი წერს, რომ სამი სახელმწიფო სისტემიდან - სამეფო-მონარქისტული, რესპუბლიკურ-დემოკრატიული და დესპოტური-ტირანული - რუსეთის იმპერიამ სამივე გადაიტანა, ყველა მმართველობა და პერიოდი კი, ძირითადად, კლასიკური ტირანიზმის პრინციპებს ემყარებოდა. ბედისწერამ საქართველო ამ იმპერიაში ჩართო და ჩაითრია 1989 წლამდე. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ დემოკრატიული წყობა უფრო მეტხანს გაგრძელდა - 1917 წლიდან 1921 წლამდე და, შესაბამისად, ტირანიზმიც 1985 წლამდე. მწერალმა კარგად იცის, რომ სახელმწიფოში გაერთიანებული საზოგადოება ჰკარგავს ბუნებრივ თავისუფლებას იმის გამო, რომ საზოგადოება სახელმწიფოს გარეშე ვერ გააგრძელებს არსებობას და, აქედან გამომდინარე, შეიძლება დაკარგოს ბუნებრივი თავისუფლება, რათა იცხოვროს საზოგადოებრივი ცხოვრებით. ამავე დროს, ეძებს უკეთეს სისტემებს სახელმწიფოს მოწყობისა, მაგრამ რაც უკვე ვახსნეთ, ამაზე უკეთესი არაფერი შექმნილა. ოთარ ჩხეიძე ამბობს, რომ სახელმწიფო მეტ-ნაკლებად მკაცრია, რომ: „სახელმწიფო სახელმწიფოა, სახელმწიფოსგან თავდაღწევა არ ხერხდება“.

ამ სამი სისტემიდან, მსჯელობს სტატიის ავტორი, ყველაზე უფრო ჰუმანური სამეფო ხელისუფლება აღმოჩნდა. სამეფო ხელისუფლება იყო სამართლიანი, რადგანაც ის კანონებს იცავდა.

ყოველივე ეს, „სახელმწიფო სისტემათა ცვლილებადობა“, ნებსით თუ უნებლიეთ 200 წელი გრძელდებოდა საქართველოში, საიდანაც ყველაზე საშინელი იყო ასიმილაციის საფრთხე. ცარიზმის შემდეგ რუსეთში დამყარდა დემოკრატიული ხელისუფლება, რომლისთვისაც დამახასიათებელია კანონის ცვალებადობა, დაჯგუფებათა დაპირისპირება, ძნელდება ზომიერების დაცვა და, ზოგიერთ შემთხვევაში, გზა ეხსნება ტირანულ ხელისუფლებას, რომელმაც კანონი არ იცის. ოთარ ჩხეიძე ადარებს ერთმანეთს ბოლშევიკების ტირანულ ხელისუფლებას და რუსეთის სამეფო ხელისუფლებას, აღმოჩნდება, რომ ცარიზმი უფრო ჰუმანურია, ვიდრე ტირანული. მაგალითისათვის მწერალი მოიყვანს იმ ფაქტს, რომ ცარიზმს არ უცდია რუსული ენის ქართველებისთვის მშობლიურ ენად ქცევა - ფიქრობდა ჩვენ გაგძარცვავთ, თქვენ რა ენაზეც გინდა ილაპარაკეთო. ტირანულმა სახელმწიფომ კი გამოაცხადა, რომ კომუნიზმში ვერ შევიდოდით რუსული ენის გარეშე და თუ მშობლიური ენის დაცვას მოინდომებდი, ეს უკვე პოლიტიკურ დანაშაულად ითვლებოდა.

მწერალი პიროვნულადაც ადარებს მეფეს და ტირანს, მოჰყავს მაგალითები თუნდაც ჩაის პლანტაციების გაშენების შესახებ, როცა რუსეთმა ვერ გაიმეტა ქართველი ხალხი ამ მონური შრომისათვის, ტირანმა კი „სრულიად საბჭოეთის დაკმაყოფილება მოინდომა ქართული ჩაით“. და იმასაც აყვედრიდა ქართველ ხალხს, ჩაი რატომ სულ უმაღლესი ხარისხი არ არისო. ოთარ ჩხეიძეს სწამს, რომ

სამეფო ხელისუფლებასთანაა დაკავშირებული ქართველი ერის აღმავლობის და ძლიერების პერიოდები. მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულისთვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა პარლამენტური სამეფო ხელისუფლება.

დასკვნა ასეთია, რომ განსხვავებით სამეფო ხელისუფლებისგან, საქართველოში უნდა იყოს პარლამენტური სამეფო ხელისუფლება. ოთარ ჩხეიძის სტატიები იწერება მაშინ, როდესაც ქვეყანაში ადგილი აქვს რეპრესიებს. ამიტომაც, მის სიტყვას ქართულ მწერლობას და საზოგადოებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეკავებინა. მისი სტატიების თემატიკა არის მრავალფეროვანი, სადაც აღწერილია საქართველოს პრობლემები, სამშობლოს უმძიმესი მდგომარეობა და გამოსავლის ძიება. რამდენიმე წერილის სათაურის დასახელებაც საკმარისია: „პარლამენტური სამეფო ხელისუფლებისათვის"; „რა გადაარჩენს საქართველოს"; „საქართველო უპირველეს ყოვლისა" და სხვა. ამ წერილებში საქართველოს სახელმწიფოს საჭირბოროტო პრობლემა დასმული, მისი წარსულისა და აწმყოს ჭრილში და ეს პრობლემა დღესაც აქტუალურია და მხედველობაში მისაღებია.

ოთარ ჩხეიძე საქართველოს ინტელიგენციის ისტორიას განიხილავს, როგორც დაპყრობილი ქვეყნის პირობებში, რომლებიც სხვის ნებასა და ჭკუაზე იყვნენ დამოკიდებულნი, ეს იყო მარქსისტ-თეორეტიკოსთა დიდი დამსახურება.

ოთარ ჩხეიძის ზემოთ განხილული ესე ნათლად წარმოაჩენს იმ მძიმე სურათს, რაც რუსეთის იმპერიის გამო დაატყდა თავს საქართველოს. დამპყრობლის მიზანი ყველა დროში იყო მოწინააღმდეგის სულიერი დაუძლურება. ესეში ამ მდგომარეობაში მყოფი ერის შინაგანი და გარეგანი მიზეზებით სულიერი სიმართლის რღვევის პროცესი საოცარი წვდომით აისახა.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ ოთარ ჩხეიძემ გამოიჩინა დიდი გაბედულება და დაარღვია საბჭოთა მყუდროება საქართველოში. მის შემოქმედებაში მნიშვნელოვანია ადგილი უკავია პოლიტიკურ ესეისტიკას. იგი გვაძლევს სრულყოფილი სახელმწიფოს მოდელს და ამბობს, რომ ქვეყნისთვის უმთავრესია გადარჩენა.

ლიტერატურა:

1. ჩხეიძე ო., პოლიტიკური აქცენტები, 2014;
2. ფიფია ნ., ძენი დაბნეულნი, თბ., 2016;
3. ოთარ ჩხეიძე, IV სამეცნიერო კონფერენცია, თბ., 2017;
4. ჩვენი მწერლობა, თბ., 2003, №5;
5. ჯავახიშვილი მ., სასკოლო გამოცემა, თბ., 2005.

უცხო ენა და ლიტერატურა

A CHILD'S WORLD ACCORDING TO RAQUEL JARAMILLO PALACIO'S "WONDER"

Anano Makashvili
Faculty of Humanities,
First Year Bachelor Degree Student
Supervisor: **Maia Bolashvili,** Invited Specialist

Raquel Jaramillo Palacio is an American author and graphic designer. She was born in a family of immigrants from Colombia. She is the author of several novels for teenagers, including the best-selling "Wonder", which was written in 2012. "Wonder" was filmed in 2017 and it gained a lot of popularity. It was nominated 22 times and won 2 awards.

"Doctors have come from distant cities
just to see me
stand over my head
disbelieving what they're seeing

They say I must be one of the wonders
of god's own creation
and as far as they can see they can offer no explanation"
--- Natalie Merchant, "Wonder"

These words refer to August Pullman, A boy who was born with a facial deformity. He did not go to school until now, but now he is getting ready to enter fifth grade. We all know how hard it is for a new kid to enter the world of strangers. Especially, A kid who has such a problem. No one knows what kind of people he will meet there, maybe they will be rude or opposite- kind to him.

Auggie Pullman is a very strong boy. He is much more stronger than seems.Despite all of the problems which he had at Beecher Prep, he managed to et through them and live like other people do, but he managed to do it with the support of other people and with the attitude of himself. Auggie makes friends and inspires those around him to look past his facial differences, see him for who he really is, and treat each other with kindness.

As I mentioned before, the main character had problems at school, For example when he arrived at school for the first time just to meet a few pupils, one of them asked a very rude question:

"What's the deal with your face? I mean, were you in a fire or something?"

That was Julian, Auggie's biggest obstacles at school. He is rude to him and makes other kids to behave like him, too. He is popular and his popularity is important to him, which is part of why he was so mean to Auggie. At the end, he feels badly for how he treated him and apologizes.

What made August to like school? It was Mr. Browne's September precept. What is a precept? It's a rule about really important things. Everyone has their own things which thet think that are special. At first lesson there were lots of precepts like rules, schoolwork, homework, family, parents, pets, our world, who we are. The last one is special for Mr. Browne as he says:

"Who we are," he said, underlining each word as he said it. "Who we are! Us! Right? What kind of people are we? What kind of person are you? Isn't that the most important thing of all? Isn't that the kind of question we should be asking ourselves all the time?" What kind of person am I?

We would agree with Mr. Browne. If we understand who we are today, we will be full-fledged person's in the future.

Let's get back to Auggie. He cope with problems, he cried a lot, he was heart broken, but he never gave up. He became friends with Jack Will, who at first was with him because of teacher's advice and Auggie heard about that later, but then he also understood that Jck felt sorry because of his behavior and Auggie forgave him. This is the beginning of a true new friendship and we are right. Jack was happy as he had August as a friend.

There are so many people who stand by our side like Friends, Teachers, Strangers, Family. Who strengthens us the most? Of course, our family. They never stop being around us, support us, love us. For August Pullman it was his family who helped him to make a new move in his life. His mother, father, sister and his dog. They were close to him, they were by his side everyday . August got the Henry Ward Beecher medal for his quiet strength that has carried up the most hearts. On the way home he noticed that his Mom wasn't walking with the group of grown-ups and he looked behind. She was hanging back a bit, smiling to herself like she was thinking of something sweet. She seemed happy. No one knows what's going in mother's heart who never gave up, who knew that someday her child would be happy by what he is and that day came. August surprised his mother by hugging her as she walked. She answered with the same action.

"Thank you for making me go to school", I said quietly.

"Thank you, Auggie", She answered softly.

"For what?"

"For everything you've given us", She said. " For coming into our lives. For being you."

She bent down and whispered in my ear. "You really are a wonder, Auggie. You are a wonder."

We all have our own difficulties, that makes us feel terrible, but there won'tbe any point to give up. We must fight like August did. What can we learn from this book? Of course, kind. We should understand that appearance is secondly and humanity is the first. That will help us to stay humans for our whole life, to protect others, to support other people who need help. There is nothing better than know that someone became happier because of you.

Do you remember Mr. Browne's precepts? Now, let me tell you one more that is inspirational and which will make us think about many things

"When given the choice between being right or being kind, choose kind."

APPLIED LITERATURE:

R.J. Palacio "Wonder", New York, Publishing House, 2007.

ერთი ლექსის ორი თარგმანი
(ედგარ ალან პოს ,,ყორანის“ მაგალითზე)

ნათელა პავლიაშვილი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მაია ბოლაშვილი,** მოწვეული სპეციალისტი

გამოჩენილი მწერლის, ედგარ ალან პოს გახმაურებული ლექსი ,,ყორანი“ (The Raven) ერთ-ერთი იმ შედევრთაგანია, რომელიც დღესაც ამშვენებს მსოფლიო ლიტერატურის პოეზიას. ეს ლექსი პირველად 1845 წლის 29 იანვარს გამოქვეყნდა გაზეთ ,,ივნინგ მირარ“-ში და მაშინვე დიდი აღტაცება და გამოხმაურება მოიპოვა, თუმცა ავტორს მისი დაბეჭდვისთვის ძალზე მცირე ჰონორარი - ხუთი დოლარი გადაუხადეს.

,,ყორნის“ პოპულარობის განსაზღვრა მისი სხვადასხვა ენაზე შესრულებულ თარგმანთა რაოდენობითაა შესაძლებელი. ქართულ ენაზე აღნიშნული ლექსის 131 თარგმანი არსებობს, რომელთაგან ჩვენ მიერ წარმოდგენილია გენიალური ქართველი მწერლისა და მოაზროვნის, ვაჟა-ფშაველასა და ჩვენი თანაქალაქელი პოეტის, ბატონ ჯემალ ინჯიას თარგმანები.

ლექსში საუბარია ყორანზე, რომელიც სიყვარულისგან თავგზააბნეულ კაცს ესტუმრა. პომ გადაწყვიტა შეექმნა ისეთი ლექსი, რომელიც დააკმაყოფილებდა ორ აუდიტორიას: ხალხისა და კრიტიკოსთა გემოვნებას.

ორივე ქართველ მთარგმნელს ნაწარმოების გადმოქართულების საკუთარი სტილი და მანერა გააჩნია, რაც მკითხველთა ყურადღებას იზიდავს.

ლექსის პირველ ტაეპში ისინი სიტყვასიტყვით გადმოგვცემენ დედანში მოცემულ სიტუაციას, ანუ შუაღამის საშინელ სიბნელეს.

,,once upon a midnight dreary, while I
Pondered, week and weary.” [Edgar Poe]
,,საშინლად ბნელა. მარტოდმარტო ვარ...
არ მეკარება თვალზედა ლული.“ [ვაჟა-ფშაველა]
,,ფიქრებისგან დამძიმებულს, შუაღამით ჩაძინებულს
(რომ ვეძებდი ერთ უძველეს ფოლიანტზე ახალ საზრდის)“ [ჯემალ ინჯია]

პოემის პირველ ტაეპს ისინი ზუსტად გვითარგმნიან, დედანში მოცემულ სიტუაციას - შუაღამის საშინელ სიბნელეს. შემდეგ კი თარგმნის ინდივიდუალურობა იჩენს თავს. ვაჟასგან განსხვავებით, რომელმაც შუაღამისას მთავარი პერსონაჟი ფხიზელი და შეშინებული დაგვიხატა ჯ. ინჯიამ იგი ჩაძინებული წარმოგვიდგინა. აგრეთვე ბატონ ინჯიას მიერ თარგმნილი მეორე სტროფი შედარებით ახლოსაა ალან პოს სიტყვებთან:

,,Ah, distinctly I remember it was in the bleak December,
And each separate dying ember wrought its ghost upon the floor.“
„ვგონებ, იდგა ადრიანი დეკემბერი, ავდრიანი,
ჩუმი, უხმო, ნატვრიანი..“ [ჯ.ი.]

პოემაში მალევე ჩნდება სახელი - ლინორი. ჯემალ ინჯია მას გვიხატავს მთავარი გმირის ამხანაგად, შემდეგ კი - სატრფოდ. ვაჟამ კი მხოლოდ და მხოლოდ სატრფოდ მოიხსენია იგი. ორივე მთარგმნელმა გმირის ემოციები იდენტურად დაგვიხატეს:

,,From my books surcease of sorrow- sorrow for the lost Lenore -
For the rare and radiant maiden whom the angels name Lenore - .“
,,არავინ არის წყვდიადის გარდა...
ვთქვი ლინორი და ვარ მარტო
ლინორი თქვა ხმის ექომაც მას მახსენებს და ვარ მარტო“ [ჯემალ ინჯია]
,,მაგრამ არც სითბო და არც წიგნები
ვერა სწამლობდნენ გულის ნაღველსა
ლენორავ! სად ხარ ? აღარ მომხედავ?
კვლავ ტირის გული ახლდება წყლული.'' [ვაჟა-ფშაველა]

შემდგომი ტაეპებიც მსგავსადაა ნათარგმნი, გმირს თავისივე ფიქრები აფხიზლებს:

,,And the silken sad uncertain rustling of each purple curtain

Thrilled me- filled me with fantastic terrors never felt before''

,,ჩემმა ბოდვამ გამომაფხიზლა

და გამამხნევა, შემმატა ძალი,

ათთრთოლებულის წარმოვთქვი ხმითა

ვინა ხარ მოხვედი სითა.'' [ვაჯა-ფშაველა]

,,უცებ ისევ კაკუნის ხმა შემომესმა და გულისთქმა

მკარნახობს, რომ გაგულისდა ქარი...'' [ჯემალ ინჯია]

კარის გაღების შემდეგ მთარგმნელები სურათს შემდეგნაირად აგვიწერენ: ჯემალ ინჯიას თქმით, ქარი დანავარდობს და არავინ არის წყვდიადის გარდა, ვაჟა კი სიტუაციის აღსაწერად იყენებს მხატვრულ ხერხს კერძოდ, გაპიროვნებას:

,,არეს ეფარა ზეწარი შავი

შემომღმუოდა თავ პირში ქარი'' [ვაჟა-ფშაველა]

,,I opened wide the door;-

Darkness there, and nothing more.''

მაგრამ მოულოდნელად წორანი ფრინდება. მას ვაჟა გვიხასიათებს შემდეგნაირად:

,,ის იყო დიდი შავი ყორანი...

მრისხანე არის ვით ჯოჯოხეთი.''

,,In there stepped a stately raven of the saintly days of yore''

თავდაპირველად ვაჟა მას იხსენებს როგორც შავ დიდ ფრინველს, ჯემალ ინჯია კი პირდაპირ თარგმნის მას - ყორანი. შემოფრენილი ყორანი ჯდება მშვიდ ბიუსტზე, როგორც ალან პო გვეუბნება, მაგრამ მთარგმნელებს სხვადასხა ვერსიებით აქვთ თარგმნილი მშვიდი ბიუსტი. ვაჯასთვის არის ჰალადის ძეგლი, ჯემალ ინჯია კი მას ათენას ქანდაკებას უწოდებს. ამისდა მიხედვით, აქ ხაზი ესმევა მთარგმნელების ფანტაზიას და ინდივიდუალურობას. ყორანმა შემოფრენისას პოემის გმირი უარყოფითი ენერგიით აავსო. განსაკუთრებით კი მისმა პასუხმა, რომელსაც შეუცვლელად იმეორებს. ყვავის პასუხი თარგმნა ჯემალ ინჯიამ შემდეგი სიტყვით- აღარასდროს. ვაჟამ კი სემდეგი სიტყვებით გადმოგვცა იგი: ,,აღარ აღსდგება არასდროს მკვდარი !''.

გარდა ამისა, ყორნის შემოფრენის შემდგომ, პერსონაჟის აფექტური მდგომარეობაც განსხვავებულად აქვთ ნათარგმნი. ვაჯას თარგმანში იგი სწუხს საკუთარ მარტოობაზე და უთვისტომობაზე. ბატონი ინჯია კი სასოწარკვეთილ გმირს გვიხატავს და მის სასოწარკვეთას კონკრეტულ პიროვნებას, ლინორს უკავშირებს:

,,სვი ეგ შხამი, რომ ლინორის დავიწყებამ აგამაღლოს.

ქუხს ყორანი: აღარასდროს'' [ჯემალ ინჯია]

,,Quaff, oh quaff this kind nepenthe and forget this lost Lenore!'

Quoth the Raven, 'Nevermore.'

,,ავსული'' ყორნის არსებობა მისთვის აუტანელი ხდება, კაცს უმძაფრებს სასოწარკვეთას და ჰალუცინაციების მორევშიც კი უშვებს. (ეს კი უკვე პოემის ფინალია) ფრიად საინტერესოა ზემოხსენებული ქართველი მოღვაწეების მიწერ ნათარგმნი ფინალიც. ჯემალ ინჯიას თარგმანის მიხედვით, ყორანი ათენას ტანს შეეზარდება:

,,ათენას ტანს შეეზარდა, თითქოს ხელში აყვანას სთხოვს

აქ წყვდიადის მოსატანად

ჩამოსახლდა, ო, სატანა.

ჭალის არ შვენის მოსართავად და ჩემს ბინას რახან არ სთმობს,

სულზე მაწევს მისი ჩრდილი და ჩემს სულსაც რახან არ სთმობს

მომშორდება აღარასდროს.'' [ჯემალ ინჯია]

ამდაგვარად ამთავრებს პოემის თარგმნას ჯემალ ინჯია. ვაჟამ კი ძალზე განავრცო და მთელი რიგი ემოციურობით დატვირთა იგი:

„მისი აჩრდილი გადმოწოლილი

შავბნელად ჰმოსავს, სახლშია რაცა.

დამაწვა ტაბზე, გრძნობა - გონებას

ჩემსას მძლავრადა ბრჯღალები სტაცა.

მთელს შენობაში გამეფებული

არის მხოლოდა ბნელი, წყვდიადი,

მის აჩრდილის ქვეშ ისმის მხოლოდა

გამუდმებული კვნესა დიადი.

გულზე დამედვა სამარის ლოდი,
სულში არ მოჩანს სინათლის ცვარი,
არც ვეღირსები მას არასოდეს, -
აღარ აღსდგება არასდროს მკვდარი!“ [ვაჟა-ფშაველა].
ფინალი ედგარ პოს მიერ:
„And the Raven, never flitting, still is sitting, still is sitting
On the pallid bust of Pallas just above my chamber door;
And his eyes have all the seeming of a demon's that is dreaming,
And the lamplight o'er him streaming throws his shadow on the floor;
And my soul from out that shadow that lies floating on the floor
Shall be lifted- nevermore!“

ლიტერატურა:

1. Edgar Allan Poe, ‘’Prose and Poetry’’, Raduga Publishers, Moscow, 1983.
2. ლიტერატურული ჟურნალი ‘’საუნჯე’’, #3, 1979.
3. „ჩვენი საუნჯე“, ტ. 12, ნაკადული, თბილისი, 1961.

პირობითი წინადადება ინგლისურსა და ქართულ ენებში

მარიამ ხადური, თამარ კუმლაძე
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **მაია აკოლაშვილი,** მოწვეული სპეციალისტი, დოქტორი

პირობით წინადადებას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია როგორც ინგლისური, ასევე ქართული ენის გრამატიკაში. მას ხშირი გამოყენება აქვს როგორც წერითი, ასევე ზეპირი მეტყველებისას. პირობითი წინადადება, ანუ Conditional Sentence, წარმოადგენს რთულ ქვეწყობილ წინადადებას, რომელშიც დამოკიდებული წინადადება პირობითია. პირობითი დამოკიდებული წინადადება გადმოგვცემს პირობას, რომელზედაც არის დამოკიდებული იმის შესრულება, რაც მთავარ წინადადებაშია ნათქვამი.

როგორც აღვნიშნეთ, პირობითი წინადადება ორი, მთავარი და დამოკიდებული, წინადადებისაგან შედგება. ურთიერთობა მათ შორის, ჩვეულებრივ, ასეთია: დამოკიდებულ წინადადებაში პირობაა დასახელებული, მთავარში კი – შედეგი. მაშასადამე ამ ტიპის რთული ქვეწყობილი წინადადება პირობით-შედეგობითია. პირობით დამოკიდებულ წინადადებას შეიძლება დავუსვათ შეკითხვა: რა შემთხვევაში? (in what case?) მაგალითად:

If the rain stops, we will be able to go for a walk.

თუ წვიმა გადაიღებს, სასეირნოდ წასვლას შევძლებთ.

ინგლისურ ენაში პირობით დამოკიდებულ წინადადებას მთავართან ძირითადად აერთებს If (თუ) კავშირი. ასევე შეიძლება შეგვხვდეს სხვა კავშირებიც:

as long as, assuming (that), even if, if only, on (the) condition (that), pravided/praviding (that), so long as, unless, suppose (that), supposing (that). ქართულ ენაში კი გვხვდება კავშირები: თუ, რომ, თუკი, უკეთუ, თორემ, როდესაც (როცა)... ამათგან უმეტესად პირველი ორია გამოყენებული, ხოლო სხვები შედარებით იშვიათად იხმარება. მთავარში კორელატად შეიძლება შეგვხვდეს then (მაშინ), ხოლო თუ იგი არ გვხვდება, მაშინ აუცილებლად იგულისხმება.

პირობითი წინადადების ტიპები

ინგლისურ ენაში პირობითი წინადადებები სამ ძირითად ტიპად იყოფა, რომლებსაც I, II და III ტიპებად მოიხსენიებენ. თითოეულ მათგანს საკუთარი ვარიანტები გააჩნია.

მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებებში ერთი და იგივე, ან სხვადასხვა დროებია გამოყენებული იმისდა მიხედვით, თუ რომელი ტიპის პირობით წინადადებასთან გვაქვს საქმე.

მსგავსად ინგლისურისა, ქართულ ენაშიც მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებაში ერთი და იგივე ან სხვადასხვა მწკრივის ფორმებია ნახმარი. რამდენადაც ინგლისური ენის პირობით წინადადებაში გამოყენებული დროები ქართულ ენაში სხვადასხვა მწკრივის ფორმითაა გამოხატული, საინტერესოა, ყურადღება გავამახვილოთ იმაზე, თუ ინგლისური ენის რომელი დრო ქართული ენის რომელი მწკრივის ფორმით გადმოიცემა. ამისთვის დეტალურად განვიხილოთ თითოეული ტიპის პირობითი წინადადების მაგალითი და შევადაროთ მის ქართულ თარგმანთან.

განვიხილოთ სამივე ტიპის პირობითი წინადადების მარტივი მაგალითები

I - Future Conditional: If I have the money I will buy a car.

მომავალი დროის პირობითი წინადადება: ფული თუ მექნება, მანქანას ვიყიდიდი. (წარმოადგენს ნათქვამს იმის თაობაზე, რაც სავსებით შესაძლებელია)

II – Present Coditional: If I had the money, I would buy a car

აწმყო დროის პირობითი წინადადება: ფული რომ მქონდეს, მანქანას ვიყიდიდი. (წარმოადგენს ნათქვამს წარმოსახვით სიტუაციაზე ან შედეგზე ახლა)

III - Past Conditional: If I had had the money, I would have bought a car.

წარსული დროის პირობითი წინადადება: ფული რომ მქონოდა, მანქანას ვიყიდიდი (წარმოადგენს ნათქვამს წარმოსახვით სიტუაციაზე ან შედეგზე მაშინ).

გრამატიკის ზოგიერთი მკვლევარი I ტიპის წინადადებას განიხილავს როგორც "რეალურ", ანუ "შესაძლო" პირობით წინადადებას II და III ტიპების საპირისპიროდ, რომელთაც "არარეალურ", "ჰიპოთეზურ" აწმყოდ ან წარსულად მოიხსენიებს.

დასახელებული ტიპების გარდა ცალკე განიხილავენ კიდევ ერთ ნამდვილ, რეალურ პირობით წინადადებას, რომელიც ჭეშმარიტ ამბავს ან მოვლენას გადმოსცემს. მაგალითად:

If the weather is fine, we go for a walk.

თუ ამინდი მშვენიერია, სასეირნოდ დავდივართ.

რეალური პირობითი წინადადება

ამ ტიპის პირობითი წინადადება საკმაოდ ხშირად გვხვდება ყოველდღიური საუბრისას. განასხვავებენ მის ოთხ სახეობას:

პირველ შემთხვევაში იგი გამოხატავს მოვლენას, რომელიც ჭეშმარიტი და უცვლელია. მაგალითად:

If oil is mixed with water it floats.

თუ ზეთი წყალში ერევა, ის ტივტივებს.

მეორე შემთხვევაში პირობითი წინადადება ასევე გამოხატავს მოვლენას, რომელიც დროში არ არის შეზღუდული, თუმცა ეს მოვლენა ემყარება ჩვევას, ნაცვლად ფიზიკური კანონებისა. მაგალითად:

If I wash the dishes Sally dries them.

თუ ჭურჭელს ვრეცხავ, სალი ამშრალებს.

მესამე შემთხვევაში პირობითი წინადადება გადმოსცემს ნაგულისხმევ დასკვნას დროში შეზღუდული ფაქტის ან მოვლენის შესახებ:

If it's Tuesday, it's Sam's birthday.

თუ სამშაბათია, სემის დაბადების დღეა.

ბოლო, მეოთხე შემთხვევაში მთავარ წინადადებაში გაკეთებულია ზუსტი დასკვნა დამოკიდებულით გადმოცემული ფაქტის ან მოვლენის საფუძველზე. მათში შეიძლება შეგვხვდეს სხვადასხვა დრო, ასპექტი ან მოდალური ზმნა. მაგალითად:

If he is like his mother he must be a good-looking chap. (Oscar Wilde)

თუ თავის დედას ჰგავს, შესანიშნავი ყმაწვილი უნდა იყოს.

ახლა განვიხილოთ პირობითი წინადადების სამი ძირითადი ტიპის მაგალითები და შევადაროთ ისინი მათ ქართულ თარგმანთან.

I ტიპის პირობითი წინადადება

ამ ტიპის პირობითი წინადადების ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმის მაგალითი შემდეგია:

If it rains we'll stay at home.

თუ იწვიმებს, შინ დავრჩებით.

ამ წინადადების ინგლისურ ვარიანტში დამოკიდებული წინადადება გადმოცემულია აწმყო განუსაზღვრელი დროით, ხოლო მთავარი მყოფადი განუსაზღვრელით, თუმცა აწმყო განუსაზღვრელი დრო ახლანდელ მოქმედებას კი არ გადმოგვცემს, არამედ ისეთს, რომელიც მომავალშია სავარაუდო მთავარში დასახელებული მოქმედების შესასრულებლად, როგორც პირობა. I ტიპის პირობით წინადადებაში დამოკიდებული წინადადება უმთავრესად აწმყო დროებითაა გადმოცემული; იშვიათად

შეიძლება შეგვხვდეს should, can, must და need მოდალური ზმნები. გარდა მყოფადი განუსაზღვრელი დროისა, მთავარ წინადადებაში შეიძლება შეგვხვდეს მომავლის გამომხატველი სხვა დროებიც. მაგალითად:

If he gets the job, he'll be going abroad.

(აწმყო განუსაზღველი დრო – მყოფადი განგრძობითი დრო)

თუ ის სამუშაოს იშოვის, საზღვარგარეთ წავა.

(მყოფადის მწკრივი – მყოფადის მწკრივი)

If I don't run, the train will have left.

(აწმყო განუსაზღვრელი დრო – მყოფადი სრული დრო)

თუ არ გავიქეცი, მატარებელი გავა.

(წყვეტილის მწკრივი – აწმყოს მწკრივი)

ორივე შემთხვევაში დამოკიდებული წინადადებები, რომლებიც ინგლისურ ენაში სხვადასხვა აწმყო დროით არიან წარმოდგენილნი, ქართულ ენაში მყოფადის მწკრივით იცვლებიან. I ტიპის პირობით წინადადებაში შედეგი ყოველთვის მოჰყვება პირობას, ანუ პირობა, რომელიც უნდა დაკმაყოფილდეს, რეალურია, ამიტომაც, როგორც ეს უკვე აღვნიშნეთ, მსგავს წინადადებებს უწოდებენ რეალურ პირობით წინადადებებს.

II ტიპის პირობითი წინადადება

ამ ტიპის პირობითი წინადადების ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმის მაგალითი შემდეგია:

If it rained tomorrow, we'd stay at home

თუ ხვალ იწვიმებს, შინ დავრჩებოდით.

ამ წინადადების ინგლისურ ვარიანტში დამოკიდებული წინადადება გადმოცემულია ნამყო განუსაზღვრელი დროით, ხოლო მთავარს გამოხატავს მყოფადი ნამყოში. ამ უკანასკნელის საწარმოებლად გამოიყენება would დამხმარე ზმნა, თუმცა I პირის მხოლობითსა და მრავლობით რიცხვში should-ის ხმარებაც შეიძლება.

ამ ტიპის პირობით წინადადებაში შედეგი ვერ მოჰყვება პირობას, რადგან პირობა აწმყოში არ არის ფაქტი, მაგრამ იგი მომავალში შეიძლება ფაქტი გახდეს. ასეთ წინადადებებს უწოდებენ "არარეალურს აწმყოში". დამოკიდებულ წინადადებაში საუბარია წარმოსახვით სიტუაციაზე. მაგალითად:

If you went by train, you would get there earlier

(ნამყო განუსაზღვრელი დრო – მყოფადი ნამყოში განუსაზღვრელი დრო)

მატარებლით რომ წახვიდოდე, იქ უფრო ადრე მიხვიდოდი.

(მყოფადის კავშირებითი – I ხოლმებითის მწკრივი)

If you didn't stay up so late every evening, you wouldn't feel so sleepy in the morning (ნამყო განუსაზღვრელი დრო - მყოფადი ნამყოში განუსაზღვრელი დრო)

ასე გვიანობამდე რომ არ რჩებოდე ფეხზე ყოველ საღამოს, ასე არ დაგეძინებოდა ყოველ დილას.

(აწმყოს კავშირებითის მწკრივი - I ხოლმებითის მწკრივი)

III ტიპის პირობითი წინადადება

ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმის მაგალითი შემდეგია:

If it had rained, we would have stayed at home.

III ტიპის წინადადება გადმოგვცემს სავსებით წარმოსახვის სიტუაციას დამოკიდებული წინადადებით, ხოლო მთავარით – მის შესაძლო შედეგს. ამ მხრივ იგი II ტიპის პირობით წინადადებას ჰგავს, მაგრამ III ტიპის წინადადებაში საუბარია შედეგზე, რაც არ მოხდა ან ვერ მოხდა, იმიტომ, რომ არც იმ ფაქტს ჰქონია ადგილი, რომელზეც დამოკიდებულ წინადადებაშია საუბარი, სამუდამოდ არარეალურია.

If I had worked harder at school, I'd have got a better job.

(ნამყო სრული დრო-მყოფადი ნამყოში სრული დრო).

სკოლაში რომ უფრო მეტი მემუშავა, უკეთესი სამსახური მექნებოდა (გამოხატავს სინანულს)

(II თურმეობითი მწკრივი - I ხოლმეობითის მწკრივი)

If I had lived in Alestone Age, I would have been a hunter

(ნამყო სრული დრო-მყოფადი ნამყოში სრული დრო).

ქვის ხანაში რომ მეცხოვრა, მონადირე ვიქნებოდი.

(საუბარია სავსებით შეუძლებელ სიტუაციაზე)

(II თურმეობითი მწკრივი – I ხოლმეობითის მწკრივი)

ასეთ წინადადები მერყეობენ შესაძლებელი სიტუაციიდან, სავსებით შეუძლებლამდე.

If – ის გარდა სხვა კავშირების გამოყენება პირობით წინადადებებში

I ტიპის პირობა წინადადება შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც კავშირი If... not, ასევე unless და არ გამოიწვიოს ცვლილება მნიშვნელობაში:

If you don't change your mind, I won't be able to help you.

Unless you change your mind, I won't be able to help you.

კავშირი unless უფრო ხშირად გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ საქმე ეხება ულტიმატუმს:

Unless the management improve their offer, there will be a strike.

(აწმყო განუსაზღვრელი დრო-მყოფადი განუსაზღვრელი დრო)

თუ ხელმძღვანელობა არ გააუმჯობესებს თავიანთ შეთავაზებას, გაფიცვა იქნება.

(მყოფადის მწკრივი-მყოფადის მწკრივი)

მაგრამ კავშირი unless ყოველთვის ვერ ანაცვლებს კავშირს if not, განსაკუთრებით I ტიპის წინადადებებში მაგალითად:

I'll be surprised if he doesn't win

(მყოფადი განუსაზღვრელი დრო - აწმყო განუსაზღვრელი დრო)

გამიკვირდება ის თუ ვერ გაიმარჯვებს

Unless-ის მნიშვნელობა შემდეგია: გარდა იმ პირობებისა, როცა; ასე რომ, მისი გამოყენება შეუძლებელია არარეალურ სიტუაციებში.

She'd be better company if she didn't complain so much.

(მყოფადი განუსაზღვრელი დრო-ნამყო განუსაზღვრელი დრო)

საუკეთესო იქნება კომპანიაში, ამდენს რომ არ წუწუნებდნენ

(მყოფადის მწკრივი - აწმყოს კავშირებითი მწკრივი)

ამდენად, ნაშრომში განვიხილეთ და ერთმანეთს შევადარეთ ინგლისური და ქართული პირობითი წინადადებები და ამ განხილვის შედეგად გამოვავლინეთ ის საერთო და განმასხვავებელი ნიშნები, რაც მათ შორის არსებობს. თემაში განვიხილეთ თითოეული მათგანი და შევადარეთ ისინი მათ ქართულ ვარიანტებთან. ქართული ენა არ ახდენს პირობითი წინადადებების ასეთ კლასიფიკაციას ტიპების მიხედვით. ამდენად, პირობითი წინადადებების განხილვა და მათი ერთმანეთთან შედარება საშუალებას აძლევს ენის ყველა შემსწავლელს უკეთ გაერკვიოს ორივე ენის ამ ტიპის წინადადებების რაობაში და მათ თავისებურებებში, რაც მას დაეხმარება ენის უფრო მყარი და საფუძვლიანი ცოდნის მიღებაში.

ლიტერატურა:

1. გაჩეჩილაძე ო., ქართული ენა, თბილისი, 1990.
2. დიკენსი ჩ., დავით კოპერფილდი, თარგმანი ქეთევან ბაქრაძის, თბილისი, 1948.
3. ვაილდი ო., დორიან გრეის პორტრეტი, თარგმანი თამარ მაღრაძის, თბილისი, 1982. 7.
4. Alexander G., London English Grammar, London and New York, 1998.
5. მიქიაშვილი ო., ქართული ენა, თბილისი, 2003.

ისტორია

ცხინვალის მიმდებარე სოფლები გორის მაზრის 1804 წლის კამერალური აღწერისა და თანამედროვე მდგომარეობის მიხედვით

მარიამ ბერუაშვილი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის

სწავლების მესამე წლის სტუდენტი

ხელმძღვანელი: **იოსებ ალიმბარაშვილი**, ასოცირებული პროფესორი

რუსული ხელისუფლების დამკვიდრებამდე საქართველოში ჩატარებული აღწერების მთავარ მიზანს, ძირითადად, საბრძოლო ძალის რაოდენობის განსაზღვრა წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე, აღწერებში მხოლოდ მამაკაცები ხვდებოდნენ. მას შემდეგ, რაც 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით

რუსეთმა გააუქმა ქართლ-კახეთის სახელმწიფოებრიობა, ამან მნიშვნელოვანი გარდაქმნები გამოიწვია როგორც სახელმწიფო, ისე ადმინისტრაციული მოწყობის კუთხით. სწორედ ეს გახდა საფუძველი ახალი ხელისუფლების მიერ პირველი კამერალური აღწერის ჩატარებისა 1804 წელს. აღწერის მიზანს მოსახლეობის ზუსტი რაოდენობის გარკვევა წარმოადგენდა, თუმცა, რამდენად ზუსტი იყო ჩატარებული სამუშაოების შედეგად დადებული ცნობები, ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

1956 წლის 10 აგვისტოს პროფესორმა სარგის კაკაბაძემ გორის ისტორიულ- ეთნოგრაფიულ მუზეუმს გადასცა გორის მაზრის სახაზინო და საბატონო სოფლების 1804 წლის კამერალური აღწერა.[1]

აღწერა დაიწყო გორის მაზრის მთავარმართებელ პავლე ციციანოვის დავალებით 1803 წლის 2 აპრილს. მას ხელმძღვანელობდა მაზრის კაპიტან-ისპრავნიკი იანცოვი. აღწერა დასრულდა 1804 წლის 4 ივლისს. როგორც ირკვევა, იანცოვს მაზრის სრულყოფილი აღწერა ვერ მოუხერხებია იმის გამო, რომ ოსებით დასახლებულ სოფლებში მოსახლეობას მოხეელები არ შეუშვია, და როგორც ციციანოვისადმი წარდგენილ რაპორტში მიუთითებს, თვით იანცოვიც კი დაუჭრიათ.[2]

აღწერა მოიცავს იმდროინდელი გორის მაზრის 189 სოფლის შესახებ მასალებს და აღწერილია მდინარე მტკვრის, ფრონის, ლიახვის, თეძმის, ლეხურის, ძამას, ძირულას, ჩხირიმელასა და სხვა მონაპირე სოფლები.

ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენს აღწერაში მოხსენიებული რამდენიმე სოფელი, რომელიც გეოგრაფიულად მოიცავს დიდი და პატარა ლიახვის ხეობას; ესენია: ბროწლეთი, ტირძნისი, მეღვრეკისი, დიცი, ქორდი, არბო, არგვიცი, ფრისი, ცხინვალი.

გერმანელი მეცნიერისა და მოგზაურის იოჰან გიულდენშტედტის ცნობით, XVIII საუკუნის 70-იანი წლებისთვის ფრისი და ტირძნისი დასახლებულია ქართველებით და ნაწილობრივ სომხებით, რაც შეეხება მეღვრეკისს, არბოს, ბროწლეთს, დიცს, აქ მოსახლეობა მთლიანად ქართველია. სოფელ არგვიცთან დაკავშირებით კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი გიულდენშტედტთან მოიხსენიება არკვისის სახელით.[3]

1804 წლის აღწერა მოიცავდა მხოლოდ გადამხდელ მოსახლეობას, მამაკაცებისაგან განსხვავებით, სიებში მდედრობითი სქესის მხოლოდ რაოდენობას აღნიშნავდნენ სახელებისა და გვარების გარეშე. აღწერა არ ეხებოდა პრივილეგირებულ წოდებებს და უცხო ქვეყნის ქვეშევრდომებს.

აღწერა მთლიანობაში დასრულდა 1805 წლისათვის და შეკრებილი სტატისტიკური მასალის საფუძველზე 1806 წელს სახაზინო ექსპედიციისათვის გენერალური უწყება შედგა გადამხდელი მოსახლეობის რიცხოვნობის შესახებ. ამ მასალების საფუძველზე დგინდება, რომ აღნიშნული დროისთვის გორის მაზრაში ცხოვრობდა 33,4 ათასი გადამხდელი. [4]

აღწერა სულ მოიცავს 7 გრაფას. პირველ გრაფაში, მოცემულია სოფლის დასახელება საგუბერნიო ქალაქიდან (თბილისიდან) დაშორება, მებატონეთა ვინაობა და მათ დაქვემდებარებაში მყოფი გლეხების რაოდენობა ეთნიკური მაჩვენებლის მიხედვით. მეორე გრაფა ასახავს კომლთა რაოდენობას, ხოლო მესამე და მეოთხე სულთა რაოდენობას სქესის მიხედვით. მეხუთე გრაფაში მიწის რაოდენობა, ხარისხი (სახნავი, სათესი, ვენახი) და საკუთრების ფორმაა (სახაზინო, საბატონო, საეკლესიო) დაკონკრეტებული. მეექვსეში - მოყვანილი მოსავლის რაოდენობა, სახე, სოფლის ტერიტორიაზე არსებული წისქვილებისა და ტყეების სიმძლავრეები და ხარისხობრივი მაჩვენებლებია მოცემული. ბოლო გრაფა სოფლის მოსახლეობის ეკონომიკურ მდგომარეობას, საქმიანობას და გადასახადებს აკონკრეტებს. აღწერაში გადასახადები ნაჩვენებია დღიური ნორმით. რაც შეეხება წონისა და მოცულობის ერთეულებს, გამოყენებულია კოდი და კოკა. გვხვდება სხვა ზომა-წონის ერთეულებიც, მაგალითად: ჩარექი, ფუნტი და სხვა.

გადავიდეთ უშუალოდ ჩვენთვის საინტერესო სოფლების განხილვაზე. აღწერაში რიგით მეორე სოფლად მოხსენიებულია ბროწლეთი. სოფელში ცხოვრობს 15 კომლი, აქედან 47-ს შეადგენენ მამაკაცები, ხოლო 25-ს ქალები. ჯამში, ბროწლეთში ცხოვრობს 72 ადამიანი. სოფელში გლეხი ჰყავთ თავად თეიმურაზ და ნონია ფავლენიშვილებს. ასევე გლეხები ჰყავს სახაზინო აზნაურს ბეჟან მირაზას - აქ შეიძლება იგულისხმებოდეს „მირზოევი“ ან „მირაზანაშვილი“. ბროწლეთის მოსახლეობის საკუთრებაშია 140 დღიური მიწა, საიდანაც იღებენ 206 კოდს ხორბლისა და ქერის სახით. აქვთ ერთი

[1] გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, (გსიემ), 748.
[2] გსიემ, 7486, გვ. 3.
[3] გიულდენშტედის მოგზაურობა საქართველოში ტ.1. გერმანული ტექსტი ქართულიდან თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა. თბ., 1962, გვ. 277.
[4] საქართველოს ეროვნული საისტორიო არქივი, ფ. 254, ს. 58, გვ. 1-78.

ვენახი 20 კოკა ღვინის შემოსავლით. მისდევენ მიწათმოქმედებას, გლეხები მუშაობენ ანაზღაურების სანაცვლოდაც. აღწერაში დაფიქსირებულია, რომ საგუბერნიო ქალაქიდან დაშორება 74 ვერსს შეადგენს.[1]

აღწერაში ვხვდებით სოფელს, რომელიც ასევე ბროწლეთის სახელითაა მოხსენიებული. საგუბერნიო ქალაქიდან ის 80 ვერსითაა დაშორებული. აღნიშნულია, რომ სოფელს არ აქვს ტყე, რაც შეეხება ბაღ-ვენახს, მისი რაოდენობა შეადგენს 7-ს. ვენახიდან იღებენ 37 კოკა ღვინოს. სხვა შემოსავალი არ გააჩნიათ. სახნავი მიწის რაოდენობა შეადგენს 120 დღიურს. მოსახლეობა მისდევს მევენახეობას, მეცხოველეობას, ვაჭრობენ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვით. სოფელში ცხოვრობს 11 კომლი, აქედან 33 კაცია, 29 ქალი, ჯამში მათი რაოდენობა შეადგენს 62-ს. ბროწლეთში გლეხები ჰყავთ თავად თეიმურაზ ფავლენიშვილს, ევგენი აბაშიძეს, იასე მაჩაბელს, მიხეილ ერისთავს. ასევე გლეხები ჰყავთ სახაზინო აზნაურებსაც გოგია მერიაშვილს და ბეჟან მერიაშვილს. [2]

საინტერესოა ის, თუ რითი შეიძლება აიხსნას აღწერაში მოხსენიებული ორი სოფლის ერთი სახელწოდება. თუ ვივარაუდებთ, რომ ადგილი აქვს რეალურად ერთი სოფლის ორჯერ აღწერას, მაშინ რატომაა დაფიქსირებული მებატონეთა განსხვავებული სახელები ან გლეხთა ეთნიკურობა. ბროწლეთის პირველი აღწერის დროს აღნიშნულია, რომ გლეხები ეთნიკურად ქართველები არიან, ხოლო მეორეგან მითითებულნი არიან ოსები, სომხები. მოცემულ რიცხვებში შესაძლებელია შეცდომა ყოფილიყო, რაც 1804 წლის აღწერაში იშვიათი შემთხვევა არაა, თუმცა, ის ფაქტი ნაკლებად სავარაუდოა უბრალო ხარვეზი იყოს.

გასათვალისწინებელია ერთი გარემოება, როგორ შეიძლებოდა ორ ერთმანეთთან ტერიტორიულად საკმაოდ ახლოს მდებარე სოფელს ერთი სახელწოდება ჰქონოდა. იმ შემთხვევაში, თუ აღწერას დავუჯერებთ, მაშინ გამოდის, რომ აღწერაში მოხსენიებული პირველი ბროწლეთის არსებობა საეჭვოა და მდებარეობდა დიცის სამხრეთით ან სამხრეთ-დასავლეთით, ხოლო მეორე ბროწლეთი მდებარეობდა ტირძნისთან, შედიოდა და შედის ტირძნისის თემის საკრებულოში. აღწერაში მოხსენიებულია სოფელი დიცი. საგუბერნიო ქალაქიდან დაშორება 78 ვერსს შეადგენს. სოფელში ცხოვრობს 33 კომლი, აქედან 144 კაცია, 108 ქალი, სულ ცხოვრობს 252 ადამიანი. დიცში გლეხები ჰყავთ თავად ერისთავებს, მაჩაბლებს, ასევე არიან სხვადასხვა ადგილიდან ჩამოხიზნული ადამიანები. საკუთარი და საბატონო სახნავი მიწის რაოდენობა შეადგენს 50 დღიურს. რაც შეეხება ვენახიდან მიღებულ შემოსავალს, იგი შეადგენს 200 კოკა ღვინოს. ამ შემთხვევაშიც მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა მიწათმოქმედებაა.[3]

რაც შეეხება სოფელ ქორდს, ის საგუბერნიო ქალაქიდან დაშორებულია 83 ვერსით. ქორდში ცხოვრობს 31 კომლი, 133 კაცი და 141 ქალი, სულ 314 ადამიანი. სოფელში გლეხები ჰყავთ აზნაურ გედევანიშვილებს ბეციას, იოსებს, ზაზას, ასევე ცხოვრობენ ხიზნები. სოფელში ცხოვრობენ, როგორც ქართველები, ისე ოსები. დასამუშავებელი მიწის ფართობი შეადგენს 420 დღიურს, საიდანაც მოჰყავთ 70 კოდი პური და ქერი. მოსახლეობის საკუთრებაში არსებული ვენახებიდან იღებენ 290 კოკა ღვინოს. მთავარი საქმიანობა მევენახეობა და მიწათმოქმედებაა. [4]

აღწერაში მოხსენიებულია სოფელი არბოც, რომელიც საგუბერნიო ქალაქიდან 83 ვერსითაა დაშორებული. სოფელში ცხოვრობს 8 კომლი, 40 კაცი, 35 ქალი. არბოში აღნიშნულნი არიან სახაზინო გლეხები, რომლებიც ამუშავებენ 200 დღიურ სახნავ მიწას, აქვთ 7 ვენახი, იღებენ 200 კოკა ღვინოს. სოფლის საერთო საკუთრებაშია 2 წყლის წისქვილი. მოსახლეობის ძირითადი საქმიანობაა მიწათმოქმედება. დაკავებულნი არიან ტყიდან შეშის ზიდვით, თუმცა სოფლის საკუთრებაში არ ფიქსირდება ტყე. [5]

სოფელი არგვიცი საგუბერნიო ქალაქიდან მდებარეობს 87 ვერსის დაშორებით. არგვიცში სულ ცხოვრობს 243 ადამიანი, აქედან 131 კაცია, 112 ქალი. კომლთა რაოდენობა შეადგენს 26-ს. სოფელში გლეხები ჰყავთ თავად ფავლენიშვილებს, ცხოვრობენ ხიზნებიც. საგლეხო მიწის გარდა ამუშავებენ 300 დღიურ მიწას, რომელზეც მოჰყავთ 400 კოდი პური. მებატონის ვენახიდან იღებენ 80 კოკა ღვინოს, ხოლო გლეხების საკუთრებაში არსებული 14 ვენახიდან 300 კოკა ღვინოს. სოფლის საერთო საკუთრებაშია ხშირი

[1]ალიმბარაშვილი იოსებ, გორის მაზრის სახაზინო და საბატონო სოფლების 1804 წლის კამერალური აღწერის უწყისი, გვ. 4.
[2] იქვე, გვ. 67-68.
[3]ალიმბარაშვილი იოსებ, გორის მაზრის სახაზინო და საბატონო სოფლების 1804 წლის კამერალური აღწერის უწყისი, გვ. 5.
[4] ალიმბარაშვილი იოსებ, გორის მაზრის სახაზინო და საბატონო სოფლების 1804 წლის კამერალური აღწერის უწყისი, გვ. 6.
[5] იქვე, გვ. 6.

ტყე და წყლის წისქვილი. მოსახლეობის ძირითადი საქმიანობაა მიწათმოქმედება, აღნიშნულია, რომ გლეხები ცხოვრობენ საკმაოდ კარგად.[1]

სოფელი ფრისი მდებარეობს საგუბერნიო ქალაქიდან 89 ვერსის დაშორებით. აქ ცხოვრობს 67 ადამიანი, აქედან 41 კაცი და 26 ქალი, სულ ცხოვრობს 8 კომლი. სოფელში გლეხები ჰყავთ თავად ამილახვრებს. აღწერაში აღნიშნულია, რომ ეს გლეხები არიან ქართველები. მოსახლეობა ამუშავებს 255 დღიურ მიწას. ამასთან ერთად, სოფელთან ახლოს არის ხშირი ტყე, რის გამოც მოსახლეობას შეშა საკმაო რაოდენობით აქვს. გლეხები უვლიან საბატონო ვენახს, საიდანაც იღებენ 80 კოკა ღვინოს. მისდევენ მიწათმოქმედებას და მევენახეობას, ცხოვრობენ საშუალოდ.[2]

1804 წლის აღწერაში ცხინვალი მოხსენიებულია სოფლის სახელით, რომელიც საგუბერნიო ქალაქიდან დაშორებულია 95 ვერსით. აღწერიდან ირკვევა, რომ აღნიშნული დროისათვის ცხინვალში ცხოვრობს 966 ადამიანი, აქედან 563 კაცია და 403 ქალი, ჯამში ცხოვრობს 182 კომლი. ცხინვალში გლეხები ჰყავთ თავადებს: ხერხეულიძეს, ორბელიანს, აბაშიძეს მაჩაბელს, არკადიშვილს, ამილახვრებს, მუხრანბატონს, ციციშვილს, თურმანიშვილს, დავითაშვილს. გლეხები ჰყავთ სახაზინო აზნაურებსაც. მოსახლეობის განკარგულებაში ჩანს 380 დღიური მიწა, თუმცა, მათ ერთ ნაწილს მიწა საერთოდ არ გააჩნიათ. მოსახლეობას აქვს 22 ვენახი, საიდანაც იღებენ 1070 კოკა ღვინოს. ცხინვალში არის სამი წყლის წისქვილი. მოსახლეობა მისდევს წვრილმან ვაჭრობას და ცხოვრობენ საკმაოდ კარგად.[3]

აღწერაში მოხსენიებულია სოფელი მეღვრეკისიც, მეხორენისის სახელით, რომელიც საგუბერნიო ქალაქიდან 60 ვერსში მდებარეობს. მეღვრეკისში დაფიქსირებულია, რომ ცხოვრობს 182 ადამიანი, აქედან 103 კაცია და ქალი 73. სულ ცხოვრობს 25 კომლი. სოფელში გლეხები ჰყავთ: იერუსალიმის წმინდა ეკატერინეს არქიმანდრიტ ნეოფიტეს, ასევე თავად რევაზ მაჩაბელს საეკლესიო აზნაურს, თავად ლუარსაბ მაჩაბელს, თავად გრიგოლ დიმიტრის ძე ამილახორს, თავად ზაალ ბაგრატიონ-დავითაშვილს, ასევე სოფელში გლეხები ჰყავთ ერეკლე II-ის და კათალიკოსის აზნაურებს. აღწერაში დაფიქსირებულია, რომ სოფელში ახლადმოსულები არიან ჯავახები და ოსები. აღნიშნულია, რომ სოფელს აქვს ხშირი ტყე და ერთთვალიანი წისქვილი, ესენი საეკლესიო მფლობელობაშია, რაც შეეხება ვენახების რაოდენობას, ის 16 დღიურს შეადგენს, საიდანაც იღებენ 300 კოკა ღვინოს. აქვთ მეორე წისქვილიც, რომელიც მებატონეთა მფლობელობაშია. გლეხების ძირითადი საქმიანობა მიწათმოქმედებაა. რაც შეეხება გადასახადებს, აღნიშნულია, რომ მოსახლეობას გადასახადის გადახდა არ უჭირს არქიმანდრიტისათვის, მისი კეთილ ნების გამო, რაც სხვა მემამულეების უკმაყოფილებას იწვევს.[4]

1804 წლის აღწერაში გვხვდება ცნობები ტირძნისის შესახებ, სადაც აღნიშნულია, რომ მანძილი საგუბერნიო ქალაქიდან 80 ვერსს შეადგენს. სოფელში ცხოვრობს 268 ადამიანი, აქედან 159 კაცია, ხოლო 109 ქალი, სულ 49 კომლი. სოფელში გლეხები ჰყავთ: თავად დავით ბარათაშვილს, ვახტანგ ბატონიშვილს, ასევე მითითებულია, რომ გლეხები ჰყავს მეფე ერეკლე II-ის აზნაურს, შიო კაბანოვს, ასევე ერეკლე II-ის აზნაურია მოხსენიებული **გახეულის** სახელით, კონკრეტულად არ ვიცით ვინ იყო ეს აზნაური, თუმცა ირკვევა, რომ მისი ოჯახი 3 წევრისაგან შედგებოდა, ერთი კაცის და ორი ქალისაგან. ასევე აღნიშნულია, რომ სოფელში ცხოვრობენ ახლად ჩამოსახლებულები - იმერლები და ოსები. სოფელში 700 დღიური მიწა ეკუთვნის გენერალ ლაშქაროვს, კათალიკოსის მფლობელობაშია დაახლოებით 80 დღიური სახნავი მიწა. ტყე აქვთ საკმაო რაოდენობით, ბაღ-ვენახების რაოდენობაა 25 დღიური, საიდანაც გლეხებს მოჰყავთ 800 კოკა ღვინო, აქედან მებატონეს უხდიან 10 კოკას. მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა მევენახეობა და მეცხოველეობაა, ვაჭრობენ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვით.[5]

შედარებისთვის შეგვიძლია გამოვიყენოთ 1804 წლის შემდგომ 1818 წელს ჩატარებული გორის მაზრის მემამულეთა და საბატონო გლეხთა კამერალური აღწერა, რომელიც ინფორმაციას გვაწვდის ჩვენთვის საინტერესო სოფლების შესახებ. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ამ აღწერაში არ მოიხსენიება ბევრი ის სოფელი, რომელიც 1804 წლის აღწერაში შედის. ასეთია ბროწლეთი, არგვისი, არბო და სხვა. თუმცა გაცილებით მეტი შეგვიძლია გავიგოთ ტირძნისის, მეღვრეკისის, ფრისის, ქორდის, დიცისა და ცხინვალის შესახებ. ეს უკანასკნელი კვლავ სოფლად მოიხსენიება. 1818 წლის აღწერიდან

---

[1] ალიმბარაშვილი იოსებ, გორის მაზრის სახაზინო და საბატონო სოფლების 1804 წლის კამერალური აღწერის უწყისი, გვ. 7.

[2] იქვე, გვ. 7.

[3] ალიმბარაშვილი იოსებ, გორის მაზრის სახაზინო და საბატონო სოფლების 1804 წლის კამერალური აღწერის უწყისი, გვ. 14-16.

[4] ალიმბარაშვილი იოსებ, გორის მაზრის სახაზინო და საბატონო სოფლების 1804 წლის კამერალური აღწერის უწყისი, გვ. 65.

[5] ალიმბარაშვილი იოსებ, გორის მაზრის სახაზინო და საბატონო სოფლების 1804 წლის კამერალური აღწერის უწყისი, გვ. 67.

ირკვევა, რომ აღნიშნულ სოფლებში მოსახლეობა ქართულია, თუ არ ჩავთვლით ცხინვალს, სადაც ქართველებთან ერთად ცხოვრობენ სომხები, ებრაელები, თუმცა უმრავლესობას ქართველები წარმოადგენენ. 1804 წლიდან 1818 წლამდე მოსახლეობა მცირდება ცხინვალსა და დიცში, ხოლო ქორდში, მეღვრეკისში, ტირძნისში, ფრისში მოსახლეობა იზრდება. რაც შეეხება ძირითად საქმიანობას, კვლავ მოწათმოქმედება, მევენახეობა და მესაქონლეობაა.

როგორც ითქვა, 1804 წლის კამერალური აღწერა არის პირველი შემთხვევა საქართველოს მოსახლეობის აღწერისა. აღნიშნული დროისთვის რუსულ ხელისუფლებას ადგილი ვერ დაემკვიდრებინა. ასე იყო 1804 წლის შემდეგაც დიდი ხნის განმავლობაში, თუმცა, ანექსიის ადრეულ ეტაპზე ეს მკაფიოდ ჩანდა. ამ და სხვა მიზეზების გამო ხელისუფლების მიერ ჩატარებული სამუშაოების შედეგად შედგენილ ცნობებში მრავალი შეცდომა თუ უზუსტობა იყო გაპარული.

როგორც ვიცით, აღწერა მშრალი სტატისტიკაა, თუმცა აუცილებლად უნდა აღინიშნოს მისი დიდი მნიშვნელობა ეპოქის შესწავლის თვალსაზრისით. აღწერა შეეხება სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ სფეროებს. არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ მოსახლეობის ცხოვრების დონე საშუალოა, თუმცა, ზუსტად არაა დაკონკრეტებული, რის საფუძველზე ხდებოდა ამგვარი დასკვნის გაკეთება. 1804 წლის შემდგომ კამერალურ აღწერებში, მაგალითად, როგორიცაა 1818 წლის აღწერა, თითო კომლის მონაცემები ცალ-ცალკეა მოცემული.

განსხვავებული ვითარებაა 1804 წლის აღწერაში. აქ გვარები და სახელები მითითებულია რუსული ფორმით: ამილახვროვი, ერისთოვი, მაჩაბელოვი, დავიდოვი, გრიგორი, ევსტატი და სხვა. აღწერას ახასიათებს რიგი თავისებურებები, ასეთია თუნდაც ის, რომ ყმათა ვინაობა დასახელებული არაა, მაგრამ ქრონოლოგიური სიახლოვის ქართულ აღწერებში ზოგიერთი მათგანის ვინაობის დადგენა შესაძლებელი გახდება. აღწერას, ზემოთქმულის გარდა, კიდევ მთელი რიგი ხარვეზები ახლავს თან, მაგ., არაერთი სოფლის სახელი დამახინჯებულია, სავარაუდოდ აღმწერი მოხელეების ქართული ენის არცოდნის გამო. ტირძნისი დაფიქსირებულია „ტირძნისად“, მეღვრეკისი - „მეხორენისად“ და სხვა. ნუმერაცია არის აღრეული.

თითოეულ სოფელს და დასახელებულ პუნქტს მითითებული აქვს მანძილი საგუბერნიო ქალაქ თბილისიდან, მაგრამ აქაც გაპარულია შეცდომები. საგუბერნიო ქალაქიდან დაშორება მოცემულია ვერსებში. მაგალითად, შეგვიძლია ავიღოთ მეღვრეკისი. აღწერაში ნაჩვენებია, რომ ის საგუბერნიო ქალაქიდან 60 ვერსითაა დაშორებული, თუკი 60 ვერსს გადავიყვანთ კილომეტრებში, გამოდის 30 კმ. სწორედ ამ მანძილითაა დაშორებული გორიდან მეღვრეკისი. ასეთ შემთხვევებთან გვაქვს ადგილი სხვა სოფლების შემთხვევაშიც, როგორებიცაა: დიცი, ქორდი, არბო, ტირძნისი, ბროწლეთი, ცხინვალი. არსებული მონაცემები გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ მანძილები გამოთვლილი იყო გორიდან და არა საგუბერნიო ქალაქ თბილისიდან. ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანს ჩვენთვის საინტერესო სოფლების შემთხვევაში.

აღწერა საინტერესოა რელიგიური თვალსაზრისითაც. მასში განმარტებულია, თუ რომელი მონასტრის მფლობელობაში არიან ამა თუ იმ სოფლის საეკლესიო ყმები. დაკონკრეტებით არიან იმ დროის იერარქიული საეკლესიო პირები, როგორიცაა თუნდაც არქიმანდრიტი ნეოფიტე, იერუსალიმის წმინდა ეკატერინეს მონასტრისა, რომელსაც ყმები ჰყავდა სოფელ მეღვრეკისში.

ასევე საყურადღებოა ერთი გარემოება, რომელიც 1804 წლის აღწერაში იჩენს თავს. მამაკაცთა რაოდენობა ბევრად აღემატებოდა ქალებისას, რაც იმ დროისთვის ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა, თუმცა უნდა ვივარაუდოთ, რომ ამის მიზეზი არა ქალთა ნაკლები რაოდენობა იყო, არამედ ის, რომ არ ხდებოდა ქალთა სრული აღრიცხვა, განსაკუთრებით მომთაბარე მუსლიმან მოსახლეობაში. [1]

რაც შეეხება ძირითად საქმიანობას, მოსახლეობა მისდევს მიწათმოქმედებას, მევენახეობას და მესაქონლეობას. შიგდაშიგ მისდევენ მეფუტკრეობას, წვრილმან და ხე-ტყით ვაჭრობას. ვფიქრობ, საინტერესოა, 1804 წლის აღწერაში მოხსენიებული სოფლების: ტირძნისის, მეღვრეკისის, ფრისის, დიცის, ქორდის, არბოს, არგვიცის, ბროწლეთის და ცხინვალის შედარება დღევანდელ მდგომარეობასთან.

მეღვრეკისის თანამედროვე მდგომარეობის შესახებ შეგვიძლია ვიმსჯელოთ 2002 და 2014 წლების საყოველთაო აღწერების მიხედვით. 2002 წლის მონაცემებით აქ ცხოვრობს 831 ადამიანი, აქედან 419 კაცია, ხოლო 412 ქალი. მოსახლეობის 98%-ს ქართველები შეადგენენ. [2] 2014 წლისათვის კი სოფელში მოსახლეობა შემცირებული ჩანს და შეადგენს 783 ადამიანს. 397 კაცია, 386 ქალი. მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა კვლავ მიწათმოქმედება, მებაღეობა-მევენახეობაა, მისდევენ მესაქონლეობასაც. შიგადაშიგ მისდევენ მეფუტკრეობასაც.

---

[1] ვახტანგ ჯაოშვილი, საქართველოს მოსახლეობა, თბ., 1996, გვ. 46.

[2] საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები, ტომი II, თბ., 2003, გვ. 225.

რაც შეეხება ტირძნისს, ის აერთიანებს რამდენიმე სოფელს სასოფლო საბჭოში: საკუთრივ ტირძნისს, ბროწლეთს, მეღვრეკისს. 2002 წლის მონაცემებით, ტირძნისში ცხოვრობს 1978 ადამიანი, ამათგან 941 კაცია, 1037 ქალი. ეთნიკურ უმრავლესობას ქართველები წარმოადგენენ 98%-ით. [1] 2014 წლის აღწერით კი მოსახლეობა აქაც შემცირებული ჩანს და შეადგენს 1884-ს, 929 კაცს და 955 ქალს. 1804 წლის აღწერაში, როგორც მოგვეხსენება შესულია 2 ბროწლეთის მონაცემები, თუმცა დღეისთვის, ისევე როგორც ადრე, 2 ბროწლეთის არსებობა დიდად საეჭვოა. დღევანდელი მდგომარეობით ბროწლეთი შედის ტირძნისის საკრებულოში. მოსახლეობის შესახებ ცნობებს გვაწვდის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერა, ჩატარებული 2002 წელს. ამ მასალებიდან ვიგებთ, რომ ბროწლეთში აღნიშნული დროისთვის ცხოვრობს 831 ადამიანი, აქედან 419 კაცი, 412 ქალი.[2] 2014 წლის მონაცემებით ბროწლეთშიც ფიქსირდება ადამიანთა რიცხვის შემცირება და შეადგენს 527-ს, საიდანაც 267 კაცი, 260 ქალია.

დღეისთვის ოკუპირებულია სოფელი ფრისი, რომელიც ცხინვალის რაიონს წარმოადგენს. მისი თანამედროვე მდგომარეობის შესახებ, ფაქტობრივად, არაფერი ვიცით, თუ მხედველობაში არ მივიღებთ 2002 წლის მონაცემებს, რომელშიც მოხსენიებულია სოფელი ზემო ფრისი და ფიქსირდება, რომ იგი შედის ბერულის თემის საკრებულოში. ცხოვრობს 215 ადამიანი, აქედან 105 კაცი, ხოლო 110 ქალი. 2002 წლის აღწერიდან ასევე ნათელი ხდება, რომ სოფლის მოსახლეობის მხოლოდ 53%-ს ქართველები შეადგენენ, დანარჩენ 47%-ს კი ოსები. (1)

არსებობდა ოსური ფრისიც, რომელიც შედის ერედვის მუნიციპალიტეტში. 1991 წლამდე შედიოდა ცხინვალის რაიონში, ცხინვალიდან 2 კმ-ში. სხვა ცნობები მის შესახებ არ გაგვაჩნია.

დღევანდელი მდგომარეობით, დიცი შედის გორის მუნიციპალიტეტში. სოფელი არის თემის ცენტრი. 2002 წლის მონაცემებით სოფელში ცხოვრობს 1258 ადამიანი, აქედან 635 კაცია, 623 ქალი. 2014 წლისათვის მოსახლეობის შემცირება კვლავ აღინიშნება და შეადგენს 1072 ადამიანს, 539 კაცს და 533 ქალს.

რაც შეეხება არგვისს, სოფელი შედის ერედვის მუნიციპალიტეტში - ბერულის თემში. 2008 წლიდან ოკუპირებულია.

სოფელი ქორდი კი შედის დიცის თემში. 2002 წლის აღწერის მიხედვით აქ ცხოვრობს 850 ადამიანი, 424 კაცი, 426 ქალი, 2014 წლის მონაცემებიდან ირკვევა, რომ მოსახლეობა ქორდშიც შემცირებულია და შეადგენს 728 ადამიანს, 368 კაცს და 360 ქალს.

2014 წლისთვის არბოში მოსახლეობის რიცხვი გაზრდილია 293-მდე, 144 კაცია და 149 ქალი. უნდა აღინიშნოს, რომ ეს იშვიათი შემთხვევაა. ჩვენ მიერ ზემოთ განხილული სოფლების შემთხვევაში 2002 წლიდან 2014 წლამდე მოსახლეობა მცირდება, რის უმთავრეს მიზეზადაც შეგვიძლია დავასახელოთ ამ სოფლების საოკუპაციო ხაზთან სიახლოვე. თუმცა არბოს შემთხვევაში, როგორც ირკვევა, 2008 წლის ომს გავლენა არ მოუხდენია სოფლის დემოგრაფიულ მაჩვენებელზე. ასეთია საერთო ჯამში 1804 წლის კამერალური აღწერისა და დღევანდელი მდგომარეობის შედარებითი მიმოხილვა.

ლიტერატურა:

1. გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (გსიემ).
2. ი. ალიმბარაშვილი. გორის მაზრის სახაზინო და საბატონო სოფლების 1804 წლის კამერალური აღწერა (ელ-ვერსია);
3. ვახტანგ ჯიოშვილი, საქართველოს მოსახლეობა, თბ., 1996;
4. გიულდენშტედის მოგზაურობა საქართველოში ტ. 1. გერმანული ტექსტი ქართულიდან თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, თბ., 1962;
5. საქართველოს ეროვნული საისტორიო არქივი, ფ. 254, ს.58
6. საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები, ტომი II, თბ., 2003.

[1] იქვე, გვ. 225.
[2] იქვე, გვ. 225.

კოშორიძეთა ღვაწლი

ნინო კოშორიძე
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **იოსებ ალიმბარაშვილი**, ასოცირებული პროფესორი

კოშორიძეების გვარი წარმოშობით მესხეთიდან ყოფილა. ოსმალების მიერ ამ კუთხის დაპყრობის შემდეგ რამდენიმე ოჯახი ქართლში გადმოსულა და სოფელ ხიდისთავში დასახლებულა. თსუ-ს პროფესორი ელენე კოშორიძე იხსენებს: „კოშორიძეები სასულიერო პირები იყვნენ. ჩვენი წინაპარი, დეკანოზი გიორგი კოშორიძე, იოანე ბატონიშვილის „კალმასობაშია“ მოხსენიებული. გამიგია, რომ ეს წოდება დავით აღმაშენებელს მიუნიჭებია ქართველი კოშორიძეებისათვის რაღაც დამსახურებისათვის. ხაშმის მკვიდრნი არა ვართ ჩამოსულები ვართ ქართლიდან, კერძოდ, ხიდისთავიდან. გადმოცემით, მესხები უნდა ვიყოთ. მესხეთში, სოფელ გოგაშენში დღესაც მრავლად არიან კოშორიძეები. საინტერესო ფაქტია ისიც, რომ ჩემი პაპის, იოსებ კოშორიძის პაპა დედის მხრიდან, აზნაური კობახიძე, თან ხლებია ალექსანდრე ბატონიშვილს სპარსეთში“[1].

კოშორიძეთა ღვაწლზე, ისტორიულ წყაროებსა თუ მოგონებებზე დაყრდნობით, უამრავი რამის თქმა შეიძლება. ამ გვარის საამაყო წარმომადგენელია მღვდელი გიორგი კოშორიძე.

ახალჯვრის ეკლესიასა და ხატს საუფლისწულო აზნაურები, სააკაძეები მფარველობდნენ. მათ შორის, დიდი მოურავი გიორგი სააკაძე, ხოლო კოშორიძეები სააკაძეების მღვდელ-დეკანოზნი და ახალჯვრის ჯვარისმტვირთველნი ყოფილან[2]. მას შემდეგ, რაც შაჰ აბას I-მა ბობნევი და მთელი ატენის ხეობა მოაოხრა (1616-1617 წწ.), სააკაძეების ნაწილი მოძღვრებთან ერთად ხიდისთავში გადმოსახლებულა და სასწაულმოქმედი ჯვარიც თან წამოუღიათ[3]. ამრიგად, კოშორიძეებს შემთხვევით არ აუგიათ ახალჯვრის ეკლესია. სწორედ ამ პერიოდიდან დასახლდნენ კოშორიძეები ხიდისთავში. საარქივო მონაცემებით, სწორედ, მღვდელი გიორგი კოშორიძის აშენებულია ახალჯვრის წმ. გიორგის ეკლესია 1801 წელს. მეორე მხრივ, კი 1790 წელს ხიდისთავში ახალჯვრის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია უკვე უნდა მდგარიყო და 1801 წლიდან გიორგი კოშორიძის მიერ მხოლოდ მისი განახლება მოხდა[4].

ახალჯვრის ეკლესიაში დაბრძანებული ყოფილა ვერცხლით მოჭედილი ძალზე ძველი ჯვარი სიმაღლით - ორი ადლი და შესაფერისი სიგანით. ჯვარს ბოლოში ვერცხლის პერანგზე ჰქონდა ვრცელი წარწერა მხედრულით. სწორედ ამ წარწერიდან გამომდინარე, ხატი ერეკლე II -ის ოჯახის დავალებით შეუმკვია მღვდელ გიორგი კოშორიძეს და საუფლისწულო აზნაურებს - გრიგოლსა და ზურაბ სააკაძეებს.

კოშორიძეები კიდევ უფრო ადრე, ჯერ კიდევ XVI-XVII საუკუნეებიდან ჩანან ახალჯვრის „მღვდელ დეკანოზებად“. როგორც ჩანს, XVIII საუკუნის 80-იან წლებში გიორგი კოშორიძეს ადგილობრივ მოხელეებთან პრობლემები შეექმნა. ბატონიშვილსა და მოხელეებს გიორგი კოშორიძისათვის ძველი დოკუმენტები წაურთმევიათ და იძულებით სოფელ ხანდაკში უპირებდნენ გადასახლებას. 1785 წლის 5 აგვისტოს ერეკლე II -ის სახელზე შესულა არზა, სადაც გიორგი კოშორიძე ადგილობრივ მდივანბეგ თეიმურაზის მიერ ხანდაკში უკანონოდ გადასახლების გამო ჩივის და მეფისაგან სამართალს ითხოვს. მეფის რეაქციასაც არ დაუყოვნებია: „ესენი ხატის შეწირულნი არიან და ამათი აყრა არ იქნება, ხატის ყმა არუს დაეხსენო“. ამავე არზიდან ჩანს, რომ კოშორიძეებს ჯერ კიდევ როსტომ მეფის მიერ გაცემული მათი გვარის ახალჯვრისადმი შეწირულობის სიგელი ჰქონდათ[5].

გიორგი კოშორიძესთან სტუმრობით იწყებენ თავის ხანგრძლივ მოგზაურობას „კალმასობის“ გმირები იოანე ხელაშვილი და გრიგოლ ღამბარაშვილი, სადაც კარგად ჩანს გიორგი კოშორიძის თავმდაბლობა და ღირსება:

„ზურაბმა: ესე ახალჯვრის დეკანოზიაო!

იოანე: მივიდა და ჰრქვა, გვაკურთხენ ახალჯვრის მამაო.

---

[1] ,,ქალთა გაზეთი”, №12, 2002, გვ. 22.

[2] იოსებ (სოსო) ალიმბარაშვილი. დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი (ცხოვრება და მოღვაწეობა), თბ., 2016, გვ. 50.

[3] იოსებ (სოსო) ალიმბარაშვილი. ხიდისთავი და ახალჯვრის ისტორია. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული, № 6, თბ., 2014, გვ. 8

[4] იოსებ (სოსო) ალიმბარაშვილი. ხიდისთავი და ახალჯვრის ისტორია. გვ. 16.

[5] ერეკლე II-ის მიერ გაცემული საბუთები 1736-1797 წლები, ავტორ-შემდგენელი მანანა ჭუმბურიძე, თბ., 2008, გვ. 150, საბ. 170.

კოშორიძე: კურთხეულ იყავ, რომ არა იცი რა!

იოანე: ვითარ?

კოშორიძე: მე დეკანოზი ვარ და არა მამა

იოანე: ჯვარის მამაც არის ამ ქვეყანაში, ახალჯვრის მამაც რომ იყოს რა იქნება?

კოშორიძე: ჯერ მთავარეპისკოპოსს არ უბოძებია ეგ სახელი.

იოანე: მთავარეპისკოპოსი რად გინდა, მე გაგირიგებ კათალიკოსთანა.

კოშორიძე: იპოდიაკვანს ეგ ადგილი არც ექნება"[1].

„გიორგი კოშორიძე იყო მღვდელი, მამიჩემის მოძღვარი, ძალიან მხიარული კაცი... საღამოს მამაჩემმა უთხრა მღვდელს, ჩუმათ წადი, ეკლესია მოამზადე, ნინოს ჯვარი დავსწეროთ, ეხლავ არავის გაგებინო. თურმე მამაჩემს ეშინოდა მტრისა, არავინ არ მიმტროსო. ამისათვის უნდოდა, საიდუმლოთ ყოფილიყო... დამწერეს ჯვარი. ამ მღვდელს ერთი და ჰყვანდა ორისთვალით უსინათლო, მოხუცი, ის შემოვიდა. ერთი ქართული გვირგვინი ჰქონდათ დაჟანგებული, ის დაგვადგეს, გაგზავნა ბიჭები და ზარები არეკვინა ორივ ეკლესიისა" იხსენებს ცნობილი ისტორიკოსის, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის და, გენერალ-მაიორ იოსებ მამაცაშვილის მეუღლე ნინო მეღვინეთხუცესიშვილი[2].

მღვდელი იოსებ კოშორიძე 1858 წელს ქართლში, გორის მაზრაში, სოფელ ხიდისთავში, მღვდელ ანდრია კოშორიძისა და ანა კობახიძის ოჯახში დაიბადა. 1811 წლიდან ხიდისთავის ეკლესიის წინამძღვარია დეკანოზ გიორგის ვაჟი, მღვდელი იოსები, რომელმაც 1808 წელს ხელახლა შეაკეთა ეს ეკლესია. იგი დაიბადა 1793 წელს. 1811 წელს ნიქოზელმა ეპისკოპოსმა - ათანასემ დიაკვნად აკურთხა, ამავე წლის 10 ნოემბერს მღვდლად დაასხა ხელი. 1812 წელს ბრინჯაოს ჯვრით დაჯილდოვდა. მღვდელი იოსები 1850 წლის 22 აპრილს გარდაიცვალა.

მამა იოსების შვილიშვილია პაპის მოსახელე იოსებიც, რომელიც უკანასკნელი სასულიერო პირი გახლდათ ამ დიდებული და ძირძველი ქართული გვარისა. 1881 წლიდან მღვდელი იოსები გორის მაზრის სოფელ მეტეხის სახალხო სკოლის მასწავლებლად დაინიშნა. აქედან იწყება მისი აქტიური მოღვაწეობა ჯერ საერო, შემდეგ კი სასულიერო ასპარეზზე. იგი ესწრებოდა ახალი სკოლების გახსნას, ცდილობდა მომავალი თაობისათვის შეეყვარებინა წიგნიერება. მამა იოსებს ჰქონდა ქადაგების ძლიერი უნარი და ხშირად მოძღვრავდა მრევლს, ჰქონდა საოცარი ნიჭი მოექცია ადამიანები ღვთის გზაზე.

1882 წლის 22 ნოემბერს სოფელ კავთისხევში აკურთხეს ახალი სკოლის შენობა და ამ მოვლენის ცენტრში ვხედავთ იოსებს, რა დროსაც საოცარი სიტყვა წარმოსთქვა. 1883 წელს იოსები სასულიერო უწყებაში გადავიდა. ამ დროსვე იქორწინა დეკანოზ ლევან ბაქრაძის ერთადერთ ასულზე, მარიამზე. მათ რვა შვილი ჰყავდათ. XX საუკუნის დასაწყისში მასწავლებლად მუშაობდა ხაშმის ორკლასიან სამრევლო-საეკლესიო სკოლაში. 1884 წლის 25 თებერვალს საქართველოს ეგზარქოსმა პავლემ დიაკვნად აკურთხა, ხოლო 26 თებერვალს მღვდლად დაასხა ხელი და თიანეთის მაზრაში, სოფელ ახალსოფლის მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიის წინამძღვრად განამწესა. 1885-1889 წლებში მამა იოსები არჩეული იყო სასულიერო დეპუტატად, 1886 წელს კი თიანეთის სამთავართუხუცესო ოლქის სასულიერო გამომძიებლად დაადგინეს, 1889 წლის 20 ნოემბერს თიანეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად და ოლქის მთავარუხუცესად დაინიშნა. ამავე წელს, თიანეთის ეკლესიასთან არსებული სამრევლო-საეკლესიო სკოლის საღვთო სჯულის მასწავლებლად დაადგინეს. 1890 წელს გარდაიცვალა დიმიტრი ბაქრაძე, რამაც დიდად დაამწუხრა მოძღვარი და მას დიდი პანაშვიდი გადაუხადა. აი, რას წერდა ამის შესახებ ხალხის საყვარელი მგოსანი ვაჟა-ფშაველა: „...პანაშვიდი გადაიხადა ადგილობრივმა ბლაღოჩინმა, მღვდელმა იოსებ კოშორიძემ, რომელმაც წარმოსთქვა გრძნობითი სიტყვა განსვენებულის მოღვაწეობის მნიშვნელობაზედ, თუ რა ღვაწლი დასდო მან ჩვენს ისტორიას, რამდენად შეგვაგნებინა ჩვენი წარსული და მოგვანიჭა იმედი მომავლისა. პატივცემულმა მოძღვარმა სწორედ მოსწრებულად შეადარა განსვენებული დიმიტრი ბაქრაძე დიმიტრი თავდადებულს"[3].

თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა მამა იოსებმა ერწოში მდებარე წმინდა ქართველი მეფე არჩილის განსასვენებლის, ნადოკის მონასტრის აღორძინების საქმეში. XIX საუკუნის 80-90 იან წლებში გორის ეპისკოპოსმა ალექსანდრემ მრავალი მიტოვებული სავანე გადაარჩინა სრულ გავერანებას. მისი საქმეები მამა იოსების ყურამდეც მივიდა და სამადლობელი წერილი მისწერა ეპისკოპოს ალექსანდრეს და მისგანაც მიიღო საპასუხო წერილი. ამის შემდეგ მამა იოსებს ყურადღება არ მოუკლია ნადოკის მონასტრისა და მისი ერთადერთი მკვიდრისათვის, ეხმარებოდა მას როგორც ეკონომიურად, ისე სულიერად.

---

[1] იოანე ბატონიშვილი. კალმასობა (ხუმარსწავლა), წიგნი, 1, ალ. ბარამიძის რედ., თბ., 1990, გვ. 17-22.

[2] ნინო მეღვინეთხუცესიშვილი. მოგონებანი, თბ., 2016, გვ. 35-36.

[3] ჟურნ. ,,საპატრიარქოს უწყებანი", №17, 2-6 მაისი 2012, გვ. 19-20.

ალექსანდრე ოქროპირიძის რეკომენდაციით, 1892 წლის 28 აპრილს მამა იოსები თიანეთის ოლქის მთავარუხუცესად დაინიშნა.

თავისი ეროვნული პოციზიის გამო, იოსებ კოშორიძეს მალევე შეექმნა პრობლემები გარკვეულ პირებთან, თუმცა, რეალურ მიზეზად მისი სკოლაში იშვიათად გამოჩენა სახელდებოდა: 1895 წლის 16 მარტს გაზეთ ,,ივერიაში" იწერება პასკვილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ თიანეთის საზოგადოებას თავისი ხარჯით დაქირავებული ჰყავს ,,ბლაღოჩინი" კოშორიძე, მაგრამ ,,აგერ მეშვიდე თვე მიდის სკოლა საღმრთო სჯულის უმასწავლებლოდ არის მიტოვებული. თუ არ შესწევს იმდენი ძალღონე, რომ ერთსაც გაუძღვეს და მეორესაც, ხელს რატომ არ აიღებს სწავლების სასყიდელზე და სხვას ვინმეს არ გადასცემს ამ საგნის სწავლებასო.

კოშორიძეს არც წინა წლებში უკეთებია რამე. შარშან და შარშანსწინდელს სამოსწავლო წლებშიც არ გვინახავს, მხოლოდ მაშინ დაესწრებოდა ხოლმე, როდესაც მამა ლეონიდი მობრძანდებოდა ეგზამენზედ.

ადგილობრივი მთავარ დიაკონი ონ. ხიზანიშვილი თითქმის მთელი წელი ასწავლიდა საღმრთო სჯულს კოშორიძის მაგიერ და არაფერი ჯილდო არ ეძლეოდა ამ შრომისათვის. სინდისის ქვეშ უნდა ვსთქვათ, რომ ხიზანიშვილი მეტად ბეჯითად ეკიდებოდა ამ კეთილს საქმეს, შეგირდებმა მშვენივრად შეისწავლეს საღმრთო ისტორია, მაგრამ მასაც მოსწყინდა უსარგებლო შრომა და იმანაც შეწყვიტა შეგირდების სწავლაო" [1].

მამა იოსებ კოშორიძეს მალევე გაუცია პასუხი ოპონენტისათვის: ,,თუ კორესპონდენტს ჰსურს დანამდვილებით გაიგოს იციან რამე მოსწავლეებმა საღმრთო სჯულიდგან და ვინ მისცა მათ ეს ცოდნა, ვთხოვ კეთილი ინებოს და დაესწროს მწაფეების გამოცდასო".

კოშორიძეს დამცველებიც გამოუჩნდნენ. იმავე წლის 25 ივნისის ,,ივერიაში" ფსევდონიმ ,,ჩხოკეთელის" სახელით იბეჭდება ზემოთ მოტანილი პასკვილის პასუხი, რომელიც, ფაქტობრივად მამა კოშორიძის პასუხის გაგრძელებაა და რომლითაც ცხადი ხდება, რა არის მასთან დავის რეალური საფუძველი: ,,გამოცდა მოხდა 19 და 21 რიცხვებში და მას დაესწრნენ ინსპექტორი ქრისტიანობის გამავრცელებელი საზოგადოების სკოლებისა, თიანეთის მაზრის უფროსი, თიანეთის სამაზრო მკურნალი, მაზრის ორი შეგნებული მოხელე და მრავალი სხვები ...უნდა გენახათ ბატონებო, და სულით დამსტკბარიყავით, რა გონივრულ, აზროვან და მოხერხებულ პასუხებს იძლეოდნენ სუყველა განყოფილების მოსწავლეები არამცთუ პროგრამიდან ამოღებულ კითხვებზე, იმნაირებზედაც კი, რომლებსაც ჰქონდათ უფრო მაღალი ღვთისმეტყველების ხასიათი. პატივი და დიდება მამა კოშორიძეს, რომ ასე ჩინებულად შეუსწავლებია მოსწავლეებისათვის საღმრთო სჯული.

მაშ რაღას ,,ჰგოდებს" და ,,იგლოვს" ზემოხსენებული კორესპონდენტი? იმას, რომ შეგირდებმა ეს ყველაფერი იციან სამშობლო, გასაგებ ენაზე და არა სლავურ-რუსულით". მას ვერ მოუნელებია, რომ ბავშვებს ტვინი არა აქვთ გალაყებული სლავურ ენაზე ...იმ აზრს, რომ ყველა ჩვენი სკოლები იყვნენ მოწყობილნი უცხო ნიადაგზე, მაშინ გაიხარებს ჩვენი კორესპონდენტიო"[2].

,,კორესპონდენტიც" შეეცადა თავის დაცვას და პასუხად წერდა: ,,მე ვამბობდი ჩემს კორესპონდენციაში: ,,წარსულის წლის ენკენისთვიდან მარტამდე ორჯერ არა ყოფილა თიანეთის სკოლაში საღმრთო სჯულის მასწავლებელი მ. კოშორიძე და იმის წინა ორ წელშიც სხვა ასწავლიდა იმის მაგიერ. ეს გამოძიებით მაქვს დამტკიცებული. თქვენ კი პასუხს იძლევით: ,,კორესპონდენტს ვერ მოუნელებია, ის რომ ბავშვებს ტვინი არა აქვთ გალაყებული სლავურ ენაზე ტროპარ-კონდაკების ზეპირობით და ვერ გაუკბილავთ ოციოდე საღმრთო მოთხრობა რუსულ სახელმძღვანელოდგან ...ყველაფერი ეს სამშობლოს გასაგებ ენაზე იციანო ...კოშორიძემ რაკი დაინახა, რომ კორესპონდენტის წინააღმდეგ თავს ვერ გაიმართლებდა, ისღა იღონა, რომ დღეში ორჯერ - დილით და საღამოთი დაიწყო სიარული, თანაშემწეც დაიქირავა და ქადილს მოჰყვა, მთელი წლის მასალა ორს თვეში ესწავლებინა"[3].

ალბათ პოლემიკა კიდევ გაგრძელდებოდა, საქმეში რომ უშუალოდ არქიმანდრიტი ლეონიდე არ ჩარეულიყო და მღვდელ კოშორიძეს არ გამოსარჩლებოდა: ,,თიანელი კორესპონდენტის პასუხად, ცოტა არ იყოს მეც მეხება, როგორც თიანეთის სკოლის მეუფროსეს ...თიანეთის საღმრთო სჯულის მასწავლებელ მამა კოშორიძეს ედავებოდნენ, რომ იგი იშვიათად მიდიოდა სკოლაში. პირადად მივედი თიანეთში და რაც შემეძლო ყველაფერი გამოვიძიე, მაგრამ ამგვარი არაფერი აღმოჩნდა, რასაც კორესპონდენტი ჩიოდა და დღემდე ჩივის.

ვრაცხ ჩემს ზნეობრივ მოვალეობად გაუწყოთ ღირსო მამაო: წარსულს მაისის უკანასკნელ რიცხვებში მე და ჩემდამი რწმუნებული სამმართველოს მოხელე როსტომაშვილი და ცისკარიშვილი დავესწარით თიანეთის სასწავლებლის გაკვეთილებს და ეგზამენებს და ყმაწვილები ჩინებულად იყვნენ

[1] გაზ. ,,ივერია", 16 მარტი, 1895 წელი, №58, გვ. 2.
[2] გაზ. ,,ივერია", 25 ივნისი, 1895 წელი, №133, გვ. 4,
[3] გაზ. ,,ივერია", 6 ივლისი, 1895 წელი, №141, გვ. 4,

მომზადებულნი, ამასთანავე ვსცანით რომ მასწავლებლებს და მათ შორის მამა კოშორიძეს კეთილსინდისიერად შეუსრულებიათ თავიანთი მოვალეობაო“.

ლეონიდე არქიმანდრიტი სთხოვს ,,კორესპონდენტს“ თავისი პოზიციის გასამყარებლად მოწმეები დაასახელოს: ,,თუკი ამგვარ ქმედებას კოშორიძის მხრიდან ადგილი ჰქონია, დაასახელოს პიროვნებები, მაგრამ ეს უფრო აგებულია პიროვნულ ანგარიშებზე კოშორიძესთან და სრულებით მოკლებულია სინამდვილეს“.

წერილის დასასრული, ფაქტობრივად, მამა იოსებ კოშორიძის დახასიათებაა: ,,თამამად ვარწმუნებთ ბატონს კორესპონდენტს, რომ კოშორიძისთანა ხელქვეითთაგანმა არც ერთმა არ იცის საღმრთო სჯული ისე შეგნებით და სავსებით, როგორც იციან მოწაფეებმა და ცხადია, რომ გარდა კოშორიძისა, არც არავის შეუძლია მოწაფეებთან მეცადინეობაო“[1].

ასე იხსნა საკუთარმა განსწავლულობამ და საქართველოს მომავალი კათალიკოს-პატრიარქის კეთილგანწყობამ მამა იოსებ კოშორიძე უღირსი ცილისწამებისაგან.

1895 წელს მამა იოსების ინიციატივით თიანეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიასთან ახალი ქვის სამრეკლო აშენდა, რომელზეც სამი ზარი დაჰკიდეს. ამ დამსახურებისთვის მამა იოსები 1897 წლის აღდგომას სკუფიით დააჯილდოვეს.

1900-იანი წლებიდან იოსებ კოშორიძე საბოლოოდ დამკვიდრებულა ხაშმში, მაგრამ, სამწუხაროდ, ძალიან ახალგაზრდა გარდაიცვალა, 38 წლის ასაკში. დაქვრივებულმა დიდედამ მალე ორი ქალიშვილიც დაკარგა, მაგრამ ძალა მოუკრებია, გამხნევებულა და ყველა შვილი გზაზე დაუყენებია, ყველა შვილისთვის სემინარია ან გიმნაზია დაუმთავრებინებია. დიდედა გულის ტკივილით იგონებდა ხოლმე, რომ გასაბჭოების შემდეგ, როდესაც მამა და მეუღლე გვერდში აღარ ედგნენ, სოფლის მესვეურთ მისთვის ნება არ მიუციათ მასწავლებლად ემუშავა სკოლაში, რადგან სასულიერო ოჯახიდან იყო. აღარავინ დაგიდევდათ იმას, რომ სწორედ ამ ოჯახის ხელშეწყობით დაარსდა ეს სკოლა. მაგრამ უფრო დიდი ტკივილი იყო მთელი ჩვენი ოჯახისა და განსაკუთრებით დიდედასათვის ის, რომ მას მეუღლისა და შვილების საფლავები დაუკარგეს, რადგან ეკლესიის ეზოში იყვნენ დაკრძალულნი. გასაბჭოების შემდეგ ეკლესია საწყობად აქციეს, ეკლესიის ეზოში სამჭედლო გახსნეს, საფლავის ქვები უჩუმრად გაზიდეს და ისე მოასწორეს იქაურობა, რომ ძნელად მიხვდებოდა კაცი, ვინ სად განისვენებდა. იმის საშუალებაც კი არ მისცეს ჭირისუფალს, რომ თავისი მიცვალებულისათვის ეპატრონა, სხვაგან გადაესვენებინა, - იხსენებს ელენე კოშორიძე[2].

ლიტერატურა და წყაროები:

1. ალიმბარაშვილი იოსებ (სოსო). დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი (ცხოვრება და მოღვაწეობა), თბ., 2016.
2. ალიმბარაშვილი იოსებ (სოსო). ხიდისთავი და ახალჯვრის ისტორია. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული, #6, თბ., 2014
3. ბატონიშვილი იოანე. კალმასობა (ხუმარსწავლა), წიგნი, 1, ალ. ბარამიძის რედ., თბ., 1990
4. გაზ. ,,ივერია”, 16 მარტი, 1895 წელი, №58.
5. გაზ. ,,ივერია”, 25 ივნისი, 1895 წელი, №133
6. გაზ. ,,ივერია”, 6 ივლისი, 1895 წელი, №141
7. გაზ. ,,ივერია”, 8 ივლისი, 1895 წელი, №143
8. ერეკლე II-ის მიერ გაცემული საბუთები 1736-1797 წლები, ავტორ-შემდგენელი მანანა ჭუმბურიძე, თბ., 2008.
9. მეღვინეთხუცესიშვილი ნინო. მოგონებანი, თბ., 2016.
10. ჟურნ. ,,საპატრიარქოს უწყებანი“, №17, 2-6 მაისი 2012.
11. ,,ქალთა გაზეთი”, №12, 2002.
12. გაზ. ,,ივერია”, 8 ივლისი, 1895 წელი, №143, გვ. 4.

[1] გაზ. ,,ივერია”, 8 ივლისი, 1895 წელი, №143, გვ. 4.

[2] გაზ. „ქალთა გაზეთი“, 2002 წლის დეკემბერი №12 გვ. 23.

ქართლის მეფე როსტომი

ნინო ოქროპირიძე, ნონა სრესელი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ელდარ მამისთვალიშვილი,** პროფესორი

როსტომი (ხოსრო-მირზა, ქაიხოსრო ბატონიშვილი), სიმონ I-ის ძმის, დავით XI-ის (დაუდ-ხანის), უკანონო შვილი ,,ნაშობი ხარჭისაგან". როსტომი მას შეეძინა წავკისელი გლეხის ქალისგან. იგი დაიბადა დაახლოებით 1565 წელს ქ. ისპაანში, დაუდ-ხანის ირანში ყოფნისას. აღიზარდა ირანშივე, თავიდანვე მუსლიმანი და გასპარსელებული იყო. მიუხედავად ამისა, მან კარგად იცოდა ქართული ენა და საქართველოს საქმეებშიც კარგად ერკვეოდა.

როსტომის ცხოვრების გარკვეული პერიოდების შესახებ ცნობებს ვხვდებით მისავე 1648 წლის სიგელში, რომელიც იწყება შემდეგი სიტყვებით: ,,აწ დავიწყოთ ამბავისა ჩ˜ნისა მბობა". აღსანიშნავია, რომ როსტომმა აქ ყურადღება გაამახვილა ისეთ მომენტებზე, რომლების მას მკითხველის წინაშე დადებით პიროვნებად წარმოაჩენდა. მან გვერდი აუარა თავისი ცხოვრების რიგ უსიამოვნო, მაგრამ უმნიშვნელოვანეს მომენტებს, რომელთა აღდგენა, სხვა წყაროებით ხერხდებოდა (საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, ტ. II, 2011: 488).

საინტერესოა, რომ ხოსრო-მირზა ერთხანს სიღარიბეში ცხოვრობდა. იგი წამოუწევია გიორგი სააკაძეს ირანში ყოფნის დროს. როსტომს ეს გარემოება თავის ერთ-ერთ სიგელში საგანგებოდ აქვს აღნიშნული, ამ სიგელში ვკითხულობთ შემდეგ სიტყვებს: ,,გიორგი მოურავი ჩვენზე და საქართველოზედაც დიდათ ნამსახური იყო" (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1973: 313)

ვახუშტი ბატონიშვილი მიიჩნევდა, რომ გიორგი სააკაძემ როსტომს ყურადღება მიაპყრო იმის გამო, რომ იგი ქართლის მეფის ლუარსაბ II-სთან დასაპირისპირებლად გამოეყენებინა. ეს ჩანს შემდეგი სიტყვებიდან: ,,არამედ ესე არა ჰყო მოურავმან სიყვარულითა პატრონისათა, გარნა რათა აღუდგინოს ლუარსაბ მეფესა მეტოქი" (საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, ტ. II, 2011: 489).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სახელგანთქმულმა გიორგი სააკაძემ, ყოფილი ქართლის გამგებლის, დაუდ-ხანის ძედ გამოაცხადა გაჭირვებაში მყოფი ხოსრო-მირზა. შაჰმა ხოსრო-მირზა დაიახლოვა. როდესაც ხოსრო-მირზა დავაჟკაცდა, მან შაჰის კარზე თავი გამოიჩინა თავისი გონიერებითა და სიმამაცით, რის შედეგადაც იგი მის სამსახურში დაწინაურდა. როსტომი გახდა ჯერ შაჰის გვარდიის, ყულის სარდალი, შემდეგ ირანის ყულარაღასი და ისპაანის მოურავი. იგი, როგორც ყულარაღასი და ისპაანის მოურავი, დიდი გავლენით სარგებლობდა მთელ ირანში. შაჰ-აბასის სიკვდილის შემდეგ მთელი ხელისუფლება ხოსრო-მირზას ხელში გადავიდა. როსტომმა შეძლო ტახტზე აეყვანა შაჰ-აბასის შვილიშვილი სეფი-მირზა. უნდა ითქვას, რომ არსებობდა შაჰ-აბსის ვაჟი, რომელიც იმამყულე-ხანის სახლში იზრდებოდა. მას მხარს უჭერდნენ ირანში მცხოვრები ქართველები და ადგილობრივი დიდკაცების დიდი ნაწილი. სწორედ ამ დროს გამოჩნდა როსტომის დიდი გავლენა და მოხერხებულობა. მან ტახტზე აიყვანა სეფი-მირზა. ამის შემდეგ ხოსრო-მირზას ავტორიტეტი შაჰის კარზე განუზომლად გაიზარდა. მან შაჰი თავის გავლენის ქვეშ მოაქცია და ასეთ ვითარებაში ხოსრო-მირზასთვის ძნელი არ იყო თავისი დიდი ხნის სურვილის ასრულება, დაეკავებინა ქართლის ტახტი. მან სურვილი აისრულა კიდეც და გახდა ქართლის მმართველი. ამ ფაქტს ადასტურებს ფარსადან გორგიჯანიძეც: ,,ყაენმან ყულარაღასობა მისცა და ისპაანის მოურაობაც აქონდა. ქრონიკონსა სამასცამეტისა შაჰ-აბაზ ყაენი მაზნადარას მიიცვალა და ისფ(ა)ჰ(ა)ნს როსტომ მეფის ცდით შაჰ სეფი ყაენი გაჯელმწიფდა და ქართველთ დრო დაიცეს და უპატრონობა თქვეს და ერანის საქმე როსტომ მეფეს ეკითხოდა..." (ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, 1925:238).

სანამ უშუალოდ დავიწყებთ როსტომის მეფობაზე საუბარს, უნდა მიმოვიხილოთ მაშინდელი საქართველოს მდგომარეობა, რათა ჩვენთვის ნათელი გახდეს მისი ღვაწლი საქართველოს გაძლიერებისთვის დაუღალავ ბრძოლაში.

XVII საუკუნის პირველ მესამედში, აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის გმირულმა ბრძოლებმა ირანის მესვეურენი აიძულა ხელი აეღოთ ქართლ-კახეთის სამეფოების მთლიანი მოსპობის გეგმაზე და კომპრომისის გზას დასდგომოდნენ. ეს კომპრომისი გამოიხატებოდა იმაში, რომ ირანი უცვლელად ტოვებდა ქართულ სოციალურ-ეკონომიკურ წყობას, ტახტი ბაგრატიონთა დინასტიის ხელში რჩებოდა მაჰმადიანობის პირობითა და ,,ვალის" ტიტულით. ,,გურჯისტანის ვალს" ხარკი და საჩუქრები უნდა ეძლია ირანისათვის.

აღნიშნული კომპრომისის გამოხატულება იყო როსტომის მეფობა (1632-1658) ქართლში. როსტომს მძიმე ბრძოლის გადატანა მოუხდა, რათა ქართული ფეოდალური საზოგადოების დიდი ნაწილი თავის მხარეზე გადაეყვანა. ქართული საზოგადოების მეორე ნაწილი, რომელსაც თეიმურაზ I მეთაურობდა, არ ცნობდა როსტომის მეფობას და სრული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას განაგრძობდა (საქართველოს ისტორის ნარკვევები, ტ. IV, 1973: 312).

როსტომი ქართლში გამეფებისას 67 წლის ყოფილა. მისი საქმიანობა გამოირჩეოდა დიდი ენერგიულობით, გონიერებითა და ტაქტიკით. საერთოდ, როსტომი ჭკვიანი, ნიჭიერი და მამაცი კაცი ყოფილა. ამასთან ეშმაკი და ცბიერიც. ვახუშტის დახასიათებით, როსტომი ,,საქმით ხუანჯიანი, სოფლის ფრიად ჭკვიანი“ იყო (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1973: 313).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როსტომის წინამორბედნი როგორც ქრისტიანი, ისე მაჰმადიანი მეფეები ირანის მოხელეებად ითვლებოდნენ და მათაც ვალი ეწოდებოდათ. ასე იყო როსტომიც. ქართულ საბუთებში როსტომი თავის თავს ,,მეფეთ-მეფესა და პატრონს“ უწოდებს, ისე როგორც ჩვეულებრივ უწოდებენ ქრისტიანი მეფეები თავის თავს, ხოლო ირანის ოფიციალურ საბუთებში როსტომი ასეა მოხსენიებული: ,,ჩემი ძმა ქართლის ვალი როსტომ-ხანი“ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1973: 313-314).

ქართლში შემოსვლისთანავე როსტომმა ყურადღება მიაქცია ციხეების გამაგრებას. ამ დროს თბილისში ყიზილბაშთა გარნიზონები იდგა. საჭირო იყო ქართლის გულში მდებარე გორისა და სურამის ციხეების გამაგრება. სურამის ციხეში ყიზილბაშთა გარნიზონი იდგა. რაც შეეხება გორის ციხეს, მისი სასწრაფოდ აღდგენა იყო საჭირო. ფარსადან გორგიჯანიძის გადმოცემით, ,,გორის ნაციხვარი ზომით ლაშქართ დაუყვეს და ოცს დღეზედ ააშენეს, გაათავეს და ნურის მინბაში მესხი მუსლიმზეგ მაზანდარის მეთოფებით მცველათ შეაყენეს“ (ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, 1925: 240). ამდენად, გორის ციხეშიც ყიზილბაშთა გარნიზონები იქნა ჩაყენებული. გორგიჯანიძე ხაზს უსვამს თავადთა ქმედებას: ,,ქართველთა თავადნი და აზნაურნი სრულ მიუვიდნეს და როსტომ მეფეს ფეხს აკოცეს“ (ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, 1925:240).

როსტომს ქართლის დიდი თავადებიდან მხოლოდ ფარსადან ციციშვილი არ მიუიდა იმის გამო, რომ ,,იმას სარდლისა ეშინოდა, ამისთვის რომ ძველათ მტრობა აქონდათ“ (ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, 1925:240). მეფემ ამ მდგომარეობით ისარგებლა და ფარსადან ციციშვილის მამულები დაარბია და ,,მრავალი ტყუვე მოასხეს“. ამის გამო, მათ შორის განხეთქილება ჩამოვარდა. გორგიჯანიძის გადმოცემით, როსტომს სარდლისათვის შეუთვლია: ,,თავად საქართველო აოხრებული არის, რაც დარჩომილა, იმასაც თქვენ ამიოხრებთო, მაშ მე რისიღა ბატონი ვიქნებიო“ (ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, 1925:240).

როსტომმა, ციხეების გამაგრების შემდეგ, იწყო სამოხელეო აპარატის განმტკიცება. თეიმურაზის მიერ დანიშნული მოხელეები გადააყენა და თავისი ერთგულები დანიშნა. ამას გარდა, ,,თან მოყოლილი თავადთა და აზნაურთა თავიანთ მამული უბოძეს“ (ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, 1925: 241). მოღწეულია 1632-1634 წლებში გაცემული სახელოებისა და მამულების ბოძების წიგნები. ჩვენთვის ცნობილი როსტომის ერთ-ერთი პირველი საბუთი გამოცემულია 1633 წლის 26 მარტს, რომელიც ეძღვნება ბეჟან ამილახვარს. იგი როსტომს ირანიდან ჩამოჰყვა, რომელსაც ებოძა ზემო ქართლის სადროშოს სარდლობა. ეს თანამდებობა ჰქონდა იოთამ ამილახვარს, რომელიც როსტომის ქართლში შემოსვლისას თეიმურაზს მიუიდა. სხვა საბუთებიდან ჩანს, რომ იმავე წელს ირანიდან ჩამოყოლილ ჰასან-ბეგ ბარათაშვილს დაუბრუნა თავისი ,,სამკვიდრო“ მამულები (ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, 1955: 91-92). ასევე ,,სამკვიდრო“ მამულები გადასცა სხვა თავადებსაც. ამგვარი საბუთებიდან კარგად ჩანს, რომ როსტომი თავისი ხელისუფლების განმტკიცებას ცდილობდა და გარკვეულ წარმატებებსაც აღწევდა.

როსტომს საქართველოში ჩამოსვლისთანავე ცოლად შეურთავს გორჯასპი აბაშიშვილის ასული ქეთევანი, რომელიც მალევე გარდაიცვალა. როსტომს მემკვიდრე არ ჰყავდა. ეს საკითხი აწუხებდა როგორც როსტომს, ისე მის მომხრეებს, ამიტომ ქეთევანის გარდაცვალებისთანავე, 1633 წელსვე დაუწყიათ ახალი დედოფლის შერჩევა. როგორც ფარსადან გორგიჯანიძე გადმოგვცემს, საგანგებო თათბირის შემდეგ, ლევან დადიანის და - მარიამი აურჩევიათ. ამ არჩევანს პოლიტიკური მოსაზრებები ედო საფუძვლად (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, 1973: 316-317). საქართველოს უძლიერეს მთავართან დამოყვრების იდეა გაუჩნდათ მას შემდეგ, რაც კარგად გაეცვნენ საქართველოს საშინაო პოლიტიკურ ვითარებასა და ქართლის სამეფოს საგარეო ურთიერთობების პერსპექტივები გაითვალისწინეს. როგორც ცნობილია, თეიმურაზი, რომელიც იმერეთის მეფის მოყვარე იყო, ირანელთა წინააღმდეგ მთელი თავისი ხანგრძლივი ბრძოლის მანძილზე მხარდაჭერას დასავლეთ საქართველოში

და, განსაკუთრებით, იმერეთში პოულობდა. ამ დროიდან მოყოლებული, თეიმურაზმა და როსტომმა მთელი სიცოცხლე ერთმანეთთან ბრძოლაში გაატარეს.

როსტომმა 1633 წელს ლევან დადიანს მოციქულები გაუგზავნა თბილელი ეპისკოპოსის მეთაურობით და მარიამი სადედოფლოდ სთხოვა. ფ. გორგიჯანიძის სიტყვით, დადიანს ,,ნამეტნავად ეამა“ და თანხმობა განაცხადა (ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, 1925: 241).

მოლაპარაკების დროს, როგორც ჩანს, დადიანს ირანთან პოლიტიკური დაკავშირების საკითხიც განუხილავს. დადიანისთვის ხელსაყრელი იყო ირანთან დაკავშირება. ერთი მხრივ, მას ირანი ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოადგებოდა, მეორე მხრივ კი, როსტომი დადიანს იმერეთის წინააღმდეგ ბრძოლაში დაეხმარებოდა. რაც შეეხება როსტომს, მისთვის მთავარი იყო თეიმურაზის იზოლირება. ირანის პოლიტიკური მიზნებისთვისაც ხელსაყრელი იყო დადიანთან კავშირი. აღმოსავლეთ საქართველოს დამორჩილების შემდეგ დღის წესრიგში დგებოდა დასავლეთ საქართველო. აღსანიშნავია, რომ ქართლის მეფისა და ოდიშის მთავრის დამოყვრებას უარყოფითი რეაქცია გამოუწვევია ოსმალეთში.

ამ ქორწინებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც როსტომისთვის, ისე მისი მომხრეებისთვისაც. ეს, პირველ რიგში, ჩანს იქიდან, რომ როსტომმა დამოყვრების დასტური ირანის შაჰს სთხოვა. მას მოუწონებია როსტომის ნაბიჯი და მისთვის ძვირფასი საქორწინო საჩუქრები გამოუგზავნია ირანის დიდი მოხელის, შირვანის ბეგლარბეგის, ფარუ-ხანის, ხელით.

მექორწინეებმა პაემანი საჩხეიძოში, ბაღდათან, კაკას ხიდეზე, დანიშნეს. გასაგებია, რომ იმერეთის მეფე გიორგი და თეიმურაზ I გურიელი დადიანისა და როსტომის გაძლიერებაში საფრთხეს ხედავდნენ, ამიტომ საჩხეიძოში დადიანს ბრძოლა გაუმართეს, სადაც დადიანმა გაიმარჯვა. მან დაატყვევა იმერთა მეფე გიორგი, ხოლო თეიმურაზმა გაქცევით უშველა თავს. ამის შემდეგ როსტომმა საცოლე გადმოიყვანა თბილისში და ქორწილი გადაიხადა.

გორგიჯანიძის ნაწერებიდან ვიგებთ, რომ როსტომმა გადასცა დადიანს შაჰის მიერ გამოგზავნილი საჩუქარი - 50 000 მარჩილი, თან ისიც აცნობა, რომ შაჰს ,,(წე)ლიწადში ათასი თუმანი ჯამაგირი გაეჩინა დადიანისთვის“ (ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, 1925: 241). ამ ,,ჯამაგირით“ დადიანი ირანის ხელდებული და როსტომის მოკავშირე ხდებოდა.

როსტომი დიდი მონდომებით ცდილობდა ურჩ თავადთა უფლებების შეზღუდვას და თავისი ხელისუფლების განმტკიცებას. იგი უმთავრესად ყიზილბაშთა ძალას ეყრდნობოდა. მის პოლიტიკას მალევე მოჰყვა ფეოდალთა უკმაყოფილება. პირველად მას აუჯანყდა არაგვის ერისთავი - დათუნა, რომელიც როსტომმა, აჯანყებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ, შერიგების საბაბით მუხრანს მიიწვია და ღალატით მოაკვლევინა. ამის შემდეგ როსტომი შეიჭრა არაგვის საერისთაოში და იქაურობა ააოხრა, მაგრამ როსტომმა ხელში ვერ ჩაიგდო დათუნას ძმა, ზაალი, რომელიც დათუნას მოკვლის შემდეგ მისმა მომხრეებმა გააერისთავეს. (ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, 1925: 243). თეიმურაზმა ანანურიდან ზაალ ერისთავის, იასე ქსნის ერისთავისა და კახი თავადების დახმარებით როსტომზე გაილაშქრა. ბრძოლა სასტიკი იყო, მაგრამ საბოლოოდ თეიმურაზი დამარცხდა და იძულებული გახდა ქართლს გასცლოდა. იგი კახეთში გადავიდა.

ამ დროს როსტომს აზერბაიჯანიდან, ყიზლარიდან ყიზილბაშთა მაშველი ძალა მოუვდა. მან დამხმარე რაზმთან ერთად შეუტია კახეთს, რის შედეგადაც თეიმურაზი იძულებული გახდა შერიგებოდა როსტომს. ფ. გორგიჯანიძის ცნობით, თეიმურაზმა როსტომს მოციქულები გაუგზავნა და ,,წიგნიც ასე მისწერა: თავად ნათესავნი ვართო და მერმე ბატონი დედოფალი თქვენი ბიძაშვილი არისო და არც თქვენა გყავს შვილიო და ერთის მეტი არც მე მყავსო და დიდის მეფის ლვარსაბისაო რომ თათართ აწამესო თქვენის მეტის მისგან აღარავინ დარჩომილაო და ბატონის ლევანისაგანო ჩემის მეტი აღარავინ არისო და ყიზილბაშთაგან მრავალი ძალი და უსამართლო მჭირსი'' (ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, 1925: 244). როგორც ჩანს, როსტომს ეს ამბავი ,,ნამეტნავად ეამა'' და თავისი ლაშქრით ქართლში დაბრუნდა.

ფ. გორგიჯანიძის თქმით, შაჰს მოეწონა როსტომის შერიგება თეიმურაზთან და შემოუთვალა ,,კარგი გიქნიათო და ბატონიშვილი თინათინი დიდის პატივით გამოისტუმრეთო'' (ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, 1925: 244). როსტომმა ეს ბრძანება შეასრულა. თინათინი შაჰმა ცოლად შეირთო. ამის შემდეგ შაჰმა ქრისტიანი თეიმურაზი კვლავ სცნო კახეთის მეფედ.

ერთხანს მართლაც მშვიდობა სუფევდა როსტომსა და თეიმურაზს შორის. როსტომმა ეს ვითარება გამოიყენა - შეირიგა ქართლის თავადები: ორივე ერისთავი, იოთამ ამილახვარი და სხვები, მაგრამ სიმშვიდე მალევე დაირღვა. თეიმურაზი კვლავ ცდილობდა როსტომის გაძევებას ქართლიდან და ქართლის ტახტის დაჭერას. ამ საქმეში მხარს უჭერდნენ ქართლის თავადთა ერთი ჯგუფი ნოდარ ციციშვილისა და ზაალ ერისთავის მეთაურობით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მათ რამდენჯერმე მოაწყვეს

გამოსვლა (1636, 1638, 1642 წწ.), მაგრამ ისინი მარცხით დამთავრდა. ასევე იყო მცდელობა, რომ შეთქმულებს ღალატით აბანოში მოეკლათ როსტომი, მაგრამ როსტომი ამჯერადაც გადარჩა.

აუცილებლად უნდა განვიხილოთ მეორე, 1642 წლის დიდი შეთქმულება როსტომის წინააღმდეგ, რომელიც უფრო ფართო და ორგანიზებული იყო. ამ შეთქმულებაში მონაწილეობდნენ: ზაალ ერისთავი, ოთამ ამილახვარი, ნოდარ ციციშვილი, კათალიკოსი ევდემონ დიასამიძე, გიორგი გოჩიაშვილი, რევაზ ბარათაშვილი, სომხითის მელიქი და სხვა. შეთქმულების მიზანი იყო როსტომის მოკვლა და თეიმურაზის ქართლის ტახტზე აყვანა.

გადამწყვეტ მომენტში შეთქმულება გასცა სომხითის მელიქმა. როსტომი გორის ციხეში გამაგრდა. თეიმურაზმა, რომელიც უკვე მეტეხს მისულიყო, გაიგო შეთქმულების გაცემა და კახეთს გაბრუნდა. ქართველი შეთქმულებიდან ზოგი გადაიხვეწა, ზოგი შეიპყრო მეფემ, ზოგს თვალები დასთხარეს, ზოგი თბილისის ციხეში დაატყვევეს და შემდეგ დახოცეს. ასე სასტიკად გაუსწორდა როსტომი შეთქმულებს.

ფ. გორგიჯანიძის გადმოცემით, ჩვენთვის ცნობილი ხდება ისიც, რომ როსტომმა შაჰს მისწერა ქართლის თავადთა ახალი აჯანყების შესახებ. განრისხებულმა შაჰმა დიდი ლაშქარი გამოგზავნა ადამ სულთან ანდრონიკაშვილის სარდლობით, როსტომს კი შემოუთვალა ,,ბატონო თეიმურაზ გააგდონ და მის ალაგზედ კახეთში ადამ სულთან გააბატონონო“ (ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, 1925: 250).

ყიზილბაშთა დიდი ლაშქარი კახეთში შემოვიდა. თეიმურაზი და მისი მომხრეები შეშფოთდნენ და შერიგება უთხოვიათ.

არც ეს შერიგება გამოდგა ხანგრძლივი.

ამჯერად როსტომსა და თეიმურაზს შორის უთანხმოების საბაბი შეიქმნა შემდეგი გარემოება: როსტომი სიმონ II-ის სისხლს ედავებოდა თეიმურაზს და სასამართლოში იწვევდა. თუ დავეყრდნობით ფ. გორგიჯანიძის სიტყვას, ახლა როსტომს უთხოვია თეიმურაზისთვის: ,,ორიოდე მცოდინარ(ი) ბერი და ერიო შენს სიძეს მეფეს ალექსანდრეს ვსთხოვოთო და ასრევე ლევან დადიანს ვსთხოვოთო, გურიელსა და ახალციხის ფაშასაც ვსთხოვოთო, გავიბრჭნეთ და შევრიგდეთო, ჩვენც მოვისვენოთ და ჩვენი ქვეყანანიც მოვასვენეთო“ (ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, 1925: 255). ამას თეიმურაზი არ დათანხმდა. ის უარყოფდა თავის მონაწილეობას სიმონის მკვლელობაში. მათ შორის მოლაპარაკება წელიწადზე მეტ ხანს გაგრძელდა და საბოლოოდ უშედეგოდ დამთავრდა (ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, 1925: 255).

როსტომი ქართლისა და ყიზილბაშთა ჯარით კახეთს შეესია. ორივე შეუპოვრად იბრძოდა. დამარცხდა თეიმურაზი, რომელიც თიანეთს იყო.

როსტომს თეიმურაზის დაპატიმრებას სთავაზობდნე სწორედ ის თავადები, რომლებიც ამ ხნის განმავლობაში თეიმურაზის გვერდით იდგენენ ყიზილბაშების წინააღმდეგ ბრძოლაში. როგორც ვხედავთ, თეიმურაზი უკვე ტყვე იყო. მიუხედავად ამისა, როსტომმა თეიმურაზის დაჭერისგან თავი შეიკავა. 1648 წელს როსტომის ხელშეწყობით ,,ბატონი თეიმურაზ კახეთით აიყარა და ქართლი შეიარა და იმერეთს გარდავიდა“ (ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, 1925: 256).

ბუნებრივია, ისმის კითხვა: რატომ არ შეიპყრო როსტომმა თეიმურაზი, რომელიც 14 წლის განმავლობაში ებრძოდა მას? კითხვაზე სრულყოფილი პასუხის მისაღებად გასათვალისწინებელია რამდენიმე გარემოება. როსტომის საქციელი უნდა აიხსნას არა მისი ,,რაინდობით“, არამედ უფრო სხვა და ღრმა მიზეზებით. როსტომი გრძნობდა, რომ შაჰის ლოიალური პოლიტიკა ქართლისა და თვით როსტომისადმი განპირობებული იყო თეიმურაზის ენერგიული ბრძოლით ირანის წინააღმდეგ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ თეიმურაზი აღარ იქნებოდა და კახეთში ყიზილბაში ხანი დაჯდებოდა, ირანი როსტომისგან უფრო მეტს მოითხოვდა, კერძოდ, ეცდებოდა, კახეთის მსგავსად, ქართლის სახანოდ გადაქცევას და, შესაძლოა, თვით როსტომიც ყიზილბაში ხანით შეეცვალათ. შაჰის გადაწყვეტილებაც - კახეთი როსტომისთვის გადაეცა განაპირობა იმან, რომ თეიმურაზი თავისუფალი იყო. ასეთ ვითარებაში შაჰისათვის ყველაზე სასურველი კანდიდატი როსტომი იყო. სწორედ ამაშია თეიმურაზის ბრძოლისა და მისი ირანისადმი ერთგვარი ,,ჯიუტი“ და ,,ჭირვეული“ დამოკიდებულების მნიშვნელობა (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, 1973: 325).

როგორც ითქვა, თეიმურაზის კახეთიდან წასვლის შემდეგ, შაჰმა კახეთიც როსტომს უბოძა და ამიერიდან იგი ქართლ-კახეთის მეფედ იწოდებოდა. თანდათან ქვეყანაში მშვიდობა დამყარდა და ქართველები აღმშენებლობით მუშაობას შეუდგნენ.

თეიმურაზი დამარცხდა, მაგრამ ბრძოლის შეწყვეტას არ აპირებდა. თეიმურაზის ერთადერთი იმედი ისევ რუსეთი რჩებოდა.

თეიმურაზმა ელჩები გაგზავნა რუსეთში. 1649 წლის 13 აგვისტოს ისინი მოსკოვში ჩავიდნენ, თეიმურაზი რუსეთს სთხოვდა სამხედრო ძალით დახმარებოდა როსტომის წინააღმდეგ, მაგრამ რუსეთმა ამჯერადაც უარი თქვა საქართველოს საქმეებში ჩარევაზე.

1652 წელს როსტომმაც გაგზავნა ელჩი რუსეთში. მასალების უქონლობის გამო უცნობია ელჩობის მიზეზი, თუმცა სავარაუდებელია, რომ მისი მთავარი მიზანი კვლავ თეიმურაზის იზოლირება იყო.

როსტომის მდგომარეობაც არ იყო სახარბიელო. უშვილო როსტომს, მთელი თავისი მეფობის პერიოდში აწუხებდა მემკვიდრის საკითხი. მისი რამდენიმე ცდა, ეშვილებინა ვინმე, მარცხით დამთავრდა. მხოლოდ ღრმა მოხუცებულობაში, 1653 წელს თავის მემკვიდრედ ამოირჩია ბაგრატიონების გვერდითი შტოს, მუხრანბატონების წარმომადგენელი ვახტანგი. იგი ირანში გაამაჰმადიანეს და როსტომის ავადმყოფობის გამო ქართლის გამგებლად დანიშნეს (საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, II ტ., 2011: 519).

როგორც აღვნიშნეთ, ღრმად მოხუცებული როსტომი ბოლოს ავადმყოფობდა და ქართლის საქმეებს ვახტანგი განაგებდა. როსტომი 1658 წელს გარდაიცვალა. იგი ირანში წაასვენეს და ყუმში დაასაფლავეს.

ქართლის მეფობა ირანის შაჰმა ვახტანგ მუხრანბატონს (მეფობაში შაჰ ნავაზს) უბოძა.

ლიტერატურა:

1) საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, საბჭოთა საქართველო, 1973;
2) ე. მამისთვალიშვილი, საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, ტ. II, ,,უნივერსალი“, 2011;
3) ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1955;
4) ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ,,საისტორიო მოამბე“, 1925.

საქორწილო წეს-ჩვეულებები საქართველოსა და ჩრდილო კავკასიაში

მარიამ ქებაძე
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **იოსებ ალიმბარაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

საქართველო, ეს პატარა ქვეყანა, მრავალფეროვანი ტრადიციებით გამოირჩევა. თითოეული კუთხე თავისებურად ძველი, საინტერესო და წარმტაცია. რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, ბევრი წეს-ჩვეულება დავკარგეთ, ბევრიც გადაგვისხვაფერდა, სახე იცვალა, ბევრიც კი, ჩვენდა სასიხარულოდ და საამაყოდ, დღემდე არსებობს. ზოგ შემთხვევაში ვიცავთ და ვასრულებთ ამ წეს-ჩვეულებებს, ზოგ შემთხვევაში კი, პირიქით, ვცდილობთ როგორმე თავი ავარიდოთ მათ. ჩვენი ერის ტრადიციების უმეტესობა სათავეს წარმართობის პერიოდში იღებს, მერე დროთა განმავლობაში იცვლება და დღეისათვის ქრისტიანობასთან შერწყმული, სახეცვლილი არსებობს.

ქართველებს, როგორც ერთ-ერთ უძველეს ხალხს, შეუმუშავებიათ თავისი ხასიათისა და ცხოვრების წესის შესაბამისი საქორწილო რიტუალი, წეს-ჩვეულებები, რომლებიც მეტ-ნაკლებად განსხვავდება მისი კუთხეების მიხედვით და, ზოგ შემთხვევაში, ემსგავსება კიდეც მისივე მეზობელი ერების ტრადიციებს. ადრე ქორწინების წინაპირობა იყო პატარძლის მოძიება, ხოლო თავად ქორწილის რიტუალი რამდენიმე საფეხურს ითვალისწინებდა: 1) დაწინდვა ანუ ნიშნობა, 2) პატარძლის მშობლიურ კერასთან გამოთხოვება, 3) ჯვრისწერა-ქორწილი, 4) ქმრის სახლეულის, კერიის გაცნობა, 5) პატარძლის სამუშაოზე გაყვანა. (1, 85). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სანამ სარძლოს დანიშნავდნენ, ჯერ მისი ვინაობა, წარმომავლობა უნდა მოეკვლიათ. ეს კი სხვადასხვანაირად ხდებოდა. ჩვენში ,,დაკვლევა-მოძიებისა“ და გარიგების ტრადიცია დიდი ხნის წინ დამკვიდრებულა. ქალის დაკვლევას ბიჭის ოჯახი იწყებდა ხოლმე. უმეტესად დედა, და ან უფროსი რძალი ცდილობდა საქორწილოსათვის საპატარძლოს შერჩევას. ხშირად ისეც ხდებოდა, რომ ვაჟმა არაფერი იცოდა ამის შესახებ. ერთხანს გავრცელებული ყოფილა ყრმების აკვანში დანიშვნის წესი, რომელიც ნელ-ნელა შეცვლილა. ეს წესი დასტურდებოდა აჭარაში, მთიულეთში, ფერეიდნელ ქართველებში და ინგილოებში. ნ. კისლიანოვი წერდა ,,აკვანში დანიშვნა გავრცელებული

იყო განსაკუთრებით იმ რაიონებში, სადაც მოსახლეობა იზოლირებულად ცხოვრობდა. მეზობელთან სუსტი კავშირის გამო ისინი მოკლებულნი იყვნენ საპატარძლოს არჩევის ფართო შესაძლებლობებს და ამიტომ ცდილობდნენ, წინასწარ შეერჩიათ იგი თავის წრეში.“ (2, 41) ეს მოსაზრება შეიძლება გამოვიყენოთ ფერეიდნელ ქართველებთან მიმართებაშიც, რადგან ფერეიდნელი ქართველები, მოქცეულნი ლოკალურ გარემოცვაში, გაურბოდნენ ქალის გათხოვებას სხვა ეროვნების წარმომადგენელზე, ისინი იძულებულნიც კი იყვნენ ერთ უბანში ეძებნათ სარძლო და ბავშვობიდანვე შეერჩიათ იგი. აი, რას ამბობდნენ ამასთან დაკავშირებით: ,,ჩვენ სპარსელსა ან ბახთიარს ქალს როგორ მივცემდით, ჩვენ შეიძლება მოგვეყვანა, მაგრამ, ჩვენსას არ გავათხოვებდით. ვინც ამას გააკეთებდა მასთან ნაგვარობა (უსიამოვნება) გვქონდაო“ (2, 41)

ფერეიდნელ ქართველებში აკვანში დაწინდვის გარდა, იცოდნენ ბავშვის დაბადებამდე დაწინდვაც. საქართველოში, კერძოდ ფშავში, ამ პროცესს ,,მუცლად დაქორწინება“ ეწოდებოდა, თუშეთში კი ,,მუცლად შეთქმა“. ამისათვის დედები ერთმანეთს შუბლზე გულისპირსა და ხელისგულებზე ინას უსმევდნენ.

არსებობდა მცირეწლოვანთა დაწინდვის წესიც. მთხრობელი მაჰმუდ ფანიაშვილი იხსენებს, რომ თურმე 10 წლის ყოფილა, როდესაც თავის 6 წლის მეუღლეზე დაუწინდავთ. (2,41)

ეს ტრადიცია ნელ-ნელა განიცდიდა ცვლილებას და, დროთა განმავლობაში, დასაოჯახებელი პირის აზრმა წინა პლანზე გადმოინაცვლა, ხოლო მშობლებს ისღა დარჩენოდათ, რომ პატარძლობის კანდიდატები საფუძვლიანად გამოეკვლიათ.

ქორწინების წინაპირობა იყო მექორწინეების ასაკი. ეთნოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ ქალი 16-18 წლის მაინც უნდა ყოფილიყო, ხოლო ვაჟი 20-30 წლის შეიძლებოდა დაქორწინებულიყო. წმინდა ნინოს ეკლესიის მოძღვარი (გვარად ჩხიკვაძე) გადმოგვცემს, რომ: ,,ყველა მღვდელმა თავისი მრევლის ასაკი იცოდა, მას დაბადების წიგნი ჰქონდა და მოწმობას (ნებართვას) იმის მიხედვით აძლევდა... თუ ნაკლები წლისას დააქორწინებდნენ, ნება უნდა აეღოთ მთავართ-მთავრისაგან !“ (3, 17)

ამ წესების გავრცელების მიუხედავად, ქართლ-კახეთში მაინც ვხვდებით 12, 13, 14, 15 წლის ასაკში ქორწინების ფაქტებს. (ეს აკრძალული იყო ეკლესიისაგან, თუმცა უშედეგოდ).

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ეკლესიას XIII საუკუნეში კანონიერად, დასაშვებად მიაჩნდა 12 წლის გოგონების გათხოვება.

,,ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: ,,მაშინ კეთილად ჰპატრონობდა ბატონი თეიმურაზი კახეთსა და რა იქმნა წლისა ათხუთმეტისა, მაშინ ითხოვა ქალი გურიელისა და იქმნა ქორწილი დიდად გამოჩინებული.“ (3, 18) ეს და კიდევ სხვა ცნობებიც გვაფიქრებინებს, რომ აკრძალვის მიუხედავად, რომელიც რუის-ურბნისის კრებაზე დაუწესებიათ 1103 წელს, (არ შეიძლებოდა მცირეწლოვანთა დანიშვნა, რადგან ისინი ,,ჩვილ ყმებად“ ითვლებოდნენ. ,,ჩვილთა ყრმათათვის“ ჯვრის დაწერა არ შეიძლებოდა, ნებადაურთავი იყო და ისჯებოდა მაშინდელი წესისამებრ. (3, 19) საზოგადოების მაღალ ფენებში მაინც ხდებოდა ასეთი ქორწინებების ,,მოწყობა“.

ახალგაზრდა, უცოლო ვაჟებს ,,ქალის დაკვლევის“ საშუალება ქონდათ ქორწილში, სამგლოვიარო ცერემონიალზე, ყანის მკის, პურის ლეწვის, წყაროდან წყლის მოტანის დროს. ამაზე მიუთითებს ხალხური ფოლკლორული ლექსიდან ამონარიდი სტრიქონებიც:

,,ქალი თუ გინდა ლამაზი,
დაკვლიე ქერის მკაშია“ (4, 27)

ქალ-ვაჟის უშუალო გაცნობის გარდა, არსებობდა ძველად ძალიან გავრცელებული და მიღებული ე.წ. გარიგება. გარიგებით ქორწინება მაჭანკლის, ანუ წინამძღვრის ჩარევით ხდებოდა. ამ დროს მაჭანკალი ცდილობდა დაექორწინებინა ერთმანეთზე, ხშირ შემთხვევაში ერთმანეთის უნახავი, სრულიად უცხო ადამიანები. ის ქალ-ვაჟის მშობლებს აცნობდა ერთმანეთის ქონებრივ მდგომარეობას, წარმომავლობას, ჯიშ-ჯილაგს, ქალის მზითვის რაობას... მსგავს ტრადიციას ვაწყდებით ქისტების ადათშიც, თუმცა ამ შემთხვევაში საქმე არ გვაქვს ,,მაჭანკლის“ ინსტიტუტთან. ქორწინებაზე თანხმობის მიმცემნი იყვნენ ქალის მაგივრად საპატარძლოს მშობლები, ძმები და სხვა ახლობელ-ნათესავნი. (5,250)

ასეთივე წესი დასტურდება ხევსურეთშიც: ,,ქალს დანიშნავდნენ შუაკაცით. შუაკაცს გზავნიდა ვაჟის პატრონი და მას უნდა მოეგვარებინა დანიშვნის საქმე“ (6,98)

ზემოთ აღნიშნული მეთოდები ხშირად უკონფლიქტო ოჯახის შექმნის საფუძველს ქმნიდა, თუმცა იყო შემთხვევები, როდესაც სიძე-პატარძლის უცნობობა და აკვანში დანიშვნა პიროვნული ტრაგედიებისა და სისხლისღვრის მიზეზიც ხდებოდა. დანიშნულ წყვილს ზოგჯერ ერთმანეთი სულაც არ მოსწონდა და სულ სხვა პირებს ეტრფოდნენ. ამ საკითხთან დაკავშირებით ხალხურ ლექსში მოცემულია გარკვეული სამდურავიც:

,,შენი გათხუება გავიგეო, სამჯერ ავკმიჭე მიწასო,
ვინ იყო შენი მაჭანკუალიო, არც იმას ვავლევ დიდხანსო.“ (7,35)

საპატარძლოს მზითვი ძირითადად შედგებოდა პირადი (ტანსაცმელი, სამკაული), საოჯახო-სასარგებლო (შრომის იარაღები, დგამ-ჭურჭელი, საბან-ლეიბი) და მომგებიანი ქონებისგან (პირუტყვი, ფუტკარი, ფული, ყმა და ზოგჯერ მამულიც) იმისდა მიხედვით, თუ რა შესაძლებლობა ჰქონდა ოჯახს. ამასთან დაკავშირებით, მთხრობელი პელაგია ივანეს ასული ბითაძე, სოფელ ქვემო ხვითიდან, იხსენებს: ,,ქალის მშობელი ყოველთვის ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი ფული აეღო და თუ შეამჩნევდა, რომ მისი ქალი ძალიან მოსწონდათ, თავს შორს დაიჭერდა და იტყოდა: ,,არაფერი მაქვს, არ შემიძლია ქალი გავათხოვო, არ შემიძლია მზითვი გავატანო, მომიტანე ფული და ქალს მოგცემო.“ ქალით დაინტერესებული ვაჟის მხარე, იძულებული იყო მეტი ,,ბე“ დაეტოვა. ზოგჯერ 12-15 თუმანსაც კი ტოვებდნენ. სამზითვოს ფლობით ქალი ერთგვარად ხდებოდა გარკვეული ქონების დამოუკიდებელი მფლობელი. პირის სანახავი, რომელსაც ვაჟის ოჯახი გზავნიდა და მზითვი, რომელსაც პატარძალს მშობლები ატანდნენ, მისი პირადი, ხელშეუხებელი საკუთრება იყო. (3,51)

ქალის დასანიშნად გამოიყენებოდა: ტყვია, ჯოხი, დამბაჩა, ისარი, ვაშლი...

ხევსურეთში უმეტესწილად საპატარძლოსთვის ნიშანი (ვერცხლის ფული) შუაკაცს მიჰქონდა. ის დანიშნულ რძლად ჩაითვლებოდა და მისი დანიშვნის უფლება უკვე აღარავის ჰქონდა. (6, 98)

ეთნოგრაფიული მასალები გვიჩვენებს, რომ ზოგ კუთხეში ყურადღება ექცეოდა არა მარტო ქალის მზითვს, არამედ ვაჟის მოტანილსაც. თუ ოჯახები შეთანხმდებოდნენ, ვაჟის მშობლები და ახლობლები მივიდოდნენ სარძლოს სანახავად, თან ,,დასაბევებელსაც“ დატოვდნენ. ხშირად, საპატარძლოს მშობლები სასიძოს სახლ-კარს არ დაათვალიერებდნენ, ,,ბეს“ არ იტოვებდნენ ხოლმე: ,,მე ჩემს რუსიკოზედ ასე გავაკეთე, აქ რომ მოვიდნენ, ბე არ ავიღე, წავედით ვნახეთ ოჯახი და იქიდან წამოვიღეთ ბე. ბეს აღებისას მოილაპარაკებდნენ, ქალს რა უნდა მოეტანა და ბიჭს რა უნდა წაეღო. ქალს შეიძლება არაფერი ჰქონოდა, მაგრამ ბიჭს აუცილებლად უნდა მოეტანა რამე. აბა ქალს შეუმოსავს ხომ არ წამოიყვანდა? საერთოდ, ქალს ფულით აბევებდნენ. უწინ ფართალი არ იცოდნენ, ეხლა შემოიღეს!“ - გადმოგვცემს მთხრობელი პელაგია ივანეს ასული ბითაძე.

ზოგიერთ კუთხეში ფულით დაბევება სულაც არ იცოდნენ, ქალის დასაბევებლად ვაჟს სინზე დაწყობილი პური უნდა მოეტანა თავშალგადაფარებული, ზედ ბეჭდით. ქალი კი ბიჭის ოჯახში წინდებს, ბეჭედსა და სინზე დალაგებულ პურს გზავნიდა. (ზოგ შემთხვევაში ამ ნივთებს კრიალოსანიც ემატებოდა). (3, 46) (ჩემი აზრით, სავარაუდოდ, სწორედ ამ ტრადიციას უნდა უკავშირდებოდეს ,,დანიშვნის“ მეორე სახელწოდების - ,,დაწინდვის“ არსებობაც). სანამ საქმე დაბევება-დანიშვნამდე მივიდოდა, მანამდე სიძე-პატარძლის ოჯახებიდან ერთურთის ,,დაკითხვა“ და ,,გვარიანობის“ გარკვევა ხდებოდა. დაინტერესებული ვაჟის მშობლები სარძლოს შემოწმებას ყველაფერში ცდილობდნენ, ხელსაქმიდან მოყოლებული, სიტყვა-პასუხით, სწავლითა და ხასიათით დამთავრებული. (ქალის გარეგნობას ,,აბანოში“ ამოწმებდნენ).

ეს წესი დასტურდება არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთ არსებულ ქართველებით დასახლებულ ტერიტორიებზე, ხოლო თავად ,,პირისსანახავს“ სხვადასხვა სახელწოდებით ვხვდებით კავკასიის რეგიონის ხალხთა ეთნოგრაფიულ მონაცემებში.

ნიშნობა, როგორც წესი, ქალის ოჯახში ეწყობოდა. ვაჟის მშობლები და ახლობლები მიდიოდნენ საპატარძლოს ოჯახში, მიჰქონდათ ძღვენი (ღორი ან ცხვარი, ღვინო, შოთის პური, ნაზუქი და რაიმე სამკაული.) (3, 47)

ქალის სათხოვრად, ხევსურების წესით, ერთ-ერთი უფროსი კაცი უნდა წასულიყო, მამამთილი, ან მისი ძმა, რომელსაც მიჰყვებოდა რამდენიმე ახალგაზრდაც. მათ ქალის ოჯახში მიქონდათ: წინასწარ გამზადებული საუკეთესო ხარისხის არაყი, ხავიწიანი ქადა, კუბატ-ქადისკვერი, სამი ადლი ფართალი ანუ ,,სამათხოვრო“, ხუთი ხავიწიანი პატარა ქადა და ხუთი ფეხი სანთელი ხახმატის ჯვრის სახელისთვის „მოსანთებად“ (6, 99).

აჭარაში ნიშნობას, ანუ ,,დაპაიჯანას“ ქალ-ვაჟი არ ესწრებოდა. ვაჟის მხარეს სარძლოს ოჯახში თან მიჰქონდა, ან ორი დღით ადრე ჰქონდა გაგზავნილი თაფლი და შაქარი, რომელსაც ნიშნობაზე შარბათთან ერთად შესასმელად იყენებდნენ. თუ ეს პროდუქტები არ ჰქონდათ, მაშინ, მათ უნდა გადაეხადათ 10-12 კაპიკი. ასეთი იყო ნიშნობა ჭვანის, სხალთის, ღორჯომის, მარითის, რიყის ხეობებში. ნიშნობა თავისი სამზადისით, ხშირად, ქორწილის თანაბარი იყო, (აღსანიშნავია, რომ ზემო აჭარაში ნიშნობაზევე ხდებოდა ქორწინების გაოფიციალურება) ამიტომ მას ხშირად ნიშნის ქორწილს - ,,ნიშან-დუგუნასაც“ უწოდებდნენ. (8, 236)

ფერეიდნელ ქართველებში, დროთა განმავლობაში, ,,პირისსანახავს“ ,,ბალგა“ დაერქვა.

ეთნოგრაფიული მასალების თანახმად, ბალგა შედგებოდა ორი ნაწილისაგან: საჩუქრებისაგან (წინდა, ჩიქილა, კაბა, თავშალი, ქსოვილი, - ,,მწვანე ფოთოლი“) და წმინდა საგნისაგან (პური, ტკბილეული, ბეჭედი, კრიალოსანი, გულსაბნევი, მძივი), რაც დაწინდვას წმინდა რიტუალურ მხარეებთან აკავშირებდა. (მათი დიდი რწმენით, ისინი არა მარტო ნიშნის მოვალეობას ასრულებდნენ, არამედ ავი თვალისაგან დამცავი საშუალებებიც იყვნენ.) (2, 43)

აი, რას წერს არქანჯელო ლამბერტი ,,სამეგრელოს აღწერილობაში“ საპატარძლოს ძღვენის შესახებ: ,, ჩემს დროს მოხდა ოდიშის მთავრის და ჩერქეზთა სახელგანთქმული ქაშიაქ მეფის (Chasiach Mepe) ასულის დაქორწინება. ქაშია მეფის მოციქულები მოვიდნენ ოდიშში და მისი სახელით განაცხადეს, რომ მეფეს სურს ეს ქორწინებაო და თხოულობსო საჩუქრად ასს ყმას, სხვადასხვა ქსოვილით და ხალით დატვირთულსო; ასს ძროხას, ასს ხარს და ასს ცხენსო, ამის აუსრულებლობა რა თქმა უნდა არ შეიძლებოდა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ქორწილი არ იქნებოდა“. (9, 82)

საგანგებო რიტუალები სრულდებოდა საქორწინო ტანისამოსის შეკერვის დროს. ეს კარგად ჩანს როგორც ეთნოგრაფიაში, ასევე ძველ პოეზიაში:

,,დაუძახებენ მოყვრებსა ქორწილის წინა დღითა და
შემოიტანენ ფარჩებსა, ფერად-ფერადსა თვლითა და
შაქრის იარაღს დაუდგმენ სტუმრებსა ხონჩებითა და
დასჭრიან ჯვრისა საწერსა, თეთრ კაბებს მაყრულითა და
სამჯერ იტყვიან მაყრულსა სანამ დასჭრიდნენ კაბებსა
კერვალს ჩააცმენ კაბებსა მასვე დღეს არ უქადებსა.“(10)

მთხრობელების განმარტებით ,,კერვალი“, ვინმე ბედნიერი, დედ-მამიანი ქალი უნდა ყოფილიყო (ხშირ შემთხვევაში ბიცოლა ან ბიძაშვილი). მასვე წამოაწვენდნენ იმ ფართლეულზე, რომელსაც პატარძალს მზითებში ატანდნენ. საქორწილო ქსოვილის დაჭრა ბედნიერი დღეების მზის ამოსვლისას იწყებოდა სიმღერ-სიმღერით.

ქორწილი ქართლში უმთავრესად იმართებოდა შემოდგომის ბოლოს, მაშინ, როდესაც მოსავალს აიღებდნენ, ღვინოს დაწურავდნენ და არაყს გამოხდიდნენ. ამ დროს ოჯახი სავსე იყო ყოველნაირი დოვლათით და ხალხსაც მეტი თავისუფალი დრო ჰქონდა. მათი ღრმა რწმენით ქორწილის გამართვა შეიძლებოდა მხოლოდ სამშაბათს, ხუთშაბათს და კვირას. დანარჩენ დღეებში, რომლებიც ნაკიანად და მარხვის დღეებად ითვლებოდა, ქორწილი არ ეწყობოდა.

მთხრობელთა გადმოცემით: ქართლში ქორწილი სამ დღეს გრძელდებოდა, ნადიმისაგან განსხვავებით (ნადიმი 4-5 დღე იცოდნენ), ხოლო მეოთხე დღის მოსაღამოვებისას, ნეფე დედოფალს გვირგვინს მოხდიდნენ. (11, 41)

,,დადგმენ გვირგვინსა, წესად არს სამ ღამეს გათენებისა“ (10)

ქორწილი სრულდებოდა ,,ხაშის პურის ჭამით“.

ღარიბებს გვირგვინი თურმე მხოლოდ ერთ დღე-ღამეს ეხურათ და სამ დღეში შესასრულებელ რიტუალებსაც (მოლოცვა, მაზებისა და შამხალების მოტანა, განრიდება, შაბაში და ბასტის ჩაბმა...) ერთ დღეში ასრულებდნენ.

ფრედერიკ ფონ ფრეიგანგი ასე აღწერს თბილისურ ქორწილს: ,,აქ ჯვარს იწერენ ძალზე ახალგაზრდა ასაკში. არის შემთხვევა, როდესაც დანიშვნა ხდება აკვანში და მეტწილად პატარძალი არ იცნობს თავის დანიშნულს. ქორწილის დღეს პატარძალი თავიდან ბოლომდე საბურველში გახვეული, ძვირფასი ქვებით და სხვა სამკაულით მორთული, ჯდება ხალიჩაზე ჯვარედინად მოკეცილი ფეხებით. პატარძალი რჩება ამ მდგომარეობაში ვით ხის ქანდაკება. მთელი დღის განმავლობაში არ სვამს, არ ჭამს და რაც მთავარია სრულებით ხმას არ იღებს, (ასეთივე წესი არსებობდა ოსებშიც საქორწინო ცერემონიალის დროს. ახლა ეს ტრადიცია ნელ-ნელა მიივიწყეს) მაგრამ ერთადერთი მანუგეშებელი გარემოება ამ მონანიე ცოდვილისთვის არის ის, რომ სასიძოც ექვემდებარება იგივე ცერემონიალს. როგორც კი სასიძო შეჰყავთ პატარძლის სახლში, ისიც ჯდება თავისი ტურფა უცნობის გვერდით და იცავს ხანგრძლივ სიჩუმეს. ერთმანეთს რომ ზურგი შეაქციონ, შეიქმნება შთაბეჭდილება თითქოს გაბუტულები არიანო, მაგრამ მოკრძალებული პოზა, რომელშიც ისინი არიან, თითქოს ღაღადებს: ,,ჩვენ შეგვაუღლეს, ნუ გაგვიჯავრდებით, ეს ჩვენი ბრალი არ არის.“

ცერემონიალის დასასრულს პატარძალს თავიდან მოხდიან საბურველს და ხშირად სიძე პირველად ხედავს თავისი საცოლის სახეს.“ (12, 25)

ეკლესიაში ჯვარდაწერილ წყვილს სტუმრები ხმლების ხიდის ქვეშ ატარებდნენ, (დღეისათვის ამ ტრადიციას ასრულებენ ზოგიერთ ქორწილში, თუმცა მისი ნამდვილი მნიშვნელობა არ იციან) მათ სწამდათ, რომ ამით ახალ დაოჯახებულებს ავი თვალისაგან, ჯადოსაგან და ,,შეკვრისაგან“ იცავდნენ. შემდეგ კი, სიმღერ-სიმღერით, მიუძღვებოდნენ შინ. აი როგორი იყო ამ სალხინო სიმღერების ტექსტი:

,,ბიჭო, აიღეთ თოფები
ავდგეთ, წავიდეთ წყალზედა
მოვკლათ დედალი ხოხობი,
გადავიკიდოთ მხარზედა.“ (7,260)
,,ღმერთო, გვიცოცხლე ესენი
ვისაც ვახლავართ თავსაო!
პურსა და ღვინოს არ გვაკლებს,
კარგად გვასწავლის დარსაო.“ (7,260)

ბოლოს, ღვთისაგან დალოცვილ წყვილს, რომელთაც ყველა ადათი პირნათლად შესრულებული ჰქონდა, ხალხის რწმენით, პირველი ძე უნდა შესძენოდათ.

დაახლოებით ასეთი იყო ქორწინების ტრადიცია საქართველოში ძველად.

რაც შეეხება ჩრდილო კავკასიას, ჩრდილო კავკასიაში ძველთაგანვე გავრცელებული და მიღებული იყო ურვათისა და ლევირატის წესიც.

საპატარძლოს გამოსასყიდს ჩერქეზეთში ,,ყალიმი” ერქვა და საკმაოდ მაღალი იყო, მაგ. XVII-XVIII საუკუნეებში დიდებულის ქალიშვილი 800-დან 1200 მანეთამდე ღირდა, ხოლო გლეხისა 200-დან 300 მანეთამდე. თუმცა, იგი პერიოდულად მცირდებოდა და XIX საუკუნისათვის ,,ყალიმმა” მებატონის ქალიშვილისათვის 500 მან. შეადგინა, ქვრივისა - 300, პირველი ხარისხის უზდენის ქალიშვილისათვის - 350, ქვრივის - 200, უბრალო უზდენის ქალიშვილის - 200, ქვრივის - 150, თავისუფალი ჩერქეზის ქალიშვილის - 150, ქვრივის - 100. კიდევ უფრო დაბალი იყო ,,ყალიმი” შაპსუღებსა და ნატუხაელებში (13:232).

მიღებული იყო ,,ყალიმის” გადახდა გოგო-ბიჭებით და საქონლით. მაღალი სოციალური ფენის საპატარძლოს ,,ყალიმი” 3-8 გოგო-ბიჭი იყო, უბრალო უზდენის ქალიშვილისათვის - 1-2. როგორც წესი, ისინი ტყვედწაყვანილი, ან ნაყიდი ბავშვები იყვნენ.

ასევე ,,ყალიმი“ ერქვა საპატარძლოს გამოსასყიდს ჩრდილო ოსეთში. მამასახლისის (ან მაღალი სოციალური ფენის) ქალიშვილის ,,ყალიმი“ შეადგენდა 30-დან 100 ძროხამდე, სოციალურად თანასწორის - 15 ძროხა. გამოსასყიდი, საქონლის გარდა, შეიძლებოდა ყოფილიყო იარაღი, ძვირფასი ნივთები და ა.შ. სანამ სასიძო ,,ურვათს“ მთლიანად არ გადაიხდიდა, ცოლი არაკანონიერად ითვლებოდა. მთიელების დიდ უმრავლესობაში საპატარძლოს არჩევისას მთავარი როლი სასიძოს მშობლებს ეკუთვნოდათ (13:233).

ვისაც ყალიმის გადახდა არ შეეძლო, განსაკუთრებით მოხერხებულები საპატარძლოს იტაცებდნენ. ამ შემთხვევაში ურვათის გადახდა სავალდებულო არ იყო, მაგრამ აუცილებელი იყო საპატარძლოს თანხმობა, წინააღმდეგ შემთხვევაში საპატარძლოს ოჯახი შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს და სასიძო სიცოცხლით აგებდა პასუხს.

ვისაც არც გადახდის საშუალება ჰქონდა და არც მოხერხება, იგი საპატარძლოს ოჯახში დგებოდა მოსამსახურედ და მხოლოდ რვა წლის სამსახურის შემდეგ შეეძლო მოეთხოვა საცოლე, ამიტომაც ოსებში იშვიათი არ იყო გადაზრდილი სასიძოები.

გარდა კანონიერი ცოლებისა, ოსებს ჰყავდათ არაკანონიერი ცოლები. რადგან მათზე ,,ურვათი“ არ იყო გადასახდელი, ისინი რამდენიმე შეიძლებოდა ჰყოლოდათ. მათი უფლებები მნიშვნელოვნად იყო შეზღუდული და მათთან გაჩენილი შვილები (თაგაურებში მათ ქავსადარეს უწოდებდნენ, დიგორელებში - კუმიაკებს და ა. შ.) მამას შეეძლო გაეჩუქებინა, გაეყიდა და სხვ.

ჩეჩნეთში ქალიშვილებს ძალზე ადრე ათხოვებდნენ - 12-დან 15 წლამდე ასაკში, მაგრამ ,,ყალიმის“ მაღალი თანხის გამო (80-დან 200 მანეთამდე), ქორწინებები ჩეჩნეთში, სხვა მთიელებთან შედარებით, ნაკლები იყო. გარდა ამისა, მთიელებში გავრცელებული ტრადიციით, საოჯახო მეურნეობა, ძირითადად, ქალზე იყო დამოკიდებული, ამიტომ საპატარძლოს მშობლები ცდილობდნენ რაც შეიძლება დიდხანს დაეკავებინათ ქალიშვილი საკუთარ სახლში.

რუსებთან ომის პირობებში ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, შამილისათვის მიუღებელი იქნებოდა, ამიტომ იგი მიმართავდა ე. წ. იძულებით ქორწინებებს. მან შეკრიბა ჩეჩნეთის ყველა საპატივსაცემო პირი და შესთავაზა ,,ყალიმი“ შეემცირებინათ ქალიშვილის შემთხვევაში - 20, ხოლო ქვრივის შემთხვევაში 10 მანეთამდე.

იმ მამაკაცებს, რომლებიც ქორწინებას გაურბოდნენ, შარიათის წესის მიხედვით, 100 ჯოხს ურტყამდნენ და ერთი წლით აძევებდნენ აულიდან.

გაუთხოვარი ქალიშვილის მამას, ან ძმას ნაიბი წინადადებას აძლევდა გარკვეული ვადის (ძირითადად 1 თვის) განმავლობაში მოეძებნა საკუთარ, ან მეზობელ აულში სასიძო. თუ ნაიბის სიტყვა არ შესრულდებოდა, ოჯახის უფროსს აგდებდნენ ხაროში მანამ, სანამ მისი ქალიშვილი არ გათხოვდებოდა.

იგივე ტრადიცია იყო ახალგაზრდა ქვრივის შემთხვევაში, ოღონდ მას სასიძოს მოსაძებნად 3 თვიანი ვადა ჰქონდა დაწესებული. იქიდან გამომდინარე, რომ ჩეჩნეთში პოლიგამია იყო მიღებული, გათხოვება დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა.

პოლიგამია ახასიათებდა დაღესტნურ თემებსაც, ოღონდ ცოლთა რაოდენობა 4-ს არ უნდა აღმატებულიყო. რომელიმე ცოლის გარდაცვალებისას, შეიძლებოდა ახლის შერთვა, ამ შემთხვევაშიც ოთხისთვის არ უნდა გადაეჭარბებინათ. დაღესტანში მიღებული იყო ენდოგამია. შეიძლებოდა ახლო ნათესავებს შორის ქორწინება, მამა-შვილსა და ღვიძლ და-ძმას გარდა. გავრცელებული იყო ლევირატის წესიც, როდესაც გარდაცვლილი ძმის ქვრივს მომდევნო ძმა ირთავდა (13:234).

,,ყალიმი" კუმიკებში თავადის ქალისათვის 750 მანეთს აღწევდა, უზდენის - 100. თაღარის კატეგორიისათვის განსაზღვრული გადასახადი დაწესებული არ იყო და ურთიერთშეთანხმებით განისაზღვრებოდა (13:234).

ჩრდილო კავკასიელ ხალხთა უმრავლესობაში ქალის ხვედრი ძალზე მძიმე იყო. ისინი ადრეული ასაკიდანვე შრომაში იყვნენ ჩაბმულნი და ადრე დილიდან - გვიან საღამომდე, ფაქტიურად, დამოუკიდებლად უძღვებოდნენ საოჯახო მეურნეობას, დაწყებული ბავშვების აღზრდით, დამთავრებული საქონლის მოვლით და მოსამსახურის მდგომარეობაში იყვნენ ჩაყენებულნი. სამაგიეროდ, მამაკაცი მთელ დღეს უსაქმურობასა და ლაყბობაში ატარებდა დროს. მისთვის სამარცხვონოდ ითვლებოდა ცოლს საოჯახო საქმიანობაში დახმარებოდა.

მიუხედავად ზემოთქმულისა, კავკასიელ მთიელებს წესად ჰქონდათ, როგორი საჩქარო საქმეც არ უნდა ჰქონოდათ, შემხვედრი ქალბატონის გამოჩენისას, ცხენიდან ჩამოქვეითებულიყვნენ, გაეტარებინათ იგი და მხოლოდ ამის შემდეგ ამხედრებულიყვნენ და გზა გაეგრძელებინათ.

დაღესტნის თითქმის ყველა თემში იყო მიღებული აკვნიდანვე დანიშვნა. ამ შემთხვევაში ვაჟის მამა გოგონას მშობელს წინასწარ რაიმე ნივთს აძლევდა ნიშნად და ამის შემდეგ მცირეწლოვნები სასიძო-საპატარძლოდ ითვლებოდნენ. სხვათა შორის, ასეთი წესი არსებობდა საქართველოს მთიანეთშიც (თუშეთში, ფშავ-ხევსურეთში). გავიხსენოთ მამამზე ერისთავის ვაჟის - ჭიაბერისათვის თალაგვა კოლონკელიძის ასულის - შორენას დანიშვნა აკვანშივე კონსტანტინე გამსახურდიას ,,დიდოსტატის მარჯვენაში". ფშავში ახალგაზრდების დაქორწინება მთლიანად მშობლის (მამის) ნებაზე იყო დამოკიდებული და წინააღმდეგობას ვერავინ გაუწევდა. თუ უსიყვარულოდ ქორწინების შემდეგ ქალის მხრიდან ღალატს ჰქონდა ადგილი, ქმარს შეეძლო იგი ,,დაეხეიბრებინა", ანუ სხეულის რომელიმე ნაწილი (ცხვირი, ხელი და ა. შ.) მოეკვეთა, ფიზიკურად დაემახინჯებინა და განეშორებინა. უძეოდ დაქვრივებული ქალი სამი წლის განმავლობაში გარდაცვლილი მეუღლის ოჯახში რჩებოდა, შემდეგ შეეძლო გარდაცვალებულისათვის წირვა გადაეხადა, შავები გაეხადა და გათხოვილიყო. ხევსურეთში ერთი სოფლის ქალ-ვაჟს ერთმანეთზე დაქორწინების უფლება არ ჰქონდა. თუ ასეთ შემთხვევას მაინც ჰქონდა ადგილი, ისინი თემიდან იკვეთებოდნენ.

ლიტერატურა:

1. თეიმურაზ ქურდოვანიძე, ,,ქართული ფოლკლორი", გამომცემლობა ,,მერანი", თბილისი, 2001.
2. გიორგი გოცირიძე, ,,ქორწინება ფერეიდნელ ქართველებში", გამომცემლობა ,,მეცნიერება", თბილისი, 1987.
3. ნუნუ მაჩაბელი, ,,ქორწინების ინსტიტუტი ქართლში" გამომცემლობა ,,მეცნიერება", თბილისი, 1978.
4. სოფიო ჩოხელი, ,,ქართული საქორწინო წეს-ჩვეულებები და პოეტური ფოლკლორი", ,,თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა", თბილისი, 1990.
5. ხასო ხანგოშვილი, ,,ქისტების ადათ-წესები", ,,გამომცემლობა მერიდიანი", თბილისი, 2015.
6. ალექსი ოჩიაური, ,,სტუმარმასპინძლობა ხევსურეთში", გამომცემლობა ,,მეცნიერება", 1980.
7. ,,ქართული ხალხური პოეზია", ტომი V, გამომცემლობა ,,მეცნიერება", თბილისი, 1976.
8. ბათუმის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, ,,აჭარის მოსახლეობის ყოფისა და კულტურის საკითხები", გამომცემლობა ,,მეცნიერება", თბილისი 1966.
9. არქანჯელო ლამბერტი, ,,სამეგრელოს აღწერა", ალექსანდრე ჭყონიას თარგმანი, გამომცემლობა ,,ფედერაცია", თბილისი, 1938.
10. თეიმურაზ II, ,,გაბაასება დღისა და ღამისა", ქართული პოეზია თხუთმეტ ტომად, ტომი V, გამომცემლობა ,,ნაკადული", თბილისი, 1978.
11. ნუნუ მაჩაბელი, ,,საქორწინო წეს-ჩვეულებები ქართლში", ,,საქართველოს ეთნოგრაფიის საკითხები" კრებული, გამომცემლობა ,,მეცნიერება", თბილისი, 1970.
12. იაკობ ბალახაშვილი, ,,ძველი თბილისი", სახელმწიფო გამომცემლობა, თბილისი, 1951.
13. იოსებ ალიმბარაშვილი. საქართველო-კავკასიის ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 2014.